

საქართველო

3

1971



ლესია უკრაინკა

სესია

11875

166

გამოცემის მეთხუთმეტი წელი

3



მ ა რ ზ ი

1971

თბილისი



საქ. კვ ცე-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

უი ნ ა ა რ ს ი

ღეისია უკრანია

3. ვიტალი კოროტიჩი. მისი სახელის ნათელი

კოეზია

6. ღეისია უკრანია. ლექსები. თარგმნეს ჯანსუღ ჩარკვიანმა, გივი გეგუქორმა, ამირან ასანიძემ

41. ნაწი კილასონია. ოპროს ფრინველი. პოემა

64. იზა ორჯონიძიძე. ლექსები

76. მანანა აბრამიშვილი. ლექსები

78. ლია სვანიძე. ცისფერი ღღე

კროზა

9. ვიორჯი ხორგუაშვილი. რუქილისა და შინაშვილას პრატი. მოთხრობა

44. გურამ სხირტლაძე. რომეო და ჯულიეტა. მოთხრობა

67. რეზო მიშველაძე. მოთხრობები

79. სოფიო ნიკოლაიშვილი. საჰაერო ხულიგანი

ახალი თარგმანები

84. კომპოზიტი. ოდისეა. ძველბერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კიქნაძემ, თამაზ ჩხენკელმა

მოგზაურის უთაბეჭდილებები

94. გივი ვარდოსანიძე. გონჯი მზეთუნახავი. ამერიკული ჩანახატები

ნარკვევი

108. მარტინა მინტაგი ბილაგო. კვლავ ჩემს ბასკეთში წერილი

120. ილია ტაბაღაძე. პარიზის კომუნის 100 წლისთავი

ახალგაზრდა მწერლები „ცისკარში“

126. ფიქრია ჯანდუკელი. ფოლკლორული ტრადიცია მავთულა მრეველთაშვილის საბავშვო კოლეჯში

132. ლეილა კახარაძე. სიყვარულის თემა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში

138. რუსუდან გრიგოლია. ნიკოლოზ მიწისძვრის

146. ივლიდა ბაჩიაშვილი. ჟან ანუი

153. ალა ბიბილაშვილი. ხოსე მანსილიერის შემოქმედებითი ეპოქის ძირითადი ეტაპები

157. ლია ძნელაძე. „ჯაქონ ბიწნების“ შემოქმედებითი ისტორიისათვის

შთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

ხარედაქციო კოლეგია:

გურამ ასათიანი,
აკაკი ბაქრაძე,
გივი გეგუქორი,
გურამ გვერდუნიანი,
მერაბ ელიოვიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე

ლორთქიფანიძე,
ოტის პაპოვიანი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ ფულიანიძე,
ტარიელ ჭანტურია,
სერგი შილაია,
თავაზ ვილაძე,
ლუა ჯანაშია,



პირველი კორპუსი

იღის სახელის ნათელი

იგი ადრე დაბრძენდა...

ყველა, ვინც იცნობდა, ამას ერთხმად აღიარებს. ჩვეულებრივ ფოტოსურათზეც ვერ შეამჩნევთ ბავშვურს მის გამოხედვაში, ვერ ნახავთ საბავშვო ლექსს მის კრებულებში. იგი ადრე დაქალდა; და უნდა ეჩქარა, ეჩქარა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის გზაზე, რადგან რამდენი რამ იყო წინ — რამდენი სიტყვა, დღე, ადამიანი — ყოველთვის ახალი, ყოველთვის სხვადასხვა...

მისი ცხოვრება დღემოკლე იყო — ხუთი წლით მოკლე, ვიდრე ტარას შევჩენკოსი, მაგრამ პოეტის სიცოცხლე ასე არ იზომება — მან ხომ პუშკინზე ხუთი წლით მეტი იცოცხლა, მესამედით მეტი პეტეფოზე, ბარათაშვილზე...

იგი საუკუნის უხუნავსი აზრის დონეზე იდგა, იმ სულიერი განზომილებით არსებობდა, რითაც ეპოქის უპატიოსნესი და ნათლითმოსილი სულები...

ასეთია იგი დღესაც — უკრაინული კულტურის ჭანა დარკი, დაუთრგუნავი დედოფალი ოლგა, უმძიმეს დღესაც კი მტერზე გამარჯვების გზებს რომ ეძიებს.

უკრაინამ შობა ლესია უკრაინკა, უკრაინამ გადააქცია იგი მშობლიური კულტურის განუმოვრებელ მოვლენად. დიდი ხანია არავის მიუცია ხალხისთვის იმდენი ძალა თვითშემეცნებისა, არავის გაუღვიძებია ასე ძალუმად პირადი ღირსების შეგრძნება, არ მოუწოდებია თავისუფლების დასაცავად...

დაიბადა პოეტი პატარა ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში 1871 წლის 25 თებერვალს.

მისი ქვეყანა მკაცრი და უსამართლო სამყაროა, სადაც სიკეთე მხოლოდ ზღაპრებში ფეხტაკვს. მან უამრავი წიგნი წაიკითხა და კარგად იცნობდა სხვათა იმედსა და ოცნებას. მას ბევრი თქმულება ახსოვდა და ხალხიდან გამოსული გულუსვი ჯადოსნები დიდხანს დარჩებიან ლესიასთვის კეთილი ნების სიმბოლოდ. იგი ყოველთვის სამყაროს გარდაქმნას ესწრაფოდა და 27 წლის პოეტმა ქალმა დაიმსახურა ივან ფრანკოს ისტორიული სიტყვები — „შევჩენკოსეული“ „ანდერძის“ შემდეგ უკრაინას არავისგან სმენია ისეთი ძლიერი, მგზნებარე პოეტური სიტყვა, როგორც ამ სუსტი და სნეული ქალიშვილის ბავთავანა“.

უკრაინის დიდმა გენიამ ჯერ კიდევ სმადაუწმენდი და უსახელო პოეტი შევჩენკოს დაუყენა გვერდით. განსწავლულობით უკრაინკა თვით ფრანკოსაც არ დაუდებდა ტოლს. მისი ენციკლოპედიისში უაღრესად ღრმა იყო, ზოლო ინტერესთა სფერო — უკიდევანო. იმ დროს, როცა ზოგნი თავსაც კი იწონებდნენ ხაზგასმული უბრალოებითა და უფიციობით, ლესიას ღრმად და თანმიმდევრულად ჰქონდა შეგნებული განათლების მნიშვნელობა.

უკრაინული ენა, თვით სიმღერაც კი, აკრძალულია მეფის მთავრობის საგანგებო დეკრეტით. არ არსებობს უკრაინული სკოლა.

ერის უკვდავების სიმბოლოდ აღიმართა პოეტი ქალი, რომელმაც სახელად თავისი ხალხის სახელი აირჩია, იმ ხალხის სახელი, რომელსაც ოფიციალურად „მალოროსებს“ უწოდებდნენ. აღარ არსებობდა ლარისა კოსაჩი... დიდებისა და ტანჯვის გზას დაადგა პოეტი ქალი — ლესია უკრაინკა.

მან განათლება შინ მიიღო, სენმა აქაც შეუშალა ხელი — მაგრამ როგორი განათლება?!

იგი აღიზარდა ამაყი და თავისუფლებისმოყვარე ადამიანების წრეში. პაპა იაკობი დეკაბრისტებთან ერთად იბრძოდა; ბიძა — მისხაილ ღრაჟომანოვი — ემცგრაციასში ცხოვრობდა, სადაც უკრაინული კულტურის გამომჩინილი მოღვაწე გახდა. ლესიას დედა მწერალი იყო...

დაწერილია საგანგებოდ ჩვენი ქურნალისათვის.

ლესია მუშათა მოძრაობას დაუახლოვდა, შეისწავლა მარქსისტული მოძღვრება; რევოლუციამდელში „პრავდა“ ამაოდ როდი უწოდა მას „პოეტი — მშრომელთა მეგობარი“. ავადმყოფობა სასხარს არ აღწევდა, თორემ იგი ყოველდღიურ პარტიულ მოღვაწეობაშიც გამოიჩინდა თავს, და მერე როგორც ^{საქართველოს} ^{საბჭოთა} ^{საქართველოს}

და ლესიაც ადამიანებს პოეზიის ენით მიმართავდა. მრავალმხრივი იყო მწერლის არტისტული ბუნება — მუსიკოსი და მუსიკათმცოდნე, პროზაიკოსი, პოეტი, ესეისტი, პოლიგლოტი... მის შემოქმედებაზე მსჯელობა ისე არ შეიძლება, თუ მის რთულ და უსახურო ბუნებას არ გავითვალისწინებთ. როცა გაიხსენებ, რაოდენ გაამდიდრა მან თავისი ხალხი, არ უნდა დავივიწყოთ, რაოდენ გაამდიდრა თავის მხრივ მისი სულიერი სამყარო ხალხმა და შრომამ.

ამ ქალს მზე სწყუროდა — ჩვენი პოეზიის ჩახჩახა მზესუმზირა — და თბილი, სუფთა ჰაერის ძიებას დაჰყავდა პლანეტაზე... იგი თავისი სულით მზისკენ ილტვოდა — ჭეშმარიტების უკვდავი მნათობისკენ, რომელიც ხალხის დუხჭირ სევსაც მოჰფენდა შუქს.

ლესია უკრაინკას არ უყვარდა სიკვდილზე ლაპარაკი. თავად სწეული, იგი გულუხვად უზიარებდა სხვებს თავის ენერჯიასა და სიცოცხლის სიყვარულის ხაიდუმლოს. ცხოვრობდა მზისკენ თვალმიპყრობილი და ხალხსაც მისკენ აბრუნებდა. სიკვდილის წინ იგი წერდა — „ბნელის ჩამოდგომის წუთსაც არა მჯერა მისი გარდუვალობა“...

მარადი რწმენა სიკეთის დაუთრევუნებლობისა — ესაა ლესია უკრაინკას სკოლა უკრაინულ მწერლობაში.

„მე თავყვანს ვეგემ ტიტან პრომეთეოსს, რადგან იგი თავის ხალხს მოწებად არ ჰქმნიდა“, — ამბობდა ლესია.

ბევრი დაწერია ლესიას პრომეთეოსზე. წინააღმდეგობა, რასაც იგი ყოველგვარ ძალაუბრასა და მონობას უწევდა, მისი მაღალი ნიჭის ტოლფარდია. ლესია უკრაინკა იყო შვეჩენოს სკოლის მოახროვნი, აღზრდილი ჰერცენის მოწოდებათა პათოსით, ჩერნიშევსკის მგზნებარე სიტყვებით. სკი გულისყურით უსმენდა ფრანკოს — გენიალურ თანამედროვესა და თანამომქს.

და ტკივილი, უკურნებელი იარა რომ ამოშანთა მის მესხიერებასა და გულში, დაუოკებელ სწრაფვად აედერდა სტროფებში:

„ღიხს, ჩვენ ოწნები ვართ და ვინ იცის უფრო მიმე მოწობა; ფელასი ან პარია ჩვენზე ბედნიერია, რადგან გათოკილია მისი გონება და სული. ჩვენს სულში კი ჯერ კიდევ ანთია ტიტანის ცეცხლი.

ჩვენ ვდგართ დამბლადცემულნი — ანთებული თვალებით; დიადი სულითა და აზრით; და ვგრძობთ, რომ არწივის ფრთები გვასხია... ოღონდ თვითა ვართ მიჯაჭვულნი მიწას“.

მან კარგად იცოდა აღმადრენის ძალა, იცოდა როგორ უნდა აიყარო ხუნდები და ხალხსაც ამასვე ასწავლიდა. მის პირად გამოცდილებაში ყოველივე ჭეშმარიტი იყო — ლექსი დეკლარაციის, სიყვარული — სიყალბის, ტკივილი — გამოსავლის გარეშე, და შრომა, შრომა ვით სხნა და გადარჩენა. მას მოჰქონდა საოცარი გრძნობა სამყაროს ერთიანობისა, სადაც ყოველგვარი უსამართლობა დასაძლევია და დაიძლევა კიდევ. ლესიას ბნელით მოცული სევდაც, მისი ცრემლიც კი უზენაესი სრულქმნილებისკენ, სამართლიანობისა და სიკეთისკენ მოწოდებაა. იგი იმედისა და ძალთახმევის წყაროა, რომელმაც საიმისოდ კი არ გამოაბო უკრაინის მიწა, რომ დაშრეს ან ჭაობის ხაეს შეერიოს. და ეს ბედნიერება... ბედნიერებაა, რომ ჩვენს ხალხს, და სხვა ხალხებსაც, შეუძლიათ ამ წყაროთი წყურვილის მოკვლა.

პოეტის უკვადება დრომ გამოძერწა, ხალხმა იგი ახლოს, უშუალოდ იხილა, ასე იყო საუკუნის დასაბამზე; ასეა დღესაც — დროს მანძილიდან. ხალხი და მისი მომღერალი არასოდეს გათიშულა, პარალელურ ხაზებზეც კი არ გადასულა, რადგან შეიქმნენ ვით განუყოფელი და ერთობლივი. რა არის ხელენება ხალხისთვის? ესაა ლესია უკრაინკა; მისი სიტყვა, გასაგები ყველასათვის, ვისაც ოდესმე უფიქრია ხალხის ცხოვრების მტკივნეულ პრობლემებზე.

და ყოველთვის — ბრწყინვალე დრამა-ფეერია „ტყის სიმღერაშიც“ — ცოცხლდება მწერლისთვის ბავშვობიდან ნაცნობი სახეები: უკრაინის მდინარეთა, ტყეებისა და მინდვრების სული, და ეს სული იმ ადამიანებთან ერთად ცხოვრობს და იღუპება, ვინც აფუძნებდა მშვენიერსა და კეთილს, ებრძოდა ბოროტებს, ცდიერებას, ტყუილს: „ტყის სიმღერის“ გმირი მკვდრეთით აღსდგება, როგორც მცენარე ან სიმღერა — ხალხის უკვდავი და სათნო სული.

ლესია უკრაინკა უკვდავია თავისი ლირიკით, თვით პლაკატური „განთიადის ჩირაღდებით“ — სადაც პირდაპირ წინასწარმეტყველებდა რევოლუციის მოახლოებას. იგი თავისი პრინციპების ერთგულია პროზაშიც, პოეზიაშიც, ესეებშიც... მაშინაც კი, როცა წერს უნდა იშვებებს პოლიტიკურ სოციალისტის წიგნს-სთვის — წერს მშვენიერ, წინასწარმეტყველურ ფრაზებს — „მშრომელებო მთელი ქვეყნისა, გაერთიანდით! გაერთიანდით, ვით თავისუფალი თავისუფალთან, ტოლი ტოლთან! ვის მსარწმუნეა სიმართლე, მის მხარეზე იქნება ძალაც!“

ლესიას არ შეეძლო მთელი უსამართლობა მოესპო ამ ქვეყნად, მაგრამ იგი ადამიანებს აძლევდა უსამართლობის წარმავლობის რწმენას.

რევოლუციური მოძრაობა მეფის მთავრობის გაცოფებულ წინააღმდეგობას იწვევდა. ოფიციალური პროპაგანდა ცდილობდა შეებღალა ხალხის ოცნება, ჩირქი მოეცხო თავისუფლებისათვის მებრძოლთა სა-

ხელმძღვანელის. მაგრამ განთიადის ჩირაღდნები, პოეტმა თითქოსდა გაუვალ ბნელში რომ ისილა, ერთი ყველასთვის, „ვინც ცოცხალია და ვის სულშიც აღზევდა ოცნება“.

ლესია უკრაინკა სინათლის შეგრძნების, მზის სიყვარულის განსაკუთრებული უნარით იყო დაკიდებული, და ის ფაქტი, ცხადად რომ გრძნობდა რევოლუციის მოახლოებას, ასე რომ სწამდა მშრომელთა მომავლის — სახალხო პოეტის გენიალობის დადასტურებაა.

„კატაკომბის“ გმირის ნეოფიტის ჯანყი, ღვთის გმობა, თავისუფლებისკენ ლტოლვა ისევე ჭეშმარიტია და ბუნებრივი, როგორც გულის ფეთქვა.

მოკლე წერილში შეუძლებელია დიდი მწერლის შემოქმედების სრული ასახვა. მე ვცდილობ, მხოლოდ არსი გამოვხატო, მხოლოდ ის, რითაც ლესია უკვადავია უკრაინისთვის. მისი წიგნები გაცილებით საინტერესოა, ვიდრე კომენტარები მათზე.

მაგრამ ერთიც მინდა დავძინო: ლესია თავის პიროვნებაშიც და თავის ხალხშიც შეუდრეკელ ვაჟაკობას და ღირსების შენებას აღვივებდა და დიდად სცემდა პატივს ყოველივე ამას სხვა ხალხებში, სხვა ადამიანებში.

ამის ბევრი მაგალითი არსებობს — მოვიტან მხოლოდ ერთს.

სენმა პოეტი აიძულა მზე და სითბო ეძებნა. სენმა მიიყვანა იგი საქართველოს მთებში, სადაც მან აღმოაჩინა დიდი ხალხი და დიდებული ადამიანები...

მრავალ წელს ინახებოდა პოეტის ოჯახში ქართველი რევოლუციონერის ნესტორ დამბარაშვილის ნაჩუქარი ხანჯალი.

დამბარაშვილი იგონებს — კიევში ცხოვრებისას ლესია სწავლობდა ქართულს, აუცილებლობის გამო კი არა, ამაყი ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემის გამო.

ჩვენი ხალხების მეგობრობის „სკულის ფიცარზე“ ლესია უკრაინკას სიტყვებიც უნდა ამოიკეთოს — „რა საინტერესო და საოცარია საქართველო. რა გატყავობა და სიმამაცე უნდა ახასიათებდეს ერთ მუჭა ხალხს, რომ დაიცავს და გადაიარჩინოს თავი ყველა ჭირისა და უბედურებისაგან, რაც წილადად ხვდა. მე რომ უკრაინელი არ ვიყო, მხოლოდ ქართველობას ვისურვებდი“.

1910 წელს ლესია მეუღლესთან ერთად თელავში ჩავიდა — „მშვენიერია კახეთი. როცა ალაზნის ველს გაეცქერი, დნეპრის ნაპირები მიდიხარ თვალწინ“.

საქართველოს ბედ-იღბალი შეითვისა ლესიას გულმა, ისე, როგორც თავის დროზე ააღელვა საქართველომ მისი გენიალური წინამორბედი ტარას შევჩენკო. ლესიას გულწრფელად უყვარდა ეს ქვეყანა, მისთვის იგი პროშეთოსის მხარე იყო, და ლესიაც ხელს იწვდიდა მისი ანკარა პაერისაკენ, მისი ხალხის უბიწო სულისაკენ. აქ, 1913 წელს შეწყდა მისი მავისცემა. აქ დაიდგა მისი პირველი ძეგლი.

თუ ჩვენი ხალხები ბედითაც და სულღირადაც შეერწყნენ ერთუთოს, ეს ერთიანობა, როგორც ჭეშმარიტი და გაუცუვეთელი ჩვენი სიმდიდრე, ლესია უკრაინკას ცხოვრებითაცაა ნაკურთხევი.

საკუუნის დასაწყისიდან კაცობრიობამ ბევრი გატაცება გადააფასა და დაივიწყა. ძველდება მანქანები, იარაღი, ტანსაცმელი — სიტყვა რჩება. ყველა არა, მაგრამ ლესიას მიერ ნათქვამი სიტყვა დარჩა, სიტყვა — შემოწმებული ათასი ძვრითა და განსაცდელით.

ჩვენ ვკითხულობთ ლესიას, ვფიქრობთ მასზე — როგორც იგი ფიქრობდა ჩვენზე, ლაპარაკობდა ჩვენთან და ჩვენს მემკვიდრეებთან. მან წინასწარ განსაზღვრა ხალხის მომავალი. იგი თანამედროვეთა უმეტესობაზე მთელი თავით მაღლა იდგა, იყო შორსმჭვრეტელი და ადამიანებს თავისი ხედვის სიმძაფრე და სიღრმე გაუზიარა. და როგორ სწამდა მას — ბოლომდე, უიმედოდ, ან თითქმის უიმედოდ; პირველი სიტყვიდან უკანასკნელამდე. როგორ სწამდა მას მარადისობის, პირადად თავისი თუ არა, თავისი ხალხის მარადისობის.

ათი წლის ლესია უკრაინკა პირველ ლექსში წერდა: „მე არც თავისუფლება მერგო, არც ბედი; დამარჩა იმედი მხოლოდ“. და კვლავ მაგონდება მისი სიტყვები, ნათქვამი მზეზე, რომელსაც ძალა შესწევს მოგაჩვენოს თავი გამარჯვებულად უკანასკნელ წამსაც კი, გარდუვალი დამარცხების წინ.

ლესია უკრაინკა არ ცდილობდა ვინმეს გამარჯვებულად მოსჩვენებოდა — მან გაიმარჯვა.

და დიდხანს, განუსაზღვრელად დიდხანს იდგება ამ მიწაზე მისი სახელის ნათელი.



სიძღვრები თავისუფლებაზე

ნაწევები

მიდიან, მიდიან დროშების ფრიალით,
დროშების ხანძარი მიარღვევს ცას.
ირხევა მწყობრი და სიმღერა გრიალებს,
სიმღერა, რომელიც ქარიშხალს ჰგავს.

„მხნედ, მხნედ მეგობრებო!“ — მე ტირილს მაგონებს,
„მხნედ, მხნედ მეგობრებო!“ — ტირილად ვცან.
ცრემლებად დაუდის ველებს და მთაგორებს,
ის კი არ გვამხნევებს, უცეცხლოდ გვწვავს.

ო, იგი არ უმღერს ჩვენს თავისუფლებას,
ტყვეობის ტკივილით სავსეა ის,
ის ჟღერს ნალვლიანად და ცა იქუფრება.
ზარს ჰგავს და არა ჰგავს სიმღერას მზის.

„მხნედ, მხნედ მეგობრებო!“ — ამ ძველი სიმღერით
იქნებ აცილებენ საკუთარ ძმას,
სევდად და მდუღარე ცრემლებად იღვრება
და ცოცხლად დამარხულ სიმართლეს ჰგავს.

საშინელ, საშინელ ძველ დღეებს მაგონებს,
ძველ ბრძოლებს მაგონებს, ძველისძველ ჭირს,
ბევრ ვაჟკაცს, ამ ტირილ-სიმღერის გამგონეს,
ჩაუქრა თვალი და დაეცა ძირს.

თქვენ სულ არ გისდებათ ეს ძველი სიმღერა,
თქვენ უნდა ახალი სიმღერა თქვათ,
თავისუფლების დროშად რომ ირხევა
და არა ცრემლად რომ სდინდება თვალს.

მოდი, გაუმარჯოს თქვენს ახალ გალობას,
დიდებულს და არა სიმღერა — შხამს.
უმღერეთ, უმღერეთ ჩვენს შთამომავლობას,
უმღერეთ და მხარი მიეცით მხარს.

ისე, რომ გაბრწყინდეს ტანჯული მიდამო,
დროშებით, დროშებით გაბრწყინდეს მზე,
მუდამ დაღვრემილმა ცამ გამოიდაროს
და სასწაულები გასცილდეს ზღვრებს.

დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა



მიუწვდომელო ოცნებაო, სამშობლოვ ჩემო,
მოვილტვი შენსკენ, მსურხარ და მსურდი,
ვარ ბედნიერი და ვცახცახებ აჭრილი ზემოთ...
ასე ბრუნდება ჩიტების გუნდი.

ის გუნდი ალბათ სხვა გალობით სივრცეს დასერავს,
რომ არ გვსმენია არსად მანამდე,
ბნელ ქვეყანაზე გაიშლება და ელვასავით
გადმოიფრქვევა და გაანათებს.

რად მეორდება... მე მიგრძენია ყველგან ობლობა
იმედს ვეძებდი უცხო მხარეში.
მე სამშობლოში რა მომელის... უსამშობლობა
და სიჭაბუკე სავსე კაემნით.

და მაინც მუდამ, მაინც ყველგან დღე დაბრუნების
მქონდა ოცნებად, მიხმობდა იგი
და სასურველი, სანატრელი წამის ცთუნება
თავზე მადგამდა ეკლიან გვირგვინს:

მე შევყურებდი მესაზღვრეებს, იმათ იარაღს,
მე შევყურებდი პირქუშ სახეებს
და კითხვა იყო პირგახსნილი, როგორც იარა:
„ეს სამშობლოა თუ მასახლებენ?“

აქ არ შეცვლილა არაფერი. ასე მინახავს
ეს აღმართული ციხის კედლები.
ცოცხალი აზრი სულს დაფავდა, როგორც შინაყმა
და სულს დაფავდნენ კვლავ იმედები.

შურისძიების ანგელოსი, დილეგის სული
შემომცქეროდა ბოროტად მაშვრალს,
მაღალ ოცნებებს, ჩემს ოცნებებს, ჩემს მაღალ სურვილს
თითქოს უქნევდა სისხლიან დაშნას.

და ის სიმღერა, რომ მიხმობდა, ვით დაპირება,
იყო მახინჯი და უსაშველო,
და ფიქრიც ისე ირეოდა, როგორც ირევა
პეპლების გუნდი სანთლის გარშემო.

მე თითქოს ვიდექ გაწუწული შიშველ ჭალაში
და სულზე მაწვა მძიმე ნადველი,
ღამის წყვიდადში გახვეული, ვით სუდარაში,
მე ვკვითინებდი და ვცახცახებდი.

მე უცხოეთში მსურდა ისევ, იქ წამოდგომა
და იქ სიმღერა მინდოდა მშვიდი.
თბილ ქვეყანაზე, მზის სხივებზე ყრუ შემოდგომით
ასე ოცნებობს დაღლილი ჩიტი.

5/VI-1899.

თარგმნა გივი ზავაძე-კორძა.



ბატონი პოლიტიკოსი

რა ვქნათ? რაინდთა დრო რომ მოკვდა ცხადზე ცხადია;
ციცქნა კალამმა დღეს დაჯაბნა შუბი ვეება —
ივანეს, პეტრეს კაცი კალმით უნდა შეება...
„მეურნეობის კრიზისზე“ ვწერ ახლა სტატიას.

არა, არ ვჩემობ ციცერონის — ბრძენის მანტიას,
მაგრამ სიტყვებით, თუკი გულმა მოიწადინა,
რომელსაც გნებავთ გავაბრუებ ძალზე ადვილად...
ჩემი გამოსვლით ფასს ავუწევ „ყვავთა პარტიას“.

დღეს ყველა ხეპრე წინ აყენებს თავის ნატურას;
და მე დავდუმდე? — სირცხვილს უდრის ასე დარჩენა,
ყველა პროგრამის მზად გახლავარ მხარდასაჭერად...
წამოვაცენო უნდა ჩემი კანდიდატურა!

17/III-1906.

თარგმნა აშირან ასანიძე.



რწყილისა და ჭინჭველას არაკი

მ ო თ ხ რ ო ზ ა

1. კნაპეს მულაში

— დილა მშვიდობისა, ბიჭებო!

— იღღეგრძელე, კნაპე!

— კნაპეს სალამი!

— კნაპეს მშვიდობა!

— გაუ!..

— გაუ!.. — ერთდროულად შეელავ-
ლეს მძღოლებმა, რომლებიც დილაუ-
თენია შეკრებილიყვნენ ავტოსატრან-
სპორტო კანტორის ეზოში და საგზუ-
რების მოლოდინში ერთუროს ელაზ-
ლანდარებოდნენ.

კნაპემ დოინჯი შემოიყარა და სიცი-
ლით მიმართა:

— რა სახაზე ბიჭები ხართ?!

— ჩვენ უკვე დაგასწართ ხაშიცა და
არაყიც!

— იცოდი და იმიტომ გაბედე, თო-
რემ ქუდი რომ შევიგდონ, სასადილო-
ში არ შეხვალ!

— მამ არადა მშიერებს დაგვაბა-
ტებდა!

— დაჩვეულია უფროსებთან კუდის
ჭიცინს და ჩვენთანაც წამოსცდა! — ჭი-
ლიკობდნენ მძღოლები.

— მტყუანს თავი გაუხმეს, ეგეთი არა
ვარ! პურ-მარილიც მიყვარს და ძმაკა-
ციბიც! — ხუმრობისავე კილოთი პა-
სუხობდა კნაპე.

კნაპეს ნამდვილი სახელი გრიგოლია,
მაგრამ მეორედ მონათლეს ნაფრონტა-
ლი. მარჯვენა ლოყა გამოჭრილ-გამო-
კნაპული აქვს. ყუმბარის ნამსხვრევს
შეელეწა დასახლება კრიმსკაიას აღე-
ბისას. ცალი ყბის ძვალი ამოეცლიათ და
თურმე ისე გაეკერათ ხორცი და ტყავი,

ნაკერში ლაშიც ჩაეყოლებინათ და ტუ-
ჩები სანახევროდ შეხორციებოდა ერ-
თმანეთს. შევიწროებულ ბაგეებს მა-
რცხენა მხარესდა აღებდა და გაჭირვე-
ბით ლაპარაკობდა. შოფრებმა კნაპე შე-
არქვეს და რაკი არა სწყინდა, ყველა
ასე ეძახდა.

ბიჭებს უყვარდათ კნაპეს პრუწუნა
ლაპარაკი და თუ მოიხელოებდნენ, აღ-
არ მოეშვებოდნენ, ვიდრე ცოტა სათქ-
მელს მაინც არ გამოსტყუებდნენ.

— მოდი აქა, კნაპე, ჯერ მაინც აღ-
რეა, ორიოდე სიტყვა შეგვაწიე!

— ყბედობა შენც კარგად გეხერხება,
დადექი და ილაქლაქე, რომელი ტყუი-
ლისა შეგრცხვება! — პასუხობს კნაპე
და გაჭირვებით იცინის.

კნაპეს სიცილზე ბიჭები ხარხარებენ.

— ის როგორ იყო, კნაპე: მუხრანე-
ლი გოგო რომ ჩაგესვა კაბინაში და მო-
კბეჩილ ლოყაზე აკოცინებდი?!

— ღმერთი, რჯული, ეგრე არა ყო-
ფილა! — ხელებს შლის კნაპე.

— თქვი, კნაპე, რისა გრცხვენიან.

— მეჯდა, მაგრამ, ჩემმა მზემა, გულ-
ში არა გამივლია-რა.

— არ დამალო, კნაპე!

— ბავშვი არ იყვე! თეფშაყურამ და-
მიყარა ხმა, მაგ დოღრილაშმა. იქიდან
მომავალი შემომხვდა თავისი ჯაბახანა
მანქანით და, რაკი დამინახა, გვერდით
გოგო მესვა, საეჭვო ღრეჭა დამიწყო...
მაშინვე მივხვდი, ცილს არ ამაკდენს-
მეთქი, რა მუსუსიც თვითონ არის,
სხვაც ისა ჰგონია!

— ნაცნობი იყო, კნაპე?

— არა, კაცო, მუხრანის გადასახვევ-
თან იცდიდა. თბილისში მიდიოდა თუ-
რმე. ხელი ამიწია, გავუჩერე და ჩავსვი.

— მართო ხელი ავიწია, კნაპე?

— სინდისგარეცხილი ნუ ხარ! —
თვითონაც ეცინება კნაპეს.

— ლამაზი იყო?

— როგორც მოწყვეტილი ვარსკვლა-
ვი!

— თვალი არ წაგიგორდა, კნაპე?!

— კარგით, თქვე ნამუსდაკარგულე-
ბო. შვილის ტოლი იყო ბოლოსდაბო-
ლოს!

— მაშ, ტყუილია, ჰა?!

— მტკნარი სიცრუეა.

— ეგ არ გაგიხდა საბაბი?!

— რისი, კაცო?! — გაიკვირა.

— მოხსნისა, კნაპე.

— რასა ბოდილობთ! — თავი გაა-
ქანქარა და ნახევარი ტუჩი ამობრიცა
დაქვევებით.

— ჰა, ჰა, ჰა... — გრძლად გადაიხარ-
ხარა ერთმა და სხვებიც აიყოლია, —
კნაპემ ისიც არ იცის, რომ მოხსნილია.

— ჩემი მომხსნელი კაცი ჯერ არ და-
ბადებულა, როცა არას გავაფუჭებ,
ბუზს ვერაფერ ამიფრენს!

— შენ ეგრე დაიარხეინე გული და,
აბა, თუ მანქანას მიგაკარებენ!

— ტყუილად გიბრმავდებათ თვალე-
ბი! ხომ ოცი წელი მისრულდება, რაც
საჭეზე მილამდება და თქვენი გულის
გასახტეთად მაგაზე დიდხანს კიდევ უნ-
და ვაჭენაო! — ცალ ლოყაზე იმჩნევს
დიმილს.

— შენს შამილაზე რომ ბურნუთა
გიო დაჯდება, მერე თვალე წლები!

„შამილა“ მანქანას უქვია კნაპეს.

— მართლა მელაპარაკებიან, თუ მე-
მასტრებიან, ვალერიან ალექსანდროვიჩი!
— მიუბრუნდა ჯიბეებში ხელგამაწყო-
ბილ სქელ-სქელ კაცს, რომელიც უსი-
ტყვოდ ხითხითებდა შოფრების ლაზ-
დანდარობაზე.

— მართლა გეუბნებიან! — ამოიროხ-
როხა ვალერიანმა.

— არ გამაგიჟო, კაცო!

— დედის სულს გეფიცები!

საგონებელში ჩავარდა კნაპე და სა-
ღისებურად ფანჯარაში გადასულიყო-
ვდა.

— ჩემი საგზური მზად არის, ძია
ბაგრატი?

ღისებურად ტუჩები ამობრიცა და
საუბროდ გაიქნია თავი.

— რატომ?! — ახლა კი მოიღუშა.
კნაპე.

— უფროსის ბრძანებაა.

— რა ბრძანებაა?!

— ეგრე დამირეკა: ტუხაშვილზე საგ-
ზურს ნულარ ვასცემო.

— რადა, კაცო?!

— არ ვიცი! — მხრები შეიქნია, —
მაგდენს არა მკითხავენ.

კნაპემ შუბლი შეიკრა. ისევ ბიჭები-
საკენ გამოვიდა და ნერვიულად ააცმა-
ცუნა ვიწრო ტუჩები.

— რაო, კნაპე? — მაინც ეცინებო-
დათ ზოგზოგებს.

— ამდენი ხანია შოფრად ვმუშაობ,
ჯერ წიგნაკი არავის გაუხვრეტია და
რაზე მხსნის ეგ გაფუჭებული ვირი-
შვილი! — ხმამალა ილანძვებოდა
კნაპე.

— თუ გაგიგო, როგორი გაფუჭებუ-
ლიც არის, მერე გაჩვენებს!

— ამაზე უარესი რაღა უნდა მიყოს!

— ამათ მეტი კი არ უნდათ, კნაპე.
შენი ხუმრობაც უყვართ და გაბრაზე-
ბაც... ადი და გაარკვიე! — ურჩია ვა-
ლერიანმა.

— ვილასთან უნდა გავარკვიო?!

— თვითონ უფროსთან მიდი!

კნაპეს ჭკუაში დაუჯდა ვალერიანის
ნათქვამი და გაუგებარი ბურტყუნით
გასწია უფროსის კაბინეტისაკენ.

კარი დაუკაკუნებლად შეიღო. მაინც
მიესალმა, ქუდი მოუხადა, თავი დაუქ-
რა. დამხვდურმა სალამზე არ უპასუხა,
თითქოს ვერ შეამჩნიაო. წერას განაგ-
რობდა.

კნაპე ახლოს მივიდა, წინ აეტუხა და
თავჩაღუნული დაელოდა. რაკი უფრო-
სმა შეხედვა არ აღიროსა, ისევ თვითონ
შეეხმინა:

— როგორ არის საქმე, დიმიტრი სო-
ლომონოვიჩი?!

უფროსმა ამრეზით შეხედა და გვიან გაიღო ხმა:

— ვის საქმეს კითხულობ?

— ჩემსას!

— შენი საქმე მაინცდამაინც... — საეპკოდ გადააქნია და გადმოაქნია თავი.

— როგორ გავიგოთ?! — ხარბად მიტყუარდა.

— სამწუხაროა, მაგრამ ვერ დავიმაღლავ, დღეიდან მანქანაზე ველარ დაჯდება, — და კვლავ კალამს დასწვდა, რითაც ანიშნა, შენთან საქმეს მოვრჩიო.

— ვითომ რატომა?! — ცდილობდა ღელვა დაეფარა.

— იმიტომ, რომ გათავისუფლებული ბრძანდებით!

— რაზე მომხსენი?! —

— კი არ მოგხსენი, გაგათავისუფლეს.

— დიდი შეღვათია... გახიე და გაფხრიწე ერთი არ არის?

— გინდა ერთად ჩათვალე და გინდა ათად, ეგრეა და... — კვლავ მაგიდაზე დაიხარა.

— მაინც რა მოიმინებზეთ?!

— არ უთქვამთ?!

— კრინტი არავის დაუძრავს, საგზური რომ არ მომცეს, მაშინ მივხვდი.

— იმას ველარ მიხვდი, რომ გასაჩერებელი აღარ იყავი?!

— ვახ, რა ჩავიდინე ისეთი?!

— ავარია მოახდინე: მანქანა დაამტვრიე, ფრთა მიუტევეყე, ორ ღღეს დაკარგული იყავი შენი მანქანიანად, მეტი რაღა გინდა?! უთუოდ კაცი უნდა მოკლა? — ხმას აუწია დიმიტრიმ.

— ხომ ისევ მე გავაკეთე. ფრჩხილის საფასური არა წამიღია—რა თქვენგან. ჩემი ფული ჩავაყარე! — ენაზემაც მოალონიერა სიტყვა.

— ვინ გააკეთა არ ვიცი, ფაქტი, ფაქტია.

— მაგ წყალმა ხომ ჩაიარა?! გამოათხე და გამაფრთხილე: სხვა დროს აღარ დაგემართოსო, ახლა მიბატებიაო.

— გალანძღვა და გაფრთხილება, როგორც ჩანს, საკმარისი არ აღმოჩნდა... შეცა მყვანან უფროსები, ხომ იცი,

რა ინსპექტორებიც გვახვევიან თავზე... დამირეკეს და იმათი სიტყვა ჩემთვის კანონია... შენ რომ არ გამეთავისუფლებინე, მე დავისჯებოდი. რაღა, რის გულისთვის?... აუტყვიარი თავი რაზე ავიტყვიო?!

— ვისთვისაც გინდა, თავსაც აიტყიებ და გულსაც! — აღარ დაერიდა ენაზე.

— ნურავის ნუ დავმღურებ, ყველაფერი შენს თავს დააბრალებ... წადი და მუხრანელმა გოგომ გიშველოს! — დამცინავად დააბოლოვა სათქმელი.

ენაზემაც გაოცებით აიქნია მხრები:

— რა შუაშია მუხრანელი გოგო! ის აქედან წასვლაზე გავიყოლე, ავარია კი თბილისიდან მომავალს დამმართეს. ქვეყანა მოწმეა, რომ მე არა ვტყუოდი, სხვამ დამაჯახა და მე რად უნდა დავისაჯო! ღმერთი აღარ არის?!

— ნულარ მევაჭრები, მორჩა და გათავდა. მამაჩემი საფლავიდან რომ წამოდგეს, ბრძანების შემცველი არა იცარ!

ენაზე მოიქუფრა. საცოდავად ჩამოყარა ყურები. ენა ველარ დასძრა, ნერვიულად აუცმაცუნდა ვიწრო ტუჩები, მაგრამ შეოკება შესძლო. თავის მომდაბლება ამჯობინა, იქნებ მბრძანებელს გული მოუბრუნდესო.

— უნდა გვაპატიო, დიმიტრი სოლომონოვიჩ! — ნაძალადევი სიმშვიდით შეეხვეწა.

— ვერა!

— წვრილშვილის პატრონი ვარ!

— ჩემი ცოლ-შვილი შენსას მირჩევნია!

— ოცი წელია საჭეს ვუზივარ. მაგის მეტი შემთხვევა არა მქონია. მადლობის გარდა არაფერი დამიმსახურებია. ოთხი წელი ვიყავი ცეცხლში. სხვა არა იყოს რა, შენ ხომ იცი, რომ საიქიოს გზიდან მომაბრუნეს...

— ყველაფერი ვიცი, მაგრამ... — მხრები აიჩეხა.

— მაგრამ რა?! — მკვახედ ჩაეძია.

ვიორგი ხორგვაშვილი

რეჟისორისა და მხატვრის ნაშრომი

— ისა, რომ თავისუფალი ბრძანდებო. წადი ეხლა და სხვაგან შეეცადე.

მოკბეჩილი ნიკაპი აუტოკდა კნაპეს. ცალი ლოყის თავი აუთამაშდა და გულმოსული მისჩერებოდა უფროსს. ენაზე კბილის დაჭერა საქმის წახდენად მიიჩნინა:

— ბრმა-ყრუობა ხომ არ არის! ესე ქურდულად ვის გაუგია მოხსნა. ან პროფტავშირებს არ ეკითხებით, ან ხალხსა?!

— ყველგან შეთანხმებულია! — მტკიცედ უთხრა.

სინამდვილეში არც არავის შესთანხმებია და არც ბრძანება დაუწერია. მელიასავით ფრთხილი და მოქნილია კნაპეს უფროსი. კაცნი ვართო... ჯერ დააჯერებს, რომ გათავისუფლებულია. თუ ამბავმა უმტკივნეულოდ ჩაიარა, ბრძანებასაც მერე გააფორმებს და პროფტავშირებსაც მერე შეუთანხმებს. ეს ხერხი სხვა დროსაც უმარჯვია დიმიტრის და საწადელისათვისაც იოლად მიუღწევია.

— მერე მე არ უნდა მცოდნოდა?! — იწყინა კიდეც კნაპემ და გაიკვირვა კიდეც.

— ეხლა ხომ იცი!

— ძალიან აჩქარებულხართ, დიმიტრი სოლომონოვიჩ, სხვა არა იყოს რა, სიყრმის მეგობრები ვიყავით. შენ თვითონ მოგინათლოვარ ძმაკაცად. ერთ კარდალაში გვიტამია პური... ერთი ცეცხლისთვის მიგვიშვერია გული.

— მეგობრობა სამსახურის გარეთ... აქ სიმართლე და პრინციპულობა მთავარი... სხვაგან გიშოვი ადგილს...

— აქედან მაგდებ და სხვაგან შეიწუხებ თავსა?! — ცივმა ღიმილმა გადაპკრა კნაპეს.

— რა ვუყოთ, მოვალე ვარ!..

— მეც მოვალე ვარ!..

— რისი?!

— ვთქვა...

— რა უნდა თქვა ისეთი?! — თვალი ამოკიჟა დიმიტრით.

— ბევრი რამ!..

— მაინც?!

— ალგას ვიტყვი!

— პირში მითხარი, თუ ვაქცე ხარ!

— არც აქ მოგერიდები და არც მოქცა!

— არა, რა გიტრიალებს გულში?

— რაღა არა! რომლით გინდა ავუშალო თავი სათქმელსა?! შენი თვალის გაუმძაღრობით დაგიწყო, თუ გულსა?!

— ცერც ერთს დაადასტურებ და ვერც შეორეს.

— უარესებს დაგიმტკიცებ!..

უფროსი დაიღრიჯა და ამრეხით შეხედა.

— ყველას რომ თავი დავანებოთ, შენს მოსასპობად ისიც კმარა, მთავრობასაც რომ ატყუებ და ხალხსაც...

— რაზე?! — ხმა შეეებზარა დიმიტრის.

— მეორე კურსიდან გამოგდებული ხარ და ყველა საბუთში უსირცხვილოდ წერ: დამთავრებული მაქვსო. მაგ აფერისტობით ჩაგიგდია ხელში ამხელათანამდებობა და ამდენ ხალხს ღლეტავ!

— დიპლომს მოგაფარებთ თვალეზში შენცა და შენს დამჯერსაც! — უღონოდ წამოიძახა.

— დიპლომი სად გაოხრია, სამაგიერო ცნობის იმედი გაქვს. სწორედ ეგ მოგიღებს ბოლოს. ხომ არ გგონია, მხოლოდ თქვენ ორმა იცით?!

— ვინ მოგახსენა?! — ხმა ჩაუქრა.

— შენ თვითონ. დაგავიწყდა, რომ წამოროშე?! ცოლმ არ დაგაყენა, არა?! შენ რომ არ წამოგეყრანტალებინა, ისედაც ბევრისგან გამოიგონია. ისევ იმათგან, ძმაკაცებად რომ გაჩვენებენ თავსა.

— ოხ, შენი!.. — მაგიდაზე მუშტი დააბრახუნა.

— დამშვიდებით მელაპარაკე, თუ მართალი ხარ... იქნებ ისიც იღუმალებით მოცული გგონია, რაც გულის გამხარებელთან ჩაგიდენია. ხომ არ დაგავიწყდათ, ნაირ-ნაირებს რომ მატანდით და თქვენს კურიერადაც მაქციეთ! იქნებ აღუა ბავშვი გეგონეთ, რომ ვერ მივმხვდარიყავი. იცოდე, მაგ ამბავსაც ქვეყანას მოვდებ! პირველ რიგში შენს ცოლს მივახარებ, ისედაც ეჭვითა დნება. ერთი თქმაც საკმარისია, ცხვირი-



დან რომ ძმარი გადენინოს... ჩემს უსამართლო მოხსნას ძვირად დაგისვამ! ჩემი ფეხით მივალ, სადაც თეთრისა და შავის გარჩევა ევალდებათ. სხვა უადამიანობასთან ერთად მაგვებსაც კისერზე წაგაკეცავ და იქნება, სამსახური კი არა, წითელი ბილეთის შენარჩუნებაც გენატრებოდეს. შენივე კბილით თუ არ გავლევინო შენი ხორცი, კნაპე მოკვდეს! — გულმოჯერებით ლაპარაკობდა კნაპე და შუბლზე ოფლს იწმენდა.

— ოხ, რა მოწამლული ენა გაქვს! — კბილები დააკრატუნა დიმიტრიმ.

— გემწარა?! მოწამვლა მერე ნახე! უფროსი ცდილობდა აღელვება დაეფარა. ყურის ბიბილოები გაუყვითლდა და ნაძალადევი სიმხნევით მიმართა:

— ტყუილად მიედ-მოედები ღობე-ყორესა.

— მტყუანი ვინც იქნება, იქ გამოჩნდება, სანეკერე კი მარჯვედ გინახავს, მაგრამ ნახტომი რომ ვერ მოგიზომია?! დამაცადე, მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა კაცის გამეტება! — მიძახა ვაზარზებულმა და კარი გამოიჯახუნა.

დაჟრიდებელი ლანძღვა-გინებით ეშვებოდა კიბეებზე.

ბურნუთა გიო შემოეყარა და კრეჭით მიესალმა.

კნაპემ ხმა არ გასცა.

— გამარჯობა-მეთქი! სალამსაც აღარ კადრულობ?! — სახეზე გესლოანი დიმილი დაიმჩნია ბურნუთა გიომ.

— გამარჯვებული შენა და შენი უფროსი ხართ.

— რაო, კნაპე, რას გვემწყრალები?! — ვითომ არ იცი! — სახე დაეღრიჯა.

— ეგ არაფერი! ეგ ძველი და სხვა ახალი. უკეთეს მანქანაზე დაჯდები.

კნაპემ პასუხის ღირსად არ ჩათვალა ბურნუთა გიო. გაცეცხლებული თვალეებით გვერდულად გადმოხედა და ბიჯი ჩამოღდა კიბეზე.

— მოიცა, კნაპე.

კნაპემ ხელი ჩაიქნია.

— გითხრა უფროსმა? — თან ჩამოჰყვა ბურნუთა გიო.

— რა უნდა ეთქვა?! — ისევ გაჯავრებით მიუგო.

— მე მომაჩეჩა შენი მანქანა... კნაპემ ვიწრო თვალით ახედ-
ბურნუთა გიოს და:

— შენა გსვამს ჩემს მანქანაზე?! ბურნუთა გიომ ყსილად შეიკრა შუბლი და თავი დააქნია.

— შენ იმაზე დიდი უნამუსო ყოფილხარ! — ნერვიულობით აუცახცახდა ის დამოკლებული ტუჩები.

— კნაპე, არ შეიყობას თავი დაანებე, თორემ უნამუსობას გაჩვენებ! — დამტქრა.

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! — მტქართვებ უპასუხა.

— ყურებზე ხანვსაც დაგაჭრი და ნორსაც!

— აჰა! — ცერა და სალოკი თითებით რკალი გააკეთა და პირთან მიუმარჯვა.

— მე გეუბნები: გასაღები ჩამაბარემეთქი, — თვალეები დაისისხლიანა ბურნუთა გიომ.

— მანამდე პურს ნუ შეჭამ ნურც შენა და ნურც შენი უფროსი! — განახვერებული კბილები გამეტებით გაუკრატუნა და გამოსწია.

— ჰაი, თუ შენი ხელით არ ამოგატანო შენი მანქანის გასაღები, ბურნუთა გიო აღარ მერქვას! — თან მკერდზე ხელი დაიბაგუნა.

— ბურნუთა გიო კი გერქმევდა, მაგრამ კაცს ვინ დაგიძახებს! — ააძახა კიბეებზე ბრახა-ბრუხით ამაველს.

ეზოში ჩამოვიდა.

ბიჭები გარს შემოეხვივნენ. მიუხვდნენ. უთანაგრძნეს. შუბლი შეიკრეს. თქმას დაელოდნენ. კნაპეს კი დანა პირს არ უხსნიდა. ისევ ხუმრობით შეეცადნენ დარდის გაქარვებას.

— რაო, კნაპე, ტუჩები დაგიკოცნა?! — მოგიბოდიშა?! — თუ ნამდვილად გაგიმეტა?! — მართლა ჭოჭია?! —

— მართლა მოგუხსნივარ, გაიხარონ თებშაყურამ და ბურნუთა გიომ! — მიწას დაშტერებოდა კნაპე.

გიორგი სოგუაშვილი
რეჟისორი და მხატვარი

— ნწუ, ნწუ, ნწუ! — იცოდებდნენ ბიჭები.

— რა ვიცი, ხაბარდა მოსეს ერთ კვირას ჰქონდა გატაცებული მანქანა რუსეთში. მიღეწ-მოღეწილი ჩამოიტანა. იმას ბუზი ვერ აუფრინეს და...

— იმან იცის გაჩუმების წამალი. — აგრძელებდნენ საუბარს.

— ეჰ! — ხელი ჩაიქნია კნაპემ.

— რა გეგონა, კნაპე, საფულეს რომ კატა დააკალი...

— თანაც რომ ტრაბახობდი: ჩემი სიყრმის დროინდელი მეგობარიო და არხეინად დანავარდობდი! — ნიშნის მოგებით გაუხსენებდნენ ენაულაგამო შოფრები.

— წვიდეს მაგისი!.. არც მეგობარი სცოდნია და არც ნათესავი. ღვიძლი ბიძაშვილი არ დაინდო და მე თავზე ხელს გადამისვამდა?!

— ნუ გეშინია, კნაპე, ჩვენ აქა ვართ! მუშაობაც რომ ავიკრძალოს, ოჯახს არ დაგიჩაგრაო!

— თითო დღის ნაშოვნი ფული შენი ჭირის სანაცვლო იყოს! — გულსა უნედლებდნენ მეგობრები.

— მადლობა, ბიჭებო, მაგრამ რად უნდა დავიჩაგრო, რისი გულისათვის?!

— ეგეთები ბევრი ხდება, კნაპე.

— მიიხედ-მოიხედე, ქვეყანა სარკეა!

— გული არ გაიტეხოს!

— დარდს არ შეეჭმევიო! — არიგებდნენ.

— სულერთია, არ შევარჩენ! დედას ვუტირებ, ისე უნდა გავუხადო საქმე, სულ ცხვირში იცემდეს! — იქადნიდა კნაპე.

უფროსი კი თავჩაღუნული იჯდა და საგონებელში ჩავარდნილიყო.

მღივან-მემანქანე შემოწკაპუნდა.

— დიმიტრი სოლომონოვიჩ!

უფროსმა დაზარებით ასწია თავი.

— გიო თხოულობს შემოსვლას.

— ვინ გიო?! — არ ესიამოვნა.

— ბურნუთა გიო.

— უთხარი: ვერ არ სცალიან, მოხსენებით ბარათს სწერს-თქო.

ეს ის ბურნუთა გიოა, წელან რამ კნაპეს შემოეყარა კიბეებზე. დიმიტრის მრევლშია გარეული. ნაშოფრალი ახალგაზრდაა. თავის დროზე მარჯვე მძღოლად ითვლებოდა, სასმელის დაღვევაც ემარჯვებოდა და სწორედ დაღვევის მოუხდა მარცხი. საქმე საციხედ ჰქონდა, მაგრამ დატრიალდა და იმდენს ეცადა, თავი დაიხსნა. ორი წლით ჩამოქვეითება აკმარეს. საჭესთან ჯდომა აუკრძალეს. შემკეთებლად მუშაობის ნება დართეს. ამ მოვალეობას იმავე გარაჟში ასრულებდა. სასჯელი უთავდებოდა და გამგელებით მიიწვედა საჭის-კენ. უფროსთან მალე გამონახა საერთო ენა და დღე-დღეზე ელოდებოდა მანქანის ხელში ჩაგდებას.

კნაპეს „შამილა“ ამოეღოთ ნიშანში. გიომ კარგა ხანს ითმინა გარეთ. მერე კი დაუკითხავად შეუღო კარი.

— გამარჯობა, დიმიტრი სოლომონოვიჩ! — თამამად გაუწოდა ხელი.

— გიოს გაუმარჯოს! — სახე მოიმხიარულა დიმიტრიმ.

ერთურთი მოიკითხეს.

— გენომ მითხრა, დიმიტრი სოლომონოვიჩს მიაკითხო და გეახელით.

გენო მხოლოდ მახლობელი კი არ არის დიმიტრისა, დიდი მესაიდუმლეცაა. იმ საქმეში, რომელსაც დიმიტრი ნომერ პირველს უწოდებს, ამხელა საწარმოში მარტო მას ენდობა. „გენო ისეთი კაცური კაცია, მის თვალწინ რომ ადამიანი მოკლა, კრინტს არსად დასძრავსო“, იტყვის ხოლმე ბატონი დიმიტრი.

— გენომ გითხრა?! — თვალეზი მოივიწროვა.

— ჰო! — გაკვირვებით მიაშტერდა.

— კი, ბატონო, რით გემსახუროთ? — ისეთი კილოთი და ენის ბორძიკით თქვა, გიომაც შეატყო, რომ არ ესიამოვნა უფროსს.

— წუხელის ხომ გნახა გენომ? — დაეჭვებით შეეკითხა.

უფროსმა უხალისოდ დაუქნია თავი.

— ხომ გადმოგცათ? — კვლავ იკითხა გულის დასაჯერებლად.

დიმიტრიმ თავი დააცანცარა.

— ხომ ამდენი იყო? — მიახედა უფროსი და ცალი ხელის ხუთივე თითი გაუშალა.

დიმიტრი აიღეწა, ნიშანდობლივი კითხვები არ ესიაშვინა და სიტყვის ბანზე აგდება სცადა.

— მესამეც შეგეძინა, არა?

— კი.

— მესამეც ბიჭი დაურტყი, ძველო? — ცივი ღიმილი გადაივლო.

— მესამეც ბიჭი, დიმიტრი სოლომონოვიჩი! — კმაყოფილებით მიუგო.

— გაგრძელება იქნება ხომ?!

— რა თქმა უნდა, სამ ბიჭს სამი დაც უნდა! — გიოს უხაროდა, რომ საოჯახო ამბებზე ჩამოუგდო საუბარი. ეს ხომ იმას ნიშნავდა, უფროსი მასთან გაშინაურებული იყო და „კარგი თვალით“ უყურებდა.

— ყოჩად, ნამდვილი ქართველი ყოფილხარ. ასე უნდა, აბა, მა რა!

— იმათთვის ვიკლავ თავსა, თორემ... უფროსმა ხმა არ გასცა.

— დიმიტრი სოლომონოვიჩი? — ისევ გიომ განაგრძო გაწყვეტილი საუბარი.

— ბატონო!

— ის შობელძალი რა თავნება ვინმე ყოფილა!

— ვინ?!

— ყბადღღლეზილი კნაპე.

დიმიტრიმ უსიამოდ ამოკიჟა თვალი.

— მანქანის გასაღებს არ იძლევა... განა დაინახავს შენს სიკეთეს, რომ ციხეს გადაარჩინე... აქეთ იმუქრება. ეზლახან შემომხვდა კიბეებზე. მე ადამიანურად ვუთხარი, გასაღები მომეცი-მეთქი, იმან კი ხულიგანივით დამიწყო ლანძღვა-გინება. მე მლანძღავდა, მლანძღავდა, თქვენ რაღას გადმოგწვდათ, მრცხვენნიან, ვერ გამიმეორებია, რაც იმან ამყარებული პირითა თქვა... მიკვირს, ჩემი მოფურტუნული ნერვების პატრონმა როგორ მოვითმინე. ნამუსზე ხელი როგორ ავიდო. მამის ტოლი კაცია, თავი როგორ გავუყადრო, თორემ კაი მოუყუვა არგებს.

— ნუ ღელავ, გიო!

— როგორ თუ ნუ ვღელავ! გაიგო,

რომ მოხსნილია!? თქვენი ბრძანება არის, რომ მანქანა გადმომაბაროს, რაღას მიუშვერია თავი ქვისათვის! მიუშვერია ანურად ველაპარაკები, ის კი გინებაზე გადავიდა და მუშტებზე იყურება, ნეტა, რაიმეს თავი ჰქონდეს მაინცა. თქვენმა ხათრმა და პატივისცემამ გამაჩერა. თორემა... — კბილები გააკრახუნა ბურნუთა გიომ.

დიმიტრის ეკლებივით ესობოდა გიოს სიტყვები. ასე დაასკვნიდა: ბურნუთა გიო კნაპეს კი არა, თვით დიმიტრის ლანძღავდა, რადგან მის საქმის მოგვარებაში ის, უფროსი იყო პასუხისმგებელი. მზად იყო, პანლურით გაეგდო კაბინეტიდან. მაგრამ ხმამაღალ სიტყვასაც ვერ ეტყოდა, იმიტომ ითმენდა, რომ გიო მოურთიდალი ახალგაზრდაა. ერთი პირლითა ვინმეა. უარით რომ გამოისტუმროს, ქვეყანას შეჰყრის. რაც სათქმელია და არ არის სათქმელი, ყველაფერს დაროშავს. ამიტომ საქირა თავი შეიკავოს და ტუბილი სიტყვით მოუფხანოს გული. დაიმედებული და დამშვიდებული მოიშოროს.

— ნუ ჩქარობ, გიო! ახალგაზრდა კაცი ხარ, მაგრამ სიმშვიდე გმართებს, სანერვიულო არაფერი გაქვს. ყველაფერი რიგზე იქნება. ერთი-ორი დღე ვაცადოთ კნაპეს, გული დაიშოშმინოს, საგზურს რომ არ მიიღებს, რას იზამს?! თავისით ხომ არ გავა გარაჟიდან, შენ გული დაიარხეინე. ისე გავუხზი საქმეს, რომ თავისი ხელით მოიტანოს გასაღები.

— რა ვიცი, დაუგდია განი და იმუქრება: თუ ხვალვე არ ჩავიდე, სადაც საქირაო, კნაპე აღარ მერქვასო.

დიმიტრის ახლაც გადაჰკრა ფერფურმა, მაგრამ ღიმილი არ მოიშალა.

— საცა უნდა იხტუნოს, ვერაფერს გახდება!

— რა ვიცი, ისე კი არ დავრჩე და...

— ნუ გეშინია, მე რომ ვიტყვი, წყალი არ გაუვა. გველის ხვრელში გავძვრები და მაინც პირს არ გადავაღ!

გიორგი სოკოვაშვილი

რეჟისორი და მხანგრძობელი არაკი

— სხვა მანქანაზეც ხომ არ ფიქრობთ? — დაეჭვებით ჩაეძია.

— არა, ვნახოთ... შენთვის სულ ერთი არ არის?!

— ეგ მირჩევნია, დიმიტრი სოლომონოვიჩი, ჯერ ახალია. მოვლილიც კარგად არის.

— მაგას ამჯობინებ და ავისრულებ წადილს. სხვა რაღა შეგპირდე, ჩემს სკამზე ხომ არ დაგსვამ? — წამოდგა, მხარზე ხელი დაარტყა და გაუცინა.

— მაშუ წავედი, დიმიტრი სოლომონოვიჩი, იმედი მაქვს!

— კი, გენაცვალე, კი, შენი ჭირიმე! უმჯველად, როგორც დილაზე უთუოდ უნდა ამოვიდეს მზე, ისე შენც უთუმცაოდ დაჯდები მანქანაზე! — დარწმუნებით უთხრა, კვლავ გაუცინა, კარებამდე მიაცილა. მიკეცა. მობრუნდა. კვლავ ჩამოეყრდნო მაგიდას. თავი გადაარბ-გადმოარბია ფიქრიანად. ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა. „ოხ, როგორ მივჭარქო!“ — ჩურჩულით თქვა. წამოდგა, ფანჯრიდან გადაიხედა. მზერა შეაჩერა შეჯავუებულ ბიჭებისაკენ. კნაპეც დალანდა. კნაპეს განი დაეგდო და ხელების ქნევით ელაპარაკებოდა იქ მყოფებს, რომლებიც მოუტირებლად ხარხარებდნენ. ეტყობოდა: წელანდელი დარდი უკვე გადაეყარა გულიდან და ისევ ქილოკობის ხასიათზე იყო. ალბათ, გამარჯვების იმედი ჰქონდა, თორემ რა ექილიკებოდა.

დიმიტრი შებრუნდა და ნერვიულად გაიარ-გამოიარა ნოხებიან კაბინეტში.

ხუთიოდე წუთის მერე როხროხა ვალერიანი აივანზე გადმოდგა და ამოიბუხუნა:

— კნაპე!
კნაპემ მიიხედა.

ვალერიანმა სალოკი თითი მოიკაუჭა და ისე ანიშნა, აქ მოდიო.

კნაპე მიხვდა, ვინც გასარჯა ვალერიანი. თავი დაიფასა. აინუნშიაც არ ჩააგდო და ამხანაგებთან საუბარი განაგრძო. უფრო გახალისდა და ხელების შლას უშატა.

ვალერიანი კი ისევ აივნიდან იტყებოდა:

— მოახედეთ ეგ ღმერთგამწყობი! კნაპე მოახედეს.

— აქ მოდი! — შემოტევით გადმოსძახა.

— მე-ე-ე-ეე! — ყასიდად გაიკვირვა.
— ჰოო, შენს მეტს ვისა ჰქვია კნაპე!

კნაპემ მოსაუბრებთან მოიბოდიშა და წავიდა.

ვალერიანმა რაღაცა წასჩურჩულა და უფროსის კაბინეტში შეიყვანა.

ათიოდე წუთის შემდეგ კნაპე დაბლა ჩამოვიდა. შეკბეჩილი ყბა კიდევ უფრო ებრუწებოდა სიცილით.

— რა გიხარის, კნაპე?

— თქვენი კარგად ყოფნა, ბიჭებო!

— არა, არა, რაღაც ამბავია!

კნაპე იცინოდა.

— ჰა, დროზე თქვი. სული ნუ დაგვალევენე.

— დედა ვუტირე. ვერ ავალოკინე თავისი დაფურთხებული?

— დააჩოქე?

— ისევ აღვადგინა, კნაპე?

— თავში ქვას კი არ იცემდა?

— კნაპე, რა მულამი იცი ისეთი, რომ შენს დაკრულზე ათამაშებ?

— ეგ ჩვენში დარჩება! — იცინის კნაპე. სიცილი მხოლოდ ცალ ლოყაზე ეტყობა.

— არა, მაინც?

— მე ჩემი სიმართლე ყველგანა მშველის! — ტუჩებს წრუბავს კნაპე. ძეწკვიან გასაღებს თითზე ითამაშებს და თავის „შამილასკენ“ იჩქარის.

— მალარიჩი, კნაპე, მალარიჩი! — მისძახიან მძლოლები.

— მალარიჩისაც თავად უფროსს ვაკისრებინებ! — იცინის კნაპე და „შამილას“ ეფერება. მკლავებდაკარწახებული სველი ტილოთი უვლის გარშემო.

2. პლატონს ვახლავართ!

ამ პატარა ქალაქში ყველაზე ადრე ავტოგარაჟი ახმინდებდა. ჯერ ცისკარი არ გამქარალა ქათქათა ცაზე, ჯერ „დი-

ლამშვიდობისა“ არ გადმოუძახია რად-
იოს, რომ აქ ერთურთს ედილამშვიდო-
ბებიან კიდეც და საქმის განრიგება-გა-
მწესებაც იწყება. საქმიანობის სათავე
სადისპეტჩეროა. აქ მოუსვლელად
ვერც ერთი მძლოლი ვერ გადადამს
ნაბიჯს. იმიტომაც მიეჩქარებათ აქეთ-
კენ. მოეშურებიან და მორიგე დისპეტ-
ჩერიც დახვდებათ. ვინ მოასწრებს
თვალფხიზელ ტანიას — დილაუთენია
პირველად იმან უნდა შემოარჩიოს მო-
ქნეული ტანი დაწესებულებაში. ჯერ
მძლოლები ძილის ბურანიდან არ გამო-
სულან, ტანია უკვე მაგიდასთან გამო-
კვანწულა სამუშაოდ. წინ უწყევია სქე-
ლი სარეგისტრაციო წიგნი, შესაგებები
საგზურები და მიწვენილი ასოებით ავ-
სებს ქართულ-რუსულ კითხვარებს.

მძლოლები ურიგოდ და უკითხავად
შედიან სადისპეტჩეროში, ფიცრის
ზღუდეს გადაეყრდნობიან და ვინც
იციის და არ იციის რუსული, ყველა ასე
მიმართავს:

„დობრი უტრო, ტანია!“

ზოგი „დარაგაიას“ წაუძღვარებს,
ზოგი „ტანიჩკათი“ დაითავლავს ენას.

ტანია კი ქართულად პასუხობს: „დი-
ლა მშვიდობისა!“

საუბრითაც ქართულად საუბრობს
უმეტესად. არც უჭირს, მხოლოდ აქ-
ცენტზე იმჩნევს რუსულის იერს. ანდა,
რად უნდა ბორძიკობდეს, აქ დაბადე-
ბული და გაზრდილია.

— როგორ გიკითხოთ, ტანიჩკა?! —
ღიმილით მიმართავენ და ხარბი მზე-
რით შეუთვალეიერებენ პუტყუნა, ფე-
რიან ლოყებს, ხალიან, შეფაფუკებულ
ყელს, მოშიშვლებულ, მოკრიალებულ
მხარ-მკლავებს და სავსე, ღია უბისაკენ
გაურბით თვალი.

საქმეში გაძეძავებული ტანია თავს
არ სწევს მალა, ხმის ფერით იცნობს
თვითეთულ მძლოლს. ზოგს სულაც არ
ჩასთვლის პასუხის ღირსად, ბევრს თა-
ვის დარჩევით პასუხობს, რიგს კი გაა-
ხარებს:

— კარგად, ძვირფასო, შენ როგორ? —
და მუშაობას განაგრძობს. მოჩქარე-

ბით წერს და სავსე მკერდზე უქაჩა-
რებს გულამოლებული, სიფრიფანა
კაბა.

— დღეს ვისთან ვარ გამწესებული?
— კითხულობს ერთი მძლოლთაგანი.

— ვისთანაც შენ გინდოდა, — თავ-
საც ასწევს და ღიმილსაც გადაივლებს
ისედაც მცინარე სახეზე.

— ძვირფასი ხარ! — ტამის გაშლი-
თა და ჰაერში გარხვეით მიაყოლებს
და გამობრუნდება. თავის ანდამატთან
კლიენტს დაუწყებს ლოდინს.

— მე საით? — ხარისხს გადაეყუდე-
ბა სახეგინგლიანი მძლოლი, რომელსაც
არასაიმედო ავტომანქანის გამო წინას-
წარ შეთანხმებული კლიენტი არა
ჰყავს.

— შენ ჯანდაბაში! — ისეთი კილოთი
უპასუხებს, „გენაცვალეს“ სჯობია.

— შენთან ერთად... არა, მართლა გე-
კითხები.

— სკოლა-ინტერნატში, — თავაუწე-
ვლად პასუხობს ტანია.

— ისევ ნახშირი უნდა ვზიდო! —
ხმას აუწევს.

— ხომ იცი, რომ მეტის ღირსი არა
ხარო. არც შენ და არც შენი მანქანა.
— თან ღიმილს მიაყოლებს, რომ საწ-
ყენად არ დარჩეს.

— როდის გავხდები ღირსი, მშვენი-
ერო?!

— როდინობის კვირაში... — და გამ-
ზადებულ საგზურს აწვდის.

ზოგჯერ ხუთი-ექვსი ერთად გადაეყ-
რდნობა ფიცრის ხარისხს და ერთბაშად
კითხულობენ თავ-თავის მიმართულე-
ბასა თუ რეისს.

— სათითაოდ მობრძანდით, რამდენ-
ჯერ უნდა გაგაფრთხილოთ!

მძლოლები თავისას არ იშლიან.

ეგ კიდეც არაფერი: ყველა მომლო-
დინე იმ თოხანში ხორხორობს და ერთი
აურზაური უდგიათ.

კედლებზე თუნუქის ფირფიტები ჰკი-
დია. ფირფიტებზე თეთრი, ღიდი ას-

გიორგი ხორგუაშვილი

რუსილისა და ჰინანხვილას არაბი



ოგბით აწერია: „დაინცავით სისუფთავე!“, „გთხოვთ სიწყნარეს!“, „ნუ მოსწევთ!“. მაგრამ საქმეში ხართ! ყურს ვინ უგდებს! გამეტებით ექაჩებიან პაპიროსს და შოფრულად, მოჭრიდებლად ლაზლანდარობენ. ვინ იცის, რაღას არა რომავენ და რა ლაქიან-დაღიანი სიტყვებით არ ამკობენ ერთმანეთს. ზოგჯერ დაავიწყდებათ, რომ თთახში ქალი უზით და უხეში გინებით კიდევ მეტად იმყრალებენ ხაშისაგან ისედაც ამყრალებულ პირს.

— მხეცები, ნადირები! — თავისთვის ილანძღება ტანია.

მაგრამ ლაპარაკის აზარტში შესული მძლოლების ყურამდე ვერ აღწევს ტანიას წყრომა და კვლავ დაურიდებლად ისვრიან ჭუჭყიან სიტყვებს.

— ეე, მუტრუკ, მიიხედ-მოიხედუე, სადა ხარ! ქალია. პატარა ზრდილობა იქონიე! — თავს გამოიდებს ერთი მძლოლი მაინცა.

— ვაჰ! ეს ვინ ლაპარაკობს? როდის აქეთ ისწავლე ზრდილობის „აზუტკა“! — უმალ მიახლიან ბუსუსიან სიტყვებს გულზე.

— შენ რომ გინების კურსებს გადიოდი, ეგ მაშინ „ჰოე-ჰოე“ გრიშას შეგირდი იყო! — ვითომდა, გამოექომბება მეორე შოფერი დაწყნარების მომწოდებელს და თან ირიბ ღიმილს იმრავლებს.

— აბრუ-წუწუ, დიას! პაპათქვენსაც პირიდან ვარდი ამოსდიოდა და „მშვიდობით ბრძანდებოდეთი“ ჩავიდა საფლავში, აი! — წამოაყრანტალებს მესამე.

და ასე გაავრძელებენ.

ძლივს ჩაცხრება ყაყან-ზუზუნი.

მძლოლების ვარდა კლიენტებიც ბევრნი ირევიან სადისპეტჩეროში.

— ტანიჩკას სიტაცხლე! — წინ წამოდგება სქელ-სქელი, წვერგაუპარსავი კაცი, რაიმერწვეკომბინატის მომმარაგებელი.

— მადლობა, დურმიშხანი! — ახედავს კიდევ ტანია.

— როგორაა საქმე?! —

— როგორც შენ გაგეხარდებო!

— რომელს მიძლეე?

— ახალ „ვაზიკს“.

— ოქრო ხარ! — და მძლოლს დაეძებს.

შოფერიც უმალ გაჩნდება კლიენტთან.

— სალამი, ტანიჩკა! — რიხიანად დაიძახებს შავ-შავი, ქოჩორაბურძგნილი ახალგაზრდა — ღვინის ქარხნის ექსპედიტორი.

— როგორა მყავს შენი თავი, დუშკა!

— დიდებულად!

— ჩემი საქმე როგორღა!

— ჩინებულად.

— ვასიკოს მანქანაა?

— ჰო.

— ბაჯაღლო ხარ! — და გამობრუნდება.

ვასიკოც ხალისით ხვდება ძველისძველ კლიენტს.

მერე აგურის ქარხნის მომმარაგებელი წარუდგება, შემდეგ კირის საამქროსი, საგზაო საამუშენებლო უბნის წარმომადგენელი, რაიკოპაკეშორის ექსპედიტორი. ყველა თამამად და ხალისით გამოელაპარაკება და თავის მდგომარეობას კითხულობს. ტანიაც არავის უშვებს გულნაკლულს. ისიც გახარებულა, რომ საქმე კარგად ეწყობა. მძლოლებიც კმაყოფილნი არიან განრიგითა და კლიენტებიც. უფროსწორად, ესენი წინასწარ უთანხმდებიან ერთმანეთს და ტანიაც ისე მოარგებს საქმეს, როგორც მათ ზელს აძლევთ. ანდა რა უფლება აქვს აურდაურიოს, როცა უფროსის მითითება ასეა.

სადისპეტჩეროში შემოდის მაღალ-მაღალი, ფერმკრთალი, გამხდარი კაცი. ამ პაპანაქება ივლისში კოსტუმს მიინცვერ შელევია. უყელსახვეოდ გასვლაც სირცხვილად მიუჩნევია, გაქათქათებულ, საყელოაქერცილილ პერანგზე დაწინწკლული ყელსახვევი მოუტრგია და დაკეცილ-დაუთოვებული ცხვირსახოცით მალ-მალე იმშრალებს ოფლიან.

ყარყარა ყელს. მოწიწებით შემოად-
გამს ფეხსა. დაჩვრეტელ შლაპას მოიხ-
დის და თავს დაუტრავს იქ მყოფთ.

დამხედურები ყურადღებას არც კი
აქცევენ. ორიოდ მძლოლი თუ უპა-
სუხებს სალამზე, ისიც უხმოდ, თავის
დაქნევითა.

ესეც კლიენტია. მუსიკალური სკო-
ლის დირექტორის მოადგილე, დიდიც
და პატარაც ბატონ პლატონს რომ უხ-
მობს.

ბატონ პლატონსაც დისპეტჩერთან
მისვლა სწადია, მაგრამ სხვაზე წინ
როგორ წარდგება. თავის თავს როგორ
აკადრებს ამას, ანდა ვინ სთავაზობს?
მიდიან მძლოლები თუ კლიენტები, წინ
გაუელიან, ზოგი მიესალმება, ზოგი არც
მიხედავს, ყველა თავის საქმეს იწინა-
ურებს — ტანისკენ მიიწევენ.

— მიბრძანდით, ბატონო! — ყველას
გზას უთმობს ბატონი პლატონი.

უბოდიშო მძლოლები კვლავ ესწრაფ-
ვიან დისპეტჩერისაკენ. ზოგს იდაყვი
მოუხვდება, ზოგი ტალახიან ფეხს დაა-
ბიჯებს გაპრიალებულ ფეხსაცმელ-
ზე. ბატონ პლატონს უსიამოვნება
გაპკრავს გულზე, სახეზე კი ნაძალადევ
ღიმილს დაიმჩნევს და პირიქით ებოდი-
შება. მძლოლები კი „არაფერსაც“ არ
ეუბნებიან, გულდაგულ მიიწევენ წინ.

ბატონი პლატონი კი მოთმინებით
იციდის და ყასიდადაც არავინ უთმობს
გზასა.

— მიუშვით კაცი! — გამოჩნდება
ვიღაც ღვთისნიერი.

მძლოლები ყურს არ იბერტყავენ.

— კაცი რომ ხმას არ იღებს, თქვენი
თქვენი ნამუსი არ უნდა გქონდეთ?!
— ხმას აუწევს პლატონის გულშემა-
ტკივარი, — მიუშვით, რალა, როდემდე
უნდა ვაძლიოთ გზა!

— არა უჭირს, მიბრძანდნენ! — გა-
უბედავად ამბობს პლატონი.

— ვააპ, ბატონო პლატონ, ეს თქვენი
ბრძანდებით?! — გაკვირვებით მიხე-
დავენ, თითქოს ესლა შეემჩნიოთ პირ-
ველად, და გზას უთმობენ. სხვებიც მი-
იწევი-მოიწევიან.

ბატონი პლატონი თავდაკვრით დღე/
მადლობება ყველას და წინ წადგება/
ხარისხს გადაეყრდნობა, იმ დაჩვრე-
ტილ ქუდს კვლავ მოიხდის, მელოტ
თავს მოწიწებით დაუტრავს და რბილი,
ზრდილობიანი ხმით მიესალმება:

— დობრი უტრო, ტანია სერგეევნა!
ტანია ხმაზე იცნობს მიმსალმებელს,
თავს ასწევს:

— დილა მშვიდობისა, ბატონო პლა-
ტონ!

— როგორ გიკითხოთ, ტანია სერგეე-
ვნა?!

— გმადლობთ, ბატონო პლატონ,
თქვენი როგორ ბრძანდებით?

ტანიას მოკითხვა-გამოსაუბრების
დრო არა აქვს, მაგრამ ნამუსი არ
უჭრის, რომ უყურადღებოდ მიატოვოს
ხნიერი ინტელიგენტი.

— დიდი მადლობა, ტანია სერგეე-
ვნა!

— რას გვიბრძანებთ, ბატონო პლა-
ტონ!

— თბილისიდან ინსტრუმენტი მაქვს
მოსატანი, აი, თქვენი თვალთ ნახეთ!
— მოკრძალებით მიმართავს და თან
აწვდის დეპეშას, რომელიც იტყობინე-
ბა პიანინოს მალე წაღებაზე, თორემ
სხვას გადასცემენ.

— უმაგისოდაც დაგიჯერებთ, ბატო-
ნო პლატონ. დღეს გნებავთ მანქანა,
ხომ?

— დიას, ქალბატონო.

— სიამოვნებით. ვანაცხადი ზომ
არის?

— როგორ არა. ოთხი დღეც იქნება,
ჩემი ხელით მოვიტანე.

ტანია განაწილებული მანქანების
სიას ჩახედავს.

— მოგვიცია, ბატონო პლატონ, ისე
რას დაგტოვებდით.

— მართლა! — სიხარულით ლოყის
თავი აუთახთახდება და ხელვებს ისრე-
სავს.

— კი. „გრკ, 93-13“.

პლატონი გახსნის გადაქერცილ პორტველს, სათვალეს შეისწორებს და ქალაღზე ინიშნავს მანქანის ნომერს.

— ავტომძღოლი ვინ ბრძანდება?

— ბრძანდება კი არა, გლია... — შეუსწორებს ერთი ბოხხმიანი მძღოლი.

— მაგის შოფერი „აწუწუნა“. — მიაშველებს მეორე.

პლატონი კვლავ მოიმარჯვებს საწერს, მაგრამ ზედმეტი სახელის ჩაწერა ეუხერხულება და თითებს შუა ათამაშებს ფანქარს. ტანია მიუხვდება და მიაშველებს:

— დილიმაშვილი მიშა.

პლატონი ხელის კანკალით იწერს. ტანიას დაემადლობება, გამობრუნდება და მძღოლის საქებნელად აცეცებს თვალებს.

— ყმაწვილებო, სად იქნება პლატონი მიხეილი?

— აწუწუნე?

— დიახ! — უხერხულობს.

— აწუწუნემ გაგასწროთ, ბატონო პლატონ! — პასუხობს თვითონ აწუწუნე.

— მართლა! რასა ბრძანებთ! — შეუხვდება.

— სატყუილე რა მაქვს. დილას ადრე გავიდა გარაჟიდან.

— ეს როგორ, ტანია სერგეევნა?! — მხრებს იჩეჩავს ბატონი პლატონი.

ტანია წამოდგება. ამდენ შოფრებში როგორც იქნა, თვალს ჰკიდებს აწუწუნეს და წყრომით მიმართავს:

— მამაძღოლობას თავი დაანებე!

— ვმასხრობ, ტანიჩკა.

— ემასხრება ამ ჰადარას? — მოხედავს პლატონს, რომელსაც სულაც არა აქვს თმა.

— არა უშავს. ასხაღზრდებს მხიარულობა და მასხრობა სჩვევიათ! — ცხვირზე ოფლს ასხამს ბატონ პლატონს.

ბიჭებს ეცინებათ. ტანიაც უხერხულად კუმავს ტუჩებს.

— მობრძანდით, ბატონო მიხეილ,

საგზური გააფორმეთ! — მოკრძალებით სთხოვს ბატონი პლატონი.

— სად გინდა წამათრიცხვით მრუშება მძღოლი.

— თბილისში, ბატონო მიხეილ, ერთადერთი პიანინო გვაქვს მოსატანი!

— სალოკი თითთაც აჩვენებს ერთიანს, რომ საქმე იოლად წარმოუდგინოს.

— თბილისში! — გაიკვირვებს.

— დიახ, ბატონო მიხეილ!

— არა, ძია პლატონ, ძალიან დიდი ხათრი მაქვს შენი, მაგრამ თბილისში ვერ წამოგყვები!

— რატომ?! — ფერ-ფერი გადაჰკრავს.

— ჩემი მანქანა სათბილისე არ არის, ჯიგარო!

— ჰე-ჰე! — ნაძალადევედ ჩაეცინება, — როგორ გყვარებია მასხრობა!

— სამასხროდ არა მაქვს საქმე, ძია პლატონ, ორივე ხელში აგური უნდა მქონდეს დათითოვებული და თავში უნდა ვირტყამდე!

— ნწუ-ნწუ! რადა, ბატონო მიხეილ?! — შეწუხებულის იერს მიიღებს პლატონი.

— რადა და, ჩემი მანქანა ისეა დანგრეული, გზა და გზა ნაწილები სცვივა. იგოეთამდე ვერ ავრახრახებულვარ და ეგ თბილისში გაიგზავნება?

მძღოლები მორიდებით ფხუკუნებენ და თვალს უკრავენ ერთმანეთს.

პლატონი კი შუბლშეკრული დგას და მისადაგებელი სიტყვა ვერ მოუძებნია.

აწუწუნე დარწმუნების კილოთი განაგრძობს:

— კარგიი... შენ მანქანა არ იცი, ძია პლატონ, ჩვენს საქმეში ჩაუხედავი კაცი ხარ. ვინც მე სათბილისედ მამწესებს, იმას რა ჰკუაში მოსდის!

პლატონი რწმუნდება, რომ მძღოლი ცამდე მართალია, მობოდიშებას აპირებს, მაგრამ სათქმელს ტუჩებზე შეუყინავს ტანიას წამოძახილი:

— უჰკუოები და სულელებიც გამოგყევართ, ჰა! — თან მწყურალად შეხედავს აწუწუნეს.

— სულელები არა, მაგრამ ჩემი მანქანა რომ არ გამოადგება ძია პლატონს, ეს ხომ უნდა იცოდეთ!

— მე ვიცი, რომ შენნაირი გამართული მანქანა გარაჟში არავის აქვს! — დაბეჯითებით ეუბნება ტანია. იმასაც მტკიცედ ეტყვის, რომ აუცილებლად უნდა წაყვეს პლატონს.

მაგრამ აწუწუნე შეაგდებს ქვას და შეუშვერს თავსა. გინდა დღესვე მომხსენით, თბილისში ვერ წავალ პიანინოს მოსატანადო. იცის, რომ ტანია მაგის მომხსნელი არ არის, უფროსი კი სამაგისოდ არ გაწირავს და იმიტომაც დგას მაგარზე.

— რა გვეშველება, ტანია სერგეევნა?! — გაბზარული ხმით მიმართავს ბატონი პლატონი.

— აწუწუნეს შემყურეს საშველი არ გვექნება. სხვას გამოგაყოლებ. — ამედებს და განაწილებული მანქანების სიას ჩაუყვება. ახალ მანქანას ეძებს, რომ საბაბი არა ჰქონდეს.

— მარტიაშვილს დამიძახეთ! — ბრძანებს ტანია.

— კარლო! — გასძახებენ მძღოლები. ტანიას მალე წარუდგება სახეაქტრცილი, ქერა ახალგაზრდა.

— რას გვიბრძანებ, ტანიჩკა!

— ამ კაცს ხომ იცნობ, — კალმისტარს იშვერს პლატონისაკენ.

— როგორ არა. ძაან კაი კაციც არის, მაგრამ დაკავებული ვარ, დუშკა!

— ვინ დაგაკავა?

— ელიზბარმა. — ელიზბარი საკონსერვო ქარხნის ექსპედიტორია. — განაწილებაშიც მაგასთან გიწერივარ.

ტანია კვლავ ჩაავლებს თვალს განაწილების სიას.

— მართალი ხარ, მაგრამ ახალი მანქანა გაქვს. თბილისში გამოდგება. ელიზბარს აწუწუნესას ვახმარებ.

— არა, ტანიჩკა, არ გამოვა... მეც კაცი ვარ, ისიც კაცია... სიტყვა მივეცი, როგორ გავუტეხო!

— ხოხობო! დამიხედეთ კაცურ კაც-

სა...ჯერ სიტყვა არასოდეს გავიტყვია, შენმა თავის გახეთქამა!

— გამიტყვია. მაგრამ არა ამის მერე ნამუსით უნდა ვიცხოვრო!

— ჰო, კარგი, მე დამაბრალო!

— მაშ, ვის უნდა დაბრალებს, მაგრამ ჩემი მაშინა თბილისში არ წაისვლება. მუხრუჭები არ მიჭერენ.

ვერც კარლოს დასწერა პირჯვარი.

მერე გივი კოტიაშვილი იხმო. იმანაც გზები დახლართა და საამშენებლო უბნის ათისთავს გაჰყვა.

დაბრუნდაშვილი მიხაკოს იმედი ჰქონდა, იმანაც ღვინის ქარხნის ექსპედიტორთან მუშაობა არჩია.

ვისაც ხელი დაადო, ყველამ იუარა პლატონის გაყოლა.

— თქვენ დაწყდით ერთ დღეს! — ბრაზობს ტანია.

ის შეხორხორავებული მძღოლები თანდათან შეთხელდებიან. აქეთ-იქით წავლენ. რამდენიმეღა უცდის საგზურს.

— რა ვქნათ, ტანია სერგეევნა?!

— ბოღმამორეული პლატონი ნერვიულად ათამაშებს ხელში დევეშას.

— მოითმინეთ, ბატონო პლატონ, ვნახავთ რასმეს! — და დანარჩენ მძღოლებს ათვალეერებს.

მძღოლები თავს იმაღავენ. „ყველას ჯანდაბისაკენ მიაქვს პირი!“ — გულში ამბობს ტანია.

უცებ თვალს შეავლებს კნაპეს, რომელიც კუთხისაკენ მიმდგარა და კლიენტის მოლოდინში კოლეგებს ესაუბრება.

— კნაპე! — დაუძახებს დისპეტჩერი.

— ბატონო!

— წინ წამოდექი!

კნაპე მიხვდება, რაზედაც ეპატიება ტანია. დაზარებით წამოიწვეს წინ:

— რას გვიბრძანებთ!

— საგზური მიიღე, ხომ? — და ეშმაკურად მოწყურავს თვალებს.

— დიახ. მზადა ვარ. კოლიას ვუცდო.

გიორგი ხორგუაშვილი

რეჟისორი და მხატვარი არაკი

კოლია საბჭოთა მეურნეობის მომზადებად.

— რომ შეგიცვალოთ?! — ქათქათა კბილებს გამოიჩინეს და შეღებულ წამწამებს დააპარპალებს ტანია.

— ძლივს ველირსე ხეირიან კლიენტსა და... — უნებურად გაეცინება კნაპეს.

— არა უშავს-რა, მერე უფრო ხშირად გაღირსებთ მაგნაირებს.

— მანდ მინდოდა. საღამოთი სიღედრს გაუფელიდი... — მოკრძალებით უმხელს საბაბს.

— უსიღედროდ ვერა სძლებ? — კვლავ უღიმის ტანია.

— როგორ არა. მაგრამ მიმელიან კიდევ. ჩემს კნენისაც; ელოდებიან. მინდა თან წავიყოლო.

ტანიას სჯერა, რომ გულწრფელად ელაპარაკება კნაპე. მეტს ვედარ უბედავს და სინანულით იტყვის:

— მე მეგონა, ბატონ პლატონს გაგაყოლებდი თბილისში.

კნაპეს მკრთალი ღიმილი გადაუვლის სახეზე და განგან არხვევს თავსა. ეტყობა, რაღაცა აზრს უტრიალებს.

ბატონი პლატონი გაფართოებული, მავედრებელი თვალებით შესცქერის კნაპეს.

— ბატონო გრიგოლ, იქნებ შელეოდით კოლიასაც და სიღედრსაც; ჰა! — კნაპე თვალბოვნიერებით აათვალჩაათვალღებებს პლატონს:

— ხვალ წამოგყვები.

— გვიან იქნება, ბატონო გრიგოლ, ინსტრუმენტი მეკარგება! — მიუგებს პლატონი და თან დეპეშას შლის, რომ ნათქვამი გაამაგროს. — მეგობრულად გთხოვთ, გამომყევი!

კნაპე ღრმად ამოისუნთქავს, დაფიქრდება და გასახარებელ სიტყვას ეტყვის:

— ბატონი ბრძანდებით!

პლატონი სიხარულით აცმუკდება და გულზე ხელისდადებით მოახსენებს დიდ მადლობას.

ტანიასაც გულში ნათელი ჩაადგება და ხალისით წამოიძახებს:

— აი კაცი! მომეცი საგზური! — ხელსაც გაუშვებს.

კნაპე უკან უბრუნებს შევესებულ სგზურს. ტანია ხელდახელ გამოუწვივს ახალს.

ბენზინსაც მალე ჩაისხამს კნაპე და თბილისის გზას გაუდგება.

გალურჯებულ შარაგზაზე მერანივით მიაქროლებს თავის საყვარელ „შამილას“. გვერდით უზის ბატონი პლატონი, რომელსაც გამხდარ სახეზე ღიმილი გადასდის. კაბინის ფანჯარა გაულია, მოიდაყვებული ხელი გარეთ გადაუყვია, გრილი ჰაერი სცემს მოტიტვლებულ თავზე და თხელ ყელსახვევს უფრიალებს.

მიჰქრიან და მეგობრულად მისაუბრობენ.

კნაპეს თვალები გზას გაჰყურებს. ყურები პლატონისკენ მიუჰყრია. სწორი გზაა და სიჩქარეს უმატებს. პლატონს, ცოტა არ იყოს, ტანში სცრის და მალ-მალე შეახსენებს:

— ფრთხილად, ბატონო გრიგოლ, სიჩქარეს არ გადაამეტო!

— ნუ გეშინიან, ბატონო პლატონ, ხამად ხომ არა ვარ, ამ გზაზე ვებრდები.

პლატონი ხმას აღარ სცემს. ფიქრი ისევ საღისებუტჩეროსკენ გაქცევა. ის თავნება შოფრები წარმოუდგებიან:

— რა უწესო შოფრები გყავთ! — გააგონებს კნაპეს.

— რაზე ამბობ, ბატონო პლატონ?

— უფროსების სიტყვას არ დაგიდევენ, როგორც მოეპრიანებათ, ისე დადიან. ხომ ნახე, როგორ დამიხლართეს გზები. ასეთი კულტურული დაწესებულების წარმომადგენელი ვეხვეწები და, ბოდიში მომიტხოვია, ძალდაც არ მაგდებენ. მაგათი შვილები მაინც არ სწავლობდნენ ჩვენთან.

— ეჰ, მაგას ვინდა კითხულობს, ჩემო პლატონ, ვისგანაც რაიმეს გამოელიან, იმიტყენ მიიწევენ. თქვენში რა ხეირს ნახავენ?

— მერე, ეს რას გავს. უფროსმა არ იცის?

— კარგი, ბატონო პლატონ, მეტს ნულარ მკითხავ!

პლატონიც ენას დაიდუმებს და ფიქრი მონენსლება.

ზურგიდან მანქანის სიგნალი ესმით. ვილაცა დასწევიათ. გზას თხოულობს. კნაპე გვერდით გაეკვრება გზას.

აი წამოეწია მომყოლი. შეუპირისპირდა კიდეც „შამილას“. წამოწეული მანქანის მძღოლი მარცხენა ხელს გადმოჰყოფს ღია ფანჯრიდან და გამეტებით ყვირის:

— პლატონს ვახლავართ! — თან ლაში გაუჭიშია და გრძელი კბილები გადმოუყრია სიცილში.

პლატონი ყურებს აცეცებს, სათვალეს ისწორებს და კნაპეს ეკითხება:

— ეს დილიმაშვილი მიხეილი არა ბრძანდება?

— კი, აწუწუნეა, აგერ ნომერიც: „გრც. 93-13“.

— აკი თბილისში არ წაისვლება ჩემი მანქანაო?!

— შენ ის დაანახვე, ჩვენ რომ ვიცით და თუნდა მყინვარწვერზე ავა.

— უსინდისო! — ამითლა მოიოხებს გულს პლატონი.

კნაპე გვერდულად მიხედავს პლატონს და ძლივსშესამჩნევლად ეღიმება.

ნაწყენი პლატონი კი თავს აცანცაურებს:

— დამაცადოს, დავბრუნდე ჯერა!

— ჰმ! რას უზამ!

— უფროსს ვეტყვი. ცალკე კი არა, ხალხში.

— ნწუ, ნწუ, ნწუ, სირცხვილისაგან დაიწვება, აი! — თავს იქნევს კნაპე.

— თუ კაცია და ნამუსი აქვს, უნდა დაიწვას სირცხვილისაგან. თუ მხეცია და...

— ეეჰ, ძია პლატონ, ჯერ კიდევ ვერ გაგვიჩვევია, კაცი ვინ არის, მხეცი ვინა და, როდის უნდა მოვეწიოთ წუთისოფელსა...

— დამაცადოს, დავბრუნდე ჯერა! — კვლავ იქანდის ბატონი პლატონი.

კნაპე ხმას აღარ გასცემს. შუბლს შეიკრავს და ფიქრი გაიტაცებს. საჭე კი არ ავიწყდება.

წინ მიჰქრის აწუწუნეს მანქანა და

ყუთებში ჩალაგებულ ცარიელ ბოთლებს მიაჩნება. მძღოლს გვერდით უზის რესტორან „სალხინოს“ მებუფეტე და გამეტებით იქაჰება აწუწუნეს ქილიკობაზე.

კნაპეც უმატებს სიჩქარეს. უნდა, დაეწიოს, გაასწროს და გამოაჯავროს, მაგრამ პლატონს ფერ-ფერი მისდი-მოსდის და ეხვეწება:

— ფრთხილად, ბატონო გრიგოლ, დიდი მოძრაობაა!

კნაპეც იჯერებს. ბატონ პლატონსაც იცოდებს და თავის „შამილასაც“.

3. ოჯლის კვირი

„რა მილეთის შოფრებს აღარ გადაყვივარ, მაგრამ კნაპესნაირი თავგადამცვლარი არსად შემხვედრიაო.“

„პაპამ იმსგავსა იმ ცხონებულმა, პაპამ.“

„ჰო, იმას კამეჩების ლოლიაობაში სძვრებოდა სული და კნაპეს მანქანის ფერაობაში.“

„სიყრმის შვილივით დაჰგურგურებს თავის ბეხრეკა „შამილასაო.“ — იტყოდნენ ხოლმე მძღოლები.

„ეგ მკუმვეს პურსა და რას გიკვირთ?!“ — არ მალავდა კნაპე.

მართლაც, ერთთავად ზედ დამარბარებს თავის „შამილას“. სხვასავით ლაფშესხმულს ვერ ნახავთ. ტვირთს უღმერთოდ არ წამოჰკიდებს. დაუსტვინე ლალეს დარად შლევგანივით არ დაარახნახებს. ოღრო-ჩოღროზე სიარულს ერიდება. ორმოს თუ გვერდი არ აექცევა, ისე ტაატით გაატარებს, თითქოს ჭიანჭველის გასარესას ერიდებო, ძარაც რიგზე აქვს მოწყობილ-გაკობტავებული, კამინაც წასაბაძად აქვს მოვლილი, ოსი კიმასავით კი არ გაუტურტლიანებია, შიგ რომ არ ჩაიჭდომება. კნაპეს მანქანაში ჩაბრძანება მოსწყურდება კაცს. არც ზედმეტი ხარახურით აქვს გადატვირთული. ზოგის ფანჯრის მინებზე შიშველ ქალთა სურათების კოლექ-

ვიორბი ნორგუაშვილი

რუხილისა და პიანხველას არაბი



ცია წამოიკრიბება. კნაპეს კი მხოლოდ სტალინის სურათი გაუქრავს, ჩიბუხს რომ ცეცხლს უკიდებს, ისა.

„შამილას“ საჭეს თუ სხვა გაეკარა, სიკვდილივით ეხარება. ენაულაგამო მძლოლები თვით კნაპესაც გააგონებენ ხოლმე:

„რა გახდა ეს ყბაჩურა ვირიშვილი. ეჭვიანი ქმარი რომ ცოლს არავის ანდობს, ისე იქცევა. თითქოს მანქანის მოვლის ყადრი მაგის მეტმა არავინ იცოდესო.“

ამხელა გარაჟში, ბარე, სამასამდე მძლოლი დაითვლება და კნაპე მხოლოდ მალალ ნიკალს ენდობა. ნიკალა კნაპეზე უაღრესად დაჰკანკალებს მანქანას, კნაპე როცა შვეებულებში გასვლას დააირებს, მაშინვე ამ სათადარიგო შოფერს გამოუწვევს ყელსა: „შენი ჭირიმი, ჩემი მანქანა შენ ჩაიბარეო. თუ მაღალი ნიკალა დაიკვლანჭება, ან რაიმე მიზეზის გამო ვერ მოუხებრხდება, კნაპე რაინეს აატკივებს „შამილას“ და სულაც გააჩერებს, ხოლო თუ ავადმყოფობა აეყმენდება საწოლთან, მანქანის დარდი უფრო ღრღნის, ვიდრე თავისი.

ხომ ასე შვილივით უვლის, მაგრამ მაინც დაუბერდა „შამილა“. ღროს თავისი გააქვს. კვენისას მოუხშირებს. კნაპე მაშინვე მიუხვდება. უეჭიმებს. ზოგჯერ გასჭრის მისი მკურნალობა. ბევრჯერ ვერ შველის, ნაწილების გამოცვლას. მოითხოვს. თუ „ბიჭებში“ იშოვია, ხომ კარგი, თუ არა და, საწყობის გამგეს მიადგება:

- ბარბაცა გექნება!
- ბევრი რამ გვაქვს, მაგრამ ხომ იცი, წესი როგორც არის!
- ვიცი. გაგება მინდოდა.
- გამოიწერე, ჭირიმი!
- ვის მივაკითხო?
- უფროს მექანიკოსს.
- დიდი მადლობა! — წამოვია.
- პრივეტ, გიგლო! — უფროს მექანიკოსს შეუღებს კარებს.
- პრივეტ, კნაპე — თავს ასწევს,
- რა გნებავს?

— ბარბაცა.
— ნაწილებს მე აღარ ვუწოდებ, მათავარ ინჟინერთან!

იმასაც დაემადლობება და ხალისით გამოვია.

- სალამი, ვასილიჩ!
- კნაპეს გაუმარჯოს! — ღიმილს დაახვედრებს უფროსი ინჟინერი.
- ხშირად კი გაწუხებ, მაგრამ...
- რაზე გარჯილხარ?
- უთქვენოდ არ მაძლევენ ბარბაცას.

— მეც რომ ვერ მოგცემ უუფროსოდ?!

— ერთი პატარა ნაწილის მიღებისათვის რა საჭიროა ამდენი კიბის ავლა?! რომ კანონიერად არ მეკუთვნოდეს, სხვა ამბავია! — ცივ ღიმილს გადაივლებს კნაპე. ინჟინერი მხრების აჩეჩით ახვედრებს: ეგრეა და რა გიყოო.

კნაპე მოპრუწულ ტუჩს იბრეცს.

— შეიძლება, უფროსო? — ჯერ შედის და მერე კითხულობს.

უფროსს ტელეფონის ყურმილი მიუხუტებია ყვრიმალზე და მხიარულად ლაპარაკობს:

„ჰა-ჰა-ჰა. რასა ბრძანებთ, ვარლამ გერონტიჩ, როგორ გეკადრებათ?! თუ მაგდენი აღარ შემიძლიან, რალად ვზივარ ამ სკამზე?! მით უმეტეს, თქვენი მახლობელი ყოფილა... ეგვეც არ იყოს, თქვენ დამავალოთ და მე არ გავაკეთო?! რომელიც ნებავს, ის აირჩიოს: ტაქსი, ავტობუსი თუ სატვირთო... დღესვე გამოგზავნე... არა. ბარათი არ გინდა... რატომ უნდა შეწუხდეთ... თქვენი სახელით მოვიდეს და მოვიღებ... კი ბატონო, კი შენი ჭირიმი!“

კნაპე ხვდება, რომ უფროსი ელაპარაკება რაიონის პროკურორს. „ვარლამ გერონტიჩის“ მას უხმობენ. ღიმიტრი დებს ყურმილს. ალმაცერად გამოხედავს კნაპეს. თავს ღუნავს. უკმაყოფილოდ აწინაწინებს მოკლე წამწამებს. ეტყობა, მისი მისვლა არ ეჭაწინიკება.

— შეიძლება? — კიდევ კითხულობს მაგიდამდე მიღწეული კნაპე.

— ოჰ, შენა ხარ?! მობრძანდი! — ნაძალადევედ მომხიარულდება დამხველური.

— გამარჯობათ! — თავს უკრავს კნაპე.

— გაუმარჯოს! — ფეხზე წამოდგება და ხელსაც გაუწოდებს. — დაბრძანდი! — იღიმება. გულთბილობას მოაჩვენებს. კნაპე ზეზე დგომით ამჯობინებს თქმას.

— როგორ გიკითხო, კნაპე! — დასწრებს.

— ვართ, რა? თქვენ როგორ ბრძანდებით?

— რა მიშავს.

კნაპე ჰერს მისჩერებია. თქმა უჭირს. სათხოვნელზე ენა უკან ეწევა.

— რაზე შეწუხებულხარ, კნაპე?! — მკირე ხნის დუმილს დაარღვევს დიმიტრი.

— ბარბაცა მინდოდა!

— ბარბაცა?! — რომ არ გვაქვს, ჩემო კნაპე?! — სინანულით დააბოლავენებს.

— არა გაქვთ?! — გაკვირვებით მიშტერდება კნაპე.

— არა, თორემ დიდი სიამოვნებით! — ისევ იჩენს თეთრ კბილებს.

— გექნებათ! — დაჟინებით მიშტერებია.

— არა, ძმობას გეფიცები! რომ მქონდეს, რა ოხრად მინდა. შენზე კაი კაცს ვის უნდა გავუმართო ხელი!

— გაქვთ, დიმიტრი სოლომონოვიჩ!! — დარწმუნებით მიმართავს.

— შენ რა იცი?! — წამოწითლდება.

— პირდაპირ საწყობიდან მოვდივარ. უფროსი აიღეწება, მაგრამ სიბრაზეს იოკებს და თავის გამართლებას ცდილობს:

— შეიძლება. ალბათ, დღეს მოიტანეს და ჯერ ჩემთვის არ უცნობებიათ...

— ენა წაუბოროძიკდება.

— მომკემ, ხომ?! — მისჩერებია კნაპე.

— კი, შენი ჭირიმე, მაგრამ ყველას თავისი წესი აქვს. წადი, ჩემს სახელზე დაწერე განცხადება. ოღონდაც დაასა-

ბუთე, რომ აუცილებლად გპირდები, ჯერ საწყობის გამგეს წააწერიე ნამდვილად არის. მერე უფროს შექმნი კოსს, რომ მიზანშეწონილად ცნობს, შემდეგ მთავარ ინჟინერს, რომ თანახმაა. ბოლოს ჩემთან მოიტანე და იმწამსვე დაგიღებ რეზოლუციას. როგორ, მაგის ხალხი ვართ, შინაური და გარეული არ ვიცოდეთ?!.. შენ რომ არ გაწყეინო, ცოტა ოხრები დადიან?! — თან მხარზე ხელს უთათუნებს და კისერმოდრეცით უცინის.

— ამდენი კაცის თანხმობა და დასტური რად უნდა?! — მხრებს იჩეჩს კნაპე.

— საჭიროა, ჩემო კარგო. ეგ კეთილსინდისიერებისა და საქმისადმი პასუხისმგებლობის დამადასტურებელია. ეგეც არ იყოს, ათასი მჩხრეკავი და კირკიტა დაწაწალებს. რად უნდა დავაეჭვიანოთ? მოიკითხავს და თვალგზებზე ავაფარებთ.

კნაპე მოკლე ტუჩს იბრეცავს.

— ეგრე, ჩემო კნაპე! გულნაკლულს არ გაგიშვებ. შენთვის გაუჩინარს ვავაჩენ. აი ხომ ხედავ, დღევანდელი მოტანილია. ჯერ შემოსავალში არც კი აგვიღია და შენ უკვე გაძლევ ბარბაცას! — დამუნათების კილოთი ეტყვის.

— დიდი, დიდი მადლობა! — ირიბად გაიღიმებს და გასასვლელად იჩქარის.

— არაფერს, ჩემო კნაპე! — კარგბამდე მიაცილებს დიმიტრი. მიკეტავს და ტელეფონისკენ გაქანდება. საწყობში რეკავს. გამგეს ცეცხლს უნთებს, უხერხულ მდგომარეობაში რატომ მაცენებო. რაც გაოხრია, უჩემოდ რად ატყობინებ ვიღაც ოხერ შოფრებსო. ეს უკანასკნელი იყოსო. საეკლოდ თუ ასეთი თავხედობა გაბედე, ჭიტლაცს ამოგკრავ და ისე გაგაგდებო.

მანამდე სასურველ ნაწილს წაიღებდეს, თითქმის ნახევარი დღე შემოადნება კნაპეს.

გიორგი სოლომონოვი

წაშლილსა და შინახველას არაბი

სადისპექტროსთან კლიენტი უცდის, წაცნობი კაცი, საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, ბატონი იულონი. ამდენი ლოდინით გული გადაღვია, ნერვები ღალატობს. ილღიაში გადაქერცლილი პორტფელი ამოუჩრია, გახუნებულ შლაპას მალმალე ისწორებს, ბოლოსცემას უმატებს და გაბრაზებით იფურთხება. გულში გინებასა და ბუტბუტს აღარ სჯერდება და პირში ზრახვას უბედავს:

— რას შვრები, შე ოჯახაშენებულო, უხლა აკეთებ მანქანას?!

— როგორც ჩანს, ეგრეა! — ყელში ჩაკლული ბოლმით პასუხობს კნაპე.

— პირველი საათი ხდება! გაბრაზებით ამოატრიალებს მარცხენა მჯახს და თვალბისკენ უმარჯვენს კნაპეს.

— რა გიყო, ბიძაჩემო, დროს ხომ ვერ შევჩერებ!

— დროზე მოაგვარე, ამხანაგო! — საყვედურით ჟღენთავს სიტყვებს.

— ამათ ხელში სიკვდილსაც არ ეღირსება კაცი დროზე! — ხელს იშვერს ეზოში მიმომსვლელ უფროსებზე. თითქოს მშვიდად პასუხობს განერვიულებულ იულონს, მაგრამ გულში ცეცხლი უნთია.

— რაღა ეს ვაბახანა მანქანა მარგუხე, შე კაი კაცი! — თავზე წამომღვარ უფროსს შესჩივის ბოლმამორეული იულონი.

— შენი საყვარელი შოფერი ეგ არის და...

— შოფერი კი საყვარელია, მაგრამ მანქანა?!

— რა გემართება, კნაპე, რა გაგიხდა ერთი ნაწილის დაყენება! — ყასილად უწყრება დიმიტრი.

— ბრმა რასა ჩიოდა და თავის ორთავ თვალსაო. მეც მანდა ვარ! რა გაგიხდათ ერთი უბრალო ნაწილის მოცემა! — წყრომითვე პასუხობს და მკლავებს იკარწყახებს ნაწილის გამოსაცვლელად.

— რატო გუშინ არ მომკითხე ბარბაცა?! — კვლავ იულონის თვალის ასახვევად უწყრება დიმიტრი.

— არ ვიცოდი, უფროსო, თუ გატეხილი იყო. დილას შევნიშნე... ვარკვენილი

— უნდა გცოდნოდა. მამ რის მოფერარი ხარ! — და გაშორდება.

— ეჰ, ნეტავ რაც ვიცი, ისიც არ ვიცოდე! — ამოიხვნეშებს მანქანის ქვეშ გულამა მომუშავე კნაპე.

„ეჰ, მირჩევიან ისევ ჩემი ოხერი ჯიბით ვიყიდი!“ — იტყვის ხოლმე კნაპე და ისეც იქცევა. პატარა ნაწილი რამ გაუფუჭდება, დაიგინება, უფროსების კაბინეტში ფეხს აღარ შეგაკარებო, მაგრამ, როცა ძვირადღირებული ნაწილია, ანდა ძნელად საშოვნელი, რას იზამს, ისევ იმათ კარს უნდა მიადგეს! უფროსთან ღრეჯა სიკვდილივით ეზარება. მაინც გასწევს, მეტი რა ჩარაა. მიდის და ფეხქვეშ დედამიწა ენგრევა.

პირდაპირ კარისკენ დაემიზნება.

მდივანი ქალი შეაჩერებს. უფროსს მოახსენებს: კნაპეს თქვენი ნახვა სურსო.

— კნაპეს?! — დაიღრიჯება, — არა მკალიან. სამინისტროში ვარ გამომძიებელი, მასალებს ვამზადებ, დღეს ვერ მიგიღებს-თქო.

კნაპე ცივად გამობრუნდება.

სხვა დროს მაინც მოახერხებს შესვლას.

რიზიანად მიესალმება.

დიმიტრიც დიმილს დაახვედრებს. შინაურულად გაესაუბრება. ოჯახსაც მოიკითხავს, მერე კი თვითონვე დაასწრებს:

— რამე ნაწილი გენდომება!

— რა კარგი უფროსი ხარ! როგორ მიმიხვდი? — იცინის კნაპე და ჩაკერილი ყბა ეჭიმიება.

— რა გატეხე, კნაპე?!

— გატეხით არაფერი გამიტეხია, მაგრამ საბურავები დამიცვდა და ველარ დავდივარ.

— ან აქამდე როგორ ვაგიძლო! — „შინაურულად“ საყვედურობს.

— ფითომ რაზე მეუბნები?!

— უმეტესად შენს საქმეზე დაარბენენ ჩვენს მანქანას.

— ლმერთი, რჯული! — ხელებს შლის კნაპე.

— გაოკვირვე, თორემ ჯერ გოსტობიდან წიფლის შეშა არ მოგიტანიხარ! იმ კანებზე რომ უღმერთოდ დატვირთულ მანქანას ჩამოახოხებ, რა საბურავები გაგიძლევს.

— ეე, დიმიტრი სოლომონოვიჩ, მე წელიწადში ერთხელ თუ წავალ ჩემს საქმეზე, თანაც თქვენი ნებართვით, იმას ქვეყანა გებულობს და სხვები რომ გარაჟშიც აღარ შემოდინან და საკუთარ მანქანებზე გადაუტყვევიათ, იმათი არაფერი ჩანს.

— ჩვენ ჩვენს თავს მოვუაროთ, კნაპე! — ისევ მშვიდად და ხალისიანად ელაპარაკება უფროსი.

— სხვისთვის არ მინდა, ჩემთვის გთხოვ საბურავებს! — კნაპეც ღიმილით მიუგებს.

— არა გვაქვს, თორემ დიდი სიამოვნებით!

— როგორ დავიჯერო, რომ ერთი წყვილი მაინც არ გქონდეს გადანახული!

— როცა არ არის, უნდა დაიჯერო! — იღიმება და მხრებს იფხორავს.

— ეეჰ, მე ვთქვი, გაუჩინარს გააჩენდი!

— არა მაქვს და ხომ ვერ დავხატავ, კნაპე! — თანაგრძნობით მიმართავს.

— თუკი სხვებისთვის ხატავ?! — შენ რომ ვერ გამიგებ, სხვა როგორ გავამტყუნო! — „მეგობრულად“ საყვედურობს დიმიტრი.

— გიგებ, დიმიტრი სოლომონოვიჩ, გიგებ... ორი წელიწადია ერთი საბურავი არ მოგიცია. ცოდო ვარ!

— ალბათ, მალე მივიღებ და პირველ რიგში შენ ჩავაყენებ.

— ნამდვილად?!

— არ გინდა მაგაზე ლაპარაკი! მე მაგის კაცი არა ვარ, გითხრა და არ შევასრულო.

კნაპე ვიწრო პირს დააღებს. რაღაცის თქმა უნდა. ალბათ იმისა, რომ სხვა

დროსაც შემპირებხარ, მაგრამ არ შეგისრულებიაო, მაგრამ დიმიტრი დაასრულებს:

— ასე, ჩემო კნაპე, შენი „შამილა“ მალე ჩაიკმევს ახალ ფეხსაცმელებს. თუ სხვა რამეც არ უფარვა, ბარემ ისიც გამოცევალოთ. შენი მანქანა ისე გამოვიკვანწო, რომ მთელი შოფრები დაგნატროდნენ. წადი ესლა, კლიენტი გიცდის! — კარებამდე ხელკავით მიაცილებს, — მოიკითხე თქვენები! — ხელსაც ჩამოართმევს. ერთს კიდევ გაუციანებს. შემობრუნდება, კარს მიკეტავს და თავისთვის იქადნის: — როცა შენ საბურავები მიიღო, სიდედრებში დაიტრახე!

კნაპე დაბლა ჩამოდის. უფროსის ქცევა-საუბრისაგან გათანგული ჯერ ვერ მიმხვდარა: ყსიდად შეჰპირდა, თუ ნამდვილად შეუსრულებს დანაპირებს. ჭოჭმანი უფრო „პოსკენ“ სძლევის. მე მკონი, მომცემს. რა ვიცი... სიცრუე კი მისი მოგონილია, მაგრამ იმდენს მეფიცა და მეღიმა, რომ უნდა დავიჯერო. მერგება კიდევ. რაღა ნამუსი გაუჭრის, რომ მშრალზე დამსვასო, ფიქრობს, მაგრამ მაინც ყოყმანობს... ექვი გაუძლიერდება. დავაცადოთ...

გაივლის ერთი კვირა, ორი, სამი... კნაპეს „შამილა“ ისევ ფეხშიშველაა. ხელმეორედ მიაკითხავს უფროსს, იმაზე უფრო ნაწყენი, რომ იმ შეპირების მერე სხვამ ბევრმა მიიღო საბურავები, კნაპეს კი თვალითაც არ დაანახეს. გაბრაზებული შეუღლებს კარებს. მაგრამ ჯერ ჭკვიანად თქმას ამჯობინებს. უფროსი კვლავ მხიარულად და გულთბილად შეხვდება. თვითონაც დაასწრებს. თავს გაიმართლებს. სულ ორი წყვილი მივიღე და გავანაწილეო. კნაპეს უბოდიშებს, ეხვეწება აპატიოს, გაუგოს, დამშვიდებულსა და დაიმედებულს გამოაცილებს. კნაპე დაიბნევა. აღარ იცის, როგორ მოიქცეს. რაღაცას ამოიღულულეებს და გაბრუებული დამშვიდო-

გიორგი ხოგუაშვილი
ახალიწლისა და მინაწილას არაპი

ბება. უფროსის ნათქვამს გადაიჭერებს და თავისთვის ბუტბუტებს:

„ამ ქლესა ვირიშვილმა როდემდის უნდა მატყუოს და მასულიეროს დაპირებებითა. თუ ვაჟკაცია, პირდაპირ მითხრას უარი, რაღა! მერე მეც ვეტყვი ჩემსას და გულს მაინც მოვიოხებ!“

დაბლა მძლოლები დახვდებიან.

— რაო, კნაპე?

— რამდენი წყვილი მოგცა?!

— ჩვენც გვიწილაღე! — ემასხრებიან.

— ჩემი თავი შენ გენაცვალოსო. რამდენიც გნებავს, იმდენი წაიღეო! — ნაღველნარევი ღიმილით პასუხობს კნაპე.

— ხა-ხა-ხა-ა-აა!

— ჰი-ჰი-ჰი-ი-ი-იი! — იცინიან მძლოლები.

— მე მაგის დედა ვატირე! რა თვალით მიცქერის. გველი შევუწვი თუ სახლი დავუწვი?!

— ვერა ხვდები, კნაპე?!

კნაპე დაფიქრებით შესცქერის.

— იმ დღეს რომ კრებაზე წამოდექი და მათრახები ატყლაშუნე, ვისა ხვდებოდა, თუ იცი?!

— ტყუილი რა ვთქვი. ხელის შეწყობა არ გვაქვს, ყურადღებას არ გვაქცევენ, ნაწილებით არ გვამარაგებენ-მეთქი. სხვა ხომ არაფერი წამომცდენია! თუ არა და, საერთოდ ვთქვი. მაგისი არც გვარი მიხსენებია და არც სახელი.

— საბოლოოდ იმას ხვდებოდა. დამსწრე რომ ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავდა, ჩვენს უფროსს გულზე ნემსებივით ესობოდა. ხომ არ გგონია, დაავიწყდა.

— ყოფას ვუტირებ, უარესს ვუხამ. ბევრი რამე ვიცი მაგაზე. პარტიულ კრებაზე ვიტყვი. საერთო კრებაზე დავთუთქავ!

აჲე ვიზამო, ისე ვიზამო! — იმუქრებოდა კნაპე.

— კაი, კნაპე, მაგის კაცი არა ხარ და ტყუილად რაზე იმდურებ!

— ყველაფრის კაცად გავხდინან. ორი

წელიწადია ერთი საბურავი არ გამოძიცვლია. ღმერთი აღარ არის?! — წყვეტება კნაპე და თავის მანქანისაკენ მიდის.

გული მოუვა. დაიმუქრება კიდევ: სულაც გავაჩერებ, მერე წავიდნენ და მდიონო. მაგრამ თვითონვე დაასკვნის: თუ გავაჩერე, ახლა ჩვენი უფროსი თავს მოიკლავსო! და იმის ფიქრს მიეცემა, როგორ უშველოს „შამილას“. სხვებიც ეტყვიან და თვითონაც კარგად იცის, როგორ უნდა მოიქცეს. გაძვრება-გამოძვრება, ფულსაც იმოვის და საბურავებსაც. გახარებულა. მანქანას ახალი საბურავები დაუყენა. სხვაგანაც აქებს თავის ნაშოვნს და ცოლ-შვილშიაც ტრაბახობს: დედას ვუტირებ, საოხროს სატილოზე დავადებ და ჩემს „შამილას“ მაინც არ გავაჩერებო.

ეს სიხარული დიდხანს არ გაჰყვება. ახლა სხვა მიზეზით დაიოჩნებს მანქანა. როდემდე უნდა ცვალოს ნაწილები. აღარ ვარგა, დაძველდა. თვითონ კი ფიქრობს მანქანის გამოცვლაზე, მაგრამ სხვა არავინ იწუხებს თავს. ვისაც კი ეხებოდა, ყველას შესჩვილა და შეეხვეწა. ყველა ერთსა და იგივე პასუხს იძლევა:

— გერგება, კნაპე, მაგრამ უუფროსოდ არაფერი გამოვა.

ისევე ღიმიტრის მიადგება.

— როგორა ხარ, კნაპე?! — ახლაც ფეხზე წამოუდგება ღიმიტრი.

— მე კი კარგად, მაგრამ...

— ბავშვები ხომ კარგად არიან?! — თითქოს შეცბუნდება.

— ბავშვებიც კარგად არიან, მაგრამ...

— მეუღლე?

— ცოლსაც არა უშავს-რა, მაგრამ...

— თქვი, კაცო!

— მანქანამ დაიოჩნა, უფროსო!

— ჰე-ჰე-ჰე-ჰე. მე მეგონა სერიოზული რამეა. ეგ არაფერი!

— ჩემთვის ძალიან სერიოზულია. პურს ეგ მაჭმევს!

— მერე, მერე, კნაპე!

— დიდი ხანია ყავლი გაუვიდა. ძალის ძალით ვამუშავებ. მაგის ნაწილების ყი-

დვას ვედარ აუდივარ. ერთი ახალი მანქანა მალირსეთ.

— ჯერ რომ არაფერი გვაქვს, ჩემო კნაპე.

— ხომ მოგივათ. ტაქსი და ავტობუსი ნუ იქნება. ვიცი, იმათზე ბევრ წელმაგარს უჭირავს თვალი. ისევ სატვირთო იყოს. თუ გინდა თვითმცლელი ან ცემენტის მზიდველი. ქათამი წყალს დაღვეს და ღმერთს შეხედავსო. ზოგმა უკვე ორჯერ გამოიცივლა მანქანა. მერა, გერი ხომ არა ვარ ამ დაწესებულებისა!

— როგორ გეკადრება, კნაპე, გამოცვალოთ. მაშ სულ ძველ მანქანაზე ხომ არ იჯდები. ჩვენი ნება არ არის?! აქვე დაწერე განცხადება და დამიტოვე!

— განცხადება ადვილია, მაგრამ...

— მოცემაც ადვილია. ეხლა კი დიდხანს აღარ დაგათბობირებ, რაც მიწყეინებია, სულ ერთბაშად უნდა გამოვისყიდო. ისევ ის გული მაქვს, ჩვენ რომ ერთმანეთს მეგობრობას ვეფიცებოდით.

კნაპეს ისე კმაყოფილებით ჩაეცინა, თითქოს უკვე ახალ მანქანაზე იჯდა.

— დაწერე, დაწერე!

კნაპემ იქვე დაუწერა სათხოვნელი.

— აბა, დიმიტრი სოლომონოვიჩ, დიდი იმედი მაქვს!

— უსიკვდილოდ! პირველ რიგში შენ მეყოლები მხედველობაში... მოიცა, უბის წიგნაკში ჩავიწერო! — და წითელი ასოებით ჩაამწკრივა: „კნაპე, ახალი მანქანა“.

კნაპე ცალი თვალით იჭყიტება უფროსის უბის წიგნაკში და ჩუმ-ჩუმად ეციუნება.

— ვნახოთ, შეიძლება ავტობუსზეც დაგსვათ! — აიმედებს დიმიტრი.

— შენი ჭირიმე, დიმიტრი სოლომონოვიჩ!

— კარგი, კნაპე, არ გინდა მაგდენი ზვეწნა. მე რომ ვიტყვი, გათაეებულოა.

— აბა, კარგად ბრძანდებოდე, დიმიტრი სოლომონოვიჩ!

— ბედნიერად, ჩემო კნაპე! — და დიმილით აცილებს.

კნაპემ ახლა კი ნამდვილად დაიჭე-

რა, ახალ მანქანას აუცილებლად მიიღებს. ძველზე გული აიყარა და ისევე აღარ ელოლიაგება, როგორც ადრე. რჯ-ასშიც წაიტარაბახა: ახალ ავტობუსზე ვჯდებიო. ერთი კარგი მაღარიჩიც უნდა მოვამზადოო. ნასვამს შოფრებშიც წამოცდა: მალე კეწეწა „ზილ“-ს ჩავიბარებო.

ახალი მანქანები მიღეს. ერთი წყება, მეორე, მესამე. ავტობუსებიც, ტაქსებიც, სატვირთო და თვითმცლულები უფრო მეტი. მაგრამ კნაპეს არც ერთი არ აღირსეს.

კნაპე გაბრაზდება. აღარ იცის, რა იღონოს. ყველაფერზე ხელს ჩაიქნევს. საბოლოოდ შესვლას დააპირებს უფროსთან. მანქანისათვის კი არა, გულის ბუხრის ამოსაყრელად. არ დაერიდება. დამთუთქავ და დამცეცხლავ სიტყვებს მიახლის. დაემუქრება. ფერს აცვლევიანებს. მუქარას აუხდენს. ამ განზრახვით მიადგება უფროსის კარს გაეცეცხლებული კნაპე.

— მოითმინეთ! — წინ გადაეღობება მდივან-მემანქანე.

— დიდი ხანია ვითმენ. მოთმინების ფილა ამევსო! — მკვანედ მიახლის და კარს შეაჯახუნებს.

უფროსი უცებ წამოვარდება. მზად არის, კინწისკვრით გააგდოს ვიღაც ოხერი, ასე მხეცივით რომ შემოუჯახუნა კარი. მაგისტვის წამოხტება ძირს დახეთქებული ზამბარასავით, მაგრამ რაკი კნაპეს შეიციანობს, უმალ შეიცვლის სიფათს. წინ წაუდგება, იმ გრძელი მაგიდის ბოლოს შეეგებება. სასალმოდ გაუწოდებს ხელს და „მეგობრული“ ტონით საყვედურობს:

— რა იყო, კნაპე, რაზე გვინგრევ ბანსა და კარსა?!

— გინგრევ კი არა... — უცებ ამოთქმა და ბოდმის ამონთხევა გაუჭირდა. შეეყოვნდა. სათქმელი დაეფანტა, დაბნეულ სიტყვებს დაუწყო მოკრება.

მანამდე კი დიმიტრიმ მოუფონა:

— უთუოდ ვიღაცამ ავადულა, კნაპე!

გიორგი ხორგუაშვილი

რეჟისორი და პინახმელის არაპი

— „შენს მეტი ვინ ამადულებს!“ — ეს პასუხი გაამზადა, მაგრამ ყელს ვერ ამოაცდინა, ბოლმით ამოსიებულ ყელს. სხვა სიტყვებიც წამოუვიდა გულიდან, ერთბაშად მოწოლილი სათქმელი გაეჩხირა და უღონოდლა ამოილულულა რალაცა.

— ჰო, მართლა, მომილოცნია! ლამის დამაფიქცდა. — უცებ წამოაგონდა დიმიტრის. გადაეხვია და გადაჰკოცნა.

კნაპე გაოგნდა. არ იცოდა, რას უღოცავდა. ალბათ, მანქანა მომცა და ჯერ მე არ ვიცით. აღელვება დაუცხრა. წამწამები ააპარპალა. მოკლე ტუჩები ააცმაცუნა, მკრთალმა ღიმმაც გადაჰკრა და მიხვედრილის კილოთი იკითხა:

— რას მილოცავ, დიმიტრი სოლომონოვიჩი?!

— ძმისწულის დაბადებას.

— ძმისწულის?! — ჩამქრალი ხმით უპასუხა.

— ჰო, არ გაგეხარდა?!

— მაგას რაღა თქმა უნდა, მაგრამ მე სხვაგან წამივიდა ფიქრი.

— მე ვიცი, რაზეც წაგივიდოდა, საყვარელო. დაჯექი! — სკამი გამოუწოდა. თვითონაც ჩაჯდა მოაჯირიან სკამში. ვალაიჯგომა. უკან გადააკორიკავა და თავჩაქინდრულ კნაპეს დააცქერდა გამარჯვებულის ღიმლით.

— მანქანაზე წაგივიდა ფიქრი, ხომ?!

კნაპემ ჩაითქვა: ახლა მაინც გასწყრომოდა. შეტევით ეტყოდა, მერე თანდათან აუწევდა ტონს. საუბარს ჩხუბში გადაზრდიდა. გულში ნატრიალებს ეტყოდა. ეს გაიზარა, მაგრამ ვული არ გაუყვა განაზრახს.

— ეჰ, ჩემო კნაპე, — ამოხვრით ამოთქვა, — ვიცი, სიმართლეს არ დამიჯერებ. ისღა დამრჩენია, პირზე კლიტე დავიდო და თავი გავიმტყუნო შენთან!

— ტყუიხარ, მაშ რა, რამდენი წელიწადია მპირდები, რიგში გიყენივარ, უბის წიგნაკშიც მონიშნული გყავარ. მას მერე რამდენს მიეცი მანქანა?! — ტონი გაიმკაცრა კნაპემ.

— მართალია, ჩემო კნაპე, ბევრს მიცეცი, მაგრამ ისინი შენზე ადრე მყვანდნენ მონიშნულნი. პირდაპირ, მსაჯულნი გამიხვრითეს, რა... ამდენი მანქანები გამოდის მწყობრიდან, მოცემით კი თითო-ოროლას გვაძლევენ. ერთბაშად მოგვაოხრონ მაინცა, რომ ყველას ოხტიდან ამოვიდე! გულოლა მამქეს გაწყალელებული ამდენი მთხოვნელებისაგან.

— ყველას რომ თავი დაეანებოთ, ბაბლიაზე, დაღამდას ბიჭზე და დედამამის ბოღმაზე ადრე მაინც მერგებოდა.

— მართალი ხარ, სამივეზე უწინ შენ უნდა მიგელო, მაგრამ ჩემზე არ იყო დამოკიდებული.

— მაშ, ჩემზე იყო?! — კიდეც უფრო გამაქვახებს ნათქვამს.

— შენზე სულ არა.

—?!

— არ ითქმის, მაგრამ, რა ვქნა, უნდა გითხრა! შინაური ბიჭი ხარ და შენგან სიტყვას არ გაველი. ბაბლიაზე რაიკომიდან დამირეკეს. დაღამდას ბიჭზე ცეკადან, დედამამის ბოღმაზე სამინისტროდან მომწერეს. ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავი, რომელს ეტყოდი უარს. კაი ბიჭი ხარ და ვისიმე სიტყვა გააბრუნდე.

— ეჰ, რა ვიცი... — ჩაიბურტყუნა კნაპემ.

— „რა ვიცი“ კი არა, ლამის თავის ქალა ამეხადოს ამდენი ფიქრისაგან. პატარა უფროსობა ეხლა ცეცხლია, ჩემო ძმაო, ცეცხლი! ათასი მპრძანებელი მყავს, ყველას დაკრულზე უნდა ვიცეკვო და გუნებაზე ვარ თუ არა, „შენი ჰირიმე, შენ გენაცვალეთი“ უნდა ველაპარაკო. იცი, რა დღეში ვარ?! ჩემს ნებაზე დარაჯი ვერ დამინიშნია, ნეტავი შენ, რომ ერთი უფროსი გყავს და ერთი მანქანის გარდა არაფერი გეკითხება!

კნაპეს რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ პირი ღიად დარჩა, რადგან დიმიტრიმ უმალ მიაყოლა:

— მაგრამ ასეა თუ ისეა, მე მაინც ვალში ვარ შენთან. აი, მალე ახალ პარტიას მივიღებთ და მაგათ კი არა, მამა-

ჩემი საფლავიდან რომ წამოდგეს და იმან დამირეკოს, მაინც შენზე წინ არავის დაავაყენებ!

— მაშ იმედი ვიქონიო?!

— უეჭველად, უსიკვდილოდ!

კნაპეს გაელემება და ზედა კბილებით ქვედა ტუჩს მოიქეჩავს. არ ვიცი, იმედისა და სიხარულის ნიშანია, თუ უფროსის დაპირებაზე ეცინება.

— სხვა, სახლში როგორა ხართ?!

— მადლობთ, არა გვიშავს—რა!

— გოგო რას შვრება? ქეთევანი გიქვიან, არა?

— კი. სწავლობს. მეხუთე კურსზეა.

— საექიმოზეა, ხომ?

— დიახ!

— გასათხოვრად ხომ არ ცმუკავს?

— რა ვიცი, ეგ თავისი ნებაა. — უხერხულობს კნაპე.

ასე გაუბამს შინაურ, გაგულთბილებულ საუბარს, დაიმედებულსა და მომადლიერებულს გამოისტუმრებს კაბინეტიდან.

გაცეცხლება და გალანძღვა უფრო ეხერხება დიმიტრის, მაგრამ კნაპესთან ასე ამჯობინებს. პირდაპირობითა და არად ჩავდებით ერთხელ წააგო მასთან. მეორედ აღარ მოტყუვდება. ტკბილი სიტყვით უნდა დათრგუნოს და დაამარცხოს. ეს ყველაზე საიმედო ხერხია.

დამართოვებული კმაყოფილებით გაივლ-გამოივლის კაბინეტში. მერე ფანჯარასთან მივა და დიმილით ვასცქერის სივრცეს.

კნაპე კი თავის ქნევითა და ირიბი დიმილით ჩამოდის კბეებზე და ამხანაგებს შესჩივის:

— რა ენა აქვს, ჩვენს უფროსსა! თბილად მიმიღებს, მომთინთლავს, ტკბილად გამომისტუმრებს. ვიცი, რომ მატყუებს, ვცდილობ, არ დავუჯერო, მაგრამ მაინც ვტყუვდები. რა ჯაღო აქვს მაგ. შობელქაღლსა! ერთს კიდე დავაცდი, თუ კიდე გამაცურა, ყოფას ვუტირებ, პირდაპირ რაიკომის მდივნის კაბინეტში დავერტობი. თუ სათქმელს პირი შოვუხსენი, ციმბირი აქეთ დარჩება.

— გაჩერდი, კნაპე, იმან არ ვიტყვით ყოფა!

— თუ მოინდომა, შენ დავატოვებინებს ციმბირს აქეთ!

— ვისა?! თავისი ჭკუითა შარშანაც, მომხსნა. მაგრამ თავისივე დაფურთხებული ვერ ავალოკინე?!

— ეგრე ტიღობით ვერაფერს გახლები, ჭირიმე!

— მაშ, რა ვქნა, ბიჭებო, ძმაცაცებად მეგულებით და მირჩიეთ რამე!

— ჰა-ჰა-ჰა-ა-ა! კაცი ბერდები და ჭკუა ვერ ისწავლე!

— ეჰ, მე მეგონა გულს მომიფონებდი!

— რწყილისა და ჭიანჭველას არაკიცი, კნაპე?!

— რა ღროს არაკეზია. კაცს ნაღველა მისივდება!

— არა. იცი-მეთქი!

— ვიცი, — ხმაჩაქრობით ამბობს, — ზეპირადაც მისწავლია. — ღრმად ამოისუნთქავს.

— ეტყობა, მხოლოდ გაგიზეპირებია და აზრი კი ვერ გამოგიტანია.

— ?!

— ჭიანჭველა ხომ ჩავარდა წყალში?!

— ჩავარდა. მერე რა?!

— ამოსაყვანად ბაწარი დასჭირდა?

— დასჭირდა.

— ღორს ხომ მიადგა ჯაგრისათვის, რომ ბაწარი დაეგრიხა და ისე ამოეყვანა თავისი ძმობილი?

— მერე! — კვლავ გაოცებით შესცქერის.

— ღორმა რა მოსთხოვა, თუ გახსოვს?!

— რკო.

— მუხამ რა უთხრა?

— ყვავი მომაშორეო.

— ყვავმა წიწილა მოსთხოვა?!

— მოსთხოვა.

— კრუხმა ფეტვი უხსენა?!

— ნამდვილად.

გიორგი ხორგაუშვილი

რეჟისორისა და პინანჰელას არაპირი

ორმომ თავგი მომაშორეო, ხომ?!
 — დიახ.
 — თავგმა: კატის მეშინიაო?!
 — კი.
 — კატას რძე უყვარს?!
 — უყვარს და იმანაც წაუყენა ულტიმატუმი.
 — ძროხამ ბალახი მოსთხოვა?!
 — ჭეშმარიტებაა.
 — აგაშენა ღმერთმა! — მძლოლმა ირიბად ჩაიხითხითა. ჯიბეებში ღრმად ჩაიძვრინა ხელები და ზურგი შეაქცია.
 — მერე?! — მოაბრუნა მოსაუბრე.
 — მერე შენ გამოიტანე დასკვნა. კნაპე დაფიქრდა.
 — ვერ მიხვდი, კნაპე?!
 კნაპემ თავი გაიქნია.
 — ჩვენს უფროსს რკო თუ არ მოუტანე, ჯავარს არ მოგცემს, ჯივარო! — კისერი მხრებში ჩაიძვრინა ამხსნელმა.
 — კნაპე მოკვდეს, თუ ეგეთებით გაიჭუჭყიანოს გული.
 — არა და, იყავი სულთმაბრძოლი „შამილას“ ამარად!
 კნაპე საგონებელში ჩავარდა.
 გადიოდა თვეები და კნაპე ისევ დაუძლურებელ „შამილას“ ელოლიავებოდა. ისე მიიხრწნა, ქალაქის გარეთ გასვლის თავიც არა ჰქონდა და არც უშვებდნენ. კნაპესაც მობეზრდა მანქანის ქვეშ ძვრომა და გულადმა მუშაობა მის სამკურნალოდ, ეთაკილებოდა კიდევ ქუჩებში „შამილას“ რახრახი, მაგრამ ვერ ელეოდა.
 შინაც საყვედურს არ ულევდნენ.
 — კაცო, რას ჩააცივდი მაგ ოხერსა, მაგან ხომ არ უნდა გინაცვალოს? რასაც შოულობ, სამი იმდენს ზედ ახარჯავ! — ეტყოდა მეუღლე.
 — რა ვქნა, მარიამ-ქალო! ჯერჯერობით შენი და მაგის ამარა ვარ და... — არხეინად უბასუხებდა კნაპე.
 — მიაგდე და მიანებე თავი. ჯვარი მაგაზე ხომ არა გაქვს დაწერილი!
 — მერე, გულზელდაკრეფილმა ვიარო, მარიამ-ქალო?!
 — სულაც წამოდი მანდედან! — ისევ ბრაზობდა ცოლი.

— ჰო, მართალი ხარ. მინისტრად მეხვეწებიან და იქა სჯობიან! — უკუნიშნავდა ეტყოდა.
 — მაგის მეტგან მანქანა არსად არის, შე დალოცვილო?! ან საბჭოთა მეურნეობას მიაკითხე, ან ქარხანას. ამდენი დაწესებულებებია!
 — თითო მანქანაზე სამი შოფერი მოდის და ძნელია ფეხის მოკიდება.
 — ყველაფერი შენ უნდა გაგიძნელდეს!
 — ცოტა ხანსაც დაიცადე და ისეთ მანქანას მოგაყენებ, მთელი ქალაქი დამნატროდეს. აგერ ახალ პარტიას ელოდებიან.
 ის პარტიაც მიიღეს. სხვაც. მაგრამ კნაპემ საწადელი ვერ აისრულა.
 — ცოტა ხანსაც მოვიციდი, თუ კიდევ მშრალზე დამსვა, პირი უნდა ავამყარო! — იქაღნიდა კნაპე. „პირის ამყარებაში“ გულისხმიობდა უფროსის ჩივილს.
 დღეები ფოთლებივით ერთმანეთის მოყოლებით ცვიოდნენ.
 გარაუშო ახალთახალი ტაქსი შესრიალდა და უცებ დამუხრუჭდა.
 — დილა მშვიდობისათ, ბიჭებო! — ნანქანიდან ხელი გადმოყო კნაპემ და ღიმილი გააუხვია. ეტყობოდა, გახარებული იყო.
 — კნაპეს მშვიდობა!
 — სალამი ჩვენს ძმას, ჩვენი პირის ზიარებას!
 — გაუმარჯოს ტაქსისტს! — გარს შემოეხვივნენ მძლოლები, რომლებიც უთენია მოსულიყვნენ და ძილგამოყოლილები თვალებს იფშვინეტდნენ.
 — ჰაა, ძველო, გამოიტანე ტაქსი?!
 — რა „ვოლგა“ დაირტყი?!
 — რა კეწკეწაა! — გახარებულიყვნენ მძლოლებიც.
 — აბა, მაშ, რა!
 — როდის ჩამოიტანე, კნაპე?
 — წუხელის. შუადამისას ჩამოვედი და ეზოში დავაყენე.
 — გულზე ხელი დაიდე, რამდენი დავიჯდა?!
 —



— არც კაპიცი, ჩემი შვილების გახარება! — მართლა გულზე ხელს იდებს კნაპე. — ეგ არის, მალარიჩი ჩავაცეცხლე. უმაგისოდ ხომ არ იქნებოდა!

— უფროსიც წამოგყავ?

— მაშ, მე ვინ ჩამავდებდა ძაღლად! ერთი კვირაა ამ საქმის ჩაწყობაზე ვაწვალუბ. განა ლიმიტით გვერგებოდა, რო!

— დასცხა, კნაპე, დიმიტრი სოლომონოვიჩსა?!

— დასცხა და როგორ! — იცინის კნაპე და ისედაც მოპრუწული ტუჩ-ყბა კიდევ უფრო ეპრუწება.

— კაი ეშმაკი ყოფილხარ, კნაპე! რაიონის თავკაცი დაიმძახაღე და ტაქსი კი არა, თუ მონდომე, რაკეტას მიიღებ.

— იმათ სიყრმეს გეფიცებით, მე არაფერ შუაში არა ვარ. სანამ დანიშნვის დრომ არ მოაწია, არც კი ვიცოდი, რამდენი ხანია, ჰყვარებიათ მაგ მამაძაღლებსა!

— ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული, კნაპე.

— თქვე ვირიშვილებო, რაღა ჩემი გიკვირო! — იცინის კნაპე.

— ობლის კვერი ცხვაა, ცხვაა... ცხვაა... მერე როგორ არის?! — თვალი მოჭუტა ერთმა.

— გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვა! — დაბოლოვა მეორემ.

კნაპეს უღვაწებში ეცინება.

— კაი გოგო გყავს და ღმერთმა გიბედნიეროს!

— შენც კაი კაცი ხარ, კნაპე, და ალაღია შენზე! — ლოცავდნენ მძღოლები.

— დიდი მადლობა, ბიჭებო! — გულზე ხელს იდებს კნაპე.

— ხომ იცი, თუ არ დაასველე, მალე წაგივა ხელიდან!

— ჯერ ღიფთა ავიღო, დავასველებ კი არა, მეტსაც ვიზამ! — იღიმება კნაპე და ამძრავს ფეხს აჭერს.

სამხიარულოდ კი აქვს საქმე.

კაცი ან უნდა მუშაობდეს, ან მუშაობდა, — იტყვის ხოლმე კნაპე.

იმ დღეს კი არც მუშაობდა, არც ქეიფობდა. მის ტაქსზე შემცველი იჭდა, თვითონ შინ იყო. ბაღში არ იმუშავებოდა. ოჯახში საკაცო საქმე არ გაკეთდებოდა. საქეიფოდაც არავინ გადაჰყროდა. არც თვითონ მოუწოდებოდა, თორემ ვისაც თითს გაუქნევდა, სიხარულით გაჰყვებოდა. კარგ ღვინოსა და კეთილ გულს ვინ დაერიდებოდა. ისე კი ფიქრობდა: ვინმე კაი კაცმა მანც შემოაღოს კარებიო. სტუმრის მსურველს გასასტუმრებელიც ეგულებოდა და მეუღლესაც გააგონა:

— ე, რა საქეიფო ამინდია, მარიამ-ქალო! — ხელები მოიფშვინტა.

— ტყუილად ცმუკავ. დღეს სტუმრისათვის არა მცალიან!

— არა. ისე ვთქვი. ამინდია-მეთქი ეგეთი.

— მეც ისე გეუბნები.

გულში სწევოდნენ გათხოვილი შვილი და ფეხადგმული შვილიშვილი. კნაპე მათ სტუმრებად არ სთვლიდა. ვერც ერთი აუბამდა მხარსა და ვერც მეორე. გვერდის დამამშვენებელ სიძეს იმ დღისით არ მოელოდა, მივლინებაში გაეგზავნათ.

ღუმელი გაედღუღუნებინა. ოთახში სასიამოვნო სითბო დატრიალებულიყო. შვილიშვილს გასტოლებოდა. ტელევიზორი ჩაერთო. ყმაწვილების კონცერტს აჩვენებდნენ, ცეროდნენებს ცეცხლოვანი ცეკვა გაეჩაღებინათ. პატარა ალიკა ცეკვის მაგვარ მოძრაობას ახერხებდა. ხელებს შლიდა და ბუქნავდა. პაპას ფრთები ესხმოდა სიხარულით.

— მარიამ-ქალო, მოხედე რა დღე-შია შენი შვილიშვილი! — გასძახა მეუღლეს.

მკლავებდაკარწახებულმა დიასახლისმა სამხარეულოდან გამოიხედა:

გიორგი ხორგაუშვილი

რუსილისა და პიანოვლას არაბი

— ოი, შენ გენაცვალოს ბაბოი!
ალიკა შემობრუნდა. მიხვდა, რომ
მასზე ლაპარაკობდნენ, კმაყოფილებით
ჩაიღიმა და ბუქნვას მოუმატა.

ავტომანქანის სიგნალი შემოიჭრა.

— გახედე, მარიამ-ქალო, სიძე ხომ
არ წამოგვადგა?

— მობრძანდეს! — მხიარულად თქვა
და კარისკენ გაეჩქარა.

— ასე მალე დაბრუნდა, ვითომ! —
გაიკვირვა ქეთინომ და ისიც გარეთ გა-
აეგება.

ქეთინო კნაპეს ქალიშვილია. გათხო-
ვილი.

— შენი უფროსია! — შემოვიდა მა-
რიამი.

— ჩემი უფროსი?! — შეიცხადა კნა-
პემ, — კიდევ არა, თვალი რომ მითა-
მაშებდა! — ირიბად თქვა. უცებ წამო-
ხტა, ფლოსტებში წადგა ფეხი, აივანზე
გავიდა, ხარისხს გადაეყუდა:

— გაუმარჯოს დიმიტრი სოლომო-
ნოვიჩს!

— გაუმარჯოს! — ამოსძახა.

— ამობრძანდი!

— თუ არ შეწუხდები, შენ ჩამობრ-
ძანდი, ბატონო გრიგოლ!

გრიგოლი ხომ კნაპეს ნამდვილი სახე-
ლია, რომელიც თითქმის ყველას გადა-
ვიწყებია.

კნაპე ეახლა. ხელი ჩამოართვა.

— შეიძლება შეგაწუხო?! — გამეტე-
ბით გაიღიმა დიმიტრიმ.

— შეწუხება რას მიქვიან?!!

— პატარა სათქმელი მქონდა.

— დიდი იყოს. გადმობრძანდი. სახ-
ლში არ ითქმევა?

— როგორ არა, მაგრამ...

— ჰოდა, გადმოდი. არ მოგესვლე-
ბა?!

გადმოვიდა.

კიბის საფეხურები ჩქარ-ჩქარა აათა-
ვეს. თოვლი ჩამოიფერთხეს.

კნაპემ ოთახში შეიძლოლა უფროსი.

— აქა მშვიდობა!

— გადღეგრძელა!

— კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ ოჯახ-
ში!

— ჩემთან ჯერ არა ყოფილხარ?

— ძველ სახლში კი ვარ ^{ქნამყოფი,}
მაგრამ ახალში არა. ^{გინაპროფესორი}

— რა ვქნა, ძმაო, რამდენჯერაც დაგ-
პატიე, იმდენჯერ დამეუარე. არა მკად-
რულობ და... — ხუმრობაში გაუტარა
კნაპემ.

— ეეჰ, ვერ ვიცლი, გრიგოლ მიხაი-
ლოვიჩ, თორემ...

— უფროსები სულ ეგრე მოუცლე-
ლები ხართ. დაბრძანდი! — სკამი მიუ-
მარჯვა.

დიმიტრი ჩამოვდა, დუღუნა დუმე-
ლის თავზე თითები მოისრისა;

— იფ, იფ, იფ. რა სითბოა!

— მაშ, მაშ!

— თებერვალმა ძაან მოიქნია ბოლო,
აკი ზამთარი აღარ მოდისო. ეგეც შენი
ნამდვილი ზამთარი. გახედე, როგორ
ბარდნის!

— იმდენ ხანს ითოვლოს, მანამ მოე-
წყინება. ე, რცხილის შეშა ბევრი მაქვს
და გადაღებული ღვინო!

— ღმერთმა მოგცეს, ალალია შენზე!

— მარიამ-ქალო, — გასძახა კნაპემ.

— ეხლავე! — მარიამი მიუხვდა, რა-
ზეც უხმობდა, — ცოტა ხანს თუ შე-
მაცდით, უკეთესი იქნება.

პატარა ბიჭუნა შემოცუნტულდა. პა-
პისკენ გამოეჩანა და მუხლებშუა შეე-
ჭედა. შუბლზე კოპი დაისვა და ნამდუ-
რავივით შეხედა სტუმარს.

— პატარა კაცო, კაკა რომ ვერ მოგი-
ტანე?! — წამოწითლდა დიმიტრი, —
აქ არ მეგულებოდა, თორემ ხელცარიე-
ლი არ მოვიდოდი, — ახლა დიდთან
ბოდიშობდა.

— ეგ არაფერი, ჩემს შვილიშვილს
არც კი უყვარს კაკები, — დაუფიცა
კნაპემ.

— რომლისაა? — იკითხა სტუმარმა.

— ჩემი ქეთინოსი. ჯერ ეგ ერთი არა
გეყავს?!

— რა გიქვიათ?

— პაპის სეხნიაა.

— გრიგოლი?

— არა. მეორე პაპის. ალექსი, ალი-
კას ვეძახით.

— დედამ იმსგავსა, თუ მამამ?

— დედამ. რა ვიცი, ზოგი მეც მამ-გვანებს!

დიმიტრიმ ჯერ პატარას შეხედა, მე-რე კნაპეს.

— ჰო, წარბები და შუბლი შენი აქვს.

კნაპეს ესიამოვნა და ცალ ლოყაზე დაიმჩნია ღიმილი.

— ხომ კარგი მძახლობა გაქვთ, გრიგოლ მიხაილოვიჩი?

კნაპემ პასუხი შეაგვიანა. განა გაუჭირდა და იმიტომ, ყურს ეჩოთიერებოდა „გრიგოლ მიხაილოვიჩი“. მამის სახელით კი არა, თავისი ნამდვილი სახელითაც არასოდეს მიუმართავს ამ კაცს. მასაც „კნაპე“ ჰქონდა გაკვერილი. ეხლა რატომ უხსენებს მიცვალბულ მშობელს?! რა ამბავია! ხმაც როგორ გაიხვევდა. ისე რბილად და თბილად ამბობს, როგორც უფროსებს და უფროსთა უფროსს მიმართავს ხოლმე. ნამდვილად რაღაც სათხოვარი ექნება, მაგრამ რა? ვერ მიმხვდარა.

— ჰა, გრიგოლ მიხაილოვიჩ, კაი მძახლობა გექნებათ, არა?

— ძალიან კარგი. ვშიშობდი, ცხვირ-აწეული არ გამომადგეს-მეთქი, მაგრამ ოქროს ხასიათი ჰქონია. დიდთან დიდია, პატარასთან—პატარა, არ მირიდებს, ჩემთვის სახლის კარიც ღია აქვს და გულისაც.

— ასე უნდა, მაშ რა!

— ჩემი ოჯახი იმისია, იმისი — ჩემი.

— თამამად ამბობდა კნაპე.

— კი არას ინაღვლი, რომ გაგიცვალოს! — ჩაიცინა დიმიტრიმ.

— არა, სიტყვის მასალაა, თორემ...

— კნაპესაც გაეცინა.

ამასობაში სუფრაც გაიწყო.

დიასახლისმა მაგიდასთან მიბრძანება სთხოვა. სტუმარს მოუბოდიშა დაგვიანებისათვის. კნაპე წამოდგა, სტუმარი უარზე იყო: სასუფრედ არა მცალიაო.

— მობრძანდი, დიმიტრი სოლომონოვიჩ. სირცხვილი არ არის აქედან დაულოცავი გაგიშვა?! უცხოები ხომ არა ვართ!

დიმიტრი ნებას დაუყვა.

მაგიდას მხოლოდ ორნი უხსდნენ.
— იფ, იფ, იფ, რა გემრიელი ხაჭაპუ-რები დაუცხვია მარიამ-ქალსაქაქებმა და კნაპე და ორი ხელით იმარჯვებდა ცხელ-ცხელ ხაჭაპურს, — გულიანად მიირთვით, დიმიტრი სოლომონოვიჩ! — აძალებდა.

სტუმარი ნაზობდა, კნაპე არ ეშვებოდა.

— რა კარგი კაცი ხარ, დიმიტრი სოლომონოვიჩ, რა კარგ დროს მოხვედი. როგორა ვნატრობდი სტუმარსა!

— ნატრობდი და აგისრულე კიდევ.

— რატომაც არა, ვისაც არ ვახარებოდა, არ გაიხაროს!

რა თქმა უნდა, კნაპე თამადობდა. ერთურთის შეხვედრის სადღეგრძელო მიირთვეს. დიასახლისიც ადღეგრძელეს.

— იფ, იფ, იფ, რა ღვინო დამიყენებია, ნახე, წინწყალს ისვრის! — ღვინოსაც აქებდა კნაპე და აძალებდა, გამოცალეო.

სტუმარმა სიამოვნებით დაცალა.

მესამეჯერ შეავსეს ჭიქები. სტუმარმა დაასწრო სასმისის აღება და სადღეგრძელოს ნებართვა ითხოვა.

— რაო, წასვლა ხომ არ გიღევს გუნებაში?! — შეიცხადა კნაპემ.

— არა, გრიგოლ მიხაილოვიჩ, ერთი მათქმევინე!

— შენი ნება იყოს, ოღონდ საღვთისმშობლო არ გამაგონო!

— არა!

— ბრძანე!

— ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს, გრიგოლ მიხაილოვიჩ! — და მოაბა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები მეგობრობის სიღიადესა და სიკეთეზე. რუსთაველიც მოიშველია. მარქსიზმის კლასიკოსებიც შეაწუხა. საბჭოთა ადამიანის მორალური კოდექსიც გაარჩია.

კნაპემ შეიცხადა. გაიკვირვა: ძმობას რატომღა მეფიცებო. რა პირით ადღეგრძელებს მეგობრობასაო. თვალბში

გიორგი ხორგაშაშვილი

რეჟისორი და მხატვარი არააკი

მისჩერებოდა სტუმარს და ის მწარე
დღეები ახსენებოდა, რაც ამჟამინდელ-
მა სტუმარმა დამართა. მაგრამ რაკი
ის ამბები კარგა ხნის ჩავლილი იყო,
გულიდან გადაჰყროდა. მით უმეტეს,
ერთ წელზე მეტია (მას მერე, რაც ტაქ-
სზე დასვეს), უგენაცვალოდ და უგრი-
გოლ მიხაილოვიჩოდ სიტყვა აღარ უთ-
ქვამს დიმიტრის. ისიც იცოდა, რატო-
მაც მოუტკბა. ერთი სიტყვით, კნაპე
მეგობრად კი არა, საერთოდ, აღამიან-
დაც არ სთვლიდა დიმიტრის. მაგრამ
სტუმართმოყვარეობის დაუწერელი კა-
ნონი თუ თავისი ბავშვური გული იმის
უფლებას არ აძლევდა, უადგილო სად-
ღეგრძელო შეეწყვეტინებინა. ანდა უკ-
მაყოფილება ეგრძნობინებინა. თავის
დაქნევა და აყოლიება არჩია.

სტუმარს კი ჭიქა მალლა აეწია. თვა-
ლები დაბლა დაეშტერებინა და სად-
ღეგრძელოს განაგრძობდა. ბავშვობის
წლებს იგონებდა. ფეხშიშველა ტან-
ტალს, მტკვრის ტალღებში ლივლივს,
ქვრივი მაკრინეს ადრეული კიტრების
მოპარვას, კირილე მასწავლებლის აკ-
ვიატებულ „გაჩერდი, ბოშო!“-ს, ფრონ-
ტის ამბებიც გაიხსენა, მათ შორი-
ახლოს რომ ყუმბარა გასკდა და დიმიტ-
რიმ უნებურად წამოიძახა „ვაიმე, დე-
და!“ ტყვე ფრიცს რომ თავი სდრუზა
ცხვირში... დიმიტრიმ დროებით დაშო-
რიშორება დაინანა. სამსახურში რომ
ისევ ერთად მოხდნენ, ბედს მადლობას
სწირავდა. კმაყოფილებას გამოთქვამ-
და, რომ ცხოვრებამ კნაპესთან დაამე-
გობრა.

კნაპე თავშეკავებით იღიმებოდა. იმა-
ნაც ასწია სასმისი. ორიოდ სიტყვა
იმყოფინა.

ჭიქები გამოცალეს.

სტუმარმა მიკაქუნება ისურვა, კნაპე-
მაც ხასიათი გაუქაწორა.

— ეჰ, არ ვარგივართ, არა! — თავი
გაარხია სტუმარმა.

— ?!

— ასეთი მეგობრები გვეთქმოდა, ახ-
ლაც არ გავგნელებია ის სიყვარული და

სირცხვილი არ არის, ჩვენი ცოლები გრ-
თმანეთს, მგონი, ვერც კი იცნობენ!

კნაპემ ვიწრო ტუჩები მოიჭყეტა და
ლოთ.

— იფნის სახრითა ვართ საცემები! —
ისევ დაიჩვილა სტუმარმა.

— უფრო რომელი? — გაუბედა კნა-
პემ.

— ორივეს გვარებს.

— რადა, ჩემო ძმო, შენ აიბზუე
ცხვირი და მე რა გიყო! მეჯვარეობა შე-
მოგთავაზე — უარი მტკიცე. სწორედ
მაშინ მოგინდა მოსკოვში წასვლა. მის
მერე რამდენჯერ დაგპატიე და არც
ერთხელ არ მიკადრე. ამ ბოლო წლებ-
ში, მართალს ვიტყვი, აღარ შემოგხმა-
ურებივარ... შენ კი ერთხელაც არ წა-
მოგცდენია! — ხუმრობის კილოთი შე-
ნიშნა კნაპემ, — დიდკაცობაზე ხომ არ
არის!

— დიდკაცობა კი არა, ეს ოხერი,
მოუცლელობა ბევრჯერ პირშავად გა-
მოგიყვანს კაცთან, — ურწმუნოდ თქვა.

— მოცილილები, ხომ იცი, სადაც
წვანან!

— კაი ახლა, ზოგი შენ დაიბრალებ!
— ნაძალადევად გაიცინა სტუმარმა.

— სამსახურიდან რომ მხსნიდი, ძვი-
რფასო! — სიცილით შეახსენა.

— იჰ, ბავშვი ხარ! ვერ მიმიხვდი,
რომ გამოგცადე?! მართლა ხომ არ გაგა-
თავისუფლე. შენ კი სერიოზულად
აპილილიდი. კახპასავით წამომძახე ყვე-
ლაფერი. დამემუქრე და კინაღამ ციმ-
ბირი აქეთ დამატოვებინე! ჰა-ჰა-ჰა! რა
სასაცილო იყავი, იცი, კნაპე?! — მხარ-
ზე ხელი დაარტყა. ქათქათა კბილები
გამოიჩინა და ისეთი ღიმილით შესცი-
ცინებდა, თითქოს სულ უმნიშვნელო
რამ მომხდარიყო მათ შორის, გახსენე-
ბად არც კი ღირდა. საყვედური ხომ
გულშიც არ უნდა გაეგლო.

კნაპეს უნებურად გაეცინა.

— ფიცხი ხარ, ჩემო კნაპე, ფიცხი,
უცებ აენტები ხოლმე. შენი გულის
სიხალისე რომ არა მცოდნოდა, სამუ-
დამოდ გავებუტებოდი! — კვლავ და-

არტყა მხარზე ხელი და „სიყვარულით“ შეაწვრიდა.

— ფიცხი რომ ვყოფილიყავი, იმ ერთ მანქანაზე არ დავებრდებოდი...

— სხვანაირად არ იქნებოდა, გრიგოლ მიხაილოვიჩი, მტერი უფრო მეტი მყავს მოყვარეზე. რომ მეთამამებინე, ათახგან დამიწვრდნენ. ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცო...

— ეჰ, რა ვიცი...

— რა ტუჩს იგრეხავ. მერე რომ კეწკეწა ტაქსზე დაგსვი?! ხომ იცი, გეგმის ზევით დავაშვებინე. რაც იმაზე ოფლი ვიწურე...

— გაწურინეს?! — უცნაურად გაეცინა კნაპეს.

სტუმარი მიუხვდა გადაკრულ ნათქვამს და სიტყვა ბანზე აუღლო.

— როგორ გამეხარდა, იმდღეს რომ ნარკვევი დაებეჭლათ შენზე, ყოჩად გრიგოლ მიხაილოვიჩი, მართლა მამაცი მებრძოლი ყოფილხარ!

— ტყუილად ხომ არ მომცემდნენ ერთ მუჭა ჯილდოებსა! — სიამაყით თქვა კნაპემ.

— მძახალსაც ესამოვინებოდა.

— უჰ, ძალიან!

— მიხარიათ, რომ ასეთ კარგ ნათესავებში გაერთი.

— სხვები უხეიროები მყვანან? ან მე უვარგისი ვარ?!

— არა, როგორ გეკადრება?! ისე, შენს ნათქვამს ხომ ფასს ადებს ხოლმე!

კნაპე ვერ მიხვდა.

— აი, ვთქვათ, სთხოვე რამე?

— ყოფას კი არ ვუტირებ! მაშ, რისთვის მინდა? იმ დღეს გარეთა ბიძაშვილის საქმე გავჩარხე. უმუშევრად დადიოდა. ვთხოვე თუ არა, მეორე დღესე გააშვებინა ერთ ადგილას...

სტუმარი გაეხარდა. კნაპე გვიან მიხვდა და მერე დაინანა დატრახახება, მაინც შეეკითხა:

— რა, სათხოვარი ხომ არაფერი გაქვს?

— ხო, პატარა... რახან სიტყვამ მოიტანა... — სტუმარი შეეყოვნდა. თავი და-

ხარა, წამოწითლდა. თქმა გაუჭირდა თავის დამდაბლება ითაკილა. კნაპემ სიბრალულის დიმიტრი დამიტიანია:

— რაღაც გაწუხებს, დიმიტრი სოლომონოვიჩი!

— ისეთი არაფერი.

— მითხარი. ჩვენ ხომ ძმები ვართ! — ბოლო სიტყვებს მაინც დამცინავი ფერი მისცა. თავდახრილმა და ჩაფიქრებულმა სტუმარმა ამას ყურადღება არ მიაქცია და უღონოდ ამოთქვა:

— შენც გაიგებდი, ალბათ!

კნაპემ შეიცხადა.

— სხვაგან გადაყვანას რომ მიპირებენ...

— შე არა გამიგია—რა!

სტუმარმა ნელა ასწია თავი და გამოძვლელად შეხედა.

— არა, ჩემმა მზემა! სად გიპირებენ?

— კირის საწარმოში...

— უფროსად?

— კი...

— კარგია. მერე რაა, რომ კირის საწარმოა, მაინც ხომ უფროსი იქნები!

— ერთი მუჭა დაწესებულებაა. გინდა უფროსი ყოფილხარ, გინდა უმცროსი.

რატომ, გადაყავხართ?

— არ ვიცი!

— მაინც რა საბაბი თქვეს.

— საბაბს რა გამოუღლევთ, ჩაეარდნილია და უნდა ამოსწიოთ.

— იქნებ, მართლა ასეა?

— ეჰ, გრიგოლ მიხაილოვიჩი, მე მაგის ჩიტი ვარ, ვერ მივხვდებ?

— ვის მოუვიდა აზრად?

— შენს მძახალს.

კნაპე ჩაფიქრდა.

სტუმარი თვალეში შესციცინებდა.

— ამდენი ხნის სტაჟი მაქვს ატეკაში მუშაობისა. საქმესაც კარგად ვიცნობ და ხალხსაც. ოჯახივით შემყვარებულია. ბიჭები ძმებივით და შვილებივით

გიორგი ნორგუაშვილი
რეჟისორი და პინაკოვლას არაბი

მიმილია. ეს მენანება, თორემ სულაც გადავიკარგებოდი აქედან...

კნაპე ხმას არ იღებდა.

— ხომ იცი, ძნელია მიჩვეული ხალხისა და საქმის დატოვება.

კნაპე კვლავ დუმდა.

— უნდა დატრიალდე, გრიგოლ მიხაილოვიჩ! — სათქმელი არ გააცია. კნაპეს „პოს“ თქმა გაუჭირდა.

— რაღაც გეზარება! — საყვედურით შენიშნა დიმიტრის.

კიდევ არ აღირსა პასუხი.

— რას ფიქრობ, ძმაო გრიგოლ?! — გაკვირვებით მიაჩერდა.

— არა, იმას ვფიქრობ, როგორ ვუთხრა?

— ჩვეულებრივ. მიდი სახლში და...

კნაპემ ყოყმანს სძლია.

— მივალ, მაგის ყოფაც ვატირე, ისიც ჩემსავით კაცია, ღმერთი ხომ არაა! დიმიტრის გაეხარდა.

— დაკა! — ტაში მიუმარჯვა.

კნაპე შეყოვნდა.

— ჰაა, რაღას ტორტმანებ!

კნაპემ მძიმედ ასწია ხელი. ტაში გაშალა და ღონივრად დაუტყლაშუნა დიმიტრის მარჯვენას.

— იმედი ხომ გაქვს!

— იმედი ყოველთვის მაქვს, — დაჭერებით თქვა კნაპემ.

ჭიქებიც მიუჭახუნეს.

ორიოდე სადღეგრძელო კიდევ ბქვს. ის სასამისებიც გამოცალეს.

სტუმარი აღარ გაჩერდა.

მასპინძელიც აღარ ჩასციებია.

დიმიტრის დიდი მადლობა გადაიხადა. ხელის ჩამორთმევით გამოემშვიდობა დიასახლისს. პატარა ალიკას ღოყაზე მოუთათუნა, იმასაც გამოემშვიდობა და გამოვიდა.

კნაპემ მანქანამდე მიაცილა.

— აბა, შენ იცი! — კიდევ გაუმეორა დამშვიდობებისას, — კარგად დარჩი, გრიგოლ მიხაილოვიჩ!

— კარგად, კარგად! — ხელის საგსავით აცილებდა კნაპე.

კნაპე შემობრუნდა. შეციებული ხე-

ლები ღუმელს მიუფიცხა და თავის გაქნევით თქვა:

— გამოიკვირდა, ჩემი სიყვარული გორ გაუცხოველდა-მეთქი. ვიარე-კია, რამეზე დავჭირდებოდი, თორემ ასე უცებ როგორ მომიტყებოდა.

— რაო, რისთვის დავაფხასა თავისი მობრძანებითა? — დამცინავად ჰკითხა მეუღლემ.

— ზიგარმა მოუარა! — ირიბად უბახუხა ქმარმა.

— ნწუ-ნწუ ნწუ! დედაკაცი ვარ და მე არ ვავაკეთებ მაგას! ბოროტი სულივითა ვდევნიდა, გასაქანს არ გაძლევდა, შენს მტრობაში სძვრებოდა სული და ეხლა დავიმძაკაცდა?

კნაპემ მტყუანი მოწაფესავით ჩაქნდრა თავი.

— იცი, მაგის სახლს საით აბია კარი?

კნაპემ მალულად გაიღიმა და თავი გაიქნია.

— მერე, შე საცოდაო, რას დადაუშალე სული და გული?

— რა მექნა! — მხრები აიჩეჩა.

— მაგის ტყლარჭია ცოლი ისე ჩაივლის, სასალმედაც არ მომხედავს ხოლმე.

— არა უშავს, ისიც მალე მოეგება გონს და თავის ფეხით მოგივა ბოდიშის მოსახდელად.

— შენ როდის მოეგები გონსა, თორემ იმათ დიდი ხანია ჰკუას დაუხმეს.

— მაგის დედაც ვატირე, ხომ დავაჩოქე! მარტო ევა ღირდა მილიონი, რომ ყელი გამოვაწინე! მაგითი სულ გავუქვითე, რაც მაგან თავის სიცოცხლეში გული მატკინა. შენა გგონია, აქ ყოფნისას ისიამოვნა რამე? მე ვიცი, ერთი სიკვდილი გაათავა ჯერ აქ მოსვლამდე და მერე თქმამდე.

— რა ნებადდა?

— ნიჩაბზე დაუსვიათ.

— მერე?

— მძახალთან მიმეგზავნეო.

— შენ რა უბასუხე?

— რას ვეტყვოდი, უნდა შეეაწიო ორიოდე სიტყვა.

— სულელი ხარ...

— რა ვქნა, შემეცოდა და... — გაცინა კნაპემ.

— ხომ გახსოვს მაგის „კაიკაცობა“?!

— მაგის ყოფაც ვატირე! ხომ ვერ ჩაუვიდა ფეხი! — ტრაბახობს კნაპე. — რახან ეგრე დაიმიტრა თავი და ჩემთან მოვიდა სათხოვნელად, უნდა დავეხმარო... ბოროტ კაცს რომ სიკეთის სიძლიერეს აჩვენებ, თვინიერდება.

— თუ უფრო ავდება!

— მართლა თუ გაავდა, მერე ვაჩვენებ ჩემს ბასრ კბილებსაც!

— ბავშვის ჰკუა გაქვს!

— ეგრეა და რა ვქნა!

ნაწყენმა მეუღლემ სუფრას აუმატა. ღვინით გახალისებულმა კნაპემ შვილიშვილი მიირჩევა მკერდზე, ფრთხილად აკოცა და თამაში დაუწყო.



გადაიფურცლა რამოდენიმე დღე.

კნაპეს გვიან გაღვიძებოდა.

— დილა მშვიდობისათ, ბიჭებო! — ხმაჩახლეჩით ესალმება.

— ვაღღერებოდა, კნაპე! — ხალისიანად ვაეპასუხებიან ბენზინის წერტთან მოფუსფუსე მძღოლები.

— ოჰ, ბატონ ლადოს ვახლავარ! — ხელსაც გაუწოდებს კნაპე.

ყარყარა ლადო საღამზე უგულოდ უბასუხებს და ძუნწად გამოიშვერს მობღუნძულ ტაშს.

— როგორ ვიკითხოთ, ბატონო ლადო?

ექსპლოატაციის უფროსი პასუხს სულაც არ აღირსებს და ბოხი ხმით საყვედურობს:

— სადა ხარ, კაცო?!

— აქა ვარ! — სიხალისეს არ კარგავს კნაპე.

— აბა, მზეს შეხედე! — მიახედებს ლადო.

— ოჰ, რა არის ეს დალოცვილი. ლამაზი ქალივით ეცინება...

მძღოლები იცინიან კნაპეს ხუმრობაზე. ლადო კი უფრო იღრუბლება.

— შრომის დისციპლინას შენ არ ემორჩილები?! — უწყრება.

— ეჰ, რა ვუყოთ, ბატონო ლადო, წუხელ ძაან გვიან დავწექი და დილის თავი ვეღარ დავაღწიე ლოგინისკენ.

— მე ვაგიფრთხე ძილი, თუ?! — ხმას უწევს ლადო.

— შენნაირმა კაი ბიჭებმა ვაგიფრთხეს. — ილიმება კნაპე. გვერდით გაიხედავს. ბიჭებს თვალს ჩაუკრავს და განაგრძობს, — სტუმრები მყვანდნენ და სტუმრების დალატს ცოლის დალატი მიირჩევნიან. მერე, ისეთი ხალხი მომიყვანა ჩემმა მძახალმა...

— კაი, კაცო! — თავისთვისღა ბუნუნებს ლადო და ზურგს შეაქცევს. კნაპე ებოდიშება.

— კნაპე! — ეძახიან ფანჯრიდან.

— ჰაო!

— უფროსთან! — ცერა თითით აჩვენებენ კაბინეტისაკენ.

კნაპე გაეჩქარება.

— მიდი იქა! თვითონ მოგივლის! — თავს იქნევს ლადო.

— შეიძლება? — კნაპე თამამად შეაღებს უფროსის კარს.

— მობრძანდი, კნაპე! — ფეხზე წამოუდგება დიმიტრი. ხელზეგაშლილი მიეგებება, თბილად მიესალმება. მოკითხვას დაასწრებს.

შინაურულად წაისაუბრნენ.

— რამდენი წელია, რაც საჭეს უზიხარ? — მოულოდნელად შეეკითხება უფროსი.

— რა ვიცი, რაც ჩემი თავი მახსოვს, — გადაჰპარბებს კნაპე.

დიმიტრი შეყოვნდება.

— სულ მძღოლად მუშაობ?

— უფროსობას ვინ მაღირსებდა.

— ეხლა უნდა დავაწინაუროთ!

კნაპეს უნებურად გაეცინება.

— რაზე?

— ყარყარა ლადოს ადგილას. ექსპლოატაციის უფროსად, — თან კისერწაგრძელებით შესცქერის. აინტერესებს: გაეხარდება თუ არაო.

პიორგი სოგუაშვილი

რეჟისორი და პინანჰილას არაპი

კნაპეზე სულაც არ უმოქმედია სასი-
ხარულო ამბავს და სიცილით ეუბნება:
— ოღონდაც მაგის ცოდოში ნუ ჩა-
მაყენებ და ისე ჩაგივლი, ვითომ უკვე
ვარ ექსპლოატაციის უფროსი.

— კაცო, რომ გეუბნები, დამიჯერე!
ცოდო მე დამედება, შენ კი არა.

კნაპე ხმას არ იღებს.

— რას იტყვი?

— ესე უცებ?!

— კარგა ხანია ჩაფიქრებული მაქვს.

კნაპე თავს გადაადგებს და გადმო-
აგდებს.

— ვერ გაუძღვები?

— გაძლოლით როგორ ვერ გავუძღვე-
ბი, მაგრამ...

— მაგრამ რაღა არის?

კნაპეს უჭირს პასუხის გაცემა.

— ხელფასი გაგიორკეცდება.

— ერთი, ხელფასის დედაც ვატირე!
ჭამამ რა ქნა, ლოკამ რა უნდა ქნასო.

— თუ პატარა მარიფათი გამოიჩინე,
ხომ იცი, რა ადვილია?!..

— საქმე სწორედ ეგ არის, რომ
ვაი, თუ ვერ გამოვიჩინო ის მარიფათი...

— აქ არა ვარ!..

კნაპე დუმს.

— შენ რაკი ჩემი ძმაკაცი ხარ და
ასეთი სიკეთე გამიწიე, იმიტომ მემეტე-
ბა, თორემ ეგ ისეთი ადვილია, ერთი
რომ დავამთქნარო, ასი კაცი გაიპრი-
ალებს ჩემებსა.

— ვინც გულით ნატრობს, ის გაახ-
რე. მე მირჩვენთან პატარა ლუკმა ვჭამო
და გემრიელი.

— ჰო, კარგი, თავს ნუ იღებ!

— მომეშვი, შენი ჭირიმე! — ეცი-
ნება კნაპეს.

— შენი მძახალიც ჩემი აზრისაა.
კნაპე ტუჩს იგრებს.

— ჰა, მითხარი, რას იტყვი! — ჩასცი-
ებია დიმიტრი.

კნაპე პასუხს ვერ ახერხებს.

— წადი, კარგად მოიფიქრე და ხვა-
ლვე შემატყობინე!

კნაპე ემშვიდობება.

დაფიქრებული ჩამოდის კიბეებზე.

— რაო, კნაპე?! — დაინტერესებუ-
ლან მძლოლები.

— ამ შობელძაღლმა არც ამხანაგო-
ბა იცის, არც ნათესაობა! — თავს არ-
ხევეს კნაპე.

— რა გითხრა ისეთი?!

— დაგვიანებისათვის გამლანძღა და
გამათრია! — ლაღოს გასაგონად უფრო
ამბობს.

ბიჭებს არა სჯერათ. ყარყარა ლაღო
კი ისევ აბუზღუნდება:

— დროზე მოდი ხოლმე, რაღა! ეხლა
მეც უნდა დამიძახოს და შენი გულის-
თვის გამლანძღოს.

კნაპე ქვეშქვეშად იცინის. ბიჭებს
თვალს ჩაუკრავს. იმათაც ამხიარულებს
და საღისპეტჩერო ფანჯარაში გადაყელ-
ყელავდება საგზურისათვის. გაწკრიალე-
ბული ტაქსი ელოდება. გვიან გაეა, მაგ-
რამ დღევანდელ გეგმას მაინც შეასრუ-
ლებს. ორიოდე დღის მერე კვლავ იხ-
მობს უფროსი.

— რა ქენი, კნაპე, მოიფიქრე?

— კი.

— გადახვალ ხომ ყარყარა ლაღოს
ადგილას?

— არა! — მტკიცედ ამბობს კნაპე.
უფროსს დიდად არა სწყენია.



ოქროს ფრინველი

1) მაძახური.

ოქროს ფრინველი!
იქ მინდა!

ღობე გადანგრეულია.

ცაცხვი გადარეულია.

მაინც იქ მინდა, მახარე.

ისე არაფერი მახარებს.

რადგან არაფერი მახარებს:

აღარც სათიბი და სამკალი.

აჰა, აიღე და დამკარი,

მიწას დამახალე საკრავი.

დამკალი.

საწყლები. როგორ ჰყვავილობენ ანწყლები.

იმათ ჰგონიათ გათავდა.

ჭრელი თამაში სამკალთა.

საწყლები.

მე კი სისხლიანი გაწვევები ხაროსთან,

მუხლებს ჩავიბან წყაროსთან,

ვიტყვი: გიხაროდენ,

რადგან მეახლა ფურცლობა.

მუჭში მიჭირავს თიბათვის კურცხალი,

ტურებში მიდგას ამბორი ღობილი,

ხელებს ვუფიცებ ბუნების ბრიალს.

გზა-გზა მიმყვება დიდინი გრძელი,

მაქვს ამართული ცხოველი ძელი,

ზედ ამოჭჭერი სიტყვები ძველი:

„ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი,

სამებისა სამნი დანი.

ვკრეფავთ წამლებს წამლისასა.

წითელი ქარისასა,

თეთრი ქარისასა.

ცისფერი ქარისასა...“.

თვალვებო ჩემო, ქარებს ფერი აქვთ.

გარდა იმისა, რომ ქარები მღერიან,

ქარებს ფერი აქვთ.

წითელი ქარი ამბობს: მე ვარ ყაყაჩო.

თეთრი ქარი ამბობს: მე არ დაგარჩენ.

ცისფერი ქარი ამბობს: მე კი მოგარჩენ.

გთხოვ დაიჯერო — ქარებს ფერი აქვთ.

არ დაიჯერებ? არაფერია.

მთავარი ისაა, მე დავიჯერე.

აღმა და ჩაღმა მამბრუნებს მერე.

მკლავებზე მამანებს მოზიდულ ისრებს.

მასიზმრებს, მასიზმრებს საყვარელ

სიზმრებს,

საწუთროს ჯამი მოაქვს გუგებთან,

მეჩურჩულება კარგს და უკეთურს.

ღმერთო, შენც ალბათ ვლიდი შიშველო.

გზაზე ვდგავარ და უნდა მიშველო.

დანიშნული ვარ, მაგრამ ბეჭედი

სხვამ შეიმშვენა. უნდა მიშველო.

რაკი მანახვე სიზმარი ჭრელი —

ხარ მოვალე და დამხურე ჭერი

რა საკვირველი,

ხმა საკვირველი

რაკი მასმინე უცხო ფრინველი,

ბერიკაცს ვკითხე — არაო!

დელაკაცს ვკითხე — არაო!

მხედარს აღვირში ვუტაცე მარჯვენა.

რად გამაჩრეო, — შემაჩვენა.

ბაღს ვკითხე ტიტველას:

რას მეკითხებით, იტირა.

მე მართო ბარტყები დავხოცეო.

მერე დამენანა, ვაკოცეო.

წითელი ქარებო,

თეთრო ქარებო,

ცისფერო ქარებო, ხელში ასაყვანო,

დიდია თქვენი სავალი, დიდია.

ცისა და მიწის გასაყართან

წალოში ყაყაჩო მინთია.

ამაყად შემსხდარნი ვერძებზე

მოვლენ. დახედავენ. მიდიან.

მე ვიცი, ისინიც ეძებენ,

იმიტომ მიდიან.

ყინვარი შაქარი უყრიათ უბეში,

მიდიან.

ქანვისფერ მიმინოს უხმობენ უხეშად,

მიდიან.

მე კი ხელისგულზე მიწერია,

ზედ ხელისგულზე მიწერია

გზები, ხეობები, ბილიკები.

მთვარის გავსებისას მირიგებენ,

მუხის ხმელ რტოებს მირიგებენ,

კეთილნი. მაცდურნი. ირიბები.


გუგებს მიხსნიან ძალისძალათი.
ყურში ჩამყვინიან მაძახურნი.
აჰა, სამყურათი სავსე კალათით,
აჰა, გეახლაო გაზაფხული.
აჰა, გრილი სუნთქვა იებისა.
აჰა, საწიერი ძიებისა.
ამას გეტყვი თქვენ: დგას რომელი თვე?
საით არის გადახრილი რქა?
თიბვან თუ მკა?
ან რას ამბობს სათვალავი მთვარისა —
ავდარისას? დარისას?
შეიძლება გამოღება კარისა?
სმა უმძრახი წყალისა?
ამას გკითხვით თქვენ.

რაკი მნათი ბრძანებს — კარგი პირი მივის,
უნდა დავდგე გზად.
ჩუმად, ჩუმად, უჩინარად მივალ,
ნუ, ნუ რეკავ ზარს.
ოღონდ ვუსტვენ, ნაღვლიანად ვუსტვენ,
იმაზე თუ როგორ ვიყავ ჩამარხული.
და უსიერ უტევანში
თავზე მადგა მაძახური.
გულში მერჭო დავიწყების ფხა,
მუხლზე მედო ოქროსფერი ფრთა.
და როს სულით ამოვყევი ქარს.
მიიდრიკა მთვარის თეთრი რქა...

2) ნახეს თუ არა ოქროს ფრინველი?

ვაჰ, საბრალონი:
იმათ ჰკონიათ, რომ ნახეს.
ალმა შეურუჯათ სახე.
იმათ კი ეგონათ — ნახეს.
ვაჰ, საბრალონი და ხელმოცარულნი,
გზებზე დაანთეს კოცონი, იყივლეს არული.
ჩაჯეგეს ბალახი, ენძელა.
დაკლეს თვალდაშრეტილი ვერძები.
ვაჰ, საბრალონი.

სიზმარი რა არი — არ ახსოვთ.
ცისკარი რა არი — არ ახსოვთ.
სიმღერა რა არი — არ ახსოვთ.
სიმღერა ფრთა არი — ეგეც არ ახსოვთ.
მხოლოდ შუბლები აქვთ კუშტი და მაგარი.
მხოლოდ შუბები აქვთ მალაღი.
როგორ ჩაჰქრობიათ ლამპარი.
როგორ გაჰქრობიათ ზღაპარი.
ვაჰ, საბრალონი.
ოდეს ციოდათ და შიოდათ, — მე მათთან
ვიყავი.

ფერწასულნი ვლოდენ შინიდან 
სიზმრებს ნახულობდნენ — მე მათთან
ვიყავი.

თქვას ვახარებდი — მე მათთან ვიყავი.
ზევით, ზვევით ვწვედი გამომშრალ
პატრუქებს.

სიტყვა იმედისა ვაჩუქე.
მათ კი დიდებისად მიეჩქარებათ.
უბეში უძვრებათ წყალწყალა ქარები;
უკან ვიხვე და არ ვეკარები.
დიდი ხანია არ ვეკარები,
რადგან დიდებისად მიეჩქარებათ.
ავჭოლე კარები.

დოქი დაცლილია.
ესელმწიფებათ და დამცინიან.
დგება მწიფობისთვე. დგება ღვინობისთვე.
მათთვის. მათებურად, მათი პირობითვე.
მე კი რაც ვაჩუქე, უკანვე ვართმევე.
ხანდახან სულისთვის დავუნთებ სანთლებს.
და მოსთვლილ ვენახში ვაბიჯებ ფრთხილად,
ქედნები, ჩემი ქედნები ფრთხიან.
რა ჩუმი თვეა...
რა ოქროსფერი ქარები ჰქრიან...
რა თითო-თითოდ ვუბერავ სანთლებს,
რომლებიც მათი სულისთვის ვანთე...

3) ვნახე თუ არა ოქროს ფრინველი?

რატომ მიწყრები?
შენ ალბათ პასუხს ელოდი დიდხანს,
მაგრამ მე უკან გიბრუნებ კითხვას
და სევდით ვამბობ: მე არ მინახავს!
ვნახე ტრიალით მსრბოლი მეწყერი,
აქ თვალის ფსკერზე ისევ მერწყევა.
მაგრამ იგი კი მე არ მინახავს.
გთხოვ მომიტევე. მე არ მინახავს.

ვნახე: თვოზე ჰყეფდნენ ძაღლები.
და რკო—რკობით თავშემკობილი
მწყემსნი სადგომის კარებს აღებდნენ.
მე არ მინახავს...

ვნახე ყვითელი, მშრალი ბორცვები
და ჩუმად მითხრეს: ის აქ მარხია.
ბორცვებს ბრჭყალებით თხრიდნენ
ბოცვრები,

მე დავიყვირე: მე არ მინახავს...
რატომ მიწყრები? —

დღით მთებში დამყავს გიგი კვიცები,
ლამით მაჯაზე მასკდება ძარღვი.
მცემს სისხლის სუნი — ტუბილი და მძაღე.
ფეხებთან მიწვეს ჯიუტი ძაღლი.
გთხოვ მაპატიო — მე არ მინახავს.
რა შეშართება. რა შეშართება?
სერზე მოდიან ჩემი დემრთები,
აწვევტილი აქვთ ქალამნის თასმა.
მწვანე ხელადით ნიაღვრებს ვასმევ
და მოწიწებით ვუკვანძავ თასმას.
მე არ მინახავს.
რიყეზე მაგდებს შუადღის ძილი.
მესმის შუბლთეთრა მოზერის ძახილი.
კისერზე მადევს ჯადოქრის მძივი
და მიბალახობს ჩემი ნახირი.
მე არ მინახავს.
გთხოვ მომიტეო: მე ვდგები ღამით,
როდესაც ღია სიჩუმე ბღაგის,
და ვარსკვლავიან ქვის და ქვის შუა
შრიალებს ქვიშა.
მაღალ სარკმელთან ვინ უჩინარი
არწვეს ჩინარებს?
ბალი ნარგიზის პირით მცინარებს,
რად წამომადე გულით მძინარე,
მე ხომ გითხარი — მე არ მინახავს.
შემხვდა პაწაწა მწვანე კალია.
და ნაცრისფერი ვრცელი მინდორი,
სად დღე-და ღამე ქარი უბერავს
და ნემსიწვერა ამოწვერილა.
მე კი ვჯიუტობ: მე არ მინახავს!
ტანში აქრჟოლებთ საყვარელ ბჟოლებს,
თეთრ ხეობებში ვიპოვე ბროლი.
ჩემს რუხ გოდოლებს ჩავუდგი მწკრივად,
წკრიალ-წკრიალით ჩამოდის წვიმა.
შემოვა ვინმე თაღების რიგით,
ხმას აღიმაღლებს: შენია იგი?...
ჩამიცურდება მუსლიდან წიგნი
და მკაცრად ვიტყვი: მე არ მინახავს!
კედლებზე მხოლოდ ვსატე ირმები.
ჩარჩოდ დავუდე ღია სირმები
და ვევედრები ჩემთან დარჩენას
და წინამსრბოლი მგონი მიჯერებს.
მგონი ღრთავაჩრილ კისერს მიჩვენებს,
რად ვეხვეწები ჩემთან დარჩენას?
მე ვერ მოვარჩენ. მე არ მინახავს.
მე შემიძლია მხოლოდ უბეში
ჩავიკრა ბაღდი. ვუსხრა ნუგეში.
ავუგო ქვიშის მაღალი სახლი,
ჩამოუუსხიბო იფნიდან სახრე.
ეს შემიძლია.

რაც მართალია, ბევრი ვეძიე
და მხოლოდ, მხოლოდ ეს შემიძლია.
მე უკანასკნელ გჯაზე გაყვევი
ქალიშვილს, ვისაც დაუწუნეს თმები
და მინდვრისფერი ჩააცვეს კაბა.
ბელტებზე ისხდნენ თეთრი დაღლები,
როგორც ბაღლები,
და უყვებოდნენ ერთმანეთს ამბავს —
უკანასკნელი გრძელი გზის ამბავს...
მაგრამ იგი კი მე არ მინახავს.
იმ გაღაგანზე, სადაც მე ვსივარ,
ამოტვიფრული ათასი მზეა.
და ფეხებმორთხებით, მკლავებშიშველი
სახეს მიჩვენებს შოთხვი, ცირცელი,
გამთენიისას რტოჩატყნელი
ჩემსკენ ბავშვივით მორბის ხეხილი...
მაგრამ იგი კი მე არ მინახავს...
ზოგჯერ მდინარის შესართავს ვტოვებ,
და აღმართული ვუსმობ, ვმტერდები,
იქ, ზეთისხილის მშვენეიერ რტოებს
ერთურთს სტაცებენ უხმო მტრედები,
წკრიალ-წკრიალით ჩამოდის წვიმა
და ჩემი ბროლის ქოლგები ბრწყინავს.
მაგრამ იგი კი მე არ მინახავს!
ბოლოსდაბოლოს უნდა გავთავდე,
მაგრამ მართალი ვიყავ ცათამდის,
როცა გითხარი — მე არ მინახავს.
ზოგჯერ ცისფერი ქარი მარხვედა,
ზოგჯერ მგლისფერი ქარით მმარხავდით,
მე მაინც ვამბობ: მე არ მინახავს!
შენ მაპატიე: როცა ვმარცხდები,
შენს დიდ ხსოვნაში როცა ვბაცდები,
თავს ვარსკვლავები დამბარბაცებენ
და თქროსფერად მიმხუის ტვინი, —
იქ, ოკეანის მოლიბრო ლექსში.
წვეს და ქანაობს გულგრილი ლექსი:
„ორი მოლუსკი ზოგჯერ ერთად კვდება
და ტირის.“
მე კი ათასი მოლუსკის ჯიბრზე
თეთრ სალიღეში მიხაკებს ვიბნევ,
ვყიდულობ წიგნებს. ვკითხულობ ლექსებს,
ბილიკებს ვიგნებ. ვავდივარ გზებზე.
სახეში მირტყამს მზე პირმცინარე,
ვუსტვენ ჩემს ბარტყებს, აღმით ვმდინარებ.
გმაღლობ: გაბედე.
გმაღლობ: მიბოძე.
ვიყავ. დავფერდდი.
მოვკვდი. ვიცოცხლებ.
...წკრიალ-წკრიალით ჩამოდის წვიმა
და ჩემი ბროლის ქოლგები ბრწყინავს.

რომიო და ჯულიეტა

მ ო თ ხ რ ბ ა

„სიყვარულო ჩემო, ოცნებავ ჩემო, სადა ხარ?“ — ჩურჩულებდა ქალი.

მზე გრძელი ტანით იწვა გარინდულ ზღვაზე და ზანტად ხუჭავდა თვალს. ზღვა გულგრილად და წყნარად ფშვინავდა კლდიან ნაპირთან და მშრალი შრი-ალით ხმაურობდა ზღვისპირა ტყე. ცის ნაზი ფერი მუქდებოდა, მკვრივდებოდა. მუქ სილურჯეში განაბული ქვეყანა მოლოდინით იდგა დასავლეთით აბრიალებულ ცეცხლის წინაშე, მზე იფერფლებოდა საკუთარ ალში, მზე ზღვით იგრილებდა ანაღვერდებულ ტანს. ციცინათელებად კრთოდნენ პატარა ტალღები და მარგალიტებად იფანტებოდნენ ეშვივით ამოჩრილ კლდეზე. კლდიანი ნაპირი ბრალდებდავით აბრუნებდა ქალის ძახილს: „სიყვარულო ჩემო, ოცნებავ ჩემო, სადა ხარ“, და ძახილი უნუგეზოდ ეხლებოდა ტყიან კონცხს, წვეტიან კლდეს, ვეება ლოდებს, რომლებსაც ჩუმი ბრაზით კბენდნენ ტალღები. ქალი იმედით შესცქეროდა მიწის ამ ნამსხვრევებს უკიდევანო ზღვაში, როგორც ბედად გადარჩენილი მგზავრი დაღუბული გემისა და ქალის ჩურჩული გოდებად იქცეოდა, უმწეო კვნესად, ისევე მორჩილად და გარდუვალად რომ იმსხვრეოდა ჯიუტ ლოდებზე, როგორც პატარა ტალღები უსაზღვრო ზღვისა. მზე ზღვაში ჩაქრა და ცის ვეება ხუფი მჭიდროდ დაეხურა ქვეყანას. სიჩუმე გამოიკეტა ცასა და მიწას შორის, სიჩუმე სვეტად ჩადგა ცასა და მიწას შორის. ქალი ეკიდებო-

და სიჩუმეს, ებრძოდა სიჩუმეს, ებრძოდა, კიოდა: „სიყვარულო ჩემო, ოცნებავ ჩემო, რატომ დამტოვე?“ მერე სიჩუმის სვეტს მთვარე ამოჰყვა, ვერცხლისფერი ნიაღვარი მოაწყდა ქვეყანას, ანთო ცივი ნათებით ზღვა, დაღუმებული ტყიდან იღუმალი ციმციმით გამოფრინდნენ სერაფიმები და გარინდებულ ზღვაში ჩააბეს ფერხული. მათი შიშველი, მოქნილი სხეულები ჩუმი როკვითა და თრთოლვით კრთოდნენ ვერცხლისფერ ჩანჩქერში, წრე გიჟური, ჩუმი ცეკვისა სულ იშლებოდა, იშლებოდა, იპყრობდა ყოველივეს. შიშისმომგვრელად აღევზნენ კლდეები, მუქი ნათება მათი აპარპალებულ მახვილებს ჰგავდა მორჩილი ზღვის თავზე, უმსგავსოდ დაიგრიხნენ, ათრთოლდნენ შრილა ხეები, ირწეოდნენ ვეება ფერხულში ჩაბმულები და სერაფიმების ლამაზი ტანები ციცინათელებად ჰკრთოდნენ მუქ სამყაროში, მგლოვიარე სულში. ქალს გაეშალა თმები, მთვარის სხივები გვირგვინად ჩაწნოდა მის ოქროსფერ თმას; ქალის თმაც ჩანჩქერსა ჰგავდა, ქალის თმა ცეცხლის ალს ჰგავდა, მისსავე სხეულს რომ მოსდებოდა და ჩირადნად ენთო უდაბურ მიწაზე. „სიყვარულო ჩემო, — ოცნებავ ჩემო, რატომ დამტოვე“. ეს მხოლოდ გამოძახილი იყო, გამოქვამულად ქცეული ქვეყნის კედლები რომ ირეკლავდნენ და ასგზის იმეორებდნენ:

„სიყვარულო ჩემო, სურვილო ჩემო, სადა ხარ“.

გული ივსებოდა, სივდებოდა ერთიანი გრძნობით, რომელსაც ეს უმწეო ძახილი ზადებდა. „სად ხარ? სად ხარ? სად ხარ?“ — უბრუნდებოდა ძახილი ქალს გასამკეცებელი, გაათქეცებული ძალით, სიტყვები თითქოს სივრცეში იზადებოდნენ, არც იზადებოდნენ, უბრალოდ ძლიერდებოდნენ ცასა და ხმელს შუა გახევებული ბეგრები, ერთდებოდნენ და იდგა ხმა ცასა და ხმელს შუა: „სურვილო ჩემო, ოცნება ჩემო, რად მიმატოვე“. და ეს ხმა ეხლებოდა კლდეებს, მიწას, ზღვას, როგორც გამეტებით ნატყორცნი ქვა, ყოველივე ხმაურობდა, ყოველივე იღვიძებდა უცნაური, მხოლოდ მისი საკუთარი კენესა-ყვირილით, ხოლო მოპასუხე არავინ იყო, მერე დადინჯდა ქვეყანა, დაწყნარდა, დადუმდა, მხოლოდ მისუსტებული მთვარის ფრთხილი სხივები-ღა წყრიალებდნენ ჩამუქებულ კლდეებზე და მოციმიციმე ტალღებზე. მხოლოდ იდუმალი, თვალწარმტაცი სული დაპქროდა, მოფრინავდა უსასრულობიდან და ყოვლისშემძლე ხელით მიერკეებოდა წარსულის სურათებს, კლდის ქიმზე ჩნდებოდა ვაჟის გამოკვეთილი სხეული, შიშველი და ღონით აღსავსე, ისე ხორციელი, რომ ქალი ხელს იშვერდა, მთელი არსებით მიილტვოდა ჩვენებისკენ, უმწეოდ, უძლურად ჰგოდებდა: „სიყვარულო ჩემო, სურვილო ჩემო, რად მიმატოვე“.

სასადილოს დარბაზის ერთი კედელი შუშისა იყო. აქედან ჩანდა დიდი, გადახუნებული და მახინჯი პარკი, პარკის კიდეზე მტვრიანი ქუჩა, ქუჩის გადაღმა ჭუჭუა, უფერული სახლები და ვრცელი წყალ-წყალა ცა. შუშის კედლის წინ ხედი უსიხარულო და, მიუხედავად სახლებისა, უდაბური იყო. მტვრიან ქუჩაზე გიყი იჯდა და კენჭაობდა. გიყს სიტყვ არ აწუხებდა, დიდხანს და გულმოდგინედ კენჭაობდა, სანამ ვიღაც ვამეღელმა ფეხის წვერით მტვერი არ

შეაყარა. იგი წამოხტა და ხელეღის ქნევა დაიწყო, ხოლო ვამეღელმა კი ზარმაცად ჩაიციინა და წავიდა გიყს მკრთხანს ისევ იქნევადა ხელეღს, მერე კი გაჩერდა და დალონდა, ალბათ იმ სასიამოვნო საქმიანობას იხსენებდა, რითაც აქამდე ერთობოდა, რაკი ვერ გაიხსენა, შემობრუნდა სასადილოსკენ და პარკში შემოვიდა. თვალი სასადილოს აბრწყვიანლებულ კედლისთვის არ მოუშორებია, ისე მოდიოდა. ერთი-ორჯერ წაიფორხილა კიდეც, მაგრამ არც შეჩერებულა და არც ძირს დაუხედავს. გაღმოჭრა პარკი და სასადილოს მიაღგა, თითქმის შუბლით დაეჯახა შუშის კედელს. უკმაყოფილოდ დაიდროჯა, თვალები მოიჩრდილა და სასადილოში შეიხედა. სასადილოს ვეებერთელა, უსინათლო დარბაზი თითქმის ცარიელი იყო და გიყს გაუხარდა მხოლოდ იმ ორი კაცის დანახვა, რომლებიც წყნარად შემოსხლოდნენ იქვე, კედელთან მიდგმულ მაგიდას. ერთი ახალგაზრდა იყო, მეორე — მოხუცი. ახალგაზრდა, იდაყვებზე დაყრდნობილი, ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა გიყს. მოხუცი ჭამით იყო გართული, ხოლო ისე გულმოდგინედ და მადიანად, თითქმის ხარბად ჭამდა, ისე დიდხანს ღეჭავდა ლუქმას, რომ საჭმელი ფაფას ემსგავსებოდა, პირში აღარც ეტეოდა და ტუჩ-ნიკაპს უსვრიდა. ერთიც არ აუხედავს ზევით, სანამ ჭამას არ მორჩა, გიყი კი სწორედ მას მიშტერებოდა. ბოლოს, როგორც იქნა მოხუცმაე აიხედა და ისიც შეაქცერდა გიყს. ერთხანს ასე იყვნენ. მერე მოხუცმა თითი დაუქნია, მოდიო. გიყმა არაფერი უბასუხა. მოხუცმა ანიშნა, მოდი ჭამეო. გიყმა ბრაზიანად გააქნია თავი, შეებრუნდა და ზურგით დადგა, თან ცას იახედა, ვითომ რაც მანდ ხდებოდა, სულაც არ მაინტერესებსო. მოხუცმა ჩაიციინა და ახალგაზრდას უთხრა: — არაფრის გულისთვის არ შემოვა. ახალგაზრდამ თავი დაუქნია, მერე

გურამ ხსირბლამაძე
რომიო და ჯულიანა

თქვა: — გაბრაზებულია და იმიტომ, ვილაც გამვლელმა მტვერი შეაყარა, ვითომ გაეხუმრა და გააბრაზა.

მოხუცმა ისევ ჩაიცინა: — არა, ბრაზი აღარ ახსოვს, ბრაზი სადღა ახსოვს, მაგრამ მაინც არ შემოვა. გიყებს ძლიერი ხასიათი აქვთ, იმიტომაც არიან გიყები — თუ რამე აიკვირებს, მორჩა და გათავდა, აღარ გადათქვამენ.

ახალგაზრდამ გაუღიმა, ისე კი არც უსმენდა მოხუცს, თავისას ფიქრობდა, არც ფიქრობდა, უბრალოდ გაირინდა სიჩუმეში, სასადილოს ვრცელ დარბაზს რომ ჩამოსწოლოდა, თავი კი მაინც დაუქნია მოხუცს, ხოლო ის მიხვდა, კვლავ ჩაიცინა და თქვა:

— რამ დაგაღონა, ჩემო რომეო.

— მე რომეო არა მქვია. — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ, მაგრამ მოხუცმა არ შეიმჩნია ეს მკვახე ტონი, უფრო სწორედ, არ მიიღო და სრულიად უღარდელად, მხიარულად და ცოტა ეშმაკურად გააგრძელა:

— რაო? სიყვარულმა ხომ არ გატეხა, ჩემო რომეო... ლამაზმა ხომ არ გამოგაქცია ამ ყრუ ქალაქში...

მოხუცმა თითქმის ნაღვლიანად შეხედა ახალგაზრდას, ნიღაბივით მოშორდა უხამსი სიმსუბუქე, ასე რომ აუწონოვებდა და უსიამო გავლენას ახდენდა მის ახალგაზრდა თანამესუფრეზე. — ასეთ ყრუ ქალაქებში გიყები ცხოვრებებს ახალისებენ. — უკვე სევდიანად თქვა მოხუცმა: — უმაგათოდ თვითონ გაგიყებოდნენ.

— მე რომეო არა მქვია. — გაიმეორა ახალგაზრდამ, მაგრამ მოხუცმა არც ახლა ათხოვა ყური, საკუთარმა აზრმა გაიტაცა, ჩააფიქრა. დაბნეულად მოიქეჯა ჯიბეები, გულისჯიბიდან ჩიბუხი და მძივებიანი ქისა ამოიღო, დინჯად და საქმიანად დატენა ჩიბუხი, გააჩაღა და გააბოლა. ხოლო ამასობაში გიყმა იქაურობა მოათვალიერა, ტანი ოდნავდაც არ შეუბრუნებია, ისე ატრიალებდა დიდ, ძვლიან თავს, მერე მოწყვეტით ჩაქდა (ახალგაზრდას ეგონა, დაეცაო), იქვე ჩაიკეცა, ზურგიით შუშის კედ-

ელს მიეყრდნო, მეჩხერი, ყვირილი თმით დაფარული თავი გამხდარ ბობუნი ხარგო და სადღაც განსუფიანდა. უხეში, უვარცხნელი თმა კისერთან გაარივით ებურძენებოდა და დიდ, გვერდზე გაჩრილ ყურებთან ერთად მკვეთრად აჩენდა კისრის სიწვრილეს. ჭუჭყიანი, წვრილი კისრის სქელი კანი საქონლის ქედს მიუგავდა. სასადილოსაგან მოშორებით საკმაოდ უცნაური სახლი იდგა, მაღალი, ჩუქურთმიანი აივნით, ჩუქურთმიანი კარ-ფანჯრითა და ნატიფ კედლებზე გახარებული ხვიარა მცენარეებით. ერთსართულიანი, მაგრამ მაღალი სახლი მთლად ჩაკეტილ-ჩარაზული იყო და ფართო, ბრმა ფანჯრები გაშმაგებით ირეკლავდნენ მზეს. ერთიანად ანთებული იყო ლამაზი ოაზისივით სახლი. ახალგაზრდას რაღაც გაახსენდა, გაახსენებჯერ ბუნდოვანი და შორეული იყო, მაგრამ სულში თბილი, სასიამოვნო გრძნობა შეერხა და თანდათან გაუძლიერდა. ახალგაზრდა გამოცოცხლდა, ხოლო მოხუცი უფიქროდ გასცქეროდა პარკს და მტვრიან შარას პარკის გადაღმა. მოხუცი ყურს უგდებდა თავის გულს და ცდილობდა როგორმე ამოეცხო ის სიცარიელე, რომელიც ასე უბოჭავდა სხეულს, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგო და მტკივნეული იყო. მოხუცი აკვირებულად ფიქრობდა: „ჭუჭმირიტად უძიროა ის სიცარიელე, ვეება ნაპრალივით რომ გარჩენილა ჩემში“. ბოლოს თქვა:

— მე რომ პოეტი ვყოფილიყავი, ჩემს ცხოვრებას აღწერდი და ახლა, როცა დავბერდი და სიცარიელე ტენის მიხრავს, მშვიდად დავჯდებოდი ბუხართან, ცეცხლს დავაგვიგოვებდი და ხმამაღლა წავუკითხავდი ჩემს მონაგარს. თუმცა, — თქვა მოხუცმა, — მონაგარი მე არა მყავს და პოეტიც არ ვყოფილვარ.

— პოეტი? — თქვა ახალგაზრდამ. — მე ვიცი, როგორ მოკვდა პოეტი. მე სიზმარში ვნახე, როგორ მოკვდა პოეტი.

— როგორ? — სწრაფად ჰკითხა მოხუცმა. ახალგაზრდამ უპასუხა:

— სიზმარში ვნახე, რამოდენიმეჯერ. ერთი და იგივე სიზმარი დიდი ხანი მესიზმრებოდა, — ახალგაზრდა გაჩუმდა და მზის სხივებით გაჩირალდნებულ სახლს მიაჩერდა. მოხუცმა აცალა, არაფერი თქვა, მხოლოდ ორჯერ მოქაჩა ჩიბუხი, კვამლში გაეხვია. ჩიბუხმა სიმყუდროვე შექმნა სუფრაზე, შინაურული ელფერი მისცა მათ საუბარს, მოხუცსაც ნამდვილი სახე მისცა, ისეთი, როგორიც მას შეეფერებოდა. ახალგაზრდამ გააგრძელა:

— ყველაფერი დიდ, ძალიან დიდ, უფანჯრო დარბაზში მოხდა, ბნელოდა, მაგრამ ოქროთი მოვარაყებულნი ჩუქურთმები ჩანდა. ჩუქურთმები მკრთალი სინათლით ბეჭეტავდნენ, სტალაქტიდებივით ეშვებოდნენ ჰერიდან... მთელი კედლები მოხატული იყო, ოღონდ ნახატები არ ჩანდა, მხოლოდ ბაცი, იღუმალი ფერები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. თუმცა, თითქოს ტყე ეხატა კედლებზე, დაბურული, საიდუმლოებით სავსე, ისეთი ვეება, რომ შიშისაგან ცდილობდი არც დაგენახა, ან სულაც არ გეგრძნო ეს ტყე, აქედან მოდიოდა ის სიჩუმე, მთელ დარბაზში რომ იდგა, ისეთი სიჩუმე, რომ ქუხილიც კი სადღაც დაიკარგა... პოეტი კედელთან იდგა, ოდნავ უკან გადახრილი, წელში გამართული, თავაწეული, ამაყი და მშვიდი. სპილო-ჩძვლისფერ, ნატიფ სახეს შავი კულულები გარს ევლებოდა. დიდი, შავი თვალები ნაზი, ალერსიანი ცეცხლით ენთო. რა ლამაზი თვალები ჰქონდა პოეტს — შავი, ხავერდოვანი, უძირო. თვალები ანათებდნენ იღუმალი, იმქვეყნიური ნათებით, აღფრთოვანება და უსაზღვრო სიყვარული ჩასდგომოდა თვალებში. მოპირდაპირე კედელთან მკვლეელი იდგა და მთლად გაფითრებულ იყო, ის გრძნობდა იმ რაღაც დიადს, რომლის უნებური მონაწილე გახდა ბრმა შემთხვევამ და შიშისა და მოლოდინისაგან მთლად ცახ-

ცახებდა. შიშისაგან ტანადი სხეულს ეკრუნჩხებოდა და სახე ეღრმავებოდა, ეს ორი ადამიანიც ნახატებსა მგვყდნენ — პოეტი განთავისუფლებული და ცად ატყორცნილი, ყოფიერების საიდუმლოებას ჩამწვდარი და აღზევებული, გულითადი მასპინძელი საშინელი, დიდი სტუმრისა, სიკვდილის, და მკვლეელი — ხორცის დაღრეჯილი მონა, წელში გატეხილი და ყადაღადადებული, ისე რომ თხელი, გაცვეთილი კანი არ უფარავდა თავის ქალას, წყვილი ბნელი თვალებით და დაკრეჭილი კბილებით. პოეტი ხედავდა დასასრულს, და ელოდა, ხოლო მკვლეელი კი აგვიანებდა, თრთოდა, შიში აჩლუნგებდა და აუძლურებდა, ბრმა იღბალი ყოველთვის სწყალობდა და სწორედ ამ სიბრმავეს ეშინოდა და უფრთხილდებოდა. მერე პოეტი ნელა დაიძრა და მკვლელისკენ გაემართა, ერთი ნაკვთიც არ შერხვია სახეზე, ოდნავაც არ დაუხრია თავი. მიუახლოვდა და გაჩერდა. მაშინ აგუგუნდა დარბაზი. აგუგუნდა ტყე და აბრღვიალდა სტალაქტიდები: „გიხაროდეს, — გუგუნებდა ყოველივე — გიხაროდეს“. უცებ გაილია ხმა. მკვლეელი სადღაც გაუჩინარდა. პოეტმა კიდეც ორი ნაბიჯი გადადგა. შეჩერდა. შემობრუნდა. ორიოდ წამი შეყოვნდა. უცებ გაიღო პატარა, ამხელა დარბაზისთვის შეუფერებელი, გახუნებული ცისფერი კარი, კვამლის ბოლქვი გამოვარდა, ცეცხლის ენა გამოვარდა და ისევ მიიკეტა კარი. პოეტი ერთხანს იდგა, შერს შესცქეროდა, მერე შეტორტმანდა, ფრთხილად ჩაიჩოქა და დარბაზი წყველიადში ჩაიძირა. გათავდა. — ახალგაზრდამ დაასრულა თხრობა, მასაც აღფრთოვანება ჩასდგომოდა თვალებში, სიყვარული. მოხუცი ჩიბუხის ტარს ღეჭავდა და გული მაღლიერებით ეგსებოდა. მოხუცი ფიქრობდა: „ამ სიზმარმა გონება გამიღვიძა და გამომაცოცხლა და ახლა თუ კიდევ მომავლება სი-

გურამ სხირტლაძე
რომიო და ჯულიეტა

ცარიელე, გავისხენებ, როგორ მოკვდა პოეტი“. მოხუცმა თქვა:

— მე რომ პოეტი ვყოფილიყავი, აუცილებლად ავწერდი ჩემს ცხოვრებას და ახლა ისე მარტო აღარ ვიქნებოდი. მე ჩემს ახალგაზრდობას აღწერიდი და ახლა ჩემი ახალგაზრდობა და სიბერე მეგობრები იქნებოდნენ. აი, ისეთი, მე და შენ რომ ვართ. — მოხუცის ამ სიტყვების მერე კარგა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ახალგაზრდა ისევ სახლს შეაქცერდა და ძალიან გაუკვირდა, როცა ნელა გაიღო მძიმე, თითქოს საშვილიშვილოდ ჩაეკტილი კარი, პირველად არც დაუჯერა თვალებს. კარი სანახევროდ გაიღო და გრძელი, ბნელი ნაპრალი გაუჩინა სახლს. მერე ამ ნაპრალში ბავშვის თავმა გამოანათა. ბავშვი, ალბათ, ცალი ხელით კარის სახელურს ეჭიდებოდა, რომელიც მისთვის მაღალი იყო, ხოლო მეორე ხელით მეორე კარს ეყრდნობოდა. ბავშვმა ფრთხილად გამოიხედა და ჯიუტი კიკინები გამოაჩინა, მერე კოპწია, წითელფეხსაცმლიანი ფეხი გადმოდგა და ასე გაჩერდა, თან ცალი ხელით თვალები მოიჩრდილა, მეორეთი კი ისევ ჩამოკიდებული იყო კარის სახელურზე. მერე სულ გამოვიდა, გულმოდგინედ და საქმიანად დაეჭიდა კარს, როგორც იქნა, დაძრა და როცა დარწმუნდა დაიკეტაო, გადაწყვეტილად შეაქცია ზურგი. ერთხანს გარემოს ეჩვეოდა, მერე სასადილოსკენ გამოემართა. გიჟი ერთთავად დაიძაბა, თუმცა კი მდგომარეობა არ შეუცვლია, ისევ ისე ჩაცუტქული იყო და თავაუწევლად, წარბებქვემოდან იტყირებოდა. გოგონა ექვსიოდე წლის იქნებოდა, ის შორიახლოს შეჩერდა და შიშნარევი ცნობისმოყვარეობით შეაჩერდა გიჟს. კარგა ხნის მერყეობის შემდეგ გოგონამ ტოტი მოსტეხა ბუჩქს და წრე შემოხაზა თავის გარშემო. გიჟმა მკვირცხლად გაადგინა თვალი გოგონას ნატიფ, მოქნილ მოძრაობას, მერე საჩვენებელი თითი ენით დაისველა და მანაც თავის წინ ნახევარწრე შემოხაზა. გოგონამ გაიცინა და

მსუბუქად ჩაიმუხლა, როგორც მსახიობი ქალები აკეთებენ მაღლობის ნიშნად. გიჟმა ხელები გაშალა და თავდათქნა, მოხუცს ნაღვლიანი და სასიამოვნო გრძობით გაევესო გული.

— შეხედე, — თქვა მოხუცმა, — აი ბედნიერი ხალხი. — ეს რომ თქვა, მოხუცმა, ისევ ის სიცარიელე დაუბრუნდა, აქამდე რომ ბოჭავდა, მაგრამ რამოდენიმე წამით ტალღასავით მოვარდა სიცარიელე, გადაიარა და წავიდა. ისევ გაევესო გული, ლაპარაკი მოუნდა. — შეხედე, შეხედე რა ყოფილა ჩვენი გიჟი. — გიჟი უცნაურად მოგრეხილიყო და ასკინკილათი გოგონას გარშემო დახტოდა. გოგონა იცინოდა.



არა, ჩემო მეგობარო, ახალგაზრდობა და სიბერე მეგობრები ვერ გახდებოდნენ, — ფიქრობდა მოხუცი, — იმიტომ, რომ ჩემთვის ახალგაზრდობა მტკივნეული მოგონებაა, ისეთივე უცხო და ზედმეტია, როგორც ფრჩხილში ჩარჩენილი ხიწვი. ამიტომ ჩამოიბერტყევე ფიქრები, უღადგილოდ რომ აგეშალა ტვინში და შემოიხვიე სიცარიელის საბანი, როგორც ბავშვობისას ემალებოდი სიბნელეში გარინდულ ჩვენებებს.

ბავშვობისას ლოგინი ჩვეული და მყუდრო სამყარო იყო, სადაც ვერაფერი უცხო ვერ შეაღწევდა, ახლა კი, ახლა ლოგინი შიშა მგვრის და მარტოობას მიათკეცებს. ის უსაზღვრო ქვეყანა, საოცნებო ქვეყანა, ჩემთან ერთად რომ ჩათბუნდებოდა და ტკბილად ჩაიძინებდა, ვაქრა. ახლა, ძილგატეხილი და მოსვენებადაკარგული მოუთმენლად ველოდები გათენებას და ვბორგავ, თითქოს ვებრძვი ღამეს. ღამე კი ხევდება, ტლანქად იბღინძება ზედ ცხვირწინ, კედლად დგას ჩემს გარშემო, უსივრცო და ბრტყელი. ბავშვობაში კი, ბავშვობაში ღამე ისე ღრმა და სავესე იყო, რომ თუ საბანს მჭიდროდ არ ამოიკეცავდი, ლოგინში გეძალდებოდა, გეხვეოდა და გიტაკებდა. მაშინაც გეშინოდა, ოღონდ მაშინ უსასრულობა და

იღუპალება გაშინებდა, მერე კი ცნობის-
მოყვარეობა ძალავდა შიშს, შენი გო-
ნება ტოვებდა სხელს და თავაწყვე-
ტილი დაჯირითობდა სამყაროში. მახ-
სოვს, — ფიქრობდა მოხუცი, — როგორ
არ მახსოვს ჩემი ბავშვობა და ახლა ეს
გახსენება მტკივნეული აღარაა.

აღბათ, ამასაც შეჩვევა სჭირდება.
მე კი არასოდეს, ჯერ არასოდეს არ
მიცვლია წარსულით მეცხოვრა. ეს პოე-
ტების საქმეა და ახლა, ამ სიბერეში
მეც პოეტი ვხდები, ეს უკვე კარგია. ეს
მართლა კარგია, — კმაყოფილად გაი-
მეორა მოხუცმა. — მე განსაკუთრებით
მზის ჩასვლა მიყვარდა. ეს — თუ ბუ-
ნების სიყვარულზე მიდგება საქმე, ისე
კი განსაკუთრებით არაფერს აღვუფრ-
თოვანებივარ. ეს იყო ჩემი ნაკლი, მე
წყნარი და ზომიერი ცხოვრება მიყვარ-
და. აღბათ თუ თავს ძალას დავატან,
ბევრი რამის გახსენება შემიძლია ისე-
თის, რომელიც არაჩვეულებრივიც იქ-
ნება და საინტერესოც.

მოხუცი უცხოსავით უსმენდა თავის
თავს, მთელი ტანით მიაწვა სკამის სა-
ზურგეს და ჭერს შეაკეპრდა. სასადი-
ლოს მაღალი და მოხატული ჭერი ჰქონ-
და, სალამურიანი ანგელოზები ღრუბ-
ლებში მიფრინავდნენ, სულ ოთხი ასე-
თი ანგელოზი ეხატა, თითო კუთხეში
თითო, ოთხზე ერთნაირი, მსუქნები და
გაყინულები. ჭერის შუაგულში ქალი
ეკიდა, ჭალს ეხანგი შეპარვოდა და
მტერის სქელი ფენა ედო.

საინტერესოა, — ფიქრობდა მოხუ-
ცი, — ეს ახალგაზრდა თუ იხსენებს რა-
იმეს. არა, აღბათ მომავალზე ფიქრობს,
ან ოცნებობს, ან, თუ პოეტია, ამბავს
ხეზავს, აღბათ, — მოხუცმა ჩაიცინა,
— რას ვადავეცილე ამ პოეტს.

შენ, შენ თუ გიფიქრია მომავალზე
ახალგაზრდობაში. აღარ მახსოვს, ღმერ-
თმანი აღარ მახსოვს. ჩემს ახალგაზრდო-
ბაში დღევანდელ დღეზე ზრუნვას ბევ-
რი დრო მიჰქონდა, მაშინაც კი, როცა
შეყვარებული ვიყავი. უფრო მეტად მა-
შინ, რადგან იმ დროს საერთოდ აღარა-
ფერს ვფიქრობდი. აღბათ ამიტომაც

იყო, ასე ადვილად რომ გადავიტანე გარ-
შორება.

— ადვილად? — თითქმის დასწყვი-
რა მოხუცმა. — შენ გგონია, ადვილად
გადაიტანე, ახლა ასე გგონია, არა,
მიხრწნილო, ცრუ ბებერო.

ნუ, ნუ ბრაზობ და კარგად გაიხსე-
ნე. დამშვიდდი და კარგად გაიხსენე,
შენ ხომ ყოველთვის გიყვარდა წესრიგი,
რომ ყველაფერი ზომიერად და მშვი-
დად ყოფილიყო. მართალია, მაშინ ად-
ვილად მოხდა ყველაფერი. ძნელი მერე
იყო, კარგახნის მერე. მაშინ კი ყველა-
ფერი მოგვარდა — ჩვეულებრივად და
მშვიდად. პატიოსნად, რაც მთავარია.

არც ერთმა ჩვენთაგანმა იოტისოდე-
ნი არ დათმო. ეს ასეც უნდა ყოფილი-
ყო, მეც ასე მწამდა და მასაც ასე სწამ-
და. კაცი და ქალი — ეს ორი ისეთი დე-
ტალი იყო, რომლებიც უნაკლოდ უნდა
მორგებოდა ერთიმეორეს, ორი ერთად
ქცეულიყო, ასე ვიცოდით ჩვენ და ამი-
ტომაც გვიკვირდა, უფრო სწორედ გვა-
ბნევდა და გვანცვიფრებდა გაუზიარე-
ბელი, ცალმხრივი სიყვარული...

ახალგაზრდამ თქვა: — თქვენ თუ წი-
ნაღმდები არ იქნებით, ღვინოს მოვა-
ტანივთ.

— ღვინო? — გაუხარდა მოხუცს.
— შესანიშნავი აზრია. ჰეი, მასპინძელო,
— გასძახა მოხუცმა, — ღვინო მოგვი-
ტანე, სულ ერთია როგორი, ოღონდ
ტკბილი არ იყოს.

— ახლავე, ბატონო — მოისმა სად-
ღაც სიღრმიდან და მართლაც მაშინვე
მოარბენინა ბიჭმა ორი ბოთლი ღვინო.
ღვინო ქარვისფერი იყო, ცივი და ჭიქე-
ბი დაორთქლა, როცა დალიეს, სასი-
მოვნო სიგრილე ჩაიტანა სხელუში.

— ყრუ, ძალიან ყრუ ქალაქია,
— თქვა მოხუცმა, — ეს საწყლები
კვირაში სულ შვიდ ბოთლ ღვინოს თუ
გაყიდნიან, სულ ასე ცარიელია ეს ამ-
ხელა დარბაზი.

უბრალოდ, შენ მაშინ შეურაცხყო-

გურამ ხხიტლაძე
რომიო და ჯულიეტა

ფილი იყავი, იმდენად შეურაცხყოფილი იყავი, რომ გიხაროდა კიდევ განშორება, ეს შენი შურისძიებაც კი იყო, ასეც ამბობდი გუნებაში, სწორედ გუნებაში და ალბათ, ეშმაკურად ხელებსაც კი იფშენებდი. სწორეა, ასე ვფიქრობდი მაშინ. ახლა, ახლა როგორღა ფიქრობ. ახლა?

— როგორ ფიქრობ, ჩემო რომეო, სიყვარულში რაა მთავარი? — თითქმის მხიარულად იკითხა მოხუცმა. — აი, მე ახლა მაგაზე ვფიქრობდი და ვერაფერი რიგიანი ვერ მოვიფიქრე.

— ეგ თქვენ უნდა იცოდეთ, — თქვა ახალგაზრდამ.

კი მაგრამ, რატომ იყავი შეურაცხყოფილი. როგორ თუ რატომ! უთვალავი მიზეზის გამო. არა, არავითარი უთვალავი მიზეზი არ იყო. უბრალოდ, შენ ამ სიყვარულს როგორც მოძრავ ქონებას, ისე უყურებდი. როგორც მოძრავ ქონებას. სწორედ, როგორც მოძრავ ქონებას და ანდერძი რომ დაგეწერა... ეს უკვე მტკნარი სისულელეა. მე პატარა ბიჭივით ავცუნდრუჯდი ახლა, იმიტომ, რომ არასოდეს არ მესმოდა, რაა სიყვარულში მთავარი. თუმცა ვინ იცის, სად რაა მთავარი. მსხვერპლი! აი, რაა მთავარი. მსხვერპლის გაღება. მე ამაზე არასოდეს მიფიქრია.

— ვიცი, — თქვა მოხუცმა. — და შენც მინდა იცოდე. მსხვერპლის გაღება უნდა შეგეძლოს. აი, რა.

ახალგაზრდამ მაშინვე უპასუხა:

— ეგ კარგი, მაგრამ ვთქვით მსხვერპლი გაიღე, ხოლო იმანაც გაიღო მსხვერპლი და შენი მსხვერპლი არ მიიღო, მერე რა?

— მერე, ის, რომ... რომ შემეძლოს, მოგიგრეხდი მაგ გასიებულ თავს, მოვიგრეხდი და ხერხემალზე ცხვირს დაგარტყმევინებდი. აი, ასე გიზამდი. შენ იცი, რას ნიშნავს მსხვერპლის გაღება? იცი თუ არა? არ იცი.

არა, არ იცი. მე ვიცი. მე ერთხელ სისხლი მივეცი ჩემს მეგობარს. საკუთარი სისხლი. მაშინ მე ვხედავდი, როგორ გადადიოდა ჩემი სხეულიდან მის

სხეულში ჩემი სისხლი, სიტყვების წყარო, წვეთ-წვეთად, ხელიდან ხელში, ხოლო სისხლის მაგივრად სული მეგობარს სიამაყით და სიყვარულით, ყელში მაწვებოდა და მამბრუებდა და ვიწმინდებოდი, ვსუფთავდებოდი. მერე კი, როცა ჩემი მეგობარი მორჩა, ხშირად ვხვდებოდი ერთმანეთს და ყოველ შეხვედრაზე ისევ ისე მეგვებოდა სული სიყვარულითა და სიამაყით. ხოლო როცა დრო გავიდა და ჩემი მეგობარი მოკვდა, მეც მასთან ერთად მოკვდი. აი, ასე იყო, უბრალოდ და მარტივად. ი, როგორ მახსოვს, როგორ თავისუფლდებოდა სხეული მაშინ, როცა წვეთ-წვეთად გადადიოდა ჩემი სისხლი მის სხეულში, როგორ იბინდებოდა, ინისლებოდა გონება, თითქოს ფრთხილად, ფრთხილად ასვენებდა ვიღაც ჩემს სულს ფაფუკ ღრუბელზე, ლაყვარდ სივრცეში. აი, ასე იყო. უბრალოდ და მარტივად. — მოხუცმა მწყურალად გახედა ახალგაზრდას. ის კი ღვინოს წრუპავდა და გარეთ იცქირებოდა, ხოლო გარეთ, შუშის კედლის გადაღმა გიჟი და ბავშვი თავდავიწყებით თამაშობდნენ. პატარა ჩრდილში გოგონა იღვა და ხელმძღვანელობდა, გიჟს ქვები და აგურები მოჰქონდა იქვე, კედელთან რომ ეყარა უწესრიგოდ, და გოგონას გარშემო კედლებს ამენებდა. ხანგამოშვებით გოგონა ტუქსავდა ხოლმე, ბუნჩულა თითს უქნევდა და ტუჩებს იბზუებდა. გიჟი აღფრთოვანებული ღიმილით უქნევდა თავს, ფაცი-ფუცობდა და რაც შეეძლო ცდილობდა გამოეხატა მორჩილება. მოხუცი ჩიბუხს აბოლებდა და მთლად კვამლში გაეხვია. ცისფერი კვამლი სქელ ბოლქვებად მიიზლანებოდა ჭერისკენ. სიჩუმე ახალგაზრდამ დაარღვია:

— დღეს სიწყნარეა, გუშინ კი დიდი ამბავი იყო ქალაქში.

— გუშინ მაწანწალა ძაღლებს დასდევდნენ და იმიტომ, — თქვა მოხუცმა. — რალაც ზეიმივით იყო, პლაკატებიც კი გამოფინეს ქუჩებში, ზოგმა, ვისაც დროშა ჰქონდა, ისიც კი გამოიკიდა.

ყოველ შემთხვევისათვის, რას იზამ, რამეთი უნდა გაერთოს კაცი, ისე არ შეუძლია.

— გუშინ სიცოცხლე დუღდა ამ ქალაქში, — თქვა ახალგაზრდამ. — განსაკუთრებით მაშინ, სამი თოფიანი კაცი რომ დანახეს, რომლებიც ამაყად მობიჯებდნენ და მოსწრებული, ვაჟკაცური შაირებით ამხიარულებდნენ საზოგადოებას. სწორედ ამ დროს უდარდელად ჩაიციუნტულა ყვითელმა, ჭუჭყიანმა ძაღლმა, პატარა და გამხდარი იყო ის უბედური, ალბათ საჭმელს ეძებდა და აქეთკენ, სასადილოსკენ მობრბოდა. ატყდა ერთი კიჟინი და სტვენა, ყველამ ერთიანად შემოუტია, ძაღლი პირველად ვერ მიხვდა, ისე დარწმუნებული იყო თავის არარობაში, რომ რას წარმოიდგენდა, თუ ამდენი ხალხი მისთვის მოიცილიდა. ერთ-ერთმა სამთაგანმა ბრძანებით შესძახა: — „ჩვენს წინ არავინ წავიდეს“ — რაც დროული იყო, რადგან რამოდენიმე ქვების სროლა დაიწყო, ხოლო ზოგი კი, გრძნობას აყოლილები წინ გახტნენ, ხელების ქნევითა და ყვირილით გამოედევნენ და თოფიანებს ჩამოეფარნენ. პირველი ქვა და მეორეც აცდა ძაღლს, მესამე კი ფერღში მოხვდა, მაგრამ ძაღლი ამას ჩვეული იყო და მაინცდამაინც არ შეუშინებია, ისე, ვალის მოსახდელად წამოიყმუვლა, კუდი ამოიძუა და გაიქცა, არც გაიქცა, უბრალოდ ძუნძულით გაცლა დააპირა, ამასობაში თოფიანები დაწინაურდნენ, ერთ-ერთმა შესავალისთვის სხვათა შორის გაისროლა, დაუმისწვნლად დაცალა თოფი. ამას აღარ ელოდა ძაღლი. შიშისაგან ჩაიკეცა, საწყლად ამოიკვნესა და უმწეო ღრენით გამოხედა ხალხს.

— „დახტრა, დაიჭრა“, — გაისმა მღერებში. — „არა, კაცო, ჰაერში ისროლა“, — დაიძახა ვიღაცამ. ძაღლი მალე მოვიდა გონს, წამოხტა და ახლა კი გაიქცა. კიჟინი და სტვენა გაორკმცდა. უკლებლივ ყველა დაედევნა, ძაღლმა შიშისაგან გონება დაკარგა, მოსახვევთან უცებ გაჩერდა, უკან გამობრუნდა,

ისევ გაჩერდა, ერთ ადგილას დაბზინა ალდა და ისევ გაიქცა. პარკამდე მიადგინა, ღობემდე, ღობეს ვერ გადაადრწია იქით, გზისკენ გაიქცა, მაგრამ იქ უკვე მისწრო ხალხმა, ისევ აქეთ გამოიქცა, გზადაგზა ღობეში გაძრომას ლამობდა. ამ ყოფაში რომ იყო რამოდენიმეჯერ ესროლეს, ყოველ სროლაზე ჩაიკეცებოდა ხოლმე, წამოიყმუვლებდა და ღრენით გამოიხედავდა, მერე ისევ დაფაცურდებოდა თავბრუდასხმულივით, ერთ-ორჯერ, გაძრომა რომ ვერ მოახერხა, ღობეს უკბინა ვააფთრებით. ხალხი ამბობდა: — „მართლა ძაღლის ბედით, რომ ამბობენ, ამდენი ესროლეს და ტყვია არა და არ ლებულობს“. — მაგრამ ამის თქმა და ძაღლის დაჭრა ერთი იყო, უცნაურად უცებ გაწყდა წელში, დაეცა, წამოდგომა დააპირა, წელი ველარ აითრია, თუმცა წინა თათებზე გასწორდა და ცოტაზე გახიზნდა კიდევ. კიდევ მოხვდა ნასროლი ტყვია, მაგრამ აღარ დაცემულა, საწყალს წაკეწკავი გაბმულ ყმუილში გადაუვიდა, მეორე ბეჭის ზევით, კისერთან მოხვდა და სისხლის ლაქა დააჩნდა ყვითელ ბეჭზე. ლაქა სწრაფად დიდდებოდა. ერთ-ერთმა თოფიანთაგანმა თქვა: — „ეყოფა“, „ეყოფაო“, — დაეთანხმნენ სხვებიც. ერთ-ერთმა მაინც ესროლა კიდევ, ვიღაცამ ქვაც მიაყოლა და ძაღლმა ყმუილით უპასუხა, რომელიც ამ დროისთვის მოსუსტდა. „ბარემ მოვკლათ, კაცო“, — თქვა ვიღაც კეთილმა, მაგრამ ამ დროს სხვამ დაიყვირა „ძაღლიო“ და ყველამ ერთიანად იბრუნა პირი. დაჭრილი ძაღლი ზედ მზისგულზე ეგდო, აღარ ყმუოდა, მხოლოდ ხანდახან წამოიკვნესებდა ხოლმე, წამოდგომა სცადა მაგრამ ვერ შესძლო და უღონოდ გადაადგო თავი. დაღებული ხანდიან სისხლი სდიოდა. მე რომ მივუახლოვდი, ზედა ტუჩი ბრაზიანად აუთრთოლდა. — ახალგაზრდა გაჩუმდა, მერე კიდევ რაღაცის თქმა დააპირა,

გურამ სხირტლაძე
რომიო და ჯულიეტა

მაგრამ გადაიფიქრა და რატომღაც ჯიუტად გააქნია თავი, ხოლო მოხუცს ჩიბუხი ჩაქრობოდა, გაღვივებას ცდილობდა, მერე, რაკი ვერ შესძლო, დაბერტყა, და ნაცარი ჩამოყარა, რაღაც ჩაილაპარაკა, ისევ დატენა, მხოლოდ აღარ მოუკიდებია, ისე დაიჭირა ხელში და თქვა:

— ეგ ძალი ამ დილით გადაათრის პარკიდან. კიდევ ცოცხალი იყო. სანამ ქვით არ დაუჩეჩქვეს თავი, არ მოკვდა. — მოხუცმა ფაქტი აღნიშნა და ახალგაზრდამ გაიფიქრა: „ესე იგი, დილამდე უწვავია, დილით ქვით დაუჩეჩქვეს თავი და არაქათამოლეული ალბათ, აღარც ყმუოდა. შეიძლება სიამოვნება და კიდევ, როგორც მაწამებელი კბილის დაჩეჩქვა გინდება ხოლმე“. — მოხუცმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და ნელა, სვენებ-სვენებით ამოისუნთქა, სიცარიელემ ისევ ისე ტალღად გადაუარა. მერე გაავრძელა: — შენ მთავარი მითხარი, ჩემო, თორემ მაწანწალა ძაღლები ცნობილი ამბავია. მაწანწალა ძაღლები სიცხეში ცოფდებიან და ამიტომ ანადგურებს მათ ხალხი. ეს ასე უნდა იყოს და ასეცა... — მოხუცი ერთხანს ჩაფიქრდა, მერე კი შეთქმულივით იკითხა: — გამოთქეცი, არა?

ახალგაზრდა დაიბნა: — რა? რას ბრძანებთ? — მერე მიხვდა და შუბლშეკვრით უპასუხა: — რას უნდა გამოვქცეოდი? არსაიდანაც არ გამოვქცეულვარ.

— მართალი ხარ, მართალი, — კმაყოფილებით დაეთანხმა მოხუცი, — საკუთარ თავს ვერსად ვერ გაექცევი.



ასეა, — ფიქრობდა მოხუცი, — საკუთარ თავს ვერ გაექცევი. ეს ის ნავსაყუდელია, რომელზეც სქელი, მძიმე ჯაჭვითა ხარ მიბმული და ყოველ ცდაზე ჯაჭვი მძიმედ, მტკივნეულად ძღრიალებს, მოკლდება. მერე კი დრო რომ გადის, ეშმაკდები, ფრთხილი ხდები და აღარ ბორგავ, გეშინია ტკივილის და იმისიც, რაც ჯაჭვის გაწყვეტის მერე

მოგელის, ამიტომ მშვიდდები და შენ ბრუნდები, საკუთარ თავში ექვს გზის, ფრთხილად მიჰყვები წვრილ-წვრილ ბილიკებს, რომლებიც ერთმანეთს ერწყმიან, ფართოვდებიან და ბოლოს ერთ დიდ შარად მიედინებიან დასაწყისისაკენ, რომელიც უსასრულობაში იღებს სათავეს, იქ, სადაც დასასრულია. და ეს თუ ასეა, თუ დასაწყისი დასასრულთან იღებს სათავეს აღარც ერთი აღარ ყოფილა ან, ერთი მეორე ყოფილა, ერთი არსის ორი მხარე, დაუწყებელი და დაუმთავრებელი, როგორც ბგერა სამყაროში გაჭრილი, როგორც სხივი სამყაროში, გაჭრილი, ცხრაგზის არეკლილი და განმეორებული, როგორც სიტყვა, რომელიც იყო პირველი, იყო ღმერთთან და თვით სიტყვა იგი იყო ღმერთი.

გაიხსენე, — ფიქრობდა მოხუცი, — ის საღამო გაიხსენე, ის მშვენიერი საღამო, როცა გრძელი ავდრის შემდეგ ღრუბლებს ქვემოდან ამოიხედა მზემ და ათასფრად აანთო ცა. მზე ზღაპრული ჭაღვივით ეკიდა სავსე ცაზე. ცა მზის ირგვლივ დაწმენდილიყო, გაკრიალებულიყო და ცისკიდურზე გრძელ დერეფნად გაშლილიყო კამკამა, ლურჯ-ვარდისფერი ზოლი, ლურჯ-ვარდისფერი იშლებოდა გვერდებზე, ფენა-ფენად დალაგებულ ღრუბლებზე, ენით უთქმელ ფერებად იმსხვრეოდა, ხოლო ბოლოში, სადაც თხელი, შორეული ღრუბელი იფხრიწებოდა, ყვითლად კაშკაშებდა. მზე მალე ჩავიდა მაშინ, მაგრამ ის დიდი საღამო დიდხანს მღეროდა შენს სულში. მერე კი, როცა ვიჭირდა და საკუთარ თავს გაურბოდი, შეეყვარებული ყმაწვილივით დარაჯობდი დაისებეს, მაგრამ ის საღამო აღარ განმეორებულა.

არც ის ღამე განმეორებულა, როდესაც ცა დღემად მოვარდა ქვეყანაზე, ხოლო შენ კი მარტო იყავი, სულ მარტო იყავი ცასა და ქვეყანას შუა, შენც ერთადერთი და განუმეორებელი, როგორც ის დიდი საღამო და როგორც ის გააფთრებული სტიქიონი და მაშინ

ნაც შენს სულში გრიალებდა გამარჯვების ნალარა, მერე კი გალუმპული და დაქანცული, უმწეო ბავშვივით ეფიცებოდი ცეცხლს, ინაზებოდი და ითენთებოდი, იწურებოდი ცასთან ერთად და რულმორეული ზანტად ითვლიდი წვეთებს, იშვიათად და მძიმედ რომ წკაპუნებდნენ შენს ფანჯარასთან.

მერე? კიდევ გაიხსენე, კიდევ გაიხსენე გრძელი, უფერო და უსახო დღეების რიგი, ისეთივე, როგორც შენი სიყვარული იყო — ყალბი და რუხი. ნუთუ ერთხელ მაინც არ აჯანყებულა სული? ნუთუ არც ერთხელ? ისე გათავდა და გაილია, შფოთის სიმწვავე, სიძულვილის სიტკბოც კი არ გიგრძენია და საკუთარ სოროში ჩამძვრალი მხდალად აკყეტდი თვალებს, როცა ფრთხილი ნიავიც კი ოდნავ აგიშლიდა დატბორებულ ფსკერს.

— დავლიოთ, ჩემო მეგობარო, — თქვა მოხუცმა. ახალგაზრდამ ღვინო ჩამოასხა და დალიეს. ღვინო შემთბარიყო.

— ჰეი, მასპინძელო, — გასძახა მოხუცმა, — ღვინო გამოგვიცვალე; გათბა, — მერე ისევ ახალგაზრდას მიუბრუნდა — გამოქცევაზე მე ისე გითხარი, გეხუმრე, ნუ გეწყინება.

— მე არა მწყენია, — თქვა ახალგაზრდამ, — უბრალოდ ვერ გავიგე. რადაცაზე ვფიქრობდი და ვერ მივხვდი, რას მეკითხებოდით.

მაშ ასე, — ფიქრობდა მოხუცი, — ახლა დაებერდი და მარტო დავრჩი, ხოლო მე კი სიმარტოვის მეშინია, ძალა არ მყოფნის იმისათვის, სიმარტოვეს რომ შევებრძოლო, შეველა კი არსაიდან ჩანს. სხვა მოხუცები შვილიშვილებს იკრიბავენ გარშემო, ათას ტყუილ-მართალს უყვებიან, ტკბილეულით უმასპინძლებიან და ასე მიათრევენ წუთისოფელს. ასეთი უნდა იყოს დასასრული, მაგრამ, ალბათ, ამასაც მოწოდება სჭირდება. როგორც პოეტობას, ალბათ. მე კი არ მქონია ეგ ნიჭი. იმი-სათვის, რომ აქამდე მომეტანა ჩემი ცხოვრება, ჩემი სული საკმაოდ დატ-

ბორილი და დაბინძურებული იყო. ახლა კი მარტოობაა ჩემი ხვედრითობა.

ეგრეა კი? თუ ახლა, როცა ფიქრის დრო მოგეცა, მხოლოდ ახლა მიხვდი მაგას. — ეგეც გაიხსენე, იქნებ გაიხსენო ის მოკლე დრო შენს ცხოვრებაში, როცა უცებ თითქოს მორევმა გაგიტაცა, აი, იმ დღიდან მოყოლებული, როცა ერთ მყრალ ქალაქში, ბინძური ბაზრის კარიბჭესთან პატარა ქალს შეხვდი. პატარა ქალი მიწაზე იჯდა და გულგრილ პალტოში გახვეული, თუმცა პალტოს ჩაცმა ჯერ აღრე იყო, და ხელში ძუძუმწოვარა ბავშვი ეჭირა, იმდენად მოულოდნელი იყო პატარა ქალის ნათელი, მშვენიერი და წყნარი სახე აღმოსავლური ბაზრის კარიბჭესთან, რომ განცვიფრებამ და აღფრთოვანებამ ფეხი შემოიკრა და გამაშეშა. მე ვიდექი და ცოტა დარცხვენილი ვუთვალთვალედი, ხოლო გარშემო აუტანელი ორომტრიალი იდგა, პატარა ქალი ყოველივესაგან განცალკევებული მშვიდად იჯდა, დროდადრო პალტოს კალთებს შემოუჟეცავდა ბავშვს, ფრთხილად ვაარწევდა და სივრცეს გასცქეროდა. არაფერს არ ელოდა ქალი, არაფერს არ უყურებდა. მერე, ცოტა დრო რომ გავიდა, გულისპირი გაიხსნა, საგვე, მსუყე ძუძუ გაიშინებდა და ბავშვს მიაწოდა, მაშინ ბავშვის პატარა თავიც გამოჩინდა, ვარდისფერი, გაბიტყინებული ლოყები და მსუქანი ტუჩები. ბავშვი ხარბად დაეწაფა ძუძუს. ეს სურათი იმდენად განყენებული იყო ყველაფრისგან, რომ ცნობისმოყვარეობამ ერთთავად ამიტაცა და მთელი ჩემი. დადგენილი წეს-ჩვეულებები დამავიწყდა. მე მივუახლოვდი პატარა ქალს, ჩემი ჩრდილი მის ფერხითთ გაწვა და ქალმა ამომხედა, მშვიდად ამომაპყრო ფართო, უძირო ზღვისფერი თვალები, მე მის გვერდით ჩაცეუქქიდი, ხოლო პატარა ქალს თვალი არ მოუშორებია ჩემთვის,

პურამ სხირტლაძე
რომი და ჯაულიბა

ოდნავადაც არ შერხეულა, მხოლოდ მი-
სი მზერა ჩამომყვა ქვევით და ჩემთან
ერთად გაჩერდა. ბავშვი ძუძუს წოვდა,
ქალის მთელ არსებას ნეტარება დაუფ-
ლებოდა, ნეტარებით უთრთოდა სავსე,
წითელი ტუჩები. მე ვთქვი: „ჯანრთე-
ლი ბავშვი“. ქალმა არაფერი მიპასუხა,
არც მზერა შესცვლია. ასე ვიჯექი ერ-
თიანად მის მზერაში გახვეული, ჩათ-
ბუნებული. მერე ბავშვმა მოათავა ძუ-
ძუს წოვა და მოუსვენრად აცმუტა თა-
ვი, ერთთავად დაიჭიმა, არტახების შე-
ხსნა მოინდომა და ჭირვეულად წამოი-
ღნავლა. პატარა ქალმა სათუთად დაარ-
წია, „ა-ა“ თქვა, მერე ეს ერთი ბგერა
გააგრძელა და გააძლიერა. ღვთიური ხმა
ჰქონდა, მშვიდი, ხავერდოვანი. გარშე-
მომ ყოველივემ დაჰკარგა არსებობა,
ყველაფერი გაშეშდა, გაირინდა ამ
ხმის წინაშე. ჩემს სულში სხვა აღარა-
ფერი არსებობდა ამ ხატების მეტი,
ამ მშვიდი, მომთენთავი გალობის მეტი,
ამ უძირო, ყოვლისმომცველი თვალე-
ბის მეტი, რომლებიც სივრცეს გას-
ცქეროდნენ და უჩვეულო სიბრტე აფ-
რქვევდნენ ირგვლივ... ქალის გვერდით
მოხუცი გაჩერდა, სადავით ყურბანტუ-
რა, შავთვალა ვირი ეჭირა, მოხუცი და-
იხარა და ქალს ბავშვი გამოართვა, რო-
მელსაც უმანკო ძილი დაუფლებოდა.
როცა ქალი წამოდგა, მოხუცი მიეხმა-
რა და ვირზე შესვა. მერე ბავშვი მიაწო-
და და ეს ზღაპრული ჯგუფი მშვიდად
დაიძრა — მოხუცი, თეთრი, დიდყურა
ვირი და ვირზე ამხედრებული ბავშვი-
ანი პატარა ქალი. და ზმანება გაქრა.
უცებ ისევ აყაყანდა მიდამო, ისევ ატ-
ყდა ორომტრიალი, შეხლა-შემოხლა
და უცხვირპირო ვაჭრობა. და იმ დღი-
დან მოყოლებული განა არ იგრძენი
ის მარტოობა, ახლა რომ ასე გტანჯავს
და გაკვირვებს?

განა მაშინვე არ იგრძენი ის სიცარი-
ელე, რომელსაც მანამდე უგნურად სი-
ყვარულს ეძახდი და სინამდვილეში კი
მხოლოდ ცხოველური შეუღლება იყო,
ხორციელი ლტოლვა იყო, რომელიც
დროდადრო გაძლობდა და გაყუჩებდა

და ამასობაში კი დღეები, ერთფეროვან-
ნი და ნაცრისფერი დღეები სილოს სა-
ათივით ერთი სიცარიელიდან ^{მცირე ხანი} მცირე ხანი
გადადიოდნენ, დაუსრულებელი დინე-
ბით, უფრო სწორედ, დინებით, რომე-
ლსაც შენ თვითონ არ ასრულებდი,
ყოველ საღამოს ჯიუტად ანახლებდი,
როგორც საჭურისი მონა, როგორც შა-
ჰის მესაათე და მისსავე მსგავსად აყ-
ურატულად ხედი კალენდრის ფურ-
ცლებს, რომელსაც, თავის მხრივ, ყოველ-
წლიურად ანახლებდი და მონდომე-
ბით ჰკიდებდი შენს საწოლ ოთახში,
თქვენს საწოლ ოთახში, სასთუმლის
თავზე.

მოხუცის ნაოჭიანი სახე ტანჯვით მო-
იქმუნა, გულამოსკვნით ამოიოხრა და
აწრიალდა. ახალგაზრდამ თანაგრძნო-
ბით გახედა და ისევ ჩამოასხა ღვინო.
ახალგაზრდამ ჭიქა აიღო ხელში და
თქვა:

— მოდით, იმას გაუმარჯოს, რაც
ჩვენ გვათრობს და გვახარებს.

— გაუმარჯოს — თქვა მოხუცმა. მო-
ხუცის პასუხი ფიქრიანი და უხალისო
იყო. ახალგაზრდამ ნელა დალია ღვი-
ნო, მოხუცი ჭიქას მისჩერებოდა. ჭიქის
გვერდით ჩიბუხი და მძივებიანი ქისა
იდო, გარშემო პურის ნამცეცები ეყა-
რა, ნამცეცებს შორის უმიზნოდ დაძვ-
რებოდნენ ბუხები, მიზეზიანად,
მოკლე ბზუილით აფრინდებოდნენ და
ისევ დაჯდებოდნენ, ალბათ ხმელი,
ძნელად მოსანელებელი პურის ნამცე-
ცები მადას უღვიძებდნენ და აღიზიანე-
ბდნენ ბუხებს.

ახალგაზრდამ თქვა: — ნეტავ რო-
გორ იწყება ადამიანების ნაცნობობა.
ნეტავ როდის, რატომ ახლოვდებიან
ადამიანები? — მოხუცმა არ უპასუხა
და ახალგაზრდამ გააგრძელა: — მე მა-
რიაშს აღრეც ვიცნობდი, მაგრამ იმ
დღეს რომ შევხვდი, თითქოს პირვე-
ლად დავინახე. იმ დღეს სულ სხვანაი-
რი იყო, უცხო და სასურველი და
ვგრძნობდი, მე მისთვის ახალი და მო-
ულოდნელი ვიყავი. იქნებ იმ დღეს
ღვინომ შეგვიცვალა მზერა, მაგრამ

ღვინოც იმიტომ დავლიეთ, რომ გაკვირვება და აღფრთოვანება დაგვემალა, ღვინოზე გადაგვეტანა ის ლტოლვა, ერთმანეთისადმი რომ ვიგრძენით. მერე, გრძობით შეშინებულები ხალხში გამოვფინეთ, თეატრში გავიქეციით და მთელი ის სულელური წარმოდგენა, რომელსაც გულმოდგინედ და მონღო-მებით დგამდა თეატრი, კეთილსინდისიერად გადავიტანეთ. ხოლო სახლში რომ მივაცილებდი, მხოლოდ მაშინ მოვეფარეთ მყუდრო ქუჩას, მაგრამ შიშმა კი არა, უფრო სიხარულმა და მორიდებამ გვაიძულა გველაპარაკა უმნიშვნელო და წვრილმან საგნებზე. ის კეთილი საღამო იყო სწორედ ჩვენი მაშინდელი მდგომარეობის შესაფერისი, წყნარი და თბილი, მაისის საღამო.

— მერე? — ფრთხილად იკითხა მოხუცმა, რადგან ახალგაზრდა კარგა ხნით დაღუძმდა.

— მერე? — გაიმეორა ახალგაზრდამ. — მერე. ახლა, როცა მერეს ვიხსენებ, მხოლოდ ერთეული მომენტები მახსენდება, ცალკეული სურათები, თითქოს ფოტოზე გადაღებული და შემონახული...

— მომიყევი, — ისევ ფრთხილად სთხოვა მოხუცმა, მაგრამ ახალგაზრდის ყურადღება შუშის კედელს იქით იყო მიქცეული. გიყი, რომელსაც მთელი ქვეები და აგურები მოეხიკა და პირით აქეთა მხარეს საკმაოდ მაღალი კედელი ამოეყვანა, ისე, რომ გოგონას მკერდამდე სწვდებოდა, ახლა გახუნებული ყვავილებითა და დამტვერილი ტოტებით რთავდა თავის ნახელავს. გოგონა კედლის ვადალმა იდგა, მხოლოდ წერწეტა კისერი და ოქროსფრად აელვებული კულულები მოუჩანდა. გიყმა მთლად მშვანედ შემოსა კედლები. ხოლო გოგონამ ხელები დაიფინა, ზედ ნიკაპით ჩამოეყრდნო და ფართო, ნუშისებრი თვალები მოლოდინით მიაკყრო გიყს. გიყი ახლა გვირგვინს წნავდა, ამასობაში სახლის მხრიდან ბრმა მოუახლოვდა მათ. ბრმა ჯოხის ცეცე-

ბით მოდიოდა, უამრავი ძონძი მკვიდროდ შემოეხვია ტანზე, მელოტრისავე ოფლისაგან ულაპლაპებდა და გაუარსავ, მუქ სახეზე წვრილი, ჩაწითლებული თვალის გუგები შეჰყინვოდა. ბრმას გიტარა ეკიდა მხარზე. გიყმა მაშინვე მიანება თავი გვირგვინს, ბრმას მიეჭრა, ხელში ხელი ჩასჭიდა და ჩრდილში, ხესთან მოიყვანა. აქ ბრმამ გიტარა მოიხსნა და გიყს მიაწოდა, ჯიბიდან ქუდი ამოიღო, პიჯაკი გაიხადა, ხელის ფათურით ადგილი შეირჩია, პიჯაკი დაკეცა, დაიფინა და დაჯდა, ჯოხი მარცხენა მხარეს დაიდო, წინ ქუდი, გიტარა ჩამოართვა გიყს, მოიმარჯვა, მერე თავისუფალი მარცხენა ხელით ჯოხი მოსინჯა, ქუდს ადგილი შეუსწორა და გაირინდა. გიყი აფორიაქდა, სადღაც გაქცევა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, ჯიბეები მოიქექა და შარვლის ჯიბიდან წითელი ვაშლი ამოიღო. გიყი დაბნეულად დააცქერდა ვაშლს, მერე შებრუნდა და გოგონას გაუწოდა, ხოლო გოგონამ უარის ნიშნად ვააქნია თავი, გიყს გაუხარდა, ბრმას მოუბრუნდა, მხარზე დაჰკრა ხელი და ვაშლი მიაჩეჩა. ბრმამ ჩამოართვა, შარვლის ტოტზე გაწმინდა და მაღიანად ჩაკბიჩა. გიყი და ბავშვი თვალმოუშორებლივ შესცქეროდნენ, სანამ სულ არ შეჭამა, ის კი არა, გიყი კინაღამ პირში შეუჭკრა, როცა ბრმა მოხერხებულად აცლიდა კურკებს და მერე შორს აფურთხებდა. ბრმამ მოათავა ვაშლის ჭამა, ხელი პერანგზე შეიწმინდა და გიტარა გააწყო. მოხუცმა გაიმეორა:


— მომიყევი.

— პირველად ყოველთვის სადგურა მახსენდება. — თქვა ახალგაზრდამ, ალბათ იმიტომ, რომ პირველად მაშინ გველოდა განშორება. ფონი ამ გახსენებისა წასასვლელად გამზადებული მატარებლები და აფუსფუსებული ხალხია. ჩვენ მაშინ ვჩქარობდით, რადგან დავვიანების გვეშინოდა. იმიტომ ვე-

გურამ სხირტლაძე
რომიო და ჯულიეტა

რაფრის თქმა ვერ მოვასწარიტ, რატომ-
დაც განშორების წინ, რაგინდ ხას-
მოკლე არ უნდა იყოს, ყოველთვის რა-
დაც მნიშვნელოვანი გაქვს ხოლმე სა-
თქმელი. თან მეგობარი გვახლდა და
ესეც მიზეზი იყო ჩვენი სიჩუმისა. მა-
რიამმა თქვა:

„დიდხანს ველარ ვნახავ, ალბათ“
ცოტა აზვიადებდა, თუმცა სიყვარული-
სთვის დრო იქარგება, თავის ზომებს
ჭკარგავს და არავითარ აღრიცხვას არ
ექვემდებარება. სულ ეს თქვა მარიამმა,
თვალეზში კი ტანჯვა ჩაბუდებოდა, ტა-
ნჯვით შემომკეპროდა და ეს, ჩემთვის
მანამდე უცნობი გრძნობა, მეც მედე-
ბოდა, თითქოს მბორკავდა და გულში
აკვიტებულად ისმოდა „არა, არა“.
უმისამართო პროტესტი, ბრაზი გზისა
და მატარებლების გამო. ჩვენ ვაგონში
აყუევით მარიამს, დავაბინავეთ, უკან
ჩამოვბრუნდით და მარიამი ახლა ფან-
ჯრიდან გვიკეპრდა, ნაძალადევად
გვილიმოდა. მერე მატარებელი ნელა
დაიდრა. „არა“ — თითქმის აშკარად
მესმოდა გულის ძახილი. მატარებელ-
მა მოუჩქარა, ფანჯრებიდან გადმოყო-
ფილ ხელთა ტყეში დაიქარგა მარიამის
სახე, უკანასკნელმა ვაგონმაც ჩაიარა
და უცებ ერთიანმა გრძნობამ შემძრა,
ერთიანად ამიტაცა, გამაქცია. დროის
ის მონაკვეთი, სანამ მატარებელს და-
ვეწიე და საჭირო ვაგონი მოვძებნე,
უკვალოდ გაჰქრა გონებიდან. ეს კომ-
მარულ ნახტომს, უფრო სწორედ, უფ-
სკრულში ვარდნას ჰკავდა. მარიამი ჩუ-
მი სიხარულით შემხვდა, ის, რასაც ორ-
ივე მთელი არსებით ველოდით, მოხდა.
განშორების უამი დაიქარგა, გაქრა. მი-
სი ადგილი სიყვარულმა და ზღვამ და-
იკავა. დრო შეჩერდა. გაიყინა ერთიან,
ბედნიერ წამში. ასე დარჩა ეს წამი, გა-
ნცალკევებით, სხვა დროისაგან ამოვა-
რდნილი, ხანგრძლივი და დაუფიწყარი.
— მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ
ახალგაზრდა ჰყვებოდა, მოხუცი ოდნა-
ვადაც არ შერხეულა, თითქოს ეშინოდა,
გაუფრთხილებელი მოძრაობით არ და-
ერღვია თბრობა. ამბავი რომ გათავდა,

მოხუცმა ჩიბუხს წამოავლო ხელი, თქ-
ვარებით გააწყო და გააღვივდა. 
ზრდამ თქვა:

— სად გაქცევი იმას, რაც შენშია.

●

— მერე? — იკითხა მოხუცმა.

— მერე ხშირად გვიხდებოდა ცალ-
ცალკე ყოფნა, — თქვა ახალგაზრდამ. —
მოვალეობა და მანძილი ხშირად გვა-
შორებდა ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ
ალარ გვეშინოდა. განშორების შიშს
შეხვედრის რწმენა სდევნიდა. მასსოვს,
— თქვა ახალგაზრდამ, — ერთხელ ძა-
ლიან მომინდა მარიამის ნახვა. იმ დღეს
ვიცოდი, მარიამი სხვაგან უნდა წასუ-
ლიყო, მაგრამ გრძნობას ვერ მოვერიე.
ძებნა დაუწყვე და გზაჯვარედინზე გა-
მოვედი. აქ რაღაც ძალამ შემაჩერა. ვი-
დექი და გამვლელებს ვათვალიერებდი
და ამ დროს დავინახე მარიამი. მარიამი
მორბოდა, ბედნიერად იცინოდა, თმა
გასწეწოდა, ერთთავად ატრციალებუ-
ლიყო. რომ მომიახლოვდა, ხელები გა-
შალა და ჩამეხვია. არც მაშინ დაგვეკი-
რვებია სიტყვები, იმდენად გაოგებუ-
ლი გვექონდა სული, ფიქრი. ჩვენთვის
ჩვენს მეტი აღარავინ არსებობდა.

ჩვენ კი არასდროს არ გავქცეულ-
ვართ ერთმანეთის შესახვედრად —
ფიქობდა მოხუცი, — ჩვენ წინასწარ
ვეგემავდით შეხვედრის დროს და დრო-
ულად, აუჩქარებლად მივდიოდით და-
თქმულ ადგილზე. მერე კი, როცა ერ-
თად ვცხოვრობდით, წინასწარი შეთან-
ხმება საჭირო აღარ იყო და ყოველ სა-
ლამოს გულმშვიდად ვბრუნდებოდი
სახლში, არ ვფიქრობდი იმაზე, რაც
უკვე გაზეპირებული მქონდა, კარებთა-
ნვე ვიხიდი პალტოს, იქვე ვდებდი
პორტფელს, ფეხსაცმელს ვიცვლიდი —
საგარეოს ნაცვლად საშინაო ფოსტლე-
ბში წავყოფდი ფეხს და ამის მერე
შევდიოდი სასტუმრო ოთახში, რომე-
ლიც სასადილოს მაგივრობასაც გვიწე-
ვდა. აქ მრგვალ მაგიდაზე თეთრი სუ-
ფრა ეფარა უკვე, შუაგულში დაჭრი-
ლი პური იდო და ორი ხელი ჭურჭელი

დანა-ჩანგლით ელაგა. მე დავიძახებდი „მოვედი“, ცოლი გამომძახებდა „ოჰო, აი შენც“, ფუსფუსით გამოვიდიოდა, გააწყობდა სუფრას, მერე მეორე ოთახში გავიდიოდა, გაკოხტავდებოდა. რომელიღაც ვახეთში წაეკითხა (თუ კალენდარში?) — რომ ქალი ყოველთვის კობწიად უნდა გამოიყურებოდესო, შემდეგ შემოვუსხდებოდიო სუფრას. ყოველთვის პრანჭვით ქამდა — ესეც კალენდარში ამოიკითხა და გაუთავებლად მეკითხებოდა სისულელეებს, რომლებზეც მე ვრცლად და საქმიანად ვპასუხობდი, სისულელეებს, რომლებიც ასე ავსებდნენ ჩვენს შორის სიცარიელეს. მერე ჩვენ ერთად ვალაგებდით სუფრას, ამასობაში დამდებოდა, ცოტა ხანს ტელევიზორს ვუყურებდით, მერე ვწვებოდით. დაწოლის წინ ცოლი დიდხანს ლამაზდებოდა, თმას ივარცხნიდა — ღმერთო ჩემო, ესეც კალენდარში წაეკითხა! და მერე ეშმაკური (თუ გარყვნილი?) ღიმილით მიმიწვებოდა გვერდში. მე კი, მე კი საუღლეს ხარავით კეთილსინდისიერად ვასრულებდი იმ მოვალეობას, ურთომლისოდაც ჩვენს ერთად ყოფნას არავითარი აზრი არ ექნებოდა, არავითარი აზრი არ ექნებოდა. მერე?

ისევ ეს „მერე?“ სულ, სულ, ერთმანეთის მონაცვლეობით. საშინელი, საზიზღარი სისწრაფით მომავალი დღეები — მერე? მერე? მერე? ხვალ, ხვალ, ხვალ! ერთიანი, გადასლექილი ფერი, რომელიც იწელება და საშველი არ არის, ვერ შეცვლი, ვერ გარდაქმნი და გამოსავალი მხოლოდ ერთი გამეტებული მოქნევაა, ნაჯახის დაკვრა რომ საზიზღარი თავი წააცალო, მატლივით წელში გასწყვიტო, დაკეპო. იო, ასე. და მოიშორე ეს ბილწი ჯაჭვი, სამარცხვინოდ ვაშკარავებული, გაქცე, ზურგი შეაქციო და გაიქცე, თუნდაც ისე, როგორც ძაღლები გაურბიან ერთმანეთს, საწინააღმდეგო მიმართულებით, სასაცილოდ და ტრაგიკულად გადამბულბები...

— კიდევ მახსოვს, — ამბობდა ახა-

ლაგზარდა — მახსოვს კიდევ ^{პატარა} ოთახი, სადაც ჩვენ ^{ვეცხოვრობდით} მარაში ზღურბლზე იდგა, ^{ფეხსეული} ფართოდ გავხილა და შემომტკეპროდა. თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა, მკლავები მოწყვეტით ჩამოეყარა და მხრით კარის ჩარჩოს ეყრდნობოდა. მთელი მისი არსება შიშნარეგ ვაოცებას გამოხატავდა, მე კი, მახსოვს, საწოლზე გაშლართული, უგონოდ მთვრალი, ტრახახით და ქადილით ვმკრეხელობდი, თვალებს ვხუჭავდი და მთელი სამყარო თავბრუდამხვევად ტრიალებდა მარიამის ვაოცებულ, გარინდებულ სხეულის გარშემო. მერე კიდევ, მახსოვს, მუხლებზე დაჩოქილს თავი მარიამის კალთაში ჩამერგო და ვტრობდი, ხოლო ის კი ხელებს მიკოცნიდა, მიაღერებდა, ახლაც ვგრძნობ კეფაზე მის ნაზ შეხებას, ზევიდან ქვევით, ფრთხილად, თმის მიმართულებით, ხოლო ხელს მიკოცნიდა, რომლითაც წუთის წინ ასე ბილწად შევებე, შევურაცვებყავი.

— მერე? კიდევ რა იყო, ჩემო ძმაო, — ევედრებოდა მოხუცი, — კიდევ მომიყევი, ჩემო შვილო, განაგრძე, ყველაფერი თქვი, ლალატიც მომიყევი, სიცრუე და ორბირობაც მომიყევი, თორემ გასივდა გული, თორემ აღარ შეუძლია ამდენი ჩემს ბებერ ხორცს, ასე მშვიდად, აუღელვებლად რომ მოაღწია აქამდე. თუ, არ ყოფილა ლალატი? იქნებ არც ეს ფრაზა თქმულა „ჩვენ ერთმანეთს ვერ გაუვგეთ“ — საზიზღარი ფრაზა, რის მეშვეობითაც ყველა ჩვენგანი საკუთარ ნაჭუჭში იკეტება და წუწკად მალავს იმ მოკრძალებულ განძს, რომელიც შეიძლება არც გააჩნია... იქნებ ამიტომ, როდესაც ჩვენს ერთად ცხოვრებას ვიხსენებ, ყოველთვის პალტოში წარმომიდგება ჩემი თავი, თბილ ყელსახვევში ჩათბუნებული, ყელამდე შეკრული, შეკოპილოზამთრისა და გაუგებრობის სუსხით გა-

გურამ სხირბლაძე
რომეო და ჯუღიძაძე

რემოცული. „ჩვენ ერთმანეთს არ გვესმის“ — კაცუნების მიერ დადგენილი და დალოცვილი ნიღაბი, მხსნელი ჩადრი იმ სულმდაბლობის დასამალად რასაც კანონიერების სახე გვიჩვენა მიცვით, ფარისევლურად მაღალ მატერიებს ვუდარებთ და ის კი არა, უღბლო სიყვარულს ვარქმევთ. აბა გაიხსენე, კეთილო მოხუცო, — ფიქრობდა მოხუცი, — პირველი დღეები გაიხსენე განშორების მერე, შენ რომ ახლა ასე გეძნელება და მტკივნეულად გახსენდება, ხომ ასე იყო: დადგენილი დღეების რიტმი დაგვრდება, შეჩვეული საღამოები დაგეკარგა და ამან დაგაბნია, მოსვენება დაგეკარგა მანამ, სანამ ისევ სიმარტოვეს არ შეეჩვიე და მერე, ეს სიმარტოვეც რომ დაგრღვეოდა, მაშინაც ისეთივე ტკივილს განიცდიდი ალბათ, როგორც განშორებისას იგრძენი.

— მერე? კიდევ რა იყო, ძმობილო, — თქვა მოხუცმა, — კიდევ მომიყვივი.

— კიდევ? — ჩაიციხა ახალგაზრდამ, — ერთხელ გვიან საღამოს მოვედი ჩვენს პატარა, მყუდრო სახლში. კიბეზე მარიამი შემხვდა, აფორიაქებული და დაბნეული იყო. სახლში უცხო სტუმარი გვყავდა, ჩემთვის უცხო სტუმარი თავშეკავებულად მომესალმა და მე მისმა დაძაბულმა, გამომცდელმა მზერამ ცუდი წინაგრძობა აღმიძრა, მაგრამ არ შევიმჩინე და შევეცადე ჩვეული სტუმართმოყვარეობა გამომეჩინა, ხოლო მარიამი ერთთავად შეცვლილიყო. ჩემთვის უცნობი სევდა და ღელვა დაუფლებოდა და საშუალებას არ მაძლევდა ჩემი ნაძალადევი გულითადობის გამოსამქლავებლად. ცუდი წინაგრძნობა რომ დამემალა, ან იქნებ, იმიტომ, თავი რომ დამემშვიდებია, მე ვთქვი: „ჩვენ ამ ქალაქში სულ მარტო ვართ, მეგობრებსა და ნათესავებს მოწყვეტილი. ჩვენი სამშობლო ძალიან შორსაა საიმიხოდ, ერთმანეთს რომ არ ჩაგებლაუჭოთ და გავუფრთხილდეთ. თუმცა თქვენ, ალბათ, იქიდან ჩამოხვედით და იქაური ამბები ჩამოგვიტანეთ“. სტუმ-

არმა მიპასუხა: „არა, მეც ისევე შორს ვარ, როგორც თქვენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თქვენნაირი მეგობრები არ მყავს გვერდში და მარტო იმისთვის, რამოდენიმე დღე რომ ვამეტარებია ბავშვობის მეგობართან, ერთი უცხო ქალაქიდან მეორეში ჩამოვედი“. ეს რომ თქვა სტუმარმა, მარიამს ვადახედა და გაუღიმა, მარიამი წამოწითლდა და თავი დახარა, ხოლო მე გული შემეკუმშა და უსიამო გრძნობა გამიძლიერდა. სტუმარი შესანიშნავი მუსიკოსი გამოდგა და მთელი საღამო ვეიტკობოდა სმენას თავისი ვიოლინოთი, რომელიც, როგორც გამოირკვა, მუდამ თან დაჰქონდა. მერე საკმაოდ შეგვიანდა, ხოლო სტუმარი წასვლას არ აპირებდა. მე ვთქვი: „თქვენ ამ ქალაქში არავის არ იცნობთ ჩვენს გარდა, მე კი ერთიორი საკმაოდ კარგი ნაცნობი მყავს, ამიტომ მე იმათთან მოვძებნი ბინას, თქვენ კი აქ დარჩით მანამ, სანამ ამ ქალაქში იქნებით“. ამას რომ ვამბობდი, ვცდილობდი ჩვეულებრივი და უდარდელი სახე მქონოდა, გული კი შიგ საფეთქლებში მცემდა. მე თითქმის ძალდატანებით დავტოვე სტუმარი იმ ჩვენს პატარა ოთახში, მარიამმა კიბეზე ჩამომაცილა, დამშვიდობებისას უცებ ჩამეკონა, მომჩვენა, თითქოს ტიროდა, მითხრა: „მთელი ცხოვრება შენი მადლობელი ვიქნები“. ის ღამე თეთრად გავათენე: ქუჩა-ქუჩა დაგძრწოდი მაწანწალა ძაღლივით. როგორც იქნა, გათენდა, მაგრამ არც კაშკაშა ცისკრის ვარსკვლავს და მერე არც მზიარულად აბრწყვიალებულ მზეს შევება არ მოუტანია. ნაშუადღევს შიმშილი და დაღლა ვიგრძენი და ეს ერთგვარი შევება იყო, ახლა თითქმის მსიამოვნებდა უცხო და დიდი ქალაქის ორომტრიალი, დროს დადევნებული ხალხის გააგება, გარეუბნებში ლოთების კოტრიალი ბინძურ მიწაზე, იმ ღამეს მეც მათთან ერთად ვიხრჩობდი სევდას და თითქმის აღტაცებაში მოვდიოდი მათი ცრემლებისაგან, რომლებსაც წამდაუწყუმ ღვრიდნენ, მათი განუჩრჩველობისაგან



და მისგან, არავის რომ არ აინტერესებდა ჩემი დარდი, ჩემი დარდი კი გამეფიქრებდა და დამოუკიდებელი შეიქმნა, სასიამოვნო მეგობრად გადამქცა, რომელმაც კირში არ დამტოვა და სიმშვიდედ და გამართლებად მომგვარა. მესამე დღეს გაწვიმდა, მე და ჩემი მეგობარი ბაღში ვისხედით და მხიარულ, სუფთა წვიმაში ვენებივრობდით, ერთმანეთს ვეაღერებოდით და ვაქებულობდით. აქ მომნახა მარიამმა, ხოლო მის დანახვაზე დარდი დაფრთხა და ხელად ჩაძვრა ჩემს სხეულში, მარიამი კი მომეჭრა, მომეჭიდა და მითხრა: „შენ... შენ სად იყავი...“ მარიამის ცრემლმა ჩემს გულშიც მონახა დარდი და განდევნა. გააგლო, მაგრამ მე ვთქვი: „როგორ შეიძლება, როგორ შეიძლება სტუმრის მიტოვება, ვინ იცის, ახლა საწყალი მართო ზის პატარა ოთახში და აკვენსებს თავის ვიოლინოს“. „როგორ არ გრცხვენია, — მითხრა მარიამმა, — როგორ არ გრცხვენია“. „მრცხვენია, — ვუთხარი მე, — მრცხვენია და ვიტანჯები, ჩემი მიზეზით შენმა სტუმარმა რომ მოიწყინოს“. „მომისმინე, ყველაფერს მოგიყვები და გაგიგებ, — მითხრა მარიამმა, — ტყუილად ნუ მაწვალა“. მაგრამ მე გვერდით ჩავიწიე და ჩვენს შუა ახალ მეგობარს დავუთმე ადგილი. ახალი მეგობარი ხითხითით მიქებდა საქციელს და თავის უძლურ, უნაყოფო თავს მიკანტურებდა. მე ვთქვი: „წადი, წადი, იჩქარე მარიამ, შენს მეგობართან, მე კი, შენ რომ დამგამოვიდო, ერთგულ ძაღლს ვიშოვნე, შენს სახლთან მოვალ, უკანასკნელად მოგესალმები და მის სიყვარულს მსხვერპლად შემოგწირავ. ხომ ასე არის იმ მოთხრობაში, შენ რომ მოგწონდა. წადი, მარიამ“. მარიამი წავიდა და საზიზღარი ეჭვი ჩრდილად გაიყოლა, ხოლო გული კი მეწურებოდა, ხოლო გული მიბრძანებდა გავდევნებოდი, გულში ჩამეკრა, როგორც აღრე, მეთქვა ის, რაც ენის წვერზე მიტრიალებდა: „ღმერთის წინაშე, მარიამ, ღმერთის წინაშე, მე მჯერა შენი...“

● სიჩუმე კარგა ხნით ჩამოწვდა შორის. თითქოს დაიღალენ, თითქოს ყველაფერი ითქვა, მაგრამ მოხუცი ფიქრობდა: — როგორ აიწეროს სიჩუმე, ეს უმთავრესი და უძლიერესი ნაწილი ჩვენი ცხოვრებისა? როგორ გამოიხატოს ის გარინდება, ჩვენს სულსა და სამყაროში რომ ჩაიკირება და საშინელი ძალით მიგვაქანებს დროის უსასრულობაში? სიჩუმე და დრო — ეს ორი სტიქიონი, ვეება და უღმობელი თავისი იღუმალებისა და ყოვლისმომცველობის გამო.

მე მახსოვს სიჩუმე, რომელშიც ქვეყანა ჩათბუნდება ნაშუადღევის ეამს, როცა ერთფეროვანი ჭრილობით მიგორავს ურემი, ფრთხილად შრიალებს გზისპირა ტყე და ჭრიჭინობელებისა და ფრინველთა შორეული ხმა მოისმის... იქნებ ის დრო იყო, ასე მძაფრად რომ განვიციდიდი ბავშვობისას, ან, იქნებ დროისა და სიჩუმის გაიგივება იყო: დინჯი ჭრიალი ურმის და წყვილი ხარის მშვიდი ოხვრა.

მე მახსოვს სიჩუმე მომაკვდავის სასთუმალთან აღანძული — სიჩუმე თითქმის ხელშესახები, თვალთდასანახი, ისიც დრო იყო: ეამი აღსასრულისა.

მე მახსოვს სიჩუმე ადამიანის შექმნასა და ახალშობილის პირველ ყვირილს შორის ჩამოვარდნილი: სუსხიანი და მკაფიო. ეამი დაბადებისა.

ბევრნაირი სიჩუმე მახსოვს მე და ახლა ვიცი, სიჩუმე ისეთივე მრავლისმეტყველია, როგორც დიადი სიმფონია და ისეთივე საშიში, როგორც ურჩხული. სიჩუმე დროის გარინდებაა რაიმე დიადის ქმნის წინ.

● — მერე? — ჰკითხა მოხუცმა.

ჩამავალი მზე ირიბად ანათებდა სასაღილოს წინ პატარა მოედანს, რომე-

გურამ სხირტლაძე
რომიო და ჯულიეტა

ლზეც მუსიკოსი, გიჟი და ბავშვი საქმიანობდნენ. გიჟმა უკანასკნელი გვირგვინიც მოწნა და მუსიკოსს დაახურა თავზე. ახლა სამივეს გვირგვინები ედოთ თავზე. მუსიკოსი ზანტად ათამაშებდა თითებს სიმებზე, მერე მოუჩქარა და რაღაც შესძახა. გიჟი მკვირცხლად დატრიალდა და აცეკვდა. გოგონა ისევ კედლის გადაღმა იდგა და იცინოდა. მერე ტაში დაჭრა, თავი უკან გადახარა და აკისკისდა. გიჟი თავს არ იზოგავდა, ბუქნავდა, სასაცილოდ იქნევდა ფეხებს. პარკში ორი მანდილოსანი სეირნობდა, და გიტარის ხმამ მათი ყურადღება მიიზიდა. მათ გადაჭრეს პარკი, შორიახლოს შეჩერდნენ, გიჟს მიაჩერდნენ, რომელიც მთლად გახურებულიყო, ცოფმორეულივით ხტოდა, მალაყზე გადადიოდა. ფორთხავდა. პირდაპირ წარმოუდგენელ რამეებს სჩაღიოდა, საკვირველი იყო, სად პოულობდა ამდენ ძალას და მოხერხებას, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ქანცი გამოელა, ერთიც შეხტა, მიწას დაენარცხა, წამოიწია, ველარ ადგა, დაჩოქილი მიფორთხდა თავის აშენებულ კედელთან, იქ გოგონას გვირგვინი ეგდო, რომელიც ტაშის კვრასა და აღტყინების დროს ჩამოვარდნოდა, გიჟმა აიღო გვირგვინი, გულში ჩაიკრა, მგლოვიარედ გაქანგამოქანდა, მერე სახესთან მიიტანა და უმსგავსო ლოშნა დაუწყო. ბრმა მუსიკოსი ისევ უპარტყუნებდა ხელს თავის გიტარას, მანდილოსანთაგან კი ერთერთი გიჟს მიეჭრა და გვირგვინის წართმევა დააპირა, მეორე — ლამაზი სახლისკენ გაიქცა და იქიდან გოგონას დედა გამოიხმო. დედა მთლად გადარეული გამოვარდა, ალბათ, ისვენებდა, რადგან მეტისმეტად შინაურულად ეცვა, მაგრამ შიშისაგან ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. გამოვარდა, დაავლო გოგონას ხელი და სახლისკენ გააქცუნა. გოგონა უკან იცქირებოდა, ხედავდა, როგორ წაართვეს გიჟს გვირგვინი მანდილოსანმა და ვიღაც კაცმა, რომელიც საიდანღაც გაჩნდა უცებ, როგორ დაკუწა ქალმა გვირგვინი, გა-

მეტებით მოისროლა, ხოლო უცებ ერთი ორი უთავაზა გიჟს, ფეხიც დაეჭრა ჰკუსის სასწავლებლად. გოგონას ტირილი დაიწყო, მაგრამ დიდი, მძიმე კარი მოიკეტა და გოგონაც და მისი დედაც გაქრნენ მხედველობის არედან, მანდილოსნები და კაცი ერთხანს. გიჟის გარშემო ფორიაკობდნენ, მერე წავიდნენ, ხოლო პატარა მოედანზე დარჩნენ მიწას გართხმული გიჟი, ტირილით რომ აგროვებდა მიმოფანტულ ყვავილებს და დაღუმებული ბრმა მუსიკოსი, რომელიც ცივი, ჩაწითლებული თვალის გუგებით გასცქეროდა სივრცეს. ამასობაში საკმაოდ შებინდებულიყო, მზე აღარ ჩანდა, მხოლოდ ორი მსუბუქი ღრუბელი მიფრინავდა ცაში და ვარდისფრად ანათებდა ცას. მოხუცი ფიქრობდა: „ასე, აი, ასე, თორემ რას ჰგავს გვირგვინის ლოშნა და სხვა სისულელები, რომლის მოწმეც მე ვიყავო მთელი დღის მანძილზე, ეს კომედია, ბოლო რომ აღარ უჩანდა, ათასგვარი მანქვა-გრეხით, უხმოდ და აუხსნელად მოდიოდა ამ დასასრულამდე. ოღონდ, მეტისმეტი სიმკაცრე გამოიჩინეს საწყალი გიჟის მიმართ, თუმცა ბავშვიც საკმაოდ დაისაჯა, რადგან ბავშვმა ვერ გაიგო ასეთი დასასრულის მიზეზი. ასე მზიარული სათამაშოს განადგურების მიზეზი, ახლა კი ალბათ, სახლში ზის, გულამოსკვნით ტირის და ბუნჩულა მუშტებით ცრემლს იწმენდს თვალებზე, ხოლო დედა ეფერება, ჰკოცნის ცრემლში აზელილ მტვრით გათხუბნულ ლოყაზე, ალბათ ეუბნება: „ნუ ტირი, შვილო, ნუ, გენაცვალე, მალე მამიკო მოვა და უჩვენებს სერიას იმ საზიზღარ გიჟსა და გადარეულს... იმას შეხედე, იმას, როგორ გაბედა შენი შეშინება“. ხოლო ბავშვი ალბათ სლუკუნებს, ხელს ჰკრავს მოსიყვარულე დედას და მიზეზიანად პასუხობს: „არ მინდა-ა, არ მინდა-ა“, ხოლო დედა ვერ ხვდება, მეტი ძალით იხუტებს შვილს და ამბობს: „ნუ ტირი, დედა გენაცვალოს, ნულარაფრის გეშინია, ხედავ ჩვენს სახლში ვართ და კარიც მაგრა-

და ჩაკეტილი“, ამას ეუბნება დედა და თან წყალს აჩეჩებს, „დალიეო“ ეხვეწება, გული რომ ჩარეცხოს წყალმა, შიში რომ ჩარეცხოს, დაამშვიდოს, ხოლო ბავშვი უფრო მიზეზიანდება, წყლიან ჭიქას ხელსა ჰკრავს, დედის მკერდს ხელსა ჰკრავს, ყვირის: „თავი გამანებე, არ მინდაა“. ხოლო მოედანზე გიჟი ისევ ფორთხავს, წელს ვეღარ ითრევს, არა, ცემისაგან არა, ცემა უარესი გამოუტყდია, ალბათ სხვა, სხვა ტკივილი კრუნჩხავს გიჟს, უფრო დიდი, უფრო მეტი გრძნობა, ვიდრე ზორციელი ტკივილი, ჩემთვის უცნობი, გაუგებარი გრძნობა, გული ყინულის მარწუხებში აქვს მომწყვდეული, გული გაჩერებულია და სისხლი, ასე მკვირცხლად და მხიარულად რომ დაჰქროდა ძარღვებში, დატბორილა, დაწურულია სადღაც შიგნით. რა აწუხებს გიჟს, რამ დავრიხა ასერიგად, ხოლო ბრმა მუსიკოსი რაღამ გააშეშა, გაარიზდა, რას მიშტერებია ამ უსიცოცხლო გუგებით, რატომ აღარ უშარტყუნებს შინძურ, დაკოჟრულ თითებს იმ თავის უმაქნის გიტარას, იქნებ ბრმაც ხედავს გიჟის უბედურებას, იქნებ ბრმაც ხედავს იმას, რაც მე ხილულმა ვერ დავინახე, დავინახე მხოლოდ სულელური მანჭვა-გრება, ლაზათიანი პანდური და უბიწო მანდილოსნების კეთილგონიერი უსაქციელი.

— ასე, აი ასე, — თქვა ახალგაზრდამ, — ასეთნაირად გავთელე მე მაშინ ჩემი თავი, ასე დავკაწე სიყვარულის გვირგვინი, მარიამს რომ დავადგი თავზე იმ წყნარ, მისის საღამოს... მარიამი წავიდა, სწორედ იმ დროს იმატა წვიმამ და მე, წვიმის მომატებული ხმა რომ დამეძლია, დავიყვირე: „წადი, წადი შენ სტუმართან, თორემ ძებნას დაგიწყებ და წვიმაში არ გაგიცივდეს“. ხოლო ის, რაც უნდა მეთქვა, გულში დარჩა და სევდა აღარ მსიამოვნებდა, სევდა აღარ იყო მშვიდი, აღარ იყო ის სასთუმალი, აქამდე რომ მანანავებდა, არამედ იყო მწვავე და მძაფრი, წვიმა შესუსტდა, დაწვრილმანდა, მე

კი ერთთავად გალუმპული ვიჯექი ბაღში, სკამზე. მერე მთლად გადაიღო, მხეც გამოვიდა, ოღონდ უკვე საღამოსადაა და მზე აღარ ათბობდა, მე მციოდა, მაგრამ ისევ ისე ვიჯექი ბაღში, სკამზე.

— მერე? მერე, ალბათ ისევ დახეტი-ალობდი, — ფიქრობდა მოხუცი, — ათასნაირ სისულელეებს სჩადიოდი, არ ჰქამდი და არ სუამდი, როგორც შეეფერება პატოსან შეყვარებულსა და უგნურ ადამიანს, ალბათ ლოთობდი კიდევ და შენს თავს ერთადერთს, ეუღლსა და განსაკუთრებულს ეძახდი, ხოლო მე კი ძალიან შორეული დრო მახსენდება, ნათელი და ფერადი, მზითა და ყვავილებით სავსე, მთვლემარე სოფელი, მწვანე ორღობეები, ბაღებში მიყუყული წითელკრამიტიანი სახლები, სოფლის პირას ანკარა მდინარე, ხოლო მდინარის გადაღმა თბილი ტყე, ხავსიანი, რბილი მიწა. მე ამ ტყეში ვიმალებოდი, ვემალებოდი ხალხსა და იმ უბედურებას, თავზე რომ დამატყდა და ახლაც ეს ბუნდოვანი გახსენება გულს მიტყვევებს. რას დავტიროდი მაშინ? ჩვენ ყველგან ერთად ვიყავით, მე და დიდთვალა, გამხდარი გოგონა, დილაადრიან წამომავადებდა ხოლმე ლოგინიდან ჩემი ჯმუხი ბაბუა და სამწყემსურში გამდევნიდა, მე გზად დიდთვალა გოგონას შევძახებდი და ისიც მამინვე ჩამოირბენდა მოღრეცილ კიბეს, ხელში ჰქადის ნატეხი და ყველი ეჭირა და ნახევარს გამომიწვდიდა, მე გეპრიელად ვილუკებოდი, თუმცა ნასაუზმევი ვიყავი. მერე, სოფელს რომ გავცდებოდი და კარგ საბალახოს მოვძებნიდით, საქონელს ნამიან ბალახში მივუშვებდით, ჩვენ კი წუხანდელ სიზმრებს ვუყვებოდით ერთმანეთს. ამასობაში მზეს ძალა ემატებოდა და აშრობდა მიწას, ჩვენ ერთხანს კიდევ ჩრდილში ვისხედით, მერე კი, როცა დაცხებოდა, მდინარეზე გავრბოდით და ვკუყუმალობდით სუსხიან წყალში. ერთხელ ქალაქში წავვიყვანა ბაბუამ

გურამ სხირტლაძე
რომიო და ჯულიეტა

მე და დიდთვალა გოგო, დღესასწაული იყო, ბაზრობა, ის დღე, როცა სოფლებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებოან გლეხები, რათა მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი დოვლათი აქ, ქალაქში ფულად აქციონ და მერე მთელი წლის განმავლობაში დაგროვილი ენერჯია გადმოანთხიონ, გამოაღვიძონ დაბრუებული ძვლები, მხოლოდ რამოდენიმე საათით, მხოლოდ ერთი დღით იყვნენ ისეთები, როგორადაც სურდათ ენახათ თავი ჯერ კიდევ ბავშვობიდან, როცა მხოლოდ იწყებოდა მათი გაუთავებელი შრომა და ნაშუადღევის მოთენთვა, სიცხეში მდინარის პირად წამოწოლილები გავარვარებულ ქვებზე ზანტად გორილობდნენ ერთი გვერდიდან მეორეზე და უფრო ზანტად ოცნებობდნენ, ერთ აკვიატებულ წინადადებას გულმოდგინედ ღეჭავდნენ. ამბობდნენ: „მე რომ გავიზრდები, ქალაქში წავალ და ისე ვიცხოვრებ, როგორც მომიხდება“. ეს ტრადიციული წინადადება, მემკვიდრეობა, რომელიც ისევე სათუთად გადაეცემოდა შთამომავლობას, როგორც წინაპრის ნაქონი და სახელგანთქმული ხმალი. ამ ორომტრიალში, როცა ბაბუას ჩამოვშორდით და მარტო დავრჩით, მოკრძალებამ და ერთმანეთის იმედმა ისე გაგვავართიანა, როგორც არასდროს არავის მიმართ არ მიგვრძნია, ხელი-ხელჩაკიდებულები დავდიოდით ხალხით გაქედნილ ბაზარში. ბაზრისპირა ქუჩებში და ყველაფერი უცხო იყო გარშემო, არაფერი არ გვახსენებდა იმას, რაც სულ ორიოდ ნაბიჯში დავტოვეთ, ცნობისმოყვარეობა თითქმის სულს გვიხუთავდა, სიფრთხილეს გვავიწყებდა და დავგარბენინებდა უცხო ქვეყანაში, ამასობაში წყნარ უბანში გამოვედით, სადაც აგუგუნებულო, აწკრიალებული ზარების მიშხიდველი ხმა ისმოდა და ჩვენ ამ ხმას გავყევით, ავიარეთ ქვით მოკირწყლული ქუჩა, სხვა, ისიც ქვიანი, სუფთა ქუჩა და ჩვენს თვალწინ თეთრი ტაძარი აფეთქდა, აინთო, როგორც საკვირველი-

ბა, როგორც გამოცხადება... მკლქვიში კი ბინდი იდგა, საკმეველის სუნი ედგა, რომელიც იპყრობდა სხელს, გონებას, თითქოს აძინებდა, ბინდავდა და საგნები ჰკარავდნენ ფორმას, წახნაგები იშლებოდნენ, სათუთდებოდნენ, ერწყმოდნენ სივრცეს და იყო მხოლოდ სივრცე, უსასრულო ლაყვარდი, საიდანაც თვალწარმტაცი დედის მშვიდი, წმინდა თვალები შემოგვეცქეროდნენ, ერთთავად გხვევდნენ წყნარ, ყოველისმომცველ მზერაში, ხოლო დედა კი, გარინდებული ამ უსასრულობაში, გულში იხუტებდა ჩვილს, მსუყე, სავსე ძუძუს აწოვებდა და მღეროდა უსიტყვო სიმღერას, ხმა ძლიერდებოდა, სულში გუგუნებდა ეს ძლიერი, მშვიდი სიმღერა. მერე ჩვენ გარეთ გამოვედით, უსაშველოდ გათიშულები, ხოლო გარეთ მხიარული დღე იდგა და ეკლესიაში გატარებული წუთები ამოვარდა იმ დღიდან, განცალკევდა, წუთები ერთ, ცალკე ცხოვრებად შეტკრა, რომელიც გამოგვეყვა იმ ქალაქიდან, მიძინებულ სოფელში აგვეტუზა, სამწყესურის ტბილი საათები დავვიხუთა და ჩვენ უსაშველოდ გათიშულები, ფრთხილად, მოკრძალებით და მორცხვად ვცდილობდით იმ ერთობის აღდგენას, ასეთ ძალას და იმედს რომ გვაძლევდა ადრე...

მერე კი დიდთვალა, გამხდარი გოგონა სამუდამოდ წავიდა ჩემი ცხოვრებიდან და მე, თავსდამტყდარი უბედურებისაგან გატეხილი, ტყეში ვიმალებოდი, სახეს ხავსიან მიწაში ვმაღავდი და ვტიროდი, ვტიროდი. ხოლო მერე, დრო რომ გავიდა და სიმორცხვესა და მოკრძალებას აზრი აღარ ჰქონდა, მე ვიხსენებდი და ვხვდებოდი, როგორ შეერთდნენ მაშინ ჩვენი სულები, შეერწყმნენ ერთმანეთს, ხოლო მარტოდ დავთენილი ხორცის შეგნებამ შეგვაშინა და კიდევ იმან შეგვაშინა, თუ რა შეეძლო უსულო ხორცს... აი, ეს მახსენდება ახლა, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ჩემო უბედო რომეო.

— მე ყოველ ღამე ვიდექი მარიამის

ფანჯარასთან და ფარდები არ უშვებ-
დნენ ვარეთ, ჩემს საღარაჯოზე იმ ნაც-
ნობ, — საყვარელ ცხოვრებას, პატარა,
მყუდრო ოთახში რომ იდგა. მაშინ გუ-
ლი გაშეშებული სხეულის დატოვებას
ლამობდა, რადგან სხეული უხილავი
ძალით მქონდა დაბორკილი, გონება
ბინძურ ეჭვს მოექართამა და გონებას
აღარ შეეძლო გაემეორებია ის, რასაც
გული კარნახობდა. მერე კი გულიც
დაიღალა და გაყუჩდა.

●
მოსუცმა უცებ ჩაავლო მკლავში ხე-
ლი ახალგაზრდას, მოუჩრდილად შეა-
ნჯღრია და თქვა:

— შეხედე, შეხედე, გიჟს. შეხედე,
რალაცას აპირებს.

მართლაც, გიჟი ბრმა მუსიკოსს ელა-
ქუცებოდა, ბრმა იდგა, თავი მალლა აღ-
ეპყრო და თუ ტანს გამოთიშავდი მხე-
ღველობის არედან, ანტიურ ბიუსტს
ჰგავდა — მიტოვებული, მზნინავი თა-
ვი, ნესტოებიდან მკვეთრად ჩამოხაზუ-
ლი ნაოჭები, ჯიუტად მოკუმული ტუ-
ჩები, ოთხკუთხი ნიკაპი, თხელი, გაბე-
რილი ცხვირი, კორძიანი, ფართო შუბ-
ლი და აპრეხილ წარბებქვეშ თეთრი
თვალის გუგები. გიჟი რალაცას სთხოვ-
და ბრმას. ბრმა მერყეობდა და მათი
ვაჭრობა კარგა ხანს ვაგრძელდა, მანამ,
სანამ ბინდი მთლად არ შედედდა, სან-
ამ გვიანი საღამო არ დადგა და მწვანით
მოსილ სახლში სინათლე აინთო, ფარ-
თო ფანჯრებიდან სინათლე გადმოიღ-
ვარა და სახლის წინ გაქუცულ ბუჩქებს
ლამაზი იერი მისცა. გიჟმა დაიყოლია

ბრმა, ბუჩქებთან მიიყვანა და დასვა.
ბრმამ ისევ ისევ ამოიღო ჯიბიდან ქული,
წინ დაიდო, ჯოხს მარცხენა ხელით და
გილი შეუნაცვლა, გიტარა მოიმარჯვა
და დაკვრა დაიწყო, გიჟმა ტაში ააყო-
ლა. ხოლო აივანზე გოგონა გამოვიდა.
და გიჟი კვლავ ბუჩქნას მოჰყვა, უწინ-
დებურად ხტოდა და მალაყზე გადადი-
ოდა, ხოლო გოგონა კისკისებდა, ტაშს
უკრავდა. სინათლე ზურგიდან სცემდა
გოგონას, სახე ჩრდილში იყო მოქცეუ-
ლი და მხოლოდ ჯიუტი კიკინები უბ-
რჭყვიალებდა ირიბ სხივებში. მერე
გოგონას დედაც გამოვიდა აივანზე. გა-
დმოხედა ეზოს, ჩაავლო გოგონას ხე-
ლი, სახლში შეიყვანა და კარ-ფანჯრები
ჩაარზა. მაგრამ გიჟი და ბრმა მეტის-
მეტად გახურებულყვენენ, მეტისმეტად
შეწყობოდნენ ერთმანეთს და ვერ შე-
ნიშნეს, მაყურებელი რომ აღარ ჰყავ-
დათ.

— წავიდეთ, ჩემო რომეო, — თქვა
მოსუცმა. — წავიდეთ აქედან, სანამ
ამ პატარა, ლამაზი გოგონას მამა არ
მოსულა.

— წავიდეთ. — თქვა ახალგაზრდამ.
— ისეც მთელი დღე ვსხედვართ ამ ბო-
სელში.

მოსუცი უკვე ფეხზე იდგა, ახალგაზ-
რდამ რომ ეს თქვა, ბიჭის დამახებს
აპირებდა უკვე, მაგრამ უცებ გადაიხა-
რხარა, მოულოდნელი და უადგილო
მხიარულებით გადაიხარხარა და მერე
თქვა:

— ზუსტი სიტყვაა, ჩემო რომეო,
უკეთესი რომ არ შეიძლება.



ვარსკვლავთხენა

დარჩა სიყვარულს აქ ნაღვლის ძველა,
(სხვებს მოსწყინდებათ ამბავი გრძელი...)
რა ლამაზია უკლებლივ ყველა
ჩიტირეკია ჩვიდმეტი წელი...
ნაპერწყლებს ისვრის ქარში ნაწნავი,
(მე აქ მოგკვდები, მოგკვდები ლაღად!)
რა ლამაზია გაუკაწრავი,
ფრჩხილივით მთვარის წითელი წაღა...
რა ლამაზია ჩვიდმეტი გედი,
შემოდგომამდე — სამოთხის ვაშლი!
რაც კი მოება გულს ოქრომკედით,
ვერაფერს შეცვლი, ვერაფერს წაშლი...
დარჩა სიყვარულს აქ ნაღვლის ძველა,
(წამოვიხურავ... დაკარგვის შიშით)
აგვისტოს ღამე წრიალებს... ცხელა,
ყურს ვეგდებ წყალში ვარსკვლავის შიშინს.

მთვარის ავსების ღამეს

აწ ჩემს ყვავილებს, თოვლში შეფუთვნილს,
და ვარდისფერი დღეების წყვეტილს
აღარაფერი აღარ ეკუთვნის,
აღარაფერი, მადლობის მეტი.
მე დავასრულე მათი დიდება!
აწ ჩენს გარშემო რაა ხალასი? —
თეთრი, რომელიც არ მერიდება,
ტოტი გვიანი ბალამწარასი!

გვი დაეპავალი, ჯავრით გვირავალი

ნულარ მოიხედავ.
მძიმეა ურდული,
უფსკრული — ბალიში.
აროდეს, აროდეს
ყოფილა ქურდული
ნაბიჯი ქარიშხლის...
უმწეო ნოემბრის
ფერფელში დგას ყოველი
და გულის ალაგას,
დევს გუნდა თუთქისა,
გორგალი სოველი
და ჩემსას არა ჰგავს.

ვინ მოვისაკლისო?!
კოცონთა კვამლივით
დღეები ნაცარა...
და თვალწინ ზაფრანა
ჩამომდნარ კაკლისა,
წვიმამ რომ დაცარა.
მიდის შემოდგომა...
კოცონზე დამწვავენ
ჯიუტად მცინარეს!
წაიღეთ სახსოვრად
ყვითელი ნაწნავი,
მსურველი ვინ არი!

კ ა რ ლ ი ს უ ე რ ი



ათასში ერთხელ მეც მძინავს მშვიდად
და ვფიქრობ მერე დანდობით მდგარი —
რომელი მხრიდან,
რომელი მხრიდან
ამოვარდება ურჯუკი ქარი.
ათასში ერთხელ ბალიშთან არ ზის
თვალდაჭყეტილი, უჩინო ბუკნა.
გადაფერინდები ჩიტებთან ნარზე,
დავუსტვენ ფიქრებს,
დავუსტვენ ძუკნას...
დავიბადები და ხაო სოფლის,
ვით ნაგუბარი სუნთქვა პირველი,
განწმენდს ჩემს სხეულს
სისხლისგან მშობლის
და ატირდება დილა — ნინველი.

ლ ი ლ ი

ვიცი, გაზაფხულს ეძახის ხალხი,
ჩუ... მარტოობა რქმეგია აპრილს.
მოაშრიალებს საღამო თალხებს —
ბინდი იძვრის თუ ფრინველი ზღაპრის...
ვიღაცა იტყვის, რომ ბედნიერი
ვაწუხებ ზეცას, ამაოდ ვჩივი.
ო, მატყუარა ჩემი იერი
და ვარდისფერი ყელი და მძივი...
ჩუ, მარტოობა რქმეგია აპრილს.

ი ღ ი ლ ი ა

დილაა უქმე.
გრძელ აღმართში მივდივარ მჩატედ.
მოსვენებულან თავდადგმული
ზვინები თივის,
მშვიდად დასცქერის
სასაფლაოს შესეულ ბატებს
უღრუბლო ზეცა.
ხე შრიალებს,
ფრინველი ჩივის...
საფლავს თხრის ერთი,
მეორეს კი,
შავ ლოდზე, გზისპირ
შეუდგამს დოქი,

და საცაა წასწვდება ხონჩას...
კრთის დაწმენდილი ზეცის თვალი,
დუმს ქარი გლისპი,
იმ სიმალიდან ეს საფლაგი
ნეტა თუ მოჩანს?
დილაა უქმე.
მოსამკალი დადანებს პური.
ძადლი ყეფს ახლოს.
ლაჭვარდებში ქანაობს ქორი.
ახლოა სახლი,
წყაროსთვალი,
თონე და ტური.
გზა იწვევს მადლა...
სოფლის ბოლოს საფლაგს თხრის ორი.

უ ა ბ ა თ ი

რად ჰგავს სიცოცხლე
მცირე მღვიმეს სააღსარებოს?
შენ მარტო ზიხარ,
მარტო ზიხარ —
მეორე არ ჩანს.
ამ ფარდის მიღმა
კარგად იცი, არის კარები —
დრო და დრო ტოკავს
დაჭიმული წყვედიადის ფარჩა...
ჩურჩულებ წრფელი,
რახან გულით სიტყვა დასძარი,
ჩურჩულებ ცხარედ...
მოიგონო გინდა ძალიან,
უკანასკნელად ნათელს თვალი სად
შეასწარი,
ან აქ რად ზიხარ!
მარტო ზიხარ...
კვირაძალია.



ი უ ზ ა

ქათმების კრიახმა, ძაღლის ყეფამ ან ჭიშკრის ჭრიალმა როდი დაურღვია ძილი შუალამისას იუზა დგებუაძეს. იგი თავისმა კაცურმა საჭიროებამ გამოაღვიძა და კარგა ხანს სიბნელეს აჩვევდა თვალებს, რათა ადგომისას ბავშვის აკვანს არ წამოდებოდა. იუზამ გასაოცარი სიფრთხილით წამოიწია, ცოლს საბანი გაუსწორა და საწოლის თავებზე დაყრდნობილი შეუშჩნევლად ჩამოკურდა იატაკზე. ნაბდის ფაჩუჩები ხელით მოძებნა და ერთმანეთს გაუსწორა, ცოლის ხალათს დაწვდა და მოიხურა. ხელის ფათურით მოძებნა კარი, მაღლა ასწია, რადგანაც გაღებისას კარი იატაკს აწვეებოდა და ჭრიჭინებდა. იუზას ეზოში ყოველ საოჯახო მნიშვნელობის ნაგებობას ასფალტის ბილიკი მიუყვებოდა და თავსხმა წვიმამდე კი ატალახების საშიშროება არ იდგა. აფეთქებული კონდარი მოსდებოდა მთელ ეზოს და ბილიკზე ასვლას ცდილობდა. გვიანი ღამის სასიამოვნო სიგრილე ელამუნებოდა ყველაფერს. რიონისპირიდან დროგამოშვებით ისე რბილად და გაუმეტებლად წამოუბერავდა, რომ ფოთლებსა ააშრილებდა და ძალაგამოცლილი ბორიო კვლავ ჩუმი სიხინით გაუწვებოდა უქიმიერონს.

იუზამ ეზო მოათვალიერა და კიბეზე ასვლას აპირებდა, რომ სარდაფის შესასვლელთან შეჩერდა და არც თუ მთლად სასიამოვნო სიტყვები გაიფიქრა თავისი მეუღლის მისამართით, რადგანაც სარდაფის კარი ღია იყო. „რა დიდი საქმე უნდა ამ კარის მიგდებას. რაი აქვს მტეი საქმე. რავე მთლად გადაგვარდა და წავიდა ხელიდან. შევა ძაღლი და წაბილწავს ყველაფერს.“ იუზამ მშვე-

ნივრად იცოდა, რომ იმ „ყველაფერში“ თავისმოსაკლავი და გულდასაწყვეტი არაფერი იყო. სარდაფში ინახებოდა ძველთაძველი საქსოვი დაზგა, რომელსაც იუზას ბებიაც კი აღარ ხმარობდა. ხუთი ცარიელი ბოცა (თითო 27 ლიტრიანი), სამი ქილა პრასის მწნილი და ოჯახური ძველმანები. ეს ძველმანები ყველა სარდაფიან ოჯახს გააჩნია. ეს გახლავთ გამონაცვალთა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, გაცვეთილი ჩექმები და ოფლისგან შექმული ჭილოფის ქუდები. ეს „ავლა-დიდება“ საშუალო შეძლების ოჯახისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. „მეძველია ებრაელი“ ყველაფერში სამ მანეთსაც არ იძლევა, მაგრამ სარდაფში წლებს მანძილზე, თუ ერთგულად ინახვენ ადრე და მალე გადასაყრელ ამ ხარა-ხურას, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ სარდაფები ერთბაშად არ დაცარიელდეს (ბოლოსდაბოლოს მტვერი რაიმეს ხომ უნდა ეყრებოდეს).

იუზამ სარდაფის კიბე ჩაათავა და სანამ კარს მოიხურავდა, ყოველი შემთხვევისათვის, შეიხედა მაგრამ მაშინვე თოფნაკრავივით უკან მიაწყდა და სუნთქვაშეკრული აეკრა კედელს. სარდაფში ვილაც იყო. ქურდს ეტყობოდა ეგრძნო, რომ უახლოვდებოდნენ და მისი პროფესიის კაცისთვის შეუფერებელ პოზაში გაქვავებულიყო, რათა უმისამართო ნაბიჯებით ხმაური არ გამოეწვია. იუზამ კონდარში შუაზე გატეხილი აგური იპოვა და მსხვერპლს გულისფანცქალით უთვალთვალებდა. ქურდი ადგილიდან არ იძროდა. მასპინძელმა ნელ-ნელა შეაჩვია თვალი სიბნელეს, სარდაფის კარი იფარა და ქათ-

მის საბუდარს უკან, ბარებსა და ნიჩბებს შორის მოხერხებულად მოკალათდა. ახლა მას შეეძლო ქურდის არცერთი ნაბიჯი არ გამორჩენოდა. მალე დაუბატიყებელი სტუმარი დარწმუნდა, რომ სახლის პატრონს უკვე მშვიდად ეძინა და საქმეს შეუდგა: საიდანღაც უშველებელი აბგა ამოაძვრინა (იუზამ ვერ გაიხსენა ეს აბგა და დაასკვნა, რომ იგი ქურდს ეკუთვნოდა) და იმ კუთხისკენ გააჩოჩა, სადაც ძველმანები ელაგა. „ცოტა ხანს კიდევ ვაცლი“ — გაიფიქრა იუზამ და აგურის ნატეხს წვეტები მოუსინჯა, კაცი არ შემომაკვდესო. ქურდი აუჩქარებლად ტენიდა აბგაში დახეულ შარვლებს და ჩრჩილისაგან შექმულ შალის პიჯაკებს, მრავალჯერლანჩამოცვლილ „შიბლეტებს“ და ოფლისგან შექმულ ქილოფის ქუდებს (ეს ყველაფერი მეძველმანეს სულ სამ მანეთად უღირდა). ქურდი არაფერს არ იწუნებდა. კაცმა რომ თქვას მას არჩევისთვის არ ცხელოდა. ქურდი არ ღიღინებდა. იგი, თუ მოქმედების ეთიკურ მხარეს მხედველობაში არ მივიღებთ, კეთილსინდისიერად შრომობდა. „ვაი, შენს პატრონს უბედურს? რამ გაგამწარა ასე. ოო, რა ხეირს ნახავ ამაღამ?! რათ ვინდა ეს დამპალი ჯღანები. მაგის ჩამცმელი ხარ შეენ?“ — ფიქრობდა იუზა, და სადღაც გულის სიღრმეში ეცოდებოდა კიდევ, ეს ხელმოცარული და უპრეტენზიო ქურდი. უცნობმა ძველმანებით სავსე ხის სკივრი პირწმინდად ამოცალა, მერე აბგას თავი გულმოდგინედ მოუკრა და წასაღებად სარდაფის შუა ადგილას დადო. მერე სარდაფი სახელდახელოდ მიალაგ-მოალაგა. სკივრს თავი დაახურა, აბგა მხარზე მსუბუქად მოიგდო და პირდაპირ იუზასკენ გამოემართა. იუზამ ძლივს მოასწრო. კოინდარში გადახტა და გვერდზე წახრილ კომპის ხეს ილინცურად ამოეფარა. ქურდმა აჩრდილივით ამოყო თავი სარდაფის კიბეზე და ისევ ჩამალა. მან სახლის პატრონის გულმოდგინებით გაუყარა ურდული კარებს, ჭიშკარი სწრაფად გამოაღო და კარგა ხანს იწვალა,

რათა რკინის მოაჯირში ხელის-მტევანი გამოეძვრინა. როცა ქურდი ვერცხლდანათოვ ქვაფენილს დაადგა, იუზამ სწრაფად აირბინა კიბე, ცოლის ხალათი მაგიდაზე მოისროლა, აივანზე გაფენილი სარეცხიდან, თავისი ზოლიანი ფლანგლის პიჯამო ჩამოგლიჯა და ქურდს დაეღევნა. იუზა გზაში იკრავდა ღილებს და რაც კი მოუხერხდა ჩქარობდა. თანაც ცდილობდა სირბილი სიარულისთვის დაემგვანებინა, რათა ქურდს ეჭვი არ აეღო და არ გაქცეულიყო. აბგიანი ძლივს მოჩანდა, მაგრამ მისი ნაბიჯების ხმა გარკვევით ისმოდა. ეტყობოდა რეციდივისტს ნალებიანი „ბატინკები“ ეცვა. იუზა კი მთვარის ჩრდილს მიუყვებოდა და თავისი ნაბდის ფაჩუჩების წყალობით შეუშინეველი რჩებოდა. იუზა ოციოდე მეტრზე დაუახლოვდა თავის გამძარცველს და გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობდა. „ქვა რომ ვესროლო, ეგება ვერ მოვარტყა. ქვას უზამს კაცს. მერე, ახლა მაგი თავზე ხელაღებულა, ახლაა საშიში. რომ დაეუძახო; გაჩერდი, არ გაინძრეთქვა. ადვილი შესაძლებელია არ გაჩერდეს. რომ გადაადგოს აბგა და აქეთ გამოჰკიდოს? ქურდს მაგის ვაჟკაცობა ვინ მისცა. ქურდს თვითონ ეშინია, მაგრამ რომ ადგეს და გესროლოს? ცოტა ყოფილა შემთხვევა? რომ გესროლოს და გაიქცეს? მაგი მირჩენს მერე ცოლშვილს? კაცმა რომ თქვას რა წაიღო, — არაფერი. დამპალ შიბლეტებს გადავაყოლო თავი?“

ქურდი ერთბაშად შეჩერდა და უკან მოიხედა. თავის ფიქრებში გართულმა იუზამ ვერც კი შეამჩნია იგი და სულ ორ ნაბიჯზე მიუახლოვდა. როცა მის წინ მდგარი ბანდიტი დალანდა, იუზას შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. გაჩერება აღარ გამოდიოდა, „მშვიდად“ ჩაუარა გვერდით და უკან მიუხედავად განაგრძო გზა. ქურდმა აბგას მხარი მოუნაცვლა და წინ წასულს მიჰყვა. „შეეშინდა“ — გაუელვა იუზას — ეტყობა დაიღალა კიდევ. ახლა მაქვს დრო. რას მიზამს, ქურდებს თვითონ ეშინიათ.“

იუზამ ნაბიჯი შეანელა. ქურდი მალე დაეწია და იუზას ყურები აეწვა, როცა ღამეულმა სტუმარმა გვერდით ჩაუარა. იუზა მიჰყვა. ნინოშვილის ქუჩა ჩაათავეს და მარდალეიშვილის ქუჩაზე გავიდნენ. „სად ნაცხოვრება ეს უბედური, რამ წამოიყვანა ამხელაზე. ანდა რა ეგულებოდა ამ ჩემს სარდაფში მოსაპარავი და წასაღები“.

ქურდმა აბგა ჩამოიღო და შეისვენა. იქვე შორიასლო იუზაც გაჩერდა. „მე მომდევს“ — გაიფიქრა ქურდმა და გული ეტყინა. იუზა ყოველ შემთხვევისთვის უკანდასახევ გზას ათვალთვლებდა. ქურდმა აბგა ამოიღლიავა, ასიოდ მეტრი გაიარა და ტრიფოლიატის ღობესთან ერთბაშად მოუხვია. იუზამ წუთით დაკარგა იგი თვალთავან, მოსახვევს ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა და სირბილით მობრუნდა. მოსახვევთან ქურდი იდგა და ქშინავდა. ახლა მისთვის ყველაფერი ნათელი იყო.

ნახევარ საათს კიდევ იხეტიალეს. ქურდმა კვალი ვერ აუხნია მდევარს. იუზა მას უკვე ათ მეტრზე უფრო ახლოსაც მიჰყვებოდა. იუზას აღარ ეშინოდა. მის წინაშე საწყალი კაცი იყო, რომელიც ხაფანგში მოხვედრილ ვირთხასავით ხერვლს ეძებდა, რათა ცოტახნით მაინც შემალულიყო. ქურდმა მარდალეიშვილის ქუჩის ყველა ჩიხი მოიარა და რაკი თავი ვერსად შეაფარა, სადგურის გზას დაადგა.

უკაცრიელ ფართო ქუჩაზე ორნი მიაცივებდნენ. წინ მიმავალს მხარზე აბგა მოეგდო და მუხლები უკანკალებდა, იგი დაღლილი იყო და მოტეხილი ჩანდა. შეჩერდებოდა აბგიანი — შეჩერდებოდა მდევარიც. ისინი კარგა ხანს თვალთვალს ზომავდნენ ერთმანეთს. დაიძვრებოდა მეწინავე, მიჰყვებოდა მეორე და ასე სადგურის განათებულ ხაზში ჩაიმაღნენ. ქურდი მაშინვე სალაროს მივარდა, რომელიც მატარებლის ბილეთი აიღო და ბაქანზე გაიჭრა. იუზა მიჰყვა. იუზას აღარაფერი აღარ უნდოდა. იუზა ინსტინქტურად მიჰყვებოდა თავის მსხვერპლს და სამაგიეროს გა-

დახდაზე კი არა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, მისი სახე, მისი თვალები დაეღლია როგორმე. მატარებელი დაეღლია. ქურდმა აბგა მისის რიხურს მიაცივდა და ჯიბიდან ცხვირსახოცი დააძრო. იგი თავგამეტებულად ისვამდა სახეს და კისერზე ცხვირსახოცს. თან იქვე ზურგით მდგომ იუზას თვალს არ აშორებდა. ქურდი ერთხანს ზომავდა მანძილს მისის რიხურსა და საბარგო მატარებლის ვაგონებს შორის. იუზას ერთი საეჭვო მოძრაობა და იგი რამდენიმე ნახტომით შეერეოდა სიბნელეს. მაგრამ ამ სინათლეში, ქურდისთვის ამ ყველაზე უხერხულ ადგილას, მისი მდევარი არავითარ ინიციატივას არ იჩენდა და ქურდი თანდათან დამშვიდდა. ერთი გაფიქრება ისიც კი გაიფიქრა, იქნებ კაცს თავისი საქმე აწუხებს და ჩემი ჯავრი სულ არა სჭირსო. იქნებ უკან იმიტომ მომყვებოდა, რომ მარტო სიარული ეშინიაო. ქურდს ოფლი შეაშრა.

მატარებელი კარგად არც კი იყო გაჩერებული, ქურდი რომ კიბეს დაეკიდა, ხელის ოსტატური მოძრაობით ვაგონის კარი გააღო და აბგა ძლივს აათრია. ცოტა ხანს ჩაიკარგა იგი ვაგონში. იუზამ ბევრი იწრიალა, ვაგონს ორჯერ შემოურბინა და ფანჯარასთან მოყუჩებულ ქურდს მონუსხულივით მიაჩერდა. ქურდი დაიბნა. მან თვალი მოარიდა იუზას და ვითომც აქ არაფერიო, შემადგენლობას ირიბად გახედა. იუზამ ფეხის წვერებზე აიწია და ვაგონის ფანჯარას ზედ ქურდის ცხვირთან მიუკაკუნა.

ქურდს მოულოდნელობისაგან ყბა მოექცა. მან ცხვირი მიაჰყლიტა ვაგონის მინას და იუზას შიშჩამდგარი, გოცებისაგან გაფართოებული თვალებით დააჩერდა. იუზა ახლა გარკვევით ხედავდა ნირწამხდარი კაცის თვალებს. იუზა ქურდის დაბერილ უბეებს და აკანკალებულ ყბებს ხედავდა.

მატარებელი ნელა დაიძრა. ქურდმა ტუჩები ააცმაცუნა, ეტყობა რაღაც უთხრა იუზას, მაგრამ მისი ხმა ვაგონის სქელ მინას არ გამოცილებია. იუზა დიდხანს იდგა ბაქანზე და ბოლო ვაგონის წითლად აკიაფებულ ნათურას შესცქეროდა.

მამლები აღარ ჰყიოდნენ. გაცრეცილ ღამეს სწრაფად ერეოდა ციავი და მტრედისფერი ცა უფრო ფართო და მაღალი ჩანდა, როცა იუზა შინ მობრუნდა და ტანზე გახდას შეუღდა, იქნებ ერთი პირი ძილი კიდევ მოვასწროვო.

— სად ხარ, კაცო, შენ? — ჰკითხა თანამეცხედრემ ისეთი ტონით, რომ აშკარად ჩანდა ლოგინზე პერანგისამარა წამომჯდარი ქალი საავდრო ღრუბელივით გამზადებულიყო.

— არსად, აგერ გავედი პატარა.

— რას ჰქვია არსად. სამი საათია გაიპარე სახლიდან, სრულ ჰქუაზე ხარ შენ?!

იუზა წამოწვა და ჰერს მიაჩერდა. დუმილი მძიმე იყო.

— არ გესმის შენ?! — არ ცხრებოცა ცოლი — ახლაც მითხარი სად ეგდე, თვარა კივილით ავიღებ აქაურობას!

— რა გინდა, ქალო?

— სად იყავი, მე შენ გელაპარაკები.

— სად ვიყავი და ქურდს მივსდევდი.

— რას მისდევდი?

— ქურდს, რას და.

— რომელ ქურდს?

— რომელიცხა იყო სარდაფში.

— ახლა მასულელებ, იუზა? ეს რა დამიწყო ამან, უყურებ, შენ კაცო?!

— გელაპარაკები ქურდს მივსდევდი-თქვა, და თუ არ დამიჯერებ, ურტყი თავი კედელს!

ცოლი გაშრა. ეტყობა იუზა დამაჯერებლად ლაპარაკობდა. დამაჯერებლად ნათქვამს კი ყველაზე ეჭვიანი ცოლებიც გრძნობენ.

— რას ჰქვია ქურდს მისდევდი, იუზა?

— რას ჰქვია და მიდიოდა ქურდი წინ და მივყვებოდი უკან მე. ამას ჰქვია.

— მერე, წაიღო რამე?

— ცოტა რაღაცა, ძველი, გაღვსილი ლი ხაბაკი რო გეწყო ზანდუქში.

ცოლი წამოხტა. ფოსტალებში ფეხი წაჰყო და პერანგისამარა გაფულატუნდა აივანზე. იგი მალე მობრუნდა და ენაჩავარდნილივით ჩამოჯდა საწოლზე.

— იუზა!

— რა იყო.

— რა უქენი მერე, იუზა?

— რას ვუზამდი.

— დაიჭირე?

იუზამ არ უპასუხა.

— კაცი ციხეში ჩასვი, იუზა? ხო გადავიწვავენ ჯიბეირები ოჯახს. ხო დავიღუპეთ, იუზა!

— რას სულელობ ქალო. ვერ ერთი ციხეში არ ჩამისვამს და რომც ჩამისვა, ვის ეშინია მაგენის.

— რა ვიცი, ათასი ოხერია ქვეყანაზე. ისევ ჩამოწვა სიჩუმე.

— იუზა, — ხმას დაუწია ცოლმა, — კაცი ხომ არ მოგიკლავს. ხომ არ დამლუპე, იუზა?

— მომიკლავს კი არა... ჩაჯდა მატარებელში და წავიდა.

— რა ჰქნა?

— რა ჰქნა და შორაპანს გაჰყვა.

— მერე შენ სად იყავი იმ დროს?

— მივყევი სადგურამდე.

— ვერ ატეხე ყვირილი. ქურდი-ათქვა, ვერ შეყარე მეზობლები?! ვერ ამოიღე ხმა? როდის იყო ქურდს სადგურზე აცილებდნენ, — გული მიეცა ცოლს.

— რა ვიცი, დავიბენი.

— რამ დაგაბნია, იუზა?

— რამ და ისეთი არაფერი გეკონდა სარდაფში და არ ღირდა ბლავილის ატეხვა.

— გადამრევს ეს კაცი. აბა, ყველამ გავჩუმდეთ და ვუყუროთ ჩვენს ძარცვას?

— არ გავჩერებულვარ, მივსდევდი.

— სად მისდევდი, ჩასვი მატარებელში და გაუშვი ხომ?

— მე არ გამოშვია, თვითონ წავიდა.

— არა, არა, სრულ ჰქუაზე არა ხარ

ნამდვილად — ჩაილაპარაკა ოჯახობამ და იუზას წელანდელზე უფრო ექვიანად გაჰხედა.

— შენ რა გესმის, ქალო. რომ გეყურებია, გული მოგეწეებოდა, რა მონღომებით ალაგებდა იმ ჩვენს ნაგავს ჩანთაში, ცოდვავა, იმისი მუშაობა ეგ არის. სანამ სახლში მიიტანდეს, ჰკონია, რაღაცა ვიშოვეო. ვერ ვაგებდე ხელი შემეშალა.

— თუ ცოდვავა, რატომ ქურდობს?

— ეგ სხვა საქმეა.

— არაა მასე, შეგეშინდა შენ და იმიტომ გაჩუმდი.

— შეიძლება ეგეც იყო.

— კი მარა, ამ შუალამეზე სამისაათი რომ დაასეირნებდი ქურდს, რომ დაეჭირე და დაესვა ბრიტვა სახეზე?

— იმას ჩემი უფრო ეშინოდა.

— თუ დაჭერა არ გინდოდა, რას მისდევდი უკან მუდოსავით. ვერ მობრუნდი სახლში?

— მაინტერესებდა.

— რა გაინტერესებდა, იუზა?

— აბა, სად წავა-თქვა. სხვის სარდაფში რომ შესულიყო, დავიჭერდი.

— აქაური იყო?

— არ ვიცი. ჩემი სარდაფისთვის აბა ვადამთიელი არ მოვიდოდა.

— ვერ იცანი სახეზე?

— ვერა.

— აწი რომ შეგხვდეს იცნობ?

— ვერ ვიცნობ.

— ხელი თუ დაუქნე, ვაგონში რომ ჩაჯდა? — ხუმრობის ხასიათზე დადგა ცოლი.

— შენ არ იცი, რა მადლობელი იყო ჩემი. რა გახარებული მომშტერებოდა, მატარებელი რომ დაიძრა.

— რატომ არ გაეხარდებოდა, რა...

— იმას თავისი დაემართა, ამაღამ ეყოფა.

— შორაპანს რომ გაჰყვა, ვინ ჰყავს ვითომ შორაპანში?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს... მაცადე ახლა ცოტა ხანს, ეგებ დავიძინო. სველი პიჯამო ჩავიცვი და გამაცვივა.

ცოლი გაჩუმდა. იგი ანგარიშმიუცემლად არწევდა აკვანს, ხანდახან ჭერს-მიშტერებულ იუზას გახედავდა და გაფიქრებდა: „შენ რაღაცას მატყუებ, იუზა“.

ქ ი მ ე რ ა

დილის შვიდ-საათზე ქალაქის უკიდურეს დასავლეთ საზღვართან მდებარე საუწყებო სახლის ერთი პატარა ოთახის კარებზე კაკუნი გაისმა. პატარა ოთახი (რომლის კარებზეც კაკუნი გაისმა) ისეთ უხერხულ ადგილას იყო ამოშენებული, როგორც შეიძლება იყოს მეორე სართულის ის შეზღუდული ტერიტორია, ლიფტის მორიგის სადგომსა და სახანძრო უშიშროების კედელს შორის რომ მდებარეობს. სახლმმართველის მაძიებელი გონების ნაცუღლუტარ ამ ოთახში შეიძლებოდა ეცხოვრა მხოლოდდა-მხოლოდ იმ საშუალო შეძლების მქონე სტუდენტს, რომელზეც სტუდენტალაქი საეკვო ზნეობრივ ზემოქმედებას ახდენდა. კაკუნს მოსალოდნელი შედეგი არ

მოჰყოლია, ეტყობოდა პატარა ოთახში მაგრად ეძინათ. ამიტომ კაკუნი უფრო დამაჯერებლად განმეორდა. რა თქმა უნდა, იგი კიდევ ერთხელ განმეორდებოდა, რომ ოთახის სიღრმიდან (თუკი ეს განზომილება საერთოდ გააჩნდა მას) კმაყოფილი, ნამძინარევი ხმა მოისმა:

— ახლავე!

მერე დიდხანს ჩხაკუნობდა ფანერის უსუსურ კარებში ობობასავით გაფარჩხული ბოქლომი და როგორც იქნა გამოჩნდა გაუფრთხილებელი წოლით აჩეჩილი სტუდენტური თმა. მერე თავი უცებ მიიშალა და ფართოდ გაღებულ კა-

რეზო მიხვებლავა

მ ო თ ხ რ ო ბ ი ა ბ ი

რებში სიძველისაგან ფერშეცვლილი სპორტული ხალათი გამოკრთა.

სპორტული ხალათი დიდხანს მღუმარედ შეჰყურებდა მოსულს. მან არ იცოდა როგორ დაეწყო. უხერხულად მოეჩვენა მოსვლის მიზეზი ეკითხა სტუმრისთვის, რადგანაც როცა დილის შვიდ საათზე გიკაუნებენ, დამკაუნებელმა მშვენივრად იცის, რა უნდა გითხრას. გახუნებული სპორტული ხალათი თანდათან სწორდებოდა, თვალებს იფშვნიტდა და ნაძინარევ თითებს ატაკუნებდა. სტუდენტს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სტუმრის შეპატივება, მაგრამ ამას ჯერჯერობით თუ ვერ ახერხებდა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მის წინ კარს მეზობელი, მოხუცი ფოტოგრაფი იმანუელ ტორაძე იდგა. იმანუელს ნიკაპი გათეთრებოდა, ბებერი მხრები უთრთოდა და ნიწრეცვლილ თვალეებში სასოწარკვეთა ჩადგომოდა. მან ცრემლები გულში ჩაიგუბა და სტუდენტს წყალწაღებულის ხმით მიახალა:

— დავიღუპე!

სტუდენტმა არაფერი არ უპასუხა. მისი თვალეები გამალებით მოითხოვდნენ უფრო კონკრეტულ ახსნას და იმანუელმაც არ დააყოვნა:

— ნაპოლეონი მომპარეს.

ამ სიტყვებთან ერთად მოხუცი შეტრილდა და ფოსტლების ფშლატუნით მიამურა თავის საღვამს. მას კარის მიღების თავიც აღარ ჰქონდა. სტუდენტმა ფეხები საოცრად დაჯვარჯნილ, არანორმალური სიმაღლისა და წონის ფეხსაცმლისმსგავს საგანში წაჰყო და გაჭურდულს მიჰყვა. ოთახში შესვლისთანავე მან კარვად შენახული მტვრის ნაცნობი სუნი იგრძნო, დანახვით კი, აი რა დაინახა: ხის ტახტზე ერთი წყება უჩინოლო ქვეშაგები უამრავი ფერისა და ზომის ფოტოსურათში არეულიყო. საბანი ფოტოსურათებისაგან შეკერილს ჰგავდა. ფოტო გამეფებულიყო ყველაგან — მაგიდაზე და ფანჯრის თაროებზე, პროდუქტების შესანახ კარადსა და საუთათო მაგიდაზე. იატაკზე ფოტოებით გატენილი „მარამალადის“ ყუთები ეწყო.

კედლები! საღდა იყო კედლები. კედლების ნაცვლად შემოსულს უსიტყვოდ, მაგრამ ექსპონატებით უზომოდ მდიდარი ფოტოგამოფენის ნახვის საშუალება ეძლეოდა. ამ სურათების მიხედვით დაკვირვებული დამთვალიერებელი თვალს გადაევნებდა ტექნიკის, მეცნიერებისა და კულტურის დაუჯერებელ ნახტომებს ფოტოგრაფიის შექმნიდან დღემდე. კედლიდან ბედნიერის იერით იმზირებოდა იმპერატორი ნიკოლოზ მეორე თავისი მომზიბლავი დედოფლით და კოპწია ქალიშვილებით. იქვე სამოქალაქო ომის დროინდელი ჯავშნოსანი მანქანა და მანქანის გვერდით სმენახე ვაჭიმული კონუსისქუდიანი ჯარისკაცი იდგა. მერე მოდიოდა 40X65-ზე დაბეჭდილი ფოტოტეიდი — „საღდა ნახვ კავს და უღელს“. საწოლის გასწვრივ კედელზე უნიკალური ფოტოპორტრეტები ეკიდა. ეპოლეტებს და ბაყენბარდებს მემხატის ქუდები და უკრაინული პერანგის საყელოები ცვლიდა. სურათებს შეჰყინვოდნენ ფრაკები და მანტიები, კოსტუმები და ექიმის ხალათები, პორტრეტებს შერჩენოდა წარსულის განუმეორებელი დიმილი და სიძველის ბაცი ფერი. უთვალავი ვაპარსული ყბა და სერიოზული, მონდომებული მიმიკა თითქოს სხვადასხვა დროის და მდგომარეობის უთვალავი სტუმარი ერთდროულად იმზირებოდა მოხუცი ფოტოგრაფის ღარიბულად მორთულ ოთახში. აგიტმხატვრულად ბრივადის წვერები, დურბინდმომარჯვებული კაპიტანი, ქონ-სამკითხველოს ახალგაზრდა მკითხველები, პოლიტსემინარის მსმენელები, უსკაფანდრო კოსმონავტები, ყველანი, ყველანი თავთავის პატარა და ლამაზი ჩარჩოებიდან თანაგრძნობით საესე თვალეებით შეჰყურებდნენ იმანუელ ტორაძეს, რომელიც ჩრჩილისგან შექმულ ხის ჩემოდანში ამოდ ეძებდა საფრანგეთის დიდი იმპერატორის ფოტოსურათს.

სტუდენტი სდუმდა. სტუდენტს არ უყვარდა მწუხარე სცენების ნახვა და მისი სტუდენტური გონება ენერგიულად ეძებდა გამოსავალს. ეთქვა: იქნებ საერ-

თოდ არ გქონიათ, არ ივარგებდა, რადგანაც ეროვნული ფოტოგრაფიის პიონერს, დამსახურებულ და ნავალ ფოტოგრაფს — იმანუელს არ შეიძლებოდა არ ჰქონოდა ნაპოლეონის უნიკალური ფოტოსურათი. ეთქვა, იქნებ ვინმეს აჩუქეთო, არც ეს იქნებოდა სწორი, რადგანაც იმანუელი ნაპოლეონის კი არა, ისეთ არაიშვიათ ფოტოსურათსაც კი არვის აჩუქებდა, როგორც იყო „ზაქსის ელსადგური“ და სტუდენტი სდუმდა. მას ისღა დარჩენოდა, რომ ბეჭებზე ხელის მსუბუქი შეხებით ენუგეშებინა მოხუცი და ლექციებზე დავვიანების მომიზეხებით ისევ თავის, ჯერ კიდევ თბილ საწოლს დაბრუნებოდა.

● იმანუელი მარტოხელა კაცი იყო. ერთოთახიანი ბინა, რომელიც ამჯერად მოხუც ფოტოგრაფს ეკუთვნოდა, ამ ექვსი თვის წინათ მიიღო. მანამდე ელზაქიძის დაღმარებულ ნახევრადსარდაფში ცხოვრობდა. ის პატარა ოთახი იმანუელმა ორმოცი წლის წინათ დაიქირავა. მერე, როცა მოხუცი დიასახლისი გარდაიცვალა, იმანუელისთვის ბინის ქირა არავის მოუთხოვია და ისიც ცხოვრობდა. კაცმა რომ თქვას მას მოსწონდა კიდევ ნახევრადბნელი ოთახი, რომელიც ფოტოშემოქმედებისთვის იდეალურ პირობებს ქმნიდა თავისი სასიამოვნო სინესტიისა და მუდმივი ტემპერატურის გამო. რაც შეეხებოდა ოთახის, როგორც საცხოვრებელი პუნქტის მარგ თვისებებს, ამაზე იმანუელს არასოდეს უფიქრია. იგი ფოტოხელოვნებით ცხოვრობდა და არ ეცალა ისეთ საექვოშედევანი საქმისთვის, როგორც ოთახის საზოგადოებრივად ინსტანციებში სირბილი გახლავთ. ერთ დღეს იმანუელს კატეგორიულად მოთხოვეს ოთახის დაცლა, მოხუცმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ მისი ძველთაძველი სახლის ნახევარი უკვე დაენგრიათ და მშენებლებს გვიან შეეტყოთ, რომ ნახევრადბნელ სარდაფში ცხოვრობდა კაცი, რომლის ფოტოანამუშევ-

რებს სისტემატურად აქვეყნებდა ადგილობრივი და ცენტრალური პრესა. ითვლებოდა სამამულო ფოტოხელოვნების რეალისტური სკოლის დამაარსებლად და მის მამამთავრად, მოწაფეთა და მიმბაძველთა მთელი არმია ჰყავდა.

იმანუელს ქალაქის უკიდურეს დასავლეთ საზღვართან ახალაშენებულ საუწყებო სახლში ერთოთახიანი ბინა შესთავაზეს და ბარგის გადატანაშიც სათანადო დახმარება აღმოუჩინეს. ახალმა მობინადრემ მეორე დღესვე დააბნელს სამზარეულო და შიგ ფოტოსაბეჭდი გამართა. კაცმა რომ თქვას, იმანუელს სამზარეულო არც კი სჭირდებოდა; კენჭიანი თირკმლების და დაწყლულებული კუჭის პატრონი, დიეტური სასადილოების უერთგულესი თანამგზავრი იყო.

იმანუელისათვის დრო თითქმის არ გადიოდა. მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ ჰქონია არცერთი თავისუფალი დღე. იგი ყოველთვის ფუსფუსებდა მოუსვენარი კაცის საქმიანი ფუსფუსით და ამიტომ მოწყენილს ვერასოდეს ვერ იხილავდით. ემანუელს დრო იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც იგი რაიმე კონკრეტულ მოვლენას (ძეგლის გახსნა, წყალსადენის ამუშავება და ა. შ.) მიუთითებდა. იმანუელს არც კი გაუგია, როგორ დაბერდა, რადგანაც ახალგაზრდობის მღელვარე წლები არასოდეს განუცდია. მას ახალგაზრდობა თითქმის არ დასჭირვებია. ხოლო ენერჯის მარაგი, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენოდა, მოხუც ფოტოგრაფს სავსებით ჰყოფნიდა იმისათვის, რაც მისი ცხოვრების არსსა და მიზანს შეადგენდა. იმანუელისთვის სამყარო დაყოფილი იყო ფოტოეტიუდბად, ფოტორეპორტაჟებად, ფოტოპეიზაჟებად და ფოტოპორტრეტებად. ეს სამყარო დღესაც ვით ნათელი და მარტივი იყო. სხვა სამყარო იმანუელისათვის არ არსებობდა. მას სწამდა, რომ ფოტოდოკუმენტებში გადასული გაქვავებული სურათები მათს

გაყო მთავარად
მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ო

ცვალებად დედნებზე უფრო ნამდვილი იყო. იმანუელს ეგონა, რომ საგნები და ადამიანები მხოლოდ იმისთვის არსებობდნენ, რომ ფოტომატიანეში თავიანთი ადგილი დაემკვიდრებინათ. და იმანუელი ჩქარობდა; უნდოდა თავის უზარმაზარ ფოტოარქივში ჩაეტია მთელი ქვეყანა, და მერე, მის ოთახში შეჩერებული დრო ყველასთვის ეჩვენებინა. იმანუელი ინახავდა უამრავ ძვირფას დოკუმენტს და უიშვიათეს ფოტოგრაფიულუქციას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმანუელის არქივი ფოტოიშვიათობათა სასაფლაო იყო. იმანუელი არავის არ ანდობდა თავის მდიდარ კოლექციას. მასთან გაზეთების თუ მუზეუმების თანამშრომელთა ვერავითარი მუდარა ვერ ჭრიდა. იმანუელი სისხლის ფასად მოიპოვებდა და მერე გულმოდგინედ ინახავდა უძველეს ფოტოებს, არც ათხოვებდა ვისმეს, არც მიჰყიდიდა; ჩვენებით კი უჩვენებდა და მერე ისევ შეინახავდა. სინანულით მიუთითებდნენ მკვლევარები თავთავიანთ საკანდიდატო და სადოქტორო ნაშრომების მაღალ სქოლიოებში: „ამა და ამ ფოტოსურათს იმანუელ ტორაძის არქივში მივაკვლიეთ, მაგრამ პატივცემული ფოტოგრაფის ახირებული ჩვეულების გამო დასაბეჭდად მოპოვება ვერ შევძელით“. ასეთი იყო იმანუელი.

იმანუელს ცოლი არ შეურთავს. მის ახლობლებს ეუხერხულებოდათ კიდევ ფოტოგრაფთან ამ თემაზე ლაპარაკი. ხომ არიან ადამიანები, რომლებთანაც ოჯახის შექმნის პრობლემებზე საუბარი ზედმეტად კია. იმანუელის პიროვნება არ ამქლავებდა ოჯახის უფროსის პოტენციალურ შესაძლებლობებს. მხოლოდ ერთხელ, როცა ეკონომიური გაზეთის ახალდანიშნულმა თამამმა რედაქტორმა უსაყვედურა — უცოლშვილოდ როგორ გადამენდი ამხელა კაციო, ფოტოგრაფს ყელში სიბრაზის ბურთი მოაწვა, მან შინ მიიპატიჟა ახალი უფროსი და როცა ფოტოარქივი დაწვრილებით დაათვალიერებინა, უთხრა: „ბატონო, თქვენ მითხარით ცოლი რატომ არ

გითხოვიათო; ახლა რაღას იტყვი ბატონო, მარტოხელა კაცი ვარ მე? უნდა მომეყვანა ვიღაცა ენაჭარტალა დედა დედა დედა, მისი იაფი აზრები მესმინა და მაკარონის რიგში ვმდგარიყავი. მერე ბავშვების წამალზე უნდა მერბინა და გული უნდა მეხეტო. მერე ფული არ გვეყოფოდა და უნდა მომეპარა; ხალტურა უნდა შეკეთებინა. სამი კარგი სურათის ნაცვლად შვიდი ცუდი სურათი უნდა გადამელო, მოპარვას ვეძახი ამას მე. მერე ბავშვები დაიზრდებოდნენ და ვინ იცის, რა ხალხი დადგებოდნენ. ვაი თუ სისხლი გაეშროთ ვინმესთვის. მერე ცოლი დაბერდებოდა და მის ჯავრს უნდა გადავყოლოდი. მე მგრძობიარე კაცი ვარ, ბატონო. მე ვერ ავიტანდი იმის ყურებას როგორ დაქცნებოდა და დაიღოდა ჩემი შეჩვეული თანამგზავრი. მერე ხელუბრაქდეული უნდა ვმდგარიყავი ცოლის კუბოსთან, ან ცოლი დადგებოდა ჩემს კუბოსთან. სულერთია მაგი. ცოლქმარი ერთად არასოდეს არ კვდება. ბატონო, თქვენ ფიქრობთ საჭირო იქნებოდა ყოველივე ეს? რისთვის, ვისთვის გამეძალღებინა საკუთარი სიცოცხლე? ახლა კი ხომ ხედავთ ვიღაც ტუტუცი დედაკაცის მაგივრად გენიოსებში ვცხოვრობ, მთელ ქვეყანასთან ვცხოვრობ, შეხედეთ ამ კედლებს, ვინ აღარ მყავს აქ, ვინ აღარ შემოდის ჩემს ოთახში. მე ამით ყოველდღე ვესაუბრები. მე ამით ვეხვეწები, მე ისინი მარიგებენ, მე მათი მრცხვენია კიდევ ზოგჯერ, ბატონო. ვყოფილვარ მარტო? არ დაიჯეროთ. მე ჩემებურად ვიცხოვრე, მე არაფერს არ ვნანობ. ყველამ თავისი საქმე იცის“.

ეკონომიური გაზეთის ახალ რედაქტორს მაშინ არაფერი არ უთქვამს, მაგრამ მას ახლაც გააჩნია მოხუც ფოტოგრაფზე თავისი ავტორიტეტული, რედაქტორული აზრი.

და ბოლოს იმანუელ ტორაძის ცხოვრების ერთფეროვნება ერთბაშად დაირღვა — ნაპოლეონი მოიპარეს! მოხუცს თვალწინ ედგა იგი, ოცდახუთი წლის იმპერატორი სამხედრო ეტლის უკანა ბორბალს ხელუბრაქდეული მიყრდნო-

ზოდა და სუფთა, არწივული თვალეებით სივრცეს გაჰყურებდა. იმანუელმა ვერაფრით ვერ მოიგონა, სად შეიძინა ეს სურათი. მაგრამ ახსოვდა, ნამდვილად ახსოვდა, რომ მის ჰერქვეშ ნაპოლეონიც ათევედა ღამეებს. და როცა ერთხელ, რატომღაც მოუნდა ნაცრისფერთვალეება გენიოსის ნახვა, ვერა და ვერ იპოვა. ნაპოლეონი გამქრალიყო მოხუცი ფოტოგრაფი შეშფოთდა. იგი არნახული ენერჯით დაფათურობდა თავის მტვრიან არქივში, მაგრამ ამოდ. ხოლო როცა საბოლოოდ დარწმუნდა ნაპოლეონის მოტაცებაში, ის იყო თავის ერთადერთ მეზობელს, ძილისგულა და უწყინარ სტუდენტს. უთენია მიადგა და ნაპოლეონის ფოტოსურათის დაკარგვის ამბავი აუწყა.

ნაპოლეონის უგზოუკვლოდ გაქრობიდან სამი დღეც არ იქნებოდა გასული, რომ საშუალო შეძლების მქონე სტუდენტის სადადმოწყობილი ოთახის კარებზე ისევ დააკაკუნეს.

— ახლავე. — მოისმა ნამძინარევი ხმა. სტუდენტის გაცეცხას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან კარი გააღო და მოხუცი ფოტოგრაფის გაფთხებულ სახეს წააყუდა.

— დავიღუპე, — მუდარით ამბობდა იმანუელის უპემომწვებული თვალეები.

— ისევე? კი მაგრამ, ვინ იქნება ვითომ?

— ლომონოსოვი მომპარეს. — თქვა მოხუცმა და ბარბაცით შებრუნდა. მერე სტუდენტი და დამსახურებული ფოტოგრაფი სურათებით და მტვრით დაფარულ მაგიდასთან იდგნენ და უკვალოდ გამქრალ ლომონოსოვს დასტიროდნენ.

დღეები დღეებს მისდევდა. იმანუელ ტორაძემ მოსვენება დაჰკარგა. იგი წვერსაც აღარ იპარსავდა. ერთბაშად მოეშვა. რედაქციებშიც აღარ დარბოდა. დღედაღამ შინ იჯდა და თავის აუწონავ სიმდიდრეს — თავის უზარმაზარ ფოტოარქივს დარაჯობდა. მოხუცმა კარებს გასაღები გამოუცვალა, ფანჯრები იატაკის მსხვილი ლურსმნებით ჩაჭედა და შინებს სქელი გაუმჭვირვალე ფარდებიც

ჩამოათარა. მაგრამ მინც ეჩვენებოდა, რომ ოთახში უჩინმაჩინივით შემოპარულ ქურდებს ყოველდღიურად მიმტოვნდათ უნიკალური სურათები მოხუცის მდიდარი ფოტოარქივიდან.

დაჩაგრულ მეზობელს იმ კვირაში ოთხჯერ მოუხდა ძილისმოყვარული სტუდენტის გადციება. გაძლიერებული სიფხიზლის და დაცვის პირობებში ბოროტმოქმედმა მინც მოახერხა თვალდახელშეუა აეწაპა მისთვის მაკარენკო, ალიშერ ნავოი, პასტერ ლუში, ჯონ რესკინი, სუკარნო და აინშტაინი.

და როცა მოთმინებადაცლილ სტუდენტს მამაცი პაპანინის ფოტოსურათის დაკარგვის გამო შაბათის ძილი გაუტეხეს, მან გაბრაზებულმა სისინით უთხრა დაზარალებულს:

— მე რა ვქნა, მე რითი ვიშველოთ. მე რას მერჩით. ბოლოსდაბოლოს ნუ ვაღამაყოლებთ ამ მკვდრების სურათებს. მე ჩემი გასაჭირი მაქვს. ჩამოვხში კაცივინაა ის ჩემი ცოდვით სავეს. რაღა სათითაოდ იპარავს. ბარემ...

სამამულო ფოტოგრაფის მამა უხმოდ შეტრიალდა, ბებრული ლასლასით ძლივს მიადწია საწოლამდე, გაუხდელად დაემხო და ატირდა. მოხუცები არ ქვითინებენ, მოხუცები სიტყვებით ტირიან. იმანუელის მოთქმაში გამოცდილი ტირილთმცოდნე ასეთ სიტყვებს გააჩევედა: „მძარცვავენ, მიაქვთ, ყველაფერი ნელ-ნელა მიაქვთ... მე ზომ სხვა არაფერი არ მიმოვი... ამ სურათებს შევალე სიცოცხლე... რა უნდათ, რას მერჩიან. რატომ მკლავენ, რატომ მძარცვავენ... არავინ ხართ პატრონი?! დამიბრუნეთ, ჩემი მაკარენკო, ჩემი კენედი, ჩემი აინშტაინი...“

● ოთახი მეზობლებმა დაცალეს. ისინი უხმოდ ტენიდნენ მაკარონის ფარღალა-ლა ყუთებში განსვენებულის უნიკალურ ფოტოსურათებს. მერე სერიოზული სახეებით ჩამოქმონდათ და კიბის ქვეშ დგამდნენ, რათა პანაშვიდზე მომსგელთათვის ხელი არ შეეშალა.

დასაფლავების ხარჯებს სახელმწიფო იხდიდა.

„სიკვდილმა ჩამაიარა“...

იქნებ დღე მოვა სიკვდილი
და მე სტუმარი მეგონოს,
იქნება ღამე მოვიდეს,
მე სიყვარული მეგონოს,
კარი გავუღო ღიმილით,
გულზე ნაღველი მეფინოს,
კოცნა მომინდეს, ვაკოცო,
შავი ფრთა გადმომეფინოს,
მომხვიოს ძვლები ტკაცუნა,
მოხრილი მხრები მეტკინოს,
მე სიყვარული მეგონოს,
არა მეთქვას რა, მეთმინოს.

ცივი იყოს და გავვოცდე,
მკერდით გათბობა მეფიქროს,
ჩამომიბნელოს თვალები,
თვითონ დავხუჭე მე თითქოს...
იქნებ დღე მოვა სიკვდილი
და მე სტუმარი მეგონოს,
იქნება ღამე მოვიდეს,
მე სიყვარული მეგონოს,
შემხსნას სიცოცხლის ქამარი,
მე შენი ხელი მეგონოს.
სათქმელი მქონდეს, არა ვთქვა,
ხვალ ვიტყვი, ასე მეგონოს.

იდგა სურები

მალალი და წყურვილით სავსე.

და გზა —

ტკივილით დაწყებული სამგზის თავიდან...

დასიცხულ ხელებს

გაუწვიდი დანატრულ სასმელს —

და არასოდეს იმ სურებში წყალი არ იდგა.

ისევ მოვიდა შემოდგომა, ისევ უჩუმრად,
გარდაცვლილივით გაცრეცილი კარზე მომადგა.
დავიწყებული სახელების იწყო ჩურჩული
და დამაწვიმა სევდა წარსულ შემოდგომათა.

ისევ დაიწყო მთვლემარე და თბილი ავდრები,
და ნაადრევი ფოთოლცვენაც უკვე დაიწყო,
ისევ დაეტყო თვალებს ნისლი, რომ ენატრები,
სულ ნაკვალევი, ნაავდრევი ისევ დაეტყო.

სიმარტოვე და შემოდგომა მოვიდნენ ერთად,
ვერც დავემალე, ვერც მივანდე მხრები უძლური,
თვალთ ფოთოლცვენა ამაფარეს უნაზეს ფერთა
და დავიწყებულ სახელების იწყეს ჩურჩული.

ჩვენი მასპინძლის სასახლე



კალა,
ცხენების თქარუნი,
ჰეი, მასპინძელო!
გამოგაფხიზლებთ მგზავრულით ნამძინარს.
გესმის,
გამოგვხედე,
გზა არ გაგვიძნელო!...
შუალამისას
თავს დავესხით მუშნი ხარძიანს.

ჩვენი მასპინძლის სასახლე
ჩვენთვის ყურთამდე გაიღო,
დარბაზში ბავშვებს ეძინათ,
რა თმები ჰქონდათ, რა სახე!
გამოიღვიძეს, თვალები
თითქოს სვანეთის ცა იყო,
ხუთი ბულბული გალობდა
ჩვენი მასპინძლის სასახლეს.

იფარის საყდარი

ანგელოსების პატარა სახლი —
თეთრი საყდარი იფარის.
ფრესკებს თალიდან კედელზე დახრილთ
ფერი აქვთ მიმქრალი, მიმქრალი.

სავსეა ფრთებით და რად არ გაფრინდება?
რად არს გარინდებულ, მითხარით:
ანგელოსების პატარა სახლი —
თეთრი საყდარი იფარის.

სვანური კომპეები

აკვირდებიან განაოცები,
აქ სად მოვსულვართ სადაურები.
ტანდაბზარული ძველი კომპეები —
გაჩუმებული სალამურები.

დგანან და ფიქრობენ ლომისფერ
დროშებზე,
ყველა დროისაგან დაკარგულები.
სვანური კომპეები, მაღალი კომპეები —
ჩამქრალი ბუხრის საკვამურები.

ცისფერი დღე

ცისფერი დღეა,
 რვა მარტია,
 ცისფერი დღეა!
 ზეა თუ ქვაა,
 ცა თუ სახლი,
 სულ ცისფერია,
 ის ფიქრიც, რაც გსურს მე გამანდო, გამინაწილო,
 თვალთა სიღრმეში რაც გიწერია.
 ტრიალებს მიწა მოხატული, გადაქარგული,
 გადაკარგულა ღამის ფერთა მწუხრის სამოსი,
 ცისფრად ანთია ყვავილები ჩემი დარგული,
 დროა სიმღერის,
 სიყვარულის და მზის ამოსვლის.



სოფიო ნიკოლაივილი

საკერო ხელიგანი

თბილისიდან სოფელში მივდივარ. მატარებლის გამყოლმა ორი ლობიოიანი პური გამომართა და უბილეთოდ ამიშვა ვაგონში.

ზაფხულის სიცხეს არ შევეუწუხებივარ, რადგან ვაგონი საზაფხულო, ღია იყო და, როგორც „საპატიო“ მგზავრი, სანატრელ ადგილზე — ფანჯარასთან ვიჯექი...

ცარიელ ვაგონში ვილაღ შემოვიდა. მივხედვე: სამხედრო მფრინავია, მალალი და გამხდარი. მან მიიხედ-მოიხედა და... ჩემს გვერდით დაჯდა. ეს მოულოდნელობა საკმარისი აღმოჩნდა, რომ მაშინვე არასიმპათიურად განწყობილიყავი მისდამი; ხოლო ხელში მზესუმზირით სავსე პარკიც რომ დაუენახე, მაშინ ხომ მთლად გადავირიე!

მალე ვაგონში ადგილები შეივსო, მერე თბილისისაკენ გავცდით.

მგზავრები ერთმანეთს გაეცენენ: ზოგი რაღაცაზე წუწუნებდა, ზოგი — ბუზღუნებდა, ზოგიც — ვიჭიშებდა თუ ოხრავდა... ჩვენ ჯერ ხმაც არ ამოგვეღო, ერთმანეთზე კი ვფიქრობდით...

ბედი მისი, რომ მფრინავი იყო, თორემ შემომელანძღებოდა. რამდენჯერ მინატრია, რატომ კაცად არ დავიბადე-მეთქი; მფრინაობა ოცნებად მქონდა გადაქცეული. პოდა, სწორედ მფრინავის სამხრებმა უშველა. ამას ისიც დაემატა: რომ გასართობად და დროს მოსაკლავად ნაციდი მზესუმზირა სადღაც გააქრო უცებ, აღვიღად მიხვდა, რომ საოცრად მძაგდა ეს საყენი. მოკლედ, მაკვირდებოდა და უშეცდომოდ კითხულობდა ჩემს ფიქრს.

მატარებელი მიგუგუნებდა.

ჩემს გრძელ ნაწნავებს ქარი წამაღუწუშ ახვევდა რკინის რაყულებზე — პირდაპირ გამაწამა!

სწორედ ამან გააღლო მდუმარების ყინული — ორი საათის მგზავრობის შემდეგ მფრინავმა, როგორც იქნა, ამოღო ხმა:

— შევცვალეთ ადგილები თუ...

ახლა გავიგე, რუსი რომ იყო.

— გმადლობთ, აქაც მშვენიერად ვგრძნობთავეს.

— საინტერესოა, იქ რას უზამდით თქვენს ნაწნავებს?!

მართლაც, საინტერესოა, ჩემს ნაწნავებს რას ვუზამდი იქ — ფრონტზე? თბილისში ხელს არ მიშლიდნენ. მაშინაც კი, ვითომ მეგობართან რომ მივდიოდი სამეცადინოდ — პოსპიტალში ღამეებს კი ვუთვავდი დაპრილებს.

— რას ვუზამდი ნაწნავებს? სახვევი რომ გამომეღეოდა, შევიტრიდი და ამით შეეუხვევდი ქრილობას.

— ოო, ეს ნამდვილად პასუხია! — ღიმილით შემაქო მეზობელმა.

ჩემმა უნებლიე პასუხმა შარშანდელი ამბავი გამახსენა:

ტექნიკუმში სამაგალითოდ ვსწავლობდი და, საერთოდ, მოწინავე სტუდენტად ვითვლებოდი. ჩვენი სასწავლებლის პარტორგანიზაციის მდივანმა, ალექსანდრე გოციირიძემ რეკომენდაცია მომცა — კომუნისტური პარტიის რიგებში კანდიდატად მიღებაზე.

მართალი იყო, ციოდა. გაქუცული შავი პალტო მეცვა. ასეთი პალტოები მეომრის შვილებს დაგვირიგეს უფასოდ.

მორიდებით შევადე ხის მძიმე კარი და შემკრთალი გაგჩერდი ზღურბლზე: უშველებელი საქტო დარბაზი თითქმის სავსე იყო ხალხით.

ღამულ კითხვებზე, პირველად, ენის ბორძიკით ეპასუხობდი. მერე და მერე გავიმართე — სხაპასუხებზე გადაველ.

თითქონ ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ საბედისწერო გამოდგა ბოლო, ერთი შეხედვით, ყოვლად უწყინარი კითხვა:

— სად არის თქვენი სამკერდე კომკავშირუ-

ლი ნიშანი? — მკითხა სავარძელში მოკალათებულმა გამომცდელმა.

მარცხენა მკერდზე დაიხედა და ელა მცა, ენა ჩამივარდა, გვეფრთხი, გავხედი. ნეტა, სად არის?! ჰო, მართლა, გამახსენდა! — დილას დედა ბაზარში მიდიოდა... ვიღრე ჩაიცივამდა პალტოს, სამკერდზე ნიშანი მოაძრა და წიგნებზე დაღო. მერე მოსვლა დაავიანდა. მეც რაიკომში ვიყავე წამოსასვლელი და იმ ფაცფუტეში სულ დამავიწყდა, რომ ისევე მიმებნია მკერდზე.

მოდო ახლა და ამდენ ხალხს მოუყევი, დედაშვილს ერთი პალტო გვაქვსო! ისიც მოუყევი, ამის გამო რიგრიგობით გავდივართ სახლიდანო!.. ჰა?! არა, ასე არ ივარგებს!.. თუ ერთი ციციქნა სამკერდზე ნიშანი აღამიანის ღირსებაზე მაღლა დგას, თუ ჩემზე მეტი წონა აქვს, მაშინ არ მინდა არაფერი!..

ახლაც მახსოვს, როგორი თვალბოთ მივაჩერდი სავარძელში ჩასვენებულ გამომცდელსა და რა ამყავდ გამოვბრუნდი!..

— თქვენ ახლა აქ არ იყავით, — მეუბნება მფრინავი.

— მართალია.

— სად ბრძანდებოდით?

— რაიკომში.

მფრინავმა ჩემი პასუხი მოსწრებულ სიტყვად ჩათვალა და, არ ვიცო, ჩემს საამებლად, არ ვიცო — გულთ, ბევრი კი იცინა...

სოფლამდე ჯერ კიდევ ოთხი-ხუთი საათის სავალი გზა გვედო.

ჩემს მეზობელს ყველაფერი აინტერესებდა საქართველოზე: ქართველი ქალები, მათი დამოკიდებულება მამაკაცებთან ოჯახში და ოჯახგარეთ, ჩვენი ძველი ტრადიციები. განსაკუთრებით, ნინოსა და გრიგორეძე მთხოვდა, ყველაფერი მომეყოლა, რაც კი ვიცოდი.

ასე რომ, დრო შეუმჩნევლად გადიოდა, ჩვენ კი საგრძნობლად გავუთამამდით ერთმანეთს.

— რამდენი წლისა ხართ? — მკითხა მოულოდნელად.

— თერამეტის.

— შშობლები გყავთ?

— დედა — აქ, მამა — ფრონტზე. ომის დაწყებისთანავე წავიდა, თანაც მოხალისედ. ბოლო წერილი ლატვიიდან მივიღეთ — გერმანულმა ტყვიამ ოთხი შენი წერილი გამოხვრიტა, მაგრამ უსეც არაფერი, ერთი ათასად ვაზღვევინებო. ძმა მყავს კიდევ, ჩემზე პატარაა.

— ქმარი?

— ქმარი?... კი... როგორ არა!.. ორი წელიწადია, ისიც ფრონტზეა.

ეს ტყუილი ისე მტკიცე, არც კი გავწითლებულვარ. რატომ ვიცრუებ, ვერ ამისხნია დღესაც.

— ბავშვი?

— ბიჭი გყავს, — თუ ტყუილია, ბარემ ტყუილი იყოს.

— დილია?

— ახლახანს ამოვიკრა კბილები.

— ოო, საქართველოში მართლაც ღრუბლები ცრებანი ხდება: მამა ორი წელია იბრძვის, მის შვილს კი ახლა ამოსდის სარტყევი კბილები!

მეზობელს ამ თემაზე აღარ გაუგრძელებია ლაპარაკი, რადგან ისედაც აყვავებული ბროწეულივით ავბრიალდი — სიცრუეში დამიჭირა.

ამ უხერხულობიდან რომ გამოვეყვანე, მაღევ წამომეშველა:

— სოფელში მიდისხართ?

— სოფელში.

მფრინავმა ხალათის გულის ჩიბიდან რაღაც უცნაური ნიშნებით აჭრელებული ქაღალდი ამოიღო და ამ უცნაურობებს კიდევ ერთი იეროგლიფით დაახატა.

— იცით, როგორ ვესალმებით პაერიდან დედამიწაზე? — მკითხა, ქაღალდი ისევე ჩიბში რომ ჩაიდო.

— ?!

— თეთრ თავსაფარს ვაფრიალებთ.

— ?!

— დამშვიდობებთ?

— ?!

— თვითმფრინავი თამაშს იწყებს, ასე: „აი-წონა-დაიწონა“. ნუ იცინით, მართალს ვამბობ...

გაცნობისას მხოლოდ ის გავიგე, რომ იგი უკრაინელია — გრიგორი დიდენკო; ჰყავს მოხუცი შშობლები. მათი ნატვრა ყოფილა, შვილი მეცნიერ-მუშაკი ეხილათ, რადგან გრიგორი ბავშვობიდანვე თურმე შესანიშნავად ფლობდა ფიზიკა-მათემატიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას... გრიგორის მხოლოდ მფრინავობა იტაცებდა, წარმტებით დამთავრა საავიაციო სასწავლებელი და დღეს უკვე სხვებს ეხმარება ოცნების ახდენაში — საავიაციო საქმეს ასწავლის ჯერ კიდევ პირტიტველა ახალგაზრდებს... სოფლის პირას ჩვენი გზები იყრებოდა.

— ნახვამდის, პატარა მატყუარა გოგონავ, — მითხრა გრიგორიმ, ხელი ჩამომართვა და გაწითლდა.

— ნახვამდის...

გასაოცარი ის იყო, რომ მთელი გზა ვფიქრობდი იმ კაცზე, რომელიც სრულებით არ მომწონებია, რომლის მხოლოდ პროფესია მხიბლავდა.

ამ ფიქრში თერამეტი კილომეტრი გავიარე ფეხით. სანამ შინ არ მივედი, მუხლი არ ჩამიკრეფია დასასვენებლად...

ჩვენს სოფელში ახლაც „ოთარანთ ქვრივს“ ეძახიან დედაჩემს. წვრილფეხობას ალიონზე წამოგვყვრიდა ხოლმე ლოვინიდან, ვიღრე ჩამოცხება, თავთავის აკრეფა მოვასწოროთ. მაგრამ ამ დღეს ეს არ დასჭირებია: ორი თვითმფრინავი გუგუნითა და ქახჭახით დასტრია-

ლებდნენ სოფელს, ისე დაბლა ჩამოდიოდნენ, ლამის კაკალს ენწვროები წაწყვიტეს.

დღეაჩემის გასაოცრად სწრაფად წამოვხტი ლოკინიდან. ვავეარდი გარეთ და უშველებელ ჩითის საღამურში ჩაფართბუნებული, ხტუნვა-ხტუნვით ვავდიოდი გრძელი აივნის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში. არც სხვებს დასჭირვებიათ „ოთარაანთ ქვრივის“ შეპნაწყარება — მალე ისინიც წამოხტნენ და ფერხულში ჩაებნენ. მე კი ვიცი, რაც მიხარია, მაგრამ ესენი? ესენი რაღაზე იტებენ კისერს?

თვითმფრინავების გუგუნით დამფრთხალი საქონელი ზმულ-ბღავლით გარბოდა ორღობეებში. აკრიახებული კრუხ-წიწილა ბუჩქებსა და ბარდებში აფარებდა თავს. აშვებული ძაღლები დაღვავებდნენ და წკაფწყავებდნენ, დაბუღუბი — ასაწყვეტად იწევდნენ...

მთელი ნახევარი საათი გუგუნებდნენ და ქაჩხაზობდნენ ფოლადის შევარდნები, მთელი ნახევარი საათი ერთ-ერთი თვითმფრინავის პილოტი ელოდა თეთრი თავსაფრის აფრიალებას, მაგრამ ამას როგორ ვაგებდავდი დედაჩემის გვერდით!..

მთელი დღე სევდანარევი სიხარულით ვიყავი სავსე და მხოლოდ ერთი ფიქრი, ერთი კითხვა მიტრიალებდა თავში: „ნუთუ აღარ გამოჩნდებიან ის თვითმფრინავები?“

საღამოს, შევეცადე რომ დიაღლა და თვალწვდენ ნამკალში გრილმა ნივთმა დაუბერა, გამოირკვა: ყველაზე მეტი თავთავი მე ამეკრთა.

და მაშინ ისევ გამოჩნდნენ დილით იმედგაცრუებული თვითმფრინავები. მაგრამ განა გრიგორის აზრად მოუვიდოდა, რომ ის, ვისაც სოფელში ეძებდა, სოფლის ბოლოს იყო და ძლიერ შლიდა თავთავის კრეფით დაღლილ წელს!..

საიდუმლოს ვერავის ვუძებელი...

მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა, იმიტომ კი არა, რომ მფრინავი მიყვარდა, უკრაინელი მფრინავი, არა, მიზნზე სხვა იყო: მე მეძებდნენ ორი თვითმფრინავით, ორი თვითმფრინავით მეძებდნენ!

ჩემისთანა მეოცნებე გოგოს ეს უნდოდა კიდევ?

თვითმფრინავები ორ დღეს ტრიალებდნენ ჩემი სოფლის თავზე. კიდევ ორ დღეს ვერ პოულობდა თავშესაფარს დამფრთხალი პირუტყვი. მე კი იმის მეტს ვერაფერს ვახერხებდი, რომ აივნის ერთი ბოლოდან მეორემდე დაეწვრილებდი უკვე შეშფოთებული, შეწინებული, გაუბედავი...

მზე ჩასვლამდე იყო, მეზობლის ბიჭმა დამიძახა, „შეტქმულივით გამოიხმო განზე და გორგალივით დახვეული წერილი გადმომცა: „მგონი შენ გიგზავინა, რუსულად არის დაწერილი და ვერ წავიკითხებ. თვითმფრინავი ძალიან დაბლა რომ დაფრინავდა, ვილაკამ თეთრი თავშალი ააფრია-

ლა. მერე, თვითმფრინავმა რამდენჯერმე შენაპირა წრე და ეს წერილი გადმოაგდო. ქვეყანა ქონდა შემოხვეული. მაცულის ბარდში ჩაეფრთხა და ძლიერ ვიპოვნეთ ბიჭებმა“.

ქვეყანა დიდიაო! რომ გაადიდა, არ ვიცი: უშველებელ ბინაში, ათასი სათავსო, მარანი, ათასი ჭანდაბა რომ ჰქონდა, ვერც ეზოში ადგილი ვერ მოვებნე, სხვის თვალს დავშალოდი და წამეკითხა წერილი. თანაც რაღაცა მიმხედარი დედაჩემი ისეთი თვალთ შემომხედავდა ხოლმე, მიწა რომ გამსკდომოდა, ის მერჩინა...

გვიან ღამით მამიდა გვესტუმრა ქალაქიდან. ჩვენი ლამაზი სოფელი, ომის მიუხედავად, იხტიბარს მაინც არ იტებდა — ვერაფერი ცვლიდა ახალგაზრდების მზიარულებას. შუალამემდე ჩვენს ეზოში ცეცელი გიზგიზებდა, ზედადგარზე შემოდგმულ ქვაბში წყალი ცხელდებოდა მაშინდაჩემის ნამგზავრი, მტკრიანი ტანსაცმლის გასარეცხად, ტანზე გადასაელებად.

მხოლოდ მე, მხოლოდ მე ერთს მიხაროდა ეს გაუთავებელი ფუსფუსი. ოღონდ დასაძინებლად არ ვავეგზავნე დედაჩემი და მზად ვიყავი, ჩემს ხელით გამეღრცხა მთელი უბნის სარეცხი, მე მექუთუქუთავებინა მთელი უბნის გოგობიჭობა, ხან ტალახში ტყაპა-ტყუპით, ხან გვალვით დამსკდარ მიწაზე სიარულით ფეხის გულები რომ ჰქონდათ დამსკდარი.

ჰო, ძილი არ მინდოდა, ვერ ვეტეოდი ვერსად: მინდოდა თუ ეზოში ხელიც ვერ გამეშალა, ისე მებატარებოდა ქვეყანა.

მამიდა! — არასოდეს დამეძახა მისთვის ეს სახელი. ის ჩემთვის იყო „მამა“ და ასევე დარჩა დღემდე. სულში მიძიქრენდა. თავის ერთადერთ საგარეო კაბას ისე დაჭრიდა, ისე გადამიკეთებდა, თვალს არ დაახამხამებდა. მისი ერთი ასეთი კაბა ჩემთვის ორს ნიშნავდა, თანაც საბაფთეცა მრჩებოდა. ახლა წამოვიხარდე და მისი ფესხაცემელი მომერგო. ერთი სიტყვიც, ვავაოტრე მამიდა.

მამიდასთან ახლომახლო ტრიალსა თუ ფუსფუსს უნაყოფოდ არ ჩაუვლია ჩემთვის...

მესამე დღეს სოფლის თავზე კვლავ გამოჩნდნენ თვითმფრინავები. თბილისის სიციხით შეწუხებული მამიდა აივანზე ნებიერობდა.

თვითმფრინავების გუგუნის ვაგონებზე წამოხტა, ხალათწამოსხმულა ჩაირბინა კიბე, ღობეზე გაფენილ თეთრეულიდან რომელსაც მისწვდა, იმას დასტაცა ხელი და მთელი მონდომებით ააფრიალა.

დედაჩემი გავიგნებული და გავიგნებული უყურებდა საპატიო სტუმრის ამ უცნაურ საქციელს — ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, ანდა რას ნიშნავდა ყოველივე ეს.

სოფიო ნიკოლაიშვილი

საპატიო ხელწიგანი

თვითმფრინავები თავზე დაგეტრიალებდნენ, ეტყობა შეამჩნიეს ნიშანი.

მალე მთელი ავიანი ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებით გაივსო. დიდები გარინდებულნი და თვალებდაწყეტლნი იღვნენ, პატარებმა კი მამიდას მიბაძეს — უტებ წამოკრიფეს ღობიდან სარეცხი...

თვითმფრინავმა დინჯად, თითქოს დარბაისლურად წრე შემოხზა, შეინაჟარა გუგუნით, აიჭრა მაღლა, სულ მაღლა — უსასრულობისაკენ, უტებ მოსწყდა, შურდულვიით მოსწყდა ცას, უხილავი ჰაერის ტალღები ჩამოხლიჩა და მერე... მერე ახლოს, სულ ახლოს დავინახე გრიგორის მშით გარუჯული სახე და თეთრი კბილები...

ასე ხლებოდა ყოველდღე:

გამოჩნდებოდა ორი თვითმფრინავი — ერთი გრიგორისა იყო, მეორე — მისი ამხანაგის — ალბათ მზევრავი. ყოველდღე ინიშნებოდა ჰაემანი თვითმფრინავიდან გადმოვადებული ბაწარგამომბული წერალებით.

მთელი სოფლის გოგო-ბიჭების, შინ დარჩენილი ხეივანი მამაკაცების, ქვრივებისა თუ უმიმდრო პატარალების თანდასწრებით ვესიყვარულებოდით ერთმანეთს: მე — დედამივიდან, ის — ჰაერბრანდ.

შევარდნების გამოჩენისთანავე ბედნიერი ყოყინით გავბრდით მინდვრებისაკენ. თვითმფრინავები კი ამ დროს სიმაღლეს იღებდნენ ცხვირაწულეები. ცოტაც და სულ გაუჩინარდებოდნენ ხოლმე, მხოლოდ მათი ყრუ გუგუნოდა გვესმოდა. მაგრამ მალე შეწყვეტებოდა ეს ყრუ გუგუნოც, შეწყვეტებოდა და გამოჩნდებოდნენ კიდევ თვითმფრინავები: ერთი ცას შერჩებოდა მზევრავად, მეორე კი უხმაურად ეშვებოდა მიწისაკენ, მხოლოდ ჰაერის ვასხების შხუილი ისმოდა ირგვლივ. ისე გვეჩვენებოდა, აჰა, ერთი წამიც და თვითმფრინავი ცხვირით დაასკდებოდა მიწას, დაინარბებოდა ქვეყანა. სუნთქვა შეგვეკრებოდა, გავინარბებოდით, უნებლიეთ მოკეპბნიდით ერთმანეთის ხელსა თუ მხარს. ჩვენსა და თვითმფრინავს შორის ორიოდ მეტრიდა რომ რჩებოდა, სახეგაბრწყინებელი, მოდიმარი გრიგორი მთელი ხმით გადმოძახებდა: «Здравствуй, миленькая обманница!» ამისი თქმა იყო და ავუგუნდებოდა ძრავა, თვალის დახამხამებაში თვითმფრინავის დაკიდებული ცხვირი ცისკენ მოექცეოდა, ასრიალდებოდა მატყლის ფთილებივით ქათქათა ღრუბლებში, შემდეგ ჩვენს თავზე რამდენიმე წრეს შემოხზავდა. ორივე თვითმფრინავი «აიწონა-დაიწონა» თამაშობით გვემშვიდობებოდა, მეორე დღეს თავიდან რომ დაეწყათ ეს შიშისა და სიხარულის მომგვრელი თამაში.

ჩვენი ამგვარი შეხვედრების მოწმეთა რიცხვი

დღითიდღე იზრდებოდა. მალე მეზობელი სოფლის გოგო-ბიჭებიც შემოგვიერთდნენ.

თანდათან ლამაზდებოდნენ მომავალდღეობები, დღეები, კვირები.

ასე იყო: სოფელს ხან გრიგორის თვითმფრინავის ქახუბი აფხიზლებდა, ხან — ჩემი გაუთავებელი სიმღერა...

ყოველდღე გაუთავებლად რომ ტრიალებს სარკის წინ; სხვისი სიკეთე რომ გახარებს და უბედურება ვაღონებს; ცა დედოფლის გვირგვინი რომ გგონია და დედამიწა ოქროს ქოშები; მთელი ქვეყანა გულში რომ გინდა ჩაიკრა, ვითომ რა უნდა იყოს ეს? ალბათ: სიყვარული!

ღილა კატასავით რომ მოეპარებოდა ღამეს, მაშინ თუ დავხუტავდი თვალს. კეთილ ფიქრად და ოცნებად ვიყავი ვადაქცეული.

სოფელი ისე პატარად მეჩვენებოდა უკვე, ანდაზად რომ იტყვიან — თავისი კუდის მოსაქენევიაო...

სწორედ აქედან დაიწყო ჩვენების წამება: როგორც ყველა შეყვარებულმა, მეც პოეტობა დაიწყე. მოგესვენებათ, ლექსს მსმენელო და შემფასებელი სჭირდება, ჰოდა, ვი მისობრალო, ვისაც მოვიხელთებდი! — იმ დღეს მოთავებული იყო მისი საქმე: თუ ძროხის მოწველა ევალებოდა, იმ დროს გავათავისუფლებდი, უკვე ბოჩოლას რომ ჰყავდა გამოწოვილი. რძის აღუღება ევალებოდა და, მორჩა, გადმოსულე იყო რძე.

ჩვენს ხელმოკლე ოჯახს სხვა ვასაჟირთან ერთად ახლა ქალაღლის ვასაჟირიც დაუდგა. ჩემმა დედაშვილებმა ალარ იცოდნენ, სად დავმალათ რვეულები. თითქმის ყველაფერზე ვწაბრდი ლექსს, რაზედაც კი შეიძლებოდა წერა...

კვირას, 21 აგვისტოს ცის შევარდნებმა მიწაზე ჩამობრძანება იწყებეს — სოფელში გვეწვივნენ სტუმრად. რა თქმა უნდა, ნებაბრძანა წინასწარ აიღეს ციდან!

შედლებით მეკრდამშვენებული, სუფთად წვერგაპარსული, გაკრიალებულ, ახლათახალ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გრიგორი, მომხიბლავი და რაინდული იყო.

სწორედ მაშინ აშკარად და მოურიდებლად გამოვუტყდი ჩემს თავს, რომ მე უსოზოდ ბედნიერი ვიყავი.

ეს დღე ჩემში ცოცხლობს თავისი ყოველი წვრილმანი, რადგან მხოლოდ ეს ერთი დღე იყო ჩვენს სიყვარულში ერთადერთი და განუმეორებელი.

ენამოსწრებულმა, გონებანათელმა გრიგორიომ რაღაც თხუთმეტ-ოცი წუთის განმავლობაში მოხიბლა ჩემიანები, მეზობლები, რომლებსაც დიდი პატივი არ დასწირებიათ — ისე გვეწვივნენ.

რა მოხდენილი, რა სიყვარული კავალერო იყო ეს მშით გარუჯული უკრაინელი!



ო, ეს სამხედრო ფორმა სულ ერთი წუთით, ერთი წუთით ამოვარდნილიყო გონებიდან!

ჩვენი სახლი და ეზო გაივსო ცნობისმოყვარე ხალხით.

უკვე ყველას გვიყვარდა გრიგორი.

გრიგორი და მისი მეგობარი მფრინავი მე და ჩემი უბნის წამოჩინებულ ბიჭებს რეკლამების მიზანში სრულას ვვასწავლიდა. ამან ხომ მთლად გადაარია ისედაც გადარეული ბიჭები.

მერე „ქართულსა“ ვცეკვავდით. ღმერთო, რა სასაცილოები იყვნენ ორივენი! მაგრამ რა სიღამაზე, მშვენიერება იყო ამ სასაცილო ცეკვაში, ღმერთო!..

მთელი სოფელი მოაცილებდა ჩვენს სტუმრებს, რომლებმაც, სულ მცირე ხანში ყველას ისე შეაყვარეს თავი, ეხეწებოდნენ, მალე გვეწყვიეთო.

გრიგორის წასვლა უჭირდა — გადადგამდა ორიოდე ნაბიჯს და ჩერდებოდა, ხელს მიქნედა ან მხოლოდ მომჩერებოდა: მიყურებდა მოწყენილი, ჭკვიანი, ღამაზი თვალებით, თითქოს მიმასხვრებდა: უსიტყვოდ შემუდარებოდა რალაცას, მებეწებოდა, მეფერებოდა...

მეორე დღიდან ისევ ცასა და დედამიწის შუა გამოკიდებული შეხვედრები: ხუმრობა, შიში და სიხარული... ჭკვას შემოხვეული, ბაწარგამომბული წერტილები, რომლებსაც ხალისით, ზედახორით ეძებდნენ ბავშვები, ხან ბარდებში, ხან — ხეებზე...

აქ არ გვახსოვდა, რომ სადღაც, შორს, ტყვია წვიმს, სკდება ნალმები, ფეჭტდება ბომბები, ინგრევა სახლები... ჩენი მამები, ძმები, ახლობლები ჩვენი ღმირლისათვის იბრძვიან, იჭრებიან, იხოცებიან...

●

ჩვენს სახლში გრიგორის მოულოდნელმა, დაუბატყებელმა გამოჩენამ გამოაცა. ვაოცებამ რომ გამიარა, დაბნეული შევაჩერდი საწრფენელ, მტკრიან სამხედრო ფორმაში ჩაქარგულ, სახეშეშლილ, ვამხდარ გრიგორის და, რაც ყველაზე ზარდამცემი იყო ჩემთვის — მის სამხრებემოხსნილ კიტელს.

გონებაზე ადრე გული მიხვდა მოახლოებულ, ჭერ უტქმელ უბედურებას. მაგრამ რატომ უბედურებას, რქნებ სასიკეთოა ეს?..

ალარ მახსოვს. რამდენ ხანს ვიდექით უხმოდ ან როდის ჩამოვყვებით თხილქვეშა მზე! ალარც ის მახსოვს, რა თქვა გრიგორიმ.

ჩემს გონებამდე, როგორც იქნა, მოვიდა ერთი რამ: საპატიო ხელფონობისათვის გრიგორი დიდნეო დანაშაულის გამოსასყიდად იგზავნება ფრონტის წინა ხაზზე!

გრიგორის დანაშაულად ჩაუთვალეს სიყვარული! — იგი ხომ ციდან მეფერებოდა, მესიყვარულებოდა... და ეს ჩაუთვალეს დანაშაულად — დაისაჯა სიყვარულისათვის!..

რა ემართებათ აღამიანებს: ზოგჯერ უცრემლოდ ტირიან. ახლაც მჭერა: უცრემლოდ ტირილი ყველაზე დიდი გლოვია.

არაფერი მესმოდა: მოულოდნელმა ამბავმა ისეთი თავზარი დამცა, სამყაროსაგან მომწყვდოდა, დამაბნია, დამარტყანა...

როცა თავს ვძლიე და გამოვფხიზლდი, გრიგორი ვეღარ დავინახე.

რამდენჯერ მიფიქრია: მაშინ გრიგორი რამდენ ხანს იყო ჩემთან ან რაზე ვილაპარაკეთ?

ეს კი ვიცი: გრიგორი ფრონტის წინა ხაზზე მიდიოდა საბრძოლველად და... მაკოცა, პირველად მაკოცა გრიგორიმ. რა ძალა ჰქონია პირველ კოცნას, იგი დაუეწიყარია სამარის კარამდენტა რა მითხრა გრიგორიმ? მე მგონი, არაფერი უთქვამს მეტი, თორემ ერთხელ მაინც გამახსენდებოდა. ფრონტის წინა ხაზზე მივდივარო და... მაკოცა, მეტი არაფერი.

გრიგორისაგან ორი წერილი მივიღე მხოლოდ. ორივე წერილი ერთნაირად მთავრდებოდა: «Вибрздзви шави твалебнсатвис».

გრიგორი ალბათ მაშინაც ჩემზე ფიქრობდა, უკანასკნელად რომ შეავლო თვალი ცას, იმ ცას, საქართველოს ცას რომ ახსენებდა. ეს ნამდვილად ასე იქნებოდა, თორემ იგი არასოდეს დამივიწყებდა. თუმცა ამაზე არ გვექონია საუბარი, არც დრო გვექონია ამისი და არც საჭირო იყო — უთქმელადაც ვგრძნობდით ყველაფერს.

მე განუშორებლად ყოფნა მინდოდა მასთან, გრიგორისაც ჩემთან ყოფნა უნდოდა განუშორებლად, მაგრამ მოვალეობა აიძულებდა, არ ჩამოსულიყო მიწაზე, ამიტომ ციდან მეფერებოდა და მესიყვარულებოდა.

და ეს ჩაუთვალეს დანაშაულად...





ოდისეა

ამ თარგმანს ვუძღვნით სამამულო
ომის მონაწილე ქართველ მეომ-
რებსა და მათ ოჯახებს.

გვიამბე, მუჟავ, იმ მრავალტანჯული კაცის
ამბავი, ვინც ბევრი იხეტილა მას შემდეგ, რაც
ტროას წმინდა ციხე-სიმაგრე დააქცია; ვინც
მრავალი ქალაქი მოვლო და შეიცნო მათი ზნე-
ნი; ვინც დიდხანს იტანჯა ზღვის ზურგზე და
დიდი განსაცდელი გადაიტანა; ვისაც ძალ-ღონე
არ დაუშურებია საკუთარი თავისა და თანამგ-
ზავრების გადასარჩენად, მაგრამ ვერაფერს გან-
და, — უგუნურებმა თვითონვე დაიღუპეს თა-
ვი, შექამეს რა ჰიპერიონი, ჰელიოსის ძროხე-
ბი, რისთვისაც დაბრუნების დღე დაუბნელა

მათ მაღლით მოარულმა ღმერთმა, ჩვენც გვი-
ამბე და მოგვასმინე მათი ამბავი, ჰე, ქალღმერ-
თო, ასული ზევსისა!

ყველა დანარჩენი, ომსა და ზღვის ღელვას
განრიდებულნი, მშობლიურ ქერქვეშ ნეტარებ-
დნენ უკვე. მარტოოდენ ოდისევსს, სამშობლოსა
და მეუღლის მონატრულს, ღრმა მღვიმეში აკა-
ვებდა მისი ქმრობის მოწადინე თამაშვენიერი
ნიმფა კალიდსო. ხოლო წელთა შემოქცევით რა
დადგა ეამი, რომელიც ღმერთებმა განუჩინეს

თავაში დასაბრუნებლად, — თუმც საკუთარ სახლში, მახლობელთა შორისაც ვერ გაექცა განსაცდელს, — შეწყალებულ იქნა ყველა ღმერთის მიერ. პოსეიდონიდა მძევნივარებდა ღვთაებრივი ოდისევის მიმართ, ვიდრე მშობლიურ კუნძულს მიაღწევდა იგი.

მიწისმრეველი პოსეიდონი იმ ხანად ეთიოპელთა შორეულ ქვეყანას იყო წასული (რომელთაგან ზოგი მზის დასავალ მხარეში ცხოვრობს, ზოგი მზის აღმოსავალ მხარეს), რათა მისთვის მსხვერპლად შეწირული ხარებისა და ცხვრების ჰეკატომბა მიეღო. იქ ღობის ეძლეოდა იგი, ხოლო სხვა ღმერთებს ოლიმპოზე, ზევის დარბაზში მოეყარათ თავი. ასე დაიწყო, მას ჟამსა შინა, კაცთა და ღმერთთა მამამ, რა გაიხსენა განთქმული ევისთე, რომელიც ავაგემონის ძემ, სახელოვანმა ორესტემ მოაკვირნა. გაიხსენა და უკვდავთ ასეთი სიტყვა უთხრა:

— ვეალახ! როგორ გეამტყუნებენ კაცნი, თითქოს ჩვენ ვიყოთ ყოველგვარი ბოროტების სათავე! ნამდვილად ხომ თავიანთი უბედურების გამო ატყუდებთ თავს ზვიდრით არმიგებელი ვებულთა. ვანა ვანგების წინააღმდეგ არ წაპგვარა ევისთემ ატრევის ძენს კანონიერი მეუღლე და არ მოკლა შინდაბრუნებული? ავი წინასწარ უგრძნობდა გული, რომ სამაგიერო მიეზღებოდა? ხომ გავფრთხილეთ მალემსობლი პერმესის პირით, — ნუ მოკლავ ავაგემონის, ნუ ითხოვ მის ცოლს, თორემ დავაქციებელი ორესტე აიღებს მამის სისხლს, როგორც კი მიტაცებული ხელმწიფების დაბრუნებას განიზრახავს-თქო. ვერ დაიყოლია კეთილი რჩევით პერმესმა ევისთე და, აჰა, აწ ერთბაშად მიეზღო ყველაფრისთვის!

ასე უპასუხა ზევსს თვალსხივისანმა ათინამ:

— მძლეოთა მძლევარი ჩვენო მამავ, კრონოსის მემკვიდრე! ასეც მოხდა: სწრაფადვე მიეგო მას შერი. ამასვე მოიმყის ყველა, ვინც ამგვარსავე საქმეს ჩაიდენს. მაგრამ ახლა პირნახელი ოდისევის ამბავი მოკლავს გულს. ის უბედური, მგვობრებსა და მახლობლებს მოშორებულს, ტყით დაბურულ კუნძულზე იტანება, იქ, სადაც ზღვის ჰიბია. იმ კუნძულზე ცხოვრობს ქალღმერთი, ასული ზღვათა სიდრემების, მეოდნე ვერავი ატლანტისა (რომელსაც მხრებით უჭირავს დედამიწიდან ცამდე აღმართული სვეტიბი). სწორედ ამ ატლანტის ასულია, თვალთმაქციური სინაზითა და დაბრუნებებით რომ ხიბლავს მშემუნვარე ოდისევს, რათა დაავიწყოს მშობლიური ითაჟა. ხოლო მას სანატრელად ისლა დარჩენია, ერთხელ მაინც მოჰკრას თვალი სამშობლო მიწიდან აღენილ კვამლს და მერე თუნდაც მოკვდეს. ოლიმპოელი, ნეთუტ გულს არ მოიბრუნებ მასზე? ვანა ზენ არ გვირავდა მსხვერპლს ვრცელ ტროაში არგოსელთა ხომალდებთან? გულისწყრომით რადა ხარ აღვსილი, მეუფეო, ოდისევის მიმართ.

ღრუბელი მეუფე ზევსმა ასე მიუგო თვალსხივისან ათინას:

— ეს რა დასცდა შენს კბილთა ზღუდეს, მძლეო ჩემო? როგორ დავივიწყებდი მე ოდისევს, მოკვდავთა შორის უპკვიანესს, ვისაც უხვად შეუწირავს მსხვერპლი ცათა შორის მომბინადრე უკვდავი ღმერთებისთვის მაგრამ მიწისმრეველი პოსეიდონი მრისხანებს მასზე: შენც კარვად იცი, როგორ დაუესო თვალი ოდისევსმა ღმერთთა სწორ პოლედემს, რომელიც პოსეიდონთან შეუღლებულმა ნიმფა თოოსამ შვა ზღვის უნაყოფო მღვიმიეში. მას აქეთ, თუც არ დაუღუბავს მიწისმრეველი ოდისევი, უგზო-უცხოოდ ახეტიალებს ზღვის ზურგზე და სამშობლოში არ უშვებს. მოდი, განვსაჯოთ, როგორ დავაბრუნოთ შინ ოდისევი. ხოლო პოსეიდონმა დაიცხროს გულისწყრომა: უკადრისია, ყველა უკვდავის ნებას აღუდგეს და თავისი გაიტანოს!

ასე მიუგო ზევსს თვალსხივისანმა ათინამ:

— ო, მძლეოთა მძლევარი, ჩვენო მამავ, კრონოსის ძეო! უკეთუ ნამდვილად სურთ ნეტარ ღმერთებს, თავის სახლს დაუბრუნდეს მრავალტანჯული ოდისევი, მაცნედ არგუსის მკვლეელი პერმესი გავაგზავნოთ კუნძულ ოგიაზე, რომ სასწრაფოდ აძენოს ჩვენი მტციე ნება თამამშენიერი ნიმფას. მე კი ითაკისკენ გავსწავს, მის ძეს, ტელემაქეს, გულს ავუნთებ და გავამხნეებ. ვურჩევ, შესაყრებელთან მოუხმოს ხშირთიან აქველებს და ოდისევის ხვასტავის ხოცვა, მრუდეფეხებიანი და რქადაგრებილი ძროხების დაცლა აუკრძალოს მოძალბებულ სასიძოებს. სპარტესა და ქვიმიან პოლოსში გავგზავნი ტელემაქეს, მამის დაბრუნების კეთილი ამბისა ვინძლო რაიმე შეიტყოს და თავადაც სახელოვანთა შორის სახელი მოიხვეჭოს.

თქვა ეს და ფეხი შეიმოსა ოქროს უცვეთელი ხამლით. იგი ნიაჭარით დააქროლებდა ქალღმერთს ზღვასა და უქიდეგანო დედამიწაზე. ხელთ იპყრა მიმიე შუბი, სპილენძის ტყავებზე და გულს აყოლებდნენ კამათელს, ხოლო დაფაცურებული მსახურნი და მესტუმრენი პირფართე ლავინებში ღვინოს ახვევდნენ. სხვები ხშირფორიანი ღრუბლით რეცხავდნენ ტაბლებს და ზედ ხორცის ნაჭრებს ალაგებდნენ.

პირველად ქალღმერთი ღვთისსწორმა ტელემაქემ შენიშნა: გულნაღვლიანი იჯდა იგი სა-

კოქროსი
ოლიმპი

ზიძოთა შორის და ფერწი წასული იგონებდა თავის უებრო მამას, ოცნებობდა, — ანაზღუეულად გამოჩენილიყო იგი, დაერბია სასიძოები და კვლავ დაპატრონებოდა თავის საბადებელს. ამ ოცნებაში იყო, თვალი რომ მოჰკრა ათინას, განშორდა სასიძოებს და კარიბჭისკენ გაემართა. მასპინძლის უკადრისად მიიჩნა სტუმრის კარებთან დასახება. მიუღწევად, მარჯვენა შეახო, სპილენძის წვერმახი შუბი ჩამოართვა და ფრთიანი სიტყვა შეაგება:

— მშვიდობა შენდა, ძვირფასო სტუმარო! გაიზიარე ჩვენი მეგობრული სუფრა, მერე კი გვაუწყე შენი ამბავი.

ეს თქვა და წინ გაუძღვა ათინა პალადას. სახლში შესვლისთანავე ტელემაქემ ნატიფად მოპირკეთებულ ნიშში შეიტანა შუბი და დიდსულოვანი ოდისევსის შუბებთან მაღალ სვეტს მიაყუდა. სტუმარი თავებდი სასიძოებისგან მოშორებით საკარცხლულზე მიიწვია, რომ მათ ღრიანცელს არ შეეწუხებინა იგი და მშვიდად ეკამა პური. ზედ იშვიათი ხელოვნებით ნაქსოვი საგებელი დაუფო და საფერხი სკამი მიართვა. თავად მოჩუქრობებული სავარძელი მოიღვა, რომ დაკარგული მამის ამბავი გულდაგულ გამოეთიხა. მოახლემ ხელის დასაბანად ვერცხლის ტაშის და წყლის სავსე მოოქროვილი სურა მართავა სტუმარს და წმინდად გარანდული ტბლა დაუდგა წინ. მოკრძალებულმა მეკუქნაემ პატისადებ სტუმართათვის განკუთვნილი მრავალფერი ჰამადით გაუწყო სუფრა. მზარეულმა ხაშლამა შემოიტანა, მწლემ კი ღვინით შეუტსო ოქროს თასები.

ამ დროს დარბაზში მედიდურად შემოვიდნენ სასიძოები და რიგისამერე შემოუსხდნენ მათთვის ცალკე გაწყობილ სუფრას. მესტუმრეებმა ხელი დააბანინეს, მსახურმა ქალებმა ხახალით პური შემოიტანეს, მკვირცხლმა ფარეშებმა აჭაფებული ღვინო ჩამოუსხეს ლავიენებთან. სასიძოებმა ხელი მიჰყვეს სმა-ჰამას, სმა-ჰამით გული რა იჭერეს, როცა და სიმღერა მოინდომეს, ნადიმის დამამშვენებელია. მესტუმრემ უმშვენეირესი კითარა მიაწოდა ფემოსის, რომელსაც აიძულებდნენ ხოლმე მოეღბინა სასიძოებისთვის. ფემოსმა ჩამოჰკრა სიმებს და სასიმღეროდ მოეზნადა.

ტელემაქე თვალსხივისან ათინასკენ გადაიხარა და სხეებს რომ არ გაეგათ, ხმადაბლა უთხრა:

— ძვირფასო სტუმარო! ერთ რასმე გეტყვი, ცუდად ნუ ჩამომართმევ. ამ ხალხს რომ უყურებ, სხვა არაფერი ენადლემა კითარისა და სიმღერის ვარდა, რაკი იმ კაცის ჭონებას ჰამენ, რომლის თეთრ ძელებს, ვინ, ცის, იქნებ ზღვის მორევი ატრიალებს ახლა, ან ხმელეთზე წრში ახლათ, მაგრამ ითაკაში დაბრუნებული რომ ენახათ, თვითველ მათვანს ლხინი და განცხრომა დააიწყებდებოდა და უშალ ფეხმარდო-

ბას ინატრებდა. აწ კი მოიგრეს დაღუპული იგი, გულში იმედის ნასახიე ღარა გვესს და ძეხორციელი ვეღარ იტყვის მის გულმუცხვეს. განქარდა დღე მისი დაბრუნების! ახლა ეს მიითხარი, ნუ მეცრუეები: ვინ ხარ, სადაური ხარ, სად არის შენი შშობლიური ქალაქი? ვისი ხომალდით ჩამოხვედი? როგორ მოგიყვანეს მეზღვარებმა ითაკაში? ხმელეთით ხომ ვერ მოადგებოდი ჩვენს ნაბიხს? მართალი მითხარი, პირველად ხარ აქ თუ აღრეც სწვევიხარ მამაჩემს, რადგან პურადი კაცი იყო მამაჩემი და ჩვენს სახლში სტუმარი არასოდეს გამოლეულა.

— წერილად მოგიყვები ყველაფერს, არ დავიშლავ, — მიუგო ტელემაქეს თვალსხივისანამა ათინამ. — შენტესი ვარ მე, ძალგულოვანი ანქიალოსის ძეობით მოქადული, ნაოსან ტაფოსელთა ერისმთავარი. მეგობრებთან ერთად მოვადექი ამ კუნძულს. ჩემივე ხომალდით ვადმოვალხე ღვინისფერი ზღვა, მოვიხილე უცხოეროვანი ხალხი და აწ სპილენძისთვის ტემესსი ვეშურები. მოეღვანე, ძნელდასჯე რკინა მიმაქეს სანაცვლოდ. ხომალდი ქალაქისგან მოშორებით, ხმელეთს მივაყენე, ტყიანი ნეიონის ქვემოთ, რეთროსის ყურაში. ჩვენს მამა-პაბათ ერთმანეთში დიდი სტუმარმასპინძლობა ჰქონიათ ერთ დროს. ვგირი ლეირტესგან ვაგვეოვნება ეს ამბავი. ამბობენ, გული აღარ მიუწევსო ლეირტეს ქალაქში და შორს, სოფლად მწუხარებას მისცემიაო. ერთი მისებრ მოხუცი დედაბერი უხვედრებს თურმე საქმელს, როცა ბორცვზე შეფენილი ვენახიდან დაღლილ-დაქანცული ბრუნდება შინ. მე კიდევ ერთხელ შემოვიარე აქ, სახლში მეგულეობდა ჩემი ძველი მასპინძელი. როგორცა ჩანს, ღმერთებს დაუბრკოლებიათ გზაში, თორემ მკვდარი არ იქნება ღვთაებრივი ოდისევსი. ალბათ სადმე, უკიდევანო ზღვაში მივარდნილ კუნძულზე დაატყვევეს ველურებმა და შინ ვერ ბრუნდებო.

ახლა კი გვიჩინასწარმეტყველებ, რა შთამაგონეს უკვდავმა ღმერთებმა, თუმცა გულთმისანი არა ვარ და არც ფრინველთა ფრენის მეცნაური და მკითხავი. შორს აღარ უნდა იყოს ოდისევსი წინაპართა ძვირფასი მიწისგან. მას რკინის ბორცილები ვეღარ დააკუთს, — თვითონვე იცის როგორ დაბრუნდეს, ტყუილად როდი ევახიან მოხერხებულსა და მრავალნაცადს! გულწრფელად მითხარ, ოდისევსის შვილი ხარ მართლა? ძლიერ კი მავონებ მას მშვენიერი თვალწარბით. ხშირად ვხვდებოდი ჩვენ ერთმანეთს, სანამ ტროაში წვაილოდა, იქ, სადაც არგოსელთაგან უკეთესნი გაემგზავრნენ ღრმა ხომალდებით.

ქალღმერთის სიტყვას ასე უპასუხა ვინიერმა ტელემაქემ:

— კეთილო სტუმარო, დაუფარავად გეტყვი

ყველაფერს. დედაჩემისგან ვიცი, რომ მისი ძე ვარ. სხვა რა გითხრა, განა მოკვდავმა შეიძლება იცოდეს ვინ არის მამამისი? ნეტავ უფრო ბედნიერი კაცის მემკვიდრედ დაბადებულაყვ, კაცისა, რომელიც სვესვიანად მიატანდა ღრმა სიბერეში! ახლა კი მივკვლივთ შორის ყველაზე უბედურის ძედ ვიყოფებით!

— ღირსეულ შთამომავლობას დაგიმკვიდრებენ ღმერთები მომავალში, — მიუტო ათინამ, — რადგან თავადაც ღირსეული უშობიხარ ბენელოპეს! ახლა ეს მითხარი, ნუ მეცრუვები: რა ამბავია აქ, რის გამოა ეს თავაშვებული ღრეობა? ვატყობ, ურცხვად და უშეგარდ იქცევიან შენს სახლში ეს მონადიმენი. ამ უხამსობის შემხედვარე აღშფოთდებოდა ყველა და იუყადრისებდა მათთან დაჯდომას!

— ჩემო კეთილო სტუმარო, — უბასუხა გონიერმა ტელმაქემ. — რაკი მკითხე, გეტყვი: ურთ ღროს, ოდისევისს აქ ყოფნისას, ეს სახლი უხვი და სახელოვანი იყო. აწ ავი ზრახვით სხვარიგად განსაჯეს ღმერთებმა და უგზოუყველოდ გადაიარგეს იგი. მკვდარ მამაჩემზე ეგზომ არ ვინაღვლებდი, რომ ტროადის ომში თანაშემბროლებთან ერთად დაეკმულიყო, ან ბრძოლის შემდეგ მეგობრის მკლაზე დაეღია სული. მაშინ სამახსოვრო ბორცეს აღუმართავდნენ პანაქაველნი, ხოლო მის შვილს მამის დიდება ვადაეკემოდა. პარპიებმა გაიტაცეს იგი... ისე ვაპჭრა, არავის უხილავს და არავის სმენია მისი ამბავი, ხოლო მე ჭმუნვა და ნადველი დამიტოვა. არც ეს მაკმარეს ღმერთებმა, სხვა ჭირიც მომისართეს: ყველა წარჩინებული, ითაკის ახლო-მახლო კუნძულებზე რომ ბატონობენ, — დულოხილნი, სამეფლნი, ტყიანი ზაყინთოსის განმგებლნი, თვით კლდოვანი ითაკის ჩინებულნიც კი, დედაჩემის ცოლად წაყვანას ლამობენ და აჩანავებენ მაჩიქემის ქონებას. ხოლო დედაჩემს ვერც უარუყვია ეს საქულველი ქორწინება და ვერც სასიძოვების უტიფრობა აულავმავს. ისინი კი ანადგურებენ ჩემს სახლკარს და ალბათ მეც მალე მომიღებენ ბოლოს.

ასეთი სიტყვა უთხრა ტელმაქემს თანაგრძნობით შეპრულმა ათინამ:

— ვაი, სად არის ახლა ოდისევისი, რომ ლაგამი ამოსდოს აღვირახსნილ სასიძოვებს; რომ კარიბჭეში ჩადგეს ფარ-შუბითა და მუზარადით, ისეთივე ძალგულოვანი, როგორიც პირველად ვიხილე, როცა კორინთოდან ახლადმობრუნებული ჩემს სახლში პურღვინით იღხენდა! იქ, კორინთოში, სწრაფმავალი ხომალდით იყო ჩასული, რათა მერმეროსის ძის, ილოსისათვის ისრისპირების ამოსაწები შხამი ეთხოვა. მარადიული ღმერთების შიშით ილოსმა უარით გამოისტუმრა იგი. მაგრამ მამაჩემმა, რომელსაც დიდად უყვარდა ოდისევისი, არ დაუყავა ეს საწამლავი. ეპ, ისეთივე გულმხნე რომ გამოჩინილიყო აქ, შავად გაუთენებდა სასიძოვებს ქორ-

წილის დღეს. მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ ~~ღმერთებმა~~ უწყიან, შურს იძიებს თუ არა მინდა-რუნებულნი მე, ჩემდა თავად, გირჩინოვნენდა როგორ გააძვეო მამისეული სახლდანი ~~სახლდანი~~ ძოები; მაშ, გულდამით მომისმინე: ხვალვე მოედანზე შეჭყარე აქავლნი და განუცხადე, — ღმერთების სახელს ვაფიცებ სასიძოვებს, — თავთავიანთ სახლებში გაბრუნდნენ-თქო! ხოლო დედაშენმა, უკეთუ თნავს მის გულს ქორწინება, დიდსულოვანი მამის სახლს მიაშუროს და, როგორც საყვარელ ქალიშვილს ევადრება, ძვირფასი შობთევი გამოისტუმროს სახილდან მამამისმა. ერისთავი გირჩევ ჭკვიანურს, თუ დამიჯერებ: საუკეთესო ხომალდი აღვაშენ და ოცი ნიჩბოსნითურთ დაკარგული მამის ამბის გასაგებად გაემართე, ვინალო მოკვდავთავანმა ვინმემ გაიძნოს ან თავად ზეცმა განიწროს რამე. ჯერ პილოსს მიაშურო და კეთილშობილ ნესტორს გამოპკითხე ამბავი. მეტე ოქროსთმიან მენელაოსს ეწვიე სპარტაში. ის ხომ რვალის-თორიან აქაველთავან უქანასკნელი დაბრუნდა ილიონიდან. თუ გაივებ, რომ ცოცხალია მამაშენი და შინ გამომგზავრებას აპირებს, ნუ დამიხარებ და ერთი წელიწადი დელოდე. უკეთუ მის სიკვილს შეიტყობ, დაუყოვნებლივ მოაშურე მამულს, სამახსოვრო ბორცვი აღუმართე და საკადრისი ქელები გადუხადე, ხოლო დედაშენს გათხოვება ურჩიე. ყოველივე ამას რა აღასრულებ, გონება მოიკრიბე და გადაწყვიტე, როგორ შემუტრო სასიძოები, — ძალითა თუ ხერხით. ბოლი აღარა ხარ, ტელმაქემ! განა არ გსმენია, რა დიდება მოიხვეჭა ხალხის თვალში კეთილშობილმა ორესტემ, როცა თავისი მამის მკვლეელი ეგისთე მოაკვდინა? ძვირფასო ჩემო, დავაქავებულსა და დამშვენებულს გხედვ! მაშ, მამაცურად მოიქეცი, რომ მომავალში შენც დაიმსახურო შთამომავალთა ქება. ახლა კი ღრაო, ჩემს სწრაფმავალ ხომალდს მივხედო, ალბათ თანამგზავრებს გული გაუწყალდათ ჩემს მოლოდინში. შენც დიდი ჯაფა გელის ჩემი სიტყვის შესასრულებლად.

— ძვირფასო სტუმარო, — უბასუხა ტელმაქემ. — მაღლიან სიტყვას მეუბნები და მამაშვილურად მარტებ. რა დამაიწყებს შენს კეთილ რჩევას! გერქარება, მაგრამ დილამდე მაინც მოისვენე ამ ჭერქვეშ. ხვალ კი განბანილსა და გულმხიარულს, სტუმარმასპინძლობის წესისამებრ ძვირფასი საჩუქრებით გავისტუმრებ ხომალდზე. დაე, მათ ვაგახსენონ ჩემი თავი!

— არა, ჩემო, მეტს ნუ დამაყოვნებ. გზას ვადგავარ. ხოლო კეთილი გულით მოძღვნილ საჩუქრებს აქეთობისას წავიძღვანიებ თან და სამაგიერო საჩუქარსაც მოგართმევ.

ეს თქვა და ფრინველვით გაუჩინარდა

კო მ ე რ ო ს ი
ო დ ი ს ი ა

ეროდან თვალსივთისანი ათინა. ტელემაქეს კი გული გაუმაგრა და მამის ხსოვნა გაუორკვეა. გონს რა მოეგო, განციფრებული ტელემაქე მიხვდა, — ღმერთი ესაუბრებოდა მას.

სასიძოვებთან მისელა აღარ დააყოვნა ღვთის-სწორმა ტელემაქემ. სუფრაზე უკვე მღეროდა სახელგანთქმული მომღერალი. სულგანაბლული უსმენდნენ სასიძოვებ აქვევლთა ამბავს, — თუ როგორ მოუძღვებოდა ათინა პალადა ტროადან გაჰირეებით დაბრუნებულ მეომრებს. ეს ღვთა-ებრივი სიმღერა რომ შემოესმა იკარიოსის გონიერ ასულს, პენელოპეს, სანთიბოოდან მყის-ვე დღეშეა მალალი კიბით და დარბაზში შონა-ლიმე სასიძოვებთან შევიდა. თან ორი მომღერარი ახლდა. ოსტატურად ნახელად დიდბოთთან შედგა დედათა შორის უმშვენიერესი, პირს ოქრორიდგ მოიფარა და ცრემლმორეული შე-ესიტყვა ღვთაებრივ მომღერალს:

— ჩემო ფემიოს! სხვა ბევრი სიმღერაც იცი მოკვდავთათვის აღტაცების მომგვრელი, კაცთა და ღმერთთა სიქველს რომ აღიდგებს. მოგვასმენინე მათგან რომელიმე! მეინახეთ კი ჩუმაღ განაგრძონ ღვინის სმა. თავი ანებე ამ ნაღვლიან სიმღერას, ფემიოს, გულს მიკლავს იგი, რადგან იმ კაცს მაგონებს, ვისი სახელიც მთელს არგოსსა და ელადშია განთქმული.

— დედაჩემო! — სიტყვა მოუჭრა ტელემაქემ. — რატომ უქრძალვ ფემიოსს იმ სიმღერით დაგატკბოს, ზევსს რომ შთაუფონებია მისთვის? ნუ გაჰკიცხავ, დანაელთა მწარე ხეედრზე რომ მღერის. ყველაზე მეტად ხომ ის სიმღერა იტაცებს კაცის გულს, რომელიც ახლადგარბადილ ამბებს მოკვიტობს? გამაგ-რალი და გულისსმაჰყავი: ვინა მარტო ოდისთვის დაუბნელდა დაბრუნების დღე? ტროაში მამა-ცი სხვაც ბევრი, დაეცა. გაბრუნდი და შენს საქმეს — თითისტარსა და საბუჯავს მიხედვე, დასაქმე მხვევლნი. რაც შეეხება სიტყვა-პა-სუსს, ეს კაცის საქმეა, მეტადრე კი ჩემი: ამი-ერიოდან მე ვარ ამ სახლის ბატონ-პატრონი!

უკანვე გაბრუნდა განციფრებული პენე-ლოპე, გულს ჩაებტედა შვილის გონივრული სიტყვა. შიმუნვართა თანხლებით სანთიბოში ავიდა და გულამომგდარი დიდხანს ტიროდა თავის ძვირფას მეუღლეზე, სანამ თვალსივთ-სანმა ათინამ ტკბილი ძილით არ დაუმძიმა ქუ-თუთოები.

ჩამობნელებულ დარბაზში სასიძოვები ახო-რხოდენენ. გულისთქმით აღძრულნი ნატრობ-დნენ, გაეზარებინათ დედოფლის სარეცელი. ასეთი სიტყვით მიმართა მათ გონიერმა ტელე-მაქემ:

— პენელოპეს თავგასული სასიძოვები! მო-დიოთ, წესისამებრ ვანვარძოთ ნაღიმი, შევეშ-ვით ყუყანსა და აურზაურს. ვინა არ აჯობებს, ამ ღვთაებრივ მომღერალს დავუგდოთ ყური? ხვალ დილით კი საფიხენოში მოვიყრით თავს.

იქ, ხალხში, გეტყვით, რომ დასტოვებ მსოფ-მის სახლი. ვისაც ქეიფი სურს, თავისი ხარკით იქეიფოს ან სხვა მასპინძელი მომწონს; რაკილა მრავალნი — ერთი კაცის ქონების ჰა-მას კადრულობთ, — ჰამეთ! მაგრამ ვახსოვდეთ, უკვდავ ღმერთებს მოვუხმობ, ვინძლო ზევსმა იძიოს შური და თქვენს მიერვე გაბარებულ სახლში სისხლის აუღებლად ამოიხოცეთ!

ასე თქვა და მათ კიბით დიჰამეს ტუნები. დიდად გაიოცეს ტელემაქეს გაბედული ნათქვა-მი. ბოლოს ევპეითოსის ძემ, ანტიოემ, დასძრა სიტყვა:

— ჰე, ტელემაქე, ღმერთებმა ხომ არ გას-წავლეს ქადილი და უკადრი ლაპარაკი? ვაი ჩვენს თავს, თუ ბასილევსად გავგიხიდი ამ ზღვითგარემოცულ ითაჯაზე! აკი გვარითაც მო-გდაგამს ხელმწიფება.

— ნუ გაგაგულსიგებს ჩემი ნათქვამი, ანტი-ნოე. უკეთუ ზევსი შემეწევა, დიდაც არ ვი-ტყვი ხელმწიფებაზე უარს. ან იქნებ ფიქრობ, ბასილევსობა არ მეკადრებოდეს? ცული როდია ხელმწიფება: სიმღერის მორქმულს პატრივი და დიდებაც შეგემატება. ზღვითგარემოცულ ითა-კაში ჰაბუჯ და ხანდაზმულ აქვევლთაგან საბა-სილევსო კაცი ბევრი მოიძებნება და რაკი ღვთისნასაზი ოდისევის ცოცხალი აღარაა, რომელიმე მათგანი იხელმწიფებს. მე კი ჩვენს სახლკარსა და კეთილშობილი მამაჩემის სახ-ლეულს ვუპატრონებ.

მამინ სიტყვა დასძრა ევრიმაქემ, პოლიბო-სის ძემ:

— ჰე, ტელემაქე! მხოლოდ ღმერთებმა უწ-ყიან, ვინ გვიხელმწიფებს აქვევლთაგან. შენი სახლი კი შენვე გეყუდის: როგორც გენებოს, ისე უპატრონი! ვიდრე არ გამქრალა ითავის სახსენებელი, შენს ქონებას ვერავინ მიიტა-ცებს. მაგრამ ერთი რამ მინდა გკითხო, ჩემო კარგო: მითხარი, ვინ იყო ის კაცი, წედან რომ გესტუმრა? სადაურია, სადა აქვს მამისეული სახანავ-სათესი? რამ მოიყვანა, თავის ვასაქირმა თუ მამაშენის ამბისა გაუწყა რამე? რაღაც უწინაურად კი გაქრა, ვერც კი გავემცნაურეთ. ეტყობოდა, მდაბიოროთაგანი არ უნდა ყოფი-ლიყო.

ასე უპასუხა ევრიმაქეს გონიერმა ტელემა-ქემ:

— ეჰ, ევრიმაქე, დაუბნელდა მამაჩემს დაბ-რუნების დღე! რაც არ უნდა მითხრან, არაფერი მჯერა და აღარც დედაჩემთან წვეული მისენ-ბის წინასწარმეტყველებას ვენდობი უკვე. ის კაცი მამაჩემის ძველი მეგობარი, ნოსან ტა-ფოსელთა ერისმთავარი მენტესი იყო, — ძალ-გულოვანი ანქიალოსის ღირსეული ძე.

ამას ამბობდა ტელემაქე, თორემ გუმანიო-ციოდა, სტუმრად ქალღმერთი რომ ეწვია.

კიდევ კარგა ხანს იქეიფეს სასიძოვებმა, რა-კვითა და სიმღერით, — იშვებდნენ, სანამ დარ-

ბაშში მწუხრი არ ჩამოწვა. მერე რული მოე-
რიათ და დაიშლნენ. ტელემაქემ მონადიმენი
გაისტუმრა და გულფიქრიანი გამობრუნდა სა-
ძილო ოთახისკენ, რომლის სარკმელი მშვენიერ
კარმიდამოს გადაპყურებდა. მაშხალით ხელში
მას ფეხდაფეხ მიჰყვა მოკრძალებული ევრიკ-
ლა. გმირმა ლაერტემ ოდესღაც ოც ძროხად
იყიდა იგი. მაშინ ყმაწვილი ქალი იყო ევრიკ-
ლა და პატრონისგან მეუღლის დარად პატივ-
დებული. მაგრამ ლაერტეს ცოლის რიღით
არასოდეს შეუბღალავს მისი სარეცელი. ევრიკ-
ლა მაშხალით უნათებდა გზას ტელემაქეს. ტე-
ლემაქე მისი ვაზრდილი იყო და ამიტომ ყვე-
ლაზე მეტად უყვარდა. დედაბერმა მშვენიერ-
ად გაწყობილი საძილო ოთახის კარი გაუღო.
ქაბუკი საწოლზე ჩამოჯდა, მსუბუქი ქიტონი
გაიძრო და მოხუცებულ ვადის მიაწოდა. დე-
დაბერმა ქიტონი სათუთად დაეცია, იქვე საწო-
ლთან, ხის როკზე გადაკიდა. მერე კარი მოი-
ხურა და თანმებით განსაკვა ვერცხლის რგო-
ლები. ხოლო თხისურის საბანში ვახვეული ტე-
ლიმაქე მთელი ლამე ათინასგან მინიშნებულ
გზაზე ფიქრობდა.

II

ცისკარზე, როდესაც ახლადშობილმა ეოსმა
ვარდისფერი თითები გამოაჩინა, საწოლიდან
აღვა ოდისევსის სანაჩრელი შვილი, ტანთ ჩა-
იცვა, მახვილი მხარიდლოვ გადაიკიდა, ნატიფი
ფეხი ხაშლით შეიმოსა და ღვთიფშვენიერი სა-
ხით ოთახიდან გამოვიდა. მუქქარე მაცნეებს უბ-
რძანა, ზმირთმიანი აქველები მოედანზე შე-
ეყარა.

თავმოყრილ ხალხში მალე ხელშუბიანი ტე-
ლემაქეც გამოჩნდა. მარტო არ იყო: ორი ქო-
ფაკი მოსდევდა უკან. ათინას ღვთაებრივი მშეი-
ნებით შეემოსა იგი და აღტაცებული ხალხი
ვანცვივებით უჭკერტდა მოახლოებულ ქა-
ბუქს. უხუცეებსმა გზა დაუთმეს და ტელემა-
ქემ საფიხვნოს ოაჟში მამის ადგილი დაიკავა.

პირველად ეგვიპტოსმა, სიბერისაგან წელ-
ში მოხრილმა და ბერის მნახველმა გმირმა და-
სძრა სიტყვა. მისი ძვირფასი შვილი, გულადი
შუბოსანი ანტიფოსი ღვთაებრივ ოდისევსს
წაჰყვა ცხენებით ვანთქმულ ილიონს. უკანდა-
ბრუნებისას გულმხრემ ციკლოპმა პოლიფემმა
შეჰამა იგი გამოქვაბულში. ბერკაცს კიდევ სა-
მი ძე ჰყავდა. ერთი იმათგანი, ევრინომე, სასი-
ძოებს შორის ტრიალებდა, დანარჩენი ორი კი
სახლკარსა და მამულს განაგებდა. მაგრამ ბე-
რკაცს ვერ დავიწყებინა დაკარგული შვილი,
დღენიდაც ტიროდა და მწუხარებდა. და ახლაც,
აკრემლებულმა ასე მიმართა შერკებილთ:

— ყური დაუგდეთ, ითაკენო, ჩემს სი-
ტყვას! მას შემდეგ, რაც ღვთიური ოდისევსი
ღრმამუცლიანი ხომალდებით გაემგზავრა, ერთ-

ხელაც არ შეეყრილვართ საფიხვნოში. ვინ რა
გვიხმო ახლა? ვის დავეპირდით, ბერსა თუ გა-
ბუქს? იქნებ დალაშქვრა განუზრახავთ. მწუხრე
და ეს უნდა შეგვატყობინოს? ან იქნებ სხვა
რამ საერო საქმეა ვადასაწყვეტი? ვინც არ უნდა
იყოს შვი, უთუოდ კეთილმოსურნეა ჩვენი, ზე-
ესიმე შეგიწვევა მას!

ეს თქვა ბერკაცმა. ოდისევსის ძვირფასი
შვილი ვაახარა ამ სიტყვამ. დიდხანს აღარ და-
უყვანებია, საკრებულოს შუაში გამოვიდა. კი-
თილგონიერმა მეტქემ, მაინე პეესენორმა კვე-
რთხი მისცა ხელში და ტელემაქემ ეგვიპტოსს
ასეთი სიტყვა ჰკადრა:

— ტკბარი მოხუცო! მე ვარ ის კაცი, აქ
რომ შეგვართ. დიდმა მწუხარებამ მომიყვანა
აქ. თავდასხმისა არაფერი მსმენია და არც საე-
რო საქმის გამო გეტყვით რასმე. ამჟერად ჩემს
სახლში დატრიალებულ უკუღმართობაზე მინ-
და გელაპარაკოთ. ორი რამ მიკლავს გულს:
ერთი ის, რომ დიდუბა მამაჩემი, თქვენი ბა-
სილევსი, რომელსაც შვილებივით უყვარდით.
სხვა, უფრო დიდი უბედობაც მახლავს: საცაა
გაპარტახდება ჩვენი სახლი და განქარდება
ქველი ოდისევსის მონაგარი. დედაჩემს უტო-
რად შემოადგენ აბეზარი სასიძოები, — აქ
შერკებილ წარჩინებულთა ძვირფასი ძენი. ისი-
ნი იყაროსთან მისვლას ვერ ბედავენ, რომ მან
წესისამებრ მზითვით გამოათხოვოს თავისი ასუ-
ლი და იმ კაცზე დააქორწინოს, ვისაც ღირსად
მიჩნევს. თვათონ კი ყოველდღე ჩვენთან აღა-
მებენ: დაუზოგავად ანადგურებენ ხარებს,
ცხვარსა და ნასუქალ თხებს, საუკეთესო ღვი-
ნოს მიირთმევენ და უზრუნველ ქეიფში ატა-
რებენ დროს. ასე ჩინადდება ყველაფერი, რაო-
ვან სახლ-კარს არ პატრონობს ოდისევსის ბა-
დალი კაცი, რომელიც შეძლებდა მათი თავგა-
სულობის აღკვეთას. ჩვენ კი უმწონი, ამას ვერ
შეძლებთ, ვერც ახლა და ვერც მომავალში.
ძალა რომ მიქონდეს თვითონ დავიკადვი ჩემს
სახლს. მოთმინების ფილა ამევისო უკვე! თქვე-
ნი თავისა თუ არა გრცხვენიათ, უცხო ხალხისა
მაინც შეგრცხვეთ, ჩვენს ახლომახლო კუნძუ-
ლებზე რომ ბინადრობენ! ნუთუ არ გაშინებთ
ღმერთების რისხვა? იცოდეთ, ამ უსამართლო-
ბის წილ ღმერთები სამაგიეროს მოგზოლავენ!
ოღობიძოვლ შეგისა და კაცთა შორის მართლის
გამკითხველ თემიდას გაუციებთ, დამეხსნათ და
მწუხარე მარტო დამტოვოთ ჩემსავე სახლში.
იქნებ რაიმე დაუშვა მამაჩემმა რეალისსაბარ-
კულიან აქველებს, ამის გამო პორტად მიხ-
დით სამაგიეროს და სასიძოებს მისცეთ? მიჯობ-
და თქვენ შეგვიპათ ჩემი საფასე და საქონე-
ლი, — იქნებ უკანვე დამებრუნებინა ოდესმე:
მახეწარი კარდაკარ ვივლიდი, ვიღრე არ გა-

კოქარო სო

ო დ ი ს მ ა

ზღვევინებდით დაკარგულს. აწ კი უკურნებელი ჰირი შეეყრია თქვენგან!

ეს თქვა განრისხებულმა და კვერთხი მიწაზე დაანარცხა, თვალებიდან ცრემლები წასკდა. კარინდებული ხალხი თანაგრძნობით შეჰყურებდა ტელემაქეს. ვერაინ ბედდაღა მკაცრი სიტყვით შეპასუხებოდა მას. ბოლოს ანტინოემ დაარღვია სიჩუმე.

— ეს რა სთქვი ტელემაქე? დაუოკებელი გულსწყრომით რას გვექაღი, რატომ გვათრევ და გვაგინებ? რა დაგიშავით აქაველმა სასიძოვებმა? დედაშენს მოჰკითხე ყველაფერი. სამი წელი მიყარა უკვე და აპა, მეოთხე დადგა მას შემდეგ, რაც ცრუ დაპირებით მოგვალორა. თვითველ ჩვენგანს ცალ-ცალკე გვიგზავნიდა შუამავლებს, ხოლო გულში სხვა რამ ედო. მერე ამასაც არ დასჯერდა, ვერაგული ეშმაკობა მოიგონა ასეთი: დარბაზში ბეჭსახელო ააგრილა, უგრძესი ქსელის ბეჭვა დაიწყო და ასე დაგვიმძღო: — ჰაბუკეო, თუმცა ამ ქვეყნად აღარაა ოდისევსი, ქორწილს ვერხნობით ნუ გავმართავთ, ვიდრე გმირ ლაერტეს თეთრ სულარას არ მოვუქსოვ იმ დღისათვის, როცა დამლუბველი მორიები საშუადამო ძილით დააძინებენ. არ მინდა გამიქცონ აქაველმა დიადებმა, — უსულდაროდ რიკორა უწყისი ეს დოვლათიანი კაცი. ასე გვითხრა და ჩვენც დავენდეთ მის სიტყვას. დღისით, ჩვენს თვალწინ ბეჭვადა ამ დაუსრულებელ ქსელს, რათა დამით მამხალეების შუქზე ჩვენს უჩუმრად დაეარღვია. ასე თვალთმაქცობდა მთელი სამი წელიწადი, მოცუთუნებელი ყვავდით, სანამ ერთმა მხევაღმა არ გააზიზილა და თავზე არ წაეკიდებო. მაშინ კი სხვა გზა აღარ ჰქონდა: უნდა დაესრულებინა ქსოვა. ასეთია ჩვენი პასუხი. დაე, შენც იცოდე ეს და ყველა აქაველმა. ახლა კი მამამისთან გავგზავნე და ურჩიე იმას გაჰყევს. ვინაც იკაროთსი მოინებებს და თვითონაც მოიწონებს. ხოლო ვიდრემის ასე გვაწვალებს, არ მოვეშვებით შენი დოვლათის ჰამას. თავი ანებოს თვალთმაქცობას! არა მარტო ზელსაქმეშია იგი სწორუპოვარი, — მახვილი ჰქუა და გამჭირახობა მოუმაღლებია მისთვის ათინას. თამაშევიერ აქაველ დიაცთა შორის ძველ დროში საზღვანთქმული ტირო, აღკველ და მიკენე ვერ შედრებინან ბენელოპეს ციხერებით. აწ კი ფუჰია მისი განზრახვა, დემრთებს რომ შთაუგონებიათ მისთვის. იქნებ ამ თვალთმაქცობამ დიდებაც კი მოუტანოს, მაგრამ შენი საბადებელი ხომ მსხვერპლად შეეწირება ამას? ჩვენ არ შევეშვებით ჩვენს საქმეს, არც სხვაგან წავალთ, ვიდრე ბენელოპ მისგანვე არჩულს რომელიმე აქაველს ცოლად არ გაჰყვება.

ასე მიუგო მას კეთილგონიერმა ტელემაქემ: — ანტინოე, სახლიდან ვერ გავაძევებ იმას, ვინც მშობა და გამზარდა. მამაჩემი, — არ ვიცი, ცოცხალი თუ მკვდარი, — უცხო ქვეყნადაა.

უკეთუ დედაჩემს იძულებით გავისტუმრებ მა-
მისეულ სახლში, იკაროთსისთვის დედაჩემის
კუთვნილი ქონების უკანვე დაბრუნებულნი
დებია. ორმაგ ბოროტებას მოვიმკრძნებო
რომ იკაროთსის გამო ღვთის რისხვა დამატყდე-
ბა თავზე და მეორეც, დედაჩემი მძვინვარე
ერიჩიებს მომისევს. სხვებიც დამძრახავენ, ამი-
ტომ არ ვიქმ ამ საქმეს. თუკი ღირსების ნა-
ტამალი შეგჩენიათ, დამანებეთ ჩემი სახლი.
ვისაც ნადიმობა სურს, დე, თავისი ხარჯით ინა-
დამოს, ან სხვა მასპინძელი მონახე ვინმე.
რაკილა მრავალნი — ერთი კაცის ქონების ჰა-
მას კადრულობთ, — ჰამეთ, მაგრამ გახსოვდეთ,
უკვდავ დემრთებს მოვეხმობ თქვენზე, ვინძ-
ლო ზევსმა იძიოს შური და თქვენგან გაჩინა-
გებულ სახლში სისხლის აუღებლად ამოგზო-
ცოთ.

ეს თქვა და შორს მაცქერალმა ზევსმა ორი
არწივი ააფრინა მთის მწვერვალნიდან. დაწყვი-
ლებულნი ერთხანს ქარის დინებას მიჰყვებოდ-
ნენ. ახმაურებული საფიხვნოს თავს რომ გაუს-
წორდნენ, ფრთების ძლიერი ფრამფრამით
ირაო შეჰკრეს. დალუპვის მომასწავებელი მზე-
რით დასცქეროდნენ შეკრებილთ. ანაზღად, თავ-
კისერი დაუკრატეს ერთმანეთს. შემდეგ აღ-
მოსავლეთისკენ აიღეს გეზი და ითაველთა სახ-
ლებს თავზე გადაუქროლეს.

გაკვირებულებმა თვალი გააყოლეს ფრთო-
სნებს, ვერ აეხსნათ რას მოასწავებდა არწივე-
ბის გამოჩენა. პირველად სიტყვა მასტორის ძემ
დასძრა, მოხუცმა ჰალითერსემ... თანამოასაყე-
თა შორის მხოლოდ ის გამოირჩეოდა ფრინ-
ველთმოკითხაობითა და ზედისწერის მონა-
თა გამოცნობითა. კეთილდამრჩეველმა ასე მიმა-
რთა საფიხვნოში თავშეყრილთ:

— მომისმინეთ, ითაკენო: სასიძოვების სა-
გულსხმოდ ვამბობ ამ სიტყვას. დიდი ხიფათი
ემუქრება მათ. სამშობლოდან შორს აღარ უნდა
იყოს ოდისევსი. სადმე ახლოს ალბათ უკვე სი-
კვდილს უმზადებს სასიძოვებს და არა მარტო
მათ, — შორითსაჩინარი ითაკის ბევრ მკვიდრ-
საც დაადგება შავი დღე. დაუყოვნებლივ რაიმე
უნდა ვიღონოთ სასიძოვების მოსათოყად, თუმ-
ცა აჯობებდა ჰქუა ეხნარათ და თვითონვე და-
შოშინებულნიყვენენ. არ იფიქროთ უმცირად
ვენისაწარმეუკველდე, — სასწაულთა ამონ-
სანში გაწაფულნი ვარ. გაიხსენეთ, რა ვუთხარი
ოდისევსს, როცა არგოსელებთან ერთად ილი-
ონს მიემგზავრებოდა! მე მაშინვე უწყინასწარ-
მეტყველე, რომ დიდ განსაცდელს გადაიტანდა,
თანამგზავრებს დაჰკარავდა გზაში და ოცი
წლის შემდეგ ყველასაგან უტნობი დაუბრუნ-
დებოდა სახლს. და აპა, მოიწია აღსრულების
ჟამი!

ჰალითერსეს ასეთი სიტყვა უთხრა ევრიომა-
ქემ, პოლიბოისს ძემ:

— ჰეი, ბერიკაცო, გირჩევ სახლში უმკითხაო

შენს ბალღებს, რომ ფათერაკს რასმე აზ გადა-
აწყდნენ! აქ შენზე უკეთ მე ვიწინასწარმეტყ-
ველებ. ფრინველი ბევრი დაფრინავს ცინქემ,
მაგრამ განა ყველა განგების ნების დანიშნებე-
ლია? ოდისევის შორეულ მხარეს დაიღუპა და
სჯობდა შენც მის კვალს მიჰყოლოდი, ნაცვლად
იმისა, რომ ფუტე წინასწარმეტყველებით ჩვენ-
ზე აქეზებდე ისედაც გაგულისებულ ტელემა-
ქეს. ხომ არა გგონია, უხვი საჩუქრებით აგიე-
სებს სახლს? გეტყვი და კიდევაც ავიხდება ეს
ჩემი სიტყვა: უფრო ამ წაბავს სიბერისაგან
მოხვევითი ცოდნით ჩვენს წინააღმდეგ აამხდ-
რებ, — მისთვისე იქნება უარესი. სულერთია,
ვერაფერში წაადგება შენი რჩევა, მაინც ვერა-
ფერს იღონისძიებს. იცოდე კია, ბერეკაცო, არც
შენ დადაგდება კარგი დღე! ხოლო მე, ჩემდა
თავად, ასეთ რამეს ვურჩევ ტელემაქეს: დედა
მამისეულ სახლში გაგზავნოს, იქ, შინაურებმა
საქორწილოდ მოამზადონ და ძვირფასი ასული-
სათვის შესაფერი მზითევი გამოატანონ. თუ არა
და აქაველთა ძენი არ მოეშვებიან ამ სახლს.
ჩვენ არავის გვეშინია, მით უმეტეს, ტელემაქესი,
თუნდაც რომ ბევრს დიდსიტყვაობდეს. არც
შენი ფუტე წინასწარმეტყველება დაგვაშინებს.
თავს ნულა გვაბეზრებ! იცოდეს ყველამ, —
საზღაურის მიუგებლად კვლავაც განადგურ-
დება ტელემაქეს ქონება, სანამ პენელოპეს გა-
ცურებული ვეყოლებით, სანამ არ დანიშნავს
ქორწინების დღეს. ჩვენ, რა ხანია, ღირსეულად
გეტყობებით ერთმანეთს და გული არ მიგვლის
სხვა სასძლოებზე!

მას ასე მიუგო კეთილგონიერმა ტელემაქემ:

— ჰე, ვერძამე, — კეთილშობილო თანამო-
ყმენო! მეტს არაფერს გეტყვით ამაზე და აღარც
შეგებეწეწებით, რაკი ჩემი სათხოვარი უკვე უწ-
ყიან ღმერთებმაც და აქაველებმაც, ერთსა
გახოვთ მხოლოდ: მომეცით სწრაფმავალი ხო-
მადლი და თან გამატანეთ ოცი ნიჩბოსანი, და-
კარგული მამის ამბის გასაგებად. სპარტასა და
ქეიშიან პილოსს მინდა გავემართო, იქნება მოყ-
ვდათაგანმა ვინმემ მამცნოს ან თვითონ ზე-
ცსმა მანიშნოს რამე. თუ გავიგე, რომ ცოცხა-
ლია მამარჩემი და შინ დაბრუნებას აპირებს, მა-
შინ ერთ წელწინადაც მოთმინებით დაველოდები,
თუნდაც გული მომშხამოს ამ მოლოდინმა, ხო-
ლო უკეთეს მის სიკვდილს შეეიტყობ, დაუყო-
ვნებლივ მოვაშურებ მამულს, სამახსოვრო
ბორცეს აღვუშართავ მამარჩემს და საკადრის
ქელბეს გადაუხდო, დედაჩემს კი დავაქორწინ-
ებ.

თქვა ეს და დაჯდა. მაშინ სიტყვის სათქმე-
ლად წამოდგა მენტორი, ჰირნახული ოდისევის
ძველი მეგობარი, რომელსაც მან გამგზავრები-
ნას სახლის პატრონობა ანდო:

— ყური დაუგდეთ ჩემს სიტყვას, ითაკე-
ლებო! ამირიდან აღარ გელირსებათ ბასილევ-
სად ლობობიერი და გულმოწყალე კვერთხის-

მპყრობელი, არამედ გულსასტიკი და უსამართ-
ლო, რადგან დაივიწყეთ თქვენთვის მამარჩე-
ვად მზრუნველი ღვთაებრივი ოდისეისეული
ვისურებელი ამპარტავანი სასიძოვრის მფარველს,
თავზეხელაღებულნი რომ აწანაგებენ ოდისევის
სახლს, რაკი ფიქრობენ აღარასოდეს დაბრუნ-
დებო. თქვენ კი გრცხვენოდეთ, სასიძოვრზე
სიმრავლით აღმატებულნი, დამუნჯებულნი რომ
სხედხართ და სიტყვაც ვერ დაგიძრავთ მათ გა-
სამტყობლად!

ასე უპასუხა მას ლეოკრიტემ, ევენოროს ძემ:
— ეს რა სთქვი, მენტორ! ჰკუპას გადამცდარ-
ხარ, ჩვენზე თუ ამხედრებ ხალხს! მათი სიმრავ-
ლე ჩვენ გულს ვერ შეგვიკერთობს, ჩვენი მო-
რენვა მრავალთაც გაუჭირდებათ. თვითონ ოდი-
სეის ითაკელიც რომ დაბრუნდეს და წარჩი-
ნებული სასიძოვის სახლიდან განდევნა განი-
წებოს, ვეჰე, ოდისევის დაბრუნება გაახა-
როს მის ნახავს დანატრებული პენელოპე, —
რადგან შინმოქცეულს ჩვენგან სიკვდილი არ
ასცდებოდა. ვერ გვითხარი, მენტორ, გზიანი
სიტყვა! ახლა კი დავიშალოთ ხალხნო, ჩვენ-
ჩვენ საქმეს მივხედოთ! დაე, მენტორმა და ჰა-
ლითურესმა სამგზავროდ მოამზადონ ტელემაქე,
— ისინი ხომ მამამისის ძველი მეგობრები
არიან! თუმცა ტელემაქე კიდევ დიდხანს და-
ყოვნდება ითაკეში. ამბის გამოკითხვას მოუნ-
დება, გზას კი ვერასოდეს დაადგება, მე გგონი!

ასე თქვა და ხალხიც დაიშალა. სასიძოვი
ოდისევის სახლისაკენ გაემართნენ, ხოლო ტე-
ლემემაქე ზღვის ნაპირზე გასწია, ხელები ზღვის
მლაშე ტალღაში განიბანა და ათინას შეევედ-
რა:

— შეისმინე ჩემი ვედრება, ქალღმერთო! გუ-
შინ მეწვიე და მიბრძანე ნისლიან ზღვაზე ხო-
მადლით გავგზავრებულეყავ, რომ დაკარგული
მამის ამბავი გამეგო, მაგრამ აქაველი ხელს
მიშლიან. მეტადრე კი გულბოროტი სასიძოვი

ასევე ვედრებოდა ღვთაებას, ვიდრე მის გვე-
რდით მენტორის სახით გამოცხადებული ათინა
ფრთიანი სიტყვით არ შეეხმაურა:

— ო, ტელემაქე, აჲ უკვე არასოდეს შეირა-
ცხები მხდალად და უგუნურად, რაკი მამაშენის
ძლიერი სული თან დაგყოფია. მამარჩინებელი იყო
იგი სიტყვით და საქმით! ფუტად არ ჩავივლის
მგზავრობა და არც გზა-კვალი აგებნევა. პენე-
ლოპეს ოდისევის შემევიდრედ რომ არ გაე-
ჩინე, ვეჰე, ბოლომდე მიგყვანა საქმე, თუმცა
მცირედნი ემსგავსებიან მამათ, უმცირესნი
აღემატებიან, ხოლო უმრავლესნი ვერ უსწორ-
დებიან მათ სიტყვით... ნებას მოუვიღე დამო-
ხვეული სასიძოვი, — გონებადაბნეულნი და
უსამართლონი ვერც კი ხედებიან, რომ შვიი დღე
მოელით, რომ დალუპვის ქამი დღითიდღე უახ-

პოემაო სი

ო დ ი ს ი ა

ლოდებდათ. შენ ნურა გადარდებს, — გზა არ დაგიბრკოლებდა; მე — მამაშენის ძველი მეგობარი, სწრაფმავალ ხომალდს გაგიშვებ და თანვე წამოგყვები; ახლა შენ წადი, სასიძოებს ნუ განერიდები, ხომალდისთვის საგზალი მოიმარავე; ქოცოები ღვინით აავსებინე, ხლო ტყავის მაგარი ვაშკარანები ფქვილით — კაცთა მაცოცხლებელი საზრდოთი დაატენინე. მე კი მენაოსნეებს დაქვებნი. ძველი და ახალი ხომალდები ბევრია ზღვით გარემოცულ ითავაზე. მათგან საუკეთესოს შევარჩევ, საჩქაროდ აღვაჯობ და უკიდევანო ზღვაში შევაცურებ.

ასე ბრძანა ათინამ, ზევსის ასულმა. ტელემაქესაც აღარ დაუყოვნებია. რა მოისმინა ქალღმერთის ნუბარი, ფიცხლად გაემართა სახლისაკენ. ეზოში თავგასული სასიძოები ტრიალებდნენ: ზოგი თიანს ატყავებდა, ზოგიც ბურჯავებს ტრუსავდა. ეზოში შემოსულ ტელემაქეს ანტიონე შეეგება, ხელი ჩასჭიდა და სიცილით უთხრა:

— ო-ო, ტელემაქე, დაუყოვნებლო მჭერმეტყველო, ამოიგდე გულიდან ღვარძლი და ბოლმა. ძველებურად დაეჭვი ჩვენთან, სვი და ჭამე. რაც შეეხება ხომალდს და რჩეულ ნიჭბოსნებს, — აქაველები ყველაფერს მოგიხერხებენ. დაუბრკოლებლივ გაეშურები ღვთაებრივ ბილოსში სახელგანთქმული მამის ამბის შესატყობად.

ასე უპასუხა ანტიონეს გონიერმა ტელემაქემ:

— არა, ანტიონე! აღარ დაეჯდები მე თქვენთან სანადიმოდ, თქვენი ქედმაღლობის ატანა აღარ შემიძლია. განა არ კმარა, რაც გამინიავებ ქონება? მაშინ ბალი ვიყავი, ახლა კი დავეჯეკადი და ძალგულოვნება შემემატა. გარდა ამისა, სხვების ნუბარიც მოვისმინე და ბევრი რამ გავიგე. ამიერიდან, სულერთია, — ბილოსში წავალ თუ აქ დავარჩები, — სიკვდილის სულს მოუხვამო თქვენზე! მე წავალ, თუნდაც სხვის ხომალდს ავემგზავრო. იმედი მაქვს, ამ გზას ამაოდ არ გავივლი. ავი ეცადეთ ჩემთვის ხომალდი არ მოგეცათ!

ასე თქვა და მოლიზღარ ანტიონეს ფიცხლად აუჭრა ხელი.

სასიძოები ნადიმისთვის სამზადისს შედგომოდნენ; ისინი დამკინავი სიტყვით კენწლავდნენ ტელემაქეს. ერთი თავგასული სასიძო ასე ენაცემობდა:

— უეჭველია, სიკვდილს გვიშვადებს ტელემაქე. ქვიშანი ბილოსიდან და სპარტიდან ალბათ მშველელები უნდა წამოასახას... ან იქნებ ეფორის ნაყოფიერი მინდვრებიდან შხამიანი ბალახების წამოღება სურს, რათა საწამლავი ლავინებში ჩაგვიყვაროს და ერთიანად დავგვქუთოს.

მეორემ ასე სთქვა:

— ეინ იცის, იქნება ღრმა ხომალდით გამ-

გზაერებულს გზა-კვალი აერიოს და მასწავლებლთაგან სადმე შორს ოდისევსივით დასტუპოს. თუმცა ეს დიდ დავიდარაბაში ჩაგვეჯვრება, — ქონება ვასაყოფი გვექნება, სახლს კი დღემამისსა და მის რჩეულს გადავულოცავთ.

ასე ოხუნჯობდნენ.

ამასობაში ტელემაქემ მამისეულ სალაროს მიაშურა, სადაც ოქრო და ბრინჯაო იყო დახვავებული. სიერებში მრავლად ეწყო ლარი და სამოსელი, უხვად ინახებოდა კეთილსურნელოვანი ზეთი; კედელთან ჩამწკრივებული ჭკვერები სავსე იყო ძველი, სურნელოვანი, ღვთაებრივი ღვინით. ბევრი ქირის გარდაამხდელი ოდისევსისთვის იყო გადნახული ეს ღვინო. სალაროში შესასვლელი კარის ორივე მისავლებელი მჭიდროდ იხურებოდა. გამჭრიახი მეკუქნავე ევრიკლეა დღისითა და ღამით დარაჯობდა მთელ ამ ქონებას. ტელემაქემ სალაროდან გამოიხმო ღვინაბერი და უთხრა:

— ჩემო გალია, ქოცოები იმ ტკბილი ღვინით ამივსე, სვეუბედური კაცისთვის რომ გაქვს გადნახული: იქნება დაბრუნდეს სიკვდილსა და ბედისწერას გადარჩენილი ზევსის ნაშვირი ოდისევსი. თორმეტი ქოცო ამივსე და თავი მაგრად მოუტუბრე. ოცი კოდი წმინდად დაფქვილი ქერილი დამიტენე ვაშკარანები. ნურავის გაუუმხელ ამ ამბავს, ყველაფერი ეს მოამზადე და ერთად დამახვედრე. სალამოს, როგორც კი დედაჩემი სანთობოში ავა, მე თვითონ შემოვივლი და წვივლებ: სპარტასა და ქვიშანი ბილოსს მივეშურები, ვინძლო ძვირფასი მამის დაბრუნებისა შევიტყო რამე.

ამის გამგონე ევრიკლეს ტირილი აუვარდა:

— ტელემაქე, შეილო, ჩემო ერთადერთო ნუგეშო, ეს რა ფიქრი ჩავგარდნია გულში? საით გინდა ვასწიო, ცხრა მთას იქით სად იკარგები? ღვთისნასახი ოდისევსივით სამშობლოდან შორს, უცხოეთში გინდა დალიო სული? შენს აქ აყოფნაში გულბორთი სასიძოები ქონებას საბოლოოდ გავინიავებენ. შენ დარჩი, საბადებელს მიხედვ: უნაყოფო ზღვაზე ფათერაკსა და განსაცდელს გადაეყრები, — რა ძალა გადგას?

საყვარელ გადიას ასე უპასუხა გონიერმა ტელემაქემ:

— ნურას ინადვლებ, ჩემო კეთილო, ღვთის ხელი ურევია ამ საქმეში! შემომფიცე, რომ ათითორმეტი დღე არაფერს გაუმხელ დედაჩემს, სანამ არ მოენატრები და თვითონ არ მოიკითხავს ჩემს ამბავს. არ მინდა მშვენიერი პირისკანი ცრემლებმა დაუღაროს.

ღმერთების საშინელი ფიცით შეპფიცა ევრიკლეა და რა ვასრულა ფიცის თქმა, დაუყოვნებლივ შეუღდა საქმეს. ქოცოები ღვინით აავსო, ტყავის მაგარი ვაშკარანები ფქვილით დატენა. ტელემაქემ კი სასიძოებს მიაშურა.

მაშინ თვალსხივოსანმა ათინამ ასეთი რამ განიზარა: ტელემაქეს სახე მიიღო, მთელი ჭალაქი შემოირბინა და კაცად კაცად შთაავონებდა, საღამოყამს სწრაფმავალ ხომალდთან შეკრებილიყვნენ; ხოლო შემდგომ ნოემონს, ფრონიოსის სახელოვან ძეს უბრძანა მოეცა ხომალდი, რასაც ნოემონი ხალისით დაჰპირდა.

ამსობაში მზე ჩაესვენა და გზებზე ხშირი ბინდი ჩამოწვა. სწრაფმავალი ხომალდი ზღვაში შეათრის და საზღვაო აღკაზმულობით დატვირთეს. ჭალღმერთმა გაშლილ ზღვასთან ახლოს, კონცხთან დააყენა ხომალდი, ხოლო ირგვლივ შემოკრებილ თანამგზავრებს მხნეობა შეჰმატა.

შემდეგ ასეთი რამე იზარა თვალსხივოსანმა ათინამ: სწრაფად გაემართა ღვთაებრივი ოდისევსის სახლში, მონადიმე სასიძოებს თვლიდა მოჰვეარა და ხელიდან ღვინის თასები გააგდებინა. სუფრასთან ჯდომა მათ აღარ შეეძლოთ, — წამწამები რულით დამძიმებოდით. აიშალნენ და დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ. ჭალღმერთმა დარბაზიდან გამოიხმო ტელემაქე, მენტორის სახით დაუხვდა და მისივე ხმით შეესიტყვა:

— თანამგზავრები ნიჩბებს მისხდომიან უკვე და შენ გელიან. მაშ, წავიდეთ, ნულა დაეყოვნებო. — ეს თქვა ათინა პალადამ და წინ გაუძღვა ტელემაქეს. მალე ზღვის ნაპირზე გა-


ვიდნენ. ხომალდთან ხშირთმინი ^{ქაველები} შეკრებილიყვნენ. მაშინ ტელემაქეს ^{წმინდა} ^{ფრკენულში} ^{ვინაღმართმა} ძალმა ასე მოუწოდა მათ:

— მახლობელნი, საგზალი ხომალდზე ამოვიდით, სახლში უკვე ყველადფერი მზადაა, თუმცა არც დედაჩემმა და არც მსახურმა ქალეზმა, ერთი მეკუწკნისა გარდა, არაფერი იციან.

თქვა რა ეს, ტელემაქე წინ წაუძღვა თანამგზავრებს. ტვირთი, ოდისევსის ძვირფასი შვილის ბრძანებისამებრ ერდომშვენიერ ხომალდზე დააბინავეს. ტელემაქე ათინას ფეხდაფეხ აჰყვა კიჩოზე. თანამგზავრებმა ხომალდი აუშვეს და ნიჩბებს მიუსხდნენ. ჭალღმერთმა ღვინისფერ ზღვაზე მჭროლაფი ქალიკონი მიაშველა მათ. ტელემაქემ გაამხნევა ნიჩბოსნები და უბრძანა სამგზავროდ გაემზადებინათ ხომალდი. ისინი ხალისით დაემორჩილნენ ბრძანებას: ნაძვის ხის ანძა ბუდეში ჩასვეს და ბავირით დაამაგრეს. იალქანი ხარის მავარი ტყავისაგან დაგრეხილი ღვედებით დაკვიმეს. ზურგის ქარმა დაჰპერა და მეწამული ტალღები შავი ხომალდის ქვეშ ძალუმად ახმაურდა. მგზავრებმა პირთამდე საცეც ლაგვიანებიდან უკვდავ და მარადიულ ღმერთებს სამსხვერპლო ღვინო დაუღვარეს, უწინარეს ყოვლისა კი ზევსის თვალსხივოსან ასულს. მთელი ღამე, განთიადამდე, ჯე მიაპობდა ხომალდი ტალღებს.

ქველბერძნულიდან თარგმნის
წურავს კიკნაქემ, თაბაზ ჩხენაქელმა

გაგრძელება იქნება



გივი პარლოსანიძე

ბონი მეთუნახევი

ამერიკული ჩანახატი

ბ ა კ ე ე თ ი ლ ი

სანამ ხარ, ისე უნდა იცხოვრო, შენით აღაშენებდე და ამღიდრებდე შენ წილ ცხოვრებას, სთესდე სიყვარულს და სიკეთეს, ებრძოდე ბოროტს და ამკვიდრებდე კეთილს; რითაც კი შეგიძლია, ადამიანებს უმსუბუქებდე ყოფნას, მალამოდ ედებოდე და ესაღბუნებოდე, რადგან ყოველი კაცის თავს გარდუვალა სიყვდილი და ადამიანს სამარის სამუდამო სიმძიმე და სიბნელე ეყოფა; რადგან ადამიანი მხოლოდ დროებით ემგზავრება ამ წუთისოფელს და ვიდრე არის, მაშინ მაინც ემსუბუქოს ქვეყანა, მაშინ მაინც ჰქონდეს გული განათებული თავის მოდგმის სიყვარულით, მაშინ მაინც გაიხაროს.

ხომ უნდა გახსოვდეს, ვინც არ უნდა იყო, შენი დრო-ჟამიც დარეკს. იქნება მზე, იქნება მთვარე. იქნებიან ვარსკვლავები, იქნება ქვეყანა, იქნებიან ადამიანები, ისეთები, როგორიც შენ იყავი. იქნება ცხოვრება... შენ? შენ კი აღარ იქნები.

ადამიანები შეიძლევენ და შეიყვარებენ. იფიქრებენ და იოცნებებენ. იშრომებენ და იმხიარულებენ... მაგრამ შენ?... რა დარჩება ქვეყანად შენი? ან ქვეყანა რას გაგატანს შენ, შენს სამუდამო სამყოფელში?

ვინ იცის, დედამიწაზე რამდენი სასაფლაოა და ყოველ სასაფლაოს რამდენი ნეშტი მიუბარებია! ქვეყანად ძალიან ბევრი სიცოცხლე ყოფილა და ბოლოს იქ მისულა. ბევრს უცხოვრია ღამაზად და სხვათა ცხოვრებაც უღამაზებია.

ადამიანი თავს დაბლა ხრის მათი სამარის წინაშე, მათ ხსოვნას გულში მადლიერებით ინახავს. მეტი ჯილდო არც უნდა აწ უკვე გარდასულ სიცოცხლეს.

ვინ იცის, იქ რამდენია ისეთიც, როცა ცხოვრობდა, დედამიწას ამძიმებდა, მოკვდა და სამარეს ამძიმებს; ცოცხალი მკვდრებში ეწერა და გარდაცვლილს კეთილად ვინდა მოიგონებს.

სამარემ კი ისიც მიიღო და გაასწორა, როგორც რომელიღაც ხალხი გარდაცვალებას — გაღამაზებას ეძახის.

იმ მცირე, უმნიშვნელო ნაყარ მიწაზე, რომლის ქვეშ განისვენებს ჯონ კენედი, მოლი ბიბინებს (საფლავის მოლი ჟრუანტელს მგვრის). საფლავი სრულიად უბრალოა, ყურადღებას არაფრით იპყრობს, არაფრით გამოირჩევა. ჯვარი. ცოცხალი ყვავილები თაფული, რომელიც უკვე შემქნარა და გამოხუნებულა. დაბალი, ფიცრული ღობე, თავისუფლად რომ გადაამბიჯებ...
ეგებ სწორაც იყოს, რომ თვით ყველაზე გამოჩენილ ადამიანებსაც კი არ ვუდგამდეთ საფლავზე ძეგლებს. მიწის ქვეშ ყველა თანაბარია. მიწა ყველას ასწორებს. და დეე, საფლავებიც ტყუბი ძმებვით ჰგავდეს ერთმანეთს.

ირგვლივ საფლავები, საფლავები... ჯვრები... საფლავის ამობურცული მიწა და ზედ მობობინე მოლი... სიჩუმე... მარადისობა და სასაფლაოს შეუტნობელი სიბრძნე... საფლავებს შორის ბილიკები, ვიწრო, გვალვაში დაწრტილი წყაროსთვალავით ბილიკები, სულს რომ გიხუთავენ.

ამ ბილიკებით, ყოველი კაცის ამ საბოლოო გზით, მოდიან უსასრულოდ. მოდიან და მოდიან დარში, ავდარში, წლის ყოველ დროს, წლიდან-წლამდე, საუკუნეობით... მოდიან და მოდიან... უკან კი აღარავინ ბრუნდება. ეს მხოლოდ მარადისობის ბილიკებია და თუ შენ დღეს ამ ბილიკით სხვა გააცილე, ხვალ შენ გააცილებენ. შენ თუ დღეს უკან ბრუნდები, ხვალ სხვები დაბრუნდებიან უკან, შენ აქ დარჩები, დარჩები სამუდამოდ...

ჯონ კენედისაც მოუცილებია აქ სხვები და მაშინ მას, ალბათ, ფიქრადაც არ მოსვლია, რომ დადგებოდა უკან და ახლა უკვე თვითონ მას მოაცილებდნენ აქ სხვები, მოაცილებდნენ და ციე, ბნელ სამარეში ჩაუშვებდნენ ამერიკის ახალგაზრდა პრეზიდენტს, ლამაზი ცოლის პატრონს და ორი შვილის მამას... მილიონების მქონებელს... ვერ იფიქრებდა, რომ საფლავის მარადისობას მიანდობდნენ კაცს, რომელსაც მთელი ამერიკა შესცქეროდა იმდენი თვალით...

— ჯონ კენედის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი დაუჭრებელი იყო, — ვამბობ მე და მოხუცი პროფესორის პირდაპირ თვალეში შევუქერი, — იგი იტყვამუნწი ჩანს და მინდა როგორმე ავალაპარაკო.

პროფესორი ერთხანს მაინც არ იღებს წმას, ჩემად ზის თავჩაქინდრული და ფიქრებში ჩასული. როდის-როდის უხალისოდ ამბობს:

— ამერიკელებს უყვართ ასეთი ხუმრობანი.
— კენედი სჭირდებოდა ამერიკას.
— შესაძლოა, მაგრამ არ სჭირდებოდა ბევრ ვინმეს... ბევრს უშლიდა ხელს.

— რით აიხსნება კენედის პოპულარობა?
პროფესორი სათვალეს იხსნის და ცხვირსახოციტ წმენდს. ცალთვალა ყოფილა. უსიცოცხლო შუშის თვალი ცივად მიმზერს.

— მე რით ავხსნიდი?
— დიახ.

— როგორ ვითხრათ?.. სახელმწიფო მოღვაწის პოპულარობა, მით უფრო, სახელმწიფოს მეთაურის, მის თანამდროვეებში ძალიან პირობითია. ამას ვარდა, ერთია პოპულარობის მოტივები, როცა კაცი სახელმწიფოს მეთაურია და მეორეა, როცა აღირ არის, მით უმეტეს, ცოცხალიც თუ აღარ არის... კენედი მოაზროვნე კაცი იყო და ყოველი მოაზროვნე კაცი ისწრაფვის კენედიტებს მიაკვლოს. ადამიანისათვის კი ყოველი მცირე კენედიტებაც ძვირად ფასობს. მეორეც, კენედი იღებებს კაცი იყო, მას შეეძლო ამერიკისათვის მიეცა ის, რის ყველაზე დიდ ნაკლებობასაც განიცდიდა, მიეცა იღებები. მაგრამ კენედი წავიდა და ამიტომ ასე მძიმეა მისი დაინაკლისით გამოწვეული სიაროიღე.

პროფესორი ისევ იეეთებს სათვალეს. ყავისფერი შუშის იქით მე ველარ ვხედავ შუშის თვალს და როგორცაც ვმშვიდდები.

— დაუჭრებელია კენედის მკვლელობის გრემობათა ოფიციალური ვერსია.

— ვანა ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს? — ჯონ კენედი მკვდარია. ამერიკა თავის ცხოვრებით ცხოვრობს.

— სიმართლის დადგენის გულისთვის მაინც.

— ამერიკას არ სურს იცოდეს სხვა სიმართლე.

— პრეზიდენტის არჩევნებში ხმა ვის მიეცით?

— არავის. ვიკვირთ? რატომ დავეხმარებო ერთს, რომ პრეზიდენტი გახდეს და მეორეს ხელს რატომ შევუშლი? ჩემი დევიზია: არ ჩავერიო სხვის საქმეში, თუ ჩემს საქმეში არ ერევიან. კენედი პრეზიდენტი რომ გახდა, ბევრის საქმეებში ჩაერია...

ჩემი ეს საუბარი მოხუცი პროფესორთან შესადავა ვაშოგონის ეროვნულ სამხატვრო გალერეაში, სადაც ჩენდ მივედიტ კვიარა დილით. გალერეაში ბევრი ხალხი იყო. დავილაღე და შესასვენებლად პოლში მერხზე ჩამოვჯექი. ის მოხუცი კაცი მომჯდა და ერთმანეთს გამოველაპარაკეთ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში.

ჯონ კენედიც ხომ იქნებოდა ნამყოფი ამ გალერეაში? ახლა კი გალერეის პოლში მოთავსებული პატარა სავაჭროს ვიტრინაში დევს დიდი, მოჭრვილი მედალიონი ჯონ კენედის გამოსახულებით. იმ სავაჭროში გალერეის აღწერილობანი და იაფფასიანი სუვენირები ვიყიდე.

იფიქრებდა კენედი მაშინ, როცა აქ იყო, რომ ამერიკის პრეზიდენტი გახდებოდა? და რომ მას ამერიკელის ხელით სიკვდილი ელოდა?..

— აი კიდევ რა, — აგრძელებს საუბარს მოხუცი პროფესორი, — სახელმწიფო მოღვაწისათვის ყველაფერს კიდევ არ ნიშნავს, იყოს მოაზროვნე და ჭკონდეს იღებები. მთავარია, დაგიჯრონ, შენი იღებები ვაიზიარონ... ჯონ კენედის ჭკონდა უნარი ქვეყნის სათავეში ყოფილიყო, ერისათვის წინამძღოლობა გაეწია.

— ამერიკის პრესტიჟი დიდად შეარყია ვიეტნამის ომმა.

— ვიეტნამის ომს ჰყავს მოწინააღმდეგეები ამერიკაში და ასევე ჰყავს მომხრეებიც. ეს ომი აღიზიანებს ამერიკას. მაგრამ მას აქვს უფრო მძიმე და მუდმივად მოქმედი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა აღემატება ყოველი პრეზიდენტის უნარს.

— მაგალითად?

— მაგალითად, რასობრივი პრობლემა, ზანგების პრობლემა, რომელიც ყოველ წუთს მწვავედება და ამერიკა, ალბათ, ვერასოდეს ვერ

გივი პარლანანიძე
გონჯი მხეთუნახავი

გადაჭრის მას. დრო, ამ შემთხვევაში, ცეცხლს არ აჭრობს, პირიქით — აღვივებს, ცეცხლზე ნათეს ასხამს.

— შევკანინანების მოძრაობა ჯერჯერობით ვერ ახდენს გადამწყვეტ ზეგავლენას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

— მაგრამ არავინ იცის, რა ხასიათს მიიღებს, რა მასშტაბებს მიაღწევს ეს მოძრაობა ხვალ. ზანგების ხვედრითი წილი ამერიკის მოსახლეობაში უკიდურესად მნიშვნელოვანია და ეჭვს არ იწვევს, მომავალში უფრო გაიზრდება. ამჟამად შევკანინანების მოთხოვნები ხშირად მეტად გულუბრყვილია. მაგალითად, ისინი მოითხოვენ, რომ სახელმწიფომ უფასოდ წაიყვანოს ზანგები აფრიკაში — იქ, საიდანაც ისინი თავის დროზე ჩამოიყვანეს; მოითხოვენ, რომ მათ მისცენ ამერიკის სამხრეთის შტატები დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად... რას იტყვი, ჰა? — იღიბება პროფესორი, — ხომ კარგი მოთხოვნებია. ჩემი საქმე რომ იყოს, ერთ მოთხოვნასაც სიამოვნებით შევუსრულებდი ზანგებს და მეორესაც.

უნებურად მეცინება.

— ტყუილია, თუ? — ინტერესდება პროფესორი.

— იოლად ვინდათ მოიშორეთ პირი.

— მართლაც, — ამბობს პროფესორი სერიოზულად და ჩაფიქრებით. — თქვენი საქმეები კი როგორღა მიდის, ჰა? — მეკითხება იგი მოვკანინანებით და თვითონვე განაგრძობს: — რუსეთი შორს წავიდა, ძალიან შორს... მოკლე დროში მაღალი მწვერვალები დაიპყრო... სამწუხაროდ, ჩვენ მწვავედ განვიცდით იმის ნაკლებობას, რაც თქვენ ჰქარბად გაქვთ, — დიდი, შეუპოვარი მიზანსწრაფვა, ცხოვრების, ბრძოლის ნათელი იდეალი... მშურს კიდევ რუსული დავიანების, რუსული მუსყათობის, დაუოკებელი მისწრაფების, სიძნელეებთან ბრძოლაში — რუსული გამძლეობის... ეს ყველაფერი რუსეთს უთუოდ გაიყვანს ახალ, დიდ ორბიტაზე. ამის კარგი თავდებია, თუ გნებავთ, თქვენი მიღწევები კოსმოსში.

— კოსმოსში, ბოლო დროს, თქვენც გადადგით დიდი ნაბიჯები.

— ვასაკვირა რთდია, ამერიკა მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანაა და მას შეუძლია კოსმოსის ათვისებაზე დახარჯოს დიდძალი სახსრები. არც თქვენ გიჯდებათ კოსმოსის კვლევა იაფი.

— ბევრი პრობლემა მთელ კაცობრიობას აღუღვებს.

— დიახ, დიახ!.. ეს პრობლემები მწვავედ დგას მთელი ჩვენი ცივილიზაციის წინაშე და გადაწყვეტას მოითხოვს.

— რატომ არ უნდა შეგვეძლოს მათი გადაჭრისათვის ღონისძიების გაერთიანება, თუ გნებავთ, ჩვენ ორ ქვეყანას? ჩვენ მსოფლიოში ყველაზე მეტი საშუალებები გავაჩინია ამისათვის

და ვხარჯავთ კიდევ, თვითეული ჩვენი ქვეყანა — ცალ-ცალკე.

— პირადად თქვენ მიგაჩნიათ, რატომ უნდა ნაშაული მხოლოდ ამერიკას მიუძღვის?

— არ ხერხდება მოვსაბოთ ჩიხი, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე მომწიფებელი, დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. ამით ხომ მთელი კაცობრიობა მოიგებს... რატომ არ შეიძლება, უკვე ამჟამად, დედამიწის ერთი მთაერობა ჰყავდეს?

პროფესორს ეღიბება.

— დაუჭირებელია, ხომ?

— რატომ?

— ტყბილ ოჯახშიც კი არ არის ყველაფერზე თანხმობა, მაგრამ ეს არ უშლის ხელს აღამიანებს, იცხოვრონ ერთ მშვიდობიან ოჯახად, ერთ პერქვეშ.

— დიახ, დედამიწაზე ყველასათვის არის მისწილი ადგილი.

პროფესორი ჩუმდება და მე მაგონდება ერთი ჩემი შეხვედრა ჩიკაგოელ ბიზნესმენთან. ბიზნესმენს ვკითხვ:

— რა არის თქვენი ცხოვრების იდეალი, თქვენი მიზანი?

— ბიზნესი, — დაუფიქრებლად მიბასუხა მან.

— ე. ი. ფულის კეთება?

— დიახ, რასაკვირველია!

— ზოგჯერ ფული არის, მაგრამ ბედნიერება არ არის.

— ყველაზე დიდი უბედურება, ჩემი აზრით, უფულობაა. როცა ჩემი საქმეები კარგად არ მიდის და ფული მაკლდება, არაფერზე არ მინდა ფიქრი, ყველაფრის ხალისს ვკარგავ.

— ფულის გარდა ქვეყნად არის ბევრი სხვა რამ.

— და მაინც ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული.

— ჩემთვის და ბევრისათვის ჩემ ქვეყანაში ფული არ არის ყველაფერი.

— თქვენ კომუნისმს აშენებთ, ხომ?

— მერე?

— რა არის კომუნისმი?

— ბევრი რამ.

— მე უბრალოდ გეტყვით — ეს არის კარგი ცხოვრება აღამიანებისათვის. ხომ ასეა?

— მერე?

— პოლა, ბიზნესი სხვა არაფერია, თუ არა კარგი ცხოვრება ჩემთვის, — ხმაშალა გაციანა ბიზნესმენმა და თავისი აზრი დააბოლოვა: — თვითეულს თუ ექნება კარგი ბიზნესი, თვითეული კარგად იცხოვრებს. ესეც შენი კომუნისმი, ან რაც გინდა დაარქვი.

მე გამეცინა.

— ეს ასეა, — თქვა მან ჯიუტად. — მე არც ფილოსოფოსი ვარ და არც პოლიტიკოსი, ცხოვრება კი ვიცი, როგორც ის სინამდვილეში არის...

გზა სასაფლაოსაკენ თვითეულისათვის ძალიან

შორია, სასაფლაოდან კი აღარ არის გზა. ბედნიერია ის, ვინც ამ შორეულ გზას გაივლის და დასასრულთან მივა მართალი თავის თავის წინაშე; ვალმობილი და გულდამშვიდებული, რომ რასაც აკეთებდა, მხოლოდ სიკეთის სახელით, მხოლოდ სილამაზის სახელით და მხოლოდ აღმიაწინისათვის.

...დაიბადა, იზრდებოდა ფუფუნებაში... იყო ჭარისკაცი, იყო ჟურნალისტი, იყო სენატორი და იყო პრეზიდენტი... რომ ბოლოს მაინც აქ მოსულიყო?

უფიქრია თუ არა ამაზე კენედის? ან უნდა უფიქრდებოდეს თუ არა ამას ყოველი ადამიანი? როცა ამ გარდუვალ გზას გაითვალისწინებ, უფრო კარგი ვახდები; როცა ამ გარდუვალ ჰუმანიტარულ ჩაუფიქრებში, კეთილი საქმის სამსახურში ჩადებები.

გარდაცვლილ უსურვებენ: მსუბუქი იყოს შენთვის სამარეო. თუ სიცოცხლეში ცხოვრებას მაჯალაჯუნასავით აწევი, სამარე როგორღა იქნება შენთვის მსუბუქი? თუ სიცოცხლეში ვერ მოიგე ადამიანების გული, ხალხი გარდაცვლილს როგორღა დაგლოცავს? თუ შენი ყოფნით დე-

დაიშინა ემძიმებოდი, სამარე როგორღა იქნება შენთვის მსუბუქი?

ერთხელ ღრმა მოხუცებულს ვკითხე, რატომ გიცხოვრია და ასე ჰარმავად კი გამოიყურები, ალბათ, კარგი ცხოვრება გქონდა-მეთქი. არაო, მიბასუხა მოხუცმა, მძიმე ცხოვრება მქონდა, მაგრამ ცხოვრებას მე თვითონ ვილამაზებდი. ალბათ, კარგი პატრონი გყავდა-მეთქი. არაო, ყოველი კაცი თვითონ არის თავისი ცხოვრების პატრონიო.

კარგი ცოლ-შვილი გყავდა-მეთქი. არაო, ცოლ-შვილი შენი სარკვეო.

კარგი მეგობრები გეყოლებოდა-მეთქი. როგორც მეგობრები, ისე გემეგობრებიანო...

...ლტულბუბმა ბირი შეკრეს და წვრილი წვიმა წამოვიდა. მალე წვიმამ გაბანა საფლავის ბაღახი, ჯვარი, ფემქვანარი ყვავილების თაიგული და დაბალი, ფიტრული ღობე. მიწა მოსველდა, დარბილდა.

რომ გამოვიდოდით, ნაფხურები აჩნდებოდა სასაფლაოს ბილიცს.

წვიმაში დარჩა უდაბური, უკაცრიელი სასაფლაო და ჯონ კენედის საფლავი.

პანსეაჲ პარი სტივენსონი

— ჰელოო, მისტერ გიორგი?.. საქართველოდან?

— მე ვარ, სერ.

— რა ქარმა გადმოგავდოთ, სერ!?

— მეორე კვირაა ამერიკაში ვარ.

— ოოო, სერ, და ასე გვიან გავახსენდით? მაწყენინეთ, სერ.

— ჩვენ შევრიგდებით.

— რომელ სასტუმროში გაჩერდით?

— მეშვიდე ავენიუსა და ოცდამეათერთმეტ სტრიტის კუთხეში.

— შინიდან ხომ არ გაიხიართ?

— ვისვენებთ, სერ.

— მამ, მოვდივარ, ამ წუთას მოვდივარ, — გაისმა ყურმილში პარი სტივენსონის უკანასკნელი ფრაზა, რომელიც მან აჩქარებულად წარმოთქვა.

ათორღე წუთიც არ გასულა, სტივენსონი ჩემ ნომერში იყო.

— ჰელოო, მისტერ გიორგი! — შემომამხა მან და გადამხვია.

მეც მეგობრულად გადავეხვიე. კაცი კაციოთ ხარობს. თუ ვერავის გაუღიძე და თუ არავინ გავიღიმა, რამ უნდა გაცოცხლოს? საშინელებაა, როცა ზღვა ხალხში ხარ და თავი უდაბნოში დაკარგული გგონია, როცა არავის ესალმები და არავინ გესალმება, როცა ადამიანები მიდიან თავის გზით და შენ მიდიხარ შენი გზით. შემოგხედავს კაცი სახეში, შიგ თვალეში, მაგრამ შენი სახე მას არაფერს ეუბნება, მისი სახე კი—

შენ. ყოველი კაცი კი შენი მოდგმისა არის, შენი სისხლი და ხორცია...

პარიმ ვარდების პატარა თაიგული მომიტანა. ნიუ-იორკში ცოცხალი ყვავილები, და შით უფრო ვარდი, ძვირად ფასობს.

პარი რომ გადამხვია, თაიგული ხელში ეჭირა და მე ვიგრძენი ვარდების საამო სუნი.

პარი არ გამოცვლილიყო, — ისევე ისეთი ახალგაზრდული იერი, ენერგიული და თავდაჯერებული მოძრაობა, მშვიდი გამოხედვა...

მან ოთახს თვალი მოავლო. საწოლთან პატარა ტუმბზე მუცელგამობერილი თიხის ვაზა იდგა. თაიგული ვაზაში ჩადო. ვარდებმა ერთბაშად გააცოცხლა და გაამხიარულა ნომერი.

— რატომ წუხდებოდით, სერ? — ეუთხარა პარის და სავარძლები მივაჩოჩე დაბალ მაგიდასთან.

— ქართველ კაცს ყვავილებით ვერ გააკვირვებ, — თქვა პარიმ და გაიღიმა.

— დაბრძანდით, — ვთხოვე სტუმარს და სავარძელი უფრო მოხერხებულად დავდგი.

პარი სავარძელში ჩაეშვა.

— სასიამოვნო მოგონებად დამრჩა მშვენიერი ბლი თქვენი უძველეს დედაქალაქში. მამე... მამუ... ეველი მომიგონია იმ სათნო მოხუცის გვარი.

გიმი ვარდოსანიძე
ბონჯი მხატიუნახაძე

— მამულაშვილი.

— მამულაშვილი... მამულაშვილი... ხომ ცოცხალია?

— ყვევილები სიცოცხლეს უხანგრძლივებენ. — კეთილშობილური საქმის სამსახური სიყვდილის დიდი მტერია.

ჭიქები კონიაკით შევავსე.

— მიირთვით, სერ!

ჰარიმ კონიაკის ბოთლი აიღო, იარლიყს დააქქა.

— ოოო... „ვარციხე“, ამის გემო მახსოვს!

ახლა მომავონდა, რომ ჰარი კონიაკის კოლექციას აგროვებდა და საქართველოდან სხვადასხვა მარკის რამდენიმე ბოთლი კონიაკი გამოვატანო, მაგრამ მათ შორის „ვარციხე“ იყო თუ არა, აღარ მახსოვს.

— ჩემ კოლექციაში არის ერთი ბოთლი „ვარციხე“, — თქვა ჰარიმ.

მან ჭიქა აიღო და კონიაკი მოსვა.

ჩემი ჭიქა ერთი ყლუპით ბოლომდე დავცალე. ჰარის ისევ სასვე ჭიქა ეჭირა ხელში. მან მცირე ყლუპ კონიაკს შოკოლადის ნატეხი მიავიწყო.

— საქართველო არასოდეს დამავიწყდება, — თქვა ჰარიმ.

— რაც უკან დარჩა, ტკბილად მოსაგონარია.

— არა, სერ, წარსულთან მხოლოდ კარგი მოგონებები როდი გვაკავშირებს. თქვენს ქვეყანაში უცხოელს ხიბლავს მშვენიერი ბუნება, და, რაც მთავარია, — ლამაზი, მხნე, მხიარული ადამიანები. საქართველოში მე არ შემხვედრია მხნეჯი ან პირქუში სახე. ქართველი კაცი შეიძლება იყოს ალტაცებული ან აღშფოთებული, მაგრამ სახე რომ ჩამოსტიროდეს — არა.

ჰარიმ კვლავ მოსვა კონიაკი და განაგრძო:

— ამერიკაში, ევროპაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე არიან ადამიანები, არაფერი რომ არ აინტერესებთ, არაფერი არ აღვლევებთ, არაფერი არ ახარებთ. მათ სახეზე ვერაფერს წაიგებთ. ისინი არ იციან და არასოდეს არაფრით არ არიან აღშფოთებული. არაფრის მოსმენა არ სურთ და არაფრის დანახვა არ უნდათ.

— ბუერში ასეთს ბევრს შეხვდებით.

— ბუერი სხვა საქმეა. იქ თქვენ ნახათ გიყვებს, შეშლილებს, ნარკომანებს და ალკოჰოლიკებს. ბუერში თავს იტრიან უბედურნი და დავრდომილნი, დამარცხებულნი და გარიყულნი, აღარავის რომ აღარ ახსოვთ, აღარავის ედარდებთ. მათთვის ცოლი არ არის და შვილი. სახლი არა აქვთ და კარი. ლამეს ითევენ დამის სათევებში. სამადლა უფასოდ აჰმევენ... მათ ცოცხლებში არაფერს აქვთ.

— თქვენი თანამემამულეებისაგან გამიგონია, წამიკითხავს კიდევ, — ამერიკა იღვების შიმშილს განიცდისო.

— ჩვენდა სამწუხაროდ, სერ, ეს, ალბათ, ასეა.

— სულიერი დამბლა სიყვდილს უდრის.

— ჩვენში ბევრი მაძარბა, მაგრამ სულით

მდიდარი — ძალიან ცოტაა. მაგრამ განა მხოლოდ ჩვენში?

ჰარიმ დარჩენილი კონიაკი გადაჭრის და მიავიწყო შოკოლადის ნატეხი, ჭიქაში შევსა და ფრთხილად დადო და წამიერი ჩაფიქრების შემდეგ განაგრძო:

— ეს რომ მხოლოდ ჩვენი უბედურება იყოს, კაცობრიობა ადვილად აიტანდა. ადამიანის სული ჩვენს დრომდე უკვე დაბერდა, მან ყველაფერი ნახა, ყველაფერი შეიგრძნო, ყველაფერი განიცადა... დასაბამიდან იცვლება მხოლოდ ცხოვრების ჩარჩო, შინაარსი კი უცვლელი რჩება.

— მე კი გგონია, რომ კაცობრიობა ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, აკვანში წევს. ადამიანის გონების ძალა, სულის სიღამაზე მხოლოდ იწყებს გაფურჩქვნას. რა იყო ადამიანი, ვთქვათ, 600-700 ათასი წლის წინათ? პირუტყვი, ცხოველი და განა რას ნიშნავს 600 ათასი წელი დროთა უსასრულობისათვის? სრულიად არაფერს. განა რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ადამიანს ხელში ქვის იარაღი ეჭირა? მხოლოდ გუშინ იყო, რომ ჩვენ არ ვიცოდით რა იყო ელექტრონი; არ გვეჩონდა რადიო, ტელეფონი, არ გვეჩონდა ტელევიზორი; არ იყო მატარებელი, ავტომობილი, თვითმფრინავი... ახლა კი კოსმოსში მივფრინავთ... ახლა ადამიანს შეუძლია დაამზადოს მთაროვნე მანქანა, გადანერგოს გული... და რა იქნება ხვალ, რა იქნება ზევ?! რა იქნება ათასი, ათათასი წლის შემდეგ?!

ჰარი ცნობისმოყვარედ მიქერდა სახეში და იღიმებოდა.

ბოთლი ავიღე, რომ ჭიქები შემევსო. ჰარიმ თავის ჭიქას ხელისგული დააფარა.

— ერთიც დავლიოთ.

— არა, — თქვა ჰარიმ ჭიუტად.

— მხოლოდ ერთი ჭიქა.

— ოო, რა ხალხი ხართ ეს ქართველები, — გაიცინა ჰარიმ, — კაცი თუ არ დაათვრეთ, არ გგონიათ, რომ პატივი ეცით.

მან ჭიქიდან ხელი აიღო და გამოიწყო: დამისხიო.

ჭიქებში შევავსე. ვერ მოვზომე, — ჰარის ჭიქა მოპიპინდა და გადმოიღვარა.

— მამატიო, სერ! გწყურებიათ, უარს კი ამბობდით.

ჰარიმ ფრთხილად წაიღო ჭიქა პირისაკენ და კონიაკი მოსვა.

— თქვენი წესი დეარდვიე, — უნებართვოდ ესვათ.

— არა უშავს, სერ, თქვენ პირველი არ ხართ, ჩვენი სტუმრები ჯერ ყოველთვის თავპატივს იღებენ, მერე კი უნებართვოდ სვამენ, აღარავის ეკითხებიან.

— თქვენ მიერ დახატულ მომავალს გაუმარჯოს, — თქვა ჰარიმ და ჭიქა დაეცა. — მაგრამ მე მაინც სხვა აზრისა ვარ, — დაუმატა მან მცი-

რე ხნის შემდეგ. — კაცობრიობა სულიერად დაიღალა, დაუძლურდა, გამიფიტა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციები სრულიად არ უწყობს ხელს ადამიანის სულის განახლებას, სულის გამშვენიერებას. პირიქით: რაც უფრო მეტი იცის ადამიანი, რაც უფრო მეტი ძალას ფლობს იგი, მით უფრო საშიში, მით უფრო დაუზოგავი და შეუბრალებელია. დიდი ცოდნა, დიდი ძალა დიდ სურვილს ბადებს, დიდი სურვილი კი დიდ მსხვერპლს მოითხოვს. ჩვენს ცივილიზებულ მსოფლიოში ადამიანის ყველაზე დიდი მტერია ადამიანი. და არ არის იმის არავინი გარანტია, რომ კაცობრიობის პროგრესის კვალობაზე კიდევ უფრო არ გაიზარდება წინააღმდეგობა ადამიანებს შორის, და კიდევ უფრო არ დაკნინდება ადამიანის სული. დღეს დედამიწაზე ბევრს შეშურდება ამერიკელის აქტიური საქმიანობა, მისი მოქნილობა, გონებაშახვილობა და გამომგონებლობა, გონივრული რისკი, როცა საქმე ბიზნესს ეხება. ამერიკელმა ისწავლა ცხოვრება, ფულის შოვნა, გამდიდრება, ამერიკა მეცნიერების, ტექნიკის, მანქანების ქვეყანაა. მაგრამ ამით უფრო კარგი არ გამხდარა ამერიკელი, პირიქით: იგი უფრო გაცივდა სულიერად, ზნეობრივად, მორალურად. ჩვენ ყველაფერი ვისწავლეთ, ყველაფერს დავუფლებეთ, მაგრამ ადამიანის სულის განახლება, ადამიანის სულის აღჭურვა მშვენიერებით, დღემდე რჩება ჩვენთვის მიუღწევად ხელოვნებად.

ჰარი გაჩუმდა. მეც ვლუმდი. რაღაც მძიმედ დამაწვა გულზე...

ჰარი იყო ჭერ კიდევ ახალგაზრდა ცაცი, ჯანმრთელი, განათლებული, სულში კი ჭია შეპარვოდა. მე შემგებრალა იგი, თუშეკა ჩემი გრძნობა მისთვის რომ გამეგმხილა, თავს შეურაცხყოფილად იგრძნობდა.

გუტქერილი ჰარის და გავიფიქრე: «ხვალინდელი დღის იმედი რომ დეკარტო, კაცობრიობის მომავალში რომ დავუქვედ, ყოველ ადამიანში მხოლოდ ჩემი მტერი თუ დავინახე, — რაღამ მეცოცხლოს?»

ჰარი კი იჭდა მშვიდად, უშფოთველად, შერიგებული თავის ფიქრებს და, ალბათ, კმაყოფილი თავის ბედით, ნასიამოვნები ჩემთან შეხვედრით და დამძიმებული ყოველდღიური საზრუნავით...

ჰარიმ უხერხული დუმილი იგრძნო და წამოგდა.

—მისტერ გიორგი, ვახშმად ჩემი სტუმარი იქნებით, თქვენებური ყანწით უნდა დავლიოთ...

ჰარის წინანდალში წყვილი ყანწი აჩუქეს. ყანწში ორი ჩაის ჭიქა ჩავიდოდა. ორივე შეუესეს და დალევიანეს. სახე ერთბაშად წამოუფაცვლდა. სუფრაზე საიდანდაც ჯიხვის რქის ყანწით გაჩნდა. მერიქითემ ყანწში ორი ზოთლი ჩაცალა და სასმისი თამადას მიართვა. თამადამ ყანწი მშვიდად ჩამოართვა და ორივე ხელით დაიპირა.

რე. სტუმარი აღდგებოდა. გადაჭარბებული არაფერი უთქვამს, კეთილი იყოს შენი სტუმრობაო. ჭართულ მიწას მოყვარეც ვინმე უნდა ხავს და მტერიცაო; თავი ორივესთვის დაუმახსოვრებიაო; ცეცხლით მოსულს ცეცხლით დახვედრია, მეგობარს ფინანსად გაგებია; თუ ბურო უთხოვიათ, ლუკმა გაუყვია; თუ წყალი უთხოვიათ, ღვინო მიუთრთმევიაო...

თამადას ხმა ტანის შესაფერი ჰქონდა, — მძიმე, მაღალი და ბობლინა. აუჩქარებლად და მშვიდად ლაპარაკობდა. სმას შეუდგა დინჯად, გამოზონილად. ნახევარი რომ ექნებოდა შესმული, შეისვენა. ტუჩებიდან ღვინოს შეყოლილი წიწწები მოიშროა.

პირტიტველა ყმაწვილმა შამფურით ავიშხინებული მწვადი მიართვა. თამადამ წვეროდან ააძრო შამფურს მწვადი და კბილით გააჩქანა. ისევ შეუდგა სმას. ყანწი პირთან მთლად რომ ააპირქვავა, სუფრაზე ყოინა და ტაში გაისმა.

ჰარიმ თამადას ყანწი ჩამოართვა და შიგ ჩაიხედა, მერე დააპირქვავა. ყანწიდან წვეთიც არ ჩამოვარდნილა. ასე მტერი დაგეცალოსო, — თქვა მოგვიანებით თამადამ.

ჰარის მერიქითე დაადგა სველი ღოქით, — ალავერდი თქვენთან არისო. ჰარიმ შეშინებული თვლებით ახედა მერიქითეს და ყანწი სასწრაფოდ შეაჩჩა ხელში. დალიე, დედის რძესავით შეგერგებაო, — დაიძახა თამადამ. ჰარიმ ხელები გასავსავა. ვილაკამ თქვა: სტუმარს ღვინოს ნუ დააძალბებთო, და ჯიხვის ყანწმა სხვასთან გადაინაცვლა.

თამადას ქალიშვილმა, შავთვალწარბა გოგონამ, ჰარის ჩურჩხლები და ტკბილი კვერი მიართვა. ჰარიმ ჩურჩხლა ინტერესით შეათვალიერა, — ასეთი რამ მას ჭერ არ ენახა, არ იცოდა რა იყო და როგორ მოქცეოდა; ჩურჩხლა უხერხულად ეჭირა ხელში. თამადას ქალიშვილმა ჩამოართვა, შუაზე გადატეხა, ნახევარი ჰარის დაუბრუნა, მეორე ნახევარი პირთან მიიტანა და ჩაქიჩა. ჰარიმ ქალიშვილს მიბაძა. ეტყობა, ჩურჩხლა ესიამოვნა, ქალიშვილს გაუღიმა და მოწონების ნიშნად თავი დაუქნია.

სუფრისათვის მრავალყამიერი წამოიწყეს.

მრგვალად მოხარშულ, ჩაყვითლებულ დედლებს ბარკლები ჭერისათვის მიეშვიართ. ძროხის ხაშლამას ოხშივარი ასდიოდა.

თამადამ ტაბაკად შემწვარ წიწილას ბარკალა აახია.

შემწვარი გოჭისათვის პირი არავის დაუტარებია.

პირტიტველა ყმაწვილმა დიდი სინით უშობლის ბეჭი შემოიტანა და მიავდის შუაგულში დაღო.

ვიზი ვარდოსანიძე
გონჯი მჭათუნასხვი

ვილცამ ბუქს თხელი ნაჭერი აათალა და ჰარის მიართვა. რამდენი შეიძლება ჰამოს და სვას აღამინამა! ჰარი პირველად ხედავდა მაგიდაზე ასე უანგარისოდ დაყრილ ხორავს. სუფრას ოცოლე კაცი უჯდა, სანოვაგე კი იმდენი იყო, ას კაცს მოისტუმრებდა...

წასვლის წინ ჩურჩხელები და ტბილიკვერი გაუხვიეს და თან გაატანეს...

ჰარიმ შვიდ საათზე მომაკითხა. სასტუმროს ჰოლში ველოდი. ნომერში საქმე არაფერი მქონდა და დბზლა ჩამოვედი დათქმულ დროზე ბევრად ადრე.

ჩემს პირდაპირ სავარძელში ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ზის. ფეხი ფეხზე გადაუდვია. იმდენად მოკლე კაბა აცვია, რომ ბარძაყები ქვედა საცვლამდე მოუჩანს. ყურადღებას არავის აქცევს. მას აქვს სწორად ჩამოვარცხნილი, მხრებზე დაყრილი ქერა თმები და თხელი, ნაზი მკლავები. პაპიროსს ეწევა. არ ემჩნევა, რომ ვინმეს ელოდება ან სადმე ეჩქარება.

ვინ არის? საიდან ჩამოვიდა? სად მიდის? არა მგონია შეენიშნოს, რომ ეუთვალთვალებ. პოზა არ შეუცვლია, ჩემდამი არავითარი დანეტრეხება არ გამოუჩენია.

ჩვენ მხოლოდ ათიოლე ნაბიჯი გვაშორებს. ის ისეთივეა, როგორც ბევრი სხვა. ასეთივე მოკლე კაბები იცვამენ ახლა ჩემ ქვეყანაშიც. ბევრი ქალი ეწევა პაპიროსს. ბევრს აქვს ასევე მხრებზე ჩამოშლილი, სწორი, ქერა თმები და თხელი, ნაზი მკლავები. მაგრამ იგი მაინც უცხოა ჩემთვის, არ შემიძლია მივიღე მასთან და ვკითხო — იქნება რა აწუხებს, გულში რა დარდი უტრიალებს? ეგებ დახმარება სჭირდება? აღამინა მართო არის თავის ფიქრთან, თავის დარდთან, მოლოდინთან... ის ადგება და წევა, ან მე გავალ უფრო ადრე პოლიდან და ჩვენ ველარასოდეს შეგხვდებით ერთმანეთს...

ჰარი ჰოლში შემოვიდა. მან ვერ შენიშნა. წამოვდექი და შესახვედრად გავეშურე.

— ჰელო, მისტერ გიორგი! — შემომძახა ჰარიმ და ჩემკენ წამოვიდა. მან წინ გამოუშვა ახალგაზრდა ქალი, რომელიც ჰოლში შემოჰყვა.

— გაიცანით, ჩემი კოლეგაა.

— ლინდა ფორდი, — თქვა ქალიშვილმა და ხელი გამოიწყო.

— კიდევ ხომ არავის ელით? — მკითხა ჰარიმ.

— არავის.

— თუ არ გამოიჯარდება, უნდა გავამქლავნო, — თქვა ჰარიმ და ქალიშვილზე მანიშნა, — ლინდას ძალიან აინტერესებდა თქვენი გაცნობა.

— სასიამოვნოა.

— მისტერ ჰარის კი არ უნდა და წამოვეყვანე.

— დანაშაულს ჩაიდენდა... ავიღეთ ნომერში.

— არა, დრო აღარ არის, მერი გველოდება, —

თქვა ჰარიმ და აჩქარდა.

— ხუთი წუთით ავსულიყავით.

— ავიღეთ, — თქვა ლინდამ.

— ავიღეთ, — გავიმეორე თხოვნა.

— არა, არა, წავედით, — მტკიცედ თქვა ჰარიმ. მან მკლავზე მომკიდა ხელი და მისი ხელი ლისკენ გავემართეთ.

უნებურად იმ ახალგაზრდა ქალისკენ გავიხედე, მართო რომ იჯდა. იგი ჩვენკენ იტყობოდა. ჩვენი თვალები მხოლოდ წამით შეხვდნენ ერთმანეთს.

ჰარის მანქანა დაეყენებინა სასტუმროს კუთხეში, მეშვიდე ავენიუზე. საქვს ლინდა მიუჯდა, ჩვენ უკან დავსხედით.

ლინდა ავტომობილს მარჯვედ მართავდა, მაგრამ ჯობდა ფეხით წავსულიყავით, — ნიუ-იორკში პიკის საათი დაიწყო და ჩვენი მანქანა კუს ნაბიჯით მიიწედა წინ.

ქუჩაზე ჩანდა მხოლოდ ავტომობილების ფერადი სახურავები — ქუჩის ფერად-ფერადი ფიანდაზი, რომელიც ირხეოდა, ტორტმანობდა და ტალღასავით წინ მიიწედა...

ქუჩის გადასასვლელებთან ბევრი ხალხი იდგა. ბინდებოდა. შუქრეკლამები მთელი ძალით იპყრობდა ქუჩას...

სპორტული მაღაზია ვიცანი და გამეხარდა. გულში აქ ჩემ ბიჭს „კეტები“ ვუყვიდე...

რომოდამეშვიდე ქუჩაზე გავედით. ერთ-ერთ ცათამბჯენთან ჩვენი მანქანა ჩამორჩა მანქანების ქარავანს და გაჩერდა.

ლინდამ მოხერხებულად ჩააყენა მანქანა ფილანის გასწვრივ სადგომზე, მანქანებს შორის. ქუჩის ორივე მხარეს თვალის მიწვდენამდე მიჯრით იდგნენ ავტომობილები. ნიუ-იორკში ასიათასობით ავტომობილი დამეს ითევს ღია ცისქვეშ...

საცხოვრებელი ცათამბჯენის პირველ სართულში მზა ტანსაცმლის მდიდრული მაღაზია იყო მოთავსებული. გვერდით რომ ჩაეუარეთ, უნებურად ვიტრინებს დაეუწყებთ თვალიერება.

— შევიდეთ, — თქვა ლინდამ.

შევედით.

ღმერთმანი, არაფრის ყიდვა არ მინდოდა, ჩემი ჯიბის პატრონს, არაფრის ყიდვის თავი არა მაქვს. მაგრამ გამყიდველები თვალეზში შემოგვეცქერიან.

— რას ინებებთ? — კითხულობს მათ შორის უხნესი ქალი და ვარდივით იბღრება.

— წინდები მინდოდა, უზომო წინდები, — ვამბობ გაუბედავად და ერთბაშად აზრად მომდის, რომ ჯობს ყველაფერი ეს ხუმრობაში ჩავატარო.

— ოციო, მე თეთრი წინდები მინდოდა... ბეზიაჩემისათვის...

ლინდას თვალები უციმციმებს. გამყიდველი იღიმება. დინჯად მიდის თარობთან, ყუთებზე იარლიყებს კითხულობს; ყუთებს ხსნის, ისევ ხურავს და თავის ადგილზე დებს... იპოვა. სახეზე კმაყოფილების იგრმა ვადაურბინა. უუთო

ცხვირწინ დაგვიდო დახლზე და სერიოზულად თქვა:

— ბებიათქვენს რომ გამოადგება, ისეთი წინდებიო.

მერინოსის თეთრ, ღრღულა წინდებს ხელით ვისწავ. გრძელია, ადამიანს მუხლამდე მოწვდება.

— რომ მინდოდა, ისეთი წინდებია, — ვამბობ და გულში თავს დავცინი.

ლინდა სცილი ვედარ იკვებს. ჰარიმ ზურგი შეგვექცია და რალაცას აფვლიერებს.

— მისისს ბებიას ზამთარში ფეხები თბილად ექნება, — ამბობს დამაჯერებლად და მზრუნველობით გამყიდველი, წინდებს ქალაღში ახვევს, პრილა პარკში დებს და ღიმილით მაწვდის.

— ფსი? — ვეკითხები გამყიდველს.

— შვიდი დოლარი.

შვიდი დოლარი. ამ ფასად გაზის სანთიას წავულებდი ძმას...

ღიმილით გვაცილებს გამყიდველი. ღიმილით გამოვდივარ მალაზიიდან...

ლიფტში ქალი და კაცი შემოგვიერთდა. ქალს ხელში სანოვადის ჩანთა უჭირავს, მამაკაცს — ცალ ხელში დიდი შავი ჩანთა. მეორეში — სახაზავი ქალაღების გრძელი გრაგნილი. ჩვენთვის არავითარი ყურადღება არ მოუქცევიათ. არც ერთმანეთს დალაპარაკებიათ. მეთოთხმეტე სართულზე გავჩერდით. ისინი ლიფტში დავტოვეთ...

კარი მერიმ გაგვიდო. ჰარის მეუღლე რატომღაც წარმოტყვენილი მყავდა მაღალი, გამხდარი, ცისფერთვალეზიანი... მერის სიგამხდრე არ ეთქმის, საშუალოზე დაბალია და შავი თვალები აქვს.

დერეფანში ხმაურით გამოცვივდნენ ბავშვები, ვგოგო პირწავარდნილი დედამისია, — შავგერემანი და შავთვალეზიანი, მრგვალი სახით და ფუნჩულა ლოყებით. ბიჭს დედის იერიც აქვს და მამისაც, იგი უფრო მამას ჰგავს, ცხვირით, ტუჩებით, ნიკაბით.

ბავშვებს დერეფანში გამოჰყვია ზანგის ქალი, ხანში შესული, ფაშფაშა დედაცაი. მან ბავშვები უკან შეშალა ოთახში, მაგრამ ვგოგო მაინც დაუსხლტა ხელიდან და ლინდასაკენ გაექანა. ლინდამ ბავშვი ხელში აიტაცა.

— სანდი, დეიდას ნუ შეაწუხებ! — უბრძანა მერიმ.

— იყოს ჩემთან — თქვა ლინდამ და ბავშვი მკერდზე მიიხუტა. სანდომ კისერზე მოხვია ხელები ლინდას.

— ო, მისტერ გიორგი, რომ იცოდეთ, როგორ გაგახარეთ, — თქვა მერიმ.

— დარწმუნებული ვარ, მისის.

— ჰარი ყოველთვის სიამოვნებით იგონებს თქვენ ქვეყანას.

— მე მახარებს ამის მოსმენა.

— არ მეგონა, მისტერ გიორგის ოდესმე ვეღვე თუ შეგხვდებოდი, — თქვა ჰარიმ.

— ნათქვამია: მთა მთას არ შეხვდება, ყურადღებამ კაცი კაცს შეხვდებოდა...

ჰარიმ შლაბა დაადგო ტახტზე, რომელიც დერეფნის კუთხეში იყო მიდგმული. კედლები შეგათვლიერე. ჩამოსაკიდი არ იყო. შლაბა მეც ტახტზე დავავადე.

ღრიჟოდ დარჩენილი კარიდან კატა გამოლასლასდა, ფეხზეც გაგვექლასუნა.

ოთახიდან მარტინი გამოვარდა, კატას კულში წაავლო ხელი და ოთახისაკენ გააფხოკიალა. ცატა აჩხვლდა.

— მარტინი — წყრობით თქვა მერიმ.

მარტინი და კატა კარს უკან მიიშალნენ და კარი ჯახუნით მიიხურა.

სანდი ყელზე ჩამოაკიდებოდა და მკერდზე ეკვროდა ლინდას, რომელსაც მძივები ჩამოწყდა და იატაკზე რაკარტუით გაიზნა.

— ღმერთო ჩემო, ამ ბავშვებისაგან მოსვენება აღარ არის, — თქვა მერიმ.

ლინდას ძიძამ მოაშორა მკერდიდან სანდი და ატრბული ბავშვი გვერდით ოთახში შეიყვანა.

— არა უშავს, ნუ ტირი, გენაცვალე, — ღიმილითა და მოფერებით დაადევნა ლინდამ და მძივების ასაკრეფად დაიხარა.

— თქვენ ნუ წუხდებით, ძიძა აკრფეს, — თქვა მერიმ.

ლინდა რომ ჩაიკუზა, ფართოდ ამოკრიშმა გულსპირმა პირი დაადო და ლიფტში გამოსკვნილმა ძუძუებმა საესე მთვარესავით გამოანათო...

სასტუმრო ოთახში ჰარიმ კონიაკის ბოთლებით გამოუვდილ დიდ ვიტრინასთან მიმიყვანა.

— ჩემი კოლექცია მხოლოდ ხუთი წლისაა, მაგრამ აქ არის ოცამდე ქვეყნის ასზე მეტი მარკის კონიაკი, — ამბობს ჰარი და ვიტრინიდან ალაგებს კონიაკის ბოთლებს.

„გრემი“, — ვკითხულობ იარლიყზე.

ჰარი თვალს მიკრავს და ეშმაკურად იღიმება. ვიტრინის სიდრმიდან კიდევ გამოალაგა ბოთლები. ერთი „ქართულია“, მეორე — „ქარციხე“.

ვიტრინის ზედა თაროდან კი მე თვითონ ვიღებ წყვილ მოვერცხლილ ყანწს. ხელში ვატრიალებ და ვათვლიერებ, თითქოს ასეთი რამ პირველად მენახოს. ფრთხილად და სათუთად ვდებ თავის ადგილზე, როგორც თვალისჩინივით გასაფრთხილებელს, ძვირფას ვანძხს...

ღიად დარჩენილი კარიდან მთელ სიგრძეზე მოჩანს დერეფანი, რომლის ბოლოში, კუთხეში მიდგმული ტახტის ქვეშ ნახევარი ტანით შემცვრალა ძიძა, — მძივებს ეძებს...

— თქვენებური კონიაკი გამოირჩევა არაშეცდომით, სიკეკლუცით. — ამბობს ჰარი.

ვივი ვარდოსანიძე
გონჯი მზითუნახვი

კიდევ მქონდა ჩემოდანში ერთი ბოთლი „ქართული“, ვინანე, რომ არ გამოვიყოლე.

— არასოდეს გამისინჯავს ქართული კონიაკი, — თქვა ლინდამ.

ჰარის ვითომ არ გაუგონია.

— ქართული კონიაკი საქართველოს ბუნებასავეთ ვიზიდავს, მაგრამ რა უზომოდ სვამენ თქვენში კონიაკს! — თქვა ჰარიმ.

— დასავლეთში კონიაკს ხელისგულზე იწვევებენ და ყნოსავენო.

— დიას, სერ, კონიაკს ისევე ფრთხილად უნდა მოექცე, როგორც საყვარელ ქალს.

— უცქირო შორიდან, — ჩაუბრუნა ლინდამ და გაიცინა.

— ნებას თუ მომიცემთ, მე გამოგიგზავნიო ქართულ კონიაკს თბილისიდან.

— ოოო, მისტერი!.. — წამოძახა ლინდამ.

ჰარიმ ღივიანად შეაღწა ვიტრინაში ბოთლები და სერიოზულად თქვა:

— მისტერ გიორგის დავებირდი, რომ ვახშმად ქართული ყანწით დავლევდით.

მან ვიტრინის ზედა თარიღიდან ყანწები აიღო.

— კონიაკს? — იკითხა ლინდამ.

— საქართველოში მართლაც სვამენ სპირტიან სასმელებს ყანწით, რას ეძახიან?

— ჟიბიტაური?

— ჟიბიტაური! — გავხარდა ჰარის.

ნეტა სად დააღვინეს? წინანდალში? მცხეთაში? ფასანაურში?..

— ასეთი რქები მინახავს ისტორიულ მუზეუმებში, ინდიელების საომარ აღჭურვილობაში შედიოდა, — თქვა ლინდამ.

— ძიძა! — იძახის ჰარი.

კარებს ზანგის ქალი მოადგა.

— ვახშამი იგვიანებს? —

— სუფრა ვაშლილია, სერ.

— ამ წუთში, — მოისმის მერის ხმა სასაღილო ოთახიდან. — ცოტაც მოითმინეთ.

— დაბრძანდით, სერ! — მთხოვა ჰარი და რბილ ტახტზე ჩემ გვერდით ჯდება.

ლინდამ ტელევიზორი ჩართო. ნახატებიან ფილმს უჩვენებენ, დედაკურდღელს ბაჭები გამოუყვანია ტყეში სასივრთოდ, სეუპ, სეუპ, — დაბტანი დედის ირგვლივ ბაჭები და მალაყს გადადიან. ხის ტოტზე ციყვი ჩამომჯდარა, ბაჭებს ცნობისმოყვარედ დასცქერის და ტუჩებს მოუსვენრად აცმაცუნებს..

ლინდა ოთახიდან გადის და მალე უკან ბრუნდება ხელში ატატებული გოგონათი. მათ ბიჭიც მოსდევს. ლინდა ჩვენ წინ ჯდება სავარძელში და სანდის კალთაში ისვამს. მარტინი ოთახის კუთხიდან მოაჩოჩებს სავარძელს, შიგ ჯდება და დიდი ადამიანით, მკლავებს სავარძლის სახელურებზე ალაგებს.

— ხომ არ ვიშლით? — გვეკითხება ლინდა და თავს ჩვენკენ აბრუნებს.

— არა, იჭკობ, — ამბობს ჰარი.

ლინდა მაინც აჩოჩებს მარჯვნივ თავის სა-

ვარძელს. მე ვხედავ მის კეფას და პატარა ვარდისფერ ყურს.

ჩემი ბავშვებიც ვერ მოგვიშორებდნენ ტელევიზორს...

ფანჯრის მიღმა მოჩანს ცაბამბჯენების სილუეტები. ნიუ-იორკი მძიმედ ირწევდა რეკლამების ზღვაშუქზე.

ფანჯრის ჩარჩოში ჩამაგრებული კონდიციური პაურის აპარატი ოთახს ავრილებს.

სანდი ახლა მამას უჯდება კალთაში. ჰარი რადიკას ეჩურჩულება და ლოყაზე ჰკოცნის. გოგონა მამას ყელზე ეხვევა..

ტელევიზორში ბაჭები ყირაზე გადადიან. ყველა სახლი რომ კარს ფართოდ უღებდეს ადამიანს?! სტუმარს დღეამიწაზე ყველა სახლში უნდა მიესვლებოდეს..

ლინდა თავის სავარძელს უკან აჩოჩებს, ოდნავ ირიბად დგამს, ჩემკენ იხრება და მეუბნება:

— მისტერ გიორგი, ჩემი ოცნებაა, საბჭოთა კავშირში ჩამოვიდე.

— ჩვენში ახლა ბევრი უცხოელი მოგზაურობს.

— რუსეთს მხოლოდ წიგნებით ვიცნობ. მისტერ ჰარი ბედნიერია, რომ თქვენი ქვეყანა საკუთარი თვლით ნახა.

— თქვენ ლიტერატორი ხართ, ხომ?

— პოეფისით და სულით, — ლინდას ნაცვლად სიცილით მიბასუხებს ჰარი.

— რუსი კლასიკოსებიდან ვის ანიჭებთ უპირატესობას?

— ჩემი საყვარელი მწერალია ტოლსტოი, — ამბობს ლინდა და პაუზის შემდეგ უმატებს:

— საბჭოთა კავშირში რომ ჩამოვალ, ტოლსტოის სახელთან დაკავშირებულ ადგილებს მოვინახულებ.

— თანამედროვე საბჭოთა ავტორებისაგან ვის იცნობთ?

—მე აქ მოვეუსმინე ევგენი ევტუშენკოს. წამიკითხავს ვოზნესენსკის ლექსები. მათ ჩვენს ახალგაზრდაში ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს.

— თქვენ კი რა აზრის ხართ?

— მე?.. როგორ ვითხრათ..

— ლინდა ჩვენი ტრადიციონისტია, — თქვა ჰარიმ.

— კონსერვატორი, მისტერ ჰარი, — მიუგო ლინდამ.

— ჩვენში ბოლო ხანებში ამერიკელი მწერლების ბევრი ნაწარმოები ითარგმნა, — ვთქვი მე.

— ვინ არის უფრო პოპულარული? — იკითხა ლინდამ.

— გატაცებით კითხულობენ მარკ ტვენს, დრაიზერს, უიტმენს... დიდი ტირაჟებით გამოდის ჰემინგუეის, ფოლკნერის, სტეინბეკის წიგნები. ამერიკელი მწერლობის ნიმუშები ქართულადაც არის თარგმნილი.

— დიას, ამის შესახებ მამამებს თბილისში, —

თქვა ჰარიმ. — სამწუხაროდ, მე დრო არ მქონდა დაწვრილებით გავცნობდი საქართველოში ამერიკული მწერლობის ნიმუშების თარგმნის საქმეს. ეს არც იყო ჩემი სფერო, მე მხოლოდ ტექნიკური ლიტერატურის გამოცემის დარგში ვმუშაობ.

— მწერლობა საუკეთესო საშუალებაა ხალხების დასახლოებლად, — ვთქვი მე.

— ამერიკაში ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ეროვნული კულტურები არ ვითარდებიან. ბევრისთვის ეს თემა საერთოდ უცხოა. მხოლოდ ზოგიერთი მიხედნენ, რა შეცდომა ჩავიდინეთ, ყველაფერი ერთ თევზზე რომ მოვათავსეთ, — დასძინა ჰარიმ.

— მე ჩამოვიდოდი თქვენთან ერთი-ორი წლით, გამომცემლობაში სამუშაოდ, — მეუბნება ლინდა.

— ეს სასარგებლო იქნებოდა. ლინდამ ხელჩანთა გახსნა, საეიზიტო ბარათი ამოიღო და გამოიწყოდა.

ბარათი ჩამოვართვი და ბიჯაის გულისჩიბებში ჩავიდე.

„ასეთი ხელჩანთა — თეთრი სინთეზური ძაფისგან ნაქსოვი — ბევრი ახალგაზრდა ქალის ზეღმი შეენიშნე, ალბათ მოღურია, თუ ძვირი არ ეღირება, მეუღლეს ვუყიდი“.

— ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში მე ვეცაუბრებ სტუდენტებს. საკვირველია, რომ მათი უმეტესობა არ იცნობს თანამედროვე გამოჩენილი ამერიკელი მწერლების ნაწარმოებებს, ბევრს მათი სახელიც კი არ გაუგონია.

— მისტერ გიორგი, ეს ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია, — თქვა ჰარიმ. — ამერიკელი საჭიროდ არ თვლის ყველაფერს მოეჭიდოს, მას ურჩევნია თავის სპეციალობას დაეუფლოს, ის საქმე იცოდეს საფუძვლიანად, რომელმაც უნდა გამოკვებოს, არჩინოს, დაუმკიდროს ადგილი ცხოვრებაში. ამერიკელები ცუდი დილეტანტები არიან, მაგრამ როგორც სპეციალისტებს, ბევრი ვერაფერს დაუდებს ტოლს.

— ეს არ არის მოკლებული პრაქტიკულ აზრს, — ვთქვი მე. — ფრანგი ენციკლოპედისტების დრო დიდი ხანია ჩაბარდა წარსულს, მეოცე საუკუნეში შეუძლებელია ერთმა ადამიანმა ყველაფერი იცოდეს, მაგრამ განათლებულ კაცს ყველაფერზე უნდა ჰქონდეს წარმოდგენა.

— აი, მალე მთავარზე გავფრინდებით და ვინ იცის, ჩვენ საუკუნეშივე გადავიდეთ იქ საცხოვრებლად, — ამბობს ლინდა.

— მე აქაც კარგად ვგრძნობ თავს, — იცინის ჰარიმ. — წავიდეს ის, ვინც აქ ვერ ეტყევა.

ჰარიმ დგება, ფანჯარასთან მიდგმულ საყურნალო მაგიდიდან საფერფლეს იღებს, ტახტზე ჯდება და საფერფლეს გვერდით იღებს, სიგარეტს უყიდებს.

ჰარიმ რომ დგებოდა, სანდომ მამას ლოყაზე აკოცა და ისევ ლინდს მიაშურა, კალთაში ჩა-

უჯდა. ლინდამ ბავშვს ხელები მოხვია და გულზე მიიხუტა.

ტელევიზორში კინოსურათი რეკლამები ვიწროვდა. ახალგაზრდა ქალი აბაზანას იღებს. აბაზანაში მომცრო ბოთლიდან რაღაც სითხეს ასხამს. წყალი თითქმის ქაფად იქცევა. თეთრ, ფუმფუმულა ქაფში იძირება სხეული...

— ვანა მართლა ჩამაფიქრებელი არ არის, რომ უკვე ჩვენი საუკუნის ბოლოს დედამიწის მოსახლეობა გაორკაცდება?

— დედამიწის რესურსები ამოუწურავია, — დაძვინდა.

— ზღვებსა და ოკეანეებში გადავალთ საცხოვრებლად, — იცინის ლინდა.

— როცა იქაც აღარ იქნება ადგილი? — ეკითხება ჰარიმ.

— სხვა პლანეტაზე წავალთ, — არ უთმობს ლინდა.

— არც ის არის გამორიცხული, რომ დედამიწა ემსხვერპლოს კოსმოსურ კატასტროფას. დედამიწა კოსმოსში იგივეა, რაც დედამიწაზე — ქვიშის ნამცეცე, — ჯიუტობს ჰარიმ.

მერი ვახშაზე გვიწევს. ჰარიმ ტელევიზორს აქრობს. ბავშვები ძიძას მიჰყავს.

დაბალ, მოკრძო მაგიდასთან ვსხდებით. ჰარიმ ჩემ გვერდით ჯდება, ლინდა — პირდაპირ.

სუფრაზე დევს თხლად დაჭრილი მოხარშული ხორცი, თევზბული, ვინეგრები; ფაიფურის პაწაწინა ლამაპქებით ორ ადგილას არის ჩადგმული წითელი ხიზილალა...

დიასახლისი ისევ სამზარეულოში ტრიალებს. ლინდამ ხიზილალა წაუსვა დანით პურის თხელ ნაჭერზე და მადიანად ჩაქბიჩა. მე ვინეგრები ვადვიდე. ჰარიმ მუცლიანი ბოთლიდან ღვინოს ასხამს ყანწში.

— ჯერ არ დავმსხდარვართ და უკვე ყანწი! — შევნიშნე მე.

— სერ, ჩემ ოჯახში თამადობას ვკისრულობ და ყველა უსიტყვოდ მემორჩილებით.

— იყოს ნება თქვენ.

— ეს საქართველოში ვისწავლე, სერ.

— გემორჩილებით.

ჰარიმ სახეზე ღიმილი ჰქრება და იგი სერიოზულად და დინჯად ამბობს:

— ამერიკაში თქვენი ყოფნის სადღეგრძელო მინდა შევსვა, მისტერ გიორგი. არ მოველოდი ჩემ ქვეყანაში თუ შეგხვდებოდით. არასოდეს არ მიფიქრია, რომ საბჭოთა ადამიანის მასპინძელი ვიქნებოდი, მით უფრო — ქართველი კაცი თუ მეწვეოდა ოჯახში. თქვენი სამშობლოდან მე წამომყვა საუკეთესო გრძნობები. იქ გატარებული დღეები უძვირფასესია ჩემ ცხოვრებაში და არასოდეს დამავიწყდება. ყველაფერზე კარგი, რაც ქართველებს უცხოელებისათვის გაქვთ, ეს ის არის, რომ თქვენ შეგიძლიათ

ბიძი პარლანანიძე
ბონჯი მზეთუნახავი

ადამიანს სულ სხვა თვალით დაანახოთ ბევრი რამ. საქართველოში უცხოელი აღმოჩენს არა მარტო საინტერესო ქვეყანას, არამედ ბევრ ახალ იპოვნის თავის თავშიც. სულ რამდენიმე დღე გავატარე საქართველოში და ასე მგონია, იქ წლობით ვიცხოვრებ. დღე, თქვენთვისაც სასიამოვნო ყოფილიყოს ამერიკაში ყოფნა.

პარიმ ყანწი პირთან მიიტანა.

— ჩემთვის სასიამოვნოა ყოველივე ამის მოსმენა. ხალხები ბევრს მოიგებდნენ, უფრო ახლოს რომ იცნობდნენ ერთმანეთს. ყოველ ხალხშია საინტერესო და მიმზიდველი. არათუ ქვეყანა, თვითელი ადამიანი ვანუშეორებელია. და მე მგონია, ყველაზე ცუდ აცემიც კი არის რაღაც კარგი.

— ვაჰა, მისტერ გიორგი! — წამოიძახა ლინდამ და ტაში შემოჰკრა.

პარიმ ტუჩები ხელსახოციტ შეიწმინდა, დაცლილი ყანწი შეავსო და ლინდას გადააწოდა.

— ღმერთო ჩემო! — ამოიოხრა ლინდამ და ერთბაშად შეწუხებული სახე მიიღო.

პარიმ ყანწი ხელებში შეაჩჩა.

— აბა, მისის, გვიჩვენე, რის შემძლეა ამერიკელი ქალი... საქართველოში მიამბეს: ქართველი ქალები, თურმე, ომში მიდიოდნენ და მამაკაცების გვერდით მამაკურად იბრძოდნენ, ხმლით ხელში.

— აღფრთოვანებული ვარ, მაგრამ ეს ყანწი ჩემთვის მახვილზე მძიძეა, — გაიღმა ლინდამ.

— ამერიკელი ქალებს ყველაზე დიდი ღირსება, მე მგონი, ის არის, რომ ისინი მრავალშვილიან ოჯახებს უვლიან, — ვთქვი მე.

— აი, ლინდა გათხოვდება და.. რამდენ მოქალაქეს შესძენ ლინდა, ამერიკას?

— ეს ყანწი საპატარძლო წელს მომწყვეტს.

— ქართველები სადღეგრძელოს შეუსმელობას უპატივცემლობად თვლიან. ხომ ასეა, მისტერ გიორგი?

— სრული სიმართლეა.

— მისტერ გიორგი მამატიებს.

— ასეთ შემთხვევაში ქართულ სუფრაზე იტყვიან ხოლმე: მხოლოდ სადღეგრძელო თქვი და ნუ შესვამო, — შეეცადად გამოსავალი მომენახა და ლინდა მესწნა.

— ეს რა გამოვიდა! — გაჩქიდა პარი.

— მისტერ პარის უნდა დამართოს... მისტერ გიორგი, თქვენი მეუღლე მინდა ვადღეგრძელო, და თქვენი შვილები, თქვენი ოჯახი...

— მადლობელი ვარ, მისის. თქვენ მომავალ ოჯახს გაუმარჯოს.

— გადაწყვეტილი მაქვს ერთი დღეინი შვილი გვაჩინო.

— საქორწინო მოგზაურობა... საქართველოში! რას იტყვით, მისტერ გიორგი?

— დიდებულია..

ლინდა ორივე ხელით ჩაეკიდა ყანწს და წელს ნელა დაიწყო წრუტვა, როგორც ჩამოქსნულნი ხოლმე ნატეხი შაქრით...

მერიმ ცხელ-ცხელი ბრინჯის სენდვიჩები შემოიტანა და თავის ხელით დაგვიღო თეფშებზე. მას ლოყები წამოსწილებოდა და თან ოდნავ აბურღავდა. როგორღაც. ახლა უფრო ჰგავდა იგი თავის პატარა სანდის.

— დაბრძანდით, მისის მერი, უთქვენოდ მოგვეწყინა! — მივმართე დიასახლისს და ჩემს გვერდით თავისუფალი სკამი გამოვეწიე.

— ეხლავე, ამ წუთას! — თქვა მზიარულად მერიმ და ოთახიდან გავიდა. მალე დაბრუნდა უკან, თმადეარცხნილი, მოწესრიგებული და გვერდით მომიჯდა.

— რას ინებებთ, მისის მერი, — შევთავაზე მომსახურება დიასახლისს.

— გზადლობთ, ნუ შეწუხდებით, მე თვითონ, — მიმასუხა მან ღიმილით და თავის თეფშზე ხორცის ნაჭერი გადაიღო.

— ერთმა უცხოელმა მითხრა: პირველი, რაც ამერიკაში უცხოელს თვალში მოხვდება — ეს არის ის, რომ ამერიკელები ძალიან წარმოსადეგნი არიან, — თქვა პარიმ.

— ამას შეიძლება მოენახოს თავის ახსნა, — სიტყვა ჩამოართვა ლინდამ, რომელსაც ყანწი დაცალა და თვალები აჯუნებოდა. — ამერიკაში მოდიოდე ჩან-ლონით საესე, ვაბედული, უშიშარი ბედის მაძიებელი. მხოლოდ ძლიერს შეეძლო გადმოეღახა ოკეანე, დასახლებულიყო ველურ კონტინენტზე.

— მიირთვიე სენდვიჩები, დამიწუნეთ? — შემომცინის მერი.

— როგორ გეკადრებათ, დიდებული სენდვიჩები...

— ამერიკაში ამჟამადაც გრძელდება იმიგრაცია მსოფლიოს ყველა კუთხიდან, — ამბობს პარი.

— ამერიკელმა ხალხმა თავის ისტორიის შედარებით მცირე მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საკაცობრიო ცივილიზაციაში, — დავემე მე. — მაგრამ ამერიკას ჯერ კიდევ არ უთქვამს თავის სიტყვა...

სასადლო ოთახში ძიძამ შემოიხედა, მერის რაღაც ანიშნა. მერიმ ძიძის მიაშურა. კარი ღია დატოვეს. ღამის ნათურის შუქზე დავინახე ბავშვების საწოლები. სანდის პატარა თაჯი დიდ ბალიშში ჩაყარულიყო. ხელები საბნის ზევით ამოყვარა...

სუფრიდან ნაშუადამევს ავიშალეთ. მერიმ ლიფტამდე გამოგვაცილა. დამშვიდობებისას მადლობა გადავუხადე და ხელზე ვაცოცე.

მანქანის საჭეს ამჯერად პარი მიუჯდა. მე და ლინდა უკან დავხედით.

სასტუმრომდე მანძილი ისე გავიარეთ, ხმა არ ამოგვიღია, თითქოს ყველაფერი ითქვა. თვითეული საკუთარ ფექრში იყო წასული...

სასტუმროს დიდ პოლში აღარავინ იყო, გარდა მორჩევი პორტივისი, რომელიც მაღალ მერხ-

ზე იდევებოდა დაყრდნობილი და ხელისგულზე ბში ყებზჩარგული, ფეხზე თვლემდა. იმ კუთხისაკენ გავიხედე, სადაც რამდენიმე საათისწინააღმდეგე ახალგაზრდა, ლამაზი ქალი დავტოვე. სავარაუდოა, რომ ცარიელი იყო.

შეხვედრა, აპრილი!

დღეს უკანასკნელი დღეა ამერიკაში ჩემი ყოფნის. კიდევ მცირე ხანი, სულ რამდენიმე საათი და ჩვენ დავტოვებთ დედამიწის იმ კუთხეს, რომელიც ჩემი სამშობლოდან ცხრა მთასა და ცხრა ზღვის იქით მდებარეობს; აქეთ რომ მოვდიოდი, შორეულ და უცხო გზას რომ ვადგებოდი, გულში ვგრძნობდი სევდას და წუხილს. რასაც იწვევს შენი კუთხის, შენი ოჯახის, შენთვის ახლობელი ადამიანების და დიდი ხნის ნაცნობი, ძვირფასი ადვალტების განშორება. მეორე მხრივ, რაც მაშინ მამოძრავებდა — ეს იყო უცხო, შორეულის, მიუწვდომელის საკუთარი თვალით ხილვის სურვილი; სურველი იმის უშუალოდ განცდის, რის შესახებაც ბევრი წაგივითხავს, ბევრი მოგვამენია, ძალიან ბევრი იცი, მაგრამ რაც გულით არ გიგრძნობია, რაც საკუთარი თვალით არ გინახავს...

უკვე მივდივარ აქედან, აქ ვიყავი და მივდივარ და კვლავ ველავ; იქ, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით მელის სამშობლო, ჩემი კუთხე, ჩემი ოჯახი, ჩემთვის ახლობელი და ძვირფასი ადამიანები; მელის ჩემი საქმე... მივდივარ და რჩება ქვეყანა, რომელიც ჩემი პლატენტის ნაწილია, რომელიც განუყოფელია ჩემი დედამიწისაგან; აქ რჩებიან ადამიანები, მე რომ ვნახე, გავიცანი... ეს არსებანიც ჩემი მოდგმისანი არიან...

არაერთი დღე დავყავი ამერიკაში; არაერთი დღე დავდიოდი ამერიკის მიწაზე; არაერთი დღე თავზე ამერიკის ცა მებურა; არაერთი დღე ვისუნთქე ამერიკის ჰაერს. ათასობით კილომეტრი გავიარე თვითმფრინავით, მატარებლით, ავტომობილით, გემით... ამერიკაში ამოდიოდა და ჩადიოდა მზე; ღამდებოდა და თენდებოდა; წვიმდა და გამოიდარებდა ხოლმე... არაერთი დღე ვიცხოვრე ამერიკელებს შორის და ვნახე მომლიბარი, მოღვეშული და შეშლილი სახეები; ვნახე სიყვარული და სიძულვილი, მტრობა და მეგობრობა, იმედი და უიმედობა... ამერიკის ცოდვა-მადლი, სიკეთე და ბოროტება მთელ დედამიწას ეყოფა.

და ამერიკა მაინც ერთადერთია. ამერიკის მიწაზე ფეხს რომ დაადგამ, უცხო, უცნობი სამყაროში შედიხარ. აქ თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც ყველგან, მაგრამ არც არის ისე. თითქოს გინახავს ყოველივე ამის მსგავსი, ამ სახით და მაინც არ გინახავს. ეს ცა, ეს მზე, ეს

მიწა შენთვის ნაცნობია და მაინც უცხოა. ეს ადამიანები, ეს შენი მოდგმის არსებანი ხომ შენის სისხლს და ხტრია, იგივეა შენთვის, რაც ყოველი ადამიანი დედამიწის ზურგზე, მაგრამ მაინც უცხო და უცნობია. აქაც ფიქრობენ, ოცნებობენ, განიცდიან... მაგრამ ეს ადამიანები შენთვის მაინც ამოუხსნელი ამოცანაა... არის ბევრი რამ, რასაც ვერ გავიგებ, რასაც ვერ შეიგნებ, ვერ მიიღებ, თუნდაც მთელი ცხოვრება გაატარო მის ახლოს, მის გვერდით.

მე არ ვიცი, ჩემ სიცოცხლეში კიდევ დავადგები თუ არა ამერიკის გზას. მაგრამ რაც ამჟამად აქ ვნახე, კარგად დავიმსახვრებ, არ დავივიწყებ; დასამსხვრებელი კი აქ ყოველი ფეხის ნაბიჯზეა. ამის შესახებ ვუამბობ ჩემს მეგობრებს, ვუამბობ ჩემს შვილებს და როცა ისინიც დაადგებიან ამერიკის გზას, მათთვის უკვე ზოგი რამ მაინც იქნება ნაცნობი.

წუხელ უკანასკნელი ღამე გავათე ამერიკაში. ვიღრე დასაძინებლად დავწვებოდი, დიდხანს ვიჯექი სასტუმრო — ცათამბჯენის ჩემი ნომრის ფანჯარასთან. ძირს ქუჩა ნეთის შუქით იყო ამოფსებული. ნიუ-იორკის მიწის გულში, ღამის სიმყუდროვეში გრიალით ჩაიქროლეს მეტროს უკანასკნელმა მატარებლებმა. ქუჩაზე გაისრიალეს შეგვიანებულმა ავტომანქანებმა და ქალაქი-ზღვა, ქალაქი-ოკეანე უკაცრიელ უდაბნოდ იქცა. ახლა ნიუ-იორკში თვითეული ბინადარი თავის ქერს არის შეფარებული. იმ ცათამბჯენის ჩადამბული ფანჯრების მიღმა ადამიანებს სძინავთ. ვინ იცის, რომელ მათგანს რა ფიქრი, რა აზრი, რა ოცნება ჩაჰყვა ძილში... მათ შორის მხოლოდ რამდენიმეა ჩემი ნაცნობი, მაგრამ მე ყველას ვამოწყვეტა გული, ყველას ვემშვიდობებ. ზეალ ისინი ისევე აავსებენ ქუჩებს, ისევე აზვიადებდა ნიუ-იორკი, მაგრამ მე უკვე შორს ვიქნები. რომ შეიძლებოდეს, ვიმახსოვრებდეთ თვითეული ადამიანის სახეს, ერთის დარდას და მწუხარებას, ფიქრსა და სიხარულს ყველა რომ ინაწილებდეს...

მხოლოდ ცხოვრების გაუგებრობაა, რომ მოწყენილ სახეს გულგრილად უცქერდე, ცხოვრების უსამართლობაა, რომ როცა ერთი ტირის, მეორე იცინის. ცხოვრების მოუწესრიგებლობაა,

გივი ვარდუხანიძე
გონჯი მზემუნახანი

რომ სხვის მწუხარებაზე შენს სიხარულს აშენებდე...

იმ ადამიანებს, რომლებსაც მე ვხვდებოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალბათ ვერასოდეს ვეღარ შევხვდები, მაგრამ ერთხანს ხომ იქნებიან ეს სახეები ქვეყნად და მეც ხომ ვიქნები ერთხანს, ჩვენ ვიქნებით უერთმანეთოდ, ერთმანეთისაგან შორს, ისინი ქვეყნის ერთ მხარეს, მე — მეორე მხარეს. არ ვიცი, ისინი იფიქრებენ თუ არა ჩემზე. მე კი მათზე ვიფიქრებ...

ჩვენი დროში ჩვენი დიდი დედამიწა ძალიან დაპატარავდა. ადამიანმა გადალახა დროისა და მანძილის ბარიერი. ახლა შესაძლებელია დედამიწის ყოველი წერტილიდან ოცდაათ წუთში მიფრინდეს დედამიწის ყოველ წერტილში. და მაინც ჩვენი დედამიწა რა დიდია ჩვენითვის — დედამიწის მოსახლეთათვის. კოსმოსიდან ადამიანი რომ ბრუნდება შინ, იგი დედამიწაზე ბრუნდება. დედამიწა თვითეული ადამიანის სახლია, თვითეული დედამიწის მოსახლეა და თავის ყოფნით, მთელი ცხოვრებით უნდა ემსახურებოდეს მას, ამშვენებოდეს. დრო გავა და დედამიწა უფრო დაპატარავდება, რადგან ადამიანი კოსმოსსაც დაიპყრობს, მაგრამ კაცობრიობის ეს ძველი სახლი ყოველთვის იქნება ძვირფასი.

ვუმზერდი ამერიკელებს და გონებაში მუდამ მიტრიალებდა ერთიანი იდეები: ვინ არის იგი? რას აკეთებს ადამიანებისათვის. უფლება აქვს თუ არა მას, თავი მალა ეპიროს როგორც ადამიანი, რომელსაც უყვარს, რომელიც იღწევს, რომელიც სთესს სიკეთეს ადამიანისათვის? სანამ ვართ, რა უნდა იყოს ადამიანის ცხოვრების უფრო დიდი მიზანი, ვიდრე ის, რომ როცა ჩვენი წასვლის დროც მოვა, როცა აღარც ჩვენ ვიქნებით, ადამიანზე ზრუნვის მცირე კვალი მაინც დავტოვოთ...

კაცი მას ეთქმის, ვისაც თავის ყოფნით სხვათა ყოფნა გაუხანგრძლივებია, ვისაც თავისი სიცოცხლით სხვათა სიცოცხლე დაუმშვენებია. თუ მხოლოდ შენთვის ეძებ, თუ მხოლოდ შენთვის გსურს, მთელი ქვეყნის განძიც ვერ გაგამიდრებს.

ეს დღეები ისე გავიდა, ვერც კი ვავიგე, მაგრამ ასე მგონია რომ დღეები წელი ვიცხოვრე ამერიკაში. ზოგჯერ თავს უცხოელ ვგრძნობდი, ზოგჯერ კი ისე ვიყავი, როგორც შინ, ახლობლებსა და ჩემიანებს შორის. როცა ჩემი წასვლის ეამი დადგა, მიინდა გაეჩხენო ყველაფერი, რაც ვნახე, რაც გავიცაადე. მივდივარ და მინდა, თან წავიღო ამ დიდი ქვეყნისადმი საუკეთესო გრძობები, კარგი სურვილები; მინდა, დავიმახსოვრო გულწრფელად მომღიმიარი სახეები, რომლებიც მოუალერესებენ და გულს სიკეთით აუხსენებენ სხვა ადამიანებს.

სასტუმროდან რომ გამოვედი, ქუჩაზე ბავშვების გრძელმა მწკრივმა ჩაიარა. მათ უფროსები მიუძღოდნენ. თვალი გავაყოლე იმ ვიწრო

მხრებსა და პატარა, მოხდენილ თავებს. ის გონები და ბიჭუნები დაიზრდებიან, დავიწყებებიან და დაქალდებიან. ჩემი დედამიწა დაიზრდებიან. და ვინ იცის, იქნებ შეხვდნენ კიდევ ერთმანეთს, ან ქვეყნის იმ მხარეს, ან ქვეყნის იმ მხარეს; ან იქნებ უფრო შორსაც — სხვა პლანეტაზე, მაგრამ ჩემი სურვილია, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, როგორც კაცი — კაცი, როგორც დედამიწის მოქალაქე — დედამიწის მოქალაქეს.

დღეს დილით რომ გავიღვიძე, პირველი, რაც მე გავიფიქრე და რაც გავნიცადე, ეს იყო ის, რომ დღეს ამერიკაში ჩემი ყოფნის უკანასკნელი დღეა. ქუჩის მეორე მხარეს, ჩემს პირდაპირ ოთახებში რაღაც დაწესებულება იყო მოთავსებული. ვხედავდი საწერ მაგიდებს, სავარძლებს, კედელზე — დიდ, მრგვალ საათს. რომ ვიცივობდი, ოთახებში არავინ იყო. მაგრამ ეიცოდი, რომ გავიღოდა მცირე ხანი და იქ ადამიანები გამოჩნდებოდნენ. მათ სახეებს ვერ ვარჩევდი. მათ შესახებ არაფერი ვიცოდი, გარდა იმისა, რომ ისინი ადამიანები იყვნენ... სამსახურის შემდეგ შინ მიეშურებოდნენ, სადაც მათ მიელოდნენ, სადაც მათთვის ზრუნავდნენ... და ერთ დღიანი ჩემთვის მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ უკვე ველოდი ამ ადამიანების გამოჩენას...

დღეს კი უკვე მივდივარ და ამის გამო მათს ცხოვრებაში არაფერი არ შეიცვლება, — მათ ჩემი არსებობაც არ იციან. მაგრამ ჩემთვის კი იმ ადამიანებმა ამ რამდენიმე დღეში რაღაც მნიშვნელოვან შეიძინეს. ვუტყვი ჩემი ნომრის ფანჯრიდან იმ ოთხ კედელში მოფუსფუსე ადამიანებს და მარტო აღარა ვარ. მაგრამ მე წავალ, ჩემ ნომერში სხვები იცხოვრებენ, და ისინიც ხომ გააბამენ უხილავ ძაფებს იმ ადამიანებთან?..

აქ ჩემამდე ბევრს უცხოვრია. ეს ქერი ეხურათ, ეს ოთხი კედელი იფარავდათ. ამ ლოგინში ეძინათ, ამ ბალიშზე ედოთ თავი. ამ ოთახის პაერს ისუნთქავდნენ... ამ კარით შემოდიოდნენ აქ და ამ კარით გადიოდნენ აქედან. ვინ იყვნენ, ან საიდან მოვიდნენ? საით წავიდნენ? ვინ იცის!.. ერთადერთი, რაც მათ შესახებ ვიცი, ის არის, რომ ისინი ადამიანები იყვნენ, ჩემი მოდგმის არსებანი. მათაც დატოვეს თავის სახლი, გზა განვლეს და აქ მოვიდნენ. მათაც წინ გზა ედოთ და შინ ახლობლები ელოდათ...

დღეს დილით ლოგინიდან რომ ვდგებოდი, ტელეფონმა დარეკა. უცხოეთში, სასტუმროს ნომერში ტელეფონის ზარი გუუცხოვდა, რადგან იცი, რომ იქ შენი მომკითხველი არავინაა, არავის დაპირებები, არავინ გაგისხენებს... შეცდომით დარეკეს. ახალგაზრდა ქალის ხმა იყო. მან ბოლოში მოიხადა და ერთბაშად ადამიანის ხმის ნაცვლად ყურმილში გაბმული ზუზუნის გაისმა. როგორღაც გული დამწყდა და წარმოვიდგინე,

რომ სადაც, ტელეფონის ხაზის მეორე ბოლო-
ში ქალმა უკმაყოფილოდ დადო ყურმილი. ერთ-
ზანს ველოდე, — მეგონა კვლავ დარეკდა ტე-
ლეფონი... ადამიანი რომ ადამიანს ეძებს, ამაზე
კარგი რა არის. გზა სხვა არაფერია, თუ არა
სწრაფვა ადამიანისაკენ, სწრაფვა ადამიანი-
სათვის.

ეს მზე, ამჟამად ასე რომ კაშკაშებს
ნიუ-იორკის ცაზე და ჩემ ნომერში უხ-
ვად აფრქვევს მწველ სხივებს, ხვალ ასევე სა-
ზღიშოდ ამოვა ჩემ ქვეყანაში, ასევე უხვად და-
აფრქვევს მწველ სხივებს ჩემი სახლის ფანჯ-
რებში. აქ კი მაშინ ღამე იქნება. როცა დედა-
მიწის ერთ მხარეს სძინავს, მეორე მხარეს ფი-
ზლობენ, არ შეიძლება ერთდროულად მთელმა
დედამიწამ დაიძინოს... აქ არის ცა, არის მზე...
თავს ჭერი მხურავს, მაგრამ მე მივდივარ, სა-
დაც ის მზე უნათებს იმ პატარა მხარეს, სადაც
დავიბადე, სადაც ეს ცა თავს ხურავს ჩემ
სახლს...

მშვიდობით, ამერიკა! დრო, რაც შენთან დაე-
ყავი, ძალიან მცირეა, მაგრამ დრო ვერ წაშლის
შენს სახეს ჩემში. შენ უზარმაზარი ხარ და
ამასთანავე ბევრი რამ არის შენში ისეთი, წე-
სიერ კაცს რომ გულს აურევს; ბევრი რამ შენ
ლაფში გსერის და ქაობში გახრჩობს. შენ მდი-

დარი ხარ და სიღარიბე სულს გხდის. ბევრი
ისეთი რამ გაქვს, რის გამოც შენ უნდა, წიფლა-
დებოდე. შენ ხარ გონჯი მზეთუნახავი... მარტინა
ცი, კიდეც გნახავ, თუ არა. მაგრამ შენი ნახვის
სურვილი ყოველთვის მექნება. მე თუ ვეღარ
გნახე, ჩემი შვილები გნახავენ, შვილიშვილები
გნახავენ, სხვები გნახავენ. და რას გააკეთებ
შენ, ამერიკავ, იმისათვის, რომ მომავალში უფ-
ტო ფართოდ და გაბედულად უღებდე კარს
შენს სტუმრებს?

გემებივით ავტომანქანები უწყვეტ ნაკადად
მიქრიან და ადამიანები მიეშურებიან, ყველა და
ყველაფერი თავ-თავის გზით... ვიტრინები
თვალს ჭრიან და თავისთან გიხმობენ. მაგრამ მე
აღარ მცალია, არავისთვის და არაფრისთვის აღარ
მცალია... მინდა ერთხელ კიდეც ყველაფერს
შევეცლო თავლი, ყველაფერი დავიმახსოვრო,
რამდენიმე საათის შემდეგ აქედან ძალიან შორს
ვიქნები...

უკან რჩება ბროდვეი. უკან რჩება შუქ-რეკ-
ლამების ზღვა. უკან რჩებიან ადამიანები. უკან
რჩება დიდი ქვეყანა — დედამიწის ერთი ნა-
წილი და მე მივეშურები დედამიწის სხვა ნა-
წილში, სადაც ჩემი სახლია და სადაც მე მო-
უთმენლად მიმელიან.



მარჯინა მინგაგი ბილბაო

კვლავ ჩემს ბასკეთში

სამი წლის შემდეგ

და აი, სამი წლის თავზე კვლავ მიემგზავ-
რები ბასკეთში, მაგრამ ახლა მარტოა როდი
ვარ. ჩემთან ერთად მოდის ჩემი ოცი წლის
ქალიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის მეოთხე
კურსის სტუდენტი ნანიტა.

ესპანეთის მთავრობას ასეთი წესი შემოუ-
ღია: საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ესპანელ
პოლიტიკურაზრობებს ნებას რათავს სამ წელში
ერთხელ მონახულოს სამშობლო:

ბევრი რამ შეიცვალა ამ სამ წელში ჩემს
ცხოვრებაში. ჯერ იყო და პირველი მოგზაუ-
რობის შთაბეჭდილებანი „ჩემი ბასკეთი“ ჟურ-
ნალში „დროშამ“ დაბეჭდა, ხოლო ნაწყვეტი
ცენტრალურმა გაზეთმა „კომუნისტმა“. 1967
წელს კი გამომცემლობა „ნაჯალუმა“ იგი ცა-
ლკე წიგნად გამოსცა.

ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემს ამ პატარა
ნაშრომს საქართველოში ასეთი დიდი გამო-
ხმაურება ექნებოდა. ჟურნალ „დროშის“ რე-
დაქციაში მრავალი წერილი მოვიდა, მაგრამ
უველზე მეტი წერილი გამომცემლობა „ნაჯა-
ლუს“ საბავშვო წიგნის სახლმა მიიღო. იწე-
რებოდნენ თბილისიდან, ქუთაისიდან, სოხუმი-
დან, მახარაძიდან, ტყვარჩელიდან, სიღნაღიდან,
ონიდან, კაპრეთიდან, რუსთავიდან, ლანჩხუ-
თიდან, ჭიათურიდან, ფოთიდან; ვანის, მცხე-
თის, ახალციხის, ოჩამჩორის რაონის სოფლე-
ბიდან. ლენინგრადიდანაც მოვიდა წერილი,
ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ორჯონიკიძე-
დანაც.

განსაკუთრებით ბევრი წერილი მივიღე
მოსწავლეებისაგან. მოსწავლეთა უმრავლესობა
მოხოვდა გამეგზავნა მათთვის ჩემი ფოტოსუ-
რათი. მირჩევდნენ თავიანთი რაზმეულის სა-
პატიო პიონერად.

რამდენიმე წერილში ერთი და იგივე შეკი-
თხვა იყო: რად ჰქვია ბილბაოში მდინარე ნერ-

ვიონის ხილს გენერალისიმუსის სახელოო
ფრანკომ, ესპანეთის ახლანდელმა ერთპირო-
ველმა მმართველმა, თავის თავს სამოქალაქო
ომის შემდეგ გენერალისიმუსის ჩინი მიანიჭა.
და ხილსაც ესპანელი გენერალისიმუსის სახე-
ლი ჰქვია. ზოგს უკვირდა, რად მქონდა გვარად
ჩემი ქალაქის სახელი — ბილბაო. ბილბაო გვა-
რია, ისევე როგორც ლონდონი (ჯეკ ლონდონ-
ნი). სხვათა შორის ჩემი გვარისკაცი ამერიკის
ერთ-ერთი ნაწილის აღმომჩენია.

როგორც აღვნიშნე, მომივიდა მრავალი წე-
რილი, საოცრად თბილი და გულწრფელი სი-
ყვარულით დაწერილი. მწერდნენ სრულიად
უცნობი ადამიანები, მადლობას მიძღვნიდნენ
წიგნის დაწერისათვის, მიზიარებდნენ თავიანთ
შთაბეჭდილებებს, მოხოვდნენ ბასკეთისა და
ბასკების შესახებ მიმეწოდებინა ახალი დამა-
ტებითი ცნობები. სალამს უთვლიდნენ ჩემს
ოჯახს, ჩემს ბასკ ნათესაებებს, მისურვებდნენ
დღეგრძელობასა და ბედნიერებას...

არასოდეს ვიფიქრებდი, თუკი ჩემს ნაშრომს
ამდენი გამოხმაურება ექნებოდა პრესაში.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაკვირველია,
ჩვენი სასიქადულო მწერლის სერგო კლდია-
შვილის წერილი იყო, რომელიც გაზეთ „ლი-
ტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა.

მუდამ ძვირფას მოგონებად დარჩება მცხო-
ვან მეცნიერთან, აკადემიკოს აკაკი შანიძეს
თან შეხვედრა. პატივცემულმა აკადემიკოსმა
დამირეკა და ასე მითხრა:

— ქალბატონო მარტინა, მე თავად გეახლე-
ბოდით შინ, მაგრამ, მოგეხსენებათ, მოხუცი
კაცი ვარ და თუკი თქვენ და თქვენი მეუღლე
ერთ კვირა დღეს მესტუმრებთ, ძალზე გამე-
ხარებთ.

რა თქმა უნდა, რომ პირველსავე კვირა დღეს
დათქმულ დროზე მივედი. პატივცემულ აკა-
დემიკოსთან სამი საათი დავყავით. მან ჩემს
წიგნს დადებითი შეფასება მისცა. წიგნის თა-

როდენ, სადაც მის გარდა გზის ვერავინ გაიკვლევდა, რამდენიმე ბასკური წიგნი გადმოიღო: ზოგი სხვადასხვა დროს თავად ეშოვნა, ზოგიც მის მეგობარს, ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორს, ქართველოლოგსა და ბასკოლოგს რენე ლაფონს გამოეგზავნა.

აკადემიკოსმა გეითხრა, რომ ახალგაზრდობაში სურდა ბასკური და ქართული ენების ურთიერთობის საკითხებზე ემუშავნა, რომ როდესაც ესპანელი ლტოლვილები საბჭოთა კავშირში ჩამოიყვანეს, გადაწყვეტილი ჰქონია ერთი ბასკური ოჯახისთვის მასპინძლობა გაეწია, შინ დაეყენებინა, მათგან ბასკური ენა შესწავლა, მაგრამ ეს ამბავი მაშინ ვერ მოხერხდა თურმე.

— ახლა კი, — დაასვენა აკადემიკოსმა, — მე საკმაოდ ხნიერი ვარ იმისათვის, რომ ახალ საქმეს ხელი მოვკიდო.

წიგნში ერთადერთი სიტყვა გამისწორა. დამწვრილობებისას თავისი წიგნი მაჩუქა წარწერით. შემდეგ უნივერსიტეტის ვაჭეთში, სადაც მისი წერილი იყო დაბეჭდილი რენე ლაფონის ქართული უნივერსიტეტის საბატიო პროფესორად არჩევის შესახებ, კეთილი სიტყვით მიხსენია ჩემი წიგნი და ჩემზეც გულთბილი სტრიქონები დაწერა.

ჩემს პირად ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ცნობილმა მეცნიერმა — ფოლკლორისტიკმა თამარ ოქროშიძემ. დამიახლოვა, შემიყვარა. მისი რეკომენდაციით თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატმა ესპანური ენის მასწავლებლად მიმიწვია. ესპანური ენის გრამატიკული კანონების გახსენებას დიდი დრო როდი მოეწოდებოდა, რაც შეეხება ლექსიკას, ესპანური ხომ ჩემი მშობლიური ენაა. არაფერს ვიშუტებ იმისათვის, რომ ჩემს სტუდენტებს ესპანური ენის დღე-ღამეებში დავეხმარო. სტუდენტებმა შემიყვარეს, „სენიორას“ მეძახიან. პირველი გამოშვება უკვე მქონდა. კურსდამთავრებულნი, რომლებიც თბილისში დარჩნენ, ჩემთან კავშირს არ წყვეტენ, საკონსულტაციოდ შინ დიან.

მე კარგად ვიცი, ასეთი ყურადღება და სიყვარული, რითაც მე შემომოსეს, ქართველთა დიდებუნიდან ხასიათის ნაყოფია. ამიტომ არასოდეს არ მიგვიჩენია საქართველოში სტუმრად თავი, ამიტომ ვახდა ჩემი ბავშვების სამშობლო ჩემი სამშობლო, სადაც მიწევს ცხოვრების უკანასკნელი დღე. ამ გზაზე მულამ ვგრძნობდი და ახლა, ჩემი პატარა წიგნის გამოსვლის შემდეგ, ათასჯერ მეტად ვგრძნობ, თუ როგორი მზრუნველობითა და გულწრფელი სიყვარულით ეპყრობა კავკასიის იბერია მასთან გულწრფელი სიყვარულით მოსულ უცხო ტომის შვილს, მით უფრო, თუკი იგი პირენეის აპენინის შვილია.

სულ ახლახან ცნობილმა მთარგმნელმა ვატი თვალთვადემ „ჩემი ბასკეთი“ რუსულად გადართარგმნა და ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოაქვეყნა. ახლა რუსეთშიც გამოვიდის წერილები...

ჩემი საბარალო ამაი

ახლა ესპანეთში რევანი მივდივართ: ჩემი პირველი თანამგზავნი კარმენ ლომესი, რომელსაც ვატიშვილიან ერთად ჩემი ნაწიტას ტოლი ქალიშვილი ნატაშა მოჰყავს. ჩვენთან ერთად მოემგზავრება მეორე კარმენი, კარმენ კასტრო, თავისი ქალიშვილითა და შვილიშვილით.

წარმოგდგენიათ რვა ბილეთის შოვნა პარიზამდე, მაშინ როდესაც მოსკოვიდან დღემი მხოლოდ ერთი ვაგონი გადის, ვარშავის შემადგენლობაზე მიბმული, მაგრამ ცალკე ჩვენმა ესპანელობამ, ცალკე თბილისურმა ნაცნობობამ (— „პო, თქვენი „ცინანდალის“ გემო ახლაც გვახსოვს, თქვენი „ჩაჩა“ ახლაც პირს გვიწვავს.“), ყოველგვარი დაბრკოლებანი იოლად გადავგალახებინა და აი, სამ კუბეში მოვეწყვეთ და ქართული სუვენირებით დატვირთულნი მოუხერხებელი ვაგონით პარიზისაკენ მივპრიავართ. ჩაუარეთ პოლონეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას... ჩემი ნაწიტა დღე ვაგონის ფანჯარას არ სცილდება და გაფართოებული თვალებით ვასტკერის გარემოს. იგი უცხოეთში პირველადია და ყველაფერი აინტერესებს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესვლისთანავე ჩვენი დასვენებაც გაპატარა დღე იყო თუ დამე, სულ ერთია, ყოველ ნახევარ საათში, გერმანული სიზუსტით, შესაზღვრებელი ჩვენს კუბეებს მოადგებოდნენ, აბრახუნებდნენ და მოითხოვდნენ:

— პაშპორტ, პაშპორტ!..

მაინც რა ჰქონდათ ამდენი სანახავი ამ ჩვენს „პაშპორტებში“? გამოგვართმევდნენ, ფურცელ-ფურცელ გადაშლიდნენ, ერთხანს ხელში ათამაშებდნენ, გეგონებოდათ სწონიანო და შემდეგ უსიტყვოდ გვიბრუნებდნენ. ის იყო შევებით ამოვსუნთქავდით, ახლა მაინც მოგვასვენებენო, რომ გავიდოდა თუ არა ზუსტად ნახევარი საათი, ვაგონის დერეფანში კვლავ ატყდებოდა ბრაზა-ბრუსი და შეძახილები:

— პაშპორტ, პაშპორტ!..

პარიზში ისლამო ხანს ჩავდივით. ახლა უკვე ვათვითცნობიერებულნი ვიყავი და იაფფასიან სასტუმროში მოვეწყვეთ. და მიუხედავად გრძელი გზით გამოწვეული დაღლილობისა, თითქმის გამოთენამდე ღამის პარიზს ვათვლიერებდით.

1 ამა — ბასკურად დედაა.

მბარტინა მინტაში ბილბაო
კვლავ ჩემს ბასკეთში

განუმეორებელი პარიზი, თავისებური, ზოგჯერ გადაჭარბებულად თავშეუყავებელი (ხომ არ შეიძლება ყველაფერი ქუჩაში, ყველას თვალწინ გამოჰფინოს), მაგრამ მუდამ ხალისიანი, ხმაურიანი, სიცოცხლით სავსე, კაშკაშა და თვალისმომკრელი. პარიზის საფუძვლიანი დიდივალეობა დამრუნებამდე გადავადდა, რადგან ახლა ბასკეთში მიგვეჩქარებოდა.

მეორე დღეს ესპანეთის საკონსულოს ვეწვიეთ. ორ საათში გავედიფორმეს საბუთები, თანაც უამრავი ფული წაიღეს.

— ახალი წესია, — დიპლომატიური ღიმილით ავებხსნა საკონსულოს თანამშრომელმა, — ჩვენს მთავრობას თქვენი ჩამოსვლით ბევრი გაუთვალისწინებელი ხარჯი აქვს...

ბილეთები მოსკოვშივე ავიღეთ ესპანეთის საზღვრამდე, რიუნამდე. რკინიგზის სადგურზე კომპენსაცია გავუკეთეთ და ღამით დავტოვეთ პარიზი.

ნანიტა დელავს, მეც ველავ. ნეტავი როგორ მოეწონებათ ჩემიანებს ჩემი ოცი წლის ქალიშვილი, რომელიც პირველად უნდა ნახონ. როგორც თბილისიდან გამოვფრინდით, მე და ნანიტა შევეთანხმდით, რომ გზაზე მხოლოდ ესპანურად ვილაპარაკებდით. ნანიტამ ესპანური იცის, მაგრამ პრაქტიკა არა აქვს და ესპანურ გარემოცვაში როგორ გამოადგება თავისი ესპანური, არ ვიცი. იქ ხომ გაპირებებისას სხვა ენას ვერ მოიშველიებს.

ესპანურის საზღვარზე უკვე აღარ შეგვხვდნენ ისე გაცივებით, როგორც ამ სამი წლის წინათ, როგორც ჩანს, ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ბევრმა მოქალაქემ გაიარა მათ ხელში. სასაზღვრო ფორმალბობასაც დიდხანს მოუნდნენ, საბაჟო დათვალიერების ყველა სავალდებულო მუხლი პირწმინდად შეასრულეს.

საოცარია, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სულ ახლახან დამეტოვებინოს ეს მიდამოები, ჩემი ბასკეთის ეს მთები და გორაკები. ნანიტას ისედაც ფართო თვალეები კიდევ უფრო გაფართოებია, მღელვარებისაგან ოდნავ ფერი წაყვლია, ეგებ მატარებელში უძლიოდ გატარებულ ღამის ბრალიც იყოს.

მესაზღვრეები დავაჩქარეთ, მაგრამ ავტობუსზე მაინც დავეკვივინდა. ხიხონის ავტობუსი, რომელიც ბილბაოზე გავლით მიდის, უკვე წასულიყო. მესაზღვრეთა უფროსმა (ესპანური არმიის ჩინების გარეგნული ვერ ვახლავართ დახელოვნებულ) ყურად იღო ჩვენი დაცინებულის თხოვნა, სადაც პროტესტის ნიშნებიც იყო და სპეციალური მიკროავტობუსი გვიმოვანა. მიკროავტობუსი ბილბაომდე წაგვიყვანდა, იქ ხიხონისაგან მიმავალ ავტობუსს წამოწყვილდა. კარმენები ხიხონში მიდიოდნენ. თანაც გამოირკვა, რომ ავტობუსი გატენილი წასულიყო. ბილბაოში რამდენიმე ადგილი თავისუფლდებოდა. ოფიცერმა, რომელიც ბასკი აღმიჩინდა, ბილ-

ბაოს ავტოსადგურში დარეკა და ხიხონამდე წუთი ბილეთი დააჯავშინა.

მიკროავტობუსი, ვგონებ, ამერიკულად უნდა იყოს, შეუჩერებელი მიპქრის. ჩემი შეგობრები ძალზე ხმაალლა ლაპარაკობენ, ჩანს, ნურები ზომავე მეტად აქეთ დაძაბული. მე კი ჩუმად ვზვიარ და რაღაც წინავტანობა არ მასვენებს. კრიჭა შემეკრა, ვერც რამეს ვაზობ, ვერც რამეს ვაპსუხობ. ნანიტა წამადეწწწ ხან რას მეკითხება და ხან რას, ყველაფერი აინტერესებს. მე მისი შეკითხვებისა არა მესმის რა. საოცარია, მაინც რა მომივიდა, რა მაწუხებს?... რად ამეშლა მწარე ფიქრები?... სისხარულის ნაცვლად შიში შემპარვია, რატომ?... რატომ?... უკანასკნელ წერილში ჩემი და ჩუჩა მწერდა, რომ ყველანი კარგად ვართ და მოუთმენლად მოველით შენსა და ნანიტას ჩამოსვლას. განსაკუთრებით ამა მოელის თავის ნენასა² და უცნობ შეილიშვილს.

ვცდილობ, მიძიმე ფიქრები თავიდან მოვიშორო, მაგრამ მაინც მომეძალება და თავის ბრჭყალბეში მაქცევს, მოსვენებას მიკარავს, გულს მიკუთმავს და სუნთქვას მიშლის. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ნეტავი ყველანი კარგად და მშვიდობით დამხვდებოდნენ, მაგრამ ეს წინავტანობა...

ჩვენი „ჩიბი“ ხიხონისკენ მიმავალ ავტობუსს ბილბაოში წამოეწვია. კარმენებს ბილეთები დაახვედრებს. წარმოდგინეთ ჩვენი გაცივება, ჩვენი თანამგზავრები ავტობუსში რომ მოეწყვენ, იგივე ავტობუსში და იგივე მძღოლებთან მოხვდნენ, რომლებმაც სამი წლის წინათ ამ გზაზე ახლად ჩამოსულები გვატარეს. საოცარია ასეთი დამთხვევა. მძღოლებმა მამინვე გვიცინეს, ყოყინება და სისხარული შეგვხვდნენ. მოგვიმოციეს კვლავ სამშობლოში ჩამოსვლა და ავტობუსში მსხდომ მგზავრებს ჩვენი პირველი ჩამოსვლის ამბავი უამბეს.

მგზავრები განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობითა და სიყვარულით გვაკჭერდებიან, მაგრამ მე მათი თავი არა მაქვს, შინ მიმჩქარებია. სასწრაფოდ დავემშვიდობებთ კარმენებსა და მათ ბავშვებს, ვიჭირავეთ ტაქსი და შოფერს ჩემიანების მისამართი ვუთხარია:

— ა კასტრეხანა 31- ა.

ტაქსი ბილბაოს ქუჩებს მიჰყვება. გული სულ ჩამივარდა, რა მომდის, რამ შემეწუხა? ნუთუ შინ ისეთი რამ მეღის, რაც არ დამიმსახურებია, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ჩემებთან მეტი სისხარული მიმაქვს. ჩემს ოჯახში ჩემი ქალიშვილი მიმყავს პირველად. ამა, ჩემო ამა, ოღონდ შენ დამხვდებოდდე!.. ეს რა წამომცდა, რატომ წამომცდა, რად დავეჭვი, რად?..

ნანიტა ხან მე ვაღმომხვდავს, უფრო მეტად კი სარკმელში იცქირება. არაფერს მეკითხება.

2. ნენა — ბასკურად პატარას ნიშნავს.

აი, ჩემი სახლიც. შოფერს ანგარიში გავუსწორებ, ჩემოდნები გადმოვადებინე, მიწაზე ფეხი დავადგი და აქ კი ნებისყოფამ მიღალატა, ფეხები მომიკვეთა.

ჩვენი სახლის პირველ სართულზე მაღაზიაა. იქ ბევრი ხალხი ირევა.

— სენიორა მარტინა ჩამოვიდა, — იყვირა ვილაკამ.

მაღაზიიდან უცბათ გამოცვივდნენ, მომესალმნენ. მე მათ ნანიტა გავაცანი.

— ბუენას მ, სენიორიტა, ბუენას! — ხელს ართმევენ ჩემს ქალიშვილს, ისიც მორცხვად იღიბება და დამფრთხალი პასუხობს საღამზე. მერე, რატომღაც, ჩვენი ბარგი მაღაზიაში შეიტანეს, ჩვენც იქ შეგვიყვანეს, დავსვეს და ირგვლივ შემოგვეხვივნენ.

— იქ ხომ მშვიდობაა? — შეეკითხებ და თვალთ მალა, ჩვენების ბინისაკენ ვანიშნე.

— მშვიდობა, სენიორა, მშვიდობა! — ერთხმად მომიგეს.

უცბათ შევამჩნიე, რომ მაღაზიის პატრონის ქალიშვილი, რომელიც ყველაზე მეტ აქტიუობას იჩენდა, სადღაც გაჰქრა, თვალსა და ხელს შუა გავგეპარა. ჩვენი ჩემოდნებიც ვილაცას წვალე. გულმა რატომღაც რეჩხი მიყო... წამოვდექე.

— წავიდეთ, წავიდეთ!.. — ზემეტად დაფაცურდნენ მასპინძლები.

ნელა ავყევით კიბეს. აი, მესამე სართული, ჩემების ბინის კარიც. კარი ღიაა. სულმოუთქმევლად შევიდი, ყველა და ყველაფერი დამაიფიყადა, ჩემი ნანიტაც დამაიფიყადა და პირდაპირ ამას ოთახისკენ გაწვიე. მეზობლებიც უკან გამოიყვნენ. ორიოდ ნაბიჯიც არ მქონდა გადაღმული, რომ უცებ, შუა ოთახში, მთლიანად შავებში ჩაქმულ ჩუჩას მოვკარი თვალი. ჩემმა დამ, როგორც კი დამინახა, იკვირა, ხელგამოიღო ჩემკენ გამოემართა და ქვითინით გადაიხეხა:

— ამა!..

ყველაფერს მივხვდი... მერე აღარაფერი მახსოვს, როგორ ჩავეხვიე ჩემს ძვირფას დაიქოს, რამდენხანს ვიყავით ასე... თუკი სამი წლის წინათ, პირველ შეხვედრისას, ასევე ვქვითინებდით ერთმანეთს ჩაკრული დები, მაშინ იგი ოცდაცხრა წლის შემდეგ პირველი შეხვედრის დიდი სიხარულით იყო გამოწვეული, ახლა კი ერთად ვტვიროდით დაობლებულნი...

ეს შემდეგ გავიგე: თურმე ექვსი დღის წინათ გარდაცვლილიყო ჩემი მრავალტანჯული ამა, მხოლოდ ექვსი დღით დამავციანდა მისგლა ჩემს უბედურ, საბრალო ამასთან.

ჩემი ბარათი რომ მიეღო ამას, სადაც ვწერდი, ნანიტასთან ერთად მოვდივარ-მეთქი, სულ

გამოცვლილიყო მოხუცი. განსაკუთრებით მომლოდა, ჩემს ნანიტას მოელოდა, სულ წრიალებდა, ადგილი ვერ მოენახა. ექვსი დღის წინათ მისი ღაც ძალზე აღზნებულ ხასიათზე ყოფილიყო, ვერ ისვენებდა, ოთახებში დაბორილებდა. სალამოხანზე ცუდად გამხდარიყო, ეთხოვა, დამაწვინეთო. სული ცოტათი რომ მოეთქვა, თავისი ძველი ყუთი მოეთხოვა, რომლის გახსნის უფლებაც, მის გარდა, არავის არ ჰქონდა. საწოლზე წამომჯდარიყო, ყუთისთვის თავი აეხადა, რაღაც-რაღაცეები ამოეღაგებინა. შემდეგ ჩუჩა ესმო:

— აქ ცოტა ფულია, — ეთქვა მისთვის, — ნენასათვის ვაგროვებდი და მას გადაეცე.

ყველაზე და გულქანდა ნანიტასათვის დაეტოვებინა, საყურეები მოეხსნა, ნენას ჩემგან სახსოვრად ჰქონდესო. ძველთაძველი რქისტიანი პატარა დანაც, რომელსაც ერთი წუთითაც არ იშორებდა, ჩემთვის მოეცა. ყველანი დაელოცა, ეტირა, უკანასკნელად ჩემს ნენას ვეღარ ვნახავო, დაწოლილიყო და ნახევარ საათში უღრტვინეველად და მშვიდად დაეკლია სული...

ჩემი საბრალო ამა, ჩემი მრავალტანჯული, უბედური ამა!..

ამას დასაფლავების შემდეგ ჩუჩას მარტოდ არ სტოვებდნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩვენი ჩამოსვლის დღეს ჩუჩა მაინც დარჩენილა მარტო.

ჩამოსვლისთანავე მეზობლებმა ჩემს ძმებს, სიძესა და დისწულებს დაურეკეს.

ჩამინახობი

პირველად ჩუჩა მოეგო გონს. მეც თანდათან ცნობიერება დამიბრუნდა. მეზობლები წასულიყვნენ, დები მწუხარებასთან მარტოდ დაგვტოვეს. მხოლოდ ნანიტა მედგა თავზე, ცხარე ცრემლით სტიროდა, მკოცნიდა, მეღერებოდა და როგორც შეეძლო მაშვილებდა:

— კარგი, ჩემო დედიკო, გეყოფა, დამშვიდდი, ჩემო დედიკო, ჩემო დედიკო...

თავს დამტყდარმა უბედურებამ ამ ქვეყნად ყველაფერი დამაიფიყა, დამაიფიყა, რომ ჩემი ქალიშვილი ჩემს ბასკეთში პირველად ჩავიყვანე. ჩავიყვანე და ჯერ ჩუჩას არც კი გავაცანი.

ჩუჩამ შეიცხადა:

— ღმერთო კი მომკალი, დისწული პირველად ჩამოვიდა და დეიდა მისი კი ტირილითა და ვაგებით ხვდებო.

ქვითინი გულში ჩაიკლა, თვლები მოიწმინდა, ნანიტას შეხვდა, მკერდში ჩაიკრა, დიღხანს კოცნა და შემდეგ მე მომიბრუნდა:

მარტინა მინტავი ბილაზო

პვლავ ჩემს ბასკეთში

3. ბუენას — გამარჯობა (ესპანურად).

— რამხელა ქალიშვილი გყოლია, მარტინა, ენაცვალოს მისი ტია? ჩუჩა!

მეც მოვიწმინდე ცრემლი და ნანტის გადავხედე. თვალები დანამული აქვს ჩემს გოგონას, უხერხულად დგას და არც იცის, ხელი სად წაიღოს, როგორ დადგეს, რა თქვას და რა მოიმკმევოს.

— თამამად, შვილო! — შევავლიანე ქართულად.

— ტია ჩუჩა! — როგორც იყო ხმა ამოიღო ნანტიამ და დეიდამისს ახლა თავადაც გადავხედა.

— ჩემი კარგი გოგო, ჩემი დიდი, უცნობი გოგო, ჩემი საყვარელი გოგო!.. — ბავშვივით ეტტიტინება ჩუჩა ჩემს ქალიშვილს.

ნახევარ საათში ყველა ჩემიანმა მოიყარა თავი. მოვიდნენ ჩემი ძმები: სეგუნდო, ინიაკი, ჩუჩას ქმარი სილვესტრე, დისწულები: ინიაკი და არანა.

კვლავ ხვეწნა-კოცნა, ტირილი... ყველაზე ადრე ჩემი ძმა ინიაკი დატრიალდა, დაგვაშვიდა, დაგვიყვავა. შემდეგ მე მომიბრუნდა:

— აბა, მარტინა, გაგვაცანი შენი ქალიშვილი. ნანტის ხელი მოვიკიდე, შუა ოთახში დავაყენე და ესპანურად ვუთხარი:

— ნანტა, არც ერთ ჩემიანს არ გაგაცნობ, თავად თუ გამოიცინობ.

ჩემიანები გაჩუმდნენ და ცნობისმოყვარე თვალებით შეაკერდნენ ჩემს ქალიშვილს.

ნანტამ ვაილიძე, ჩამოსვლის შემდეგ პირველად, როგორც იცის ხოლმე, მხრები აიწურა და ჩემს უფროს ძმასთან მივიდა:

— ტიო სეგუნდო! შევატყვე, სეგუნდოს სიხარულისაგან თავლები აუციმციმდა.

შემდეგ მეორე ძმას მიუახლოვდა:

— ტიო ინიაკი! უნდა გენახათ რა მოუვიდა ინიაკის, ჩემს ყველაზე საყვარელ ძმას. ალტაცებისაგან შეხტა და არ იცოდა ნანტის როგორ მოფერებოდა.

ახლა ნანტა ჩემს სიძესთან მივიდა:

— ტიო სილვესტრე! მუდამ დინჯმა და ცოტათი ფლეგმატურმა, ღიბიანმა სილვესტრემ ოდნავი ღიმილით გამოხატა თავისი კმაყოფილება.

ბოლოს ნანტა სათითაოდ ჩემს დისწულებს გადაეხედა.

— ერმანო ინიაკი!

— ერმანა არანა!

რა ამბავი და ქრიაშული ატყდა. ყველაზე ნანტის შემოეხვიენენ, ერთმანეთს სტაცებდნენ.

ვეფერებოდნენ, ჰკოცნიდნენ... განსაკუთრებით ჩემი მუდამ ხმაურიანი, მოუხვეწარი და ექსპანსიური ინიაკი არ ისვენებს, ყველაზე მეტად ჰყვირის, არავის ხმის ამოდებას არ აცლის, ყველას მაგივრად თავად ლაბარაკობს...

— ყოჩად, მარტინა, — ახლა მე მომიბრუნდა ინიაკი, — ნუთუ ჩვენი სიძეც ასე კარგად იცნობს თავის უცნობ, უნახავ ნათესაობას?

— უკეთ იცნობს, — მივუვე, — აი, ელირსებოდეს აქ ჩამოსვლა და მაშინ ნახავთ...

შემდეგ ეურნალ „დროშის“ ნომრები ვუჩვენე, სადაც „ჩემი ბასკეთი“ და დედასა და ჩუჩას სურათები იყო დამუშავებული. ამ ამბავმა ხელახალი აღტაცება გამოიწვია. ამას სურათის ნახვამ ერთხელ კიდევ მოგვავაგონა ჩვენი ოჯახის უბედურება.

სალამო ხანს დედის საფლავს ვესტუმრეთ. გზაზე ცოცხალი ყვავილების თაიგული ვიყიდე. ძნელ იყო ჩემთვის, ძალიან ძნელი, ჭერ კიდევ თბილი საფლავის ნახვა, სადაც ჩემი გაუხარული ამა განისვენებდა. ცოცხალი ყვავილების მეტი ველარაფერი მივეუტანე უქანასუნელად იმ ქალს, რომელმაც მშობა, ათი წელი თავის კალთის ქვეშ მატარა, შემდეგ ცხოვრების დიდ გზაზე დამყარა, ოცდაცხრა წლის შემდეგ კვლავ მიპოვნა, სამი წლით ჩემს ქმარ-შვილში გამისტუმრა და ჩემი შეხვედრის მოლოდინში დალია მრავალტანჯული სული.

მე და ნანტა დედისა და მამის ოთახში დავაწვინეს. არანჩამაც თავისი საწოლი ჩვენთან შემოატანინა.

ძილის წინ ნანტამ მითხრა:

— ხომ არ ვიცნობდი ბებიას, მაგრამ საოცრად, საოცრად დამწყვიტა გული მისმა სიყვდილმა!..

პირველი დღეები

მეორე დღეს, პირველად, ჩვენი ხალსიანი უბნის ექიმი გვეწვია. ჩვენი ჩამოსვლა გაეგო და სანამ უბანში შემოვლას დაიწყებდა, გვესტუმრა.

— აბა, მიჩვენეთ ჩვენი გადაკარგული „ბოლჩევიკი“ — დაიძახა შემოსვლისას, — რომელმაც თან ბეკენია „ბოლჩევიკი“ ჩამოიყვანა!..

ნანტა სათვალის ქვემოდად შეათვალიერა. იმ დღეს ჩვენი ხათრით არანა სამსახურში არ წასულა. ექიმმა ქალიშვილებს მხიარულად გადახედა. არანჩასთან შედარებით ნანტა მალაღლი, მოსული გოგონა.

— აი, სოციალისტური სამყაროს უპირატესობა კაპიტალისტურთან, — იხუმრა ექიმმა, — ჩვენ სულ ვპატარავდებით და ვპატარავდებით, თქვენ კი იზრდებით და ღონიერდებით, — შემდეგ მე მომიბრუნდა, — სენიორა მარტინა, ორი „ბოლჩევიკი“ უკვე სერიოზული ძალაა,

8 ბეკენია — პატარა (ესპანურად).

4. ტია — დეიდა (ესპანურად).

5. ტიო — ძია (ესპანურად)

6. ერმანო — ძმა (ესპანურად)

7. ერმანა — და (ესპანურად)

თქვენ რიგებს მეც მიმათვალეთ და, მოდი, ჩვენშიც მოვახდინოთ რევოლუცია!

— მეყოფა რევოლუციები, — დაუტატანა ჩუჩამ, — მაივალე, ბოლო წლები მინც შვეი-
ლად მაცხოვრე!..

შემდეგ ჩვენი უბნის მღვდელი, პადრე დონ ხაბერი გვესტუმრა. მე მას რუსული, თბილი სახამთრო ჭელი ჩამოვუტანე, რამაც დიდად გაახარა. სულსარკის წინ ტრიალეზა და კოპწია-ობდა ოცდარვა წლის მოხდენილი, ახალგაზრდა მღვდელი. ჩანდა, მის არსებაში ამქვეყნიური ცხოვრებისა და სიამოვნების სურვილი ჭარბად მოზღვავებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ლეთისათვის უბიწოებისა და თავდაპირველობის აღთქმა ჰქონდა მიცემული.

პადრე რომ წავიდა, ნანიტამ არანჩას თვალი ჩაუკრა:

— კარგი ბიჭია!..

— ეხ, — ხელი ჩაიჭინა არანჩამ, — მეც კი მო-
მწონს, მაგრამ რა ვინდა, ეგ ჩვენთვის სამუ-
ღამოდ დაკარგულია.

— რატომ? — შეეკითხა ნანიტა.

— როგორ თუ რატომ, ხომ ხედავ პადრეა.

— მერე რა რომ პადრეა?

— ხანამ ეკლესიას ემსახურება, უფლება არა აქვს ცოლი შეირთოს და ქალიშვილებს არა თუ სხვაგვარად შეხედოს, რაიმეც კი გულ-
ში გაივლოს.

— დაღუპულან აქაური მღვდლები და ესაა,
— სინანულით თავი გაიჭინა ნანიტამ.

ვერ იქნა და ვერ შეეჩვია ჩემი ქალიშვილი ესპანეთის ოჯახებში დამკვიდრებულ ტრადიცი-
ას, რომელსაც ჩვენებიც იცავდნენ ჩემი ძმის ინი-
აის გარდა. როგორც კი შინადა ვინმე გავი-
დოდა, აუცილებლად პირველს იწერდა. ნანი-
ტას ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა. ჩუჩას არაფერი შეუძნენია, მაგრამ არანჩას რა გამოეპარებო-
და.

— აბა, რა გწამთ კომუნისტებს? — შეუტია ერთხელ ნანიტას, — თუ ღმერთი არა გწამთ, რი-
სი იმედდ ვაქვით... რაიმე ხომ უნდა გწამდეთ ამ ქვეყნად?

მათ კამათს შორიდან ყურს ეუფლებ. მინ-
ტერესებს ჩემი ქალიშვილი რას უპასუხებს.

— რა გეწამს და ცხოვრება, — მიუგო ნა-
ნიტამ, — მხოლოდ ცხოვრებისა და ჩვენი თა-
ვის იმედი ვაქვს.

მართალია, ჩემი ოჯახი მგლოვიარე იყო, მა-
გრამ ნანიტას ჩამოსვლის ხათრით ტელევიზორი მეორე დღესვე ჩართეს, თავად ჩუჩამ ჩართო. ტელევიზორში მუსიკის ხმები რომ გაისმა, შევკრთი, ტანში გამბურძანა. ჩუჩა გადამხევიდა და ასე მითხრა:

— არ მინდა, მარტინა, თქვენი აქ ყოფნისას სულ მგლოვიარებაში ვიყოთ. აგერ, ოცდაათი

წლის უნახავები მეორედ ვხვდებით ერთმანეთს და ღმერთმა უწყის, მესამედ როდისღა შევხვდებით. ამა ჩემს ადგილას რეგენერაციის თვითონვე გვირჩევდა ასე. ნანიტაც ცოცხალია...

იმ საღამოს მადრიდის ტელევიზია ფრანკოს მიერ ახლად დანიშნული მინისტრების ფიცის ცერემონიად გადასცემდა. ესპანეთის დიქტატორის მთლიანად გამოეცვალა მინისტრთა საბჭო. მათ შორის ყველაზე ხნიერი ორმოც წელსზე ცოტა მეტი ხნისა თუ იქნებოდა. იდგა შუაღამოს ზეგური, მაგრამ ჯერ კიდევ წელსა-
მართული კაუდილიო, გვერდით მისივე დანიშნული მეკვიდრე, ბურბონთა დინასტიის შთამომავალი, ოცდათორმეტი წლის ხუან კარლოსი ედგა. გამოდიოდნენ თითო-თითოდ ახალგაზრდა მინისტრები, ფრანკოს წინაშე საზეიმოდ ფიცს სდებდნენ, ამბობდნენ, რომ უკანასკნელ ამოსუთქვამდე იშრომებდნენ და იბრძოდნენ ესპანეთის კეთილდღეობისათვის. ბევრი იყო ლაპარაკი რაღაც ახალ დემოკრატიზაციაზე, ქვეყნის მიერ დასახულ ახალ გზებზე. ჩემმა ძმამ ინიაციმ, რომელიც იმ საღამოს ჩვენთან იყო, ვერ მოითმინა და ტელევიზორი სხვა არხზე გადაართო. და, ჰოი, აგერ ესპანელმა მომღერალმა მიჩელმა არ გავვიღიმა ცისფერი ეკრანიდან.

მიჩელი ორჯერ იყო სავასტროლოდ საბჭოთა კავშირში და ორივეჯერ თბილისაც ესტუმრა. თბილისელები მოწონებით შეხვდნენ ესპანური სიმღერების შესანიშნავ ოსტატს, სოპრანის ფესტივალის ოქროს ფორფიტის ლაურეატს. თბილისში მცხოვრებმა ესპანელებმა დაგაბატე-
ვეთ კიდევ, მიჩელსა და მის ანსამბლს ქართული პურ-მარტილი გავუშალეთ. ახლაც მიჩელი ტელევიზორის ეკრანიდან საბჭოთა კავშირში თავის უკანასკნელ გასტროლოგზე ლაპარაკობდა. სხვა ქალაქთა შორის განსაკუთრებული სიყვარულით თბილისი მოიხსენია („ტიბილისიო“, თქვა). შემდეგ რამდენიმე სიმღერა შესარულა და მათ შორის „სპასიბო“, რომლითაც ჩვენთან საღამო-კონცერტს ამთავრებდა.

ნანიტამ თავი მოიწონა, მიჩელმა თავისი სუ-
რათი ავტოგრაფით მაჩუქაო.

საშუაბრი საპარტიველოზი

ჩუჩას სადღილი მზადა აქვს. სუფრის დაღ-
გებას მორჩა და მომიბრუნდა:

— სადაცაა ჩვენი გოგანები მოვლენ.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ, დაბლიდან ჩვენი ქალიშვილების ძახილი ისმის:

— ამა! — ეს არანჩა ჰყვირის.

— ტია! — ეს ჩემი ნანიტა იძახის.

დღიოდანვე ახალგაზრდები ნანიტას მტაცე-
ბენ. სანამ არანჩა მსახურობს (ჩემი დისწული

მარტინა მინდამი ბილაგო
კვლავ ჩემს ბასპარტიში

8. პეკენია — პატარა (ესპანურად).

ერთ-ერთი ფირმის დირექტორის სტენოგრაფისტი, მდივანი და მბეჭდავია), ნანიტა არანჩას რომელიმე მეგობარს მიჰყავს და ბილბაოს ათვალერებინებს. შემდეგ, სამ საათზე, არანჩას სამუშაოს დამთავრებისას, დეიდაშვილები ზაღმე ერთმანეთს ხედეზიან და შინ ერთად ბარუნდებიან. ქვემოდან, შესასვლელიდანვე ისინი მათი ძახილი:

— ამა! — ეს არანჩაა.

— ტია! — ეს ჩემი ნანიტაა.

ხუთიოდე დღეში გაიტეხა ესპანური ენა ჩემმა ქალიშვილმა. ახლა თავისი აზრის გამოსახატვად ხელნების მოშველიება აღარ სჭირდება. არანჩას ხომ სულ კარგად უკვებს, რადგან არანჩა ნანიტასთან ნელა ლაპარაკობს.

— სხვებთან ჯერჯერობით საუბარი მიჭირს, — შემომჩივის ხოლმე ნანიტა, — ისე ჩქარა ლაპარაკობენ, გეგონება გურულები არიანო. ამიტომაც აზრის გაგება მიძნელდება.

განსაკუთრებით ჩემს ძმას ინიაციის შეუყვარდა ნანიტა. პირველ შეხვედრას იგონებს სიამაყით, როდესაც ნანიტამ უცნობი ნათესაეები გამოიცილა. ინიაკი თავის დისწულს თვალბეშო შესციციენებს. საკმარისია, რომელიმე მალაზიის ვიტრინასთან ნანიტას თვალი გაექცეს, რომ ინიაკი იმწუთსავე ხედება ნანიტას სურვილს და საპროტესტო სიტყვის თქმასაც ვერ ვასწრებთ, რომ ინიაკის მალაზიიდან გამოაქვს ნანიტას მიერ მოწონებული ნივთი. ამიტომაც რცხენია ჩემს ქალიშვილს, როდესაც იგი თავის ბიძასთან ერთად მიდის, აქეთ-იქით ყურუბა. საყურებელი კი მართლაც ბევრია. მიანც რა ლამაზად და გემოვნებითაა გაფორმებული აქაური ვიტრინები; გვერდიდან, მალლიდან, თუ დაბლიდან ათასნაირად აჭრელებული რეკლამები თვალსა ჭრის. ფრჩხილისოდენა ადგილი არ არის დარჩენილა ქალაქში, მასზე რაიმე რეკლამა რომ არ იყოს მიკრული. ლამისა, შუბლზე მიგაკრან ამერიკული ვამაგრილებელი წყლების — „კოკა-კოლას“ და „პეპსი-კოლას“ რეკლამები...

ერთხელ ნანიტას წამოცდა, მიწის თხილი მიეყარსო. იმ დღიდან ინიაკი ჩვენთან ისე არ მოვიდოდა, პარკით მიწის თხილი არ მოეტანა და ჭიბებიც მიწის თხილით არ ჰქონოდა ავსებული.

რამდენიმე ქართული სიტყვაც ასწავლა ნანიტამ ბიძამისს.

- გამარჯობა!
- კარგი გოგო!
- ნახვამდის!
- ბედნიერად!

საოცრად ცნობისმოყვარეა ჩემი ძმა ინიაკი. ერთხელ ჩუჩასთან ყველამ რომ თავი შევიყარეთ, ნანიტა შუაში ჩასვა. წინ მსოფლიოს დიდი რუკა დაუდო და თხოვა:

— ნანიტა, შეილო, გვიამბე რაიმე საქართველოს წარსულსა და აწმყობზე.

საქართველოდან წამოსვლისას მანამდე მან-მანითა მთელი კერძი წაუკითხა ამ წიგნისაზე, დაარიგა, ვინ იცის, ეგებ გამოვადგესო.

ინიაკიმ თხოვნა გაუმეორა. ნანიტამ დაიმორცხვა, მაგრამ მე შევაგულთანე:

— მიდი, შეილო, თუ ესპანურად ვაგვირბდება, ქართულად თქვი და მე გადავთარგმნი.

ძინიც სრულიად არაფერი იციან ბასკეთში საქართველოს შესახებ. ჩემი ოჯახი საშუალო ფენას მიეკუთვნება. არანჩა შესანიშნავად განვითარებული ქალიშვილია. შინ ესპანურ ენაზე ტოლსტოი აქვს, დოსტოევსკიც, ჩეხოვიც და შოლოხოვიც, რომ არაფერი ვთქვა ესპანულ და ევროპულ მწერალთა ნაწარმოებებზე, მაგრამ საქართველოზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს.

გაოცებულნი ისმენდნენ ბრომეთე-ამირანის, კოლხეთის ოქროს ვერძის, მედვასა და არგონავტების, ქრისტანობის მიღებისა თუ ქართული დამწერლობის, თამარ მეფისა და რუსთაველის, გადატანილი ომებისა და აზრების ამბებს. ბევრი ილაპარაკა თანამედროვე საქართველოზე. ჩემი ქალიშვილის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და პირველად თავის ცხოვრებაში იმპროვიზებული ლექცია წაიკითხა. რასაკვირველია, ბევრი იყო ამ საუბარში მითითების ელემენტი, ემოცია, თავის მოწონება და ზოგჯერ გადაჭარბება, მაგრამ, რაც მთავარია, ირველად მსხრობნ ბასკ მსმენელებს შეძლებისდაგვარად გააგებინა კავკასიონთან მდებარე პატარა საქართველოს ამბავი.

შეკითხვებსაც საკმაოდ კარგად გასცა პასუხი, აქა-იქ მეც ვშველოდი.

იმპროვიზებული ლექციის შემდეგ ინიაკი ნანიტასთან მივიდა, შუბლზე ეამბორა და ქართულად უთხრა:

— კარგი გოგო!

ბასკური დღენასწაული

ჩვენს იქ ყოფნაში წმინდანთა დღენასწაულებს მთელი ციკლი დაიწყო. ბილბაო რამდენიმე რაიონიდან დაყოფილი, თვითივე რაიონს თავისი მფარველი წმინდანი ჰყავს და თვითველ წმინდანს თავისი დღეები აქვს მიჩენილი.

იმ დღეს ინიაციის რაიონში, რომელსაც ბასკურში ჰქვია, დღენასწაული იმართებოდა. ჩემმა ძმამ გავავატოხილა:

— დღენასწაული შუადღით იწყება, თქვენ ცოტათი ადრე მოდიეთ, რომ თავიდანვე ნახოთ ყველაფერი.

დალის ათ საათზე მის სახლთან ვიყავით. მთელს რაიონს უკვე ეტყობოდა სადღენასწაუბო სამზადისი. ათასფერი რეკლამებით აჭრე-

ლუბული ქუჩები კიდევ უფრო მოერთოთ. ბას-
კური, გვიანი შემოდგომა იდგა, მზიანი და თბი-
ლი, იქეთივე, როგორც საქართველოს შავი
ზღვის სანაპიროზე იცის ხოლმე. კაფეებისა და
ტავერნების მებატრონეთ მაგიდები გარეთ, ფი-
ლაქანზე გამოეტანათ. როგორც ჩანდა, ბევრ
სტუმარს მოელოდნენ. მრავლად ირეოდა ნა-
ციონალურ, ბასკურ ტანსაცმელში გამოწყო-
ბილი ქალიშვილი და ვაჟი, ბავშვი და მოხუცი.
ინიაკი შინ არ დაგვხვდა. მისმა ცოლმა მი-
ლამ გვითხრა:

— ინიაკი სად იქნება? დაყვეით მთავარ
ქუჩას, ყველა ბარში შეიხედეთ და ერთ-ერთ
მთავარში აღმოაჩენთ.

მილას კერძი დგდა და ვერ გამოგვყავა. შეგვ-
პირდა, შემდეგ მოგნახავთ.

ჩვეც დაყვეით ბასკურის მთავარი ქუჩის
მარცხნივ და მარჯვნივ მიღებარე ბარებს, ტა-
ვერებს.

ყოველ ნაბიჯზე ბარია. ბარის თავზე ორიგი-
ნალურად მორთული რეკლამაა, რომელიც გე-
ძახის, გეპატიება, მოგიხმობს, გთხოვს, დაჟი-
ნებით გთხოვს, რომ ეწვიოთ მას, მხოლოდ მას,
რადგან ასეთი ბარი მთელ ესპანეთში არაა,
რომ მკრეხელობა იქნება მასთან არ შეუხვით
და ბასკური ჩაყოლი, ან ანისი არ იგემო,
ზღვის ლოკოინა არ დააყოლო, ატლანტის
ოკეანის საქვეყნოდ განთქმული ახლახან დაქე-
რილი თევზი არ იგემო.

შევედვართ პირველ ბარში.

— სენიორ ინიაკი მინტევი აქ ხომ არ არის?
— ვეკითხები.

ბარმენი თავახიანად ილიმება:

— ახლახან აქ იყო, მეზობელ ბარში შეი-
ხედეთ.

ჩვენ მეზობელ ბარებში შევედივართ და ყველ-
გან ერთი და იგივე პასუხი გვესმის:

— ახლახან აქ იყო...

— ახლახან აქ იყო...

ბოლოს, როგორც იქნა, მივაგენით. ერთ-
ერთ ბარში, მებატრონის ოთახში, შინაურცივით
მოკალათებულაყო და ვილაციებს ბანქოს ეთა-
მაშობდა. რომ დაგვიჩანა, სიხარულისაგან
აროხროხდა, ბანქოს თამაშს თავი ანება, შუა
ბარში გაგვიყვანა და იქ შეკრებილთ მიმართა:

— ნება მომეცით წარმოგიდგინოთ, ჩემი რუ-
სი და და მისი ქალიშვილი ნანიტა.

ნანიტამ წარბები აიშვილდა: — „რატომ
რუსი?“

მუხვდა ინიაკი ნანიტას ფიქრს და თავისე-
ბურად გადაიხარხარა:

— ახლა ამათ ნანიტასავით ლექციას ხომ არ
ჩაუტარებ და სანამ გავაგებინებ, თუ სად იმ-
ყოფება თქვენი ნაქები ხეორხია¹⁰. და ვინა

სართ ქართველები, დღესასწაულიც დამტკი-
დება და ველარაფრის ნახვას ვერ მოხარვებით
რასაკვირველია, ბასკური ანისი დაგვეხსნა
დაგველენა, ბასკური პაელია დაგვესწავლა
ნა შემდეგ წინ წაგვიდგა და მთავარ მოედ-
ნისკენ წაგვიყვანა. ამასობაში მილიც წამოგვე-
წია.

სულ რაღაც ორი-სამი წელია ფრანკოს უნ-
ებებია და ბასკებისათვის მოწყალედ ნება და-
ურთავს თავიანთი დღესასწაული გადაიხადონ,
თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყონ,
ბასკურად იმღირონ და იცეკვონ. მთელი კვი-
რა ემზადება უბანი საღვთსასწაულოდ. ქუ-
ჩების რეკლამებს ათასფრად მორთული ილუ-
მინაციები ემატება. სახლებზე დროშები და
გირლანდებია. დილიდანვე ყველა შალახია, გარ-
და კაფეებისა, ბარებისა და ტავერნებისა, იქე-
ტება.

დღესასწაული საქველმოქმედო ხასიათს ატა-
რებს. ბასკურში მოწყობილ დღესასწაულზე
შემოსული მთელი ფული, როგორც ინიაკიმ
მითხრა, ბილბაოს გარეუბანში მდებარე კლე-
ჩანთა საავადმყოფოში მოთავსებულ ავად-
მყოფებისთვისაა განკუთვნილი. ესპანეთში,
როგორც საერთოდ ყველა კაბიტალისტურ ქვე-
ყანაში, მკურნალობა ფასიანია და საკმაოდ ძვირი
ღირს.

ბასკურის რაიონის თვითთულ მიკროუბანს
თავისი თვითმოქმედი გუნდი ჰყავს: ზოგი
მღერის, ზოგი ცეკვაუს, თვითმოქმედი გუნდები
ლია ესტრადაზე კონცერტებს მართავენ. კონ-
ცერტი გვიან ღამემდეგრამდებება. გუნდები
ერთმანეთს ენაცვლებიან. კონცერტებზე დას-
წრება ფასიანია. თუკი იმ რაიონში ცხოვრობს
რომელიმე პროფესიული მსახიობი, თუნდაც
ყველაზე პოპულარული იყოს, ვალდებულია
დღესასწაულში უფასოდ მიიღოს მონაწილეობა
და ამათ მაყურებელი მოიზიდოს. გარდა კონ-
ცერტების შემოსავლისა, ბარების, ტავერნე-
ებისა და კაფეების ნავაჭრის ნაწილი შემოსავ-
ლის საერთო ფონდში შეაქვთ. ვაჭრობაში მე-
ბატრონეთ მოხალისეები ეხმარებიან. ნავაჭრი
იმ დღეებში საკმაოზე მეტი აქვთ. აბა, მთელი
ღღს ნავალსა და დასიცხულს, ვის არ მოუნდებ-
და ცივი ჩაყოლებელი პირის გასველება.

ჩემს ძმისწულს, ინიაკის ვესს ხოსე ლუისს
ოცდაათკაციანი მომდერალთა გუნდი ჰყავს,
რომელსაც, რატომღაც, „ლოს ტურკოს“ (თუ-
რქები) ჰქვია. ბასკებისათვის თურქები ერთგვა-
რი ეგზოტიკა თუა. ხოსე ლუისი შეგვიჩიდა:

— ხელახლა რომ ჩამოხვალთ და ბასკურში
ჩვენს დღესასწაულს დაესწრებით, ჩვენი მომ-
დერალთა გუნდი სახელს შეიცვლის და „ლოს

⁹ ჩაყოლი — ბასკური ჯიშის ღვინოა.

¹⁰ ხეორხია — საქართველო (ესპანურად).

ტურქოსის“ ხაცვლად „ლოს ხეობიანის“ დავიკმევეთ.

ყველას ირგვლივ ბასკურად აცვია. ყველგან სამ და ოთხხმიან ბასკურ ხალხურ სიმღერებს მღერიან, ბასკურად ცეკვავენ, ბარებსა და ტავერნებში ბასკური ვულუხვობით გვეპატარებებიან და გვემსახინძლობენ. დილიდან გვიან სღამომდე ტრიალებს ბასკეთი, ქუჩებსა და ზღებში ხმაურობს ბასკეთი, ჩემი ბასკეთი, წელგამართული, ამაყი, დაუმორჩილებელი და ვაყაყური. ყიფინით ეგებება: ბასკეთი სტუმრებს. ღია ესტრადებზე მომღერლებს მოცეკვავენი ცვლიან. მოცეკვავეებს აკრობატები, აკრობატებს კვლავ მომღერლები. იცვლებიან ესტრადაზე შემსრულებლები. იცვლება მყურებელი, დღესასწაული კი გრძელდება, თავაწყვეტილი ბასკური დღესასწაული, დიდხანს გრძელდება, მთელი კვირა...

ჩვენი პაღრე ღონ ხაბერი

ესპანეთი ტურიზმის ქვეყანაა. როგორც იქაურ გაზეთებში ამოვიკითხე, ქვეყნის ბიუჯეტის დიდი შემოსავალი ტურიზმია. რასაკვირველია, დიდ ესპანელ მხატვართა ხელთუქმნელი ქანოზებიანი დედაქალაქ მადრიდშია თავმოყრილი. ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ შევქედილთ მადრიდი, სარაგოსა, კადიქსი, ბარსელონა თუ სხვა ცნობილი ქალაქები მოგვეჩვენებინა. ვერც ველასკესის, გოიასა თუ სხვათა დიდებული ტილოები ვნახეთ. ბასკეთი, ამ მხრივ მაინც ვაზებ დგას. ბილბაოში ერთი მნიშვნელოვანი ხელოვნების მუზეუმიც არ არის, მაგრამ ის, რაც ჩვენ პაღრე ღონ ხაბერმა გვიჩვენა, ყურადღასღებდა და საინტერესო იყო. ესპანელები წარსულს დიდად აფასებენ და ამჟამად სახელმწიფოში ყველაზე მაღალი ორდენი ღონ კიხოტის, მწუხარე სახის რანდის ორდენია.

იმ დილით ახალგაზრდა პაღრე ღონ ხაბერმა საკუთარი „ფიტი“ მოაგორა. კვირა დღეა. არანჩა შინა და ისიც თან წამოგვყავს. საბჭოს თავად ღონ ხაბერი უზის. მის გვერდით არანჩა მოუწყო, მე და ნანიტა უკან სავარძელში ჩავჯექით.

ღონ ხაბერი ტურისტულად მორთულა. ავტომანქანა შესანიშნავად მიჰყავს. ბილბაოდან რთმ გავდით და მთავარ მაგისტრალს დავადექით, მანქანა დიდ სიჩქარეზე გადაიყვანა და ისე გააქროლა, რომ თავს ძლივს ვიკავებთ, ერთმანეთს ვესვლებით.

— გეყოფა! — უჭაერდება არანჩა ახალგაზრდა მღვდელს, — ჯერ არ მეჩქარება შენი ღმერთის წინაშე წარდგომა. ადრეა...

ღონ ხაბერი ერთხანს სვლას უკლებს, შემდეგ კვლავ იტაცებს ქროლოის უინი და მანქანა კვლავ დიდი სისწრაფით მიჰყავს.

— მოუკელი! — მეთად აფრთხილებს არანჩა.

ღონ ხაბერი თავს იოკებს.

— შენ რა გიკირს, — ეხუმრება არანჩა, — ღმერთთან საქმე განადღებელი გაქვს, მაგრამ ღმერთთან საშოთხეში წავაბრძანებენ. ნანიტას რა ემეველება, უღმერთოთა ქვეყნიდან ჩამოსულს.

— ეხ, ვინ რა იცის... — ეშმაკურად თვალს პუტავს ღონ ხაბერი. შემდეგ რადიომიმღერს რთავს. მანქანაში ესპანური ჯახის დამაყრებელი ხმები ისმის. გოგონები ტაქტს ტაშს აყოლებენ. ღონ ხაბერიც ცქმუტავს, ჩანს მისთვის უცხო როდია ახალმოღერი ცეკვები.

არანჩა გვერდიდან შესცქერის ახალგაზრდა მღვდელს.

— რო, პაღრე, შენც ხომ არა ხარ გატაცებული ცეკვებით?

ღონ ხაბერი იღიმება, არაფერს ამბობს, ცდილობს თავი შეიკავოს, მაგრამ ახალგაზრდას მაინც თავისი გააქვს და კვლავ იღიმება.

ღონ ხაბერმა ხელმარცხნივ გაუხვია და აღმართს შევედქეთი. აქ ჩქარი ქროლოა არ შეიძლება. საუბარიც მშვიდი და სერიოზული გახდა.

ღონ ხაბერმა გვიამბო:

კათოლიკე სამღვდლოების წრეებში ახალგაზრდაობას მთელი პრივილეგიებით დაუსვამს საკითხი იმის შესახებ, რომ მღვდლებს ნება მისცენ ცოლის შერთვისა და ოჯახის შექმნისა. ამის თაობაზე რომის პაპისათვის მთელი პეტიცია მიუერთმევიათ. ამ რამდენიმე წნის წინათ იმისათვის მიუღწევიათ, რომ ეკლესიის გარეთ სამოქალაქო ტანსაცმლის ტარების უფლება მიუღიათ. ამიტომაც ასე თანამედროვე ტანსაცმელში გამოწყობილი ჩვენი პაღრე, იმედი აქვთ, ცოლის შერთვის უფლებასაც მოიპოვებენ.

— ოღონდ ამას მიღწევდეთ და, — ეშმაკურად ხარხარებს არანჩა, — უყოფანოდ გეყვები რომელიმე პაღრეს, თუკი შენსავით ახალგაზრდა და სიმპათიური იქნები.

მანქანის საკრეში ვხედავ, ღონ ხაბერს მობარსულ საულვაშეში ეღიმება და ხუმრობას ხუმრობითვე პასუხობს:

— მე თუ დამელოდეთ, სენიორიტა, დარჩებით გაუთხოვარი. ვინ იცის, რომის პაპი როდის ინებებს ჩვენი უკანასკნელი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მერე, ღმერთმა უწყის, დააკმაყოფილებს კია...

— თქვენც ადექით და გაიფიცეთ, — ურჩევს ცელქი ღმობლით არანჩა.

— ვის ვაგვიფიცეთ, მამა ზეციერს?

— არა, — არ ცხრება არანჩა, — მის მოციქულს ამ ქვეყანაზე.

ღონ ხაბერი პირჯვარს იწერს, თვალებს ზეცისაკენ აპარებს, მაგრამ ისე, რომ მზერას გზას არ აცილებს.

— ღმერთს ნუ სცოდავს!

ლაპარაკ-ლაპარაკში აღმართი ავიარეთ და



მთის თავზე ხეებში ჩაფლულ ორ დიდ შენობას მივუახლოვდით. შენობებს მალალი ლობე ჰყოფს. ორივე შენობა ფილიპინებში გამდობრებულ მარკოზ კანილის აუშენებია. ერთში ამჟამად სასულიერო სემინარიაა, სადაც, თავის დროზე, დონ ხაბერს უსწავლია. სემინარიაში, რაღაც საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებით, არადღევები ყოფილა. „იქ მიინც არაფერია სანახაიო“, — გვითხრა დონ ხაბერმა.

სამაგიეროდ მარკოზის სასახლეა ღირსშესანიშნავი. იგი მეჩვიდმეტე საუკუნეში აუშენებია მარკოზს. შენობის მოსაპირკეთებლად ფილიპინებიდან ძვირფასი ქვები მოუზღვნიდა, კედლები არაჩვეულებრივი ფერსკებითაა მოხატული. კანილიას უკანასკნელი ნაშრომი ამასწინათ გარდაცვლილა, ამჟამად იქ მუშევრებია და შესვლაც საკმაოდ ძვირი ღირს. სასახლის ასაშენებელი ხე-ტყეც კი მარკოზის ფილიპინებიდან ჩამოუტანია. შენობა უზარმაზარია და ისეთი ცივი ყოფილა, რომ პაპანაქება სიცხეშიც ბუხრებდა ანთებდნენ თურმე. ოთახებში ლომების, ვეფხვებისა და ათისა ცხოველების ფიტულებაა გამოფენილი. ერთი ოთახი ფრინველთა სამეფოს ეკუთვნის, ერთიც პეპლების საოცარ კოლექციას. რანაირ პეპელას არ შეხვდებით იქ: უზარმაზარ, ერთ მეტრიან პეპლიდან დაწყებული ქინძისთავისოდენით დამთავრებულს: დარბაზები მასური ავეჯითაა დახურავილი. ერთგან შეიდგებიან მრავალი მაგიდა დგას ერთი მთლიანი ხისგან გამოთლილი. კარაღებში სხვადასხვა ქვეყნის ჭურჭლეულობაა, ყველას მარკოზის ღერბი ადევს. რანაირ იარაღებს არ შეხვდებით: შუბებს, ფარებს, ხმლებს, ბუმერანგებს... მარკოზი იმდენად მდიდარი ყოფილა, რომ ესპანეთის მეფეები მისი მოვლენი იყვნენ და როდესაც მეფე ვალს ვერ გადაუხდიდა, რაც არც თუ ისე იშვიათი მოვლენა ყოფილა, მეფე თავის საგვარეულო რელიქვიებს უგზავნიდა ვალის დასაფარავად.

შუადღემდე იქ დავრჩით, ბალნი გავისვირინეთ, დავისვენეთ, შემდეგ სანტანდერისავე მიმავალ გზას დაავადეთ. სანტანდერი ატლანტის ოკეანის ნაპირზეა გაშენებული. ყველაზე მნიშვნელოვანი მისი ერთი ვარეუბანია, რომელიც თავის დროზე რომელებს აუგიათ და, საზღვნიეროდ, ყამთა სვლას გადაარჩინია. მართალია, რომელი ეპოქის სახლებში ახლა სანტანდერის ცხოვრობენ, მაგრამ, როგორც დონ ხაბერმა გვითხრა, თვალის ჩინივით უფრო თხილდებიან შორეული ეპოქის ნაგებობებს. ვერც ერთი მცხოვრები ვერაფერს შეცვლის ამ რაიონში, ქვასაც ვერ გადაადგილებს, ვიწრო ქუჩებზე ქვაფენილია დაგებული, სახლები დროყამისაგან ვაშავებულია, მაგრამ თავიანთი მომხიბველობა არ დაუკარგავთ.

დაც, თავის დროზე. ქრისტეფორე კოლუმბოს ხომალდებს აგებდნენ. ამჟამად თანამედროვე საოკეანო გემებს აშენებენ.

შემდეგ კვლავ მთას დავეყვით და სანტანდერის შუქურასთან მივედით. ორიგინალური შუქურაა. პირველი სართული მთლიანად შუშაშია ჩასმული და იქ ხომალდებისა თუ საოკეანო გემების მაკეტებია გამოფენილი. იქ შეხვდებით ქრისტეფორე კოლუმბის, ვასკო გამას, კომილიასის, ამერიგო ვესპუჩისა თუ სხვათა ხომალდების მაკეტებს. აქვეა უკანასკნელ ხანებში აგებული უზარმაზარ გემთა მაკეტები. შუქვე თვალსაჩინო ადგილას ასეთი წარწერა მიუტრავთ:

„სანტანდერის პროვინციის ხელისუფლებმა ეს ძეგლი აუგეს უსასრულო ზღვებში დაღუპულ მეზღვაურთა და სამშობლოდან გადახვეწილთა ხსოვნას.“

ღმერთი ფარვიდეთ ესპანეთის გემებსა და მეზღვაურებს ყველა ზღვის დიდ გზებზე, სადაც ისინი დაკურავენ და იმედის სული ჩადევნეთ მათ, რომლებიც სამშობლოდან შორს გადახვეწვენენ იმისათვის, რომ ცხოვრებაში ბედნიერება ეპოვნათ.

დაე, იცოდნენ მეზღვაურებმა და სამშობლოდან გადახვეწილებმა, რომ მათ მუდამ ექნებათ თავიანთი ადგილი ესპანეთის ისტორიაში, ისევე, როგორც აქვთ უკუნიით უკუნი-სადმი სახელოვან მეზღვაურთ: პეტრო ნინოს, ხუან დე ლა კასას, ბალდესილიას, მათ, რომლებიც დაიღუპნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებისას, ან შეუტრულებელ იმედებთან ჭიდილში.

დაე, იცოდნენ მეზღვაურებმა და სამშობლოდან გადახვეწილებმა, რომ მათ მუდამ ელის კანტაბრიას! მთების ღია გული, მშობლიური ზღვის ტალღების მოსიყვარულე ნაინია.“

შუქურა მალალია. სართულებზე ლიტს აყვებათ. თითქმის შორეულ მთის მწვერვალს უტოლდება. ქვემოდან კი ატლანტის ოკეანე გაწოლილა, უზარმაზარი, თვალმითწვდენელი, გასაოცარი...

შუქურის მესამე სართულზე რესტორანია. დონ ხაბერმა მიგვიბატოცა, გამოცდელ კაბალეროსავით ეპყრობოდა გოგონებს. წარმოიდგინეთ, იცეკვა კიდევ...

ბილბაოში გვიან ღამით დავბრუნდით.

პოლიციის კომისართან

საბჭოთა კავშირმა ესპანეთში ორი თვის ვიზა მოგვცა, მაგრამ ესპანეთის საკონსულომ პა-

მარტინა მინდოვი გილაო
კვლავ ჩამს ბასპიძეთი

11 კანტარია — მალალი მთაა ბასკეთში.

რიზში რატომღაც მხოლოდ ერთი თვით დაგვართო სამშობლოში ყოფნის უფლება. ჩემმა დამ არ მომასვენა, რადგან ჩვენთან ყოფნის ორი თვის ნებართვა გაქვთ, ეგებ, აქვე პოლიციაში მოეახერხოთ ვიზის გაგრძელებაო. ვინ იცის, კიდევ რადის ჩამოხვალ, ან ნანიტას როდისღა ჩამოიყვანო. საწინააღმდეგო რა გექონდა. შინ, საქართველოში ისე შქონდა საქმე აწყობილი, რომ ორ თვეზე ადრე არც მელოდნენ.

ჩემები ძალიან შეეჩვივნენ ნანიტას. თითქმის არც ვხედავდი, დილიდან საღამომდე ახალგაზრდებს დაჰყავდათ. ესახლებოდათ, შორეულ: უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ თანატოლთან სიარული, მეგობრობა, დროსტარება. ჩუჩასაც თვალი სულ კარისაკენ ეპირა, როდის მოვლენ ჩემი გოგონებიო. სანამდე არ მოვიდოდნენ, არც დაიძინებდა. სახეზე სიყვარულის ღიმილი გადაუვლიდა, როდესაც სახლის შესასვლელიდან ძახილი შემოგვესმოდა:

— ამა! — ეს არანჩა ჰყვროდა.

— ტია! — ეს ჩემი ნანიტა იძახდა.

ერთ დღეს ჩემმა ძმამ ინიაკიმ მთელი დღით მოგვტაცა ვაგონები. მისი მეგობრის ავტომანქანით მოატარა ჩემი მშობლიური სოფელი ბაკიო, ბერძნო, ღურანგო, გერნიკაშიც წაიყვანა, სადაც მრავალსაუკუნოვანი წმინდა მსხაღვას, რომლებსაც ბასკები ეთყვანებოდნენ და მათი ღერბები ხომ გვრნიკას ეწება. მე იმ დღეს უკლად ვგრძნობდი თავს და გოგონებს თან ვერ წაყვები. საოკრად მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსე დაბრუნდა ნანიტა იმ მოგზაურობიდან.

და აი, ჩემი ინიაკი, მე და ნანიტა ბილბაოს პოლიციის კომისრის მისაღებ ოთახში ვართ. კომისარმა ჩქარა მიველიო. ჩვენი თხოვნა რომ მომთმინა, პასპორტები გამოვართვა, ერთხანს წაღმა-უკლმა ატრიალა, შემდეგ სადაც დადარეკა, შეორესაც დაურეკა, მადრიდსაც დაუკავშირდა. ბოლოს ჩვენს პასპორტებზე ბეჭდები დაატყა და ვიზა თხუთმეტი დღით ვაგვიგრძელა. წამოსვლისას შევეკითხე:

— სენიორ კომისარო, მისცემთ თუ არა ჩემს ქმარს ესპანეთში ჩამოსვლის ვიზას?

— თქვენი ქმარი რუსია? — შეკითხვას შეკითხვითვე უპასუხა.

— არა, ქართველია.

ვერ ვაიგო კომისარმა თუ რას ნიშნავდა ქართველი.

ჩემს მაგივრად ინიაკიმ მიუგო:

— პო, იჭაურია, იჭაური.

კომისარი ერთხანს დაფიქრდა.

— საუბედუროდ, სენიორა, — დუმისის შემდეგ დაიწყო, — ჩვენს სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს. ამიტომ თქვენს ქმარს ჩვენი მთავრობა ვიზას ვერ მისცემს. კომუნისტია?

აბა, ამ შეკითხვას როგორ ვაგვიცემო მასტრუს.

— ხომ ხედავთ, — დიმილით განავარაუქონისარმა, — ჩვენთან ახალი მთავრობა დადგინდა, დემოკრატიზაციას გვპირდებიან. ღმერთმა ჰქმნას, ჩვენი დემოკრატია ყველამ დიჯეროს. ეგებ თქვენმა მთავრობამაც ირწმუნოს და ჩვენებთან რაიმე კონტაქტები დაამყაროს. აი, მაშინ კი თქვენს ქმარს ვიზას წინ აღარავინ დაუდგება. — შემდეგ უფრო გახალისდა და ხუმრობით მომმართა, — ეგებ თქვენც შესძლოთ თქვენები დაარწმუნოთ ჩვენს დემოკრატიზაციაში. ამით ჩემს ოცნებასაც ფრთები შეესხმება, ისე მაინტერესებს თქვენი ქვეყნის ნახვა, რომ პირველი ვიზით ჩამოვალ.

პოლიციის კომისარიდან რომ მოვიდოდით, ინიაკიმ გზაში მითხრა:

— ვერაა ამითი საქმე კარგად, თუკი პოლიციის კომისარიც ასე მსჯელობს. ყველას ყელში ამოგვივიდა... დემოკრატიზაცია კი არა და... — და ისე ხმაშალა გადააფურთხა, რომ გამვლელი გაკვირებულნი შემოგვეკერდნენ.

შინ ერთმუღით შეგვხვდნენ. აბა, თხუთმეტი დღე რა იმდენი დროა, მაგრამ აქ, ბაკეთში გატარებელი ერთი დღე იმდენადაა შთაბეჭდილებით საესე, რომ დამატებით თხუთმეტი დღე თხუთმეტი თვის ტოლია. მაგრამ ის დამატებითი დღეებიც რომ ამოიწურება...

ჩემს ძველ მეგობრებთან

ხვალ ხიხონში მივდივართ. გზად ავილესი უნდა მოვიხაზულოთ. ავილესში ჩემი თბილისელი მეგობრები ცხოვრობენ, ხიხონში მოსკოველი მეგობრები. სამი წლის წინათ რომ ბასკეთში ვიყავი, ვერ მოვასწარი მათი ნახვა. ახლა მელიან, სულმოუთქმულად მელიან. ისინი 1966 წელს დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში.

ავილესში ჩემი მოხუცი კარია, დედის მაგივრობას რომ გვიწვედა თბილისში, ჩემი ტკბილი, საყვარელი კარი. იქ ჩემი თანატოლი დულე დამხვდება, მისი ქმარი გონსალო და მათი ვაჟიშვილი, ჩემი ნათლული გონსალონი.

საოცარი ბედი ჰქონდა გონსალოს. იგი თბილისში გვიან ჩამოვიდა. თავის დროზე, ომის დროს ძალათი გაიწვიეს ჯარში და ესპანურ, ევრეთ წოდებულ ცისფერ დივიზიაში განაწესეს. დივიზიას დიდხანს არ უბრძოლა საბჭოთა კავშირის ფრონტებზე, პირველსავე ბრძოლებში ნაწილი გაწყდა და ვინც გადარჩა, შემდეგ გერმანულ არმიებში გაანაწილეს. გონსალო და ასამდე მისი ამხანაგი ტყვედ შეიპყრეს საბჭოთა მეომრებმა. ომის დამთავრების შემდეგ ნაწილმა სამშობლოში დაბრუნებაზე უარი თქვა, რამდენიმე მათგანი თბილისში ჩამოვიდა საცხოვრებლად. აქ ესპანურ გარემოცვაში მოხვდნენ, თითქმის ყველამ ჩემი მეგო-

ბარი, გაუთხოვარი ესპანელი ქალიშვილი შე-
ირთო, ოჯახები შექმნეს, გამრავლდნენ და და-
ფუძნდნენ. კარი და დულეე კი ჩემთან ერთად
ჩამოვიდა 1937 წელს საბჭოთა კავშირში. დუ-
ლესს მამა ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს
დაიღუპა. როგორ შეენატროდით ამხანაგები
დულესს, გვერდით რომ მოსიყვარულე დედა
ჰყავდა, ჩვენი კარი, რომელიც სხვებსაც ისე-
ვე უწყევდა დედობას, როგორც თავის ღვიძლ
შვილს. გონსაღინო თბილისში დაიბადა. ალ-
ბათი დიდი გაიზარდა, ტელეფონში წკრიალა ხმა
აქვს. მართალია, სახით არ ვახსოვარ, მაგ-
რამ ტელეფონში ისე მომესიყვარულა, ჩანს
მათ ოჯახში ხშირია ჩემზე ლაპარაკი.

ხიხონში ბალბინა და რაფაელი, მსოკოვის
საბავშვო სახლის მეგობრები. საბჭოთა კავში-
რში არც უფიქრითაა შეუღლებია, ესპანეთში
შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს და გამორ-
კვეულა, რომ უერთმანეთოდ ცხოვრება არ
შეეძლოთ. რაფაელი ჩვენი საბავშვო სახლის
ფეხბურთელთა გუნდის მეკარე იყო. თუმცა ტან-
დაბალია, მაგრამ ისეთი მარჯვე და მოქნილი იყო,
რომ ჩვენების კარს საიმედოდ იცავდა.

ჩემმა მამამ ინიაციმ ითავა ჩვენი წაყვანა. მე-
გობრის ავტომანქანაში ჩავსვავ. მივსრიალებთ
ფართო მაგისტრალზე. ქალაქები და სოფლე-
ბი ერთმანეთს ენაცვლებიან. ხვადიანი შემო-
დგომა დვას, ჭირნახულს იღებენ და აბინავე-
ბენ.

ვერ ხიხონში გავჩერდით. ჩემი მეგობრები
ჭერც კი ვიცანი, ისე გამოცვლილან. რაფაელი
გასუქებულა. ბალბინასაც თმში ჭალარა გარე-
ვია, მაგრამ ისევე ისეთივე მოციხარი და ხარბა-
რია. სიტყვას არ იტყვის, არ გადაიკისკისოს.
რაფაელი კი დადინჯებულა, ცხოვრებას დაუ-
ბრძენება. დალხინებულად არ უნდა ცხოვ-
რობდნენ, მაგრამ ჩვენითვის არაფერი დაუშუ-
რებიათ. ბატარა ბინა აქვთ, ოთხი სტუმარი
მანც მივიღეს და მოგვითავსეს, კარგადაც
გავვიმასპინძლდნენ. თითქმის დღიამდე თვალი
არ მოვიხიუტავს. „გახსოვს?... გახსოვს?... გახ-
სოვს?...“ ჩვენ ყველაფერი გვახსოვდა, ბედ-
ნიერებაც, მწუხარებაც, დალხინებაც, ვაჭირ-
ებაც, მშვიდობიანი ცხოვრებაც, არტეკი, თხი-

ლამურები და ფეხბურთი. გვახსოვდა რაღაც
მომე დღეები, პირველი ნაბიჯები ცხოვრებე-
ში... „გახსოვს?... გახსოვს?... გახსოვს?...“
დავიფიქრებთ მეგობრები ერთად გატარებულ
დღეებს, წლებს, ცხოვრებას...

მეორე დღეს ხიხონში დულესმ და გონსა-
ლომ მოგვაციტხა. გონსალომ ავტომანქანა შე-
უშენია, იგი სადაც დიდ ფირმაში ბუღალტ-
რად მუშაობს. ახალი შეხვედრა, ახალი ცრემ-
ლები და კვლავ: „გახსოვს?... გახსოვს?...“

შუადღით პეილესში ვიყავით. როგორ და-
ბერებულა ჩემი კარი. დილიდანვე ფანჯარას
არ მთვორებია საბარალო. მე შელოდა, მოუთ-
მენლად მელოდა. გონსალონი დაგვაცაცებულა,
გაზრდილა. ჩემი პირველი საჩუქარი, ხის რე-
ვოლვერი გამომიტანა. როგორ აინტერესებს იმ
ქალაქის ნახვა, სადაც დაიბადა. „თბილისელი
გარო“, — მომმართა ამყად. წარმოიდგინეთ,
ჩემი მეგობრები ხომ საშროლოში არიან, მაგ-
რამ აქაურობაც ენატრებათ.

კარის ჩემი საყვარელი ტორტილო დაემ-
ზადებინა; ესპანური კერძია, კარტოფილისა და
კვერცხისაგან კეთდება და თბილისშიც ამით
მიმასპინძლდებოდა...

უკან რომ დავბრუნდით, ერთ ადგილას გზა
წაბლის ტყეში გადაიდა. ინიაციმ მანქანა გაა-
ჩერებინა, ნანიტას და მე ხელი მოგვკრდა და
შუა ტყეში შეგვიყვანა. შემდეგ წაბლის ხეზე
ავიდა, არ მოერია არც ასაკს, არც იმას, რომ
ფეხსაცმლით ხეზე ასვლა უჭირდა და წაბლი
გაღმოვციყრა. ბავშვობა გავახსენდა, ბაკიოში
გატარებული ბავშვობა, სადაც ასევე ავდიო-
დით წაბლის ხეებზე და ვკრეფდით ზღარბი-
ვით ეკლიან წაბლის ნაყოფს.

თვენახეური საოცრად ჩქარა მიიწურა. ახლა
დაშორება სამი წლის წინანდელივით დიდად
როდი მიჭირს, რადგან იმედი მაქვს სამი წლის
შემდეგ კვლავ ჩამოვალ ჩემს ბასკეთში და
თან ჩამოვიყვან ჩემს ბატარა ვიასაც. ვინ იცის,
მიმოხვლა გავვიმრავლდეს, გავვიოლდეს, ჩემმა
ბასკელმა ნათესაებმა მოინახულონ ჩემი საქარ-
თველო და ჩემმა ქართველმა ახლობლებმა ჩემი
ბასკეთი...



პარიზის კომუნის ასი წლისთავი

ასი წლის წინათ — 1871 წლის 18 მარტს პროლეტარული რევოლუციის შედეგად პარიზში შეიქმნა მუშათა კლასის ისტორიაში პროლეტარიატის დიქტატურის პირველი მთავრობა — პარიზის კომუნა. მის მომზადებაში დიდი როლი შეასრულა პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობამ.

პარიზის კომუნის წარმოშობის წინამძღვრები უშუალოდ დაკავშირებულია იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისთან, რომელსაც განიცდიდა საფრანგეთის მეორე იმპერია (1852-1870).

საფრანგეთ-პრუსიის ომი, რომლისთვისაც წლების განმავლობაში ემზადებოდა ორივე მხარე, დაიწყო 1870 წლის 19 ივლისს. ომის პირველ დღეებიდანვე ცხადი გახდა საფრანგეთში ბონაპარტიზმის რეჟიმის სიღამძლე, ქაოსი ჯარების სარდლობაში, მარშრუტებისა და ჯარების თავმოყრის ვადების არეულობა, ცუდი შეიარაღება, სარდლობის სუსტი მომზადება.

ორი დღის განმავლობაში (4 აგვისტოს ვაისენბურგთან, 6 აგვისტოს ფრევილერთან და ფორბაკთან) საფრანგეთის ჯარების სამი დამარცხება აშკარად მითითებდნენ ნაპოლეონ III-ის არმიის სისუსტეზე პრუსიის არმიის წინაშე.

საფრანგეთ-პრუსიის ფრონტებზე საფრანგეთის ჯარების მდგომარეობა უარესდებოდა. საფრანგეთის ერთ-ერთი არმია მარშალ მაკ-მაჰონის მეთაურობით, რომელსაც ახლდა თვითონ იმპერატორი ნაპოლეონ III, ალყაშემორტყმულ იქნა სედანთან პრუსიელების მიერ. 2 სექტემბერს მან კაპიტულაცია გამოაცხადა: 82 ათასიანი არმია ოფიცრებითა და გენერლებით, იმპერატორ ნაპოლეონ III და მარშალ მაკ-მაჰონის მეთაურობით ტყვედ ჩაბარდა მოწინააღმდეგეს.

ცნობა სედანის სამარცხვინო კრახის შესახებ პარიზში მივიდა 2 სექტემბერს, საღამოს

თემცა მთავრობის წრეები შეეცადნენ დაეშალათ ეს მოსახლეობისათვის, მაგრამ შეუძლებელი გახდა. 4 სექტემბერს პარიზის ქუჩები დაიფარა მშრომელთა დემონსტრაციებით. ისინი მოითხოვდნენ იმპერიის დამხობას და რესპუბლიკის გამოცხადებას. ბურჟუაზიული რესპუბლიკელები შეეცადნენ დაესწროთ მუშებისათვის. ეივლე ფაერმა მიმართა სიტყვით რატუმის წინ თავმოყრილთ: გამოაცხადა მეორე იმპერია დამხობილად და ხალხის, მასების გავლენით, საფრანგეთი — რესპუბლიკად.

ტროშუ-ფაერის მთავრობას უფრო მუშათა კლასის ემინოდა, ვიდრე პრუსიის ჯარების, რომლებიც თითქმის წინამდებობის გარეშე სწრაფად მიიწვედნენ საფრანგეთის ცენტრალური რაიონებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ომი პრუსიის მხრიდან უკვე დაპყრობით ხასიათს ატარებდა, ხოლო საფრანგეთის მხრიდან — თავდაცვითს და საკირო იყო სამშობლოს დასაცავად ქვეყნის ყველა ძალების მობილიზაცია, გენერალ ტროშუს მთავრობა მზად იყო ბისმარკთან გარიგებაზეც წასულიყო, ოღონდაც კი ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა პარიზში.

კ. მარქსი წერდა: „პარიზის დაცვა შეიძლებოდა მხოლოდ მისი მუშების შეიარაღებით... მაგრამ პარიზის შეიარაღება ნიშნავდა რევოლუციის შეიარაღებას. პარიზის გამარჯვება პრუსიულ აგრესორზე იქნებოდა ფრანგი მუშის გამარჯვება კაპიტალიზმსა და სახელმწიფოებრივ პარაზიტებზე. იძულებული აერჩია ეროვნულ მოვალეობასა და კლასობრივ ინტერესებს შორის, ეროვნული თავდაცვის მთავრობა ერთი წუთითაც არ მერყეობდა — ის ვადაიქცა ეროვნული დაღატაკის მთავრობად“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწარმოებები, ტ. 1, გვ. 458. რუს.).

გენერალ ტროშუს მთავრობის მოღალატური პოლიტიკის შედეგად პრუსიის ჯარებმა დაიკავეს საფრანგეთის მნიშვნელოვანი ნაწილი,

ხოლო 1870 წლის 19 სექტემბერისათვის გერმანელთა 230 ათასიანმა არმიამ ალყა შემოარტყა პარიზს.

ოკუპირებულ რაიონებში გერმანელთა ადვირახსნილობას საზღვარი არ ჰქონდა. საფრანგეთის მოსახლეობა აღშფოთებული იყო როგორც ოკუპანტების თავზედობით, ისე საფრანგეთის მთავრობის უმოქმედობით. ფრანგი ხალხი თვითონ უწევდა წინააღმდეგობას ოკუპანტებს, სულ უფრო იზრდებოდა პარტიზანთა — თავისუფალ მსროლელთა (ფრანტირორ) რიცხვი. მიუხედავად გერმანელ დამპყრობთა სასტიკი რეპრესიებისა, ისინი დიდ ზიანს აყენებდნენ ოკუპანტებს.

საფრანგეთის სამხრეთ რაიონებში იქმნებოდა ახალი არმიები, პარიზში კი — მოხალისეთა ეროვნული გვარდია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მშრომელი მასების წარმომადგენლები.

ტროშკი-ფაერის მთავრობა იმდენად იყო შეშინებული მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობით, რომ მზად იყო რაც შეიძლება მალე გამოეხასა საერთო ენა გერმანელ ოკუპანტებთან და ამ გზით ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა დედამიწაქვე. 18-20 სექტემბერს ეიულ ფაერი შეხვდა ბისმარკს, რათა მოლაპარაკებოდა დაზავების შესახებ.

ამავე დროს, მარშალ ბაზენის არმიამ, რომელიც მეცში უმოქმედოდ იდგა; 27 ოქტომბერს კაპიტულაცია გამოაცხადა და მოწინააღმდეგეს ჩაბარდა. ყოველივე ეს აღშფოთებებს იწვევდა ფრანგ ხალხში.

ქვეყანაში შეიქმნა ისეთი ვითარება, როდესაც საფრანგეთის ეროვნული ინტერესების რეალური დაცვისათვის აუცილებელი იყო ბურჟუაზიული ხელისუფლების ლიკვიდაცია. მოწინავე პროლეტარულმა ელემენტებმა დაიწყეს კომუნის, როგორც რევოლუციური ხელისუფლების, შექმნის იდეის აგიტაცია.

კომუნას, როგორც მშრომელი მასების ხელისუფლებას, თავის თავზე უნდა აეღო ფრანგი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვა, ქვეყნის გათავისუფლება უცხოელი ოკუპანტებისა და ექსპლოატატორთა ბატონობისაგან; უნდა შექმნილიყო ისეთი წყობილება, სადაც ადგილი არ ექნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას. თუმცა, იმას, ვინც კომუნის შექმნას მოითხოვდა, არ ჰქონდა სრული წარმოდგენა კომუნაზე.

კომუნის შექმნის მოთხოვნებით გამოსვლეს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1870 წლის ოქტომბრიდან პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში. 31 ოქტომბერს ალყაშემორტყმული პარიზის მშრომელები შეეცადნენ ჩამოეგდოთ „ეროვნული თავდაცვის მთავრობა“, მაგრამ ეს გამოსვლა ცუდად იყო ორგანიზებული და ჩახშობილ იქნა.

მდგომარეობა პარიზში სულ უფრო გამძვინვარებულად იქცეოდა. მთავრობის რეპრესიებს ემატებოდა ეკონომიური სიძნელეები, პროდუქტების უკმარისობა: ხალხი ჰამდა კატებს, შინაარსის ყვავებს; ზამთარი სუსხიანი დიდგა (17-18 გრადუსი ყინვა), ხოლო ქალაქში არ იყო არც შუშა, არც ნახშირი. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ხალხი წინააღმდეგი იყო გერმანელების წინაშე კაპიტულაციისა და მზად იყო მთელი ძალეებით ებრძოლა მტრის წინააღმდეგ.

22 იანვარს პარიზში ბლანკისტების მეთაურობით მოხდა მეორე აჯანყება, მაგრამ ბლანკისტების მოწოდებას მხარი არ დაუჭირა ინტერნაციონალის პარიზის სექციამ, სადაც უმრავლესობა პრუდონისტები იყვნენ. ეს გამოსვლაც ჩახშობილ იქნა.

23 იანვარი ეიულ ფაერი გაემგზავრა ვერსალში, სადაც იქნა უკვე არა პროსიის, არამედ გერმანიის იმპერიის (რომელიც გამოცხადდა ვერსალის საკეცებიან დაბაზში 1871 წლის 18 იანვარს) კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი, რათა ეთხოვა დაზავება.

28 იანვარს საფრანგეთის მთავრობამ ხელი მოაწერა გერმანელ ოკუპანტებთან საფრანგეთისათვის მეტად მძიმე და დამამცირებელი ზავის პირობებს.

8 თებერვალს სასწრაფოდ ჩატარდა საფრანგეთის ეროვნული კრების არჩევნები; ამ კრებას უნდა დემტკიცებინა გერმანელ ოკუპანტებთან უკვე ხელმოწერილი წინასწარი საზავო ხელშეკრულება.

12 თებერვალს ბორდოში გაიხსნა ეროვნული კრების სხდომა. მეორე დღეს მან აირჩია აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურად ადოლფ ტიერი — შემდგომში პარიზის კომუნის ერთ-ერთი ჯალათი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრად კვლავ დარჩა ეიულ ფაერი.

26 თებერვალს ტიერი-ფაერის მთავრობამ ხელი მოაწერა ბისმარკთან ვერსალის საზავო ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების თანახმად საფრანგეთი უთმობდა გერმანიას ელზასს და ლორენსს, საფრანგეთს უნდა გადაეხადა 5 მილიარდი ფრანკი კონტრიბუცია; მის ვადაზედამდე საფრანგეთში რჩებოდა გერმანიის საოკუპაციო ჯარები, ხოლო საფრანგეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე — ოკუპანტთა ხელისუფლება. ამასთანავე საზავო ხელშეკრულების რატიფიცირებამდე გერმანელებს უფლება ჰქონდათ შეეყვანათ ჯარები პარიზში.

ეროვნული კრებამ მიიღო მთელი რიგი კანონი, რომელიც მიზნობრივად იყო ფრანგი მუშებისა და ხელოსნების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, და მძიმე ეკონომიური პირობებისა, პარიზის მუშები მთავარ საკითხად თვლიდნენ

ილია ტაბაღაძე

პარიზის კომუნის ასი. ფლისტაში

გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლას ჯერ კიდევ სექტემბრის რევოლუციის პირველსავე დღეებში პარიზის მოსახლეობამ შექმნა თავისი ორგანიზაცია — საოქლო (სარაიონო) სამეთვალყურეო კომიტეტები, რომლებსაც ირჩევდნენ პარიზის რაიონების სახალხო კრებებზე. თვითელი რაიონული სამეთვალყურეო კომიტეტისგან ირჩევდნენ ოთხ კაცს, რომელთაგანაც შედგა საერთო ორგანიზაცია — პარიზის 20 რაიონის (ოქლის) ცენტრალური კომიტეტი.

პარიზის დაცვის მიზნით ამ ცენტრალურმა კომიტეტმა ხელი მოჰკიდა მშობლივი მასების ეროვნული გვარდიის ბატალიონების შექმნას. 1870 წლის ოქტომბერში ასეთი ბატალიონები უკვე ითვლიდნენ 250 ათას კაცს. პარიზის მშობლივი მასებისაგან შეგროვილი თანხებით ჩამოსხმულ იქნა ქვეშევნები.

პარიზის მუშათა კლასის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელი ცენტრი გახდა ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი ანუ ეროვნული გვარდიის რესპუბლიკური ფედერაცია, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა 1871 წლის თებერვლის შუა რიცხვებში. იგი აერთიანებდა ეროვნული გვარდიის 270-დან 215 ბატალიონს.

27 თებერვალს პარიზის მუშებმა ქვეშევნები აიტანეს მონმარტრზე. პირველი ინტერნაციონალის პარიზის სექციამ და პარიზის 20 რაიონის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა ეროვნულ გვარდიას და პარიზის მოსახლეობას თავი შეეკავებინა გერმანელებთან შეჯახებისაგან.

1 მარტს გერმანელი ოკუპანტები შევიდნენ პარიზში, მაგრამ პარიზის ქუჩებში ცარიელი დახვდა. მოსახლეობას ბინები ჩაეკეტა, შუქი ჩაეჭრა, მაღაზიები და სახელმწიფო დაწესებულებები დაკეტოლი იყო წარწერით: „დაკეტოლია ეროვნული გლოვის გამო“. ჩაკეტულ კარს იქით იგარბნობოდა ფრანგი ხალხის ზიზღი და სიძულვილი გერმანელ ოკუპანტებისა და მათი ფრანგი დამქაშების მიმართ.

ამასობაში, ტერი-ფავრის მთავრობამ ბისმარკს ჩააბარა საფრანგეთის ეროვნული კრების მიერ რატიფიცირებული დაწვევის პირობები. გერმანელი ოკუპანტები ვერ გაჩერდნენ „მკედარ“ პარიზში, 3 მარტს ისინი გავიდნენ დედაქალაქიდან.

ამიოვად, ტერი-ფავრის მთავრობამ ვერ შეძლო ბისმარკის ხელით ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა პარიზში. მაშინ მიმართა ისევ საკუთარ ძალებს: გააძლიერა რეზერვისები, 10 მარტს მთავრობამ თავის რეზიდენცია გადაიტანა ვერსალში (20 კმ.-ზე პარიზიდან), გერმანელი ოკუპანტებისაგან დაიბრუნა 12 ათასი შაშხანა, რომელიც ამ უკანასკნელებმა ომის დროს ნადავლის სახით იგდეს ხელთ; გარდა ამისა, გერმანიის სარდლობამ საფრანგეთს დაუბრუნა ათეულ ათასობით სამხედრო ტყვე და მისცა

უფლება ტიერის ჯარებს გერმანელები მიერ ალყაშემორტყმულ პარიზში შესულიყვნენ.

მაგრამ არც პარიზის მუშათა ^{პარტიკულარული} უმოქმედოდ. რამდენადმე განახლდა და გაფართოვდა ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა. ასე, მაგალითად, 15 მარტს შექმნილ ცენტრალურ კომიტეტში შევიდნენ პირველი ინტერნაციონალის პარიზის სექციის წევრები: ე. ვარლენი, ა. შიი, ა. არნო, გ. რანეი, ე. დიუვალი და სხვ. შეიქმნა რევოლუციური კლუბები, სადაც ტარდებოდა ხალხმრავალი კრებები.

1871 წლის 17 მარტს დამით ტიერმა გაგზავნა თავისი ჯარები მონმარტრისაკენ, რათა ხელთ ეგდოთ ეროვნული გვარდიის არტილერია, რომლებიც მუშებმა თავიანთი თანხებით შეიძინეს, 18 მარტს დილის 3 საათზე მონმარტრზე მოულოდნელად გამოჩნდნენ ტიერის ჯარები და დაეუფლნენ ქვეშევნებს. მაგრამ ეს გაიგეს პარიზის მუშების ცოლებმა, რომლებიც დილით ადრე რიგების დასაკავებლად მიდიოდნენ მაღაზიებისაკენ. მათ სასწრაფოდ გადავიდნენ თავიანთი ქმრები და თვითონაც გასწიეს მონმარტრისაკენ. ვაიმართა ბრძოლა მთავრობის ჯარებსა და ეროვნული გვარდიის ნაწილებს შორის, რაც გადაიზარდა პარიზის მოსახლეობის სტიქიურ აჯანყებაში. მთავრობის ჯარისკაცები უხალისოდ იბრძოდნენ ეროვნული გვარდიის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში გადადიოდნენ ამ უკანასკნელთა მხარეზე. ამრიგად, ქვეშევნები შენარჩუნებულ იქნა და მონმარტრს კვლავ ხალხი დაეუფლა. აჯანყება მოედო პარიზის სხვა რაიონებსაც და შეუადრისათვის თითქმის მთელი პარიზი აჯანყებული იყო. ადოლფ ტიერი ფარდებჩამოშვებული ქარტით, დაცვის ქვეშ ვერსალში გაიქცა.

18 მარტი — სტიქიური რევოლუციის დღე, ითვლება პარიზის კომუნის დასაწყისად. „კომუნა წყარმომიშვა სტიქიურად. მას შეგნებულად და შეგნებულად არავინ ამზადებდა“ (ე. ი. ლენინი, თხზ. ტ. 17, გვ. 149).

აჯანყებულ პარიზში ძალაუფლება გადავიდა პროლეტარიატის ხელში; ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი. ეს იყო პირველი პროლეტარული მთავრობა, შეიარაღებული ხალხის ორგანი, რომელიც შეიქმნა ხალხის მასების რევოლუციური შემოქმედებით; ხალხის ინიციატივამ დააყენა იგი აჯანყებული პარიზის სათავეში. მაგრამ ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტს არ გააჩნდა მოქმედების ნათელი პროგრამა. საქმე ის იყო, რომ არც პარიზის მუშათა კლასი, არც ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი არ იყვნენ თეორიულად მომზადებულნი. კლასობრივი თვალსაზრისით ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი ძირითადად მუშების, ხელოსნებისა და აგრეთვე

წერილობრივადი ელემენტებისაგან შედგებოდა. პოლიტიკური თვალსაზრისით იგი მეტად ჭრელი იყო; მასში შედიოდნენ ბლანკისტები, პრუდონისტები, ნეოაიკობინელები და სხვ.

ტიერის ჯარებმა დატოვეს პარიზი. ეროვნული გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი სხდომები გადაიტანა რატუშაში, რომელზედაც აფრიალდა წითელი დროშა.

პარიზის აჯანყების გავლენით აჯანყებები მოხდა და კომუნა გამოცხადდა 23 მარტს მარსელში, 24 მარტს ლიონში, ნარბონში, ტულუზაში, 26 მარტს კრეზოში და ა. შ. მაგრამ ეს აჯანყებები მალე ჩაახშეს. ქვეყნის შესაძელი წაწილი ოკუპირებული იყო გერმანელების მიერ და ეს ხელს უშლიდა რევოლუციური მოძრაობის ვავრცელებას. ამრიგად, პარიზის კომუნამ ვერ მიიღო მხარდაჭერა პროვინციებიდან.

აიღო რა ხელისუფლება ხელში, პარიზის პროლეტარიატმა თავის წინაშე დაისახა ორი ამოცანა: ქვეყნის გათავისუფლება გერმანელი ოკუპანტებისაგან, ხოლო ფრანგი მშრომელების — კაპიტალიზმის უღლისაგან. მას უნდა დაეწვია ძველი სახელმწიფო მანქანა და დაეწყო ახალი ტიპის სახელმწიფოს აგება

ეროვნული გვარდიის ცენტრალური კომიტეტი შეუდგა სოციალ-დემოკრატიული ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მიმართული იყო ბურჟუაზიის წინააღმდეგ: გააუქმა სამინისტროები, ბურჟუაზიული არმია, პოლიცია და სხვ. მაგრამ არაფერი ვააკეთა იმისათვის, რათა მიეყენებინა გადამწყვეტი დარტყმა კლასობრივი მტრისათვის: არ დააბათილა ტიერის მთავრობის მინისტრები, ისინი თავისუფლად გაემგზავრნენ ვერსალში; ასევე წინააღმდეგობის გარეშე დატოვეს პარიზი და ვერსალისაკენ გაემართნენ ტიერის ჯარები და ეანდარმერა; მან არ შეუტია ვერსალს. ამით ხელიდან გაუშვა ინიციატივა; უარი თქვა შეტყვის ტაქტიკაზე, დაიკავა პასიური თავდაცვის პოზიცია და მოფიქრებისა და ძალების თავმოყრის საშუალება მისცა ვერსალში მოკალათებულ კონტრევოლუციურ ბურჟუაზიას.

ეროვნული გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავიდანვე განაცხადა, რომ ის ხელისუფლებასა და რომ მთავარ ამოცანად თვლის კომუნის არჩევნების ჩატარებას. მან დანაშაუნი ეროვნული გვარდიის მთავარარღლებად მუშა ე. დიუვალი; აფთუაქარი ედა, კავალერიის ყოფილი ოფიცერი ბრიუნელი და მისცა მათ გენერლები წოდება. 22 და 24 მარტს კონტრევოლუციონერთა გამოსვლები პარიზში ჩაქრობილ იქნა.

26 მარტს საყოველთაო საარჩევნო უფლებით ჩატარდა პარიზის კომუნის საბჭოს არჩევნები.

არჩეულ იქნა კომუნის საბჭოს 85 წევრი, მკედან 21 ბურჟუაზიულმა წევრმა მალე უარი თქვა საბჭოში დარჩენასა და იქ ^{გერმანულ-ბლანკისტების} შემოქმედებაზე.

28 მარტს, რატუშის წინ, გრევის მოედანზე და ახლომახლო ქუჩებში, ჩადაც თავი მოიყარა 200 ათასამდე კაცმა, სასწიგმო ვითარებაში გამოცხადდა პარიზის კომუნა — ეროვნული გვარდიის ცენტრალურმა კომიტეტმა ძალაუფლება გადასცა კომუნას.

16 აპრილს ჩატარდა კომუნის საბჭოს დამატებითი არჩევნები. არჩეულ იქნა კიდევ 22 წევრი.

პარიზის კომუნის საბჭოს წევრთა უმრავლესობა — 64 იყო მუშა ან მუშათა კლასის წარმომადგენელი. 30-ზე მეტი — პირველი ინტერნაციონალის პარიზის სექციის წევრები: ლ. ვარლენი, ლ. ფრანკელი, ა. ასი, ბ. მალიონი, ე. დიუვალი, შ. ლონგე, ე. პოტიე და სხვ. საბჭოში შედიოდნენ მოწინე ინტელექტუალის წარმომადგენლები: გ. კურბე, ე. ვიანი, გ. ფლურანსი, ე. ვალესი, ო. ფერმორელი, შ. დელეკლუზი და სხვ.

კომუნამ დაანგრია ძველი სახელმწიფო აპარატი და შექმნა ახალი, ბოლო მოუღო ბურჟუაზიულ პროლაპენტარიატს. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო გახდა კომუნის საბჭოს წევრთა საერთო კრება. კომუნამ გააერთიანა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები. სახელმწიფო საქმეების ხელმძღვანელობისათვის კომუნამ შექმნა 10 კომისია, რომლებიც ცალკეულ დარგებს განაგებდნენ: აღმასრულებელი, სახელმწიფო, საგარეო ურთიერთობის, ინსტიციის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა და საზოგადოებრივი უშიშროების, შრომის, განათლების, სურსათის საზოგადოებრივი სამსახურთა კომისიების (20 აპრილიდან კი დელეგაციების) სათავეში იდგნენ კომუნის მიერ არჩეული პირები. ვინც ნდობას ვერ გამოართულდა გამოწვეული იქნებოდა. სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასის ოდენობა ახლო უნდა ყოფილიყო კვალიფიციურებული მუშის ხელფასთან.

კომუნამ გააუქმა ძველი მღდმივი არმია და შეცვალა იგი ხალხის საყოველთაო შეიარაღებით — ეროვნული გვარდიით, ბოლო მოუღო პოლიციას და ბიუროკრატის, შეროლო მოხელეების არჩევა და გაათანაბრა მათი ხელფასი მუშის საშუალო ხელფასთან; ეკლესია გამოყო სახელმწიფოსაგან; შემოიღო უფასო სწავლება. სპეციალური დეკრეტი გამოსცა მუშებისა და მოსამსახურეების შრომის დაცვის შესახებ. ეკრძოდა, აქრძალა ღამით მუშაობა ფურნეებში; გააუქმა ქარბომების სისტემა; ჩაატარა მიტოვებული ან გაჩერებული ფაბრიკების, ქარხნების

ილია ტაბაღაძე

პარიზის კომუნის ასი წლისთავი

და სახელმწიფოს რეგისტრაცია და წარმოების განახლების მიზნით გადასცა ისინი მუშათა ამხანაგობას. მთელ რიგ საწარმოში დაამყარა სახელმწიფო და მუშათა კონტროლი.

კომუნამ გააუქმა ბინის ქირის დაუყოვნებლივ გადახდის წესი. აუკრძალა სახლის პატრონებს მობინადრეთა გამოასახლება ბინის ქირის გადაუხდელობის გამო. შეაჩერა დაგირავებული საქონლის გაყიდვა ლომბარდში და ვასცა განკარგულება დაებრუნებინათ მფლობელებსათვის 15—20 ფრანკის სახით ლომბარდში მიბარებული საქონელი. გამოყოფილ იქნა მილონანი ფრანკი ყველზე უფრო მძიმე პირობებში მყოფი ოჯახებისათვის. ეხებოდა რა კომუნის ამ ღონისძიებებს, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „წმინდა სოციალურ სფეროშიმან ცოტა რამის გაკეთება მოასწრო, მაგრამ ეს ცოტა რამე საკმაოდ სიცხადით ააშკარავეს მის, როგორც სახალხო, მუშათა მოთხოვნის სახით“ (ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 17, გვ. 152—153).

კომუნის აქტიური მონაწილენი იყვნენ ქალები: ლუიზა მიშელი, ნატალი ლემელი, ელიზავეტა დემიტრიევა-ტუმანოვსკაია, ანა პუსტოვიტოვა და სხვ. ლუიზა მიშელი ქალთა ბატალიონის ხელმძღვანელი იყო.

19 აპრილს ტიერის ჯარებმა დაიწყეს შეტევა კომუნარების წინააღმდეგ. 21 მაისის გერმანელი ოკუპანტების მხარდაჭერით და კომუნარების როგებში ლალატის შედეგად ვერსალელთა ჯარები შეიჭრნენ ქალაქში სენ-კლუს კარებიდან. მარშალი მაკსიმონი, სედანთან ომის წაგების დამნაშავე, ცდილობდა აქ სახელი გაეთქვა თანამებრძოლეთა ქელტაში. ტიერის ევონა, თუ კი მის ჯარები შეძლებდნენ ქალაქში შეჭრას, მაშინვე დაეუფლებოდნენ ქალაქს, მაგრამ ვერსალელები წააწყდნენ კომუნარების გმირულ წინააღმდეგობას. ქალაქი დღითი ბარიკადებოთ.

1871 წლის 27 მაისს მოხდა ვადამწყვეტი ბრძოლა კომუნარების მიერ გამაგრებულ გარეუბან ტამპლში და პერ-ლაშეზის სასაფლაოსთან; ხოლო 28 მაისს დაეცა კომუნარების უკანასკნელი პუნქტები პერ-ლაშეზის სასაფლაოსთან, რამპონის ქუჩაზე და მუშათა რაიონში ბელილიში. კომუნარებმა ბრძოლის ველზე დატოვეს 30 ათასი კაცი. 50 ათასი დაპატიმრებული იქნა. მათ შორის ათასზე მეტი ქალი, 650 ბავშვი. დაპატიმრებულებს თავი მოუყარეს ვერსალთან ახლოს — სატორში. ბევრი მათგანი იქვე დახვრიტეს, სხვები გაასამართლეს და გადაასახლეს ზღვის გაღმა ტერიტორიებზე.

ასე დაეცა პარიზის კომუნა — 72 დღის განმავლობაში არსებობისა და მოღვაწეობის შემდეგ.

პარიზის კომუნამ და კომუნართა გმირულმა ბრძოლამ ფართო გამოხმობურება პპოვა მოწინავე ქართულ საზოგადოებაში. გაზეთი „დროე-

ბა“, ეურნალები „ქრებელი“ და „მნაობი“ ფართოდ აშუქებდნენ მასალებს პარიზის კომუნის შესახებ. გაზეთმა „დროებამ“ 1871 წლის 6 აპრილს სპეციალური ნომერი გამოქვეყნა რიზის კომუნის გამოცხადებას. 23 მაისს იმავე გაზეთმა დაბეჭდა კომუნარი ქალების მიერ გამოქვეყნებული პროკლამაციები. ქართულ პრესაში ქვეყნდება კომუნის პროკლამაციები, მოწოდებები, დეკრეტები. პარიზის კომუნის შესახებ წერდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ნ. ლომოური, დ. ერისთავი და სხვ. კომუნარებს ლექსები მიუძღვნეს ი. ჭავჭავაძემ, ა. ფურცელაძემ, გ. ჰალადიდეშმა, ნ. ლომოურმა. ზაქარია ჭიჭინაძე მიუთითებდა პარიზის კომუნის იდეების გავრცელებაზე თბილისის მუშათა წრეებში. აღმოჩნდნენ მოხალისეებიც, რომლებსაც უნდოდათ წასვლა პარიზში და ბრძოლაში მონაწილეობის მიღება.

პარიზის კომუნარებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ და მუშათა კლასის საქმეს თავი შესწირეს ქართველი ხალხის შვილებმაც. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ორი ქართველი — ბავარტონი და ფავლენიშვილი, რომლებმაც თავი შესწირეს კომუნის საქმეს. პ. ა. პავლენკო თავის „ბარიკადებში“ მოხსენიებული ჰყავს პარიზის კომუნის ერთ-ერთი სარდალი — ლა სესილია, რომელიც „სახით და გარეგნობით ძალიან ჰგავდა ქართველს და სერიოზულად ამბობდა, რომ მისი შშობლებიც ატარებდნენ სისელიას გვარს და წარმოშობით იყვნენ გურიელები“.

ნ. ნიკოლაძე, რომელიც 1863—1871 წწ. ცხოვრობდა ევროპაში და მათ შორის საფრანგეთშიც, პარიზის კომუნის დროს იმყოფებოდა საქართველოში. მაგრამ ვაგიო თუ არა კომუნის გამოცხადების შესახებ, მაშინვე გაემგზავრა საფრანგეთში. როცა პარიზში ჩავიდა, კომუნა უკვე დამარცხებული იყო. მან ინახულა კომუნარების ბრძოლის ადგილები, მათი სასაფლაოები და გვირგვინით შეამკო ქართველ-კომუნართა საფლავები.

ქართველმა მოწინავე საზოგადოებრიობამ მძიმედ განიცადა პარიზის კომუნის დამარცხება. ი. ჭავჭავაძემ თავის ცნობილ ლექსში — „1871 წელი, 23 მაისი“, შემდეგნაირად გამოხატა ქართველი მოწინავე საზოგადოების დამოკიდებულება პარიზის კომუნის დამარცხებისადმი:

ტიერთმომით და მამვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...
კვლავ ქვეყნისა მჩაგრაჲ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

საკითხს „პარიზის კომუნა და ქართველი საზოგადოება“ შეეხო ბევრი ქართველი ავტორი: ზ. კვიციანიძე, ს. ხუნდაძე, გ. ქიქოძე, გ. ჯიბლაძე, მ. ზანდუკელი, პ. გუგუშვილი, ვ. ზამბახიძე, გ. აბზიანიძე, ნ. ნიკოლაიშვილი, ს. ხუციშვილი, ვ. დონაძე, ლ. ტბანიძე, გ. კილურაძე და სხვ.

პარიზის კომუნა მუშათა საერთაშორისო მოძრაობის საუკეთესო ნიმუშია. კ. მარქსი, რომელიც პარიზის კომუნის პერიოდში ლონდონში იმყოფებოდა, მაღალ შეფასებას აძლევდა პარიზის კომუნის ისტორიულ მნიშვნელობას. იგი კომუნარებს აძლევდა რჩევა-დარიგებებს, მიუთითებდა შეცდომებზე.

პარიზის კომუნა, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, „ბრწყინვალე ნიმუში აღმოჩნდა იმისა, თუ როგორ ერთსულოვნად შეუძლია პროლეტარიატს იმ დემოკრატიული ამოცანების განხორციელება, რომელთა მხოლოდ გამოცხადება ემარჯვებოდა ბურჟუაზიას“ (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 13, გვ. 600).

„მაგრამ, — წერს ვ. ი. ლენინი, — ორმა შეცდომამ დალუბა ბრწყინვალე გამარჯვების ნაყოფი. პროლეტარიატი შეუგზავნე შეჩერდა: ნაცვლად იმისა, რომ დაეწყო „ექსპრობრიატორთა ექსპრობრიაცია“, იგი გაიტაცა ოცნებამ — უმადლესი სამართლიანობა დაემკვიდრებინა საერთო-ნაციონალური ამოცანით გაერთიანებულ ქვეყნებში; მაგალითად, ისეთ დაწესებულებებს, როგორც არის ბანკი, ხელი არ ახლეს... მეორე შეცდომა იყო პროლეტარიატის ზედმეტი სულგრძელობა: საჭირო იყო მას მოესპო თავისი მტრები, ის კი ცდილობდა მორალური ზეგავლენა მოეხდინა მათზე... ნაცვლად იმისა, რომ ვერსაღზე გადამწყვეტი შეტევით დაეგვირგვინებინა თავისი გამარჯვება პარიზში, იგი აყოვნებდა, ვერსაღის მთავრობას დრო მისცა შეეცრება ბნელი ძალები და მომზადებულიყო მაისის სისხლიანი კვირისათვის“ (იქვე, გვ. 600—601).

კომუნის ხელმძღვანელობა საკმაოდ უკრძაღვლესად არ აქცევდა ტიერის აგენტების მოქმედებას კომუნის წინააღმდეგ. მხოლოდ უკრძაღვლესად არსებობის უკანასკნელ დღეებში უშიშროების ორგანოებმა დახვრიტეს 70 აქტიური კონტრრევოლუციონერი; გვიან დახურეს კონტრრევოლუციური გაზეთები პარიზში.

პარიზის კომუნა იყო პროლეტარიატის დიქტიტურის პირველი ფორმა, ახალი ტიპის სახელმწიფო. იგი „იყო პროლეტარიატის პირველი, სახელოვანი, გმირული, მაგრამ მაინც წარუმატებელი ცდა — შეებრუნებინა ისტორია კაპიტალიზმის წინააღმდეგ“ (ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 10, გვ. 255).

პარიზის კომუნის პერიოდში მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ შევიდა ახალ ფაზაში: პროლეტარიატი პირველად გახდა რევოლუციის ჰეგემონი და ერის ხელმძღვანელი ძალა; მან პირველად აიღო ხელში ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული თავისუფლების დაცვის დროშა.

პარიზის კომუნა დამარცხდა, მაგრამ მისი ხსოვნა მუდამ დარჩება მსოფლიოს მშრომელი მასების გულში. საფრანგეთში, მაისის უკანასკნელ კვირას პარიზის მშრომელი მასები მართავენ საზეიმო-სამგლოვიარო სვლას კომუნარების კედლებისაკენ პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, სადაც დახვრიტეს კომუნის უკანასკნელი დამცველები, რათა გვირგვინებით შეაყონ ის ადგილები.

პარიზის კომუნის ისტორიულმა მაგალითმა დაუფასებელი სამსახური გაუწია მუშათა კლასის საერთაშორისო მოძრაობას, ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლუციას რუსეთში, სადაც რუსეთის პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიისა და ვ. ი. ლენინის მეთაურობით ფრთები შეასხა პარიზის კომუნის იდეებს და შექმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო.





ცნობილ ქართველ პოეტს ქალთა მაცვალა მრევლიშვილს 60 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „ცისკრის“ სარედაქციო კოლეგია და მისი მრავალათასიანი მკითხველი სულითა და გულით ულოცავს პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებას ჩვენი ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ.

ფიქრია ზანდუკელი

ფოლკლორული ტრადიციის მაცვალა მრევლიშვილის საგანგებო პოეზიაში

მაცვალა მრევლიშვილის საყმაწვილო პოეზიაში ხალხური ტენდენციები მრავალი კუთხითა და ასპექტით ვლინდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: 1. თემისადმი მიდგომის ხალხური ტრადიცია. 2. ზეპირსიტყვიერებისათვის ნიშანდობლივი თემატიკის გამოყენება. 3. ეროვნული ფოლკლორის ცალკეული სახეების, ფორმების მოშველიება.

პოეტი ქალი თანამედროვე ყოფის ასახვისას ხშირად მიმართავს ზეპირსიტყვიერებას და უახლოესი მოვლენების დახასიათებისას გარკვეულად იჩენს ფოლკლორულ თვალთახედვას. ჩვენ ამ ტერმინს ფართო და საუბრეთუხო მნიშვნელობით ვხმარობთ. მას არაფერი აქვს საერთო თანამედროვე ცხოვრების გაზღაპრებასთან, ჩვენი ყოფის ირაციონალური ელემენტებით აღჭურვასთან. დიახ, მაცვალა მრევლიშვილისათვის უცხო როდია ფოლკლორული ხილვა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პერსონიფიკაციას, უჩვეულო მოვლენის ჩვეულებრივი ელფერიით წარმოდგენას, კომპოზიციურ მოულოდნელობებს და ხსენა ანალოგიურ ატრიბუტებს.

წინამწარ უნდა ითქვას, რომ პირველი ორი ნიშნის (პერსონიფიკაცია, კომპოზიციურობა) და საერთოდ ფოლკლორული ელემენტების შეტანა ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი საბავშვო ლიტერატურაში, ფრიად მომგებიანია. როგორც ცნობილია, ხასიათით ბავშვთა ბუნება, ფსიქოლოგია ყველაზე უკეთესად იწყობა რომანტიკულსა და ზღაპრულს. ყმაწვილი თავისი ბუნებით უჩვეულობისაგან, განსაკუთ-

რებულობისაგან ისწრაფვის და აი, ფოლკლორულ ნაწარმოებებში მოცემული ეს თვისებები მისი სულიერი მიდრეკილებების, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას იწვევს. ამრიგად, სწორად იქცევა პოეტი ქალი, როდესაც თავის საყმაწვილო ლექსებში უხვად შემოაქვს ფოლკლორული ნიშნები და ელემენტები. გავიხსენოთ, თუნდაც, „სახალწლო“, ლექსში ცხოველებს მიწერილი აქვთ ადამიანთა თვისებები, მაგრამ ისე ლამაზად, რომ პატარები გაცივებასა და სიხარულს ეურ მალავენ, ამასთან, ცხოველებს შენარჩუნებულ აქვთ მათი ზოგადი თვისებები. მთავარი ისაა, რომ ცხოველთა ადამიანების როლში გამოსვლა, ადამიანური თვისებებით წარმოსახვა მსუბუქ იუმორს ბადებს; სპილო მეკვლეა, ხორთუმით ჩიჩილას ეზიდება, მას პილოტად მტრედი უზის, ჯქლეში კაკალს ამტრევეს, ციყვი თხილს არჩევს, დათვი თავის დასტრიალებს და ა. შ. ანალოგიურ შემთხვევაში იქმნება საშიშროება, რომ პერსონიფიკაციით გატაცებულმა მწერალმა არ დაუკარგოს ცხოველებს თავიანთი თვისებები. საბედნიეროდ, მაცვალა მრევლიშვილთან ეს საფრთხე მოხსნილია. გავიხსენოთ კატის საქმიანობა:

...კატამ ყველი მოიხელა,
ხაჭაპურებს აცხოხს,
სამ ცალს თვითონ შეეცევა,
ორს თაროზე აწყობს...
აებრაწა ლოყა,
თათი გაილოყა...

ბავშვების საყვარელ ფისუნას ემშავეური, ხარბი თვისებები კარგადაა შემინული, როგორც ვთქვით, ამავე ლექსში პიპერბოლოზაციის საუკეთესო ნიმუშებიცაა მოცემული. აქლემი კაკალს ამტვრევს, ხოლო კაკაქანი საარყე ქვაბში გოზინაყს ხარშავენ და ა. შ. ყოველივე ეს მოხარდების ალტაცებასა და მხიარულებას იწვევს. რადგან საანალიზო ლექსი მყავალა მრევლიშვილის შემოქმედებითი სტილის ტიპური ნიმუშია, ამდენად აქვე მის სხვა მხარეებსაც შევხებით. ავტორი ოსტატურად ახერხებს ნაწარმოებში ზღაპრულისა და თანამედროვეობის შერწყმას. ლექსში ცხოველების გვერდით ჩვენი ტემპიკის ყველაზე საუკეთესო გამოხატულება „ტუ-104“-ც ჩანს. თუ, ერთი მხრივ, ზღაპრი დახვავს და დათვი დაბავჯავებს, მეორე მხრივ, ცხოველები ტელეგრაფებს აგზავნიან. სწორედ ამ ორი კომპონენტის — თანამედროვეობისა და ზღაპრულის მოხერხებული დაკავშირება ქმნის ლექსის არა მარტო დიდ შემეცნებით ღირებულებას, არამედ საშურ ესთეტიკურ ვაცდასაც. „სახალწლო“ საყურადღებოა იმიტად, რომ მასში თვალსაჩინოდ არის გადმოცემული სწორედ ის მძაფრი და მხიარული ფაქაფუცი, რაც სახალწლო სამზადისისათვის არის ნიშანდობლივი. თვით ამბის, მოვლენის ხასიათიდან გამომდინარე ლექსში იქმნება დაძაბული სიტუაცია, მჩქვფარე რიტმი და მიმზიდველი ვადასვლები. ავტორი ცდილობს ჩანაფიქრს მოუძებნოს ყველაზე ადექატური ფორმა. როგორც ცნობილია, მოვლენის ხასიათი მოითხოვს შესაბამის რიტმს. სწორედ ეს ვარეობება საუკეთესოდ აქვს შეცნობილი მყავალა მრევლიშვილს. მან კარგად იცის, რომ მწყლუ, მარტივი წინადადებით, მომდევნო სტრიქონების ვარიანებით ვარეგნულადაც იქმნება შინაარსის შესაბამისი ვანწყობილება. დაუუკვირდეთ შემდეგ სტრიქონებს:

... დათვა — თაფლი,
წავმა — წაბლი,
ზღარბმა — ვაშლი,
მელამ — ნუში,
შოშიებმა — ფელამუში...

აქ უკვე არაჩვეულებრივად დაძაბული, ჩანჩქერისებური ვადასვლაა. გეხილავს საღეკსო სტრიქონთა სისადავე. ტაეპი ოთხმარცვლოვანია, უკიდურესად შეკუმშული, იმდენად შემპიკირებულნი, რომ შემსაქმენელიც კი ტირითი არის ვამოხატული. სტროფს ქმნის ორი ტაეპი, ისინი ურთიერთშერითმულია, თავისთავად რითმითა სწრაფი მონაცვლეობა ხდება და ეს კიდევ უფრო აძლიერებს სათანადო ვანწყობილებას. სხვა ადგილას საგანგებოდ შევჩერდებით ფოლკლორული ცალკეული სახეების თუ ფორმების ვამოყენებაზე პოეტი ქალის შემქმედეებაში, მაგრამ ამჯერად ხსენებულა

ლექსის ანალიზისას გვერდს ვერ ავუვლით ზემომოყვანილი ციტატის ერთ საღეკსო მხარეს. ტექსტი „დათვა — თაფლი, წავმა — წაბლი? და ა. შ. რიტმული და კომპოზიციური თვალსაზრისით ვარევეულად იწვევს პოეტულარული საბავშვო ხალხური ლექსის „თხამ ვენახი შექამას“ ასოციაციებს და, რაც მთავარია, ამ შემთხვევაში ოდნავადაც არ არის ვაუფასურებელი და დაკნინებელი ხალხური შემოქმედების ეს საუკეთესო ხერხი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი საუცხოოდ არის ჩასმული ნაწარმოების მთელ ადნავობაში და ვამომდინარეობს შინაარსის სპეციფიციდან. სწორედ ეს ვარეობება ვანსაკუთრებით ხაზგასამულია და აღსანიშნავი. მყავალა მრევლიშვილთან ხალხური ელემენტების ვამოყენება არანდროს არ არის თვითმიზნური, ისინი კიდევ უფრო უწყობენ ხელს ჩანაფიქრის მკითხველუბამდის ნათლად მიტანას, ნაწარმოების შემეცნებითი, იდეური თუ მხატვრული ღირებულების ზრდას საანალიზო ლექსში მოხდენილად არის ვამოყენებული ავრეთვე ხალხური თქმები, ანდაზები, რომელთა დახმარებითაც კიდევ უფრო თვალსაჩინოდ არის წარმოჩენილი იდეა. ვარეველებული ხალხური თქმა — „ახნაურის სტუმრობაო, ნუ გვონია ხუმრობაო“, პოეტმა ქალმა თავისებურად ვადააყეთა. ფიქსირებულ ანდაზაში თვალსაჩინოდ ირეკლება ძველი სოვადღებრივი წყობის უკანონობა. მასში ხაზგასმულია, ერთი მხრივ, შეძლებული კლასის სიმძლავრე, სიმკაცრე, ხოლო, მეორე მხრივ, დაბეჩავებულთა მძიმე მდგომარეობა. მ. მრევლიშვილმა სწორედ ეს სოციალური დატვირთვა და იდეური დამუხტვა შეცვალა. პოეტმა ოსტატურად ვამოყენა ადგილსაქმენელი ფორმა და მასში სრულიად ახალი შინაარსი ჩადო, საბჭოთა ეპოქის სუნთქვა შემოიტანა, რაც არა მარტო ტექნიკურ მომენტზე მინიშნებით ვამოიხატება, არამედ ამაღლებული ვანწყობილების ფიქსაციაშიც. ხალხური ანდაზის პოეტისეული ვარიაცია — „ვერტმფრენების სტუმრობაო, ნუ გვონია ხუმრობაო“, ახლებური შინაარსით ვამოიყურება, აძლიერებს პათოსს, პიპერბოლოზაციას შევლის და ამით კიდევ ერთი საინტერესო შტრიხით ამდიდრებს ნაწარმოებს.

მყავალა მრევლიშვილის, როგორც შემოქმედის, ერთ-ერთი თავისებურება სწორედ საგნებისადმი ფოლკლორული მიდგომაა.

ზეპირსიტყვიერებაში საქმაოდაა ვარეველებული მხატვრული ხერხი, რომლის არსი მოვლენისადმი შეუძლებელის, შეუფერებელის მიწერაში მდგომარეობს, ვანსაკუთრებით ცხოვე-

ფიქრისა ზანღუაელი
ფოლკლორული ტრადიციისა მყავალა მრევლიშვილის საბავშვო კოეჩინაში

ლებთან დაკავშირებულ თხზულებებშია გამო-
ყენებული, ნიმუშისათვის „საბარლო დედაბრის-
სისა“ გამოგვადგება. მაყვალა მრევლიშვილი მა-
რჯვედ იყენებს ამ ნაცად ხერხს და ბრწყინე-
ლე შედეგსაც აღწევს:

ქისა,
ქისა
ბარაქისა,
თქმა ვინ იცის
არაქისა.
ცაში გალობს
კურდღელი,
ხოჭოს ადგას უდელი,
ხეზე დახტის
იხვი,
ნიჩბებს უსვამს
ციყვი,
წიგნს კითხულობს
კალმახი,
არ სჭირდება
კარნახი.

ეს ნაწარმოები იმიტია საყურადღებო, რომ
ცხოველებს მიუთვინებელი აქვთ ისეთი თვისე-
ბები, რომლებიც სინამდვილეში მათთვის ძა-
ლიან შორეული და შეუფერებელია. მაგრამ
ეს გარემოება ოდნავადაც არ იწვევს პატარების
სკეპტიციზმს და ირონიულ ღიმილს ავტორის
მისამართით. მართალია, ციყვს არ შეუძლია
ნიჩბის მოსმა, კალმახს წიგნის კითხვა ან კურ-
დღელს ცაში გალობა, მაგრამ როდესაც ეს თვი-
სებები შეგნებულად, გარკვეული ჩანაფიქრით
მიუწერება პერსონაჟს, მაშინ მხატვრული ნა-
წარმოების მთლიანობისა და რეალურობის გან-
ცდა სრულიადაც არ ირღვევა. ავტორი ამ შე-
მთხვევაში ძალზე საინტერესო გზას მიმართავს:
გვერდიგვერდ ათავსებს ორ ცხოველს და
მათა ურთიერთთვისინის გადატანა-აღრევას შე-
გნებულად იძლევა. ამით, რა თქმა უნდა, ერთი
მხრივ, ხაზს უსვამს „ცოცხალი ტყუილის“ ციყ-
ლის ნაწარმოებთა არსს, ხოლო, მეორე მხრივ,
იშასაც მიგვანიშნებს, რომ ანალოგიური გზა
შეგნებულადაა არჩეული. დავუკვირდეთ შემ-
დეგ ადგილს:

ხეზე დახტის იხვი,
ნიჩბებს უსვამს ციყვი...

როცა ავტორმა იხვი და ციყვი პარალელურ
ხაზზე მოათავსა და მათი „თვისებები“ აღნი-
შნა, ამით პატარების შემეცნება სრულიადაც
არ დააყინა და ძირითად ჩანაფიქრსაც კარგად
მიადრია. ლექსი იწვევს ღიმილს, რაც მოტივი-
რებულია ცხოველის უჩვეულო როლში გამოს-
ვლით და, აქედან გამომდინარე, იმის გათვალის-
წინებითაც, რომ მან მარცხი უნდა განიცა-

დოს, რადგან „სუბსტანტურობის“ ესწრაფვის,
ანალოგიური ხასიათისაა აგრეთვე ლექსი „კო-
ლო მოდის გაბერილი“. ნაწარმოებში ^{გამოყენებული}
სოღაა წარმოდგენილი ფოლკლორული ხედვის
ორი ასრებითი მხარე. ჯერ ერთი, პერსონიფი-
კაცია, მეორეც, პიბერბოლიზაცია. გავიხსენოთ
ტექსტი:

კოლო მოდის გაბერილი,
თოფი მოაქვს გატენილი,
ქინქლას უფხარა: — სახლიკაცო,
ცხენი უნდა გავიტაცო!..
ცხენმა კული გაჰყრა,
კოლო სულ მთლად გაჰრა.

აღნიშნული მოქმედება, რა თქმა უნდა, ნი-
შანდობლივი არაა კოლოსათვის, მაგრამ თუ პო-
ეტმა სახელდობრ კოლო აირჩია ფიქსირებული
განწყობილებისა და სურათის საჩვენებლად,
ეს იმიტომ, რომ ამ უქანასკნელში მან ანალო-
გიური ტენდენციების გამოხატვლობითი ელემ-
ენტები შენიშნა. კოლო გამუდმებით ბუფის,
წიწინებს და შიში ეს გაუთავებელი ფუსფუსი
გარკვეულად მხანიშნებელია იმისა, თითქოს იგი
მუდამ საქმიანი და ბევრი რამის შემძლეა. კო-
ლოს რეალური თვისება გახვიაღებული სახით
უკავშირდება აღწერილ სურათს, მაშასადამე,
თითქოს მისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო
ცხენის გასატაცებლად წასვლა. როგორც ვხე-
დავთ, პოეტმა დაიპირა შინაგანი ძარღვი, რომ-
ლის მიხედვითაც მოახდინა პერსონიფიკაცია.
ხალხური შემოქმედებისაგან განსხვავებით,
ამ ლექსში ერთი საინტერესო დეტალიც შეინიშ-
ნება. ფოლკლორში პერსონიფიკაციის პრინცი-
პი თავიდან ბოლომდე გასდევს ნაწარმოებს
და შინაგანი გარდატეხისა თუ მხილების ფაქ-
ტები იგნორირებულია. „საბარლო დედაბრისა-
ში“, თავიდან ბოლომდე ერთი განწყობილება
მიმდინარეობს, თავნი ყანას მჭიან, ლომნი უგ-
რიხენ ულოს, ირემნი ძანას ჰყრიან, ლომნი შეკ-
ეკებენ კეკრებს“ და ბოლოს, „ერთად
სმენ, ერთად სჭამენ, ლხინობენ, პარალელს დას-
ძახიანო“. მთელ ლექსში არსად არ არის მი-
ნიშნება იმისა, რომ ეს რეალობა არ არის, რომ
უქანასკნელ წუთებში მთელი შენათხზი დაინ-
გრევა, მაყვალა მრევლიშვილთან კი საპირის-
პირო გზა არის შერჩეული:

ცხენმა კული გაჰყრა,
კოლო სულ მთლად გაჰრა.

ეს, ნაწილობრივ, მოტივირებულია ავტორის
კონკრეტული ჩანაფიქრით და თვით ლექსის ში-
ნაგანი პათოსით. მწერალ ქალს სურს სწორედ
კოლოს ტრაბახი და ბაქიობა გვიჩვენოს და რომ
ეს უფრო რელიეფური იყოს, მიმართავს ბო-
ლო ფრაზებს. ანალოგიური ხასიათისაა აგრე-
თვე მ. მრევლიშვილის ლექსი „ტელევიზორი“:

პოეტი საუცხოოდ უკავშირებს ერთმანეთს ზღაპრულსა და თანადროულს. ეს ხერხი გამო-
 ზნულია იმისათვის, რომ ლექსში რეალურობის,
 თანამედროვეობის შეტანით პოეტმა მკი-
 თხველში გამოიწვიოს უშუალოა, დაინტე-
 რესება. ცნობილია, რომ ბავშვი უფრო ახ-
 ლოს იმდის ისეთ საგნებთან, რომელთაც იგი
 იცნობს და ვარკვეულ რეაგირებასაც ახდენს,
 მეორე მხრივ, ზღაპრულს შეტანა ამ ლექსში
 აძლიერებს წარმოსახვას, ფანტაზიასა და
 ინტერესს. მელაკულის ტელევიზორთან მივლინა,
 ეკრანზე ჩიტების აფრენა, მსუნჯე მელაკულების
 იმედგაცრუება პატარებში იწვევს მზიარულ გან-
 წყობილებას.

მრავლი მავალითის მოტანა შეიძლება მავა-
 ლა მრევლიშვილის შემოქმედებიდან, რომლებ-
 ეიც ძალზე რელიგიურად წარმოსახვენ პოეტის
 ქალის მიერ ფოლკლორული ხატისა თუ გან-
 წყობილების ჩვენებას, ყველა მათგანში მავა-
 ლა მრევლიშვილი შეგნებულად მიმართავს
 ფოლკლორულ ხატს, რათა მეტი ბუნებრიობა,
 სიტყვით და შთამბეჭდაობა მიანიჭოს ნა-
 წარმოებს.

არააჩვენებ საინტერესოა მავალა მრევლიშვი-
 ლის მიერ ზეპირსიტყვიერების თემების გამო-
 ყენება და თანამედროვე ყოფის ფოლკლორულ
 სიტუეტში მოქცევის შემთხვევები. ყურადღე-
 ბას ვამახვილებთ „ქანჭიკელს თავგადასავალ-
 ზე“. ამ ნაწარმოებში ავტორი იყენებს საყო-
 ველთაოდ ცნობილ ზღაპრულ სიტუეტს გველე-
 შაბის მიერ წყლის დაკავების, მზემჭაბუკისაგან
 გველეშაბის მოკვლისა და ხალხის გათავისუფ-
 ლების შესახებ. პოეტი არა მარტო საერთო
 თემატიკას, სიტუეტის განვითარების ძირითად
 ხაზს მიჰყვება, არამედ ცალკეულ დეტალებ-
 შის ძლიერ ენათესავება ხალხურ შემოქმედე-
 ბას. მყავალა მრევლიშვილის სიძლიერე სწო-
 რედ ისაა, რომ ძირითადი იდეა, კეთილისაგან
 ბოროტის ძლევა, რაც ნიშანდობლივია არა
 მარტო ზეპირსიტყვიერებისათვის, არამედ მსო-
 ფლიოს პროგრესული ლიტერატურისათვისაც,
 შეესებულ და გადამუშავებულია ახალი ყო-
 ფის, თანამედროვე ცხოვრების ძირითადი პა-
 თისის გათვალისწინებით. ქანჭიკელა რკინის
 ბიჭია, ხის რაშით ზესენელში აჭრება. მის შუ-
 მსუნებს ერთ-ერთი ვარსკვლავის კლდი ემსხ-
 ვებრალება. დედა ვარსკვლავი უტევს გვირს:

...აქ ყოჩაღობ ვარსკვლავებთან,
 წადი, სცადე თუ ბიჭი ხარ
 ტაიფუნთან გამკლავება,
 აბა, შესძელ დაიხსენი
 ხალხი უჩინმარინელი,
 ყმწვილობს რომ უწიოკებს
 გველეშაბი საშინელი...

ანალოგიურ სახეს ქართულ ზღაპრებში ხომ
 ხშირად ვხვდებით. დედაბერი, რომელსაც კო-

ქანჭიკელს პატარა გვირი, მას საგმირობა-
 ფათერაყო საქმეებზე აგზავნის. ქანჭიკელს,
 ისე როგორც ზღაპრული მზემჭაბუკი, გველეშაბ-
 თან საბრძოლველად მიიღის. მიაღწევს ქანჭიკელს
 პლანეტას და აქაც ზღაპრულ დეტალის გან-
 მეორება — მოხუცს შვილიშვილი შესწავრად
 მიჰყავს. ისმის ხალხის გულშემოზარავი ხმა
 „წყალი გვინდა, რაღას უტედი“. მიყვებით
 პოემას და კიდევ ფოლკლორულ სიტუეტისათ-
 ვის ნიშანდობლივი მომენტი — გველეშაბის
 და მზემჭაბუკის შეხება. ანალოგიები კვლავ
 გრძელდება. გველეშაბი ქანჭიკელს თავის ბე-
 დაურიანად გადაყლაპავს, მაგრამ, როგორც
 ზღაპარში, ეს რკინის ბიჭი თავს აღწევს გვე-
 ლეშაბის მტეელს და იმარჯვებს კიდევ. ხალხს
 უბრუნდება წყალი და მაღლიერი ადამიანებიც
 სიყვარულით ავილებენ ქანჭიკელს დედაში-
 წისაგან. შეიძლება აქ დამთავრებულიყო პოე-
 მა, მაგრამ ხალხური ზღაპრების ანალოგიით
 ნაწარმოებში კიდევ რჩება ახალი სიტუეტური
 ხაზი. ზღაპართა მსგავსად პოეტი მიზნად ისა-
 ხავს გვირის დამსახურებისა და ვაყაიციობის
 უფრო მეტ ხაზგასმას. ქანჭიკელს აცნობენ.
 რომ ზღვაში ბოროტ კარებს ცენწია ჰყავს
 დატყვევებული. მას ველო მიუწევს ახალი სა-
 გმირო საქმეებისაგან. ძია შიოს დახმარებით
 ქანჭიკელა ჩაღის ქვეყნელში, გახსნის ცხრა-
 კლიტულს და ათავისუფლებს კვანწისა. მოთხ-
 რობლი თავგადასავალი თვალნათლივ მტყყვე-
 რებს ქანჭიკელს მოქმედების ზღაპრულ ელ-
 ფერზე. ზღაპრულ ელფერს კიდევ უფრო ამყ-
 ვებთებს ერთი შტრიხი. ხალხური ზღაპრის
 მთავარი პერსონაჟი, როგორც წესი, მიზნს
 ყოველთვის ძმობილის ან მეგობრის შემწეო-
 ბით აღწევს. მყავალა მრევლიშვილმა ეს გა-
 რემონტაც გაითვალისწინა და ქანჭიკელს კი-
 ცო დაუმეგობრა. კიყო ახალი ფათერაყების
 საქმენულად მიჰყვება მას და ქვეყნელში შე-
 გურობს. მყავალა მრევლიშვილმა გვირობისა
 და ვაყაიციობის მოტივი თანამედროვე ცხოვ-
 რების ფონზე ვაშალა. პერსონაჟს ახალი თე-
 მები მიაწერა და ნაწარმოების საერთო პა-
 თისი კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა. მხედვე-
 ლობაში გვაქვს ორი მომენტი: 1. თანამედროვე
 ახალგაზრდის თვისებათა ხაზგასმა და 2. თანა-
 მედროვე ცხოვრების ამსახველი კონკრეტული
 რეალობის წინა პლანზე წამოწევა.

„ქანჭიკელს თავგადასავალში“, ისე რო-
 გორც ხალხურ ზღაპარში, გვირი არა მარტო
 მზეთუნახავს ათავისუფლებს, არამედ აურაცხ-
 ელ სიმდიდრესაც პოულობს. გამარჯვებული
 ქაბუკი ოღრო-ვერცხლითა და მარგალიტებით
 გამდიდრებული ბრუნდება უქან. ეს თითქოს

ფიქრია ზანდუქალი
 ფოლკლორული ტრადიცია მყავალა
 მრავლიშვილის საბავშვო კომედიის

მისი მატერიალური დაჯილდოებაც ვახლავთ. მაყვალა მრევლიშვილთან გამორიცხვლია ეს, თუ შეიძლება ითქვას, მერკანტილური თვალსაზრისი. ჰანჭიკელა უარს აცხადებს შეთავაზებულ სიმდიდრეზე. მისთვის მთავარია არა ოჭრო-ვერცხლი, ბურჯუაზიული სამყაროს ფე-ტში, არამედ მუგობრობა, გულწრფელი, უმანკო დამოკიდებულება კვანწისადმი. მერვე მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, პოემა-ზღაპარში ნათლადაა წარმოდგენილი ჩვენი ყოფის რეალობა. უბრალოდ როდი ფიგურირდება „რენტგენის სხივები“, „რაიდიოგრამა“, „დენი“ და თანამედროვე ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი სხვა ატრიბუტები. მათ გარკვეული დატვირთვა გააჩნიათ. თუ ზღაპრული მშეკბამუკი ალმასის დანით უჭრის გველემას მუცელს, ჰანჭიკელა დენს მოიშველიებს; თუ ზღაპრებში ჯადოსნური სარკით ხედავს ვმირი მისთვის საინტერესო ადვილს, მ. მრევლიშვილის ნაწარმოებში ამ მიზნით რენტგენის სხივებია მოხმობილი, თუ ზღაპარში ყურმახვილი მეგობარი მიწაზე ემხოზა და მოახსენებს გმირს, რა ზღდება ცხრამთას იქით, აქ ჰანჭიკელას უკვე ტელეგრაფით ატყობინებენ საინტერესო ამბებს. მხედველობაში მისაღება ერთი გარემოებაც. ზღაპარში ხალხი გაუბრძის ზუსტი გეოგრაფიული ადგილების დასახელებას, ლიტერატურულ ნაწარმოებებში კი მკაფიოდ ფიგურირდება თბილისი:

**წკრა! უცერად გაისმა:
ლაპარაკობს თბილისი...**

ეს მომენტიც ფრიად საგულისხმობა ნაწარმოების აღქმისა და განცდილისადმი ლოგიკური დამოკიდებულების გამჭვირვებისათვის.

როგორც ვხედავთ, მაყვალა მრევლიშვილმა „ჰანჭიკელას თავდასავლის“ სახით თანამედროვე ცხოვრებაზე შექმნა საინტერესო ზღაპარი, სადაც ირეალურისა და რეალურის ორგანული შერწყმა ბადებს რომანტიკულ განცდას, პუმიანტიურ ტენდენციებს და ბოროტზე კეთილის გაამარჯვებთ გამოწვეულ საზეიმო განწყობას.

მაყვალა მრევლიშვილის საბავშვო პოეზიასა და ფოლკლორულ ნაწარმოებთა შორის მსგავსება იგრძნობა არა მხოლოდ საკითხისადმი მიდგომასა და ვადაჭრის, არამედ ნაწარმოების აგების მხრივაც. აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა პოეტის ლექსი — ზღაპარი „მიყვარს ყველა ცისარტყელა“. თუ კარგად ჩაუკვირდებით ნაწარმოებს, დავინახავთ, რომ აქ ჩვენ საქმე არ გვაქვს აშკარა ფოლკლორულ ოპერაციებთან, მაგრამ მთლიანობაში პოემა მაინც ხალხურ ნაწარმოებს ესადაგება. ტრადიციული საწყისი ფორმულის, შიგადაშვი ჩართული ხალხური მხატვრული სახეების, ცალკეული გამოთქმებისა თუ ელემენტების ერთობლიობა, შეზავებული სიუჟეტის განვითარების ფოლ-

კლორულ ყაიდასთან ჩვენი თეზისის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ლიტერატურულ-ფოლკლორულ მრევლიშვილის გარკვევისას ყურადღება უნდა გაახვილდეს არა მარტო აშკარა პარალელებზე, არამედ ნაწარმოებთა შინაგან ძარღვზეც. შეიძლება ლიტერატურულ ლექსში უშუალოდ არ იგრძნობოდეს ლექსითვის მსგავსება, სიტყვიერი თანხედრობა, მაგრამ ჩანდეს ფოლკლორული ტენდენციები:

**ელნათურა,
ნათურა
მავთულს აბამს
დათუნა,
განათება
ფულურის,
რომ დამურებს
უყურის.**

ან,

**ანი, ბანი
ოქროს ბანი,
ზედ ალმასის
კილობანი,
შიგ შაქარა
ჩურჩხელა,
დამეწვიეთ
სუყველა და ა. შ.**

აქაც და სხვა ანალოგიურ ნაწარმოებებშიც ხალხური ლექსისათვის დამახასიათებელი რიტმიკის, მარცვალთა წყობის, პაუზებისა თუ სხვა მომენტების ფოლკლორულობა აშკარად შეიგრძნობა.

მაყვალა მრევლიშვილი მოხდენილად იყენებს ზეპირსიტყვიერებაში დამკვიდრებულ ცალკეულ ფრაზებს, სახეებს და ამ მხრივაც სასურველ შედეგს აღწევს. ამგვარი პოზიციია შეპირებულთა მწერლის მრწამსით, მას კარგად ესმის, რომ ჩვენი მტყვევლებაში ფენოკილდებული ხალხური გამოთქმები ლექსის პოპულარობას ზრდის და, რაც მთავარია, კონკრეტული იდეის მოხდენილად გაშლას უწყობს ხელს. მაყვალა მრევლიშვილი ძალზე დაკვირვებულად მოქმედებს, ის ითვალისწინებს ხალხური გამოთქმების სპეციფიკას და საკუთარი ლექსის საერთო პათოსს. ცდილობს ჰარმონიულობაში მოიყვანოს ისინი, ერთგვარი კონტრაპუნქტი შექმნას, ამიტომაცაა, რომ ხალხური თქმები ანე ორიგინალურადაა ჩაწნული ლექსის საერთო მდინარებაში. აღსანიშნავია, რომ პოეტი ქალი გაუბრძის ფოლკლორული თქმის პედანტიური სიზუსტით ვადმოტანას, უმეტესად პერიფრაზს მიმართავს ან ვარიანტს ქმნის. ყველაათვის ცნობილია ხალხური ლექსის სასიმღერო ტექსტი:

აფრინდა ქორი, აფრინდა
არავი ჩინადირა...

იგი საკმაოდ ძლიერადაა ფესვგადგმული ჩვენს ცნობიერებაში. პოეტი ამიტომაც მიშართავს მას და თავისებურ ნირს აძლევს:

აფრინდა ჩიტი, აფრინდა,
ეკრანზე შეიფრთხილა...

მაყვალა მრევლიშვილმა კარგად იცის, თუ როგორ კონტექსტში და რა ნიუანსებით გამოიყენოს ზეპირსიტყვიერების ცალკეული გამოთქვამები. იგი ამოდის ძირითადი ჩანაფიქრიდან და ცდილობს საკუთარ პოეტურ ქუთუბლში გადადნობილი აზრები ფოლკლორული სახეების დახმარებით გამოხატოს. ამ მხრივ, საინტერესოა საბავშვო ლექსები: „ზელისგულზე“, „ჭია ჭია მია“ დ სხვ.

მაყვალა მრევლიშვილისათვის ნიშანდობლივია ისიც, რომ ყოველთვის ითვალისწინებს ხალხური თქმების მუსიკალურ მზარეს და არ ერიდება ფრაზის სხვა კონტექსტში მოქცევას, ახლებური შინაარსით დატვირთვას. გავიხსენოთ ხალხური სატრფიალო პოეზიის ნიმუში:

გაუსვი და გამოუსვი,
ვითომ ჭიანურიაო,
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ,
ისიც შინაურიაო.

ერთი შეხედვით თითქოს შეუძლებელია ამ სტრიქონების საბავშვო პოეზიაში გადატანა,

მაგრამ პოეტი გვერდით ტოვებს ლექსის ფუნქციას, ძირითად შინაარსს, მის კონკრეტულ ფუნქციონებას სესხულობს, სხვა სიბრტყეზე ასვენებს ამით სასიამოვნო ეფექტს ახდენს. მუსიკალური ფრაზა, რომელიც გარკვეული დინამიკის შემცველია, საუკეთესოდ ეხება ქვემოთ მოთხრობილს და გვეშვლის მის სრულყოფილად აღქმაში:

გაუსვი და გამოუსვი,
ვითომ ჭიანურიაო,
აქეთ ბუქნავს ფისუნია,
იქით ჩვენი მურიაო...

ამ შემთხვევაშიც მაყვალა მრევლიშვილის დამოკიდებულება ფოლკლორისადმი ფრიალ შემოქმედებითია.

როგორც ვხედავთ, ზეპირსიტყვიერების სახეები მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის მაყვალა მრევლიშვილის შემოქმედებაში. ფოლკლორულ ტრადიციებზე დაყრდნობით პოეტი ახერხებს მოგვცეს ახალი განწყობილების, ახალი ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები და უფრო მეტი უშუალობა, მშობლიურ ნიადაგთან სიახლოვე, მეტი სიფაქიზე — სიძლიერე გამოამყდუნოს. ფოლკლორულმა თემატიკამ მრავალფეროვანი გახადა მაყვალა მრევლიშვილის შემოქმედება, ზეპირსიტყვიერების ხერხებმა და მეთოდებმა აამაღლა მისი პოეტური კულტურა, ცალკეულმა სახეებმა და დეტალებმა მეტი ეროვნული სურნელი შესძინა მის ლექსებსა და პოემებს.



ლეილა კაჭარავა

სიყვარულის თემა გალაკტიონ ტაბიძის უემოქმედებაში

სიყვარული ზოგადად, ამ სიტყვის ვრცელი მნიშვნელობით, გალაკტიონის უემოქმედების მთავარი ძარღვია. ეს არის მისი უბადლო ნიქის ნათელი გამოსხივება, მისნური შიდაწვდომისა და ღრმა და ნამდვილი ლობიერების საფუძველი.

დიდი სიყვარული უდევს საფუძვლად გალაკტიონის მიერ სხვა ადამიანების სულიერი სიღრმეების მისნურ წვდომას. სიყვარულზე დაფუძნებული მეორე ადამიანის შინასამყაროს არსის გაგების გასაოცარი უნარი, რომელმაც ერთი კალმის მოსმით აახსნევინა გალაკტიონის ვაგნერის, დოსტოევსკის, პაგანინის, მოცარტის, ალექსანდრ ბლოკის, ვან-დეიკის, ვერლენის, ბოდლერის, სარა ბერნარისა და სხვათა სულიერი სამყაროს ძნელად ამოსაცნობი საიდუმლოებანი. გალაკტიონმა შექმნა ბრწყინვალე ფსიქოლოგიური პორტრეტები, რომლებიც ადამიანისადმი ღრმა სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით არიან განმსჭვალული:

როგორც მრავალი ვარდების მფენი,
მას სული ჰქონდა უხვად ციური,
მასში მრავალი იყო შოპენი
და პაგანინი ფანტასტიური.

ან:

მამინ სტოვებდა ყველას და ყოველს
და ფეერიულ აღში მცურავი
ეღარებოდა შემლილ ბეთშოვენს
დაუნდობელი და მომღურავი
და სხვა.

ზოგადად სიყვარულის არის გალაკტიონისათვის სიყვითის პარმონია, ამიტომაც ყოველგვარი დისონანსი, რომელიც ამ პარმონიას არღვევს, სინანულის ნაზსა და სევდიან ბგერებს გამოსცემს მის ლექსებში:

და დედოფალი ალვა
ელვამ მოლუნა ცივმა,
ასე გავიდა გვალვა,
ასე დაიწყო წვიმა...

დედოფალი ალვა, რომელიც თავისი სიმაღლეებიდან, ვინ იცის, რა ლაყვარდების იყო მოწამე, ელვამ მოლუნა ცივმა, ანუ აქ დაირღვა სიყვარულის არსის — სიყვითის პარმონია. ამით აიხსნება ის ნაზი ტყვილი, რომლითაც ლექსის განწყობილება ხასიათდება.

სიყვარული, გალაკტიონის გაგებით, მისი ღრმა და ვრცელი მნიშვნელობით სიცოცხლის მთავარი აზრია:

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სახიზარულოდ...
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.

მაგრამ სიყვარულის თემის საერთო ყდერადობიდან ცალკე მოტივად დგას მისი კონკრეტული სახეობა, სიყვარული — ინტიმი, რომელიც გალაკტიონმა მისთვის ჩვეული სიღრმითა და სივრცით ასახა.

გალაკტიონი ვარემოს მინიშნებით ბუნების ელემენტებს უმთავრესად სიყვარულის შინაარსით აღავსებს, რადგან ბუნების სიცოცხლის ამოსავალ წყაროდ მას სიყვარული მიიჩნია. ბუნების ელემენტების სახესხვაობა (ღელვა, სიშფიღე და სხვა) მის უემოქმედებაში ხშირად სიყვარულის სხვადასხვაგვარ გამოვლინებადაა მოწოდებული, ამიტომაც ადამიანების

დამოკიდებულებას მოგვაგონებს და მკითხველის შინაგანი ხედვა ამ დამოკიდებულების სიღრმეებისკენ მიიმართება, თუმც მხედველობითი აღქმით ის ბუნების ელემენტებს აღიქვამს.

ლექსში „ვერხვები“ ვკითხულობთ:

ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი
და ნისლს მთებისას გაიფენს აფრად,
ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი
აშრიალდება უშორეს ზღაპრად.

მხედველობით მკითხველი აქ წარმოიდგენს ქარს, მთების ნისლს და ვერხვის ფოთლებს, მაგრამ მისი გულისყური ამ სტროფის ბოლო სტრიქონისკენაა მიმართული და არ არის გამორიცხული, რომ აშრიალბული უშორესი ზღაპარი სიყვარულის ამბავსაც შეიცავდეს, თუმცა გალაკტიონის ასოციაციების შემოღვარგლავი სივრცის გამო ამ ზღაპრის მხოლოდ სიყვარულის ამბავამდე დაყვანა შეცდომა იქნებოდა.

გალაკტიონის შემოქმედებაში, როგორც სიყვარულის ზღაპარში, ყოველი მხრიდან მომხმის სიყვარულის ენაზე ამტკყველებული ბუნების ჩურჩული და ბუნების მოვლენები, ან მისი ელემენტების ურთიერთგანლაგება უმთავრესად სიყვარულის ეპიზოდებთანაა მოწოდებული.

თველმს ტყის ნაპირი თავჩაქინდრული,
უხმო აღერისთ ეკვრის ტოტი ტოტს...

ან,

მისი იყო, მთას მოხვეოდა
ნაწ გასაფხულის მთრთოლვარე ხელი...

და სხვა.

თავის მხრივ, ბუნებამ ესა თუ ის მოვლენა ან ელემენტი პოეტში საკუთარი განცდების მოგონებას აღძვრის და სიყვარულის ასოციაციას იწვევს:

ჩქარა დაეწვი, ბინდო,
ფიჭრი მოშეცი წმინდა,
ვისაც ვენდე და მინდო,
კვლავ მომაგონდეს მინდა.

ან,

იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ,
იმგვარადვე მდევ, იმგვარადვე მკლავ.

ამრიგად, გალაკტიონმა ადამიანი სიყვარულის გარემოცვაში მოათავსა, მაგრამ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ლექსები, რომლებიც უშუალოდ ადამიანის ცხოვრებას ეხება და მისი გრძნობების ამოღწურავ შესაძლებლობებზე მიგვიბრუნებს.

გალაკტიონის მთელ რიგ ლექსებში, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოგონებები ელვარებენ ისევე ბეჭდებალ“, რომლებიც ყოველის მხრიდან ნაკლებად ერთიან სიყვარულის საერთო ღინებას და ათასი ფერით ამღივრებენ

მას. საგულისხმოა, რომ სიყვარულის გახსენებას გალაკტიონის შემოქმედებაში, რაფინდ დიანიც არ უნდა იყოს ის, ყოველთვის სინაქსის შუქი ავლია. ეს არის პოეტის გულმოდგინებას განაღდ ჩარჩენილ ნათელ მოგონებათა წყება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ახლა მოგონებად ქცეული სიყვარულის ამბავი ოდესღაც მაღალსა და ნათელ განცდებს იწვევდა პოეტში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გალაკტიონთან იშვიათია ისეთი ლექსი, რომელიც მთლიანად მოგონების შთაგონებით იყოს დაწერილი (თუმცა ასეთი ლექსების საუკეთესო ნიმუშებიც გვხვდება), უფრო ხშირად სიყვარულის გახსენება სხვა სულები პოეტსებს პარალელურად მოედინება, მაგრამ სხვა განცდებთან ორგანული კავშირის მიუხედავად, მას ამავე დროს განცალკევებულად აღვივებს უპირის და დამოუკიდებელსა და დასრულებულ ამბავს შეიცავს:

შავმა ნისლმა დანისლა
მთები დაღესტანისა,
აიპართენ კოშკები
ცისა და ნესტანისა,
გახსოვს? ტოტი ქარისა
აქანებდა მთვარესა...
„ნეტა ეხლა სადა ხარ
და რომელსა მხარესა“.
მგლოვიარე ბინდებით
იბურება ყვარელი,
ვაწით და სიშინდებით
მიდის გზა საყვარელი.
ჩანს შორეულ ჩრდილები
კიდეებზე მონთება
და ომაგადახლიდების
ოხვრა მომაგონდება და სხვა.

ლექსის ეს ნაწილი წარმოადგენს სხვადასხვაგვარი სურათებისა და შთაბეჭდილებების რაკლს, სადაც ბეჭდის თვალისათვა ჩასმული სიყვარულის გახსენება:

გახსოვს? ტოტი ქარისა
აქანებდა მთვარესა...
„ნეტა ეხლა სადა ხარ
და რომელსა მხარესა“

ეს მოგონება, ერთის მხრივ, ორგანულად ერწყმის ლექსში აღბეჭდილ სხვა შთაბეჭდილებებს, მაგრამ ამავე დროს წარმოადგენს დამოუკიდებელ ამბავს, რომელიც თავისი საკუთარი პოეტნიური სიღრმით ხასიათდება და მიუხედავად იმისა, რომ სტრიქონებს: „ნეტა ეხლა სადა ხარ და რომელსა მხარესა?“ სევდანარევი სინანულის ელფერი დაჰკრავს, მოგონება მთლი-

ლევია კაპარაზა
სიყვარულის თემა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში

ანად მინც ნათელ შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგანაც ნათივი პოეტური გრძნობით სასვე — „გახსოვს? ტოტი ქარისა აქანებდა მთვარესა“ — ერთადგანციდელ ნათელ დროზე მეტყველებს და ამ დროის განცდა სიუხვეს ამჟღავნებს. ეს სანუკვარი მოგონებაა, რომელიც პოეტის სულიერი საგანძურის სიმდიდრეს შეაღებნს.

ლექსი „გაგონდება თუ არა!“ მთლიანად სიყვარულის გახსენებას ეძღვნება:

გაგონდება თუ არა
კარაღეთის დღეები?
მთების ლურჯი კამარა,
უცხო სამოთხეები?
კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები?
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუტრო ალბი?
მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცი, სადა ხარ
და რომელსა მხარესა?!

ეს ლექსიც სინანულის გამოხატველი წინადადებით მთავრდება, რომელიც თითქმის უცვლელად იმეორებს წინა ლექსში ნათქვამს:

„ნეტა ეხლა სადა ხარ
და რომელსა მხარესა?!“

და

„აწ არ ვიცი, სადა ხარ
და რომელსა მხარესა!“

მაგრამ ისევე, როგორც წინა ლექსში, აქაც სინანულს აწ გარდასული სიყვარულის დროის გახსენება უდევს საფუძვლად. მაშასადამე, გალაკტიონის გაგებით, სიყვარული თავისთავად სხივმზადად მოვლენაა, რომელიც ნათელ კვალს სტოვებს ადამიანის სულში და ღრძო და მძიმე მოგონებისაგან განტვირთავს, მაგრამ მისთვის უცხო არაა ამა თუ იმ მიზეზით აღძრული ღრმა სულიერი ტკივილები. პირიქით, ზოგიერთი ლექსი სიყვარულით გამოწვეული მწვავე სულიერი ტკივილებით გამოირჩევა. მაგალითად, ბოშულარულ ლექსი „მერი“, რომელიც ცნობილი სიტყვებით ბოლოვდება:

და მე ავტირდი, ვით მეფე ღირი,
ღირი ყველასგან მიტოვებული,

ან თუნდაც ლექსი „მერის თვალებით“, სადაც ვკითხვლობთ:

გაუდაბურდა ჩემი ყოფნის ყოველი წამი,
ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე.

აქ „მწუხარების შხამს“ განთიშვა უდევს საფუძვლად და იგი მით უფრო მწვავეა, რაც

უფრო სრული იყო ის პარამონია, ამ დაცალელებამ რომ დაარღვია. ანუ, გალაკტიონის მიხედვით, ორი ადამიანის ერთად ყოფნა სიყვარულია, რომელიც მის სრული და ნათელი პარამონიაა.

გალაკტიონის შემოქმედებაში გვეხვდება სიყვარულის ცალკეული ეპიზოდების პოეტური სურათები, რომელიც მკითხველს ამ ეპიზოდების მიღმური სივრცეებისა და სიღრმეების ხილვის შეუზღუდავ უფლებებს ანიჭებს. ეს ეპიზოდები არ წარმოადგენენ მხოლოდ ცალკეული შემთხვევების მხატვრულ აღნუსხვას, ისინი უსასრულობისა და მარადიულობის შთაბეჭდილებას ჰქმნიან. გალაკტიონის მიერ მინიშნებული ეპიზოდი მკითხველისათვის წარმოადგენს იმ სათავეს, საიდანაც ნებისმიერი (მკითხველის უნარისა და მიხედვით) მიმართულებით შეიძლება წარედგინოს წარმოსახული სიყვარულის მდინარე. ეპიზოდი, რომელიც მკითხველს სიყვარულის ამბავს შემდგომი განვითარების საშუალებას აძლევს, თვითონ ამბავის დასაწყისი არაა, რადგანაც აღნიშნულ ფაქტამდე მთელი რიგი პოეტური ეპიზოდების არსებობა იგულისხმება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს პატარ-პატარა ნაწევრები მოგვაგონებენ უძირო სიღრმეებიდან ამოზიდულ ლამაზ კუნძულებს, რომელთაც გარს, ყოველის მხრიდან, უსასრულო სივრცე ახლავს:

ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი,
აუხდენელი და მომზიბნოვი,
არ ვიცი, საით წაჰყვა ზღვის ტალღებს,
სად შეაჩერა უსაქო ნავი.
მაგრამ ის მოვა შემოდგომისას,
მოვა დაღლილი და ფერმიხდილი,
ოჰ, რა მწუხარე ღამე იქნება,
ვედარ აღსდგება წარსულის ჩრდილი.

მოტანილ სტროფებს ოცნების ბურუსი ავლია, რადგანაც რეალური აქ განშორების, ანუ, როგორც გალაკტიონი ამბობს, ჩამომშორების ფაქტია მკითხველისათვის, ამბავი აქედან იწყება და მას უნარისადა მიხედვით ათასგვარად შეუძლია განავითაროს ამიერიდან ამ თითქოსდა უკვე მომწყდარი სიყვარულის ამბავი, მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონი ამვე ლექსში იძლევა მის მიერ ოცნების თვალით დანახულ სურათს სატრფოს დაგვიანებული დაბრუნებისა. თვითონ ეს გაურკვეველობის ბინდიო მოცულობა — „არ ვიცი, საით წაჰყვა ზღვის ტალღებს, სად შეაჩერა დაღლილი ნავი“ — თავისუფალი წარმოსახვისკენ უბიძგებს მკითხველს. მოტანილი წინადადება განზოგადებული შინაარსითაც იტვირთება, ე. ი. მთავარი აქ ჩამომშორებული და დაცალელებული ადამიანის შორი გზებია, რომელიც კონკრეტულად ნავსა და ზღვის ტალღებს არ გულისხმობს, მაგრამ მხედველობითი აღქმით მკითხველს სწორედ ის სურათი წარმოუდ-

გება, რომელიც გალაკტიონს აქვს ჩანატული, ე. ი. ზღვის შორი ტალღებიც და უსაპო, შეჩერებულ ნაწიში განმარტობული ადამიანიც. მამასადამე, თვითონ სურათი პოეტის ფაქიზი ფანტაზიის ნაყოფია, მან ზოგადად ასე წარმოსახა ადამიანების განთიშვისა და დაცალკელების ერთი ეპიზოდი, მაგრამ ოცნებისეული ეს სურათი კონკრეტული და რეალური კომპონენტებისაგან შედგება (ადამიანი, ნავი, ზღვის ტალღები), ამიტომ მკითხველიც ამასვე ხედავს, თუმცა, ამვე დროს, სურათიც და მისი ვრცელი მნიშვნელობაც მკითხველის წარმოსახვის ფართო ასპარეზს სთავაზობს. ციტირებული სტროფები გალაკტიონისათვის ჩვეული სიღრმითაც განირჩევიან. მათში მოცემული ადამიანური ურთიერთობის ფსიქოლოგიური სიღრმე, რომელიც ახლა ქვეშეცნულად სიღრმეების წვდომის სურვილს აღძრავს მკითხველში. წინადადება „ის ჩამომოსხვდა, როგორც სიზმარი, აუხდენელი და მომხიბლავი“ სიყვარულის გარკვეულ სახეს აყალიბებს და ანალოგიური ურთიერთობების წარმოსახვისა და გაერთმინებელიანების საშუალებას იძლევა, რომელსაც აადვილებს მომდევნო: „არ ვიცი, საით წაჰყავა ზღვის ტალღებს, სად შეაჩერა დადლილი ნავი“, ე. ი. აქ წარმოსახულია სიყვარულის ისეთი სახეობა, როცა ჭერ კიდევ ყველაფერი ბინდშია, მსუბუქი და გაუთვითცნობიერებელია და ასევე უჩინარდება და მომხიბლავ საიდუმლოებად რჩება.

ლექსში აწ დაცალკეული წყვილის ფსიქოლოგიური დახასიათებაცაა მოწოდებული. მასში გამოსჭვივის მიტოვებული ადამიანის ფაქიზი და ნახი გრძნობები და წაქული ადამიანის მყუდროებას დანატრებული, მოხეტიალე, დადლილი სული.

ბოლო ორი სტრიქონი — „ოჰ, რა მწუხარე დამე იქნება, ვეღარ აღსდგება წარსულის ჩრდილი“ — კი მრავალგვარი აღქმის შესაძლებლობებით ხასიათდება და ადამიანური ურთიერთობის სიღრმეებიდან ზედაპირზე ამოაქვს ისეთი შემთხვევა, რომელიც ისევ განზოგადოებული შინაარსით ივსება და ვინ იცის, რამდენი დარამდენგვარი დავგიანებული დაბრუნების ასოცირებას იწვევს

ლექსში — „მინც დავიმსახურე“ — კეთხულობთ:

მთვარემ დამე გაათია, კრთება შუქთა დინება,
 დამის სამი საათია, შენ კი არ გქმინება,
 გავაცურეთ სადღაც ნავი, სავსე ლურჯ
 ექსცესებით,
 შეგაყვარე კიდევ თავი ამ უბრალო
 ლექსებით,

ფინება გვებს სიმებად ლალთა ცეცხლი,
 საყურე,
 შენი კარგი გაღივება მინც დავიმსახურე.

აქ ყველაფერი მედინია: მთვარის მკრთალი შუქიც, ლურჯი ნავიც, გზებზე სიმებად დაფენილი ლალთა ცეცხლიც და ეს ნელთმდინარე მთვარე და დაუსრულებლობისა და მარადიულობის ბეჭდილებას ჰქმნის. მაგრამ გალაკტიონმა აქ შეაჩერა მისი დინება და საუკუნო ადგილი მიუჩინა პოეზიაში.

ჩვენს წინაა გალაკტიონის ორი ლექსი:

მიცქირე თვალში,
 შენ დადუმდი,
 იგრძენი განა?
 იდექი წყნარად
 და ბინდიან
 თვალში მიყურე...
 ნურაფერს მეტყვი.
 მე არ მინდა
 არავის ნანა,
 გინდ აღმიღვინე
 ისევ გული,
 გინდ დამიხურე.
 მიცქირე თვალში,
 ო, ჩემს თვალში
 საშინელება
 იგრძენი განა?

* * *

გულო, ოცნებას მალავ!
 ცაო, ლურჯდება ზოლი!
 ვაჟი: — დაიცა, ქალავ,
 ქალი: — დაგიბრძა თოლი!
 შორით ბურნდება წყალი,
 ნისლი იცრება მთოლი.
 — არა! — ჩურჩულებს ქალი.
 — კარგი! — აშშვიდებს ვაჟი.
 გულო, ოცნებას მალავ!
 ცაო, ლურჯდება ზოლი!
 ისევ: — დაიცა, ქალავ!
 ისევ: — დაგიბრძა თოლი!

ეს არის სიყვარულის ორი სხვადასხვა საბრძანებელი, სადაც თვითელი წყვილი შინაგანი ბუნების შესაბამისად თავისებურად ამქდავნებს გრძნობას, და თუ ბირველ ლექსში მკითხველის მთელი ყურადღება ადამიანის ღრმა და ფაქიზ სულიერ მოძრაობებზეა გადატანილი, მეორე ლექსი ცეკვა „ქართულს“ მოგვაგონებს. იმდენად კოლორიტულია მასში ორი ადამიანის ერთად ყოფნის სურვილით სავსე შორი-შორ ყოფნა. მაგრამ მთავარი აქ მინც ის არის, რომ თუმცა ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მათი სხვადასხვაობა ბოლოს და ბოლოს ერთი და იგივე არსის — სიცოცხლის მრავალგვარი გამოვლინება, განსხვავებულ ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდების ერთობა

ლილა კაპარაკა
 სიყვარულის თემა ბალატიონ ტაბიძის შემოქმედებაში

ლიობაც გალაკტიონის შემოქმედებაში ბოლოს და ბოლოს ჰქმნის ერთ დიდ ტილოა, რომელზედაც ერთი და იგივე ამბავი — სიყვარულია მოხატული, რომელს არის ათასგვარი ფერით, ბგერით და ნიჟანსით მქლავნდება. ეს ფერთა და ბგერათ ნაირფერობა გამსაკურებით შესამჩნევია გრძნობათა იმ უკიდევანო სავანეში, რომელიც გალაკტიონის შემოქმედების შემადგენელი ნაწილია და სადაც განუღათა ყოველგვარი ნაირსახეობა მისივე სიტყვებს გაგონებს:

ოჰ, რამდენია ბიცოცხლეში ასეთი წაი,
ოჰ, რამდენია, რამდენია ასეთი რამე!

მაგალითად:

საყვარელი აღამიანის დეკარგვით გამოწვეული მწუხარება, რომელსაც წინ დიდი გრძნობები და მაღალი რწმენა უძღოდა:

ამაოდ დაგენდე და ჩვენ ერთმანეთი
ამაოდ გვიდოდა! მშვიდობით მარადის!

ზოგადად ვახაფხულის სიმღერების და სიყვარულის მწვავე ნატვრა:

შორეული ქალის ეშხი მოვა,
**მაგრამ როდის?!
სიყვარული სასახლეში მხოლოდ**
ერთხელ მოდის!

მღელვარე ბედნიერების ნეტარი წუთების განცდა:

თითქო ფენობა ზურმუხტის რტოთა,
ცის დახავლამდე უსიზროდ მდგარი,
უსმენდა ჩანგებს და მოელოდა,
შორს, ძალიან შორს მოჩანდა ქარი,
მე შენ გაცნობდი და გული თრთოდა...
ზღვა იყო წყნარი.

მოულოდნელი შემთხვევის გამო გულის სიღრმეში გარდასულ დღეთა სიყვარულის ძველებური სიმღერით უცარი და ფარული ამღელვარება:

შევხვდით ისევ ჩვენ,
გზით მიმავალი გზად,
კვლავ მოგონებებს მფენ,
**მაგრამ არ ვიცი: რად?!
მზე გიოქროვებს თმას,**
ვით მონივე რულს,
ვისმენ დანატრულ ხმას
და ვერ ვიშვიდებ გულს.

ჯანსაღი და შთაგონებული, მძაფრი ვნება:

მივალ, გადავკონი ჩემსა მთვარესა,
სიტყვებს გადავტოვონი
მწარე-მწარესა.

გიშრის კაცანათებს ნუ მფენს ქარებსა,
ასე ნუ ანათებს ჩემს ბნელ ღამესა.

მივალ, გადავკონი ჩემსა მთვარესა,
უარესს გადავტოვონი სიტყვებს მწარესა.

სიყვარულის შორი კონტაქტების ტური შეგრძნება:

დაჰქრიან უღაბნოს ქარები,
მტანჯავენ და ვიცი: ვახსოვარ! —

და ვინ მოთვლის, სიყვარულის კიდევ რამდენგვარი გამოსტეგება მოზიდა გალაკტიონის ანდამატურმა ნიჭმა და უკვდავყო თავის შემოქმედებაში.

გალაკტიონისათვის სიყვარული სულიერი ძვრების მმართველი, ამღლებული გრძნობაა, ამიტომ იგი საყვარელ აღამიანს მომეტებულად სულიერი სამყაროს მეოხებით აღიქვამს. ქალს პოეტური ხატი, რომელიც ხშირად მეორდება გალაკტიონის სხვადასხვა ლექსში (რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი პოეტის იდეალია), ქალის სულიერ სამყაროს ააშკარავებს, ანუ ის გარეგნული თვისებები, რომელსაც გალაკტიონი ხაზს უსვამს, უფრო ქალის შინა სამყაროს ახასიათებს, ვიდრე მის გარეგნობას, თუმცა ქალის გარეგნული მომხიბლობაც ექვემიუტანელია. მაგალითად, სხვადასხვა ლექსში ვკითხულობთ:

და სახე მკრთალი, დაღონებული
მარადის თვალწინ დაგეხატება

(„აპაო ცუა“).

შენ არსად სჩანდი, მაგრამ ჩემთვის უცხო არ
იყო.

შენი თვლების იღუმალი, წმინდა ქვეყანა“
(„ქალს მთებთან“).

ხშირად მაგონდება: ფოთლებშემოცლილი,
საბმიბინედილი ქალის მწუხარება.

(„საუბარი ედგარზე“)

ამ მაგალითების მიხედვით ადვილად შეინიშნება ქალის ერთი და იგივე ტიპი, თუმცა აქ ერთი და იმავე ქალზე არ არის ლაპარაკი. ვარდა ამისა, სამივე პორტრეტში ყურადღება ქალის ბუნებაზეა გამახვილებული, რომლის გარეგნობაშიც გამოკრთის ნაღველი, სულიერი სიწმინდე, ნაზი მწუხარება. ამ თვალახარისით საინტერესოა გალაკტიონის შესანიშნავი ლექსი „თოვლი“, სადაც ლექსის სათვთქსოვლი შემოთ თქმულის დამადასტურებელი მღვთველი მაგალითებია ჩაბნეული. აქ გალაკტიონი ქალის ხელეზა და ხმაზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ ეს ისეთი ღრმადგანცდილი ოსტატობითაა გაკეთებული, რომ მკითხველის წინაშე წარმოასახება არა მხოლოდ გარეგნული სრული ხატი, არამედ ქალის ხასიათის ძირეული თვისებებიც შეიგრძნობა:

ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
იანვარს მოძმედ არ ვეძინებდი,

მგარამ მე მუღამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.

ან:

მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში
ერთ ღროს ფარული დარდი მიყვარდა.

აქ გარეგნულ თვისებებში გამოკრთალი შინა-
განი სამყარო ქალისა ყველა ბგერით ეხმიანე-
ბა ლექსის საერთო ძვრადობას, შინაგანი და
გარეგანი თვისებების პარამონიულ ერთიანობად
მოწოდებულ პოეტურ ხატს ქალისას სიმშვი-
დისა და სიწყნარის განწყობა შემოაქვს ლექს-
ში, რომელიც შინაგან კონტაქტშია იმ სიჩუქმე-
თან, „ისიფერ თოვლის ქალწულებივით ხი-
დიდან ფენა“ რომ ახლავს. როდესაც გალაკ-
ტიონი ამბობს:

არის გზა, არის ნელი თამაში
და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო-ო.

ამით ქალის სულიერ სამყაროს სიღრმეები
მოჩანს, ამავე ღროს, ის სიერცე, რომელიც ამ
სურათს გას ავლია, ისეთივე ჩუმი დღემა-
ლებითაა მოცული, როგორც ლექსის ყველა
სტროფშია დავანებული. პოეტურ და მომხიბ-
ლავ გარესამყაროსა და ქალის ბუნებას შო-
რის მიკვეთულ შინაგან კონტაქტებს ემყარე-
ბა გალაკტიონი, როცა ქალის ხატს ბუნების
ელემენტების მეოხებით ხსნის, რაც იმავე ადა-
სტურებს, რომ გალაკტიონი საყვარელ ქალს
სულიერი სამყაროს საშუალებით აღიქვამს,
მართლაც, ნელი თოვა, გალაკტიონმა უძვირფა-
სეს პოეტურ განმად რომ აქცია და დაუტოვა
ცაცობრიობას („ისიფერ თოვლის ქალწულები-
ვით ხიდიდან ფენა“), შეიცაუს ნალექსს. პა-
ეტს უყვარს თოვლი, რადგან იგი დარდის ასო-
ცირებას იწვევს. ქალის ხმაშიც მის ერთ ღროს
ფარული დარდი უყვარდა. ანუ ქალს აქვს
თავით სულიერი მონაცემები, რომელიც ეხმიან-
ება პოეტის ბუნებას, რომელიც პოეტს საერ-
იოდ უყვარს. როდესაც გალაკტიონი საყვარე-
ლი ქალის ხელეშს თოვლს ადარებს, აქ იგი
თითქოს გარეგნულ თვისებას — ფერა — სიმ-
კრთალებს ეხება, მაგრამ აქაც თოვლივით მკრთა-
ლი ხელები უმთავრესად ქალის სულიერ სი-
ნატიფეს ამჟღავნებენ. ქალის სულიერი სამყა-
როსადმი გაძლიერებული ინტერესი კი განა-
პირობებს სულიერი კონტაქტის, ერთად განც-
დის, თანაგანცდის მუღმივ სურვილს:

რა საოცარი, რა საუცხოო
ღამეა, გესმის?
ვერხვის შრიალი, ამო და უცხო
შრიალი გესმის?

ან:

ნიავეა წყნარად წაისისინა,
ხევენი შეიჭრა და მიიძინა,
შეწყდა, ნუგეშო, ბუღუმულის სტენა,
მზე ჩაუსვენა.

მოტანილ სტროფებში ქალის თანაგანცდა
იგულისხმება, თუმცა ქალის ხატი აქ არ მო-

ჩანს და დაბევივით არ შეიძლება იტყვას,
ქალი ახლავს პოეტს, თუ პოეტი წარმოადგენ-
ს ნი მიმართავს მას. როგორც არ უნდა იყოს
ეს, მთავარი ის არის, რომ შთაბეჭდილებას
გაზიარების სურვილი აქ ისეთი ინტიმიტაა გამ-
კლავნებული, რომ სულიერი კონტაქტი აუცი-
ლებლობად აღიქმება. უფრო მეტიც, აქ იგრა-
ნობა და ამის გამო იგულისხმება არა მხოლოდ
ამჟამიერი სულიერი კონტაქტი, არამედ ამ ორი
ადამიანის სულიერი კონტაქტი საერთოდ. გა-
ლაკტიონი ასე სათუთად მისთვის უზიარებს
ქალს თავის განცდილს, რომ სჯერა, ქალის სუ-
ლი მისი განწყობის შესაბამის ბგერებს გა-
მოსცემს, ანუ გალაკტიონი საყვარელ სული-
ერ სიახლოვეს უღებს საფუძვლად. მისთვის ეს
წამყვანია, რადგანაც, მისი აზრით, „ერთნაირ
სულში ერთნაირი მზის მოთავსება“ საყვარე-
ლის აუცილებელი პირობაა. აქედან გამომ-
დინარე, გალაკტიონის მიხედვით, საყვარელი
ნიშნავს მეგობრობას და გამოირცხვავს მტრო-
ბას. თუმცა გალაკტიონის მიერ გარესამყაროს
შეგრძნება მხოლოდ საყვარულამდე არ დაიყ-
ვანება, პოეტური ფსიქიკის სირთულის გამო.
მისი შინაგანი ცხოვრება უფრო დიდი მასშტა-
ბის სულიერი ძვრებით ხასიათდება, მაგრამ
პოეტს ყოველთვის უჩნდება სურვილი ყველა-
ზე სანუკვარი განცდა და დიდი ტყვილი სა-
ტრფოს გაანდოს და გაუზიაროს:

ძვირფასო! სული მეცხება თოვლით,
ღღებები რბიან და მე ვბერდები,
ჩემს სამშობლოში მე მოველე მხოლოდ
უღაბნო ღურჯად ნახავერდები.

ლექსის საერთო შინაარსიდან ჩანს, რომ
საყვარელი ქალი ამჟამად შორსაა პოეტისაგან,
მაგრამ მიმართვა — „ძვირფასო!“ და „შემდ-
გომი აღსარება — „სული მეცხება თოვლით“
ანუ განცდილი და ამიტომ ისე მოისმის, თი-
თქოს ქალს ფიზიკურად ესმოდეს პოეტის ნა-
თქვამი, ე. ი. სატრფო სიშორის მიუხედავად
უახლოესია, რადგანაც საყვარულში, გალაკტი-
ონის მიხედვით, სულა შეხებაა მთავარი. ქალი
მისთვის მეგობარია და მასში უფროდ „სერა-
ფიმის ცისფერი სულის“ ადამიანი იგულისხმე-
ბა. საყვარულის გალაკტიონისეულ გაგებაში
ქართული ლტერატურისათვის ღრმად ტრადი-
ციული ქალისადმი პატივისცემა იგრძნობა.
მისი საყვარული სიკეთის ისეთ უხვ შესაძ-
ლებლობებს ხსნის, რომელიც თავისუფლებს
ადამიანს ვიწრო და წვირილმანი განცდების
მძიმე ტვირთისგან.

საყვარული გალაკტიონის გაგებით, არის
დიდი ადამიანური სიკეთის თავისუფალი გა-
მოქმედების საშუალება და მის წინაშე
მკრთალებს ყოველივე, რაც სიკეთის არსს
უარყოფს. ამიტომაც გალაკტიონის საყვარულის
ლოცვა სიკეთის დადასტურება და დამკვიდრე-
ბაა.

რუსულან ბრიგოლი

ნიკოლოზ მიწიშვილი

„მე მახსოვს ბავშვობა და ახალი წელი სოფელად. მახსოვს რიტუალი სამკვედლოში, — როცა მამაჩემი დაანთებდა სანთელს რქიანი გრდემლის მავარ შუბლზე. მეტალურგია და შინაშალი ცეცხლი მოდის შორიდან და ამ ცეცხლს მივეცი მე საკუთარი თავი!“ — ამ როგორ იგონებს ნიკოლოზ მიწიშვილი თავის ბავშვობის წლებს, დიდი ოცნებისა და ყველაზე ძვირფას წლებს, როცა პირველად იგრძნო მიწის სურნელი და რაღაც დიდი შინაგანი წვა.

შემდეგში უკვე ჩამოყალიბებულ პოეტს და მოქალაქეს ევლინებოდა მამამისის „გამოწეული სახე იმერეთის სოფლიდან“, ეს იყო ქართველი გლეხის, მიწის სურნელით გაჟღერებული მშრომელის სახე...

თვით ნ. მიწიშვილის თქმით, მისი ნამდვილი გვარი სირბილაძე იყო. ამ გვარს მოსდგამდა ძველთაგან დამწვარი, გადამდნარი სპილენძის სახე... „ჩვენ გვესმოდა ამღერება ცეცხლის, მწვამულობა ცეცხლის და ჩვენ დღემდე ვამღერებთ ცეცხლს“.

ნიკოლოზ მიწიშვილი (სირბილაძე) დაიბადა 1896 წ. 8 ნოემბერს, როგორც აღვნიშნეთ, მჭედლის, იოსებ სირბილაძის ოჯახში, სოფელ ჯვარისში (ახლანდელი ვანის რაიონი).

1903 წ. გაზაფხულზე შეიდი წლის ნიკოლოზი მამამ, რომელიც ქუთაისში ყაუხჩიშვილების ოჯახში მცხოვრებ ვასილ მახვილაძის შორეული ნათესავი იყო, ქუთაისში ჩამოიყვანა და ყაუხჩიშვილების უფროს ძმას სთხოვა, ბავშვი ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში შესაყვანად მოემზადებინა. მიხეილ ყაუხჩიშვილმა, რომელიც თვით იყო რეალური სასწავლებლის მეთვთვე კლასის მოსწავლე და საერთოდ ბავშვებს ამზადებდა, შეამოწმა ნიკოლოზი, მოეწონა ცინ-

ცხალი, გონიერი ბავშვი და მომზადებაზე დათანხმდა. პატარა ნიკოლოზი, იმავე მახვილაძის თხოვნით, ყაუხჩიშვილების ოჯახშივე დაბინავდა. ამ ოჯახში სკოლისათვის ემზადებოდა უმცროსი ვაჟი სიმონ ყაუხჩიშვილიც, ამჟამად ჩვენი სახელოვანი პროფესორი, ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს ცნობილი მკვლევარი. პატარა სიმონს გიმნაზიაში შესაყვანად ამზადებდა იოსებ ოცხელი. ნიკოლოზსაც ჰქონდა გიმნაზიაში შესვლისათვის საჭირო მონაცემები, მაგრამ ვინაიდან იოსებს ვაჟის გიმნაზიაში აღზრდის შესაძლებლობა არ ჰქონდა, იგი დაკმაყოფილდა სამოქალაქო („გოროდის“) სასწავლებლით. ზაფხულში ნიკოლოზი ისე მოემზადა, რომ გამოცდები წარმატებით ჩააბარა და იმავე წლის სექტემბერში უკვე სამოქალაქო სასწავლებლის პირველი კლასის მოსწავლე გახდა. ბავშვი ძალიან შეეჩვია ყაუხჩიშვილების მეტად ინტელიგენტურ და მაღალი კულტურის მქონე ოჯახს, თანაც მტკიცე მეგობრული გრძნობით დაუკავშირდა სიმონ ყაუხჩიშვილს. პატარა ნიკოლოზი და სიმონი წყალწითელასაკენ სასერიროდ გაუყვებოდნენ და საუბრობდნენ, ოცნებობდნენ სამშობლოზე, პოეზიაზე. შემდეგში პოეტი იგონებს: „მე არასოდეს არ ვყოფილვარ ბავშვი და გამსრისა მან, რაც იყო პირველი ლექსამდე... პოეზია გახდა შინაარსი, უკანასკნელი და პირველი ხშიადი. პოეზია — ნუგეში, სურვილი, სიყვარული, და სიმწარე საზღვარეული“.¹

ნ. მიწიშვილმა სამოქალაქო სასწავლებლის დამატებითი კლასიც გაიარა, შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში.

1 ნ. მიწიშვილი, „გარდაცვალება“, გვ. 9.

დაამთავრა ორწლიანი სამაწავლებლო კურსები და პედაგოგის დიპლომი მიიღო.

ნიკოლოზმა პირველად მასწავლებლობა დაიწყო ვანის რაიონში სოფელ ტიბანიერში, შემდეგ გადავიდა სოფელ საჩინოში. მას ძალიან უყვარდა თავისი საქმე, გრძნობდა სოფელში მის სპორობას, მოსწავლეებს შორის დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ უკვე ასპარეზი არ ჰყოფნიდა, გრძნობდა, რომ პოეზია ვახდა მისთვის ცხოვრების შინაარსი. ამის შესახებ ასე ლაპარაკობს თვითონ პოეტი: „ვხედავდი მკვლად გრძნობა უმთავრესი. გრძნობა დიდი და მთავარი, რომელშიც სურავს ადამიანი, როგორც ჰაერში — ეს იყო პოეზიის წყურვილი“.¹ და აი, წარმოიშვა მისი პირველი ლექსი 16 წლის ასაკში, რომლის სათაურია „მთებში“. იგი დაიბეჭდა ი. იმედ-შვილის რედაქტორობით ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“. ამ ლექსში გამოხატულია მამინდელი რეალური ურთიერთობით გამოწვეული საშინელი სულიერი ტკივლები.

ეს ის ხანია, როცა ვერისტული ლიტერატურის წარმომადგენლები „სინამდვილის ასახვის“ დევიზით გამოდიოდნენ. მათ დაიწვეს ფრაგმენტული ფორმის ნაწარმოებთა შექმნა. ქართულ მწერლობაში ამ მხრივ დიდი იყო რუსეთის გავლენა. პატარა ლიტერატურული ეტიუდები, ესკიზები შემოვიდა მოდაში. ის გამოხატავდა მამინდელი ახალგაზრდობის სულიერ განცდას. ეს ნაწარმოებები უმთავრესად ბიბლიურ თემებზე იყო დაფუძნებული და მკითხველისათვის საფიქრალ ტოვებდა.

ნ. მიწიშვილიც წერს მინიატურებს. მისი ამდროინდელი მინიატურები გამოხატავენ ღრმა პესიმისტურ განწყობილებას, სულიერ დაცემულობას, უპერსპექტივობას, თითქმის ყოველ მის ესკიზში სწორედ ეს მოტივია გაბატონებული და რაც უფრო უყვარს პოეტს სიცოცხლე, მით უფრო ძლიერად ტანჯავს მას ცხოვრების მოუწყობლობა.

უიმედობის, განწირულობის მოტივებია მის 1914-1920 წწ. მინიატურებში. პოეტზე გავლენას ახდენდა არსებული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ვითარება.

ნ. მიწიშვილი ამდროინდელ ლექსებსა თუ მინიატურებში ასახავს საერთოდ აღებულ სოციალურ წრეს და გარემოებას მოწყვეტილ რაღაც აბსტრაქტულ ადამიანს.

მისი გავებით, ადამიანი ყველაფერია — დმერთიც, აბრაოზაც, ევოცენტრისტიც, რომელმაც არ იცის თავისი ცხოვრების მიზანი, მისი გმირები ბედის საძებნელად წასულნი, იმედგაცრუებულინი და დაღლილნი ბრუნდებიან, მოჩუბებულნი არიან სასიცოცხლო ენერჯიას, ნების-

ყოფას, მოცულნი არიან მელანქოლით. პოეტს ვერ ხედავს სოციალურ უკუღმართობასთან ვიღაცადპირი, გაბედული ბრძოლის გზას, ვერ ხედავს რო პასიურია, ამჯობინებს საესეებით გასცილდეს ამ ქვეყანას, თვალი მოაცილოს „ამგვარ სურათებს“. მას არ ჰყოფნის ძალა მხატვრული სიტყვით შეებრძოლოს არსებულ უსამართლობას და ერთადერთ გამოსავლის ძიებაში მთებს მიაშურებს, რათა დაივიწყოს „მთელი ტანჯვა ჩაგრულ გულისა“.

იმ ხანებში ჰაბუკი პოეტი უმეტეს შემთხვევაში ველარ იცავს წონასწორობას, მის შემოქმედებაში ჩანს, მისი როგორც პოეტისა და შემოქმედის, ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. პოეტურ ფანტასტიკურ სახეებთან, ავალმყოფურ პოეტურ ხილვასთან ერთად, რომლებიც გამოირჩევა უსაგნობით, უიმედობით, ცხოვრებისაგან მოწყვეტით, ჩვენ ვხვდებით ცხოვრების სიცოცხლის წყურვილს, იმედის რწმენას:

მაგრამ მე ვიცი — მაგარია ჩემი ეშვები.

ცბიერი წლები ვერ გასტეხენ სიცოცხლის ნებას.

ახკერ მოკვდები და ცხოვრებას არ მოვწყვები:

მე თვით ვავჰყვები ჩემი სულის გამოსვენებას.

უკვე 1915 წელს იგი ერთ-ერთ თავის მინიატურაში ცდილობს ცხოვრებას ჩაწვდეს: „კვლავ ვძებნი ყოფის ვასალებს და გარდავქმნი სულს“.

ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ იბეჭდებოდა ნ. მიწიშვილის სტატიებიც. ეს სტატიები ისეთ ხასიათს ატარებდა, თითქმის მათი ავტორი მართლაც „ეძებდა ყოფის ვასალებს“.

ლიტერატურაში უიმედობის, იმედგატეხილობის მიუხედავად, ნ. მიწიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. მასში პოეტი და მოქალაქე თითქმის სცილდება ერთიმეორეს: „პოეზიაში მე მიეყვები მხოლოდ საკუთარ გულს და ალბათ, ესაა მიზეზი, რომ მე, როგორც პოეტი ჩამოვრჩი დღევანდელ ამბოხებულ დროის აქტუალობას“, — ამბობდა იგი.

ნ. მიწიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოღვაწეობამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო თებერვლის რევოლუციის შემდეგ. პოეტი აქტიურადაა ჩაბმული ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებაში. 1917 წ. ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების გაზეთის „Голос солдата“-ს რედაქტორია. ამის გარდა, საქართველოში მენშევიკების ხელისუფლების არსებობის წლებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა სხვა საზოგადოებრივ-ლიტერატურუ-

1 ნ. მიწიშვილი, „გარდაცვალება“, 1926 წ., თბ..

ლი გამოცემები როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე.

ნ. მიწიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა იმ დროს, როცა გულგატეხილობის ფილოსოფიას კვებავდა არსებული სინამდვილე. კერძოდ, ეს იყო დრო ქართულ ლიტერატურაში სიმბოლისტური მიმდინარეობის შექმნისა, როცა ეს ლიტერატურული მოვლენა უკვე საზოგადოებრივ ფაქტორად იქცა ქართულ მწერლობაში.

როგორც ვიცით, „ცისფერყანწელების“ ჯგუფი შეიქმნა ჩვენს საუკუნის ათიან წლებში, ქუთაისში. 1916 წ. ამ ჯგუფში გაერთიანდნენ: პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. ვაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, ი. ყიფიანი, ს. ცირაკიძე, ხოლო 1918 წლიდან მათ შეემატნენ: ნ. მიწიშვილი, გ. ლეონიძე, ს. კლდიაშვილი, შ. აფხაიძე და სხვ.

ეს ლიტერატურული სკოლა ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილია, როგორც ევროპული და რუსული სიმბოლიზმის შემკვიდრე და მედროშე საქართველოში.

დასავლეთ ევროპისა და რუსული სიმბოლიზმისაგან განსხვავებით, ცისფერყანწელები მოუწოდებდნენ ქართულ პოეზიას, ხელაღებით უარი ეთქვა ძველ ლიტერატურულ ტრადიციებზე და ურბანისტულ-ინდუსტრიული თემების დამუშავებისათვის მოეყიდა ხელი. მათი გავებით, მაშინდელი საქართველო წარმოდგება მსოფლიოს დედაქალაქ პარიზის პოეტურ სახედ. „პარიზი ვავს ბიბლიურ სიზმარს — ცამდე აყუდებულ კიბისა და ანგლოსების შესახებ... დაწყებული მითი, უკანასკნელ ქვამდე — პარიზია სიხარული“¹.

მეორეც, ცისფერყანწელების პოეზიაში არსებულ რეალისტური მხატვრული აზროვნების ელემენტები და ტენდენციები დროთა განმავლობაში გაიზარდა და საბოლოოდ რეალისტური პოეზიის გზამდე მივიდა.

„და ბოლოს, ეროვნული მოტივი ცისფერყანწელთა პოეზიაში, რომელიც მათ ქართული კლასიკური მწერლობიდან მიიღეს შემკვიდრებით, სცილდება დასავლეთისა და რუსული სიმბოლიზმის ვიწრო, კარჩაკეტილი სკოლური ესთეტიზმის ჩარჩოებს, რადგან იგი ფართო საზოგადოებრივი რეზონანსის ხასიათს ატარებდა“².

ცისფერყანწელები სამწერლო ასპარეზზე მაშინ გამოვიდნენ, როდესაც რუსეთის პირველი

1 ნ. მიწიშვილი, „გარდაცვალება“, 1926, თბ., გვ. 36.

2 მ. აბულაძე, „ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან მე-20 ს.“ — ქართული საბჭოთა პოეზიის საკითხები, სტატიების კრებული, გვ. 19.

რევოლუციის შემდეგ რეაქცია ხელახლა შეიკვეთა რევოლუციური აღმავლობით. 1905 წ. რევოლუციის ქარიშხლით გამოწვეული ალტყინება ვერ გამოდგა მტკიცე და მკაცრთან და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მოღწენებასთან ერთად მათაც შეეხო სოციალურ ფენათა ზოგიერთ ნაწილში გაბატონებული სულიერი რებრესია. ამიტომ ახალგაზრდა ყანწელები ვერ გაჰყვნენ 1910 წლიდან დაწყებული რევოლუციური აღმავლობის ტალღებს. სამაგიეროდ, მთელი თავისი მემამოხე სული მოლიანად ლიტერატურის და ხელოვნების სფეროში გადატანეს.

რეალისტური სინამდვილისაგან მოწყვეტის ამ ტენდენციებმა ისინი მიიყვანა არარეალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის მიჩვენთან, მისი მხატვრული ინტერესები დაუმორჩილეს სხვადასხვა მოდერნისტულ-დეკადენტური ლიტერატურის სკოლების გავლენას. ამას თან ერთვოდა მათი უარყოფითი დამოკიდებულება მთელი იმ მხატვრულად მდარე და უსუსური ლიტერატურული პროდუქციისადმი, რომლითაც ავსებდნენ იმდროინდელ ქურნალ-გაზეთებს მე-19 საუკუნის კლასიკური მწერლობის ეპიგონები.

ამ ეპიგონურ პოეზიას ცისფერყანწელებმა პროტესტის ნიშნად დაუპირისპირეს ახალი ლექსი, სადაც იყო პოეტური სახეების სიასლე, ახალ გამომხატველობით საშუალებათა გამოყენებისათვის ბრძოლა, ახალი, მდიდარი, მელოდიური ლექსისათვის ბრძოლა.

ამის მავალითად შეიძლება მოვიყვანოთ ნ. მიწიშვილის ლექსი „ჩემი მწვერები“:

**თვალწინ მიდგა ტვინის სკივრი გათვითრებული,
შეჩაჩლართულან შხამიანი თეთრი გველები,
ყვითელი ტვინი სიბრაზისგან გაფითრებული,
გახუნებულა ვით ქაოხის დანახველები.**

1918 წლიდან ყანწელებმა თავიანთი სამოღვაწეო ასპარეზი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანეს. მათთან ერთად თბილისში ჩამოდნენ ნ. მიწიშვილიც. იგი ახლა აქ ჩაება ლიტერატურული ცხოვრების ფერხულში. აქტიური მონაწილე გახდა ყანწელების აქაური ქურნალ-გაზეთებისა.

1921 წელს მისი რედაქტორობით არსდება გაზეთი „ფიგარო“, სადაც იგი თავის ლიტერატურულ კრედოს გვიჩვენებს.

„ფიგარო“ ერთ-ერთ მოწინავეში ნ. მიწიშვილი აცხადებს, რომ დადგა ქართული ლიტერატურის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ძველი გზით სვლა აღარ შეიძლება, საქირთა შემოქმედების ახალი ფორმები, თვით ცხოვრებით ნაკარნახევი. ქართულ ლიტერატურას არ ჰყავს პატრონი, არ აქვს შემოქმედებითი ნებისყოფა და მტკიცე საფუძველი. ლიტერატურამ დაკარ-

გა თავისი აზრი, საფუძველი, იდეა. და ეს გრძელდება მას შემდეგ, — განაგრძობს მიწი-
შვილი, — რაც ლიტერატურიდან წავიდნენ მი-
სი დიდი მესვეურები — ი. ჭავჭავაძე და ა. წე-
რეთელი, რომელთაც ჰქონდათ გამართლება რო-
გორც მოქალაქეებს და როგორც პატრიოტებს.

აქედან გამომდინარე, ნ. მიწიშვილი, ისე რო-
გორც ყველა ცისფერყანწელი, თავის კრიტიკ-
ულ-ესთეტიკურ ხასიათს წერილებსა თუ
პრაქტიკულ მოღვაწეობაში ჩვენი კლასიკური
მწერლობის აპოლოგეტად გვევლინება.

ნ. მიწიშვილის აზრით, ლიტერატურის ახალ
რელსებზე გადაყვანის, სიახლისათვის ბრძოლა
მუხუდით ქართულ სიმბოლისტებს — ცისფერ-
ყანწელთა და მან ბრძოლის ერთადერთ ფორ-
მად პოეზია მიიჩნია.

1922 წ. ნ. მიწიშვილის რედაქციით რუსულ
ენაზე გამოდის წიგნი „Поэты Грузии“, სა-
დაც ათიანი წლების ქართველი პოეტების შე-
მოქმედებაა გამოკვეთებული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-
ყარებამ ლიტერატურისაგან მოითხოვა ცოცხ-
ლად გამოხსნაობა გამარჯვებული მშრომე-
ლი ხალხის ყოფიერებასა და სოციალისტურად
გარდაქმნისათვის ბრძოლას. საჭირო იყო ქარ-
თულ ლიტერატურას აესახა ცხოვრების ახალი
მოთხოვნები.

როგორც ვიცით, რევოლუციამდელი სამწერ-
ლო ინტელიგენციის დიდი ნაწილი პროლეტა-
რიატისათვის უცხო, ბურჟუაზიულ-თავდაზნა-
ურულ და წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგიურ
პოზიციებზე იდგა. პროლეტარულ ლიტერატუ-
რას კი ჯერ არ ჰყავდა საკმაო ძალები ქართულ
ლიტერატურაში წამყვანი ადგილის დასაკავებ-
ლად.

ასეთი ვითარება მოითხოვდა გაჩაღებულყო
ბრძოლა პროლეტარიატის იდეურ პოზიციებზე
რევოლუციის წინანდელი თაობის საუკეთესო
მწერალთა გადმოსვლისათვის, მათი იდეურ-შე-
მოქმედებითი გადაიარაღებისათვის. ლიტერა-
ტურულ ფრონტზე მწვავე იდეური ბრძოლის
გაჩაღება იყო საჭირო ბურჟუაზიულ-ნაციონა-
ლისტურ, დეკადენტურ მიმდინარეობათა იდეურ
განადგურებისათვის, ქართულ მწერლობაში
პროლეტარული მსოფლმხედველობისათვის, კო-
მუნისტური იდეოლოგიის დანერგვისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გა-
მარჯვების შემდეგ დაიწყო ცისფერყანწელების
ლიტერატურული ჯგუფის მხატვრულ-იდეური
კრიზისი, მათ გადმოსროლეს ლოზუნგი „დაბ-
რუნება მიწისთანა“. ცისფერყანწელებმა ეს მხა-
ტვრულ-იდეური კრიზისი დაძლიეს 20-იანი
წლების მეორე ნახევარში, როცა საბოლოოდ
დადგნენ რეალისტური პოეზიის პოზიციებზე
და საბჭოთა თემატკის დამუშავებას შეუდგ-
ნენ.

აი რას წერს ამ ვითარების შესახებ ნ. მიწი-

შვილი: „მე ვამბობ, რომ ჩვენმა ჯგუფმა (ცის-
წელებმა) მიუხედავად იმისა, რომ მასში დიდი
გრძნობაა პოეზიის გაგებისა და შეტყობისა,
ვერ ამბავდა თავი შემოქმედებაში იმდენად,
რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო თვითველი
ჩვენი ამხანაგის პოეტუციის მიხედვით, ამას ვუ-
წოდებ მე ჩვენი „კრიზისი“, ე. ი. პოეტმა ძალე
იგრძნო თავისი სკოლის უხერხემლობა, ძირი
იბრუნა საქართველოს ხალხისაკენ, იგრძნო, რომ
„ერთადერთი მსოფლიო იდეა, რომელიც იდე-
ნება ვერობიდან და ფეხს იყიდებს რუსეთში,
ესაა იდეა მუშათა მოძრაობის, კომუნისტურა
იდეა. იგი ბუნებრივია საქართველოსათვის და
ამიტომ, ბუნებრივია, ჩემი უპრყოფა ვერობის
იმპორტისა და მასთან დაპირისპირება საქარ-
ველოსი მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად —
ოქტომბრის რევოლუციის იდეის დასაცავად და
მის განსაერელებლად“.

1922 წ. ნ. მიწიშვილი საფრანგეთში მიემგ-
ზავრება, სადაც 1925 წლამდე იმყოფებოდა. იგი
პარიზში მჭიდრო ურთიერთობაში იყო იქ მყოფ
ქართველებთან. პარიზში ყოფნისას მან გრივოლ
ვეშაპელთან ერთად აქტიური მონაწილეობა
მიიღო საბჭოთა გაზეთის „ახალი საქართვე-
ლო“-ს დაარსებაში.

აქ, პარიზში ყოფნისას მან დაწერა თავისი
ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „გარდაცვალე-
ბა“, რომელშიც ჩანს პოეტის გაორება, მისთვის
პოეზია და მოქმედება ჯერ შეუერთებელია, მაგ-
რამ იგი ოცნებობს ეს ორი ცნება ერთ სიმალ-
ლებზე აიყვანოს.

ასეთ გაორებულ მდგომარეობაში მყოფს ეს-
მის ძახილი შორიდან. „დღეს მხოლოდ ეს ძახი-
ლი სოფლიდან, ძახილი მიწის მადვიებებს მე და
ლეტარგიიდან გამოყვავარ მხოლოდ ამ ხმებს.
აქ იწყება ინერცია განახლებული მოქმედების
და მივდივარ წინ“.¹

პოეტი იღებს სიცოცხლეს ძირიანად, ისრჩო-
ბა სიცოცხლის წყურვილით. მისთვის დაინგრა
ყველაფერი, რაც აწვალდება. იგი მშობლიური
მიწის სიყვარულით მიიწვება სამშობლოსაკენ:
„შინ, შინ, სახლისაკენ, მიწისაკენ, ჩემი მიწა
და ჩემი თავსაფრანი დედა“.

ქართველ ემიგრანტთა შორის კომუნისტური
პროპაგანდისათვის ნ. მიწიშვილი სამჯერ იქნა
გადასახლებული საფრანგეთიდან. ამვე საქმისა-
თვის იგი დააპატიმრეს და საპყრობილე „სან-
ტესში“ მოათავსეს. ამ საპყრობილეშია დაწე-
რილი მისი ლექსი „სამშობლოს“:

ო, საქართველო, წიგნი, ჩემად გადასაშლელი.
გულის ცემაში ჩასრხილო სიკეთე წმინდა

¹ ნ. მიწიშვილი, „გარდაცვალება“, 1926 წ. ტ., გვ. 17.

რუსულან გრიგოლია
ნიკოლოზ მიწიშვილი

მე თუ მოჭრილი, წამებაში შეწუხებული, გეამბორები, სახსოვარო, სისხლოვან კისრით.

უცხოეთში მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდი მას შესანიშნავად აქვს მოცემული თავის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებში „ეპოპეა“. ეს ეპოსის მხრივ მეტად თავისებური ნაწარმოებია, რომელიც მემუარული ლიტერატურისა და ბელეტრისტიკის მიჯნაზეა. ესაა ქართული მხატვრული ქრონიკა რევოლუციის დროიდან.

„ეპოპეაში“ მოცემულია რევოლუციით აფორაქტებულ ფენათა ყოფა და ფსიქოლოგია, რაც ემიგრაციის მავალითვე განსაკუთრებით თვალსაჩინო, რელიეფური ხდება. ამ ნაწარმოებში ნათლად ჩანს საქართველოს თანამედროვე ყოფა და ახალი შეგნების ორგანიზაცია. „ეპოპეაში“ იგი ამბობს: „დღეს საჭიროა მწერალი იყოს რევოლუციონერი, მებრძოლი, თანამედროვე, უნდა აღწეროს მან მიმდინარე ცხოვრება, ყოფა, ემსახუროს ხალხს და მოყვეს რევოლუციის ფეხდაფეხს“. ამ ნაწარმოებში იგი ცდილობს შეიქმნას თავისი ეპოპეა. „ეპოპეაში“ მკვეთრი ფერებით არის ასახული ემიგრანტთა ცხოვრება, თუ როგორ არ ერიდებოდნენ საქართველოდან გაქცეული „მამულიშვილები“ საზღვარგარეთ ავანტიურისტულ „მოღვაწეობას“, დამამცირებელ და სახელისამკატეხ მოქმედებებს. მიწიშვილის მიერ მოცემული ფაქტური მასალები მეტად საინტერესოა. აქ ავტორი გვესაუბრება აგრეთვე ემიგრაციისადმი და ბურჟუაზიული ქვეყნისადმი პირადი დამოკიდებულების შესახებ.

ნ. მიწიშვილი ბოლშევიკ ვიქტორ ლოლაძეს აღაპარაკებს თავის წერილში: „თქვენ გგონიათ საქართველო თქვენს მეტს (ემიგრანტების მეტს) არც უყვარება და არც უყვარსო. ძველად საქართველო მაინცდამაინც არავის თქვენთაგანს არ ყვარებია და მისთვის ჯვარს არ ცმულა და დღეს ვის უფრო უყვარს ქართული მშრომელი ხალხი — ამას თვით ხალხი ზედავს, ვისაც ქართველი ხალხი უყვარს, აქ დარჩა და დღემდე შრომობს. თქვენ კი ვერობაში ყიდით საქართველოს ნისიად და ნაღდად და თავი პატრიოტები გგონიათ“.

„ეპოპეაში“ ნ. მიწიშვილი, უპირველეს ყოვლისა, არკვევს თავის დამოკიდებულებას რევოლუციისადმი. იგი ცდილობს მასთან მიხედობას. აქვე იძლევა საქართველოს წარსულის სურათსაც.

„ეპოპეაში“ მეტად მკაფიოდ ჩანს პოეტის მხატვრული ასახვის ძალა, დაკვირვებული თვალი. პატრიოტული სულისკვეთება, სასიკვდილოდ განწირული საზოგადოებრივი მოვლენებისადმი დამინავი დამოკიდებულება. ეს ნაწარმოები ეპოპის ნამდვილი დოკუმენტია. იგი საბჭოთა სინამდვილეში მხატვრული ნარკვევის პირველი და მეტად საინტერესო ცდაა.

მეტად საინტერესოა ნ. მიწიშვილის „თებერ-

ვალი“, სადაც ხსნის ორ გზას აჩვენებს. „გზა ზეითეკენ, ეს იყო სიკვდილი (ემიგრაცია), დახორჩობა, გადაშენება, ამოძირკვა და მტკიცე მტკიცე გაჩერება ზღვისთან, მიწაზე (მიწაზე მაინც), შეიძლება გზა სიკვდილის, მაგრამ სიკვდილი მიწის სიყვარულით გამართლებული“.

უცხოეთში მყოფი მწერალი გრძნობს, რომ მდგომარეობა მოითხოვდა მოქმედებას, აქტივობას, ფიქრების რეალიზაციას. მან იცის, რომ სამშობლოში დიდი საქმეები აქვს მხრებით ასაწყვეი. იგი პარიზში დაწერილ ლექსში „პროლეტარიატს“ ამბობს:

მინდა ვიმღერო აწი თქვენზე, კეთილო ძმებო,
ცეცხლს წაუყიდებ სიყვარულით ავსებულ
სხეულს.

ჩემს დაბრუნებას თქვენი ჩმა თუ
დაემოწმება —
მეც გამოყვავები თქვენს ბიარალს ბრძოლით
დახეულს.

და აი, 1925 წელს ნ. მიწიშვილი ბრუნდება საქართველოში.

აქედან მოყოლებული, განსაკუთრებით დიდი მისი ღვაწლი ქართული საბჭოთა კულტურის აღორძინებისა და აყვავების საქმეში. იგი სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო გამომცემლობაში მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას და, საერთოდ, აქტიურად ჩაება ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის ბრძოლაში.

როგორც ცნობილია, ეს ის დროა, როცა რუსეთის დიდმა რევოლუციამ, მძლავრად ამოქმედებულმა კომუნისტურმა მოძრაობამ დაფარა თავისი მნიშვნელობით ყოველგვარი იდეოლოგიური მოძრაობა მსოფლიოში. „ქაა დასაწყისი დღევანდელი კულტურის ვადმოხერისა და ვადმოთესვისისა ჩვენსკენ, აქედან იშლება ბრწყინვალე პერსპექტივა ჩვენი მომავლისა... დღეს ჩვენთვის, ქართველებისათვის, საჭიროა, რომ ჩვენში დამკვიდრდეს ეს გრძნობა ახლის მოლოდინისა და შეგნება, რომ ამ ახლის ქმნაში ისტორიამ საქართველოსაც დაავისრა საპატიო საქმე“. მისი აზრით, აქტიურობის ერთ-ერთი დიდი წილი იყო საბჭოთა საქართველოს საგამომცემლო საქმის აღორძინება, ქართული წიგნის კულტურის ამოღება. ეს მეტად დიდი და პატრიოტული საქმე მან მთელი ძალით შეინისხსოვრა, პირველი რიგის საქმედ აქცია და ქართულ კულტურას ამ სფეროში ფასდაუღებელი და განუზომელი ამაგი დასდო.

ეს საკითხი იმდროინდელ პირობებში მეტად მტიკინეული იყო, განსაკუთრებით მტიკინეული იყო კლასიკური მწერლობის გამოცემა. ხოლო კლასიკური ლიტერატურის გამოცემის სათანადო მტიკიცე ნადავზე დაყენება არც ისე ადვილი იყო. საჭირო იყო გამოსაცემ წიგნთა და ავტორთა დიდი სიფრთხილით შერჩევა, წინასწარ დიდი მეცნიერული კვლევა-ძიების ჩატარება,

ამ საქმისათვის სათანადო კადრების შექმნა და შეწყობა და ამა თუ იმ წიგნის ხანგრძლივი დამუშავება; ამასთან ესა თუ ის კლასიკოსი ახალი ეპოქის იდეურ მოთხოვნებს უნდა შეფარდებოდა.

ოციან წლებში კლასიკოსების სათანადოდ გამოცემა მოითხოვდა მარქსისტ-კომუნისტურების კადრების შექმნას. თუ რამდენად რთული იყო ამგვარი კადრების, ძალების შექმნა და შეწყობის საკითხი იქიდანაც ჩანს, რომ 1924 წლის დამლევს მოწვეულ კრებაზე რუსეთის სახელგამში, სადაც, სხვათაშორის, პირველად ირჩეოდა კლასიკოსების გეგმიანად გამოცემის საკითხი, მობილიზაცია გაუკეთეს ლიტერატურათმცოდნე მარქსისტულ ძალებს და სულ 50 კაცი შეკრიბეს, ეს იყო რუსეთში რევოლუციის შემორმეტე წლისთავზე. წარმოიდგინეთ, რა სახალაო მდგომარეობა იყო ამ დროს, ამ მხრივ, საქართველოში. „სახელგამი“ სცემდა თავის მდგომარეობასთან შეფარდებით კლასიკოსთა ნაწარმოებებს, შეძლებისდაგვარად ამუშავებდა მას. ამ საკითხზე მუშაობდა საგანგებო კომისია, რომელსაც ნ. მიწიშვილი თავმჯდომარეობდა. იგი იყო სახელმწიფო გამომცემლობის თოსანია, ორგანიზატორი, მთელი ამ დიდი საქმის სულისჩამდგმელი, ტექნიკური შემსრულებელიც და წიგნის შემკვეთიც, შთამაგონებელიც, მწერლისა თუ მეცნიერის სტიმულის მიმცემი.

ნ. მიწიშვილს შემოქმედი აინტერესებდა ყოველმხრივ, საზოგადოებრივ საქმიანობაში, შემოქმედებითი წვის პროცესში, შინაურ ცხოვრებაში — კროგორც წასაწერებთ კაბინეტში, წერს თუ კითხულობს, რანაირ ვარგებლობაში დაგხვდებით“. მას აინტერესებდა მწერლის პორტრეტი ყოველმხრივ, ცდილობდა შემოედო ამნიირი პორტრეტისათვის უფრო განსაზღვრული ორი რუბრიკა — „გუშენდელთა პორტრეტები“ და „დღევანდელთა პორტრეტები“.

ნ. მიწიშვილი ცდილობდა თავის ირგვლივ შემოეკრიბა ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, მეცნიერები. მაგალითად, 1930 წლიდან მან გამომცემლობაში დააარსა სამეცნიერო განყოფილება და სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად, მიიწვია პროფ. ს. ყუბხიშვილიც. ეს განყოფილება უმადლესი სკოლების სახელმძღვანელოებსაც ამზადებდა და სამეცნიერო მონოგრაფიებსაც ბეჭდავდა. აქ პირველად საქართველოში საფუძველი ჩაეყარა უმადლესი სკოლების სახელმძღვანელოების გამოცემას.

გამომცემლობასთან მუშაობას იგი ბევრ მეტად სასარგებლო საქმეს უთავსებდა.

1926 წლის ივნისში საქართველოში გამოვიდა ჟურნალი „ქართული მწერლობა“, რომლის დამაარსებელი, მთავარი რედაქტორი ნ. მიწიშვილი იყო. ამ ჟურნალს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მწერლობის კონსოლიდაციის

სათვის, რომელიც საბოლოოდ 1932 წ. აბრკოში დამთავრდა.

ჟურნალის პირველი ნომრის მოწინავე ნ. მიწიშვილი წერდა: „დღეს ქართული მწერლობა გაერთიანებული გამოდის საზოგადოების წინაშე და ამ უკანასკნელს უფლება აქვს ითხოვს — რამ გააერთიანა მწერლობა საქართველოში. რისთვის გაერთიანდა იგი და რა გზისაკენ მოუწოდებს ხალხს ქართული მწერლობა. ჩვენ ვაღიარებთ ვართ პასუხი გავცეთ ამ კითხვას ნათლად და პირდაპირ.“¹

ნ. მიწიშვილი ამავე მოწინავეში თავიდან ბოლომდე ცდილობს შეძლებისდაგვარად წარმოადგინოს ამ ჟურნალის პირსექტეები, ამოცანები, სურვილები და ამერ გადმოსცეს თავისი შეხედულება ამ დიდი საქმის შესახებ, რომელსაც ქართული კულტურა ჰქვია. მისი აზრით, ტალანტების დამირისპირება და მათი შემბოძება საინტერესოა, „რამდენადაც ამ სფეროში ადგილი ჰქონდა თუ აქვს არანორმალური დამოკიდებულება (დიდ ვარდატეხებს ეს სწევება), ეს არანორმალური მდგომარეობა საქირთა დაძლეულ იქნას. ეს დღეს შესაძლებელია“².

მან, როგორც უკვე ჩამოყალიბებულმა შემოქმედმა, საზოგადო მოღვაწემ იცის, რომ ჰეგმონიტი ნიშის გამოჩენისა და განვითარებისათვის საჭიროა შემოქმედებითი ჰიდილი, საჭიროა ვეძიოთ მწერალთა დახსლოებისა და გაერთიანებისათვის სხვა, არანდოვიდუალური ასპარეზი.

მიწიშვილს არ ავიწყდება, რომ შემოქმედს უფლება არა აქვს გაეცეს ეპოქის შინაარსს, ამ ეპოქის მამოძრავებელ სოციალურ, საზოგადოებრივ, მოქალაქეობრივ ხასიათის ფაქტორებს, ზურგი შეაქციოს ქვეყნის ტკივილებს.

ნ. მიწიშვილის რედაქტორობით ჟურნალმა „ქართული მწერლობა“ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ჩვენი მოწინავე, თვალსაჩინო მწერლები და პოეტები, კრიტიკოსები, რომლებიც, მართალია, თავიანთ ძველ ლიტერატურულ მიმართულებებს ჯერჯერობით სავსებით ვერ აღწევდნენ თავს, მაგრამ მთლიანად მიიღეს საბჭოთა სინამდვილე.

ამ ჟურნალში ვერა და მხატვრული ლიტერატურისა, ქვეყნდებოდა სტატიები მეტად საჭირობოტო საკითხებზე, იბეჭდებოდა კრიტიკული წერალები, დასმული იყო ბევრი სადისკუსიო პრობლემა.

ამ გამომქვეყნებულ ბევრი კრიტიკული წერილის ავტორს, თუმცა ბევრ რამეში ვერ დავე-

1 ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1926 წ. № 1, გვ. 3.

2 იქვე, გვ. 4.

რუსუდან გრიგოლია
ნიკოლოზ მიწიშვილი

თანხმებით, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ მათ მი-
ერ წამოყენებული პრინციპი თანამედროვეობის
მხატვრული ასახვისა საეხებით მართებული და
მისაღებია, ე. ი. ქართული საბჭოთა სალიტერ-
ატურო აზრი თავიდანვე აღმოჩნდა მოწოდუ-
ბის სიმართლეზე და მნიშვნელოვანი როლი შეას-
რულა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში.
ამ ეტრნალში ნ. მიწიშვილი ამავე დროს საინ-
ტერესოა, როგორც პუბლიცისტი. აქ მოთავსე-
ბული მისი პუბლიცისტური წერილები მეტად
აქტუალურ საკითხებს ეხება.

ქართული მწერლობის სინამდვილეში 1927
წელი, ერთი მხრივ, ძლიერი კლასობრივი დიფერ-
ენციაციის წელია. ამ პერიოდში წარმოებს
გაცხოველებული დისკუსია ნ. მიწიშვილის „ნი-
დლისტური ფიქრების“ — „საქართველო არის
და არც არის“ შესახებ.

ესაა ნ. მიწიშვილის მიერ უცხოეთიდან გამოგ-
ზავნილი წერილების ირგვლივ გამართული კა-
მათი. ამ წერილების გამოქვეყნება „ქართულ
მწერლობაში“, ნ. მიწიშვილის აზრით, განაპი-
რობა იმან, რომ „ყოველი ჩემი წერილი ეხებო-
და ერთ საკითხს — საქართველოს“.

მიწიშვილის ყოველ მოქმედებას ახლავს
გულწრფელობა. იგი თავის თავს თვლის ჩვეუ-
ლბრივ, საშუალო ინტელიგენციას. „მე მგონია,
— ამბობს იგი, — თანამედროვეობისათვის და
ისტორიისათვის სწორედ ისაა საინტერესო, თუ
რა აწუხებს ამ საშუალო ადამიანს... მე ვარ ჩე-
მი ეპოქის ცოცხალი დოკუმენტი...“ „ფიქრები
საქართველოზე“ ბევრი ინტელიგენტისათვის
არის ადამიანისათვის. ახალმა ადამიანმა შე-
იგნო ახალი ეპოქის მიუცილებლობა, ბევრი რამ
შეითვისა. ადამიანი ფართხალბას წინააღმდე-
გობათა ხვეულებში. ხდება ვაგარება თანამედ-
როვე პიროვნებისა, „იწყება ბრძოლა საკუთარ
თავთან“. ამ თანამედროვე პიროვნებამ დაიწახა,
რომ ბევრი რამ თავიდან ყოფილა დასაწყები,
თავიდან ყოფილა დასაწყები ფიქრებიც საქარ-
თველოზე. მართალია, ეს ფიქრები შეიძლება
სტიქიური, მოუსაზრებელი და ზომიერებას მო-
კლებულია. მაგრამ როგორც მიწიშვილი ამბობს:
„გზის ძებნა და იჭვიანობა, საკუთარი თავის
კრიტიკა და მეტის სურვილი — ეს არაა პესი-
მიზმი. ახალგაზრდობა უნდა აღიზარდოს ამ ძიე-
ბისა და აზროვნების ატმოსფეროში“.

ამ წერილს ეტრნალ „ქართულ მწერლობაში“
ბევრი მწერალი და პოეტი, შემოქმედელი გამოეხ-
მურა, განსაკუთრებით საინტერესო იყო ს. ჩი-
ქოვანის და ბ. გორდუზიანის საპასუხო წერი-
ლები. ს. ჩიქოვანის აზრით, „მიწიშვილის წე-
რილში მხოლოდ საკითხია დასმული ისე, რომ
მას უნდა გამოეხმუროს ყოველი მოაზროვნე
ქართველი“. ხოლო ბენო გორდუზიანის თქმით,

„ასეთი ფიქრები საქართველოზე დიდხანია
აწვალებს ჩვენს საზოგადოებრიობას, განსაკუთ-
რებით ინტელიგენციას“.

ნ. მიწიშვილის „ფიქრებს საქართველოზე“
ახასიათებს ამა თუ იმ მოვლენათა შეფასებაში
მიუღებელი აზრები, მაგრამ მას მაინც გამართ-
ლება აქვს, რადგან ერთი — სამშობლოს ბედი,
მისი კეთილდღეობა — ამოძრავებს.

მიწიშვილის დასკვნით წერილში „ჩემი პა-
სუხია“ ჩვენ ვკითხულობთ: „რა გზას უნდა და-
ვადგეთ ჩვენ: — მე ვამბობ, რომ ეს გზაა მშრო-
მელი ხალხის გზა პროგრესისა და შრომის უფ-
ლებისაკენ, საერთაშორისო მშვიდობიანობის და
ერთგულთუ განთავისუფლებისაკენ“.

1931 წლიდან გაზეთ „სალიტერატურო გაზე-
თის“ დაარსებაში დიდი იყო ნ. მიწიშვილის
წვლილიც. ამ დროისათვის „სალიტერატურო
გაზეთი“ არის საბჭოთა მწერლების ფედერაციის
ორგანო, რაც იმას ნიშნავდა, რომ გაზეთს უნდა
შეესრულებინა ის ამოცანები, რომელიც ფედე-
რაციის საქმიანობის საფუძველი იყო. მან თა-
ვის ირგვლივ უნდა შემოკრიბოს საბჭოთა მწერ-
ლების აქტიური, უფრო მახლობელი ელემენ-
ტები, მიიზიდოს ჩამორჩენილები, შეუბრალებ-
ლად ებრძოლოს ყველაფერს, რაც არ არის არა-
პროლეტარული, არა რევოლუციური... იგი გაა-
ტარებს მკვეთრ კლასიურ-ბოლშევიკურ ხაზს.
— ნათქვამია ამ გაზეთის მიწიშვილზე სტატიაში.

ამ გაზეთის პირველ ნომერშივე ნ. მიწიშვი-
ლის სტატია „საბჭოთა მწერლობის ახალი
ამოცანები“ კმათის წესითაა გამოქვეყნებული,
სადისკუსიოა.

მიწიშვილის აზრით, იმდროინდელი სოცია-
ლისტური კულტურა მოითხოვდა საკუთარი
იდეების გამომხატველ კულტურულ კატეგო-
რიას. მცირდებოდა ძველი — „მაღალი კვალი-
ფიკაციის“ ინტელიგენციის რიცხვი, ვიწროვდე-
ბოდა მათი მოქმედების ასპარეზი, მის ადგილს
იკავებდა ჯერ ნაკლებკვალიფიციური. მაგრამ
თანამედროვე სოციალისტური აღმშენებლობი-
სათვის საიმედო და მის მიერ შექმნილი ინტე-
ლიგენცია, ხოლო საჭირო იყო ძველი ინტელი-
გენციის, ასევე მწერლობაში ძველი კლასიკოს
მწერალთა გამოცდილების რაციონალურად გა-
მოყენება. იგი მწერლისაგან მოითხოვდა „წმინ-
და პოლიტიკური მომენტის გარდა, მხატვრო-
ლ კვალიფიკაციას“. მიწიშვილს ესმობა, რომ
„მხატვრული შემოქმედება არის ურთულესი
ფორმა იდეოლოგიური შემოქმედებისა“. მწე-
რალმა ნაწილობრივ მაინც უნდა შექმნას თანა-
მედროვე ეპოქის კუშმარტიო სახე. ნ. მიწიშვი-
ლი მოითხოვდა ამა თუ იმ მწერლის რაიმე ვადაპ-
რის, მწერლის შეცდომების გამოსწორებისათ-
ვის ხელის შეწყობას.

1 ეტრნ. „ქართული მწერლობა“, 1927 წ.,
№ 8.

1 ეტრნ. „ქართული მწერლობა“, 1927 წ.,
№ 8.

ქართველმა მწერლებმა, მათ შორის ნ. მიწი-
შვილმა, მიიღეს რევოლუცია, თავიანთ შემოქ-
მედებაში სცადეს სათანადოდ აესახათ იგი.

1933 წ. აგვისტოს „სალიტერატურო გაზეთ-
ში“ თავის საღისეულო წერილში ნ. მიწიშვილი
წერს: „სოციალიზმის მწერალი, როგორც შემო-
ქმედი წინ უნდა უძღოდეს ეპოქას... მწერალს
უნდა მუდმივად სწავლა და შემოქმედება... აქ
მას უნდა მოეხმაროს სახელმწიფო, ორგანიზა-
ცია, კოლექტივი“.

ნ. მიწიშვილს შემოქმედებითად გარდაქმნის
ვხად მიანდა შემდეგი ვადამწვევტი საკითხების
გათვალისწინება: 1. ჭგუფობრიობის ნაშთების
საბოლოო ლიკვიდაცია; 2. მწერლობის პოლი-
ტიკურად საბოლოო გამორკვევა; 3. მწერლის
ყოფის შეცვლა; 4. მწერლის საგამომცემლო შე-
საძლებლობების დამყარება; 5. ახალგაზრ-
დობის მოვლა-პატრონობის საკითხი.

ნ. მიწიშვილი შედიოდა საბჭოთა მწერლობის
კავშირის საბჭოში, იგი ხელმძღვანელობდა სა-
ფინანსო-სამეურნეო სექტორს. ამ სექტორის
ევალებოდა ბიუჯეტის შედგენა და სათანადო
თანხების გამოანხვა, ლიტერატურული ფონდის
დაარსება, გამომცემლობა „ფედერაციაზე“
მეთვალყურეობა. ეს მოვალეობა შეტად პასუხ-
საგები იყო იმ პერიოდში — საბჭოთა კავშირის
მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პე-
რიოდში.

ნ. მიწიშვილი ბოლომდე ხელმძღვანელობდა
ქართულ საგამომცემლო საქმეს. აი როგორ ეს-
მოდა მას ამ საქმის არსი: „ოქტომბრის რევო-
ლუციამ პოლიგრაფიული საქმე საქართველო-
ში სრულიად ახალ გზაზე დააყენა. ამ მხრივ სა-
ქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის და-
არსება წარმოადგენს უდიდესი კულტურული
მნიშვნელობის მოვლენას...“ ამ სიტყვებიდან
ნათლად ჩანს, თუ როგორ ესმოდა მას თავისი
მოვალეობა, თუ რაოდენ დიდ ტვირთს ეზიდე-
ბოდა ეს ნამდვილი ქართველი მიწის შვილი.

თუ ნ. მიწიშვილი მოქმედების, გამბედაობის
და სიცოცხლის ლოგიკამ გაათანასწორა თანა-
მედროვეობასთან, იგი, როგორც პოეტი, რო-
გორც აღვნიშნეთ, ერთბაშად ვერ განაიარაღა
ძველი პოეტური ტრადიციებისაგან.

მაგრამ სამშობლოში დაბრუნებული და მისი
კეთილდღეობისათვის, კულტურული აღმავლო-
ბისათვის თავდადებული პოეტი საბოლოოდ
სძლევს პოეზიაში შინაგან წინააღმდეგობებს.

მისთვის განვლო მერყეობის პერიოდმა, მას
შემდეგ „წუთითაც არ დამსვენია, რაც მწერ-
ვალ საბჭოთა კარი“, — ამბობს პოეტი, რომელიც
მან აირჩია ერთი გზა — გზა მშრომელთა
კენ:

მე თქვენთანა ვარ ამ დიდ შარაზე,
როგორც პოეტი და მოქალაქე,
როგორც მეტამბე, როგორც ხარაში,
როგორც მუშა და როგორც დალაქი.

ახლა უკვე ნ. მიწიშვილი როგორც პრაქტი-
კული მუშაობით, ისე შემოქმედებით დაუკავ-
შირდა სოციალიზმის მშენებელ ხალხს. მის
სტრიქონებში ჩნდება სოციალიზმის მშენებელი
გმირების ახალი, ნათელი სახეები, იგი, როგორც
პოეტი, დგება რეალიზმის გზაზე. უმღერის ხალ-
ხთა მეგობრობას, სოციალიზმის მშენებლობას,
პატრიოტიზმს, მშვიდობას, ამის ნათელი გამო-
ხატველია ლექსები: „ახალი მოედანი“, „გური-
აში“, „წერილი სერგო ორჯონიძის იმერეთი-
დან“, „კოლხიდა“ და სხვა.

პოეტი უმღერის გიგანტთა გზაზე ჩამწყრივე-
ბულ ვაჟკაცთა მოდგმას: კამოს, ლალო კეცხო-
ველს.

ნ. მიწიშვილის საქმიანობა, საზოგადოებრივი
ცხოვრების ფერხულში ტრიალი ნათლად ჩანს
ლექსში „პოეტი აღმშენებლობაში“. იგი მიიღე-
ნილია პ. იაშვილისადმი, რომელმაც პოეტს
ლექსი შეუქვეთა. ნ. მიწიშვილი აქ გადმოგვცემს
თავისი პრაქტიკული მუშაობის მნიშვნელობას,
იგი საზოგადოებრივი საქმეებისაგან დატვირ-
თული მოუტყუელია, ლექსი კი ითხოვს: „ბევრ
შალაშინს, დროს და წვალებას“:

თუ კარგ სახელგამს მიუშატეთ
კარგი ზამბისი,
კომუნიზმის გზავ,
უფრო ჩქარა გაითვლები.

ნ. მიწიშვილი ამასთან ღიდი სისათუთით და
გულსყუროთ, ქართული ენის ღრმა ცოდნით
თარგმნიდა მაიაკოვსკის, შევჩენკოს, მაქსიმ
რილსკისა და სხვათა ნაწარმოებებს.

ნ. მიწიშვილის ყოველ სტრიქონში, მთელ
მის შემოქმედებაში, საქმიანობაში, იგრძნობა
ერთი უმთავრესთაგანი — სამშობლოსადმი,
მშობლიური ხალხისადმი ღრმა სიყვარული.



იზოლდა ბაჩიაშვილი

ქ ა ნ ა ნ უ ი

ლიტერატურულ მიმდინარეობათა სიჭარბით განთქმული ჩვენი საუკუნე ბევრს როდი იცნობს ანუის მსგავს შემოქმედს. XX საუკუნის ფრანგ დრამატურგთა შორის იგი ერთადერთია, ვინც კლასიკური ფრანგული დრამატურგიის ხაზს აგრძელებს და სრულიად სამართლიანად იმსახურებს კომედიის სწორუპოვარი ხუროთმოძღვრების — მოლიერისა და ბომარშეს ღირსეული მემკვიდრის სახელს.

ყველაზე დიდი ღირსება, რითაც ანუი იპყრობს თანამედროვეთა ყურადღებას, არის პიესის შექმნის იშვიათი ოსტატობა, განსაკუთრებული სცენიურობა, სადაც ყველა დეტალი არნახული სიზუსტითაა მინიშნებული, მოქმედ პირობა სწორი განლაგება, ექსტ-მიმიკის მოწესრიგება, ფრაზათა მუსიკალობა. მწერალს უნარი აქვს მარტივი, სრულიად უბრალო, ყოველდღიური, სალაპარაკო ენა ნატივ პოეზიას აზიაროს.

არიან დრამატურგები, რომლებიც თეატრის შესწავლას ბიბლიოთეკაში იწყებენ, ანუი სხვათა კატეგორიას განეკუთვნება. მისი ცხოვრება ყრმობიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა თეატრს და დღემდე მხოლოდ ამ საქმიანობით სუნთქავს. ანუის დედა არკაშონის კაზინოს მევითლინე იყო და პატარა ენა რვა წლის ასაკიდან კაზინოს კომედიების მუდმივი სტუმარი გახლდათ. «ფიქტობ, სწორედ ამან ჩამისახა» თეატრის შექმნის სურვილიო, — განაცხადა ერთერთ ინტერვიუში დრამატურგმა. 1925 წელს, თხუთმეტი წლის ენა ანუი, ოჯახთან ერთად, ბორდოდან პარიზში გადასახლდა, ამან მომავალ დრამატურგს საშუალება მისცა ევროპის საუკეთესო დიდგმები ენახა. თეატრის სიყვარულმა იგი ლუი ეშუესთან მიიყვანა. მაშინ ეშუე უკვე სახელგანთქმული რეჟისორი და მსახიობი, «კომედი დე შანზელიზეს» ედგა სათავეში. წლების მანძილზე (1931 წლამდე) ანუი ეშუეს პირადი მდივანი და ბიბლიოთეკარი იყო.

მაგრამ ეს ორი აღმინი, — ერთი ჭარბადი და სახელგანთქმული ხელოვანი, მეორე კი სრულიად ახალგაზრდა და ხელოვნებას მოწყურებული, ერთმანეთს ვერ შეეგუა. ეშუე არ დაინტერესდა ახალბედა დრამატურგის ხელნაწილებით, პირიქით, ურჩევდა თავი დაენებებინა მწერლობისთვის, მაგრამ ეშუეს მიერ დაწუნებული ხელნაწერი («ყარყუმი») პოლტ პამ სიამოვნებით მიიღო და ეშუეს თეატრიდან წასვლის შემდეგ, 1932 წ. დადგა კიდევ სცენაზე. ანუის — დაბალი წარმოშობის ხელმოკლე ახალგაზრდას, ჯერ კიდევ მრავლი დაბრკოლების გადალახვა და წარუმატებლობა ელოდა. მხოლოდ დიდმა ნებისყოფამ და არაჩვეულებრივმა შრომისმოყვარეობამ აიძულა მაყურებელი ეცნო მისი ნიჭი და უნარი.

1937 წელი ანუის თეატრალურ ცხოვრებაში ჭეშმარიტი გამარჯვების დასაწყისია, ამ წელს ჩაეყარა საფუძველი მის თანამშრომლობას ფრანგული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებთან კორე პიტოვესა და ანდრე ბარსაკთან. ანუი დღესაც არაჩვეულებრივი სიყვარულით იგონებს შემოქმედებით მეგობრობის იმ დაუეცყყარ წლებს, «მეორფას პიტოვეთან მძიმე შრომაში გატარებულ დღეებს, როცა დრამატურგიც და რეჟისორიც, ორივე ლატაკი, მაგრამ ბედს დაუმორჩილებელი, «მატურინის» თეატრის ღარიბულ სამუშაო ოთახში ქმნიდნენ ახალი აზრისა და სიწმინდის თეატრს».

პიტოვესა და ბარსაკის რეჟისორობით დაღმუღმა პიესებმა ანუი მტკიცედ დაამკვიდრა ფრანგული თეატრის სცენაზე. ამ დღიდან მოყოლებული თითქმის ყოველ წელს იდგმება მისი ახალი პიესა «კომედი დე შანზელიზეს», «მარინის», «ატელიეს», «მონპარნასისა» და სხვა თეატრებში. ყველა გამოჩენილი რეჟისორი, მათ შორის როლან პიეტრი, ენა დენი მალკლე, რომლან ლოდენბახი, ანდრე ფრანკი, ენა ლუი ბარო და სხვები დიდი სიყვარულით ჰკიდებენ

ხელს ანუის პიესებს. ორმოციანი წლების წამყვანი მსახიობები: ივონ პრენტანი, მოლენ ვალენტინი, სეზან ფლონი, ჟან დეი, ჟან ვილარი, უფრო გვიან მიშელ ბუკე, პარი მორგანი, მიშელ ალფა და თანამედროვე ფრანგული თეატრის სხვა აღიარებული ვარსკვლავები საამაყოდ მიიხსენიან ანუის გმირების განხორციელებას.

უკვე ორმოციან წლებში ანუი არაჩვეულებრივ მითად იქცა. მის პიესებს თარგმნიან სხვადასხვა ენაზე. წარმატებით დგამენ ამერიკის, ინგლისისა და ევროპის მრავალი ქვეყნის სცენაზე. 1959 წლიდან ანუის დრამატურგია საბჭოთა სცენასაც ეწვია. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ანუის პიესები: „ტოროლა“, „ანტიგონე“, „მედეა“, „უბარგო მგზავრი“, „პამანი სანლიში“, „ქურდების მეჯლისი“ და სხვ. დიდი წარმატებით იდგმება მოსკოვის (მცირე თეატრი), სტანისლავსკის სახელობის, ერმოლოვას სახელობის, გოგოლის სახელობის და სხვა დრამატულ თეატრებში) სევერლოვსკის (დრამატული თეატრი), თბილისისა (მარჯანიშვილის სახ. დრამატული თეატრი, რუსთაველის სახ. დრამატული თეატრი) და სხვა ქალაქების სცენებზე. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ 1967-68 წლების სეზონის დასაწყისში მოსკოვის თეატრებს შეემატა ახალი თეატრალური დასი (მთავარი რეჟისორი ბორის აბლინინი), რომელმაც ანუის „ტოროლას“ პატივისცემის ნიშნად თავის თეატრსაც ტოროლა უწოდა.

დასახელებული რეპერტუარი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენში ანუი უპირატესად თავისი ტრაგედებითა და დრამებით დამკვიდრდა. ასე იყო დრამატურგის სამშობლოშიც. პარიზის მაყურებელმაც ანუი პირველად თავისი „შავი პიესებით“ („ყარყუმი“, „ველური“, „უბარგო მგზავრი“, „ევერილიკი“), „შეიკვარა, და როცა სცენას“ „ვარდისფერი პიესები“ (ქურდების მეჯლისი“, „ლუკადია“, „პამანი სანლიში“) გააჩინა, იმდროინდელი ლიტერატურულ სამყაროში დიდი აურზაური ატყდა. როგორც ადრე (ოციან წლებში) მარსელ ემეზე წერდნენ, რომ იგი გაეძეა თავის ძველ შეხედულებებს, უარი თქვა თავისი შემოქმედების ძირითად პრინციპებზე; ახლაც კრიტიკოსთა ერთმა ნაწილმა „ვარდისფერი პიესებში“ სრულიად ახალი მხატვრული პრინციპების მქონე დრამატურგი აღმოაჩინა. დაიწყო იმის მტკიცება, თითქოს ანუი შეეგუა ცხოვრების უკუღმართობას, რომ მისთვის სამყარომ ვარდისფერი მიიღო, რომ ხელოვანი ვეღარ ზედავს თავის ირვავად არსებულ წინააღმდეგობებს, და ა. შ. ზოგმა ისიც კი სცადა, გამოეყო „ვარდისფერი“ და „შავი“ პერიოდები ანუის შემოქმედებაში და ამტკიცებდა, რომ არსებობს ორი ანუი, ერთიმეორის საწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი.

ანუის შემოქმედებაში შეუძლებელია გამოიყოს ცალკეული თანრობრივი პერიოდები, რად-

გან პირველივე დღეებიდანვე იგი პარალელურად მუშაობს დრამის, კომედის და დრამატურგის თითქმის ყველა დარგში. პირველად ეს იქნა („ყარყუმი“ — დაიწერა 1929 წელს) შემდეგ ნებელი მოსდევს პირველი კომედია (ქურდების მეჯლისი) — დაიწერა 1932 წელს და არ დადგმულა 1938 წლამდე). შემდეგ ისევ დრამა, ისევ კომედია და მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ჟან ანუი ერთმანეთის მიყოლებით ქმნის „ვარდისფერი“ და „შავი“ სამკაულების შესანიშნავ კრიალოსანს, რომელთაგან „შავი“ ყოველთვის დრამაა, ხოლო „ვარდისფერი“ კომედია, ფარსი ან ვოდევილი. უღვაყო, რომ თეატრის ისტორია ბევრს არ იცნობს ანუის მსგავს დრამატურგს, რომელსაც ასე თამამად მოეხინჯოს თავისი კალამი დრამატურგის თითქმის ყველა თანრში, მაგრამ თანრობრივი მრავალფეროვნება სრულიადაც არ ნიშნავს ანუის მსოფლმხედველობის ცვალებადობას, ან მისი ძირითადი პრინციპების მერყეობას. მეოლე მისი შემოქმედება მოგვაგონებს ერთ დიდ ლაბორატორიას, სადაც სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით ერთი და იგივე ძიება მიმდინარეობს. მისი ძიებისა და დაკვირვების ობიექტია ადამიანის მარადიული ლტოლვა ბედნიერების, წრფელი სიყვარულის, უმანკო და შეუბღალავი ცხოვრებისაკენ. მაგრამ ბურჟუაზიული სინამდვილე შემპარწუნებლად ამახინჯებს პატიოსანი ადამიანის ბუნებას, მის ხასიათს. ანუი ყველა პიესაში გულახდილად აღიარებს, რომ კაპიტალიზმის ბატონობის პერიოდში საზოგადოება გაუვალ ჭუნგლებს ემსგავსება, სადაც მხოლოდ ოქროს მფლობელი ბატონობს, სხვები კი არაადამიანური არსებობისათვის არაა განწირულნი.

მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ანუის მიერ აღწერილი „შავი პიესების“ სამყარო ორ ანტიანისტურ ბანაკადაა გაყოფილი. ამ დაყოფის საფუძველი ქონება-არქონებას ემყარება. საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ანუი „მქონებელთა რასას“ უწოდებს, თავის ბედნიერებას, სიხალისეს, თვით ნიჰსაც კი მეგვიდრეობით იღებს და ბძოლისა და შრომის ვარეშე ყველაფრით უზრუნველყოფილია. მქონებელთა ანუ მდიდართა ამ სამყაროში ანუის პერსონაჟთა შორის ადამიანების სამი ძირითადი კატეგორია გამოიყოფა. ზოგი მათგანი (მაგალითად, გრანას პერციოვის მეუღლე პიესიდან „ყარყუმი“) გულდვარდიანი და ლატაკთა მიმართ მტრულად განწყობილი, დაუფარავად იბრძვის თავისი წრისა და ტრადიციების დასაცავად და დაუშვებლად მიაჩნია უპოვართა სამყაროდან ვინმემ შეაღწიოს მათ ცხოვრებაში. ისინი არაჩვეულებრივ სიამოვნებას განიცდიან მათზე და-

იზოლდა ბაჩიაშვილი
ჟან ანუი

მოკიდებული ადამიანების დესპოტური ტანჯვა-წამებით, ბოლომდე მტკიცედ იცავენ სიმიდრით მინიჭებულ უფლებებს და არავითარ დამომბახე არ მიდიან. მეორენი, რომელთა ტიპური წარმომადგენელიც მარი ფრანსისა („ველური“), ინდფერენტულად განწყობილი, ფუქსივითი ცხოვრებით ვალდებული ადამიანები არიან, ადამიანებთან ურთიერთობისას ისინი აშკარად არ ამქლავებენ თავიანთი წარმოსზობისა და მდგომარეობის უპირატესობას, არც ბოროტად ესხმიან თავს ღარიბთა წარმომადგენლებს, მაგრამ არც ესმადინებთ გასაჭირსა და უხედავებაში მყოფ ადამიანებს. მდიდართა სამყაროში ანუ იმ ყურადღებებიან და გულჩვილი ადამიანებიც გამოქმენა, რომლებიც ღატაკთა დახმარებას თავის შინაგან მოთხოვნილებად აქცევენ და მზად არიან ბედნიერების კარი გაუღონ ჩაგრულთა სამყაროდან მათეც მომავალ სპეტაკ ადამიანებს, მაგრამ (მონიერ) „ყარყუმოდან“, ტაკლიან „იხაბედლადან“, ფლორანს „ველურიდან“) იმდენად უსუსურნი არიან, რომ მიზანს ვერ აღწევენ. პირიქით, ანუი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ უნაათო მდიდრებს მათეც მომავალი ღატაკნი თავისი სულიერი სამყაროს გასამდიდრებლად, ფიზიკური არსებობის შესაწარმუნებლად ესაკურობათ. დრამატურგის აზრით, ის ჯგუფი თავისი სრულყოფისათვის, თავისი პიროვნული ღირსების ასამაღლებლად, ძალის შესამატებლად, ტოტალური ბედნიერების მოსაპოვებლად უწვდის ხელს ღარიბთა სამყაროდან ლტოლვილ ძლიერ პიროვნებებს.

პიესებში „იყო ერთი პატმარა“ და „უბარგო მგზავრი“ ანუი მდიდართა სამყაროს გარეგნული სიმშვიდისა და ზიზილაპიილებით შეთხზულ საფარველს ბოლომდე აცლის და დიდი ოსტატობით ამხელს მოჩვენებითი კმაყოფილი სახეების მიღმა არსებულ სიბილწესა და გაუტანლობას. ორივე პიესის მთავარი პერსონაჟები მსხვილი ბურჟუაზიული ოჯახის წარმომადგენლები არიან და სამუდამოდ გამობენ უარს ამ საზოგადოების წევრობაზე.

მქონებელთა „რასის“ ქემშარბიტი სახის ჩვენებასთან ერთად „შვი პიესები“ წინა პლანზე აყენებს ღარიბთა და მიუსაფართა ცხოვრების მძიმე, არაადამიანურ პირობებს. ამ წრის ადამიანთა მისწრაფებები და მქმედება მთლიანად დამოკიდებულია ასაკობრივ გამოცდილებაზე. მოხუციები წარმოდგენილი არიან დედებისა და მამების სახით. ანუი მათ კონკრეტულ სახელებსაც კი არ არქმევს, ისინი, დრამატურგის აზრით, ისე ჰგენან ერთმანეთს, რომ მათთვის გვარისა და სახელის მიცემა ზედმეტია. ეს დედები და მამები გარეგნულად თითქოს ღირსეული პიროვნებები არიან, სინამდვილეში კი ბურჟუაზიული მეშჩანობით გახრწნილი ადამიანის გაუგონარ სახეებს ჰქმნიან.

უმოვართა „რასის“ ახალგაზრდობა მტკიცე-

ულად აღიქვამს ამაზრუნე გარემოს. სადაც მათ უხდებათ ცხოვრება და საქმიანობა, ისინი ვერ ეგუებიან წვრილბურჟუაზიული მრავალსახელო ექსცესებს და გაბედულად ამბობენ უარს მშობელთა საქმიანობის გაგრძელებაზე. დასაწყისში ამ ახალგაზრდებს (ფრანცი, მარკი, ტერეზა) ბედნიერია და უმწყკლო ყოფის ნამუშად რეზნებელთა იმ ნაწილის ცხოვრება მიანდაო. ვინც მათ ხელს უწვდიდა, მაგრამ მიახლოებთანვე რწმუნდებიან, რომ მდიდრებთან მეგობრობა და ადამიანური ღირსებების შენარჩუნება ურთიერთმეუთავსებელი ცნებებია. ანუის ახალგაზრდა გმირები ზიზილით უარყოფენ იმ „ბედნიერ ბედნიერებას“, რომელსაც მათ მდიდართა „გულჩვილი“ წარმომადგენლები სთავაზობენ.

„შვი პიესების“ სამყაროს ყველაზე ტიპური გარემო „ველურში“ დახატული. „ველური“ (დაიწერა 1934 წელს, დაიდგა 1938 წელს) ანუი მოამდელი დრამატურგის მწვერვალია, ხოლო მისი მთავარი პერსონაჟი ტერეზა — ველურის სახე — ყველაზე ძლიერი, სრულყოფილი და მიმზიდველი. ამ პიესაში ნათლადა გამოკვეთილი სოციალურ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის პრობლემა. ღატაკ ტერეზასა და მდიდარ ფლორანის სიყვარულს ბურჟუაზიული გარემოცვის გამო ვანხორცილება არ უწერია. მართალია, ანუი ვერ მალდებდა კლასობრივი ბრძოლის შეცნობამდე, მაგრამ ორი მოწინააღმდეგე „რასის“ არსებობა მის შემოქმედებაში რელიეფურად გამოყოფს უმოვართა და მდიდართა ინტერსების შეურიგებლობა. „ველურში“ ისიცაა მინიშნებელი, რომ პიროვნების ბედ-იღბალს საზოგადოებიდან მოწყვეტით ვერ განვიხილავთ. თუმცა, ანუისთან საზოგადოება ვიწრო ოჯახური გარემოთია წარმოდგენილი, მაინც ხაზგასმულია, რომ ადამიანი სოციალური წინააღმდეგობის მსხვერპლია. ფლორანის და ტერეზა ცალკე, საზოგადოებისა და ოჯახის გარეშე, ურთიერთშეთანხმებასაე შექმედნენ და ბედნიერ სიყვარულსაც, მაგრამ ყოველ მთავანს ბორკავს მისი წარსული, წინაბრები და ცხოვრების ნაკვალევის მთელი ჯაჭვი. ტერეზას უმწყკლობა და სისპეტაე მხოლოდ მასზე როდია დამოკიდებული, მის ახეს, მის წარსულსა და აწმყოს ქმნის ყველა ის, ვინც მის ანტურაჟს შეადგენს. ტერეზა — ველურის შემამარწუნებელი წარსულიც ბურჟუაზიულ გარემოში ჩამოყალიბდა. მისი დედის, მამისა და ყველა მათი მონაწილეობით, ვისთანაც ნებსით თუ უნებლიეთ უხდებოდა ურთიერთობა. ტერეზა გაბედულად იმალდებს სმას არა მარტო ბურჟუაზიული მეშჩანობის, არამედ სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგაც. მაგრამ ეს ჯანყი ვიწრო, ეგოისტური მიზნებთ იფარგლება და კლასობრივი ბრძოლის პრინციპებამდე ვერ მალდებდა. თუმცა ტერეზა — ველური სილდარობის გრძნობის დიდი პოტენცი-

ს მქონეა, ეს პოტენცია გამოვლენის ფორმებს ვერ პოულობს და ბერძენული საზოგადოების წინააღმდეგობებში შთაინთქმება.

ამავე პრობლემების გაშუქებას ძღვენება „ვარდისფერ პიესას“ კრებულოც. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „შავ პიესებში“ დასმული საკითხების გადასაწყვეტად კომედიებში სხვა მხატვრული ხერხებია მოძებნილი. ვინაიდან ანუის აზრით, ხელოვნება თავისი პოეტურობით, უპირველეს ყოვლისა, დამამშვიდებელი უნდა იყოს, უმჭრობისა ცხოვრებისეული წინააღმდეგობებში მაყურებლამდე კომედიის გზით მივიტანოთ. კომედია ადამიანს საშუალებას აძლევს დროებით მაინც დაიფიქროს ღუბიერი ცხოვრების სიმწარე და თეატრიდან სულდამძიმებულ არ გამოვიდეს. მაგრამ ანუი კომედიას ცხოვრების შესალამაზებლად როლი იყენებს, არც მაყურებლის გაბრუნება აქვს მიზნად დასახული. ამ ქანის იმიტომ მიმართავს, რომ მისი აზრით, „გონიერი კომედიის ყალბში მოლიერება შექმნა ყველაზე უფრო შავი პიესები, როგორც კახსოვს მსოფლიო ლიტერატურას“. ანუის ღრმად რწმენით, კომედიაში უფრო მოხერხებულად, უფრო დამაჯერებლად ვიდრე ცხოვრებისეული წინააღმდეგობების ჩვენება და ამავე დროს მაყურებელიც დაზღვეულია სულიერი ტანჯვისაგან. ანუი მოლიერის თაყვანისმცემელია იმას გამო, რომ მის გენიას უნარი ჰქონდა ყველაზე ტრაგიკული კომიკურ ფორმებში გადმოეკვივი ადამიანთა ეგოიზმსა და ამით გამოეწეულ სიმახინჯესა და სულმდაბლობას უხეშად, „ლამპით ხელში კი არ ანათებდა“, არამედ უძებნიდა შესანიშნავ ფორმას და ის, რასაც სხვები ცდილობდნენ ლოზუნგებით მიეღწიათ, მოლიერი გულწრფელი სიცილით, სიამოვნების მიმდევრული ირონიით აღწევდა. „ვარდისფერ პიესებში“ („ქურდების მეჯლისი“, „ლოკალია“, „პაემანი სანლიში“) ანუი მოლიერისებურად კიცხავს წერილბერძენული მეშინაობით დამახინჯებულ ადამიანს და თან შებრალებსა და მეგობრობის ხელს უწვდის. შეცდომა იქნებოდ? გვეფიქრა, რომ „ვარდისფერ პიესებში“ ავტორი ვარდისფერი სათვალთი უმზერს ვარდსაყაროს. არსად, არც ერთ „ვარდისფერ“ პიესაში ადამიანის ღუბიერი ცხოვრება არ შეუღამაზებია ანუის. მის გმირებს სძულთ ყველაფერი, რაც ადამიანთა სიწმინდეს ეღობება წინ. ესაა ბრძოლა ჭეჭყვიანი ფულის წინააღმდეგ, ჭანჭყ არსებული ბერძენული საზოგადოების სიმახინჯეთა დასაგმობად. მართალია, „ვარდისფერი პიესები“ ერთის შეხედვით კეთილად ბოლოვდება, მაგრამ ამ კეთილ დასასრულს არასოდეს შეცდომაში არ შეჰყავს მაყურებელი. ანუი ამ კეთილ ბოლოს ისე ოსტატურად ხდის ნიღაბს, რომ სცენაზე შექმნილი ვითარება მაყურებელს მხოლოდ სიცილსა ჰკერის. პირობითად დამეხებული კეთილი ბოლო რამდენიმე წამით ასე-

ნებს ადამიანის გრძობებს, განცდებს, გონებას; მაგრამ ასევე იმდევარად, რომ შეცდომაში არ შეჰყავს, არ ატყუებს მას. პირობით, სცენაზე შექმნილი კომიკური სიტუაციები უფრო მკაცრად ამართახებს სინამდვილეს. ეს მხოლოდ თეატრალური ხელოვნების განსხვავებული ფორმაა, ავტორის მსოფლადქმა და პრინციპები კი უცვლელი რჩება. „ვარდისფერ პიესებს“ ზოგჯერ მეოცნებე „შავ პიესებს“ უწოდებენ, რომლებიც იმავე ტიპის, იმავე წესბისა და ბედნიერების ამოაძიებს გამოხატავს. დიახ, „შავი პიესები“, როგორც პოლ ვანდრომი იტყვოდა, ქუხილსა ჰკავს, „ვარდისფერი“ კი — ცისარტყელას, ოღონდ ორივე — ქუხილიცა და ცისარტყელაც ერთ მთას — ცხოვრებას დასატრიალებენ. ცხოვრება კი მთად რჩება, იმისად მიუხედავად, შინაინი ამინდა თუ წვიმანი. ანუი უცრფელია თავისი პრინციპებისა. რა ფერისაც არ უნდა იყოს პიესა, ერთი აზრით, ერთი კალმით, ერთნაირი სიყვარულით აჩუქებულბებს „შავსა“ თუ „ვარდისფერ“ სამკაულებს.

ანუის არა ერთხელ გამოუთქვამს აზრი იმის შესახებ, რომ პიესის ერთ-ერთი გადაწყვეტი პერსონაჟი მაყურებელია, მხოლოდ მისი მონაწილეობით, მხოლოდ მასთან ურთიერთობით იძენს პიესა ამა თუ იმ ღირებულებას. პიესაში სწორედ მაყურებლის მონაწილეობის ფაქტორმა შესძინა ცხოველყოფილობა იმ პირობითობას, რომელიც ანუის დრამატურგიის ძირითადი არტერიაა. პირობითობა ანუი ფრიალ ორიგინალურად იყენებს. მის დრამატურგიაში პირობითობა, ერთადერთი იარაღია ცხოვრებისეული ნიღაბის გასანადგურებლად. სინამდვილეში არსებული მოჩვენებითობის გამოსავლენად. ამ მხრივ ანუის კომედიების აგების მექანიზმი თავიდან ბოლომდე უარყოფის უარყოფის კანონს ემორჩილება. ავტორის მიერ სცენაზე შექმნილი წარმოსახვითი გმირები, სიტუაციები და ფანტასტიკური გარემო თავისთავად რეალურის (და არა რეალიზმის) ერთგვარი უარყოფაა, მთელს კომედია რეალურის ირეალურში ვადაზრდის პროცესია, პიესის ბოლოს კი დრამატურგი ახერხებს სცენაზე შექმნილი პირობითობის გაშვივლებას და ამ გზით მაყურებლის ცნობიერებაში რეალურის, ანუ ცხოვრებისეულისაკენ დაბრუნებას. მაგრამ უარყოფის უარყოფა არასოდეს არ ახდენს პირველსაზის უზრალ ვანმოგრებას, ანუის გმირებიც, სანახაობის დასასრულის ქაშის, თავიანთი პირველადი, ანუ რეალური არსებობის დაბრუნებასთან ერთად, გათამაზებული კომედიის წყალობით, მაყურებლის წინაშე გადაშლიან თავიანთი ხასიათის ქეშმარიტ სახეს ახალ ხარისხში, ყველა კეთხითა და გან-

ივოლა ბაჩიაშვილი
შან ანუი

ზომილებით. მსჯელობა რომ განხეივებულიად არ მოგვეჩვენოს, განვიხილოთ ანუის პირველი კომედია — „ქურდების მეჭლისი“, რომელშიც კომედის აგვის ანუისებური ხერხი უკვე მთელი სიკვდილითა წარმოადგენილი.

„ქურდების მეჭლისი“ ოთხსურათიანი კომედია-ბალეტია, რომლის მოქმედებაც მე-19 საუკუნის ოთხმოციანი წლების ერთ-ერთ საკურორტო ქალაქში მიდინარეობს. ქურდების საკმაოდ გამოუცდელი ჯგუფი დამსვენებულთა შორის სხვადასხვა ნიღბითა და სამოსით დაეხეტება, მაგრამ, რადგან ქალაქის პოლიციამ ხალხი წინასწარ ვაგფრთხილა მათი ჩამოსვლის თაობაზე, ისინი ხშირად ხელმოცარულნი რჩებიან. ბოლოს, წაუშობატებელი დაზარალებული ქალბიდან წაწვას ვადაწყვეტენ, მაგრამ გრადის ქვრივი — ლედი ურფი ერთ-ერთ ქურდში თავის ძველ მეგობარს, პერცოგ დე მირაფლორს შეივინობს. ქურდები დიდ უარზე არიან, მაგრამ ურფის გულწრფელ მიპატიებებაზე უარს ვეღარ ამბობენ და მის ვილაში გადასახლდებიან. ახალი ვითარებაში ქურდბატაკებში მალაღობის არსტოკრატული წრის წარმომადგენელთა ღირსეულ პარტიზორობას იჩენენ. თავიანთი გონებითა და გამჭრიახობით, დახვეწილი არსტოკრატული მანერებითა და ჯენტლმენობით აშკარად ჩრდილდებიან მსხვილი ფინანსური კომპანიის მფლობელებს — მიმა-შვილ დიუბონ-დიუფორებსა და ლადის თაყვანისმცემელ ლორდ ედვარს. ლედი ურფი, მისი დისშვილები ევა და ჯულიეტა სიამოვნებით ესხვიან ცრუარსტოკრატების სასიყვარულო ქსელში. მხოლოდ უმცროსი ქურდი გუსტიეტი ლედას, მას გულწრფელად უყვარს ჯულიეტა და ყალბ ბედნიერებას ქემარობს ზედღებებს არჩევს. თავის ვინაობას ვაამკლავებს, ძვირფასეულობას გაიტაცებს და გარბის. ჯულიეტა მისდევს და ისინი ქორწინდებიან. როცა ქურდების გამოძვლავებით ვახარებულა დიუბონ-დიუფორები და ლორდ ედვარი ზეიმობენ, ლედი ურფი ყველა ვანსაცვიფრებულა აცხადებს, რომ პირველივე წუთებიდან მისთვის ცნობილი იყო ვისთანაც ჰქონდა საქმე. კომედის უკანასკნელი რეპლიკებიდან ირკვევა, რომ ლედი ურფის ვითომდა ესპანელი დიდებულისადმი უანგარო დამოკიდებულება ბინძური თამაში ყოფილა. როცა საბრალო პეტრონო მუხლმოდრეკილი ველაქვებოდა ურფის ბექდებიან ხელს და ბექედს ჯიბისაყენ მიაცოცებდა, იმ დროს ლედი უფრო სამაგელ როლს თამაშობდა, იგი სივრტეს სივრტეზე აწებებდა და ყალბ, სასიამოვნო ვარემოს იქმნიდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი უაზრო ცხოვრების დარჩენილ მოწვევებში კიდევ ერთხელ, სულ ცოტა ხნით მაინც ვაგებატა მოწყენილობა, რომელიც მისი წრის, მალაღობის საზოგადოების შთანქმის აპირებს. ამდენ ხანს პიესის ყველა პერსონაჟი დარწმუნებული იყო, რომ მას შეჰყავდა შეცდო-

მაში სხვა; ახლა ირკვევა, რომ დირიჟორი გონივრული ურფის ხელთ ყოფილა. თუ არ ირკვევოდა პირველ სცენას, პიესის ყველა დანარჩენ მონაკვეთში, არც ერთ პერსონაჟს ვაგებატა არსებობა არ ვაჩნდა. მათ მოძრაობას, მოქმედებას მხოლოდ ლედი ურფი ვანაგებდა. ისინი მხოლოდ უხილავი ძალის ნება-სურვილის ბრმა შემსრულებლები იყვნენ. ლედი ურფი მოგვანებს თოჯინების თეატრის წამყვან მსახიობს, რომელსაც ხელთ უჰყვია რამდენიმე თოჯინის მამობრავებელი ძაფი და ისე ამოქმედებს მათ, როგორც თვითონ თვლის საჭიროდ. კვანძის ვანსის შემდეგ მაყურებლისათვის ნათელია, რომ ყველაფერი, რაც მის წინ ვათამაშდა, მხოლოდ ფანტაზია და რეალურის პრეტენზია არა აქვს. ცრუ არსტოკრატები კვლავ ქურდბატაკების ტანსაცმელს იცვნიენ, ისევ ძველ საქმიანობას უბრუნდებიან და მაყურებელი დიდი სიმათით იმსკვალება საბრალო ადამიანების მიმართ, რომელთა მანქვა-გრხვაც ულუკმაურობით იყო გამოწყვეული. ურფის ნაკარნახევი როლების შესრულებისას მათ დაუმტკიცეს მაყურებლებს, რომ თავისი მორალით, ეთიკითა და ყველა ადამიანური ღირსებით ვაცილებით უფრო მალაღვანა მათზე, ვისაც ცხოვრების სადავებები უპყრიათ ხელთ. კვანძის ასეთი ვახსნა ცხადყოფს, რომ ანუი არც „ვარსიფერში“ ლაღობებს თავის მსოფლალქმას. მართალია, მაყურებელი გულწრფელად იცინოდა მსუბუქი ფორმით წარმოდგენილი ცხოვრებისეული წინააღმდეგობით გამოწყვეულ კომიკურ სიტუაციებზე, მართალია ავტორმა ფინალში მოახერხა ორი სხვადასხვა წრის ადამიანების შეუღლება. მაგრამ იქვე ხაზგასმით მიუთითა, რომ წინააღმდეგობათა ასეთი დამლევა, ვეთილი დაბოლოება, დამირისპირებულთა ვითომცდა შერიგება, მათ შორის ხილის ვადების შესაძლებლობა მოცემულია როგორც ფიქცია, როგორც ფანტაზიის ნაყოფი, როგორც სიცილის იარაღი და არა რეალურად შესაძლებელი, დამსვენები.

მაყურებლის თანდასწრებით შეთხზული პერსონაჟების დრამატურგის დახელოვნებასთან ერთად იზრდება და მისი ხვედრითი წონა ბოლოსდაბოლოს ვაბატონებულ მდგომარეობას იჭერს. ვანვითარების ვარკვეულ საფეხურზე წერის ამგვარი მანერა ისეთ ეტაპსაც აღწევს, როცა მარიონეტთა მამობრავებელი ძალა უჩინარად ვაღვსის ტრევეს, ავანსცენაზე ვადმინისტრატორებს და მაყურებელი ორმაგი თამაშის, ორმაგი სცენის, ორმაგი სანახაობის, ანუ პირობითად პირობითის მოქმედებებს. პიესებს: „რეპეტიცია, ანუ დსჯილი სიყვარული“, „მიპატიებება სანსლეში“, „საბრალო ბიტოი, ანუ თავკაცთა სადილი“ და „ყველფის ბაზარი“ ხშირად უწოდებენ თეატრის მეორე ხარისხში (ვვლარატორ), რაც მრავალი პლანისა და ექსპოზიციის ურთიერთშერევის, ურთიერთშერწყმას და შემდეგ

ერთდროულ წარმოდგენას გულისხმობს. ანუ ის გვიანდელი პერიოდის დრამატურგიის საიდუმლოება პრიმიტიულად შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: ავიღოთ ძალზე გამჭვირვალე სხვადასხვა ფერის რამდენიმე ფირფიტა. ზერ რეგრეობით დავაწყობთ ისინი ერთმანეთზე, შემდეგ წყვილები გავაორკეცთ, გავსამკეცოთ და ა. შ. დამიძრავთ განუწყვეტლივ. ყველა შემთხვევაში მივიღებთ ფერების საოცარ მონაცვლეობას, სადაც შეუძლებელი აღმოჩნდება ცალკეული ფერის ვარჩევა. ექსპონიციების ასეთ მრავალფეროვნებას ახერხებს ანუი პიესებში, როცა თავის პერსონაჟებს ანტიკურ ან შუასაუკუნეობრივ კოსტუმებში აწყობს. „ანტიგონეს“ პირველი პლანი ლაბდაკიდების მითხევა აგებულ და ანტიგონე-კრეონტის წინააღმდეგობის ქარგას ეყრდნობა. მითის ახლებური გააზრება, მისი გათანამედროვეება, ძველი სიუჟეტის გამოყენებით თანამედროვე სახეების და სიტუაციების შექმნა იძლევა მეორე, უფრო მნიშვნელოვან პლანს. შემდეგ ამ ორი პლანის ურთიერთდამთხვევა ზოგადასაკომბო პირობებების, მემბოხისა და შემგუებლის, კეთილისა და ბოროტის, მარადამ ბრძოლის წინ წამოწევის საშუალებას იძლევა. მრავალპლანიანობის ანუი-სებური მექანიზმი აქ არ მთავრდება. მთავარია მისი დილაგების აგების თავისებურება, რომელიც ყოველთვის გულისხმობს ვარეუე პირს, მესამე პირს, — მაყურებელს ან მკითხველს, ვისი წყალობითაც დილაგის ვაგარქელების რამდენიმე ვარიანტი მიიწც არსებობს. აეტროი არასოდეს არ ლაბარაკებს სწორხაზოვნად, მისი ინტერპრეტაცია ზიგზაგისებურია და მხატვრული ნაწარმოების არა მარტო ემოციური, არამედ იდეური ღირებულებაც დიდადაა დამოკიდებული მაყურებლის მსოფლმხედველობაზე, განცდის უნარსა და ხარისხზე.

როგორც პიესის არქიტექტონიკის, ასევე იდეური თვალსაზრისითაც ანუის დრამატული ნააზრევის ქვეყუთხედებია: „ანტიგონე“ და „ტოროლა“. ორივე მათგანი თავს უყრის ყველა საკითხსა და ძირითად პრობლემას, რომელიც ანუის შემოქმედებას პირველი დღიდან უკანასკნელ პიესამდე ასულდგმულებს. ამ ორი ნაწარმოების მსგავსების შესახებ თვით ანუის შესანიშნავი მოგონება აქვს. ოროციდაათიანი წლების ერთ ზაფხულს ანუის მოულოდნელად ეწვია ენა ლარკის მკვლევარი და მონაგრაფის აეტროი და სახელგანთქმულ დრამატურგს მოკრძალებით სთხოვა, ენას თემისათვის მოეციდა ხელი. ანუიმ გაკვირვებით იკითხა: „პიესა ენაზე რა საჭიროა, მე ხომ უკვე დავწერე „ანტიგონე“? მაგრამ როგორც ჩანს, შთაგონება ძლიერი იყო და რამდენიმე ხნის შემდეგ მართლაც გამოჩნდა ანუის „ტოროლა“ (1953 წ.), რომელმაც თავისი წკროიალა ხმით მაყურებელს

კვლავ აუწყა თავისუფლებებისაკენ აღამაინის მარადიული ლტოლვა.

„ანტიგონე“ აღამაინური ღირსებებისაა, მისი შინაგანი სიმტკიცის უძლეველი ძინინია. ევროპაში ფაშიზმის ბატონობის წლებში ამ პიესამ პოლიტიკური ეღერადობა შეიძინა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. დამონებული ფრანგი ხალხის სულიერი ტკივილების შესასმუბუქებლად, მტრით ვარემოკულ სინამდილეში ანუიმ შეძლო კიდევ ერთხელ ემღერა უკომპრომისო, დაუმორჩილებელი აღამაინისათვის.

ანტიგონეს ახალი მხატვრული სახის შექმნისას ეან ანუიმ მიზნად დაისახა დემტიკეებინა, რომ ცაცობრიობის ისტორიის ყველა მონაკეთში აღამაინთა ერთი ნაწილი ცხოვრების მთავარ მიზნად მაღალი ზნეობრივი თვისებების შენარჩუნებას ისახავს, რომ ყველგან და ყოველთვის აღამაინი მისწრაფის იდეალურისაკენ, საკუთარი თავის სრულყოფისაკენ, მაგრამ ამ მისწრაფებებს, რომლებიც მარადიული მოძრაობის მიზეზად ქცეულა, თან სდევს წინააღმების მთელი ჯაჭვი, რომელიც დროისა და ადგილის მიხედვით თავისი გამოვლენის ფორმებს სხვადასხვა სამოსს აზრებს, ამ წინააღმდეგობათა დედაარსი კი ყოველთვის უცვლელი რჩება. „ანტიგონეს“ მთავარი მოქმედი პირი მემამოხე — ანტიგონეა, რომელიც მზადაა სიცოცხლეზეც უარი განაცხადოს და ამით თავის თანამედროვეებს კიდევ ერთხელ მოაგონოს, რომ ყოველგვარი კომპრომისი, სულ უმინშვნელო დათმობაც კი მტერთან თანამშრომლობასა და თავისუფლებაზე უარის თქმას ნიშნავს. თუ ანტიგონე სპეტაკი აღამაინის კეთილშობილური მისწრაფების სწორუპოვარი მედროშეა, კრეონტი „შავი სამყაროს“ შემგუებელი და თანამონაწილეა. ისე, როგორც ადრინდელ პიესებში „ანტიგონეშიც“ აღამაინთა ორი კატეგორიაა დაპირისპირებული: ერთნი თავისუფლად ეგუებინა უსამართლობას, უპრინციპობას, ამქვეყნიურ უკულმართობას, ცდილობენ შეასუსტონ ან თავი აარიდონ ყოველგვარ კონფლიქტს და კმაყოფილებიან ყოველდღიური წეროლმანეობის მოწყისიგებობით. ასეთ აღამაინებს ანუი იმ წერეში აერთიანებს, რომლებმაც ერთხელ და საუთუდამოდ თქვეს „ჰო“ და რომელთა სიცოცხლის არსიც „მზარეულის ფილოსოფიის“ საზღვრებს ეერ სცილდება. აღამაინთა სხვა ჯგუფი კი ვერ ეგუება თვალთმაქცობით სავსე სამყაროს, აქვს დიდი მისწრაფება სიცოცხლისა და ქეშმარიტი ბედნიერებისადმი, მათი ბრძოლა სწორხაზოვანია, ყოველგვარ კომპრომისს მოკლებული. ამ აღამაინებმა ერთხელ და სამუდამოდ თქვეა

იზოლდა ბანიაშვილი
შან ანუი

„არა“ და წუმპეში ცხოვრებას სიკვდილს ამჯობინებენ.

ანტიგონე-კრეონტის ბრძოლის ერთგვარი გაგრძელებაა „ტოროლა“, რომლის მთავარი გმირი ენა, ფრანგი ხალხის ლისხლი-სისხლთავანი და ხორცი-ხორცთავანია. დრამატურგმა „ჭეშმარიტად ფრანგული სულის“ სიმბოლო უბრალო გლეხის გოგონაში პოვა და „შას თავისი მეფისა და ერის ხსნასთან ერთად ქედმოუხრელი ადამიანის დიდი ვალიც დააქისრა. გულბრწყვილო და უბორო გლეხის ქალი თავისი გამჭირაობითა და სიმამაცით გაცილებით მეტს აღწევს, ვიდრე მლიქვნელობით სახეს მთელი სამეფო კარი და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობით შეეპირებულელი სარდლობა. მაგრამ პიესის მთავანი ისტორიული სინამდვილის ზუსტი აღდგენა როდია, ანუ პიესის ცენტრში ენას გასამართლები პროცესს აქცევს, რათა კაცობრიობის ორგვარი შთამომავლობის დაპირისპირება უფრო მკვეთრად გამოავლინოს. პიესის გმირები აქაც ორ ბანაკად არიან გაყოფილი: ერთი მხრივ, ენა თავის მართალი საქმითა და გულბრწყვილობით, ხოლო მეორეს მხრივ, ეკლესიის მსახურთა მთელი ბრბო, რომელთა მიზანი და მისწრაფებაა წამოაჩქოს თავისუფალი ადამიანი. სასამართლო პროცესზე ეპისკოპოს კომონისა და ინკვიზიტორის დაუღალავი ცდა — ენას „პო“ ათქმევინონ — მარცხით მთავრდება. ენას სჯერა, რომ მთელი მისი სიღაღედ სწორედ ამ წინააღმდეგობაშია და თუ დათანხმდა, მისგან აღარფერი დარჩება. ეკლესიის გაათრებულ მსახურნი აღმშობილებული გააკვირან: მშვიდი, ნათელი ადამიანთან საქმის დაქერას ისევ ეშმაკთან მეგობრობა სჯობია, სხვა თუ არაფერი, ეშმაკი ყოფილი ანგელოზიაო. პროცესზე ინკვიზიტორი დაუფარავად აღიარებს, რომ დღემდე არსებული ისტორია ესაა ადამიანის სულიერი დამაბუნების, მისი დამარცხებისა და დამორჩილების ამოცდების ისტორია, რომ ქვეყნად ადამიანის ქედის მოხრის, მისი პირქვე დაკემის უამრავი იარაღია მოგონილი. კოცონზე დაწვეა, საწამებელი ჭურღმულები, ეშაფორტები უძლურია მათ მიმართ, ვისაც ეკლესიის მსახურნი „თავებლთა“ მოდგმას ეძახიან. მათ წინააღმდეგ მხოლოდ ერთი საშუალებაა — სიკვდილით და-

სჯა. მაგრამ ფიზიკური განადგურება ამ მოდგმის ალაგმვას როდი ნიშნავს, ყოველი ადამიანი თავისი გაჩენასთან ერთად ისინი უმდებარე ფენიქსივით ფერფლიდან აღდგებიან და თავის სუფლებისაკენ მისიწრაფვიან. პიესის ბოლოს ენას წინაშე თავდახრილი ინკვიზიტორი გულგატეხილი ამბობს: — „ვერასოდეს ვერ შევძლებთ მის დამარცხებას!“ ენას მოწინააღმდეგე ბანაკის ყველა წევრმა კარგად იცის, რომ ემთავსება ყველა მათ სახელს უკვალოდ აღდგინ: პირისაგან მიწისა, რომ მხოლოდ ენას უწერია მირაიდულობა, რომ მხოლოდ იგია ცაში აფრინილი ტოროლა, რომლის წკრიალა ხმა ყოველ გაზაფხულზე გამოადიდებებს ხალხს და შთააგონებს, რომ ადამიანი ყველაფერია, ღმერთი მხოლოდ მასში განიფთებული სიკეთე და სისხეტაყეა. ადამიანის გონება, ძალა, სულიერი სიწმინდე და მშვენიერება, სიმამაცე და ვაჟკაცობა — უკვდავებია. ესაა მუდმივი განვითარების გზა და საშუალება, სიცოცხლის არსი და მიზანი.

რაოდენ დასანანი, რომ ანუის მიერ უენას-ქნელი წლების მანძილზე შექმნილი პიესებიდან ვერც ერთმა ვერ მიიღწია „ანტიგონესა“ და „ტოროლას“ იდეურ სიმაღლეს. სამოციანი წლები ანუისათვის ძველი თემების განმეორებით, წერის მანერის სრულყოფა-დახვეწას და თვალისმომჭრელი თეატრალური ფეიერვერკების შეთხზვას ემსახურება. თუმცა 1968 წლის ნოემბერში დადგმული პიესა („მეფუნთუშე კაცი, მეფუნთუშე ქალი და მათი პატარა შეგირდი“), აშკარად მეტყველებს მისი ავტორის იდეურობისაკენ კვლავ მობრუნებას. ამ დადგმასთან დაკავშირებით „ნუველ ლიტერერში“ მოთავსებული ინტერვიუ ანუისთან ასეა დასათარებული: „ჩემი დიდი შემობრუნება“. ფრანგულმა პრესამ ერთხმად აღნიშნა, რომ ანუი არა მარტო ავრძელებს, არამედ ავითარებს და უფრო მაღალ საფეხურზე აპყავს კლასიკური ფრანგული კომედის ტრადიციები. პიესის დამდგმელმა და მთავარი როლის შემსრულებელმა, „კომედი დე შანზელიზეს“ მთავარმა რეჟისორმა მიშელ ბუქემ განაცხადა, — „დიხა, ზომარაშველიტერატურულ თანავარსკვლავედში ენ ანუი თანამედროვეობის უდიდესი დრამატურგია“.



ხოსე მანსისიდორის შემოქმედებითი ეპოლეჯის ძირითადი ეპაპები

მექსიკელი მწერალი ხოსე მანსისიდორი ეკუთვნის ლათინური ამერიკის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთა შემოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნაციონალური ლიტერატურის განვითარებაში.

ხოსე მანსისიდორმა განვლო საინტერესო ცხოვრების გზა, აღსავსე დაძაბული შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მუშაობით. იგი ცნობილია, როგორც მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ისტორიკოსი, სოციოლოგი, პედაგოგი. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება ექვემდებარებოდა ერთ მიზანს—მექსიკელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

1910-1917 წლების მექსიკის რევოლუცია იყო მექსიკელი ხალხის ბრძოლა კლერკალურ-შემამულური რეაქციისა და უცხოური იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მან გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მექსიკის ისტორიული და კულტურული განვითარების შემდგომ მსვლელობაზე, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნაციონალური ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად იმ დროის ლიტერატურაში იქცა მექსიკურ „რომანი რევოლუციანზე“, რომელმაც უდიდესი ნოვატორული როლი შეასრულა და მხატვრულ ფორმაში განასახიერა გრანდიოზული სახალხო ეპოპეა.

ფართო განვითარება პპოვა სოციალურმა რომანმა, რომელიც ასახავდა რევოლუციის შემდგომი მექსიკის ცხოვრების სურათებს და ამათრახებდა სოციალურ უსამართლობას.

ამ უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა წარმომადგენლები იყვნენ გამოჩენილი მექსიკელი მწერლები: მარიანო ასუელა, მარტინ ლუის გუსმანი, ხოსე რუბენ რომერო, გრეგორიო ლო-

პეს-ი-ფუნტესი და სხვ. მექსიკელმა რომანისტებმა მიუხედავად მათი სხვადასხვა მსოფლმხედველობის, პოლიტიკური მრწამსისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობისა, თავიანთ შემოქმედებაში ასახეს მექსიკის რევოლუცია, როგორც ნაციონალური მისწრაფება განთავისუფლებისაგან.

ამ მწერალთა უმრავლესობა რევოლუციის ასახვისას იზიარებდა ხალხის, აჯანყებული გლეხობის თვალსაზრისს, მათ გულგატეხილობას, გამოწვეულს რევოლუციის პრაქტიკული შემოქმედებით, აქედან გამომდინარეობს პესი-მისტური მოტივი მათ შემოქმედებაში. მათთვის უცხო და გაუგებარი იყო საზოგადოების შეგნებული ვარდაქმნის იდეა, მათ ნაწარმოებებში არ ჩანს აქტიური მებრძოლი საწყისი.

ხოსე მანსისიდორმა აშკარად დაუკავშირა თავისი შემოქმედება კაცობრიობის მოწინავე მისწრაფებებსა და მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის იდეებს.

მანსისიდორი ახალი ტიპის მწერალია, მისთვის ცხოვრების ასახვა კომუნიტური იდეოლოგიის თვალსაზრისით იქცა ერთადერთ შესაძლებელ გზად, რადგან, მისი აზრით, ჩვენს დროში მხატვრისათვის ამ პოზიციებიდანაა შესაძლებელი საზოგადოებაში და ადამიანის შემეცნებაში მიმდინარე ურთულესი პროცესების ობიექტური და სრული ასახვა.

მანსისიდორის მთელი შემოქმედება — ესაა ძიებები და მისწრაფებანი. იგი ეძებდა ახალ პრობლემტიკას და მის შესატყვის ახალ გამომსახველობით საშუალებებს, რომლებიც ყველაზე უკეთ და სრულად შეძლებდნენ რევოლუციური ბრძოლის პათოსისა და სიდიადის, ხალხის გმირობის სილამაზის გადმოცემას; ეძებდა ახალ გმირს — რევოლუციონერსა და მებრძოლს, მომავალი სოციალისტური საზოგა-

დოების შეგნებულ მშენებელს. ამ ხანგრძლივ-
მა, რთულმა ძიებებმა მიიყვანეს მანსისიდორი
სოციალისტურ რეალიზმთან.

დღემა ოქტომბრის რევოლუციამ მეტად
მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მანსისი-
დორზე. მექსიკის რევოლუციის შვილი, მანსი-
სიდორი, იმავე დროს იყო ოქტომბრის რევო-
ლუციის შვილიც. თვითონ ამის თაობაზე მოვ-
ყვანებით წერდა: „საბჭოთა კავშირის არსებო-
ბამ და წარმატებებმა უდიდესი როლი ითამა-
შეს როგორც ჩემი ახლანდელი პოეზიის გან-
მტკიცებაში, ისე ჩემს ლიტერატურულ მოღვა-
წეობაში. ახალგაზრდობიდანვე, როგორც რი-
გითი მებრძოლი, მონაწილეობას ვღებულობდი
მექსიკის რევოლუციაში, მაგრამ მხოლოდ ოქტო-
მბრის რევოლუციამ შეასხა ფრთები ყველა
ჩემს მისწრაფებასა და ოცნებას“.

მხატვრულ შემოქმედებას ხოსე მანსისი-
დორმა მიმართა მომწიფების წლებში, ცხოვრე-
ბისეული გამოცდილებით დაბრძენებულმა თა-
ვისი შემოქმედება დაიწყო სოციალური რო-
მანებით. მისი პირველი ნაწარმოებებია „ამბოხე-
ბა“ და „წითელი ქალაქი“ რომლებიც გამოქვეყნ-
და 1931-1932 წლებში.

ამ რომანებისათვის დამახასიათებელია დო-
კუმენტულობა, ფაქტობრივი სიზუსტე, დეტა-
ლიზებული და გულდასმითი აღწერა მომხდარ
ამბებისა. ეს თვისებები დამახასიათებელია
„ფაქტის თეორიაზე“ დაყრდნობილი მსოფლიო
პროლეტარული ლიტერატურის განვითარების
ადრინდელი ეტაპისათვის.

რომანმა „ამბოხებამ“ გამოააშკარავა სამხედ-
რო პუტჩების, „პროუნსიმიერტოს“ ანტიხალხურ
არსი. მანსისიდორი დეტალურად აღწერს
ამბოხების თვითვეულ დღესა და საათს და აქა-
რწყობებს ყოველგვარ ილუზიას ამგვარი გამოს-
ვლების „რევოლუციური“ მიმართულების შე-
სახებზე. მაგრამ მხოლოდ ამით როდი კმაყოფი-
ლდება. ამბოხებებს, როგორც არსებულ წინააღ-
მდეგობათა გადაჭრის საშუალებებს დაგმობიდან
გადადის ამ წინააღმდეგობათა წყაროების—თვით
გაბატონებული სისტემის დაგმობაზე, რაც წა-
რმოადგენს რომანის ძირითად იდეურ ღერძს.

რომანში წამოკრულია იმდროინდელი მექსი-
კური ლიტერატურისათვის ახალი, მნიშვნელო-
ვანი და აქტუალური თემა—უცხოური იმპე-
რიალიზმის მხილება. მკაფიოდ არის ასახული
ანტიკაპიტალისტური და ანტიიმპერიალისტური
მიმართულებები.

შინაგანი ყაზარმული ამბოხებებისა და მთე-
ლი გაბატონებული სოციალური სისტემის და-
გმობა, სოციალისტური იდეალის გამოცხადება
ბრძოლის მიზნად—აი რომანის პოზიციური
აზრი, რამაც განაპირობა მისი ღრმა ნოვატორ-
ული ძვლადობა და დასაბამი მისცა მანსი-
სიდორის გზას სოციალისტური რეალიზმისაკენ.

1923 წელს გამოვიდა მანსისიდორის მეორე
დიდი რომანი „წითელი ქალაქი“, სადაც

მანსისიდორმა აღწერა მექსიკის საზოგადოებ-
რივი ცხოვრების ისეთი მხარეები, რომე-
ლებიც მანამდე არ იქცევდნენ მწერლების ყუ-
რადღებებს და არ პოვედნენ სახეგვერდურ
ტურაში. პროლეტარული მასები პირველად გა-
მოვიდნენ ლიტერატურული ნაწარმოების მთა-
ვარ გმირად, პირველად გაისმა ხმა მუშათა ბე-
ლადის, რევოლუციონერ-მარქსისტისა, რომე-
ლიც მასებს ჩაუღდა სათავეში.

პროლეტარული მასა რომანში ნაჩვენებია,
როგორც ძლიერი, უდიდესი ძალა. მარქსის-
ტული იდეებით შთაგონებული, წითელი დრო-
შით ხელში, „ინტერნაციონალის“ ხმაზე აღზე-
ვებული ძალა, თუმცა ჯერ კიდევ ნახევრად შე-
უგნებელი, ბევრ რამეში სტიქიური. მაგრამ მა-
რინ მისისხანგ და უძღვევლი, რომელსაც მომა-
ვალი ეკუთვნის.

ეს მოწმობს სოციალისტური რეალიზმის და-
მკვიდრებას მანსისიდორის შემოქმედებაში. მა-
ნსისიდორი ისწრაფვოდა შეეყვანა ლიტერა-
ტურაში ახალი გმირები—მოწინავე მშრომე-
ლები—მებრძოლები, როგორცია ხუან მან-
უელი „წითელი ქალაქი“.

თავის ცხოვრების აზრს ხუან მანუელი ხე-
დავს ბრძოლაში, თავის დანიშნულებას კი
იმამში, რომ ჩააბას ამ ბრძოლაში პროლეტარ-
ული მასები. იგი მექსიკელი დანკოა, რომე-
ლიც თავისი მკერდიდან ივლავს გულს, რათა
გზა გაუნათოს ადამიანებს სინათლისა და ბედ-
ნიერებისაკენ.

„წითელი ქალაქი“—ესაა პოემა პროზად,
ესაა შთაგონებული, მგზნებარე ჰიმნი მიძღნი-
ლი მამაციობის, გმირობისა და თავგანწირვისა-
ლში მომავლის საეკუთილდგოდ.

რომანის მხატვრული ჭარბა გაყვლითილი
ნათელი, ფერადი ხატოვანებით, გამსჭვალულია
რომანტიული პათოსით, ღირისმითა და მგზნე-
ბარე ემოციურობით.

მანსისიდორის სტილისტიკისათვის დამახა-
სიათებელია სიტყვიერი ფერწყობის უჩვეულო
სიცხადე, მწერლის პალიტრა საღებავებით მიღი-
დარი, გამომსახველი, დამაბული და დეკორა-
ტიულია.

„გუმბათების წითელი ელვარება, წითელი,
ტანკენარი, მაღალი კოშკები; წითელი, მხიარულ-
ი ანარკელი პარასექტებისა; წითლად აფრი-
ალებული დროშები, წითლად ვაშკაში მცხუნ-
ვარე მზისა, იმედებით გაყვლილი წითელი
ჰერი...“, აი როგორ გამოიყურება ამბოხებულ
ქალაქი მანსისიდორის აღწერით.

რომანის დასკვნითი სცენა, რომელიც გაყვლი-
თილია ღრმა ტრაგიზმით, ამავე დროს წარმოა-
დგენს ოდას მამაციობისა და გმირობისადმი და
ქდერს როგორც „მამაცთა მკვინვარებისადმი“
მიძღნილი გამარჯვების ჰიმნი, როგორც ამაყი
მოწოდება თავისუფლებისა და სინათლისაკენ
ლტოლის. იგი გამსჭვალულია ოპტიზმით და
ხალხის მომავალი გამარჯვების რწმენით.

30-იან წლებში იწყება ხოსე მანსისიდორის პედაგოგიური, ჟურნალისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის აქტიური პერიოდი. მანსისიდორი ბევრ დროს უთმობდა ჟურნალისტურ საქმიანობას და პუბლიცისტიკას. მის პუბლიცისტურ კაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ესპანეთისადმი მიძღვნილ ნარკვევებსა და სტატიებს.

მანსისიდორი პოპულარიზაციას უწევდა საბჭოთა მიწების ნაწარმოებებს. ნიღაბს ხდიდა ანტისაბჭოთა ძალების ხრიკებს, სისტემატურად თანამშრომლობდა პრესაში და მოუთხრობდა სიმართლეს საბჭოთა კავშირზე. მთელი სიცოცხლის მანძილზე მანსისიდორი საბჭოთა ხალხის საიმედო და ერთგულ მეგობრად დარჩა.

მანსისიდორმა ჩამოაყალიბა კულტურული კავშირების მექანიზმ-რუსული ინსტიტუტი და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მისი უცვლელი პრეზიდენტი იყო.

1936-37 წლებში მანსისიდორი რამდენჯერმე ეწვია ესპანეთს.

მებრძოლმა ესპანეთმა, ფაშისმთან ბრძოლის თემამ ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა მის შემოქმედებაში. ამან თავისი უშუალო გამოხატულება პოემა „მოთხრობაში“ „ერთი ესპანელი ღელის შესახებ“, მოთხრობებში „წიგნიდან — „მე ეს ვიამბო მარია კაილოვამ“ და მთელ რიგ სტატიებსა და ნარკვევებში.

„ერთი ესპანელი ღელის შესახებ“ — თავისებური ლირიული დღეღობა, რევოლუციონერის მხურვალე, ამაღლებელი ნაამბობი, მამაცი ესპანელი ხალხის მიადნებელი პოემა. სოციალური რეალიზმის მეთოდის გამოყენებით მანსისიდორი ამ ნაწარმოებში ამტკიცებს არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს ბორკულახსნილი პიროვნებისა, რომლებმაც გადალახა ევოლუციონერული კარჩაეტილობის ვიწრო ჩარჩოები.

1938-1940 წლებში მანსისიდორმა დაამთავრა მექსიკის რევოლუციისადმი მიძღვნილი რომანი „ქარების ვარდი“. ამ რომანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მწერლის შემოქმედებაში. ეს არის ვარდამავალი ნაწარმოები, რომელშიც მწერალი უარყოფს აღრინდელი რომანების ზოგიერთ თეორიულ პოსტულატს და საკუთოდ ცნობს რევოლუციური სინამდვილის ესთეტიკური ხორცშესხმის ახალი საშუალებების ძიებას.

„ქარების ვარდი“ მანსისიდორი განზე დგება თავისი აღრინდელი რომანების ხაზგასმული დოკუმენტალობისა და დეტალიზებული ფაქტოგრაფიულობისაგან. იგი ისწრაფვის არა დეტალების უტყუარობის ან სინამდვილის გარეგანი გამოსახულების ზუსტი აღდგენისაკენ, არამედ მისი შინაგანი არსის გახსნისაკენ.

მანსისიდორი შეეცადა რევოლუციის პათოსი და სილამაზე განეხასიერებინა კონკრეტული

გმირების, ხალხის წიაღიდან გამოსული მთავარების, თავისუფლებისათვის დიდ ბრძოლების აქტიურ მონაწილეთა სახეებში. ესაა მანსისიდორის მოღვაწეობის მკვლევარული სახის მქონე მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟები.

რომანის პერსონაჟების შექმნაში შეინიშნება ორი ძირითადი ამოსავალი წერტილი. ერთის მხრივ, სიმბოლური სახის შექმნა, მეორეს მხრივ, რეალური და კონკრეტული სახის დახატვა.

რომანში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გლეხ კანტადაოს. სახელდობრ, ამ სახის შექმნაში უფრო ნათლად გამოვლინდა მანსისიდორის რევოლუციური ნოვატორობა, მის მიერ გამოყენებული მეთოდი სოციალისტური რეალიზმისა. მექსიკურ ლიტერატურაში პირველად აისახა გლეხთა ბელადის სახე, რომელსაც გარკვევით ესმოდა ბრძოლის პერსპექტივები და არსი. ღრმა ჰუმანიზმი, რწმენა ადამიანის ძალისა და პოტენციური შემოქმედებითი შესაძლებლობებისა — არი თვის არის გაუღებელი მთელი ნაწარმოები, ადამიანი და მისი ბედი რევოლუციოში, მისი შინაგანი ჩამოყალიბება და ღრმა ფსიქოლოგიური ცვლილებანი. ფაქტოგრაფიული თხრობიდან მანსისიდორი გადადიოდა მოვლენათა ასახვაზე, მათი შინაგანი ურთიერთკავშირისა და განუყოფელი მთლიანობის თვალსაზრისით, გმირთა ასახვაზე მრავალ პლანში, მათი შინაგანი სამყაროსა და მრავალფეროვანი ცხოვრებისეული ურთიერთობის ჩვენებით.

ქარების ვარდის“ შემდეგ მანსისიდორის შემოქმედებაში დადგა შესვენების პერიოდი.

რომანიანი წლებში მანსისიდორმა მთლიანად მოანდომა ინტენსიურ ლიტერატურულ-კრიტიკულ, ისტორიულ და საგამომცემლო მოღვაწეობას. იგი გამალებით სწავლობდა ისტორიას და საზოგადოებრივ მეცნიერებებს. შექმნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ისტორიული ნაწარმოები და სოციოლოგიური ნარკვევები.

1950 წელს მეზიკოში გამოვიდა მანსისიდორის წიგნი „პირველი ქვა“. ამ კრებულში გამოქვეყნებული მოთხრობების უმრავლესობა თემატურად დაკავშირებულია მექსიკის რევოლუციისთან.

1953 წელს გამოქვეყნდა რომანი „საზღვარი ზღვასთან“, რომელსაც ჯერ კიდევ ხელნაწერის სახით მიენიჭა პრემია. რომანს საფუძვლად დაედო 1914 წელს ვერაკრუსში მომხდარი ნამდვილი ისტორიული ამბები. რომელთა მოწმე და უშუალო მონაწილე თვით მწერალი იყო.

რომანი „საზღვარი ზღვასთან“ იწყება ახალი ეტაპი მანსისიდორის შემოქმედებაში. ეს ეტაპი

ალა გიზილავშილი

ხოსე მანსისიდორის შემოქმედებითი ეპოქის ძირითადი ეტაპები

მისი სამწერლო ოსტატობის სიმწიფით და სრულყოფით ხასიათდება.

მანსისიდორი საბოლოოდ ეთიშება პედანტურ ფაქტოგრაფიულობასა და პუბლიცისტურობას, რაც მან უარყო ჯერ კიდევ „ქარების ვარდში“. „საზღვარი ზღვასთან“ ინარჩუნებს თავის დოკუმენტურ მნიშვნელობას უკვე უფრო ფართო ვაგებით — ეს არის მექსიკელი ხალხის თავდადების, გაუგონარი სიმამაცისა და პატრიოტიზმის მხატვრული ასახვა.

„საზღვარი ზღვასთან“ ლაპარაკობს მანსისიდორის შემოქმედების თემატური საზღვრების მნიშვნელოვან გაფართოებაზე, რაც მოწმობს მისი მხატვრული კონცეფციის გაფართოებასა და გაღრმავებას. ვერაკრუსის მცხოვრებთა გმირული ბრძოლის კონკრეტული ეპიზოდის ასახვით შეძლო გადმოეტა იმპრონინდელი მექსიკური სინამდვილის ცხოვრებითელი ურთიერთობანი და კანონზომიერებანი, ხოტბა შეასხარეველუციის სილამაზესა და პათოსს.

გმირთა სახეები მოცემულია ცხოვრებასთან, კონკრეტულ ისტორიულ ვითარებასთან მჭიდრო კავშირში და ცხოვრება წარმოდგენილია მთელი თავისი მრავალფეროვნებით.

ვერაკრუსის მცხოვრებთა ბრძოლა მშობლიური ქალაქისათვის მანსისიდორის კალმის ქვეშ ვადიზარდა უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენაში, ნამდვილ სახალხო ეპოპეაში. რომანი ვერადს უფლის გარეგნულ პათოსს და სულის სიღრმედან წარმომადგარი გულშიამწვდომი ემოციურობით, გასაოცარი უწყველო ლირიზმით გვატყუვეებს.

რევოლუციური აღმავლობის პათოსის, საერთო ბრძოლაში ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებისა და ხალხის ფართო მასების რევოლუციური თვითშეგნების გაღვიძების ასახვა — ყველაფერი ეს მოწმობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდის განმტკიცებასა და განვითარებას მანსისიდორის შემოქმედებაში.

მანსისიდორის უკანასკნელი რომანია „ცოსკარი უფსკრულზე“, იგი გამოქვეყნდა 1955 წელს.

რომანი მიეძღვნა მექსიკის ნავთობის ნაციონალიზაციას, რომელიც ვატარა 1937 წლის მაისში.

იმ წლების დაძაბულმა ატმოსფერომ, მწვევე დრამატულმა კონფლიქტებმა და გააფთრებულმა ბრძოლებმა თავისი გამოხატულება პოეზის შემოსხენებულ რომანში.

რომანში მანსისიდორი პირველ პლანზე აყენებს საერთო ნაციონალურ პრობლემებს. მათში კლასობრივი და ნაციონალური ფრთხილდება ვაერთიანებელია, ურთიერთკავშირისა და ერთმანეთს განაპირობებს.

მუშათა კლასობრივი ინტერესები ემთხვევა საერთო-ნაციონალურ ინტერესებს. სახელდობრ, ამის მისაღწევად წარმოებს მექსიკელ მუნათობეთა გმირული ბრძოლა. ამ ბრძოლაში არ იცის კომპრომიზები. მანსისიდორი რომანში გვიხატავს ორ შეურთებულ ბანაკს. მათ შორის ბრძოლა მკაცრი და დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლოა. და განგებ რელიეფურად, ხაზგასმით, ყოველგვარი ნახევარტონების გარეშე დახატული წიგნის მოქმედი გმირები.

ერთ ბანაკში იმყოფებიან პრეზიდენტი, მუშები, ხალხი — ყველა ისინი, ვისთვისაც ძვირფასია მექსიკა და მისი ნაციონალური ინტერესები, ისინი, ვისშიაც ცოცხლობს საუკეთესო ადამიანური თვისებები. მეორე ბანაკში მოუკალათებიათ საზღვარგარეთის იმპერიალისტთა დამქაშებმა და მსახურთ, ნავთობის კომპანიების მმართველ ავბედით სინკოიტს, გამყიდველ გენერლებს, პატივმოყვარე პოლიტიკანებსა და მორალურად ბნელ პიროვნებებს.

ეს ორი ბანაკი სიმბოლურად გამოხატავს ორი ანტიგონისტური ძალის — ხალხისა და იმპერიალიზმის შეტაკებას. რომ უფრო მეკეთრება გაუსვას ხაზი ამ ორი ბანაკის დაპირისპირებას, მანსისიდორი მათ წარმომადგენელთა დასახატავად არ იშურებს მხატვრულ საშუალებებს.

მანსისიდორი ამტკიცებს, რომ არც საზღვარგარეთელი იმპერიალისტების დამქაშებს, არც პატივმოყვარე შეთქმულებს არ ძალუძთ შეარყიონ მექსიკელი ხალხის ვადაწყვეტილება შექმნას ბელნიერი მომავალი. ისტორიის ქარიზხალი აღგვის მათ გზიდან და ისინი წინ ვერ აღუდგებიან თავისუფლებასა და პროგრესს.

ხოხე მანსისიდორის შემოქმედებით აღინიშნა მნიშვნელოვანი ეტაპი თანამედროვე მექსიკური ლიტერატურის განვითარებაში, — კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურიდან ახალ მიმართულებამდე — სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურამდე გადასვლა.

მანსისიდორი იყო პირველი მექსიკელი მწერალი, რომელიც შეგნებულად ისწრაფვოდა ამ მეთოდის დაუფლებასაკენ და ამ გზაზე მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებებს მიღწია.



„ჯაყოს ხიზნების“ შემოქმედებითი ისტორიისათვის

1924-25 წლების ეტრნალ „მნათობში“ დაიბეჭდა მ. ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“¹, რომელმაც მკითხველი საზოგადოებისა და ლიტერატურული კრიტიკის ცხოველი ყურადღება დაიმსახურა. მის შესახებ გამოითქვა ბევრი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება: ერთნა მას თვლიდნენ „სეზონის მოვლენად“, ხოლო მის ავტორს „რეალისტური სკოლის ბელეტრისტად, რომელსაც საქართველოში მეტოქე არა ჰყავს“² ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ, რომ „მ. ჯავახიშვილი მრუდე მინიანი სათვალთ უყურებს თანამედროვეობას და ამიტომ საგნებს მრუდედ და ყალბად გვიჩვენებსო... თეიმურაზისა და მარგოს ტიპების გამართლება შეუძლებელია, რა საზომიც უნდა ვიხმართ: ისტორიულ-ლიტერატურული, სოციალურ საზოგადოებრივი თუ ესთეტიკურ-მორალური.“³ ეს უკანასკნელი პირდაპირ ურჩევდნენ მწერალს, თუ გინდა ძველებურად მივიღოთ და გულთბილად მოგვეყარო, შენი შემოქმედებიდან „ჯაყოს“ ამოშალეთ. ამ რჩევას მ. ჯავახიშვილი კატეგორიულად პასუხობს: „ჩერ ერთი, რუსების თქმისა არ იყოს, კალმით დაწერილს ნაჯახით ვერ ამოჭრი, და მეორეც, საკითხი მართლაც ასე რომ იყოს დაყენებული, მაშინ მე ყველაფერს დავთმობ, მაგრამ „ჯაყოსა“ და „თეორ სიყულის“ ვერცინ გამამეტებინებსო.“⁴ თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება აღნიშნული ნაწარმოებისადმი მწერალს სხვა დროსაც არაერთხელ გაუმჟღავნებია. ეს სწორედ ის ბედნიერი შემთხვევაა — ჩანაფიქრისა და მხატვრული ხორცშესხმის აბსოლუტური დამთხვევა.

1. ქ. „მნათობი“, 1924 წ., № 7-8, 1925 წ., № 1.

2. ბ. ძღენტი, „1924 წელი ქართულ ლიტერატურაში“, ქ. „მნათობი“, 1925 წ., № 2, გვ. 208.

3. ი. ვართაგავა, მ. ჯავახიშვილის შემოქმედება, თბ., 1928 წ., გვ. 278.

4. დ. კასრაძე, ლაპარაკობს მ. ჯავახიშვილი, „ლიტერატურული პორტრეტები“, თბ., 1962 წ., გვ. 186.

რომელმაც მწერალს დიდი შემოქმედებითი თვითმყოფილება და როგორც თვითონ იტყოდა, „გაუძლია სიხარული“ განაცდევინა¹.

მკითხველის აღფრთოება და მკაცრი ულტიმატუმი, წარდგენილი მწერლის მიმართ, გამოწვეული იყო „ჯაყოს ხიზნების“ დედაზრის არასწორი გაგებით, ხშირ შემთხვევაში თეიმურაზ ხევისთავისა და მ. ჯავახიშვილის აზრების გაიგივებით და საერთოდ, მწერლის შემოქმედებითი მეთოდის ე. წ. მხატვრული რეალიზმისა და მისი ჩვეული შემოქმედებითი ხერხის — „ზომიერი მხატვრული გადაჭარბების“ გაუთვალისწინებლობით.

„ჯაყოს ხიზნების“ იდეის შესახებ სინტერესო და რამდენადმე სწორი მოსაზრება გამოთქვა 1927 წელს ს. ყიფიანმა. „ჯაყოს ხიზნების“ ახალ სიტყვას შეადგენს არა სექსუალობის საკითხი, ანდა საჭიროება სოფლად სკოლებისა და კოლხეთის მოწყობისა, არც იმის მტკიცება, რომ თავდაზნაურობა დრომოქმული კლასია, არა! მ. ჯავახიშვილი თავის ნიჭს ამ თემებზე არ დააზურდავებდა. ეს დრომოქმული საკითხებია. მწერალს სურს გვიხიროს, რომ თუ ფიზიკურად სუსტი ხარ და სულით თუ მარტო ოცნებათა სფეროში დაპფრინავ, რაც გინდა პატიოსანი და გულით სპეტაკი აღამიანი იყვი, ცოლსაც წაგართმევ, სახლსაც, კარსაც, ლუკამაბურსაც და ამასთან კისერზე მოგაჯდებიან ისე მაგრად, რომ მუხლებში ჩაიკეცავ და წელში გაიღუნები და ამას გიზამს სწორედ „ბანჯგვლიანი, ცხენისკბილებიანი და შუბლგატყვილი მხეცი, ბინძური ჯაყო“². ს. ყიფიანს ამ განცხადებით „ჯაყოს“ იდეა უფრო ფართო ასპექტში გადააქვს. თუმცა სექსის საკით-

1 აღსანიშნავია, რომ „ჯაყოს ხიზნები“ მწერლის სიცოცხლეში ოთხჯერ გამოიცა, (ქ. მნათობი, 1925 წ., 1926, 1934 წწ.) და მწერალს გამოცემიდან-გამოცემამდე თითქმის არ შეუცვლია.

2 ს. ყიფიანი — უმსგავსო ბიბლიოგრაფია, ქ. „მნათობი“, 1927 წ., № 2, გვ. 120.

ხი, თავდაზნაურობის დრომოკმელობა თუ სოფლად განათლების შეტანის საკითხიც სათანადო სიმახვილთა დაყენებული ამ ნაწარმოებში. რაც მეტ აქტუალობასა და თანადროულობას აძლევს აღნიშნულ ნაწარმოებს. აღსანიშნავია, რომ აღმინის უხასიათობას, ურწმუნობას, ნებისყოფის სისუსტესა და ფუჭ მეთოდებსა მწერალი მოვლენებით საგანგებო წერილსაც კი უძღვნიდა 1. ეს საკითხები მას მეტად აწუხებდა და როგორც წერილებში, ისე თავის რომანშიც შეეცადა ეჩვენებინა უკიდურესობამდე მიყვანილი ეს ხასიათი და მისი სავალალო შედეგები. „ჩაყოს ხიზნები“ იმპულსად შეიძლება ჩაითვალოს ერთი კონკრეტული ცხოვრებითელი ფაქტი, უჩვეულო და შემაზნაურენი — მოხუცი ქმრის ხიზნობა ყოვლილ მუხლსა და მოურავის ოჯახში, რომელიც მომხდარა სოფ. ახალდაბაში და რომლის შესახებაც მწერალს გაუგია გ. ქიქოძისაგან. ცნობა დაცულია ლ. ასათიანის უბის წიგნაკში 2. მოგვეყვას ამონაწერი „გ. ქიქოძე: ახალდაბაში ცხოვრობდა თავადი... სუმბათაშვილი. მეტად ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა. მე ბევრჯერ მიწახავს, შესანიშნავი ქალი იყო. თავადი ხანშიშესული იყო. მას ახალგაზრდა მოურავი ჰყავდა... თავადის მეუღლე ამ მოურავთან ცხოვრობდა. მოურავმა, რასაკვირველია, თავადის ხარჯზე, ქეიზერთში ახალი სახლი აიშენა, მამული შეიძინა. რევოლუციის შემდეგ მან თავადის მეუღლეს სულაც წაიყვანა. მოხუცი თავადიც მერე მასთან ცხოვრობდა სახლში. ეს ისტორია ვუამბე მე მ. ჯავახიშვილს. ამის საფუძველზე დაწერა მან „ჩაყოს ხიზნები“.

მოურავის მიერ ნაბატონარის ქონების მითვისება — ამ რომანში აღწერილი დროისათვის იშვიათი მოვლენა არ ყოფილა. 1932 წელს მწერალთა დისკუსიაზე, როდესაც მ. ჯავახიშვილს უსაყვედურეს ასეთი არარეალური ამბავი საიდან მოიტანო — მან დამაჯერებლად განაცხადა: „მე შემძლია ოციოდე რეცენზია წარმოგიდგინოთ კომუნისტურ გაზეთებში დაბეჭდილი, სადაც ნათქვამია, რომ, დიდი. პირველ ხანებში (იგულისხმება საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ლ. დ.) ამისთანა ამბები ხდებოდა“ 3. მაგრამ მწერალი დააფიქრა სწორედ ახალდაბაში მომხდარა ამბავმა, მისმა არა მარტო. სოციალურმა, არამედ მორალურმა, ადამიანურმა მხარემ.

ვნახოთ, რა ცვლილებები განიცადეს ამ რეალურმა პირებმა მწერლის „სულიერ ქურაში“ გავლენის შედეგად. იმ ფაქტში, რომ ახალგაზრდა,

მშვენიერი ქალი, მოხუცი თავადის მეუღლე შეიყვარებს ასეთსავე ახალგაზრდა, კულამაზ მოურავს, გასაკვირი არაფერია, ეს კლასიკური ბანალური ისტორიაა, რომელიც ტრადიციულად „ოჯახური სამკუთხედის“ სახელითაა ცნობილი. მწერალმა გადამწყვიტა მეტად გაემძაფრებინა სიტუაცია, მეტი იდეური დატვირთვა მიეცა თვითონელი გმირისათვის, მათი მოქმედებანი ჩაეყენებინა საკუთარი მიზანდასახულების სამახურში. იგი დამეტრულად ცვლის თვითონელ მათგანს.

ახალგაზრდა, მოურავი მწერალს შეუტყველია ტლანქ, მოძალადე ფიზიკურ ძალად. მისი წარმოდგენისას თვალწინ წამოებრა 30 წლის წინათ ჯავის ხეობაში ნანახი უცნაური, ბრგე, ბანგაველიანი, ციბერი და ხარბი ჯაველი ოსი. ამ მოჩვენებას ჩაეხლართა სხვა ანგედოტი, ოსი ნაყმებისა და ქალბატონის შესახებ, რომლის მარლისაც წარმოადგენს ნაყმები ჯავის ფიზიკური ძალის უბეში, ხეპრული დემონსტრირება ქალბატონის წინაშე.

მოხუცი თავადის ნაცვლად იგი გვიხატავს „ორმოცი წლის ახალგაზრდა მოხუცს“, ე. ი. უდროოდ დაბერებულსა და დაძაბუნებულს, ფიზიკურად სუსტს, არამრატეკული, გამოუყენებელი ცოდნით დატვირთულ, უმიზნო და უნიათო თეიმურაზ ზევისთავს, რომელსაც „სისხლის მაგივრად გაზეთის ნაგლეჯები აქვს პარლემენტში“. ეს არის სწორედ „საქმიო მართოცნებათა გვიროში მფრინავი, ვსულით პატროსანი აღამინი“, რომელსაც „შუბლგატყეპილმა ნადირმა“ ჯავომ სახლიც წაართვა, კარიც და ცოლიც.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავადის მშვენიერი მეუღლე, რომელმაც ამ სიტუაციაში თავისი არჩევანი ტლანქ და მაჯალაქუნა ჯავოზე შეაჩერა, მწერალს მეტად სიმპათიურად გამოჰყავს. ნაწარმოების მიხედვით, მარგო ყაფლანიშვილი-ზევისთავი, დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი, განათლებული და პატროსანი ქართველი მანდილოსანია. არა ცუცქია, თვითონ მ. ჯავახიშვილის მიერ დახატული ქარაფშუტა დედაკაცი, არამედ იდეალური მეოჯახე ქალი, რომელიც „ბეგრს ცდილობდა თეიმურაზ ზევისთავის უნებისყოფობა — ნებისყოფად ექცია, უუნარობა — უნარად, ფუყე ოცნება — პრაქტიკულ საქმედ“ 1, რომელიც შეეგუა ბოლოს თავისი ქმრის უნიათობას და ერთად ცოლქმრობის უმძიმეს უღელს. მწერალი ყოველმხრივ ცდილობს მარგო იდეალურ ქართველ ქალად წარმოვიდგინოს. რათა შემდეგ მისი მოქმედებანი და მისი ტრაგიკული ცხოვრება უფრო მძაფრად განგვაცდევინოს. მარგო რომ მწერლის იდე-

1 „მასალები ლექციისათვის“, თბზ., ტ. VI, თბ., 1964 წ. გვ. 296-310.
2 ლ. ასათიანის უბის წიგნაკიდან, ე. „მნათობი“, 1965 წ., № 6, გვ. 174.
3 ე. „მნათობი“, 1965 წ., № 6, გვ. 174.

1. გ. ჯიბლაძე, მ. ჯავახიშვილი. კრიტიკული ეტიუდები, ტ. III, თბ., 1959 წ., გვ. 338.

ლია (ჯაყოსთან საბედისწერო შეხვედრამდე). ამას ერთი გარემოებაც გვაფიქრებინებს: 1928 წელს მწერალ დავით კასრაძისათვის მიცემულ ინტერვიუში მ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში, ქართული ენის შესწავლის მიზნით, სიბესოს ხეობაში, შიგ ქართლის შეჯავლში, სიფ. ქუჩრთა და თამარშენში ვაგვემგზავრეთ. აქ იგი ვასცნობია ვინმე „ენიაცნა მარგოს“, რომლის შესახებაც გულწრფელად აცხადებს: „მარგო მომწონდა და მომწონდა საგრძნობლადაცო. ჩემს მოთხოვნებში და რომანებში ხშირად მაქვს ჩაქსოვილი მისი ანარეკლი. პროზასაც ხომ ჰყავს თავისი მუზა? არ დავმალავ, მარგო იყო ჩემი მუზა. ბევრ ადგილას, სადაც უფრო პოეზიის ელფერი დაჰრავს ჩემს პროზას, შეგიძლიათ შეჩერდეთ და სთქვათ: ეს მარგოს სახსოვარია“¹. ბუნებრივია, ძალზე დავინტერესდით მარგოს ვინაობით, მით უმეტეს, რომ მის სახელს ატარებდა მ. ჯავახიშვილის ყველაზე ცნობილი და სადავო ლიტერატურული გმირი. შეკითხვით, ცხადია, ისეც აწვანსვენებულ დავით კასრაძეს მივმართეთ, რომელმაც აგვისხნა „ენიაცნა მარგოს“ ვინაობა და დავგიდასტურა ჩვენი ვარაუდიც, რომ იგი მარგო ხევისთავის ერთგვარი პროტოტიპია². მწერალმა თუ ასე გაიშვტა თავისი იდეალი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეჩვენებინა უხეში ფიზიკური ძალა როგორ თელავს პატიოსან დედაკაცურ ღირსებებს. ეს ფაქტი კიდეც ერთხელ მოწმობს, რომ მას ქართველი ქალის გაიციცხვა-დამცირება კი არ ჰქონია მიზნად, როგორც ამას ზოგიერთი კრიტიკოსი უკვირებდა, არამედ, პირიქით. უნდოდა დაენახებინა უნიათობისა და უფეხური, ცხოველური ვნებების კიდეღის შედეგი. თუ ჯაყომ დაამარცხა და შეურაცჰყო მარგო ხევისთავი — ე. ი. ის ძალზე საშიში და მოსარიდებელია.

თუ შევდარებთ ცხოვრებისეულ ფაქტს და მის მხატვრულ ხორცშესხმას „ჯაყოს ხიზნებში“ დავინახებთ, რომ მწერალი ცხოვრებისეულ მოვლენებს ნაწარმოებში განსხვავებულად, გამძაფრებული და გადაჭარბებული სახით წარმოგვიდგენს. მ. ჯავახიშვილი მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს ასეთ „მხატვრულ გადაჭარბებას“

¹ დ. კასრაძე — ლაპარაკობს მ. ჯავახიშვილი. ლიტერატურული პორტრეტები, თბ., 1962 წ., გვ. 176-177.

² „ენიაცნა მარგო“ ყოფილა სანიმუშო ქართული მანდილოსანი მარგო მაჩაბელი, შემდგომში ცნობილი კრიტიკოსის გრ. რეხილაძის მეუღლე. იგი განათლებული, მხიარული ქალი ყოფილა, თავისი სილამაზის გამო ხშირად მონაწილეობდა საქველმოქმედო საზოგადოებების ღონისძიებებში, არ ჰყოლია შვილი. (ცნობები მოგვაწოდა დ. კასრაძემ და მ. მაჩაბელის შვილობილმა მ. რეხილაძემ.)

და სიყალბეს და თამამად აცხადებს: „მე რატო გადაჭარბებების მორევში მუხლებამდე შეტრპე... და ჩემს მხატვრულ ალღოს გეგონებოდა“¹.

გ. ქიქოძის მონათხრობიდან „ჯაყოს ხიზნებს“ შემორჩა მხოლოდ სინექტური ქარგა. მოქმედი პირები მწერალმა მნიშვნელოვნად შეცვალა ისედაც უჩვეულო ამბავს მეტი სიმძაფრე შესძინა, ამიტომ თავადის ქალის, მართალია, იძულებითი, მაგრამ შემდეგში უკვე გაცნობიერებული არჩევანი — ჯაყოს სასარგებლოდ, მკითხველს უფრო მეტად აღაშფოთებს, ვიდრე ცხოვრებაში მომხდარი ამბავი, უფრო გარკვეულად და მიზანდასახულად არჩავს მას ამ ურყოფით, შემზარავ მოვლენასთან საბრძოლველად.

მ. ჯავახიშვილის თითქმის ყველა ლიტერატურულ გმირს ჰყავს თავისი პროტოტიპი. ამხუთვითონ მწერალი მიუთითებს: „პროტოტიპი ძლიერ ეხმარება მწერალს თუ მას თვალწინ ცოცხალი ნაცნობი უდგია. მის ტიპიც ცოცხალი გამოვა. მაგრამ პორტრეტის დახატვა არა კმარა. მწერალი მას თავისებურად გარდაქმნის, ზოგან რამეს მიუმატებს, ზოგსაც დააკლებს და ისეთ ვინმეს გამოიყვანს, რომელიც კიდეც ჰყავს დედანს და არცა ჰყავს“². მარგო ხევისთავის ხატვისას მწერალს თავისი მუზა მარგო მაჩაბელი ჰყავდა მხედველობაში, მაგრამ ამ უკანასკნელის ცოცხალა და ხელშესახებ სახეს მწერალმა თავისი მხრივ დაუმატა ის მნიშვნელოვანი, რომელიც მას უჩვეულობასთან ერთად დიდ იდეურ დატვირთვას ანიჭებს. ეს არის სწორედ მისი იძულებითი, მაგრამ შემდეგში შეგნებული, გაცნობიერებული არჩევანი — მიეცნობის ძლიერს, მოქმედს, შემძლეს (თუნდაც ჯოჯო, გაუნათლებელი და ბინძურიც იყოს იგი). მარგოს სახეში ეს ხასიათი მოდის არა პროტოტიპიდან, არამედ თვითონ მწერლიდან. ნაწარმოების გმირის მოქმედება აღარაა განსაზღვრული მისი ცხოვრებისეული ორეულით, არამედ მას მწერლის გონება, მისი ფანტაზია განსაზღვრავს, ხელმძღვანელობს და აყენებს მას საჭირო იდეის სამსახურში. ხოლო ის ფაქტი, რომ მწერალმა სწორედ თავის იდეალში მოახდინა ურყოფითი იდეის განსხეულება, მოწმობს იმას, რომ მასთან დაპირისპირებულ ძალა მწერალს მეტად საშიშად მიიჩნია.

მ. ჯავახიშვილი თვითული მოქმედი გმირის ხასიათს ხსნის მოქმედებაში, სინექტური ქარგის სათანადო გართულება-გადახლართვის

¹ ე. „მნათობი“, 1932, № 1-2, გვ. 233.
² მ. ჯავახიშვილი. „როგორ ვმუშაობ“, თბ., ტ. VII. 1964 წ., გვ. 385.

ლია ძნელაძე

„ჯაყოს ხიზნების“ შემოქმედავითი ისტორიისათვის

გზით. მხატვრული ჩანაფიქრის ხორცშესახსმე-
ლად იყენებს როგორც ისტორიულ, ისე ლიტე-
რატურულ წყაროებსაც. მაგრამ მთავარი მაინც
ამ გმირების მოქმედების ფონია — მწერლის
თანამედროვე ცხოვრება, სწორედ ის წლები,
უკეთეს დღეები, როცა იწერებოდა რომანი.
ეს არის მეტად რთული პერიოდი — საქართვე-
ლოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირ-
ველი წლები. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწი-
ფო ჯერ არ არის კარგად ფეხმომარგებული.
არის უამრავი გაუთვალისწინებელი სიძნელე
როგორც ქალაქად, ისევე სოფლად. საბჭოთა
კანონმდებლის დარღვევები, რაც გამოწვეულა
ქვეა ჯერ გამოუცდელი ადგილობრივი მმართვე-
ლობით. ქალაქადაც და სოფლადაც ხდება მო-
სახლეობის დიფერენციაცია. აღნიშნება ერთ-
გვარი მერყეობა საბჭოთა ცხოვრების მიღება—
არ მიღების ხაზით. ამით სარგებლობს უამრავი
მედროვე და სიმდიდრესა და დროებით კეთილ-
დღეობას იხვეჭს. მ. ჯავახიშვილმა თავის გმი-
რებს, თავისთავად სადაოებას და გაუგებართ
მკითხველი საზოგადოებისათვის, მოქმედების
ასპარეზად ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სა-
ზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება შეურ-
ჩია. ის ცხოვრება, რომელიც ჯერ არსად არ იყო
ფიქსირებული და რომლის პირველი ლიტერა-
ტურული ასახვა სცადა მწერალმა. უფრო ადრე
მ. ჯავახიშვილი მომხრე იყო ე. წ. „დისტანციის
თეორიისა“, რომელიც გულისხმობდა უკვე გან-
ვლილი და საზოგადოების მიერ დაკანონებული
ისტორიული ეპოქის თუ წყობის ასახვას მხატვ-
რულ ნაწარმოებში. „დღეს ეს თეორია შემცდა-
რად მიმართა. — წერს მოვსიანებში მ. ჯავახი-
შვილი. — და მჯერა, რომ თანამედროვე მწერა-
ლმა უნდა წეროს სწორედ თანამედროვეობის
თვალთ აქტუალურ თემებზეო“¹. სხვაგან იგი
უფრო კონკრეტულად მიუთითებს თუ რომელ
ნაწარმოებში გამოიყენა მან ჯერ კიდევ ჩამოუ-
ყალიბებელი, „უფორმა“ საზოგადოებრივი
წყობა ფონად. „პროზაიკოსი უკვე დამყარე-
ბულსა და მავფიოდ გამოხატულ ყოფას და
ფორმას ეტანება. თუმცა ეს დებულება კანო-
ნად არ მიმართა. ბევრმა მწერალმა მოახერხა
„უფორმა“ მოვლენა ფორმაში მოქცევა. მაგ.
ფედინმა, შოლოხოვმა. ერთ დროს მგონი მეც
დავძლევთ ეს უძნელესი საქმე („ჩაყოს ხიზნები“
გაიხსენეთ) 2.

თუ მოქმედი გმირები მ. ჯავახიშვილმა დაგვი-
ხატა „ზომიერი მხატვრული გადაჭარბებით“,
მომინდელი ცხოვრების სურათები დოკუმენტუ-
რი სიზუსტითაა მოცემული აღნიშნულ ნაწარ-
მოებში. მთავარი იდეის გვერდით ნაწარმოებ-
ში არა ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღე-

ბო საკითხია გაშუქებული ფიზიკური თანამედ-
როვის თვალთ. არც ერთი მნიშვნელოვანი მო-
ვლენა ამ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური
თუ პოლიტიკური ცხოვრებისა არ დატოვებია
მწერალს უყურადღებოდ, ამდენად რომანს ეპო-
ქის ქრონიკის მნიშვნელობა ეძლევა. მაგრამ ეს
ყველაფერი მაინც აქტიური ფონია ადამიანთა
ურთიერთობების, მათი ფსიქიკის, ზოგადად ა-
მაინური ნენებების ასახვისათვის. ის რაც დაე-
მართა მარგო ხევისთავს, დამართება მის
მდგომარეობაში მყოფ ბევრ ქალს, თეიმურაზის
ბები ვარდუჯიას მისი ხასიათის მჭონე კაცი-
სათვის. მდროელიცაა ყველა დროში გვხვ-
დებიან და თავიანთი თავდღობით, უხეში ფი-
ზიკური ძალით ბილწივენ სუფთა ადამიანურ
ურთიერთობებს — ამის თქმა სურდა მწერალს,
ამან შეაწუხა. მან მოახერხა დიდი ფსიქოლოგი-
ური სიძლიერით ეჩვენებინა ცხოვრებაში არ-
სებულები ეს მოვლენები, ეჩვენებინა აღნიშნული
ურთიერთობის უცვლელ უარესი ვარიანტი და
მისი ყველაზე უარესი შედეგები. ამიტომ თეი-
მურაზი, მარგო და ჩაყო არ უნდა მივიჩნიოთ
მწერლის თანამედროვე ცხოვრების ტიპებად.
ისინი, მსგავსად ლუარსაბ თათქარიძისა, უფრო
მწერლის იდეის მსახურნი, მწერლის ფანტაზიის
ნაყოფნი და შესაძლებელი ხასიათებია. ამ
გმირებს მწერალი გვაძლევს პერსპექტივაში.
ასე შეიძლება მოხდეს, აქამდე შეიძლება მივი-
დეს ადამიანი, ამაში დაუჭერებელი არაფერია,
მით უმეტეს, რომ მსგავს სიტუაციას მართლაც
პქონდა ადგილი ცხოვრებაში. მწერლის დამსა-
ხურება სწორედ ისაა, რომ იგი აფრთხილებს
ადამიანებს, ანახეებს ცხოვრებისაგან მოწყყე-
ტილობის, უმიზნობის, არაპრაქტიკული საქმი-
ანობის უარყოფით შედეგებს, რომლებსაც დღეს
თითო-ორილას ეხვდებით, მაგრამ ხვალ შეიძ-
ლება ყველა უნებისყოფოსა და მცონარეს დაე-
მართოს.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედებით პროცესი—
გზა ჩანაფიქრიდან მხატვრულ ხორცშესახსმად,
„ჩაყოს ხიზნები“ მიხედვით ასე წარმოგვიდგე-
ბა: მწერალი შემოქმედებით სტიმულს იღებს
ცხოვრებისეული ფაქტიდან. ფაქტის ზედამირი-
დან იგი მიდის მის სიღრმეში, ცდილობს იგი
ასხნას ზოგადადამიანურის სიმაღლიდან და შემ-
დევი ეტაპია — ზოგადიდან კონკრეტულზე
დასვლა, ნაწარმოების ფონად კონკრეტული
საზოგადოებრივი ურთიერთობის გამოყენება,
მისთვის დღევანდლობის, აქტუალობის მნი-
შვნელობის დაკისრება.

მწერალი იღებს ცხოვრებიდან არა ვაერცე-
ლებულს, ტიპიურს და ჩვეულებრივ ფაქტს,
არამედ სწორედ ერთეულს, უჩვეულოსა და
სენსაციურს. იგი ცდილობს ეს ერთეული შემ-
თხვევა, კონკრეტული პიროვნება ასხნას ზოგა-
დი, ფსიქოლოგიური კანონებით. ამ მიზნით იგი
არ იხევს უკან მოვლენების თვითნებურ გაშუ-
ქებისაგან.

1 მ. ჯავახიშვილი — საბჭოთა მწერლები ქუ-
თაისში, თხზ. ტ. VI, თბ., 1964 წ., გვ. 377.

2 მ. ჯავახიშვილი — მწერალთა ყრილობის
შემდეგ, თხზ., ტ. VI, გვ. 440.

ქურნალი გააფორმა ლ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბღუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის ქ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ/მგ. მდივნის — 95-08-85, განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-86, პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 3/1-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/11-71 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საალრ.-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა 66. უე 01927. ტირაჟი 29250.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფანდი 60 კპპ.


საქართველოს
წიგნისწერების
კავშირის
კავშირის

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236